

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება

„ნოვა“

(საიდენტიფიკაციო ნომერი: 202358126)

ობლიგაციების წინასწარი შეთავაზების პირობების დოკუმენტი

წინასწარი შეთავაზების პირობების დოკუმენტი ადგენს შეთავაზების პირობებს მისი რეგისტრირების თარიღისთვის არსებული ინფორმაციის საფუძველზე და წარმოადგენს ობლიგაციის შეთავაზების პირობებს.

აღნიშნული დოკუმენტი განსაზღვრავს [50,000,000 (ორმოცდაათი მილიონი)] ლარამდე ჯამური ნომინალური ღირებულების ცვლადი საპროცენტო სარგებლის მქონე კუპონური ობლიგაციების საორიენტაციო შეთავაზების პირობებს. განადღების (დაფარვის) ვადა: გამოშვებიდან 60 თვის შემდეგ. თითოეული ობლიგაციის ნომინალური ღირებულებაა 1,000 ლარი. ობლიგაციების გამოშვების საორიენტაციო თარიღია 2025 წლის [17 დეკემბერი]. საბოლოო შეთავაზების პირობების დოკუმენტი საქართველოს ეროვნულ ბანკს წარედგინება პროსპექტის დამტკიცებიდან არაუგვიანეს ათი სამუშაო დღის ვადაში.

ფასიანი ქაღალდის დასახელება:	შპს „ნოვას“ („ემიტენტი“, „კომპანია“) არასუბორდინირებული, სოლიდარული თავდებობით უზრუნველყოფილი ობლიგაციები („ობლიგაციები“)
ემიტენტის დასახელება, სამართლებრივი ფორმა, საიდენტიფიკაციო ნომერი და საკონტაქტო ინფორმაცია:	შპს „ნოვა“ (საიდენტიფიკაციო ნომერი: 202358126) იურიდიული მისამართი: საქართველო, ქ. თბილისი, დიდუბის რაიონი, რ. აგლაძის ქ., №45 ტელ.: (+995) 595 304 747 ელ.ფოსტა: e.khimshiashvili@nova.ge ვებ-გვერდი: https://nova.ge/
განთავსების აგენტის დასახელება და საკონტაქტო ინფორმაცია:	შპს „თიბისი კაპიტალი“ (საიდენტიფიკაციო ნომერი: 204929961) მისამართი: ქ. თბილისი 0102, მარჯანიშვილის ქუჩა N7 ტელ.: (+995 32) 227 27 97 ელ.ფოსტა: info@tbccapital.ge ვებ-გვერდი: https://www.tbccapital.ge/ge
პროსპექტის დამტკიცებაზე პასუხისმგებელი ორგანოს დასახელება და საკონტაქტო ინფორმაცია:	საქართველოს ეროვნული ბანკი 0114 თბილისი, საქართველო, ზვიად გამსახურდიას სანაპირო #1 ტელ.: (+995 32) 240 64 06 ელ.ფოსტა: info@nbg.gov.ge ვებ-გვერდი: www.nbg.gov.ge
პროსპექტის დამტკიცების თარიღი:	9 დეკემბერი, 2025 წელი.
პროსპექტის მოქმედების ვადა	წინასწარი პროსპექტის დამტკიცებიდან 12 თვე

საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ ემისიის პროსპექტის დამტკიცება შეეხება პროსპექტის ფორმას და არ შეიძლება განხილულ იქნეს, როგორც დასკვნა მისი შინაარსის სისწორის ან მასში აღწერილი ინვესტიციების ღირებულებების შესახებ.

ხელმოწერილია შპს „ნოვა“ სახელით:


ხელმძღვანელი:

სახელი: ზვიად აბულაძე

თანამდებობა: სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე

ხელმოწერა:

თარიღი: 5 დეკემბერი 2025




ხელმძღვანელი:

სახელი: ედიშერ ზიმშიაშვილი

თანამდებობა: გენერალური დირექტორი

ხელმოწერა:

თარიღი: 5 დეკემბერი 2025



ხელმოწერილია შპს „თიბისი კაპიტალის“ სახელით:


ხელმძღვანელი:

სახელი: ოთარ შარიქაძე

თანამდებობა: დირექტორი

ხელმოწერა:

თარიღი: 5 დეკემბერი 2025



ინფორმაცია ობლიგაციების შესახებ

ობლიგაციების ძირითადი მახასიათებლები:

ობლიგაციების საპროცენტო განაკვეთი (კუპონი)	ობლიგაციების საპროცენტო განაკვეთი განისაზღვრება მისი ნომინალური ღირებულებიდან და შეადგენს წლიურად TIBR 6M + [3.00% - 3.50%] TIBR 6M გამოქვეყნებულია შემდეგ მისამართზე: https://nbg.gov.ge/monetary-policy/tibr ობლიგაციების მოქმედი საპროცენტო განაკვეთი შესაძლოა შეიცვალოს რეიტინგის ცვლილების დადგომისას (იხილეთ პროსპექტის თავი „ობლიგაციების გამოშვების პირობები“ – 6 (გ.ვ.) ქვეპუნქტი „საკრედიტო რეიტინგის პროცენტი“)
ობლიგაციების ამორტიზაციის პირობები	ობლიგაციების ძირითადი თანხის გადახდა სრულად მოხდება ობლიგაციების დაფარვის თარიღში.
სარგებლის (პროცენტის) დარიცხვა და გადახდა	ობლიგაციებს პროცენტის სახით დაერიცხება საპროცენტო სარგებელი ზემოთ მითითებული განაკვეთით ობლიგაციების გამოშვების თარიღიდან ობლიგაციების განაღდება (დაფარვის) თარიღამდე. პროცენტის დარიცხვა მოხდება წელიწადში 365 დღის საფუძველზე. ობლიგაციებზე დარიცხული პროცენტი გადაიხდება წელიწადში ორჯერ, საორიენტაციოდ [17 ივნისს], და [17 დეკემბერს]. დარიცხული პროცენტის პირველი გადახდა მოხდება საორიენტაციოდ 2026 წლის [17 ივნისს].
ობლიგაციების ვალუტა	ობლიგაციები დენომინირებულია ლარში.
ობლიგაციებთან დაკავშირებული უფლებები და შეზღუდვები	„ობლიგაციების გამოშვების პირობებით“ განსაზღვრულის გარდა, პროსპექტით არ არის გათვალისწინებული ობლიგაციებთან დაკავშირებული რაიმე განსაკუთრებული უფლებები და შეზღუდვები.
ფასიანი ქაღალდების თავისუფალი მიმოქცევის ნებისმიერი შეზღუდვა	ფასიანი ქაღალდების მიმოქცევა შეზღუდული არ არის.
გამოსყიდვის ოფცია	„ემიტენტს“ გააჩნია გამოსყიდვის ოფცია (Call Option): „ემიტენტს“ არ ექნება ობლიგაციების გამოსყიდვის უფლება ობლიგაციების გამოშვების თარიღიდან 12 (თორმეტი) თვის მანძილზე. გამოშვების თარიღიდან 12 (თორმეტი) თვის შემდეგ, ნებისმიერ დროს „ემიტენტს“ უფლება ექნება გამოისყიდოს ობლიგაციები გამოსყიდვის ფასად, რომელიც შეადგენს ნომინალური ღირებულების 102.00%-ს 12 თვის შემდეგ, 101.00%-ს 24 თვის შემდეგ, 100.50% 36 თვის შემდეგ, 100.25%-ს 48 თვის შემდეგ დამატებული ვადაზე ადრე გამოსყიდვის თარიღზე დარიცხული და გადაუხდელი პროცენტი (ასეთის არსებობის შემთხვევაში). გამოსყიდვის შემთხვევაში, ობლიგაციების გამოსყიდვა მოხდება სრულად ან ნაწილობრივ (იხილეთ პროსპექტის თავი „ობლიგაციების გამოშვების პირობები“ – 7 (გ.) ქვეპუნქტი „გამოსყიდვის ოფცია“).
ემიტენტის / ობლიგაციების საკრედიტო რეიტინგი	„ემიტენტს“ მინიჭებული აქვს შემდეგი რეიტინგი: • B+, სტაბილური პერსპექტივით Scope Ratings-სგან
ობლიგაციების დაფარვის თარიღი	ობლიგაციების დაფარვა, ანუ მისი ძირითადი თანხის და დარიცხული და გადაუხდელი სარგებლის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) გადახდა მოხდება საორიენტაციოდ - 2030 წლის [17 დეკემბერს].

ცენტრალური დეპოზიტარის საკონტაქტო ინფორმაცია	სს „საქართველოს ფასიანი ქაღალდების ცენტრალური დეპოზიტარი“ (ს/ნ: 204935400) მისამართი: თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზირის 71. მე-10 ბლოკი ტელეფონი: (+995 32) 2 50 02 11 ელ. ფოსტა: info@gcsd.ge
სავაჭროდ დაშვება	„ემიტენტს“ გამიზნული აქვს ობლიგაციების განთავსების შემდგომ განაცხადით მიმართოს „საქართველოს საფონდო ბირჟას“ ობლიგაციების სავაჭრო სისტემაში და საფონდო ბირჟის ლისტინგში დაშვების თაობაზე. მენეჯმენტის შეფასებით, ბირჟის ლისტინგში დაშვებისთვის „კომპანია“ აკმაყოფილებს ყველა პირობას (საკუთარი კაპიტალის მოცულობა გამოშვებული ფასიანი ქაღალდების რაოდენობა და ა.შ). საქართველოს საფონდო ბირჟის ლისტინგის პირობები შეგიძლიათ იხილოთ ბმულზე: GSE Listing Rules თბილისის საფონდო ბირჟის ლისტინგის პირობები შეგიძლიათ იხილოთ ბმულზე: TSE Listing Rules
ობლიგაციების კლასი და სტატუსი	ობლიგაციები წარმოადგენს „კომპანიის“ სოლიდარული თავდებობით უზრუნველყოფილ, არასუბორდინირებულ ვალდებულებას. ყველა ობლიგაციას აქვს თანაბარი, იდენტური სამართლებრივი სტატუსი, ერთმანეთთან რაიმე უპირატესობის გარეშე.
დივიდენდების პოლიტიკა	გთხოვთ, გაეცნოთ კომპანიის დივიდენდის გაცემის პოლიტიკას, რომელიც აღწერილია პროსპექტის ქვეთავში - „დივიდენდის პოლიტიკა“.

ინფორმაცია შეთავაზების შესახებ:

შეთავაზება	[50,000,000 (ორმოცდაათი მილიონი)] ლარამდე ჯამური ნომინალური ღირებულების სასესხო ფასიანი ქაღალდები (ობლიგაციები), დაფარვის ვადით საორიენტაციოდ [17 დეკემბერი], 2030 წელი.
ობლიგაციების განთავსების მინიმალური მოცულობა	1 ობლიგაცია
ინსტრუმენტი	კუპონური ობლიგაცია (ცვლადი საპროცენტო განაკვეთის მქონე სასესხო ფასიანი ქაღალდი).
ობლიგაციის ნომინალური ღირებულება	1,000 (ათასი)ლარი.
ობლიგაციების რაოდენობა	50,000 (ორმოცდაათი ათასი) ცალამდე.
მთლიანი ემისიის ნომინალური ღირებულება	50,000,000 (ორმოცდაათი მილიონი) ლარამდე.
გამოშვების ფასი	ობლიგაციის ნომინალური ღირებულების 100%.
ემისიის დამტკიცების შესახებ სამეთვალყურეო საბჭოს სხდომის ოქმი, აქციონერისა და დირექტორატის გადაწყვეტილებები	ობლიგაციების ემისია ავტორიზებულ იქნა 2025 წლის 17 ნოემბრის სამეთვალყურეო საბჭოს გადაწყვეტილებით.
ობლიგაციის გამოშვების თარიღი	ობლიგაციები გამოშვებული იქნება საორიენტაციოდ 2025 წლის [17 დეკემბერს].
ობლიგაციების გადავადებული განთავსების თარიღი	ნებისმიერი თარიღი ობლიგაციების გამოშვების თარიღიდან შეთავაზების დასრულების თარიღამდე, როდესაც ხდება ობლიგაციის განთავსება გადავადებული განთავსების ფასით.
ობლიგაციების გადავადებული განთავსების ფასი	ობლიგაციების ნომინალურ ღირებულებას დამატებული ობლიგაციების გამოშვების თარიღიდან ობლიგაციების გადავადებულ განთავსების თარიღამდე დარიცხული სარგებელი.
შეთავაზების პერიოდის თარიღი	დროის მონაკვეთი საბოლოო შეთავაზების პირობების დოკუმენტის დამტკიცებიდან შეთავაზების დასრულებამდე, რომლის განმავლობაშიც შესაძლებელი იქნება ფასიანი ქაღალდების შეძენა.
შეთავაზების დასრულების თარიღი	შეთავაზების პერიოდის დასრულების თარიღად განისაზღვრება ისეთი თარიღი, რომელზეც დადგება ერთ-ერთი შემდეგი ფაქტი: ა) ემისიის პროსპექტის მოქმედების ვადის გასვლა; ბ) საჯაროდ შეთავაზებული ფასიანი ქაღალდების სრულად განთავსება; გ) საჯარო შეთავაზების შეწყვეტა.
ობლიგაციების დაფარვის თარიღი	ობლიგაციების დაფარვა, ანუ მისი ძირითადი თანხისა და დარიცხული და გადაუხდელი სარგებლის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) გადახდა მოხდება საორიენტაციოდ 2030 წლის [17 დეკემბერს].

ობლიგაციების ვალუტა	ობლიგაციები დენომინირებულია ლარში.
ფასიანი ქაღალდების რიგითობა კაპიტალის სტრუქტურაში გადახდისუნარიობის/გაკოტრების შემთხვევაში	„ემიტენტის“ გადახდისუნარიობის/ გაკოტრების შემთხვევაში, ობლიგაციონერები ჩაითვლებიან არაუზრუნველყოფილ კრედიტორებად და დაკმაყოფილდებიან გადახდისუნარიობის მასიდან, როგორც არაუზრუნველყოფილი კრედიტორები. „რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ“ კანონით გათვალისწინებული რიგითობა შემდეგია: ა) გაკოტრების რეჟიმის ხარჯები (რომელიც თავის მხრივ მოიცავს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის V თავით გათვალისწინებული პროცესის ხარჯებს; გაკოტრების მმართველის ანაზღაურებას; და საქმის წარმოებასთან დაკავშირებული ხარჯს, მათ შორის, გაკოტრების საქმის წარმოების პროცესში წარმოშობილი შრომითი ურთიერთობიდან გამომდინარე ხარჯს, ქონების მართვის ხარჯს, აგრეთვე მმართველის გადაწყვეტილებით შესყიდული სხვადასხვა პროფესიული მომსახურების ხარჯს); ბ) სასამართლოს მიერ გადახდისუნარიობის შესახებ განცხადების დასაშვებად ცნობისა და გაკოტრების რეჟიმის გახსნის თაობაზე განჩინების გამოტანის შემდეგ მოვალის მიმართ წარმოშობილი დავალიანება, მათ შორის, გაკოტრების საქმის წარმოების დაწყების შემდეგ წარმოშობილი საგადასახადო ვალდებულებები; გ) პრეფერენციული მოთხოვნები; დ) პრეფერენციული საგადასახადო მოთხოვნები; ე) არაუზრუნველყოფილი მოთხოვნები, მათ შორის, გადახდისუნარიობის შესახებ განცხადების დასაშვებად ცნობამდე წარმოშობილი საგადასახადო თანხა, რომლებსაც „რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ“ კანონის 104(1) პუნქტის სხვა ქვეპუნქტები არ მოიცავს - ამ (არაუზრუნველყოფილი მოთხოვნების) კატეგორიას მიეკუთვნება ობლიგაციონერთა მოთხოვნები. დამატებითი ინფორმაცია იხილეთ ვრცლად „პროსპექტის“ ქვეთავებში „ინფორმაცია იმ მატერიალური რისკების შესახებ რომლებიც სპეციფიურია შესათავაზებელი ფასიანი ქაღალდებისთვის“ და „ინფორმაცია ფასიანი ქაღალდების კაპიტალის სტრუქტურაში ცვლილებებისა და გადახდისუნარიანობის/ გაკოტრების შემთხვევის შესახებ“ „რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ“ საქართველოს კანონის 104-ე და 105-ე მუხლები. კალკულაციის აგენტი შპს „თიბისი კაპიტალი“ (ს/ნ: 204929961)
კალკულაციის და გადახდის აგენტი	შპს „თიბისი კაპიტალი“ (ს/ნ: 204929961)
დეფოლტი	თუ ადგილი ექნება „დეფოლტის შემთხვევას“ ობლიგაციონერებს შეუძლიათ პროსპექტით განსაზღვრული პირობებით მიმდინარე მოთხოვნები გამოაცხადონ ვადამოსულად და მოითხოვოს

	„ემიტენტისაგან“ „ობლიგაციების“ დაუყოვნებლივ განაღდება და ძირითადი თანხის (ნომინალის) 100 პროცენტისა და დარიცხული საპროცენტო სარგებლის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) გადახდა (იხილეთ პროსპექტის თავი „ობლიგაციების გამოშვების პირობები“ – 10 ქვეპუნქტი „დეფოლტის შემთხვევები“).
შეთავაზების მიზეზები და მოზიდული სახსრების გამოყენება	„ემიტენტი“ შეთავაზებიდან მიღებულ წმინდა სახსრებს გამოიყენებს i) სასესხო ვალდებულებების რეფინანსირებისთვის; ii) კაპიტალური დანახარჯების დასაფინანსებლად და iii) სამუშაო კაპიტალის დასაფინანსებლად.. დეტალური ინფორმაციისთვის იხილეთ სექცია „შეთავაზების მიზეზები და მოზიდული სახსრების გამოყენება“.
წმინდა სახსრები	გამოშვებული ობლიგაციების სრულად განთავსების შემთხვევაში, ობლიგაციებიდან მიღებული წმინდა სახსრები (მართვის, განთავსების საკომისიოების და ლისტინგის ხარჯების გამოკლების შემდეგ, თუმცა სხვა ხარჯების გამოკლებამდე) არ იქნება გამოშვებული ობლიგაციების მთლიანი ნომინალური ღირებულების 98.5%-ზე ნაკლები.
რეალიზაციის და გასხვისების შეზღუდვები	ობლიგაციების შეთავაზება მოხდება მხოლოდ საქართველოს იურისდიქციის ფარგლებში, საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით.
მარეგულირებელი კანონმდებლობა	საქართველოს კანონმდებლობა.
იურისდიქცია	ნებისმიერი დავა, უთანხმოება ან მოთხოვნა, რომელიც წარმოიშობა ან უკავშირდება წინამდებარე „პროსპექტუსს“ და/ან „ობლიგაციებს“ (მათ შორის ნებისმიერი პრეტენზია, დავა ან გაუგებრობა, რაც ეხება მათი გამოშვების, არსებობის, შეწყვეტის ან მოქმედების საკითხს, აგრეთვე ნებისმიერი არასახელშეკრულებო ვალდებულება, რომელიც წარმოიშობა ან დაკავშირებულია „პროსპექტუსთან“ ან „ობლიგაციებთან“), გადაეცემა და საბოლოოდ გადაწყდება არბიტრაჟის გზით მოქმედი UNCITRAL-ის არბიტრაჟის წესების შესაბამისად, ერთი არბიტრის მიერ, რომელიც დაინიშნება ლონდონის საერთაშორისო არბიტრაჟის სასამართლოს (LCIA) მიერ. არბიტრაჟის ადგილი იქნება ლონდონი, ინგლისი, ხოლო არბიტრაჟის წარმოების ენა იქნება ინგლისური.
ობლიგაციების განთავსების ხელშეკრულების ძირითადი პირობები	ხელშეკრულება ავალდებულებს განთავსების აგენტს უზრუნველყოს ობლიგაციების განთავსება მხოლოდ არაგარანტირებულ საფუძველზე. განთავსების აგენტის მოვალეობაა დაეხმაროს „ემიტენტს“ ობლიგაციების განთავსებისთვის საჭირო დოკუმენტების მომზადებაში (მათ შორის ობლიგაციების ემისიის პროსპექტი), შეასრულოს განთავსების აგენტის ფუნქცია და „კომპანიას“ გაუწიოს ობლიგაციების გამოშვებასთან, რეალიზაციასთან და ანგარიშსწორებასთან დაკავშირებული კონსულტაციები.
განთავსების საკომისიო	განთავსებასა და შეთავაზებასთან დაკავშირებული სხვა საკომისიოები არ აღემატება განთავსებული ობლიგაციების 1.5%-ს. განთავსების საკომისიოს სრულად ფარავს „ემიტენტი“ და ინვესტორებზე არ იქნება დაკისრებული არანაირი განთავსების ხარჯი.

ინვესტორებზე დაწესებული შესაძლო გადასახადები

ობლიგაციების განთავსებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ხდება ემიტენტის მიერ სრულად და შეთავაზების ფარგლებში ინვესტორს არ დაეკისრება რაიმე სახის ობლიგაციების განთავსებასთან დაკავშირებული დამატებითი ხარჯი.

შეთავაზებასთან დაკავშირებული ინტერესთა კონფლიქტი

არსებობს იმის ალბათობა, რომ „ობლიგაციების“ ნაწილის შემძენი იქნება ერთ-ერთი მსხვილი კომერციული ბანკი, რომელიც აფილირებულია განთავსების აგენტთან (განთავსების აგენტი სს „თიბისი ბანკის“ პირდაპირი შვილობილი კომპანიაა). ამავდროულად, განთავსების აგენტს და სს „თიბისი ბანკის“ კორპორაციული დაკრედიტების მიმართულებას (რომელშიც შედის როგორც კორპორაციული სესხების გაცემა, ისე ობლიგაციებში ინვესტირება) საერთო მენეჯმენტი მართავს. აღნიშნულმა შესაძლოა წარმოშვას ინტერესთა კონფლიქტი, ერთი მხრივ, განთავსების აგენტსა და „ემიტენტს“, მეორეს მხრივ, განთავსების აგენტსა და სს „თიბისი ბანკს“ შორის, ხოლო მესამე მხრივ განთავსების აგენტსა და ინვესტორებს შორის. თუმცა, „ემიტენტს“ მიაჩნია, რომ შესაძლო ინტერესთა კონფლიქტი შემცირებულია შემდეგი გარემოებების გათვალისწინებით:

(ა) განთავსების აგენტს კანონმდებლობით მოეთხოვება, რომ როგორც სს „თიბისი ბანკს“, ასევე ყველა ინვესტორს მოექცეს თანასწორობის და თანაბარუფლებიანობის საწყისებზე;

(ბ) თუ საპროცენტო სარგებლის საბოლოო განაკვეთის ფორმირების (Book-building-ის) პროცესში პოტენციური ინვესტორებისაგან „ობლიგაციების“ შესყიდვის თაობაზე განაცხადებით გამოხატულია ინტერესი იმაზე მეტი „ობლიგაციის“ შემენაზე ვიდრე ამ „პროსპექტით“ არის გათვალისწინებული და განაცხადების დაკმაყოფილება ხდება ნაწილობრივ, შემოსულ განაცხადებში მითითებული ოდენობების პროპორციულად ან სხვაგვარად, ამასთან დაკავშირებით გადაწყვეტილებას იღებს თავად „ემიტენტი“ და არა განთავსების აგენტი.

„ემიტენტს“ არ აქვს ინფორმაცია შეთავაზებასთან დაკავშირებული სხვა არსებული ან პოტენციური ინტერესთა კონფლიქტის შესახებ.



**შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
„ნოვა“**

(საიდენტიფიკაციო ნომერი: 202358126)

**არასუბორდინირებული, სოლიდარული თავდებობით უზრუნველყოფილი ობლიგაციების ემისიის
მულტისავალუტო პროგრამის პროსპექტი**

80,000,000 (ოთხმოც მილიონ) ლარამდე ჯამური ნომინალური ღირებულების პირდაპირი, არასუბორდინირებული, სოლიდარული თავდებობით უზრუნველყოფილი ობლიგაციები (შემდგომში „ობლიგაციები“), გამოშვებული ერთი ან რამდენიმე ემისიით. თითოეული ემისიისთვის (პირველი ემისიის თარიღს აზუსტებს აღნიშნული ობლიგაციების საბოლოო შეთავაზების დოკუმენტი, ხოლო შემდგომი ემისიების სავარაუდო გამოშვების თარიღი დაზუსტდება შესაბამისი შეთავაზების დოკუმენტის საშუალებით) თითო ობლიგაციის ნომინალური ღირებულება გამოშვებისას: 1,000 (ათასი) ერთეული შესაბამის ვალუტაში; შესაბამისი ემისიის ვალუტა დაზუსტდება მისი „შეთავაზების პირობების დოკუმენტით“ და შესაძლოა იყოს ერთ-ერთი შემდეგთაგანი: ლარი, ევრო ან აშშ დოლარი. ლარის ობლიგაციების ემისია მოხდება ცვლადი საპროცენტო სარგებლის მქონე კუპონურ ობლიგაციებად ხოლო ევროსა და აშშ დოლარის ობლიგაციების ემისია მოხდება ფიქსირებული საპროცენტო სარგებლის მქონე კუპონურ ობლიგაციებად. თითოეული ემისიისთვის ფასი შეადგენს ნომინალური ღირებულების 100%-ს (ასი პროცენტი); ობლიგაციების გამოშვების დეტალური პირობები, როგორცაა შესაბამისი ემისიის ჯამური მოცულობა, დენომინაცია, პროცენტის გადახდის სიხშირე, გამოშვების ზუსტი თარიღი, ვადიანობა და წლიური განაკვეთი განისაზღვრება წინამდებარე პროსპექტითა და შესაბამისი ემისიის „საბოლოო შეთავაზების პირობების დოკუმენტებით“. ობლიგაციების კუპონის გადახდის სიხშირე განისაზღვრება, როგორც ერთ-ერთი მოცემულთაგან: ა) ყოველთვიური; ბ) კვარტლური; გ) ნახევარწლიური; ვადიანობა განისაზღვრება როგორც ერთ-ერთი მოცემულთაგან: 1) 1 წლიანი; 2) 2 წლიანი; 3) 3 წლიანი; 4) 4 წლიანი; 5) 5 წლიანი.

ობლიგაციების ნომინალურ ღირებულებაზე დასარიცხი პროცენტის (კუპონის) საბოლოო განაკვეთი დგინდება პოტენციური ინვესტორებისათვის ობლიგაციების შეთავაზების პროცესში, ობლიგაციების შესყიდვაზე გამოვლენილი მოთხოვნების მოცულობიდან / პირობებიდან გამომდინარე (Book-building-ის შედეგად). პროცენტის (კუპონის) საბოლოო განაკვეთი უნდა იყოს შესაბამის წინასწარი შეთავაზების პირობების დოკუმენტში (რომელიც მიეწოდება პოტენციურ ინვესტორებს შეთავაზების პროცესში) მითითებული ზღვრის ფარგლებში. თითოეული საჯარო შეთავაზების ფარგლებში, დაუშვებელია შეთავაზების (Book-building-ის) დაწყება, წინასწარი შეთავაზების პირობების დოკუმენტის საქართველოს ეროვნული ბანკისთვის წარდგენისა და აღნიშნული დოკუმენტის გასაჯაროების გარეშე. ამასთან, წინასწარი შეთავაზების პირობების დოკუმენტით განსაზღვრულ ფარგლებში საბოლოო საპროცენტო განაკვეთის (კუპონის) ფორმირება არ წარმოადგენს არსებით ცვლილებას და საჭიროებს მხოლოდ და მხოლოდ საბოლოო პროსპექტში ასახვას.

ობლიგაციები წარმოადგენს კომპანიის სოლიდარული თავდებობით უზრუნველყოფილ და არასუბორდინირებულ ვალდებულებას.

შპს “ნოვა“ (შემდგომში „კომპანია“, „ნოვა“ ან „ემიტენტი“) პასუხისმგებელია წინამდებარე პროსპექტში წარმოდგენილ ინფორმაციაზე. „კომპანიის“ ხელთ არსებული ინფორმაციით (რომლის სიზუსტის დასადასტურებლად კომპანიამ მიმართა ყველა გონივრულად შესაძლო ძალისხმევას), წინამდებარე პროსპექტში მოყვანილი მონაცემები ეფუძნება ფაქტებს და არ არის გამოტოვებული იმგვარი ინფორმაცია, რომელსაც შეეძლო მნიშვნელოვანი გავლენა მოეხდინა ინფორმაციის უტყუარობასა და სისრულეზე. ამასთან, წინამდებარე პროსპექტში შესულია „კომპანიისთვის“ ცნობილი ყველა არსებითი ფაქტი და ადგილი არ ჰქონია ისეთი ინფორმაციის გამოტოვებას, რომელიც გავლენას მოახდენდა პროსპექტის შინაარსზე.

საქართველოს ეროვნული ბანკის („სებ“) მიერ პროსპექტის დამტკიცება შეეხება პროსპექტის ფორმას და იგი არ შეიძლება განხილულ იქნეს როგორც დასკვნა მისი შინაარსის სისწორის ან აქ აღწერილი ინვესტიციების ღირებულების შესახებ.

დოკუმენტის მომზადებაზე პასუხისმგებელი პირი:

შპს „ნოვა“ (ს/ნ: 202358126)

პასუხისმგებელი პირის განცხადება

პასუხისმგებელი პირი აცხადებს, რომ: „ემისიის პროსპექტით წარმოდგენილ ინფორმაციაში შესულია მათთვის ცნობილი ყველა არსებითი ფაქტი და მათი შეფასებით ადგილი არ ჰქონია ისეთი ინფორმაციის გამოტოვებას, რაც გავლენას მოახდენდა პროსპექტის შინაარსზე“.

ხელმოწერილია შპს „ნოვას“ სახელით:


ხელმოწერი:

სახელი: ზვიად აბულაძე

თანამდებობა: სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე

ხელმოწერა:

თარიღი: 5 დეკემბერი 2025




ხელმოწერი:

სახელი: ედიშერ ხიმშიაშვილი

თანამდებობა: გენერალური დირექტორი

ხელმოწერა:

თარიღი: 5 დეკემბერი 2025



ხელმოწერილია შპს „თიბისი კაპიტალის“ სახელით:

ხელმოწერი:

სახელი: ოთარ შარიქაძე

თანამდებობა: დირექტორი

ხელმოწერა:

თარიღი: 5 დეკემბერი 2025



მნიშვნელოვანი ინფორმაცია ინვესტორთათვის:

ამ დოკუმენტის კითხვის გაგრძელებამდე, პოტენციური ინვესტორი ჯერ უნდა გაეცნოს წინამდებარე დათქმას. დათქმა ეხება თანდართულ პროსპექტს (შემდგომში „პროსპექტი“) და, შესაბამისად, პოტენციური ინვესტორი, უპირველეს ყოვლისა, გულდასმით უნდა გაეცნოს მას. პროსპექტის გაცნობით და მისი გამოყენებით (მათ შორის, ინვესტირების მიზნით), ინვესტორი თანხმობას აცხადებს, რომ დაექვემდებარება და შეასრულებს ქვემოთ მოცემულ პირობებს (დროდადრო მათში შეტანილი შესწორებებისა და ცვლილებების ჩათვლით).

პროსპექტის დამტკიცებაზე პასუხისმგებელი ორგანო:

საქართველოს ეროვნული ბანკი - მის. N1 ზვიად გამსახურდიას სანაპირო, თბილისი 0114, საქართველო. ტელ: 2 406 406.
ელ-ფოსტა: info@nbg.gov.ge ვებ-გვერდი: <https://nbg.gov.ge/>

პასუხისმგებლობის შეზღუდვა:

ამასთანავე, გარდა იმ შემთხვევებისა, რაც შესაძლოა ცალსახად იქნას გათვალისწინებული შესაბამისი კანონმდებლობით, არც ერთი პირი, გარდა ემიტენტისა, მათ შორის, ემიტენტის წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირი, ფინანსური დირექტორი, სამეთვალყურეო საბჭოს წევრი, სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე, არც განთავსების აგენტი, კალკულაციისა და გადახდის აგენტი, ცენტრალური დეპოზიტარი (შემდგომში - „ცენტრალური დეპოზიტარი“ ან „დეპოზიტარი“), კომპანიის სხვა მრჩეველები ან მათთან დაკავშირებული რომელიმე პირი, ან მათი რომელიმე დირექტორი, მრჩეველი ან აგენტი არ არიან პასუხისმგებელნი წინამდებარე პროსპექტის შინაარსზე, მასში წარმოდგენილი ინფორმაციის უტყუარობაზე ან სისრულეზე, ან მათ მიერ ან მათი სახელით კომპანიასთან დაკავშირებით წინამდებარე პროსპექტში გაკეთებულ რომელიმე განცხადებაზე ან წინამდებარე პროსპექტით განსაზღვრული ფასიანი ქაღალდების გამოშვებასთან და შეთავაზებასთან დაკავშირებულ წინამდებარე პროსპექტში გამჟღავნებულ ნებისმიერ ინფორმაციაზე. შესაბამისად, განთავსების აგენტი და კომპანიის მრჩეველები არ იღებენ არანაირ კანონისმიერ თუ სხვაგვარ პასუხისმგებლობას წინამდებარე პროსპექტთან ან პროსპექტში მითითებულ მათ რაიმე განცხადებასთან დაკავშირებით.

მოცემული შეთავაზების მიზნებისთვის, განთავსების და კალკულაციისა და გადახდის აგენტი მოქმედებს ექსკლუზიურად „ემიტენტისთვის“, ის არ წარმოადგენს არცერთ სხვა პირს მოცემულ შეთავაზებასთან დაკავშირებით და არ მიიჩნევა არცერთ სხვა პირს (მიუხედავად იმისა, ამგვარ პირს მიღებული აქვს თუ არა წინამდებარე პროსპექტი) თავის კლიენტად მოცემულ შეთავაზებასთან დაკავშირებით. შესაბამისად, განთავსების და კალკულაციისა და გადახდის აგენტი არ არის ვალდებული გაუწიოს ვინმეს, გარდა „კომპანიისა“, მომსახურება ან მისცეს რჩევა შეთავაზებასთან ან წინამდებარე დოკუმენტში მითითებულ რაიმე ოპერაციასთან ან გარიგებასთან დაკავშირებით.

წინამდებარე პროსპექტი არ წარმოადგენს და ვერ იქნება გამოყენებული შეთავაზების მიზნით რომელიმე ისეთ იურისდიქციაში, სადაც ამგვარი ქმედება ნებადართული არ არის, ან რომელიმე ისეთი პირისადმი, რომლისთვისაც ამგვარი შეთავაზება უკანონოა. არც ერთ იურისდიქციაში (საქართველოს გარდა) არ ხორციელდება არანაირი ქმედება წინამდებარე „პროსპექტში“ განსაზღვრული „ობლიგაციების“ შეთავაზებისთვის ნებართვის მისაღებად, ან პროსპექტის (ან „ობლიგაციებთან“ დაკავშირებული სხვა შეთავაზების მასალების) გასავრცელებლად.

ინვესტორის დადასტურება: „პროსპექტი“ ინვესტორს მიეწოდება მისივე თხოვნის საფუძველზე, იმ პირობით, რომ იგი უდასტურებს (i) განთავსების აგენტს - შპს „თიბისი კაპიტალს“: (ს/ნ 204929961), მის: საქართველო, თბილისი 0102, მარჯანიშვილის N7, ტელ: (+995 32) 277-27-33; ელ-ფოსტა: info@tbccapital.ge (შემდგომში „განთავსების აგენტი“) და (ii) „ემიტენტს“ - შპს „ნოვა“, რომ ინვესტორი (ა) იმყოფება ამერიკის შეერთებული შტატების ფარგლებს გარეთ და არ არის ამერიკის მოქალაქე (აშშ-ს 1933 წლის ფასიანი ქაღალდების შესახებ აქტის „S“ რეგულაციით განსაზღვრული მნიშვნელობით) და (ბ) იმყოფება გაერთიანებული სამეფოს და ევროპის ეკონომიკური სივრცის გარეთ, და (გ) არის პირი,

რომლისთვისაც წინამდებარე პროსპექტი შეიძლება კანონიერად იქნეს მოწოდებული იმ იურისდიქციის კანონების შესაბამისად, სადაც იგი იმყოფება.

იმ შემთხვევაში, თუ წინამდებარე პროსპექტი ინვესტორს მიეწოდა ელექტრონული ფორმით, „კომპანია“, განთავსების აგენტი ან/და რომელიმე მათთან აფილირებული პირი არ იქნება რაიმე სახით ვალდებული ან პასუხისმგებელი (i) ელექტრონული და ნაბეჭდი ფორმატით გავრცელებული პროსპექტის ვარიანტებს შორის არსებულ რაიმე სხვაობაზე ან/და კომპიუტერული პროგრამის ვირუსებისაგან ან (ii) სხვა დამაზიანებელი ელემენტებისაგან დაცვაზე, რაც შესაძლოა გამოწვეულ იქნას ელექტრონული ფორმატით დოკუმენტების მიწოდებით განპირობებული ცვლილებით მათი გადაგზავნის პროცესში. პროსპექტზე წვდომის განხორციელებით, ინვესტორი თანხმობას აცხადებს მის ელექტრონული ფორმით მიღებაზე.

ყოველგვარი ეჭვის გამოსარიცხად, უპირატესობა ენიჭება „საქართველოს ეროვნული ბანკის“ ვებ-გვერდზე გასაჯაროებულ/დამტკიცებულ პროსპექტს.

პროსპექტის წარდგენიდან მის დამტკიცებამდე „კომპანიის“ ოპერაციებში არსებითი (მატერიალური) ცვლილება არ მომხდარა, ხოლო თუკი რამე მსგავსი ცვლილება მოხდება დამტკიცებიდან შეთავაზებამდე, პროსპექტში შესაბამისად განახლდება.

ნაბეჭდი სახით პროსპექტი ხელმისაწვდომია განთავსების აგენტისადმი მიმართვის საფუძველზე.

შეზღუდვა: თუ პირმა წინამდებარე დოკუმენტზე წვდომა მოიპოვა ზემოაღნიშნული დათქმებისა და შეზღუდვების მიუხედავად და გაუთვალისწინებლად, იგი არ არის უფლებამოსილი შეიძინოს წინამდებარე პროსპექტით განსაზღვრული რომელიმე ფასიანი ქაღალდი.

დამტკიცებულია საქართველოს
ეროვნული ბანკის მიერ

დამტკიცების თარიღი

9 დეკემბერი, 2025 წელი.

სარჩევი

პროსპექტის ზოგადი მიმოხილვა	8
შესავალი.....	8
ინფორმაცია ემიტენტის შესახებ	12
ბიზნესის განვითარების მნიშვნელოვანი მოვლენები	14
კომპანიის სტრატეგია	14
მოკლე ინფორმაცია სექტორთან დაკავშირებით	15
ემიტენტის ორგანიზაციული სტრუქტურა	17
ემიტენტის მენეჯმენტი და ჯგუფის ძირითადი მმართველი გუნდი.....	17
ძირითადი ფინანსური მაჩვენებლები.....	18
ძირითადი ფინანსური კოეფიციენტები.....	21
„კომპანიის“ საკრედიტო რეიტინგის მიმოხილვა	26
მიღებული სახსრების გამოყენება.....	27
მოკლე ინფორმაცია ემიტენტის ბიზნესისა და შეთავაზებული ფასიანი ქაღალდებისათვის დამახასიათებელი მატერიალური რისკ ფაქტორების შესახებ.....	28
ემიტენტის აუდიტორები და პროსპექტში ჩართული მესამე პირები ან ექსპერტები:.....	29
სარეგისტრაციო დოკუმენტი	31
რისკის ფაქტორები	32
ინფორმაცია იმ მატერიალური რისკების შესახებ, რომლებიც სპეციფიკურია ემიტენტის საქმიანობისთვის	35
ინფორმაცია იმ მატერიალური რისკების შესახებ რომლებიც სპეციფიკურია ინდუსტრიასა და ეკონომიკისათვის	47
ინფორმაცია იმ მატერიალური რისკების შესახებ რომლებიც სპეციფიკურია შესათავაზებელი ფასიანი ქაღალდებისთვის	58
შეთავაზების მიზეზები და მოზიდული სახსრების გამოყენება	65
ძირითადი საქმიანობა.....	66
კომპანიის მიმოხილვა და ისტორია	66
მნიშვნელოვანი მოვლენების აღწერა	73
ორგანიზაციული სტრუქტურა	74
სეზონურობა	74
ძირითადი მომხმარებლები და მომწოდებლები	75
მნიშვნელოვანი კონტრაქტები.....	76
სტრატეგია და ამოცანები	78
ბიზნეს პროცესისა და ხარისხის კონტროლის პროცედურები	78
კომპანიის საქმიანობაში გამოყენებული რესურსები და ტექნოლოგიები	79
მარკეტინგული პროგრამა.....	80
ინვესტიციები	81
სასამართლო დავები	82

დაზღვევა.....	83
„კომპანიის“ საკრედიტო რეიტინგი.....	84
კონკურენტული პოზიცია.....	85
ინდუსტრიის აღწერა	88
სამშენებლო სექტორის მიმოხილვა.....	88
საცხოვრებელი უძრავი ქონების ბაზრის მიმოხილვა	93
სამშენებლო და სარემონტო მასალების სექტორი საქართველოში.....	99
საოპერაციო და ფინანსური მიმოხილვა	105
მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის კონსოლიდირებული ანგარიშგება	105
კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება	126
ფულადი სახსრების მოძრაობის კონსოლიდირებული ანგარიშგება.....	127
ფინანსური რისკების მართვა	130
კაპიტალიზაცია და დავალიანება	134
მარეგულირებელი გარემო	144
მმართველი ორგანო და მენეჯმენტი	156
საერთო კრება (პარტნიორთა კრება).....	156
სამეთვალყურეო საბჭო.....	159
აუდიტის კომიტეტი.....	161
ხელმძღვანელი ორგანო	162
დივიდენდების პოლიტიკა	164
თანამშრომლები.....	164
ანაზღაურება და ბენეფიტები	165
ინტერესთა კონფლიქტზე განაცხადი	165
საჩივრის შესახებ განცხადება	165
დაკავშირებული მხარის გარიგებები	166
სარეგისტრაციო დოკუმენტში მითითებული დოკუმენტების ჩამონათვალი.....	167
ფასიანი ქაღალდების მიმოხილვა	168
ობლიგაციების გამოშვების პირობები.....	176

პროსპექტის ზოგადი მიმოხილვა

შესავალი

ფასიანი ქაღალდის დასახელება:	შპს „ნოვა“ არასუბორდინირებული, სოლიდარული თავდებობით უზრუნველყოფილი ობლიგაციები
ემიტენტის დასახელება, სამართლებრივი ფორმა, საიდენტიფიკაციო ნომერი და საკონტაქტო ინფორმაცია:	შპს „ნოვა“ (საიდენტიფიკაციო ნომერი: 202358126) მისამართი: საქართველო, ქ. თბილისი, დიდუბის რაიონი, რ. აგლაძის ქ., №45 ელ.ფოსტა: e.khimshiashvili@nova.ge ვებ-გვერდი: https://nova.ge/ ტელ.: (+995) 595 304 747
განთავსების აგენტის დასახელება და საკონტაქტო ინფორმაცია:	შპს „თიბისი კაპიტალი“ (საიდენტიფიკაციო ნომერი: 204929961) მისამართი: ქ. თბილისი 0102, მარჯანიშვილის ქუჩა N7 ელ. ფოსტა: info@tbccapital.ge ვებ-გვერდი: www.tbccapital.ge ტელ.: +995 32 227 27 33
პროსპექტის დამტკიცებაზე პასუხისმგებელი ორგანოს დასახელება და საკონტაქტო ინფორმაცია:	საქართველოს ეროვნული ბანკი მისამართი: 0114 თბილისი, საქართველო, ზვიადაძის გამზ. #1 ელფოსტა: info@nbg.gov.ge ვებ-გვერდი: www.nbg.gov.ge ტელ.: (995 32) 240 6406
პროსპექტის დამტკიცების თარიღი:	9 დეკემბერი, 2025 წელი
პროსპექტის მოქმედების ვადა	წინასწარი პროსპექტის დამტკიცებიდან 12 თვე

მნიშვნელოვანი მითითებები:

ზოგადი მიმოხილვა წარმოადგენს პროსპექტის განუყოფელ ნაწილს;

ინვესტორის მიერ ნებისმიერი გადაწყვეტილება ინვესტირების შესახებ მიღებულ უნდა იქნეს მთლიანი პროსპექტიდან და არა მხოლოდ ზოგადი მიმოხილვის ნაწილიდან გამომდინარე.

„ემიტენტს“ შესაძლებელია დაეკისროს პასუხისმგებლობა, თუ ზოგადი მიმოხილვის რომელიმე ნაწილი შეცდომაში შემყვანია, არაზუსტია ან არ არის ძირითადი პროსპექტის შესაბამისი ან არ იძლევა ისეთ ძირითად ინფორმაციას, რაც უნდა დაეხმაროს ინვესტორებს მიიღონ გადაწყვეტილება, იმის შესახებ, დააბანდონ თუ არა სახსრები ამ შესათავაზებელ ფასიან ქაღალდებში;

ობლიგაციებში ინვესტირება საკმაოდ რისკიანია. ნებისმიერი ინვესტორი, რომელიც შეიძენს ობლიგაციებს, მზად უნდა იყოს მისი ინვესტიციის ეკონომიკური რისკიანობისათვის და გაითვალისწინოს, რომ მის მიერ შეძენილი ობლიგაციების ძირითადი თანხისა და დარიცხული პროცენტის დაბრუნება დამოკიდებული იქნება ემიტენტის გადახდისუნარიანობაზე. ფასიანი ქაღალდების ბაზრის კანონმდებლობის შესაბამისად, პროსპექტში წარმოდგენილი ინფორმაცია უნდა იყოს ამომწურავი, ასახავდეს კომპანიასთან, მის საქმიანობასთან, გამოსაშვებ ფასიან ქაღალდებთან

დაკავშირებულ ყველა არსებით ინფორმაციას, იყოს გადმოცემული მოკლედ, გასაგები ენით და იძლეოდეს მისი მარტივად გაანალიზების საშუალება. კომპანიის ან/და განთავსების აგენტის მიერ შეთავაზებასა და განთავსებასთან დაკავშირებით მოწოდებული რაიმე/ნებისმიერი სხვა ინფორმაცია არ არის გამიზნული ობლიგაციებში კაპიტალდაბანდებისთან დაკავშირებული რისკების სრულფასოვნად ან დამოუკიდებლად შეფასებისათვის. ყველა ინვესტორმა თავად უნდა შეაფასოს შესაბამისი პოტენციური რისკები. გარდა ამისა, ინვესტორმა შესაძლოა დაკარგოს მთლიანი ინვესტირებული თანხა ან მისი ნაწილი.

პროსპექტი და მასში მოყვანილი ინფორმაცია შესაძლოა დაექვემდებაროს შესაბამის შესწორებას და დამატებას გარემოების ცვლილებიდან გამომდინარე, რისი ასახვაც ხდება საბოლოო პროსპექტში (მაგ. საპროცენტო განაკვეთის დაზუსტება, ტექნიკური ხარვეზის გასწორება, ემისიის მოცულობის დაზუსტება, და ა.შ.). აღნიშნულის თაობაზე „ემიტენტი“ მოახდენს ინვესტორთა ინფორმირებას კანონით დადგენილი წესით. აქ აღნიშნული „ობლიგაციების“ გაყიდვა, ან „ობლიგაციების“ ყიდვის საჯარო შეთავაზება არ შეიძლება გაკეთდეს მანამ, სანამ არ მოხდება პროსპექტის დამტკიცება „საქართველოს ეროვნული ბანკის“ მიერ.

ამ პროსპექტით განსაზღვრული „ობლიგაციების“ შეთავაზება ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესითა და საქართველოს იურისდიქციის ფარგლებში. აღნიშნული არ წარმოადგენს შეთავაზებას ობლიგაციების ნასყიდობაზე ნებისმიერ იმ იურისდიქციაში, სადაც ამგვარი შეთავაზება ჩაითვლება უკანონოდ.

არც „კომპანია“ და არც განთავსების აგენტი არ აკეთებენ არანაირ განცხადებას და არ იძლევიან რაიმე გარანტიას ობლიგაციების პოტენციური ან ფაქტიური მყიდველების მიმართ, ამ უკანასკნელთა მიერ „ობლიგაციებში“ ინვესტირების კანონიერების შესახებ რომელიმე საინვესტიციო ან მსგავსი კანონმდებლობის მიხედვით, რომელსაც ექვემდებარება ან შესაძლოა დაექვემდებაროს ამგვარი მყიდველი.

არცერთი პირი არ არის უფლებამოსილი „კომპანიის“ ან განთავსების აგენტის სახელით გასცეს რაიმე ისეთი ინფორმაცია, ან გააკეთოს რაიმე განცხადება, რაც არ არის გათვალისწინებული წინამდებარე პროსპექტში და ნებისმიერი ასეთი ინფორმაცია ან განცხადება არ შეიძლება მიჩნეულ იქნეს „კომპანიის“ ან განთავსების აგენტის მიერ ნებადართულად. წინამდებარე პროსპექტის მიწოდება ან მასთან დაკავშირებული „ობლიგაციების“ რეალიზაცია არცერთ შემთხვევაში არ უნდა იქნეს აღქმული იმგვარად, რომ წინამდებარე პროსპექტის დამტკიცების თარიღიდან „კომპანიის“ საქმიანობაში ცვლილებები არ განხორციელდებულა.

წინამდებარე პროსპექტი არ უნდა იქნას განხილული, როგორც იურიდიული, საინვესტიციო, საქმიანი ან საგადასახადო რჩევა. საინვესტიციო გადაწყვეტილების მიღებისას, ყველა ინვესტორმა კონსულტაციები საჭიროებისამებრ უნდა გაიაროს საკუთარ მრჩეველებთან და თავად განსაზღვროს, რამდენად კანონიერია მის მიერ ამ პროსპექტით განსაზღვრული ფასიანი ქაღალდების შეძენა შესაბამისი საინვესტიციო კანონების ან მსგავსი კანონმდებლობისა და მარეგულირებელი ნორმების ფარგლებში.

გაფრთხილება

ობლიგაციების ემისიის პროსპექტი მარტივი დოკუმენტი არ არის და შესაძლებელია რთული იყოს ინვესტორისთვის ამ პროსპექტით შეთავაზებული პროდუქტის სწორად აღქმა და შეფასება. ნებისმიერი საინვესტიციო გადაწყვეტილებების მიღებისას ინვესტორები უნდა დაეყრდნონ საკუთარ ანალიზს „კომპანიასთან“, „ობლიგაციებთან“, შემოთავაზებულ პირობებთან, სარგებელსა და რისკებთან მიმართებაში. აღნიშნულთან დაკავშირებით, იხილეთ თავი „რისკის ფაქტორები“.

ყველა პოტენციურმა ინვესტორმა უნდა განსაზღვროს „ობლიგაციებში“ კაპიტალდაბანდების მიზანშეწონილობა საკუთარი გარემოებების გათვალისწინებით. პროსპექტით გათვალისწინებული ემისია საჯაროა, ამასთან ყველა პოტენციურ ინვესტორს უნდა:

- i. გააჩნდეს საკმარისი ცოდნა და გამოცდილება „ობლიგაციების“, მათში კაპიტალდაბანდების სარგებლისა და რისკების, ასევე წინამდებარე პროსპექტში და ნებისმიერ შესაბამის შესწორებაში მოყვანილი ინფორმაციის ჯეროვანი შეფასებისთვის;
- ii. გააჩნდეს შესაბამისი ანალიტიკურ ინსტრუმენტებზე წვდომა და ცოდნა, რათა შეაფასოს „ობლიგაციებში“ კაპიტალდაბანდების მიზანშეწონილობა და ამგვარი ინვესტიციის გავლენა მის მთლიან საინვესტიციო პორტფელზე მისი კონკრეტული ფინანსური გარემოების კონტექსტში;
- iii. გააჩნდეს საკმარისი ფინანსური რესურსები და ლიკვიდური პოზიცია „ობლიგაციებში“ კაპიტალდაბანდების ყველა რისკის ასაღებად, მათ შორის, როდესაც ძირითადი ნაწილისა და პროცენტის ვალუტა (ქართული ლარი ან აშშ დოლარი) განსხვავდება იმ ვალუტისაგან, რომელშიც ინვესტიციებს იზიდავს ან ახორციელებს პოტენციური ინვესტორი;
- iv. შეეძლოს „ობლიგაციების“ შეთავაზების პირობების სრულყოფილი გაგება და ის უნდა იცნობდეს შესაბამისი ფინანსური ბაზრის მახასიათებლებს;
- v. გააჩნდეს შესაძლებლობა შეაფასოს (თავად ან ფინანსური მრჩევლის დახმარებით) ეკონომიკური, საპროცენტო განაკვეთის და სხვა ფაქტორების შესაძლო განვითარების სცენარები, რამაც შეიძლება გავლენა იქონიოს მის ინვესტიციებზე და შესაბამისი რისკის აღების შესაძლებლობაზე.

აღნიშნული ჩანაწერი ატარებს მხოლოდ გამაფრთხილებელ ხასიათს და არ მოიაზრებს „ემიტენტის“ პასუხისმგებლობის შეზღუდვას.

გამოყენებული წყაროები

პროსპექტში გამოყენებული ძირითადი წყაროებია:

- „ემიტენტის“ აუდიტირებული წლიური ფინანსური ანგარიშგება მომზადებული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების („ფას“, IFRS) შესაბამისად 2024 და 2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლებისათვის („აუდიტირებული კონსოლიდირებული წლიური ფინანსური ანგარიშგება და მმართველობის ანგარიშგება“) (www.reportal.ge)
- „ემიტენტის“ ვებ-გვერდი (<https://nova.ge/>)
- საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური (<http://www.geostat.ge/>)
- საქართველოს ეროვნული ბანკი (www.nbg.ge)
- ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახური (<https://saras.gov.ge/>)
- შპს თიბისი კაპიტალი [კვლევები | TBC Capital](#)
- კომპანიის წესდება NAPR-ის სისტემაში განაცხადის ნომერი: B25141011
- ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან - განაცხადის ნომერი: B25171480

პასუხისმგებელი პირი აცხადებს, რომ “როდესაც ხდება მესამე მხარის მიერ მოწოდებული ინფორმაციის გამოყენება, მითითებულია წყარო და გაკეთებულია დათქმა, რომ ეს ინფორმაცია სწორადაა გადამუშავებული. ამ ინფორმაციიდან არ არის გამოტოვებული მათთვის ცნობილი მნიშვნელოვანი ფაქტები, რაც ინფორმაციას არაზუსტსა და შეცდომაში შემყვანს გახდიდა.

ინფორმაცია ემიტენტის შესახებ


„კომპანიის“ იურიდიული და კომერციული დასახელება არის შპს „ნოვა“, საიდენტიფიკაციო ნომერი: 202358126, იურიდიული და ფაქტობრივი მისამართი: ქ. თბილისი, დიდუბის რაიონი, რაფაელ აგლაძის ქუჩა, N45, რეგისტრაციის ქვეყანა: საქართველო, მარეგულირებელი კანონმდებლობა: საქართველოს კანონმდებლობა, დაარსების თარიღი: 2006 წლის 8 ნოემბერი.

შპს „ნოვამ“ ბაზარზე ოპერირება 2006 წელს დაიწყო. საწყის წლებში კომპანია სამშენებლო ბაზარზე პროდუქციის იმპორტითა და რეალიზაციით იყო დაკავებული. 2011 წელს კომპანია განვითარების ახალ ეტაპზე გადავიდა და გარდაიქმნა მრავალპროფილურ მწარმოებლად.

კომპანია თბილისისა და ბათუმის საწარმოებში 500-ზე მეტი დასახელების პროდუქტს აწარმოებს, მათ შორის: თუნუქის გადასახურ მასალების, წყალსაწრეტი სისტემების, თაბაშირ-მუყაოს საინსტალაციო და სხვადასხვა ტიპის პროფილების, პოლიეთილენის წყლის ავზების, სხვა პოლიეთილენის პროდუქტების, შავი ლითონის პროფილებსა და ფურცლების, თბოიზოლაციის ფირფიტებსა (XPS) და წებო-ცემენტს და სხვა.

კომპანიას იმპორტირებული პროდუქციის ნაწილი ძირითადად თურქეთიდან და ჩინეთიდან შემოაქვს. დღეის მდგომარეობით კომპანია ექსკლუზიურად თანამშრომლობს ისეთ საერთაშორისო ბრენდებთან, როგორებიცაა: INGCO, Betek, Fawori, Rigips, Izocam, Bien.

კომპანიის ამონაგები წარმოებული და გადაყიდული საქონლის რეალიზაციიდან შემდეგნაირად ნაწილდება:



**კონსიგნაციიდან მიღებული საკომისიო არის შემოსავალი ისეთი პროდუქციის რეალიზაციიდან, რომლის მომხმარებელზე/მესამე მხარეზე რეალიზაციის შემდეგ ხორციელდება ანგარიშსწორება/თანხის გადახდა მომწოდებლისთვის.*

2020 წლიდან კომპანიამ დაიწყო საცალო მიმართულების განვითარება და დღეისათვის საქართველოს 9 ქალაქში ფლობს სავაჭრო ცენტრებს: თბილისი, ბათუმი, ქუთაისი, თელავი, გორი, მარნეული, ხაშური, ჭიათურა და ახალციხე. ჩამოთვლილი 9 ფილიალიდან კომპანია მართავს 7 სავაჭრო ცენტრს ხოლო 2 - ფრენშაიზინგის მოდელით ფუნქციონირებს.

2 ადგილობრივ ფრენშაიზის ხელშეკრულებასთან ერთად, ნოვას სომხეთში ერთ-ერთ კომპანიასთან აქვს წარმოების ფრენშაიზის ხელშეკრულება, რომლის მიხედვითაც ემიტენტი ფრენშაიზის მიმღებს უფლებას აძლევს "ნოვას" ბრენდის ქვეშ აწარმოოს პოლიეთილენის ავზები.



მეტი ინფორმაციისთვის იხილეთ - „ძირითადი საქმიანობა“.

ბიზნესის განვითარების მნიშვნელოვანი მოვლენები

2006 წელს

კომპანია „ნოვა“ ჩნდება ბაზარზე. საწყის წლებში კომპანიის საქმიანობის სფეროს სამშენებლო მასალების იმპორტი და რეალიზაცია წარმოადგენდა;

2011 წელს

კომპანიამ სამშენებლო მასალების წარმოების ხაზების განვითარება დაიწყო, პარალელურად თბილისში დაიწყო სახურავის მასალების წარმოება;

2012 წელს

კომპანიამ წარმოებაში დანერგა თაბაშირ-მუყაოს პროფილების და აქსესუარების საწარმოო ხაზი;

2014 წელს

კომპანიამ დაიწყო პოლიეთილენის წყლის რეზერვეუარების პროდუქციის როტაციული მეთოდით წარმოება ბათუმში;

2018 წელს

კომპანიამ შეიძინა, რეაბილიტაცია გაუკეთა და გახსნა ახალი საწარმოო ტერიტორია თბილისში;

2020 წელს

(i) კომპანიამ გახსნა ორი ახალი საცალო მაღაზია თბილისსა და ბათუმში;

2021 წელს

კომპანიამ გახსნა საცალო მაღაზია ქუთაისში;

2023 წელს

(i) კომპანიამ გააფორმა ფრენშაიზის ხელშეკრულება SURMEGA LLC-სთან; (ii) კომპანიამ დაიმატა სამი ახალი საწარმოო მიმართულება: თბოიზოლაციის პროდუქცია; წებო-ცემენტების წარმოება; შავი ლითონის საწარმო; (iii) კომპანიამ გახსნა სამი საცალო მაღაზია თელავში, გორსა და მარნეულში;

2024 წელს

კომპანიამ გააფორმა ორი ფრენშაიზის ხელშეკრულება შპს „ვაბე“-სთან და შპს „ზუკა“-სთან, რომლის მიხედვითაც ფრენშაიზის მიმღებებს ეძლევათ უფლება იოპერირონ „ნოვას“ ბრენდის ქვეშ და საკუთარ სავაჭრო ცენტრებში განათავსონ „ნოვას“ პროდუქცია.

2025 წელს

კომპანია ახორციელებს 6 მილიონი აშშ დოლარის ინვესტიციას ქალაქ ფოთში რამდენიმე მიწის ნაკვეთის შესაძენად (ჯამური ფართობი 30 ჰექტარი). ინვესტიცია ხორციელდება რამდენიმე ეტაპად და დასრულება დაგეგმილია 2026 წლის პირველ კვარტალში. კომპანია განიხილავს ბაზარზე მომგებიანი შესაძლებლობის შემთხვევაში მიწის ნაკვეთების ნაწილს გადაყიდვას, ან გრძელვადიან პერსპექტივაში - სასაწყობო და საწარმოო ინფრასტრუქტურის განვითარების მიზნობრივობით გამოყენებას.

კომპანიის სტრატეგია

კომპანიის მისიაა - „**კომფორტი ერთი სახურავის ქვეშ**“, რაც გულისხმობს ერთ სივრცეში ერთმანეთის შემავსებელი სამშენებლო და სარემონტო მასალების ფართო ასორტიმენტის შეთავაზებას. „ნოვა“ ქმნის სრულად ინტეგრირებულ სერვისს, სადაც მომხმარებელი ყველაფერს იღებს სწრაფად და ხარისხიანად.

კომპანიის სტრატეგიის ძირითადი ფოკუსი არის წარმოების განვითარება. „ნოვა“ აქტიურად მუშაობს საწარმოო მიმართულებების გაფართოებაზე როგორც საკუთარი რესურსების, ისე ფინანსური ინსტიტუტების მხარდაჭერის საშუალებით.

„ნოვა“ სამომავლო ზრდის ერთ-ერთ მთავარ მიმართულებად განიხილავს ფრენშაიზინგს - ახალი საგამოყენო დარბაზების გახსნას პარტნიორობთან ერთად. ეს მოდელი კომპანიას საშუალებას აძლევს სწრაფად გაზარდოს გეოგრაფიული დაფარვა და ბაზრის წილი - მინიმალური კაპიტალური ინვესტიციებით. შედეგად, კომპანია აძლიერებს ბრენდის ცნობადობას, ზრდის გაყიდვების მოცულობას და ამცირებს ბიზნესის ზრდის თანმდევ ფინანსურ და ოპერაციულ რისკებს.

მეტი ინფორმაციისთვის იხილეთ - „**სტრატეგია და ამოცანები**“.


მოკლე ინფორმაცია სექტორთან დაკავშირებით

2019-2024 წლებში სამშენებლო და სარემონტო მასალების სექტორის ზომა საშუალოდ 12%-ით იზრდებოდა (CAGR). აღნიშნული ზრდა მეტწილად სამშენებლო და სარემონტო მასალებზე გაზრდილმა მოთხოვნამ და ფასების ზრდამ განაპირობა.

სექტორის ზომამ 2024 წელს 5.7 მილიარდი აშშ დოლარი შეადგინა. აქედან, სამშენებლო მასალების ქვე-სექტორზე 2.6 მილიარდი აშშ დოლარი მოდის, ხოლო სარემონტო მასალების ქვე-სექტორზე - 2.0 მილიარდი აშშ დოლარი, საყოფაცხოვრებო ტექნიკაზე 0.7 მილიარდი, ხოლო ავეჯზე 0.4 მილიარდი აშშ დოლარი.

ძლიერმა სამშენებლო ტენდენციებმა მნიშვნელოვნად გაზარდა მოთხოვნა სამშენებლო და სარემონტო მასალებზე. მოსალოდნელია, რომ სამშენებლო და სარემონტო მასალებზე მოთხოვნა საშუალოვადიან პერიოდში ზრდას განაგრძობს, რასაც სამი ძირითადი ფაქტორი შეუწყობს ხელს: მთავრობის მზარდი დანახარჯები ინფრასტრუქტურულ პროექტებზე, მშენებლობაზე გაცემული ნებართვების რეკორდული ზრდა 2024-25 წლებში, სტაბილურად მაღალი გაყიდვები უძრავი ქონების სექტორში და ბინების რაოდენობის მკვეთრი ზრდა ბოლო პერიოდში - ბინების რაოდენობის დიდი ბაზა უზრუნველყოფს სარემონტო მასალებზე მოთხოვნას პერიოდული რემონტის საჭიროების გამო.


გრაფიკი 1. სამშენებლო და სარემონტო მასალების სექტორის შემოსავლები, აშშ\$ მლრდ.



წყარო: საქსტატი, თიბისი კაპიტალი

სარემონტო მასალების სექტორის შემოსავალი 2019-2024 წლებში საგრძნობლად გაიზარდა და 2.0 აშშ დოლარს მიაღწია. ამ პერიოდში დაფიქსირებული საშუალო წლიური ზრდა (CAGR) 10.0%-ს შეადგენს. უნდა აღინიშნოს, რომ 2024 წელს მაღალი საბაზისო ეფექტის გამო ზრდის ტემპი შენედა, თუმცა სექტორმა მზარდი ტენდენცია შეინარჩუნა.

გრაფიკი 2. სარემონტო მასალების სექტორის შემოსავლები საქართველოში, აშშ\$, მლრდ.



წყარო: საქსტატი, თიბისი კაპიტალი

მეტი ინფორმაციისთვის იხილეთ - „ინდუსტრიის მიმოხილვა“.

ემიტენტის ორგანიზაციული სტრუქტურა

პროსპექტის შედგენის თარიღისთვის კომპანიის ბენეფიციარი მესაკუთრეები არიან: ზვიად აბულაძე, ჯემალ ბოლქვაძე, ემზარ ირემაძე, ჯემალ ანთაძე და რამაზ ირემაძე, თანაბარი, 20.00%-იანი წილით.

ემიტენტს ჰყავს 3 შვილობილი კომპანია, რომელშიც ფლობს 100%-იან წილებს: შპს „ნოვა ფროდაქშენი“ (ს/ნ 445585607), შპს „ნოვა ფიქსი“ (ს/ნ 445610385) და შპს „ნოვა მეტალი“ (ს/ნ 445610456). არსებული შვილობილებიდან სამივე წარმოადგენს „ობლიგაციების“ თავდებ კომპანიას.

დეტალური ინფორმაცია ემიტენტის სადამფუძნებლო და ორგანიზაციული სტრუქტურის შესახებ იხილეთ ქვეთავში „*ორგანიზაციული სტრუქტურა*“.

ემიტენტის მენეჯმენტი და ჯგუფის ძირითადი მმართველი გუნდი

პროსპექტის მომზადების თარიღისთვის კომპანიის ხელმძღვანელი ორგანო შედგება გენერალური დირექტორისგან, ფინანსური, საცალო გაყიდვების, კორპორატიული გაყიდვების, წარმოებისა და ლოჯისტიკის და HR და ადმინისტრაციული დირექტორებისგან.

- › ედიშერ ხიმშიაშვილი - გენერალური დირექტორი
- › გიორგი ბედიანიშვილი - საცალო გაყიდვების დირექტორი
- › ალდერ ბოლქვაძე - კორპორატიული გაყიდვების დირექტორი
- › ალექსანდრე მეხრიშვილი - წარმოების და შიდა ლოჯისტიკის დირექტორი
- › გიორგი ქამადაძე - ფინანსური დირექტორი
- › არმაზ მელაძე - საერთაშორისო შესყიდვების და ლოჯისტიკის დირექტორი
- › ლიანა ბოლქვაძე - HR და ადმინისტრაციული დირექტორი

„ემიტენტის“ კორპორატიული მართვის წყობის შესახებ დეტალური ინფორმაციისთვის, გთხოვთ, იხილოთ „*მმართველი ორგანო და მენეჯმენტი*“.

ძირითადი ფინანსური მაჩვენებლები

ცხრილში შეჯამებულია „კომპანიის“ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების ძირითადი ინდიკატორები, რომლებიც 2023 და 2024 წლებისათვის ეფუძნება „აუდიტირებულ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებებს“, ხოლო 2024 და 2025 წლების 6 თვის მდგომარეობით - 2024 და 2025 წლების „შუალედურ არააუდიტირებულ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებებს“. აუდიტირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია „ფას“-ის (IFRS) შესაბამისად. 2023 და 2024 მომზადებული წლიური აუდიტირებული ფინანსური ანგარიშგებებისათვის აუდიტორის დასკვნის ტიპი არის **არამოდიფიცირებული მნიშვნელოვან გარემოებათა ამსახველი აბზაცი**. „ემიტენტის“ არააუდიტირებული შემოკლებული შუალედური ფინანსური ანგარიშგება 2025 წლის 30 ივნისს და 2024 წლის 30 ივნისს დასრულებული პერიოდებისთვის მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტის ბასს 34 შუალედური ფინანსური ანგარიშგება შესაბამისად და წაკითხულ უნდა იქნას „კომპანიის“ 2024 წლის 31 დეკემბრის და 2023 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლებისთვის მომზადებულ ფინანსურ ანგარიშგებებთან („ბოლო წლიური ფინანსური ანგარიშგება“) ერთად, რომელიც ატვირთულია ვებ გვერდზე: reportal.ge

მნიშვნელოვან გარემოებათა აბზაცი

კომპანიას მიღებულ სესხებზე გააჩნია ფინანსური და არაფინანსური შეზღუდვები, რომელთა გარკვეული ნაწილი ვერ შეასრულა 2024 წლის 31 დეკემბრისა და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

ფინანსურ და არაფინანსურ შეზღუდვებთან დაკავშირებით მეტი დეტალისთვის იხილეთ: „კაპიტალიზაცია და დავალიანება“.

ანგარიშგების მომზადების საფუძვლები და დამატებითი დეტალები იხილეთ „საოპერაციო და ფინანსურ მიმოხილვაში“.

პროსპექტში აღწერილი ინფორმაციის გარდა, 2025 წლის 30 ივნისის შემდეგ და პროსპექტის წარდგენის თარიღამდე არ მომხდარა სხვა ისეთი მნიშვნელოვანი მოვლენა, რომელიც შეიძლება მატერიალური იყოს „ემიტენტის“ გადახდისუნარიანობის შესაფასებლად.

შერჩეული ძირითადი ფინანსური მაჩვენებლები¹

სრული შემოსავლის კონსოლიდირებული ანგარიშგება

	2023	2024	2024 6 თვე	2025 6 თვე
(ათასი ლარი)	აუდიტი- რებული	აუდიტი- რებული	არააუდიტი- რებული	არააუდიტი- რებული
ამონაგები	204,949	238,200	101,344	104,295
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	(158,653)	(181,092)	(77,057)	(78,119)
საერთო მოგება	46,296	57,108	24,287	26,176
საოპერაციო შემოსავლები და ხარჯები	(30,743)	(33,802)	(14,593)	(17,264)
საოპერაციო მოგება	15,553	23,306	9,693	8,912
ფინანსური და სხვა ხარჯები	(7,954)	(10,403)	(5,958)	(3,505)
მოგება დაბეგრამდე	7,599	12,903	3,735	5,407
მოგების გადასახადის ხარჯი	(792)	(1,375)	(335)	(242)
წლის მთლიანი სრული შემოსავალი	6,807	11,528	3,399	5,165

¹ სრული 2024 და 2023 წლებისთვის გამოყენებულია აუდიტირებული რიცხვები, თუმცა გარკვეული ველები წარმოადგენს აუდიტირებულ რეპორტში წარმოდგენილი ველების გაერთიანებას / ჯამს, შედეგად აუდიტირებულ ანგარიშგებასთან შედარებით შეცვლილია წარდგენის ფორმატი.

მომგებიანობის მაჩვენებლები

	2023	2024	2025 30 ივნისი (LTM)
(ათასი ლარი)	აუდიტი- რეზული	აუდიტი- რეზული	არააუდიტი- რეზული
ამონაგები	204,949	238,200	241,151
საერთო მოგება	46,296	57,108	58,997
საერთო მოგების მარჟა	22.6%	24.0%	24.5%
მინუს: კომერციული ხარჯები	(24,191)	(26,241)	(27,170)
მინუს: საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	(10,026)	(11,992)	(12,565)
პლუს: ცვეთა და ამორტიზაცია	7,033	8,349	8,630
*პლუს: ვალის პატიება	663	578	214
**პლუს: კორექტირებული სხვა შემოსავალი	667	544	842
EBITDA	20,442	28,346	28,948
EBITDA მარჟა	9.9%	11.8%	12.0%

*ვალის პატიება მოიცავს მომწოდებლებისგან მიღებულ კომერციულ ფასდაკლებებსა და ქეშბეკებს და წარმოადგენს კომპანიის განმეორებად შემოსავალს.

**კორექტირებული სხვა შემოსავალი წარმოადგენს იმ განმეორებადი სხვა შემოსავლის კატეგორიებს, რომლებიც გენერირდება კომპანიის ჩვეულებრივი საქმიანობის ფარგლებში და მოიცავს მარკეტინგული მომსახურებებიდან, გაქირავებიდან და სხვადასხვა სერვისებიდან მიღებულ შემოსავლებს, ასევე სომხეთის ფრენშიაზის ხელშეკრულებიდან მიღებულ შემოსავლებს, ინვენტარიზაციის შედეგად ამონაგებისა და რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულების კორექციას და სხვადასხვა საოპერაციო ზარალის განმეორებად სადაზღვეო ანაზღაურებას.

ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშგება

	31 დეკ 2023	31 დეკ 2024	30 ივნ 2025
(ათასი ლარი)	აუდიტი- რეზული	აუდიტი- რეზული	არააუდიტი- რეზული
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები	65,370	63,167	63,293
მოკლევადიანი აქტივები	74,820	106,436	107,567
სულ აქტივები	140,190	169,603	170,860
კაპიტალი და ვალდებულებები			
კაპიტალი			
სულ კაპიტალი	50,361	54,100	57,923
ვალდებულებები			
გრძელვადიანი ვალდებულებები	39,619	22,779	47,944
მოკლევადიანი ვალდებულებები	50,210	92,724	64,994
სულ ვალდებულებები	89,829	115,503	112,937
სულ კაპიტალი და ვალდებულებები	140,190	169,603	170,860

ფულადი სახსრების მოძრაობის კონსოლიდირებული ანგარიშგება

	2023	2024	2024 6 თვე	2025 6 თვე
(ათასი ლარი)	აუდიტი- რეზული	აუდიტი- რეზული	არააუდიტი- რეზული	არააუდიტი- რეზული
საოპერაციო საქმიანობით მიღებული წმინდა ფულადი ნაკადები	11,777	1,704	(14,079)	(12,175)

საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი ნაკადები	(6,787)	(6,168)	(2,715)	(4,449)
ფინანსურ საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი ნაკადები	3,103	5,473	16,695	6,573
ფული და ფულის ექვივალენტები წლის დასაწყისში	9,748	17,683	17,683	18,603
წმინდა ზრდა შემცირება ფულსა და ფულის ექვივალენტებში	8,093	1,009	(99)	(10,050)
სავალუტო კურსის ცვლილების გავლენა ფულად სახსრებზე და მათ ექვივალენტებზე	(158)	(89)	79	6
ფული და ფულის ექვივალენტები წლის ბოლოს	17,683	18,603	17,663	8,559

კაპიტალში ცვლილების ანგარიშგება

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ
ნაშთი 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	-	48,043	48,043
წლის მთლიანი სრული შემოსავალი	-	6,807	6,807
გამოცხადებული დივიდენდები	-	(4,489)	(4,489)
ნაშთი 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	-	50,361	50,361
წლის მთლიანი სრული შემოსავალი	-	11,528	11,528
გამოცხადებული დივიდენდები	-	(7,789)	(7,789)
ნაშთი 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	-	54,100	54,100
წლის მთლიანი სრული შემოსავალი	-	5,165	5,165
გამოცხადებული დივიდენდები	-	(1,342)	(1,342)
ნაშთი 2025 წლის 30 ივნისის მდგომარეობით	-	57,923	57,923

საბრუნავი კაპიტალი

„კომპანიის“ საბრუნავი კაპიტალი (მოკლევადიან აქტივებს მინუს მოკლევადიანი ვალდებულებები) და მიმდინარე კოეფიციენტი წარმოდგენილია ცხრილში:

	31 დეკ 2023	31 დეკ 2024	30 ივნ 2025
საბრუნავი კაპიტალი (ათასი ლარი)	24,610	13,712	42,573
მიმდინარე კოეფიციენტი	1.49 x	1.15 x	1.66 x

„ემიტენტი“ „ობლიგაციების“ გამოშვებიდან მოზიდულ წმინდა სახსრებს გამოიყენებს i) სასესხო ვალდებულებების ნაწილობრივი რეფინანსირებისთვის; ii) კაპიტალური დანახარჯების დასაფინანსებლად და iii) სამუშაო კაპიტალის დასაფინანსებლად. კომპანიის შეფასებით, მომავალი დაფინანსება (ობლიგაციებიდან მიღებული შემოსულობის ჩათვლით) და კომპანიის მომგებიანობა საკმარისი იქნება მომავალი ერთი წლის განმავლობაში მისი საქმიანობის დასაფინანსებლად

„ობლიგაციებით“ მოზიდული სახსრების მიზნობრიობის გათვალისწინებით კომპანიის საბრუნავი კაპიტალი და მიმდინარე კოეფიციენტი, „ობლიგაციების“ გამოშვების შედეგად გაუმჯობესდება:

	30 ივნ 2025 პრო-ფორმა*
საბრუნავი კაპიტალი (ათასი ლარი)	58,573
მიმდინარე კოეფიციენტი	2.1 x

*საბრუნავი კაპიტალის პრო-ფორმა მაჩვენებლის დათვლისას გაითვალისწინება მიმდინარე აქტივების 4 მილიონი ლარით ზრდა (ობლიგაციებით)

მოზიდული სახსრების გამოყენების შესაბამისად) და მიმდინარე ვალდებულებების 12 მილიონი ლარით შემცირება, რადგან „ემიტენტი“ გეგმავს აღნიშნული მოცულობის მოკლევადიანი საბანკო სესხების რეფინანსირებას ობლიგაციებიდან მოზიდული სახსრებით.

დეტალური ინფორმაცია „ობლიგაციების“ გამოშვებიდან მიღებული სახსრების გამოყენების შესახებ შეგიძლიათ იხილოთ თავში - „შეთავაზების მიზეზები და მოზიდული სახსრების გამოყენება“.

ძირითადი ფინანსური კოეფიციენტები

ქვემოთ წარმოდგენილი კოეფიციენტები 2024 და 2023 წლებზე დათვლილია აუდიტირებული რიცხვების გამოყენებით, ხოლო 2025 წლის შუალედური ანგარიშგების რიცხვები აღებულია არააუდიტირებული მენეჯერული ანგარიშგებებიდან. არააუდიტირებული ნახევარწლიური ფინანსური ანგარიშგებები მომზადებულია „ფას“-ის (IFRS) შესაბამისად. ფინანსური კოეფიციენტები დათვლილი და წარმოდგენილია პროსპექტის მიმართ არსებული მინიმალური საზედამხედველო მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად და არ წარმოადგენს აუდიტირებული ანგარიშგებების ნაწილს.

„ემიტენტი“ თვლის, რომ შემდეგი ინდიკატორები ინვესტორებს აწვდის სასარგებლო ინფორმაციას და ინვესტორები შეძლებენ „კომპანიის“ ფინანსური მდგომარეობისა და საოპერაციო შედეგების, ასევე მისი აქტივების ხარისხისა და ბიზნესის ძირითადი ასპექტების შეფასებას. გასათვალისწინებელია, რომ „ემიტენტის“ მიერ კოეფიციენტების დათვლის მეთოდოლოგია შეიძლება განსხვავდებოდეს სხვა კომპანიების მიერ მსგავსი ინდიკატორების გამოყენებისა და კალკულაციისგან.

		2023	2024	30 ივნ 2025 LTM	30 ივნ 2025 LTM pro-forma*
1	ფინანსური ლევერიჯისა და სესხის მომსახურების კოეფიციენტები				
1.1	სასესხო ვალდებულებების კაპიტალთან თანაფარდობა	1.5	1.7	1.7	1.9
1.2	სასესხო ვალდებულებები EBITDA-სთან	3.6	3.2	3.4	3.7
1.3	წმინდა სასესხო ვალდებულებები EBITDA-სთან**	2.7	2.5	3.1	3.4
1.4	მთლიანი ვალის კოეფიციენტი	52.6%	53.6%	57.2%	59.6%
1.5	პროცენტის დაფარვის კოეფიციენტი (ICR)	1.8	2.5	2.3	n.a
1.6	პროცენტის დაფარვის კოეფიციენტი, სუბსიდიების გათვალისწინებით (ICR, adj. for subsidies)*****	2.8	3.5	3.2	n.a
2	მომგებიანობის კოეფიციენტები				
2.1	უკუგების კოეფიციენტი აქტივებზე (ROA)	5.0%	7.4%	8.1%	n.a
2.2	უკუგების კოეფიციენტი კაპიტალზე (ROE)	13.8%	22.1%	24.2%	n.a
2.3	საერთო მოგების მარჟა	22.6%	24.0%	24.5%	n.a
2.4	EBITDA მარჟა	9.9%	11.8%	12.0%	n.a
2.5	საოპერაციო მოგების მარჟა	7.5%	9.6%	9.2%	n.a
2.6	წმინდა მოგების მარჟა	3.3%	4.8%	5.4%	n.a
3	ლიკვიდურობის კოეფიციენტები				
3.1	ლიკვიდური აქტივები/მოკლევადიანი ვალდებულებები	46.2%	31.2%	52.0%	n.a
3.2	მიმდინარე აქტივების კოეფიციენტი	1.5	1.1	1.7	n.a
3.3	საოპერაციო ფულადი ნაკადების კოეფიციენტები	0.4	0.1	0.2	n.a
3.4	საბრუნავი კაპიტალის კოეფიციენტი	8.2	12.4	7.1	n.a
3.5	სასესხო ვალდებულებების მომსახურების კოეფიციენტი (DSCR, PL Based)	2.1	2.2	2.0	n.a

4	საოპერაციო კოეფიციენტები				
4.1	მარაგების ბრუნვის დღეები (DIO)	115.7	129.2	120.1	n.a
4.2	დებიტორული დავალიანების ბრუნვის დღეები (DSO)	11.7	12.2	43.0	n.a
4.3	სავაჭრო ვალდებულებების ბრუნვის დღეები (DPO)	18.8	20.7	13.0	n.a
4.4	ფულის ამოღების ციკლი (CCC)	108.6	120.7	150.2	n.a
5	ემიტენტისა და თავდებების აქტივების ჯამი / ჯგუფის კონსოლიდირებულ აქტივებთან („>= 90%“)**	100.0%	100.0%	100.0%	n.a
6	ემიტენტისა და თავდებების EBITDA-ს ჯამი / ჯგუფის კონსოლიდირებულ EBITDA-სთან („>= 90%“)**	100.0%	100.0%	100.0%	n.a
7	გადახდილი დივიდენდი / კორექტირებულ კონსოლიდირებულ წმინდა მოგებასთან („<= 50%“)**	59.1%	60.4%	49.7%	n.a

***Pro-forma ობლიგაციების ეფექტი** მოიცავს პროგრამით გათვალისწინებული 80 მილიონი ლარიდან, პირველი ტრანშით 50 მილიონ ლარამდე ახალი ობლიგაციების გამოშვებას, საიდანაც მოზიდული სახსრები მოხმარდება - 40 მილიონ ლარამდე - საბანკო სესხების რეფინანსირებას, 6 მილიონ ლარამდე მოხმარდება კაპიტალური ხარჯების დაფინანსებას, ხოლო 4 მილიონ ლარამდე - საბრუნავი კაპიტალის დაფინანსებას. დარჩენილი ტრანშ(ებ)იდან მოზიდული მოცულობა - 30 მილიონ ლარამდე - მოხმარდება კომპანიის სასესხო ვალდებულებების რეფინანსირებას.

****წმინდა სასესხო ვალდებულებები EBITDA-სთან** წარმოადგენს ობლიგაციების ფინანსურს კოვენანტს, იხილეთ ქვეთავი „ობლიგაციების გამოშვების პირობები“, პუნქტი - 5 (თ) „ვალდებულება“. კოვენანტის დაცვა „ემიტენტს“ ევალება „ობლიგაციების“ ვადის განმავლობაში, ყოველი 30 ივნისისა და 31 დეკემბრისთვის. ამასთან, „ემიტენტს“ ეზღუდება „ფინანსური ვალდებულებების“ აღება, იმ შემთხვევაში თუ ირღვევა აღნიშნული კოვენანტი.

*****ემიტენტისა და თავდებების აქტივების/EBITDA-ს ჯამი / ჯგუფის კონსოლიდირებულ აქტივებთან/EBITDA-სთან** წარმოადგენს ობლიგაციების კოვენანტს, რომლის მიხედვითაც „ემიტენტი“ იღებს ვალდებულებას, რომ საკუთარი აქტივების/EBITDA-ს და „თავდებების“ აქტივების/EBITDA-ს ჯამი არ იქნება ჯგუფის ჯამური კონსოლიდირებული აქტივების/EBITDA-ს 90%-ზე ნაკლები. იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნული მაჩვენებელი ჩამოსცდა 90%-ს, „ემიტენტს“ აქვს 30 სამუშაო დღე, რათა აღადგინოს აღნიშნულ მოთხოვნასთან შესაბამისობა, დეტალური ინფორმაციისთვის იხილეთ ქვეთავი „ობლიგაციების გამოშვების პირობები“, პუნქტი - 5 (ი) „თავდებობის მინიმალური მოცულობა“.

******გადახდილი დივიდენდი / კორექტირებულ კონსოლიდირებულ წმინდა მოგებასთან** წარმოადგენს „ობლიგაციების“ ფინანსურ კოვენანტს, კერძოდ იმ შემთხვევაში თუ (i) ემიტენტის გადახდილი დივიდენდები აღემატება კორექტირებული კონსოლიდირებული წმინდა მოგების 50%-ს და (ii) ემიტენტის წმინდა სასესხო ვალდებულებების ფარდობა EBITDA-სთან (აღნიშნული დივიდენდის გათვალისწინებით პრო-ფორმა ბაზისზე) აღემატება 4.0x-ს, ემიტენტი ვერ შეძლებს დივიდენდების გადახდას. აღნიშნულის მიხედვით წინამდებარე „ობლიგაციების“ „პირობებით“ დაშვებულია წლიურად 3 მილიონი ლარის დივიდენდების გადახდა. დეტალურად იხილეთ ქვეთავი „ობლიგაციების გამოშვების პირობები“, პუნქტი - 5 (ზ) „აკრძალული გადახდები“.

პრო-ფორმა კოეფიციენტების კალკულაციის მიზნებისთვის კორექტირებები განხორციელებულია მხოლოდ საბალანსო უწყისში წარმოდგენილ მაჩვენებლებზე, ხოლო მოგება-ზარალის, ფულადი სახსრების მოძრაობის და სხვა რიცხვები წარმოდგენილია უცვლელად. მოგება-ზარალისა და ფულადი სახსრების მოძრაობის მონაცემები არ დაკორექტირებულია, ვინაიდან ემისიის ეფექტი აღნიშნულ მაჩვენებლებთან მიმართებით არის სუბიექტური. ამასთან, ისეთი კოეფიციენტები, რომელთა ეფექტების ჩვენება არარელევანტურია ან სუბიექტურ დაშვებაზე დამოკიდებული, არ არის კორექტირებული ემისიის ეფექტით. თუკი ვერ მოხდება ობლიგაციების სრულად განთავსება, კომპანია კაპიტალური დანახარჯებისა და საბრუნავი კაპიტალის დაფინანსებისთვის მიმართავს ალტერნატიულ საშუალებას.

******* პროცენტის დაფარვის კოეფიციენტი, სუბსიდირების გათვალისწინებით (ICR, adj. for subsidies)** - კოეფიციენტის კალკულაციისას ხდება გადახდილი პროცენტის სსიპ აწარმოე საქართველოს მხრიდან სუბსიდირებული თანხით კორექტირება (კალკულაციის მეთოდი იხილეთ ქვეთავში „ძირითადი კოეფიციენტების გამოთვლის მეთოდოლოგია“).

აღსანიშნავია, რომ პროსპექტის შედგენის თარიღისთვის, სსიპ აწარმოე საქართველოს მხრიდან ემიტენტის არსებულ სესხებზე საპროცენტო ხარჯის სუბსიდირების პროგრამა ამოწურულია და მის ფარგლებში ემიტენტი მომდევნო წლებში თანადაფინანსებას აღარ მიიღებს.

ზოგადი შენიშვნები:

- › **EBITDA** - საერთო მოგებას მინუს კომერციული ხარჯებით, მინუს საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები, პლუს ცვეთა და ამორტიზაცია, პლუს კორექტირებული სხვა შემოსავალი და ვალის პატიება.
- › **EBIT** – EBITDA-ს მინუს ცვეთა და ამორტიზაცია.
- › **საბრუნავი კაპიტალი** - კომპანიის მოკლევადიან აქტივებს გამოკლებული მოკლევადიანი ვალდებულებები.

მატერიალური ცვლილებების აღწერა კოეფიციენტებში:

› ლიკვიდური აქტივები/მოკლევადიანი ვალდებულებები

2025 წლის 30 ივნისის მდგომარეობით, კომპანიის ლიკვიდური აქტივების შეფარდება მოკლევადიან ვალდებულებებთან შეადგენს 52.0%-ს და 20.8 პპ-ით გაუმჯობესდა 2024 წლის 31 დეკემბრის მაჩვენებელთან შედარებით. აღნიშნული გაუმჯობესების გამომწვევი მიზეზია სავაჭრო და სხვა მოთხოვნების ზრდა და მოკლევადიანი ვალდებულებების შემცირება. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები 2024 წლის 31 დეკემბერთან მიმართებით გაიზარდა 143.7%-ით (14,887 ათასი ლარით) და შეადგენს 25,245 ათას ლარს, ხოლო მოკლევადიანი ვალდებულებები შეადგენს 64,994 ათას ლარს და 2024 წლის 31 დეკემბრის მაჩვენებელთან მიმართებით შემცირდა 29.9%-ით (27,730 ათასი ლარით), რაც მეტწილად გამოწვეულია მოკლევადიანი მიღებული სესხებისა და სავაჭრო და სხვა ვალდებულებების შემცირებით, მოკლევადიანი მიღებული სესხები 2024 წლის 31 დეკემბერთან მიმართებით შემცირდა 26.6%-ით (18,509 ათასი ლარით), ხოლო სავაჭრო და სხვა ვალდებულებები შემცირდა 46.3%-ით (8,873 ათასი ლარით).

› მიმდინარე აქტივების კოეფიციენტი

2025 წლის 30 ივნისის მდგომარეობით, კომპანიის მიმდინარე აქტივების კოეფიციენტი გაიზარდა 1.7-მდე, 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით აღნიშნული მაჩვენებელი შეადგენდა 1.4-ს. ზრდის მთავარი გამომწვევი მიზეზი არის მოკლევადიანი ვალდებულებების შემცირება.

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მიმდინარე აქტივების კოეფიციენტი შემცირდა 1.1-მდე, 34.2 პპ-ით, აღნიშნული შემცირების მიზეზია მოკლევადიანი ვალდებულებების მაღალი ზრდა, მოკლევადიანი ვალდებულებები 2024 წლის განმავლობაში გაიზარდა 84.7%-ით (42,508 ათასი ლარით) და შეადგინა 92,724 ათასი ლარი. მოკლევადიანი ვალდებულების ზრდის მიზეზია მიღებული მოკლევადიანი სესხების ზრდა, რომელმაც 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგინა 69,588 ათასი ლარი და 2023 წლის ანალოგიურ პერიოდთან მიმართებით გაიზარდა 86.0%-ით (32,166 ათასი ლარით).

› საბრუნავი კაპიტალის კოეფიციენტი

2025 წლის 30 ივნისის მდგომარეობით, კომპანიის საბრუნავი კაპიტალის კოეფიციენტი შეადგენს 7.1-ს და შემცირებულია 2024 წლის 31 დეკემბრის მაჩვენებელთან მიმართებით (12.4). აღნიშნული კოეფიციენტის შემცირების გამომწვევი მიზეზია საბრუნავი კაპიტალის ზრდა. საბრუნავი კაპიტალი 2025 წლის 30 ივნისის მდგომარეობით შეადგენს 42,573 ათას ლარს და 2024 წლის 31 დეკემბერთან მიმართებით გაზრდილია 210.5%-ით (28,861 ათასი ლარით).

› ფულის ამოღების ციკლი (CCC)

2025 წლის 30 ივნისის მდგომარეობით, კომპანიის ფულის ამოღების ციკლი შეადგენს 150.2 დღეს და 2024 წლის 31 დეკემბრის მაჩვენებელთან მიმართებით გაზრდილია 29.5 დღით. აღნიშნული კოეფიციენტის ზრდა უმეტესად გამოწვეულია დებიტორული დავალიანების ბრუნვის დღეების (DSO) ზრდით - 2025 წლის 30 ივნისის

მდგომარეობით 43.0 დღე და 2024 წლის 31 დეკემბრისთვის 12.2 დღე. აღნიშნულ პერიოდში DSO-ს 30.9 დღიანი ზრდა გამოიწვია გაზრდილმა სავაჭრო და სხვა მოთხოვნებმა, რაც კომპანიის დებიტორების ამოღების პოლიტიკასთან თანხვედრაშია. კომპანია წლის განმავლობაში აქტიურად მუშაობს გაყიდვებზე, რის პარალელურადაც იზრდება დებიტორები. დებიტორების ამოღებაზე აქტიური მუშაობა იწყება დეკემბერში, რის შედეგადაც მცირდება ბალანსზე არსებული სავაჭრო და სხვა მოთხოვნები და შესაბამისად, DSO მაჩვენებელიც. შედარებისთვის, 2025 წლის 30 ივნისის კომპანიის სავაჭრო და სხვა მოთხოვნები შეადგენდა 25,245 ათას ლარს, რაც 2024 წლის ბოლოსთან შედარებით 2.4-ჯერ გაზრდილი მაჩვენებელია.

ფულის ამოღების ციკლი (CCC) 2024 წლის განმავლობაში გაზრდილია 12.1 დღით, რაც უმეტესად მარაგების ბრუნვის დღეების (DIO) ზრდას უკავშირდება - 2024 წელს 129.2 დღე და 2023 წელს 115.7 დღე. DIO-ს ზრდა უმეტესად გზაში არსებულმა დაგვიანებულმა მარაგებმა გამოიწვია, რაზეც კომპანიამ წლის განმავლობაში კომპენსაციის სახით 740 ათასი ლარი მიიღო. 2024 წლის 31 დეკემბერს კომპანიის მარაგები 77,014 ათას ლარს შეადგენდა, რაც წინა წელთან შედარებით 50.5%-იანი ზრდაა.

› უკუგების კოეფიციენტი კაპიტალზე (ROE)

2025 წლის 30 ივნისის მდგომარეობით, კომპანიის უკუგების კოეფიციენტი კაპიტალზე (ROE) შეადგენს 24.2%-ს და 2024 წლის მაჩვენებელთან მიმართებით გაზრდილია 2.1 პროცენტული პუნქტით. აღნიშნული ზრდა უმეტესად წლის მთლიან სრულ შემოსავალს უკავშირდება.

2024 წლის განმავლობაში კომპანიის ROE გაზრდილია მნიშვნელოვნად, 8.2 პროცენტული პუნქტით, რაც უმეტესად 69.4%-ით გაზრდილ წლის მთლიან სრულ შემოსავალს უკავშირდება. პარალელურად, კომპანიის კაპიტალი გაიზარდა ნაკლებად - მხოლოდ 7.4%-ით, რაზეც ეფექტი ჰქონდა პერიოდის განმავლობაში გადახდილ დივიდენდებს. კომპანიამ 2024 წელს გადაიხადა 7,789 ათასი ლარის დივიდენდები.

ძირითადი კოეფიციენტების გამოთვლის მეთოდოლოგია:

1. ფინანსური ლევერიჯისა და სესხის მომსახურების კოეფიციენტების გაანგარიშების მეთოდოლოგია:

- 1.1 **სასესხო ვალდებულებების კაპიტალთან თანაფარდობა:** პერიოდის ბოლოს არსებული სესხებისა და საიჯარო ვალდებულებების ჯამი გაყოფილი პერიოდის ბოლოს არსებულ კაპიტალზე;
- 1.2 **სასესხო ვალდებულებების EBITDA-სთან თანაფარდობა:** პერიოდის ბოლოს არსებული სესხებისა და საიჯარო ვალდებულებების ჯამი გაყოფილი EBITDA-ზე (2025 წლის შემთხვევაში აღებულია ბოლო 12 თვის EBITDA);
- 1.3 **წმინდა სასესხო ვალდებულებების EBITDA-სთან თანაფარდობა:** პერიოდის ბოლოს არსებული სესხებისა და საიჯარო ვალდებულებების ჯამს გამოკლებული ფული და ფულის ეკვივალენტები - გაყოფილი EBITDA-ზე (2025 წლის შემთხვევაში აღებულია ბოლო 12 თვის EBITDA);
- 1.4 **მთლიანი ვალის კოეფიციენტი:** პერიოდის ბოლოს არსებული სესხებისა და საიჯარო ვალდებულებების ჯამი გაყოფილი პერიოდის ბოლოს არსებულ მთლიან აქტივებზე;
- 1.5 **პროცენტის დაფარვის კოეფიციენტი (ICR):** პერიოდის EBIT / პერიოდის ფინანსური ხარჯი (2025 წლის შემთხვევაში აღებულია ბოლო 12 თვის მაჩვენებლები);
- 1.6 **პროცენტის დაფარვის კოეფიციენტი, სუბსიდირების გათვალისწინებით (ICR, adj. for subsidies):** პერიოდის EBIT / (მიღებულ სესხებზე დარიცხული პროცენტის გადახდა, მინუს გადასახდელი პროცენტის დაფინანსება, პლუს საიჯარო ვალდებულებებზე დარიცხული პროცენტის გადახდა (2025 წლის შემთხვევაში აღებულია ბოლო 12 თვის მაჩვენებლები);

2. მომგებიანობის კოეფიციენტების გაანგარიშების მეთოდოლოგია:

- 2.1 **უკუგების კოეფიციენტი აქტივებზე:** პერიოდის მთლიანი სრული შემოსავალი გაყოფილი უკანასკნელი ორი ფისკალური პერიოდის ბოლოს არსებულ საშუალო აქტივებზე (2025 წლის შემთხვევაში აღებულია ბოლო 12 თვის მთლიანი სრული შემოსავალი);
 - 2.2 **უკუგების კოეფიციენტი კაპიტალზე:** პერიოდის მთლიანი სრული შემოსავალი გაყოფილი უკანასკნელი ორი ფისკალური პერიოდის ბოლოს არსებულ საშუალო კაპიტალზე (2025 წლის შემთხვევაში აღებულია ბოლო 12 თვის მთლიანი სრული შემოსავალი);
 - 2.3 **საერთო მოგების მარჟა (gross profit მარჟა):** საერთო მოგება გაყოფილი ამონაგებზე (2025 წლის შემთხვევაში აღებულია ბოლო 12 თვის საერთო მოგება და ამონაგები);
 - 2.4 **EBITDA მარჟა:** EBITDA გაყოფილი ამონაგებზე (რომელსაც დამატებული აქვს ვალის პატიება და კორექტირებული სხვა შემოსავალი) (2025 წლის შემთხვევაში აღებულია ბოლო 12 თვის EBITDA და ამონაგები);
 - 2.5 **საოპერაციო მოგების მარჟა:** საოპერაციო მოგება გაყოფილი ამონაგებზე (რომელსაც დამატებული აქვს სხვა შემოსავალი) (2025 წლის შემთხვევაში აღებულია ბოლო 12 თვის საოპერაციო მოგება და ამონაგები);
 - 2.6 **წმინდა მოგების მარჟა:** პერიოდის მთლიანი წმინდა მოგება გაყოფილი ამონაგებზე (რომელსაც დამატებული აქვს სხვა შემოსავალი) (2025 წლის შემთხვევაში აღებულია ბოლო 12 თვის წმინდა მოგება და ამონაგები);
3. **ლიკვიდურობის კოეფიციენტების გაანგარიშების მეთოდოლოგია:**
 - 3.1 **ლიკვიდური აქტივები/მოკლევადიანი ვალდებულებები:** პერიოდის ბოლოს არსებული ფული და ფულის ეკვივალენტების და სავაჭრო და სხვა მოთხოვნების ჯამი გაყოფილი მოკლევადიან ვალდებულებებზე;
 - 3.2 **მიმდინარე აქტივების კოეფიციენტი:** პერიოდის ბოლოს არსებული მოკლევადიანი აქტივები გაყოფილი მოკლევადიან ვალდებულებებზე.
 - 3.3 **საოპერაციო ფულადი ნაკადების კოეფიციენტი:** პერიოდის ოპერაციებიდან მიღებული ფული პროცენტებამდე და მოგების გადასახადამდე გაყოფილი უკანასკნელი ორი ფისკალური წლის საშუალო მოკლევადიან ვალდებულებებზე (2025 წლის შემთხვევაში აღებულია ბოლო 12 თვის წმინდა ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან).
 - 3.4 **საბრუნავი კაპიტალის კოეფიციენტი:** პერიოდის განმავლობაში დაგენერირებული ამონაგები გაყოფილი უკანასკნელი ორი ფისკალური წლის საშუალო საბრუნავ კაპიტალზე (2025 წლის შემთხვევაში აღებულია ბოლო 12 თვის შემოსავალი).
 - 3.5 **სასესხო ვალდებულებების მომსახურების კოეფიციენტი (DSCR, PL based) -** პერიოდის EBITDA / (მიღებულ სესხებზე დარიცხული პროცენტის გადახდა, მინუს გადასახდელი პროცენტის დაფინანსება, პლუს საიჯარო ვალდებულებებზე დარიცხული პროცენტის გადახდა, პლუს საიჯარო ვალდებულების დაფარვა, პლუს მიღებულ სესხებზე ძირის გადახდა (არ მოიცავს სესხების რეფინანსირებას), (2025 წლის შემთხვევაში აღებულია ბოლო 12 თვის მაჩვენებლები);
 4. **საოპერაციო კოეფიციენტების გაანგარიშების მეთოდოლოგია:**
 - 4.1 **მარაგების ბრუნვის დღეები (DIO):** უკანასკნელი ორი ფისკალური წლის საშუალო მარაგები გაყოფილი რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულებაზე და გამრავლებული 365-ზე (2025 წლის შემთხვევაში აღებულია ბოლო 12 თვის რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება);
 - 4.2 **დებიტორული დავალიანებების ბრუნვის დღეები (DSO):** უკანასკნელი ორი ფისკალური წლის საშუალო სავაჭრო და სხვა მოთხოვნები გაყოფილი ამონაგებზე და გამრავლებული 365-ზე (2025 წლის შემთხვევაში აღებულია ბოლო 12 თვის ამონაგები);
 - 4.3 **სავაჭრო ვალდებულებების ბრუნვის დღეები (DPO):** უკანასკნელი ორი ფისკალური წლის საშუალო სავაჭრო ვალდებულებები გაყოფილი რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულებაზე და გამრავლებული 365-ზე (2025 წლის შემთხვევაში აღებულია ბოლო 12 თვის რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება);

4.4 ფულის ამოღების ციკლი (CCC): მარაგების ბრუნვის დღეებს დამატებული დებიტორული დავალიანებების ბრუნვის დღეები და გამოკლებული სავაჭრო ვალდებულებების ბრუნვის დღეები.

5. **ემიტენტისა და თავდებების აქტივების ჯამი / ჯგუფის კონსოლიდირებულ აქტივებთან („>= 90%“):** ემიტენტისა და თავდებების ინდივიდუალური ანგარიშგებებიდან აღებული აქტივების ჯამი (ელიმინაციების გათვალისწინებით) გაყოფილი ჯამურ კონსოლიდირებულ აქტივებზე.
6. **ემიტენტისა და თავდებების EBITDA-ს ჯამი / ჯგუფის კონსოლიდირებულ EBITDA-სთან („>= 90%“):** ემიტენტისა და თავდებების ინდივიდუალური ანგარიშგებებიდან აღებული EBITDA-ს ჯამი (ელიმინაციების გათვალისწინებით) გაყოფილი ჯამურ კონსოლიდირებულ EBITDA-ზე.
7. **გადახდილი დივიდენდი / კორექტირებულ კონსოლიდირებულ წმინდა მოგებასთან („<= 50%“):** ემიტენტის მიერ პერიოდის განმავლობაში გადახდილი დივიდენდები შეფარდებული კორექტირებულ კონსოლიდირებულ წმინდა მოგებასთან. კოეფიციენტის მიზნებისთვის პერიოდის კორექტირებული კონსოლიდირებული წმინდა მოგება გამოითვლება შემდეგნაირად: პერიოდის მთლიან სრულ შემოსავალს დამატებული მოგების გადასახადის ხარჯი.

„კომპანიის“ საკრედიტო რეიტინგის მიმოხილვა

2025 წლის 26 ნოემბერს, სარეიტინგო სააგენტო Scope Ratings-მა (შემდგომში - “Scope”) შპს „ნოვას“ პირველად მიანიჭა გრძელვადიანი საკრედიტო რეიტინგი **B+**, **სტაბილური პერსპექტივით**. სრული საკრედიტო ანგარიში ხელმისაწვდომია ბმულზე: www.scooperatings.com/nova

სტაბილური პერსპექტივა ასახავს Scope-ის მოლოდინს, რომ ნოვას ლევერიჯი (სესხების EBITDA-სთან შეფარდება) შენარჩუნდება 3.5x-ზე დაბალ დონეზე, რაც გამყარებული იქნება შემოსავლების ზრდითა და სტაბილური EBITDA მარჟით (12%-ის ფარგლებში). პროგნოზი ასევე ითვალისწინებს მოკლევადიანი საბანკო სესხების წარმატებულ რეფინანსირებას 50 მილიონი ლარის ობლიგაციების გამოშვებით და/ან ბანკების მხარდაჭერით.

მიღებული სახსრების გამოყენება

„ემიტენტი“ „ობლიგაციების“ გამოშვებიდან მოზიდულ წმინდა სახსრებს გამოიყენებს i) სასესხო ვალდებულებების რეფინანსირებისთვის; ii) კაპიტალური დანახარჯების დასაფინანსებლად და iii) სამუშაო კაპიტალის დასაფინანსებლად.

„ობლიგაციების“ პირველი ტრანშიდან, [50,000,000] ლარამდე, მიღებული წმინდა სახსრები მოხმარდება:

- [40,000,000] ლარამდე საბანკო სესხების რეფინანსირებას;
- [6,000,000] ლარამდე კაპიტალური დანახარჯების დაფინანსებას;
- [4,000,000] ლარამდე სამუშაო კაპიტალის დაფინანსებას;

დარჩენილი ტრანშ(ებ)იდან მოზიდული მოცულობა - [30,000,000] ლარამდე - მოხმარდება კომპანიის სასესხო ვალდებულებების რეფინანსირებას.

დეტალური ინფორმაცია „ობლიგაციების“ გამოშვებიდან მიღებული სახსრების გამოყენების შესახებ შეგიძლიათ იხილოთ თავში - „შეთავაზების მიზეზები და მოზიდული სახსრების გამოყენება“.

მოკლე ინფორმაცია ემიტენტის ბიზნესისა და შეთავაზებული ფასიანი ქაღალდებისათვის დამახასიათებელი მატერიალური რისკ ფაქტორების შესახებ

პროსპექტის ზოგადი მიმოხილვის ნაწილში გამჟღავნებული რისკ ფაქტორები მოიცავს მხოლოდ ემიტენტისთვის მნიშვნელოვნად მატერიალურ რისკებს და არ ასახავს სრულ ინფორმაციას ინდუსტრიასა და ეკონომიკასთან, ემიტენტის საქმიანობასთან და შესაბამისად ფასიან ქაღალდებთან დაკავშირებულ რისკებზე. სრული ინფორმაციისთვის გთხოვთ იხილოთ სარეგისტრაციო დოკუმენტი, „რისკის ფაქტორების“ ქვეთავი.

მოკლე ინფორმაცია იმ მატერიალური რისკების შესახებ, რომლებიც სპეციფიკურია ემიტენტის საქმიანობისთვის, ინდუსტრიასა და ეკონომიკისათვის და შესაბამისად ფასიანი ქაღალდებისთვის:

- › „კომპანია“ მგრძნობიარეა სამშენებლო და უძრავი ქონების ინდუსტრიაში მომხდარ მოვლენების მიმართ, რომელთა ცვლილებამ შეიძლება უარყოფითი გავლენა იქონიოს „კომპანიის“ ფინანსურ შედეგებზე.
- › წარმოება ხასიათდება მაღალი დამოკიდებულებით ნედლეული მასალების ფასებსა და მათ ცვალებადობაზე, ასევე, ნედლეული მასალების მოწოდების შეზღუდვაზე ან გაუარესებაზე, რამაც შეიძლება უარყოფითად იმოქმედოს „კომპანიის“ მომგებიანობაზე.
- › იმპორტირებული პროდუქციის ტრანსპორტირებისას დაგვიანებამ, დაზიანებამ ან ტრანსპორტირების ხარჯების ზრდამ შეიძლება უარყოფითად იმოქმედოს „კომპანიის“ ოპერაციებსა და ფინანსურ შედეგებზე.
- › „კომპანია“ კონცენტრირებულია გეოგრაფიულად (ძირითადად საქართველოში), რაც ქმნის დივერსიფიკაციის რისკს.
- › "ემიტენტს" საქართველოს სამშენებლო და სარემონტო მასალების სექტორში მცირე წილი უკავია.
- › „კომპანია“ შესაძლოა აღმოჩნდეს ლიკვიდურობასთან და ფინანსური ვალდებულებების შეუსრულებლობასთან დაკავშირებული რისკების წინაშე, რამაც შეიძლება უარყოფითი გავლენა იქონიოს „კომპანიის“ ბიზნესზე, ფინანსურ მდგომარეობასა და საოპერაციო შედეგზე.
- › „კომპანიის“ ღია აშშ დოლარის საბალანსო პოზიციამ შესაძლოა უარყოფითი გავლენა იქონიოს „კომპანიის“ საქმიანობაზე.
- › „კომპანიის“ შესაძლოა დაერღვეს საბანკო ხელშეკრულებებით ან „ობლიგაციების“ პირობებით განსაზღვრული ფინანსური და/ან არა-ფინანსური დათქმები.
- › არსებობს დამატებითი რისკის ფაქტორები, რომლებიც უკავშირდება ისეთ განვითარებად ბაზრებზე ინვესტირებას, როგორც საქართველოა.
- › კომპანიის საქმიანობაზე შესაძლოა უარყოფითი ზეგავლენა მოახდინოს ლარის გაუფასურებამ აშშ დოლართან/ სხვა ეკონომიკურად დაკავშირებული ქვეყნების ვალუტებთან მიმართებით.
- › საქართველოს მეზობელი ბაზრების მკვეთრმა დასუსტებამ შესაძლოა უარყოფითი გავლენა მოახდინოს საქართველოს ეკონომიკაზე.
- › „კომპანიის“ ან შესაბამისი გარანტორების გადახდისუნარიობის შემთხვევაში, ობლიგაციები ჩაითვლება არაუზრუნველყოფილ ვალდებულებებად.
- › საკრედიტო ხელშეკრულებითა და ობლიგაციების პირობებით გათვალისწინებული გარკვეული ფინანსური დათქმები შეიძლება არ შესრულდეს.
- › შესაძლებელია მოხდეს „ობლიგაციების“ ვადამდე განაღდება (დაფარვა) ან გამოსყიდვა.
- › სოლიდარულ თავდებობასთან დაკავშირებულია სხვადასხვა რისკი, მათ შორის უზრუნველყოფის გაფორმებასა და „ობლიგაციების“ გადაცემასთან დაკავშირებული რისკები

ემიტენტის აუდიტორები და პროსპექტში ჩართული მესამე პირები ან ექსპერტები:

„ემიტენტის“ 2024 და 2023 ფინანსური წლების აუდიტორი: შპს „ნექსია ჯორჯია“ (ს/ნ 405040682), მისამართი: თბილისი, საბურთალოს რაიონი, მერაბ ალექსიძის ქუჩა N12, სართული 4, ბლოკი "ა", ტელ: +995 (32) 2 56 06 25, ვებ-გვერდი: <https://www.nexia.ge/>

პროსპექტში წარმოდგენილი პერიოდების მანძილზე არ მომხდარა „კომპანიის“ ფინანსური აუდიტორის ცვლილება.

შეთავაზებაში ჩართული ფიზიკური და იურიდიული პირები/მხარეები:

„ემიტენტის“ დეპოზიტარი: სს „საქართველოს ფასიანი ქაღალდების ცენტრალური დეპოზიტარი“ (ს/ნ: 204935400), მისამართი: თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზირის 71. მე-10 ბლოკი, ტელ.: +995 32 250 02 11. ვებ-გვერდი: gcsd.ge

სარეიტინგო კომპანია: Scope Ratings, ელ.ფოსტა: info@scoperatings.com; ვებ-გვერდი: www.scoperatings.com

„ემიტენტის“ განთავსების, კალკულაციისა და გადახდის აგენტი: შპს „თიბისი კაპიტალი“ (ს/ნ: 204929961); ფაქტობრივი მისამართი: ქ. თბილისი 0102, მარჯანიშვილის ქუჩა N7; იურიდიული მისამართი: საქართველო, თბილისი, ვაკის რაიონი, ილია ჭავჭავაძის გამზირი, N11; ელ.ფოსტა: info@tbccapital.ge; ტელ.: (+995 32) 227 27 33; ვებ-გვერდი: tbccapital.ge; რეგისტრაციის ქვეყანა: საქართველო; მარეგულირებელი კანონმდებლობა: საქართველოს კანონმდებლობა.

შპს „თიბისი კაპიტალი“ („განთავსების აგენტი“), მომსახურების ხელშეკრულების შესაბამისად, შეუთანხმდა „კომპანიას“, რომ დაეხმარება მას „ობლიგაციების“ განთავსებაში, არაგარანტირებული (Best Effort) საფუძველით, საუკეთესო ძალისხმევის გამოყენებით.

ინვესტორებზე დაწესებული შესაძლო გადასახადები

ობლიგაციების განთავსებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ხდება „ემიტენტის“ მიერ სრულად და შეთავაზების ფარგლებში ინვესტორს არ დაეკისრება რაიმე სახის დამატებითი დანახარჯი.

შეთავაზებასთან დაკავშირებული ინტერესთა კონფლიქტი

„ემიტენტი“ და განთავსების აგენტი, ემიტენტის აუდიტორები და პროსპექტის მომზადებაში ჩართული მესამე მხარეები ან ექსპერტები არ არიან დაკავშირებული მხარეები და მათ შორის არ არსებობს ინტერესთა კონფლიქტი.

არსებობს იმის ალბათობა, რომ „ობლიგაციების“ ნაწილის შემძენი იქნება ერთ-ერთი მსხვილი კომერციული ბანკი, რომელიც აფილირებულია განთავსების აგენტთან (განთავსების აგენტი სს „თიბისი ბანკის“ პირდაპირი შვილობილი კომპანიაა). ამავდროულად, განთავსების აგენტსა და სს „თიბისი ბანკის“ კორპორაციული დაკრედიტების მიმართულებას (რომელშიც შედის როგორც კორპორაციული სესხების გაცემა, ისე ობლიგაციებში ინვესტირება) საერთო მენეჯმენტი მართავს. აღნიშნულმა შესაძლოა წარმოშვას ინტერესთა კონფლიქტი, ერთი მხრივ, განთავსების აგენტსა და „ემიტენტს“, მეორეს მხრივ, განთავსების აგენტსა და სს „თიბისი ბანკს“ შორის, ხოლო მესამე მხრივ განთავსების აგენტსა და ინვესტორებს შორის. თუმცა, „ემიტენტს“ მიაჩნია, რომ შესაძლო ინტერესთა კონფლიქტი შემცირებულია შემდეგი გარემოებების გათვალისწინებით:

(ა) განთავსების აგენტს კანონმდებლობით მოეთხოვება, რომ როგორც სს „თიბისი ბანკს“, ასევე ყველა ინვესტორს მოექცეს თანასწორობის და თანაბარუფლებიანობის საწყისეზზე;

(ბ) თუ საპროცენტო სარგებლის საბოლოო განაკვეთის ფორმირების (Book-building-ის) პროცესში პოტენციური ინვესტორებისაგან „ობლიგაციების“ შესყიდვის თაობაზე განაცხადებით გამოხატულია ინტერესი იმაზე მეტი „ობლიგაციის“ შემენაზე ვიდრე ამ „პროსპექტით“ არის გათვალისწინებული და განაცხადების დაკმაყოფილება

ხდება ნაწილობრივ, შემოსულ განაცხადებში მითითებული ოდენობების პროპორციულად ან სხვაგვარად, ამასთან დაკავშირებით გადაწყვეტილებას იღებს თავად „ემიტენტი“ და არა განთავსების აგენტი.

„კომპანია“ ინფორმირებული არ არის შეთავაზებასთან დაკავშირებული სხვა არსებული ან პოტენციური ინტერესთა კონფლიქტების შესახებ.

სარეგისტრაციო დოკუმენტი

დოკუმენტის მომზადებაზე პასუხისმგებელი პირი

შპს „ნოვა“ (ს/ნ: 202358126)

პასუხისმგებელი პირის განცხადება

პასუხისმგებელი პირი აცხადებს, რომ: „პროსპექტში წარმოდგენილ ინფორმაციაში შესულია მათთვის ცნობილი ყველა არსებითი ფაქტი და მათი შეფასებით ადგილი არ ჰქონია ისეთი ინფორმაციის გამოტოვებას, რაც გავლენას მოახდენდა პროსპექტის შინაარსზე.“

პასუხისმგებელი პირი აცხადებს, რომ: „როდესაც ხდება მესამე მხარის მიერ მოწოდებული ინფორმაციის გამოყენება, მითითებულია წყარო და გაკეთებულია დათქმა, რომ ეს ინფორმაცია სწორადაა გადამუშავებული. ამ ინფორმაციიდან არ არის მათთვის ცნობილი გამოტოვებული მნიშვნელოვანი ფაქტები, რაც ინფორმაციას გახდიდა არაზუსტსა და შეცდომაში შემყვანს.“

„ემიტენტის“ 2024 და 2023 ფინანსური წლების აუდიტორი: შპს „ნექსია ჯორჯია“ (ს/ნ 405040682), მისამართი: თბილისი, საბურთალოს რაიონი, მერაბ ალექსიძის ქუჩა N12, სართული 4, ბლოკი "ა", ტელ: +995 (32) 2 56 06 25, ვებ-გვერდი: <https://www.nexia.ge/>

პროსპექტში წარმოდგენილი პერიოდების მანძილზე არ მომხდარა „კომპანიის“ ფინანსური აუდიტორის ცვლილება.

სარეიტინგო კომპანია: Scope Ratings, ელ.ფოსტა: info@scoperatings.com; ვებ-გვერდი: www.scoperatings.com

შეთავაზების განხორციელებაში ჩართული პირები:

„ემიტენტის“ განთავსების, კალკულაციისა და გადახდის აგენტი: შპს „თიბისი კაპიტალი“, ს/ნ: 204929961; ფაქტობრივი მისამართი: ქ. თბილისი 0102, მარჯანიშვილის ქუჩა N7; იურიდიული მისამართი: საქართველო, თბილისი, ვაკის რაიონი, ილია ჭავჭავაძის გამზირი, N11; ელ.ფოსტა: info@tbccapital.ge; ტელ.: (+995 32) 227 27 33; ვებ-გვერდი: tbccapital.ge;

„ემიტენტის“ დეპოზიტარი: სს „საქართველოს ფასიანი ქაღალდების ცენტრალური დეპოზიტარი“ (ს/ნ 204935400), მისამართი: თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზირის 71. მე-10 ბლოკი, ტელ.: +995 32 250 02 11. ვებ-გვერდი: gcsd.ge

რისკის ფაქტორები

„ობლიგაციებში“ ინვესტიცია გარკვეულ რისკებს გულისხმობს. ინვესტიციასთან დაკავშირებით გადაწყვეტილების მიღებამდე „ობლიგაციების“ პოტენციურმა მყიდველებმა ყურადღებით უნდა წაიკითხონ წინამდებარე პროსპექტი. პროსპექტში წარმოდგენილ სხვა ინფორმაციასთან ერთად, პოტენციურმა ინვესტორებმა „ობლიგაციებში“ ინვესტირებამდე საფუძვლიანად უნდა შეისწავლონ, საკუთარი ფინანსური მდგომარეობისა და საინვესტიციო მიზნების გათვალისწინებით, ქვემოთ აღწერილი რისკები. ქვემოთ აღწერილ ნებისმიერ რისკს შეიძლება ჰქონდეს უარყოფითი გავლენა „კომპანიის“ საქმიანობაზე, ფინანსურ მდგომარეობასა და მუშაობის შედეგებზე, ასევე - „ობლიგაციების“ საბაზრო ღირებულებაზე. გარდა ამისა, ქვემოთ მოცემულია რისკის ფაქტორები, რომლებიც მნიშვნელოვანია „ობლიგაციებთან“ დაკავშირებული საბაზრო რისკების შეფასებისთვის, რომლებმაც შესაძლოა უარყოფითად იმოქმედოს „ობლიგაციების“ საბაზრო ღირებულებაზე.

მიუხედავად იმისა, რომ „კომპანიას“ მიაჩნია, რომ ქვემოთ აღწერილი რისკის ფაქტორები წარმოადგენს „ობლიგაციებში“ ინვესტირებასთან დაკავშირებულ ძირითად რისკებს, შეიძლება არსებობდეს ან წარმოიშვას ისეთი დამატებითი რისკები, გაურკვეველობები ან არაპროგნოზირებადი გარემოებები, რომლებიც „კომპანიამ“ არ მიიჩნია მნიშვნელოვნად ან რომელთა არსებობის შესახებ „კომპანიას“ არ აქვს ინფორმაცია. ნებისმიერმა ასეთმა რისკმა, გაურკვეველობამ ან გარემოებამ შესაძლოა უარყოფითად იმოქმედოს „კომპანიის“ ბიზნესის ოპერირებაზე და ქვემოთ აღწერილის მსგავსი უარყოფითი გავლენა იქონიოს. შესაბამისად, „ობლიგაციების“ ფლობასთან დაკავშირებით ქვემოთ მითითებული რისკები არ არის ამომწურავი.

1. მოკლე ინფორმაცია იმ მატერიალური რისკების შესახებ, რომლებიც სპეციფიკურია ემიტენტის საქმიანობისთვის

1. „კომპანია“ მგრძნობიარეა როგორც საერთო მაკროეკონომიკური ცვლილებების, ასევე სამომხმარებლო მოთხოვნის მიმართ, რომელთა ცვლილებამ შეიძლება უარყოფითი გავლენა იქონიოს „კომპანიის“ ფინანსურ შედეგებზე.
2. გლობალურმა კრიზისებმა და სხვა მოულოდნელმა მოვლენებმა შესაძლოა უარყოფითი გავლენა იქონიოს „კომპანიის“ საქმიანობაზე.
3. „კომპანია“ მგრძნობიარეა სამშენებლო და უძრავი ქონების ინდუსტრიაში მომხდარ მოვლენების მიმართ, რომელთა ცვლილებამ შეიძლება უარყოფითი გავლენა იქონიოს „კომპანიის“ ფინანსურ შედეგებზე.
4. „კომპანიამ“ შესაძლებელია ვერ შეინარჩუნოს საკუთარი ზრდის მაჩვენებელი და/ან ამჟამინდელი პოზიცია ბაზარზე.
5. წარმოება ხასიათდება მაღალი დამოკიდებულებით ნედლეული მასალების ფასებსა და მათ ცვალებადობაზე, ასევე, ნედლეული მასალების მოწოდების შეზღუდვაზე ან გაუარესებაზე, რამაც შეიძლება უარყოფითად იმოქმედოს „კომპანიის“ მომგებიანობაზე.
6. ჭარბმა წარმადობამ და ჭარბმა მოწოდებამ იმ პროდუქტებზე რომლებსაც აწარმოებს და რომლებითაც ვაჭრობს „კომპანია“ შეიძლება უარყოფითად იმოქმედოს მის მომგებიანობაზე.
7. ახალ მასალებს, პროდუქციასა თუ ტექნოლოგიებს შეუძლიათ „კომპანიის“ პროდუქციაზე არსებული მოთხოვნის შემცირება.
8. წარმოება დაკავშირებულია მაღალ კაპიტალურ ხარჯებთან და ექვემდებარება ხარჯების ამოღების ხანგრძლივ პერიოდს, რაც „ნოვას“ კომპანიის მიერ წარმოებული პროდუქციის ფასის მერყეობისას სერიოზული პრობლემის წინაშე აყენებს.
9. იმპორტირებული პროდუქციის ტრანსპორტირებისას დაგვიანებამ, დაზიანებამ ან ტრანსპორტირების ხარჯების ზრდამ შეიძლება უარყოფითად იმოქმედოს „კომპანიის“ ოპერაციებსა და ფინანსურ შედეგებზე.
10. „კომპანიას“ შესაძლოა საფრთხე შეუქმნას რომელიმე მომწოდებელზე დამოკიდებულების მაღალმა ხარისხმა.
11. „კომპანია“ კონცენტრირებულია გეოგრაფიულად (ძირითადად საქართველოში), რაც ქმნის დივერსიფიკაციის რისკს.
12. "ემიტენტს" საქართველოს სამშენებლო და სარემონტო მასალების სექტორში მცირე წილი უკავია.

13. ფრენშაიზების ქსელის ხარისხის კონტროლის დარღვევამ შეიძლება უარყოფითად იმოქმედოს „კომპანიის“ ბრენდსა და რეპუტაციაზე.
14. ექსკლუზიური წარმოებისა და რეალიზაციის უფლებების დაკარგვამ შესაძლოა უარყოფითად იმოქმედოს „კომპანიის“ საქმიანობაზე, შემოსავლებსა და ბრენდის პოზიციონირებაზე.
15. „კომპანია“ დამოკიდებულია ბრენდსა და მის რეპუტაციაზე, რეპუტაციულმა ზიანმა შესაძლოა მნიშვნელოვანი უარყოფითი გავლენა მოახდინოს „კომპანიის“ შემოსავლებზე.
16. „კომპანია“ შესაძლოა ვერ მართოს ქსელის გაფართოვებასთან დაკავშირებული საოპერაციო რისკები.
17. „კომპანიის“ საქმიანობას ახასიათებს სეზონურობა, რამაც შესაძლოა გავლენა იქონიოს კომპანიის ლიკვიდურობის პოზიციაზე, შემოსავლების პროგნოზირებადობასა და ფინანსურ მდგომარეობაზე.
18. „კომპანია“ შესაძლოა აღმოჩნდეს ლიკვიდურობასთან და ფინანსური ვალდებულებების შეუსრულებლობასთან დაკავშირებული რისკების წინაშე, რამაც შეიძლება უარყოფითი გავლენა იქონიოს „კომპანიის“ ბიზნესზე, ფინანსურ მდგომარეობასა და საოპერაციო შედეგზე.
19. „კომპანიის“ ღია აშშ დოლარის საბალანსო პოზიციამ შესაძლოა უარყოფითი გავლენა იქონიოს „კომპანიის“ საქმიანობაზე.
20. თუ „კომპანია“ ვერ შეძლებს მომავალში შეინარჩუნოს ეფექტიანი შიდა კონტროლი, ამან შესაძლოა უარყოფითად იმოქმედოს „კომპანიის“ პროცესებზე, ოპერაციებსა და მომავალ ზრდის გეგმებზე.
21. „კომპანიას“ არ აქვს მკაცრად გაწერილი დივიდენდების გაცემის პოლიტიკა.
22. „კომპანიას“ შესაძლოა დაერღვეს საბანკო ხელშეკრულებებით ან „ობლიგაციების“ პირობებით განსაზღვრული ფინანსური და/ან არა-ფინანსური დათქმები.
23. „კომპანიას“ შესაძლებელია წარმოეშვას მნიშვნელოვნად მეტი დავალიანება ან განახორციელოს სხვა ქმედებები, რამაც შეიძლება გაზარდოს ზემოთ მითითებული რისკების ინტენსივობა.
24. „კომპანიის“ საკრედიტო რეიტინგის შემცირებამ შესაძლოა შეზღუდოს ახალ სასესხო საშუალებებზე მოლაპარაკებების ან სასესხო კაპიტალის ბაზრებზე წვდომის შესაძლებლობა და გაზარდოს სესხის აღების ხარჯები ან/და უარყოფითად იმოქმედოს კრედიტორებთან ურთიერთობაზე.
25. შრომითმა დავებმა და გაფიცვებმა შესაძლოა უარყოფითი გავლენა იქონიოს „კომპანიის“ წარმოების დონესა და მომგებიანობაზე.
26. ძირითადი ხელმძღვანელობის დაკარგვამ და ხელმძღვანელების მოზიდვის და შენარჩუნების შეუძლებლობამ უარყოფითი ზეგავლენა შეიძლება იქონიოს „კომპანიის“ საოპერაციო და ფინანსურ შედეგებზე.
27. მომავალში „კომპანიის“ საკუთრებაში არსებული აქტივების არასრულმა დაზღვევამ შეიძლება მნიშვნელოვანი უარყოფითი გავლენა მოახდინოს „კომპანიის“ ფინანსურ და საოპერაციო სტაბილურობაზე.

2. მოკლე ინფორმაცია იმ მატერიალური რისკების შესახებ რომლებიც სპეციფიურია ინდუსტრიასა და ეკონომიკისათვის

28. პოლიტიკურმა და სამთავრობო არასტაბილურობამ საქართველოში შესაძლოა მნიშვნელოვანი უარყოფითი გავლენა მოახდინოს ადგილობრივ ეკონომიკასა და კომპანიის ბიზნესზე.
29. არსებობს დამატებითი რისკის ფაქტორები, რომლებიც უკავშირდება ისეთ განვითარებად ბაზრებზე ინვესტირებას, როგორიც საქართველოა.
30. კომპანიის საქმიანობაზე შესაძლოა უარყოფითი ზეგავლენა მოახდინოს ლარის გაუფასურებამ აშშ დოლართან/სხვა ეკონომიკურად დაკავშირებული ქვეყნების ვალუტებთან მიმართებით.
31. ვინაიდან კომპანია საქართველოში ოპერირებს, საქართველოს ეკონომიკის პირობებში ცვლილებები მასზე გავლენას მოახდენს.
32. რეგიონულმა დამაბულობამ შეიძლება უარყოფითად იმოქმედოს ადგილობრივ ეკონომიკაზე და კომპანიის ბიზნესზე.
33. საქართველოს მეზობელი ბაზრების მკვეთრმა დასუსტებამ შესაძლოა უარყოფითი გავლენა მოახდინოს საქართველოს ეკონომიკაზე.

34. შესაძლოა თავი იჩინოს გამოწვევებმა, რომლებიც დაკავშირებული იქნება საქართველოს კანონმდებლობის ევროკავშირის კანონმდებლობასთან ჰარმონიზაციით, რასაც თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ ღრმა და ყოვლისმომცველი შეთანხმება მოითხოვს.
35. საქართველოს საგადასახადო სისტემაში არსებულმა ბუნდოვანებამ შესაძლოა მომავალში გამოიწვიოს კომპანიის საგადასახადო ვალდებულებების კორექტირება ან კომპანიისთვის ჯარიმების დაკისრება. ასევე შესაძლებელია, შეიცვალოს საქართველოში მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობა და პოლიტიკა.
36. საქართველოს სასამართლო სისტემაში არსებულმა გაურკვევლობამ, მათ შორის საქართველოში სახელმწიფოს ნებისმიერმა თვითნებურმა ან არათანმიმდევრულმა მომავალმა ქმედებამ შესაძლოა უარყოფითი ზემოქმედება მოახდინოს ადგილობრივ ეკონომიკაზე, რამაც, თავის მხრივ, შეიძლება ზიანი მიაყენოს კომპანიის ბიზნესს.
37. კომპანია შესაძლოა დაექვემდებაროს სამართალწარმოების რისკს მისი მომხმარებლების, მომწოდებლების და მარეგულირებლის მხრიდან.
38. „კომპანია“ ობლიგაციების გამოშვებისა და საჯარო შეთავაზების შემდეგ გახდება ანგარიშვალდებული საწარმო, შესაბამისად, დაექვემდებარება დამატებით რეგულაციებს ანგარიშგებებს/რეპორტირების წარდგენის კუთხით.
39. ანტიმონოპოლიურმა რეგულაციებმა შესაძლოა უარყოფითი ზეგავლენა მოახდინოს კომპანიის საქმიანობაზე.
40. თუ მომავალში კომპანია ვერ შეასრულებს ფულის გათეთრებასთან ან ტერორისტთა დაფინანსებასთან დაკავშირებულ რაიმე მოქმედ რეგულაციებს, ან თუ კომპანია მათთან იქნება ასოცირებული, ამან შესაძლოა უარყოფითი ზეგავლენა მოახდინოს კომპანიაზე.

3. მოკლე ინფორმაცია იმ მატერიალური რისკების შესახებ რომლებიც სპეციფიურია შესათავაზებელი ფასიანი ქაღალდებისთვის

41. „ობლიგაციები“ წარმოადგენს *pari passu* ფასიან ქაღალდებს
42. „კომპანიის“ ან შესაბამისი გარანტორების გადახდისუუნარობის შემთხვევაში, ობლიგაციები ჩაითვლება არაუზრუნველყოფილ ვალდებულებებად
43. არსებობს „ობლიგაციების“ ძირის და პროცენტის დაფარვის რისკი
44. „ობლიგაციები“ ხასიათდება გაცვლით კურსთან დაკავშირებული რისკებით
45. საქართველოს კანონმდებლობაში ნებისმიერმა ცვლილებამ მომავალში შეიძლება არსებითად უარყოფითი გავლენა მოახდინოს „ობლიგაციებზე“, მათ შორის საქართველოს საფონდო ბირჟაზე მათ რეგისტრაციაზე და „ობლიგაციების“ ფლობიდან მიღებული სარგებელის დაბეგვრაზე
46. ობლიგაციის შესყიდვის შესახებ განაცხადი შეიძლება დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ
47. ობლიგაციების პროგრამის ფარგლებში შესაძლებელია ცვლად-განაკვეთიანი „ობლიგაციების“ გამოშვება
48. ობლიგაციების პროგრამის ფარგლებში შესაძლებელია ფიქსირებულ-განაკვეთიანი „ობლიგაციების“ გამოშვება
49. „ობლიგაციებისთვის“ შესაძლოა არ არსებობდეს აქტიური სავაჭრო ბაზარი
50. „ობლიგაციების“ სავაჭრო ფასი, ლიკვიდურობა და სარგებელი შეიძლება იყოს ცვალებადი
51. საკრედიტო ხელშეკრულებითა და ობლიგაციების პირობებით გათვალისწინებული გარკვეული ფინანსური დათქმები შეიძლება არ შესრულდეს
52. ობლიგაციების არსებული ფინანსური შეზღუდვები შესაძლოა საკმარისი არ აღმოჩნდეს და ვერ დაიცვას ინვესტორები
53. არსებობს „ობლიგაციებში“ ინვესტიციის კანონიერების დადგენის რისკი
54. ინვესტორები უნდა დაეყრდნონ დეპოზიტარის, კალკულაციის და გადახდის აგენტისა და შესაბამის შემთხვევებში - ანგარიშის მწარმოებლის პროცედურებს
55. „ობლიგაციების“ პირობები შესაძლოა შეიცვალოს ან გაუქმდეს ან შესაძლოა „ობლიგაციონერების“ უმრავლესობამ უარი თქვას ამა თუ იმ დარღვევის გამო დეფოლტის გამოცხადებაზე
56. შესაძლებელია მოხდეს „ობლიგაციების“ ვადამდე განაღდება (დაფარვა) ან გამოსყიდვა
57. სოლიდარულ თავდებობასთან დაკავშირებულია სხვადასხვა რისკი, მათ შორის უზრუნველყოფის გაფორმებასა და „ობლიგაციების“ გადაცემასთან დაკავშირებული რისკები

58. არსებობს პოტენციური კონფლიქტის რისკი „კომპანიას“ და განთავსების აგენტს შორის, ისევე როგორც განთავსების აგენტსა და სს „თიბისი ბანკს“ შორის

1. ინფორმაცია იმ მატერიალური რისკების შესახებ, რომლებიც სპეციფიკურია ემიტენტის საქმიანობისთვის

1. „კომპანია“ მგრძნობიარეა როგორც საერთო მაკროეკონომიკური ცვლილებების, ასევე სამომხმარებლო მოთხოვნის მიმართ, რომელთა ცვლილებამ შეიძლება უარყოფითი გავლენა იქონიოს „კომპანიის“ ფინანსურ შედეგებზე;

საქსტატის მონაცემებზე დაყრდნობით, რეალური მშპ-ის წლიურმა ზრდამ 2022 წელს 11.0% შეადგინა, რაც ძირითადად რეკორდულად მაღალმა სავალუტო შემოდინებებმა განაპირობა. ამ შემოდინებების გარკვეული ნაწილი უკავშირდება რუსეთ-უკრაინის ომის დაწყებიდან მიგრანტების მიერ კაპიტალის რეალოკაციას რეგიონში და მათ შორის საქართველოშიც. ზედიზედ ორწლიანი ორნიშნა ზრდის შემდეგ, სტაბილური საგარეო შემოდინებებისა და ინფლაციის სწრაფად შემცირების ფონზე, 2023 წელს ეკონომიკური ზრდა შედარებით ნორმალურად 7.8%-მდე, ხოლო 2024 წელს, მეტწილად კრედიტით დაფინანსებული შიდა მოხმარებისა და ტურიზმის ხარჯზე, რეალური მთლიანი შიდა პროდუქტი კვლავ მნიშვნელოვნად, წლიურად 9.4%-ით გაიზარდა. შიდაპოლტიკურმა დამაბულობამ 2024 წლის ბოლოსა და 2025 წლის დასაწყისში ზომიერი გავლენა იქონია ადგილობრივ აქტივობასა და საგარეო შემოდინებებზე, თუმცა დაახლოებით 2025 წლის მარტიდან, ხარჯვის დინამიკაში მკვეთრი გაუმჯობესება შეინიშნება, ეკონომიკური ზრდა კი, საქსტატის წინასწარი მონაცემებით, კვლავ მაღალი რჩება და პირველ შვიდ თვეში საშუალოდ 8.0%-ს უტოლდება. რუსეთ-უკრაინის ომის უარყოფითი ეფექტების მიუხედავად, ტურიზმის მოსალოდნელზე უფრო სწრაფად აღდგენამ, შემოსული ფულადი გზავნილების ზრდამ, ხელსაყრელმა საექსპორტო იმპულსმა და იმიგრაციასთან დაკავშირებულმა ნაკადებმა ხელი შეუწყო ეკონომიკის საგარეო პოზიციის გაძლიერებას და შიდა მოთხოვნის შენარჩუნებას. ბიზნესის მომგებიანობაზე შესაძლოა უარყოფითი გავლენა მოახდინოს ზოგადი ეკონომიკური პირობების გაუარესებამ. „კომპანიას“ არ აქვს კონტროლი ეკონომიკურ ფაქტორებზე, რომელიც გავლენას ახდენს მის საქმიანობაზე, როგორცაა სავალუტო კურსი, ფულადი გზავნილების მოცულობა, ინფრასტრუქტურული დანახარჯების მოცულობა, უძრავი ქონების მშენებლობა, ნავთობის ფასები და სამომხმარებლო ხარჯები. ეს ფაქტორები უფრო ართულებს „კომპანიისთვის“ წინასწარ განჭვრიტოს ცვლილებები მისი მომწოდებლის ხარჯებში, მომხმარებლების განწყობაში, და ფასების დონეში რამაც შესაძლოა არსებითი უარყოფითი გავლენა მოახდინოს „კომპანიის“ ეფექტურობაზე მისი საოპერაციო და ფინანსური შედეგების თვალსაზრისით.

რყევები საქართველოს სამშენებლო და სარემონტო მასალების ბაზარზე ისტორიულად დაკავშირებულია საერთო ეკონომიკურ პირობებში ცვლილებებთან და შესაბამის მოხმარებასთან, რომელიც ზოგადად იზრდება ეკონომიკური ექსპანსიის დროს და მცირდება რეცესიის დროს. ეკონომიკური რეცესიის დროს მნიშვნელოვნად მცირდება მომხმარებლის რისკ აპეტიტი და მხარჯველობითუნარიანობა, რაც ამცირებს მოთხოვნას სამშენებლო და სარემონტო მასალებზე. სამშენებლო სექტორის, უძრავი ქონების ბაზრის, სამშენებლო და სარემონტო მასალების ბაზრის შესახებ მეტი ინფორმაციისთვის იხილეთ ქვეთავი: „ინდუსტრიის მიმოხილვა“.

2. გლობალურმა კრიზისებმა და სხვა მოულოდნელმა მოვლენებმა შესაძლოა უარყოფითი გავლენა იქონიონ „კომპანიის“ საქმიანობაზე;

COVID-19 პანდემიამ მნიშვნელოვანი გავლენა იქონია გლობალურ ეკონომიკაზე, ფინანსურ ბაზრებსა და მეტალის ინდუსტრიაზე. პანდემიამ გამოიწვია მიწოდების ჯაჭვების სერიოზული შეფერხება, ნედლეულის ფასების მერყეობა, მოთხოვნის შემცირება, ოპერაციული პროცესების შეფერხება და ფინანსური წნეხი კომპანიებისთვის. მსგავსმა მოვლენებმა - როგორცაა გლობალური ეკონომიკური კრიზისები, გეოპოლიტიკური დამაბულობა, საერთაშორისო სანქციები, ენერგორესურსების ფასების მკვეთრი ცვალებადობა ან სხვა ეკონომიკური შოკები - მომავალშიც შეიძლება გააუარესოს მიწოდების ჯაჭვების სტაბილურობა, გაზარდოს ტრანსპორტირების ხარჯები, შეამციროს მომხმარებლის მოთხოვნა და შეაფერხოს კომპანიის სტრატეგიული ინიციატივები.

აღნიშნული ეფექტი უკვე აისახა „კომპანიის“ საქმიანობაზე: 2022 წელს „ნოვას“ მომგებიანობის მარჯები მნიშვნელოვნად შემცირდა (2022 წლის EBITDA მარჟა: 5.8%; 2021 წლის EBITDA მარჟა: 20.6%; 2020 წლის EBITDA მარჟა: 14.7%), რაც გამოიწვია გლობალურმა ლოგისტიკურმა კრიზისმა და ნედლეულის ფასების ზრდამ. 2021–2022 წლებში „კომპანიის“ მარჯების დრამატული რყევა უკავშირდება მსოფლიო ნედლეულის ბაზარზე მოკლე პერიოდში განვითარებულ გლობალურ შოკებს, კერძოდ კოვიდ-19-ის შეზღუდვების შემსუბუქების შედეგად მოთხოვნის მკვეთრ ზრდასა და რუსეთ-უკრაინის ომის დაწყებას. აღნიშნულმა მოვლენებმა გამოიწვია ცხლად გლინული ფოლადის (HRC) ფასების უპრეცედენტო ზრდა და შემდგომში სწრაფი ვარდნა. უარყოფითი ტენდენცია კიდევ უფრო გაამძაფრა მასშტაბური მიწოდების ჯაჭვის შეფერხებებმა და გადაზიდვის ხარჯების მკვეთრმა ზრდამ. მეტი დეტალისთვის იხილეთ „ინდუსტრიის მიმოხილვა“. 2021 წელს HRC-ის ფასების ზრდამ გამოიწვია „კომპანიის“ სარეალიზაციო ფასების ზრდა, მაშინ როდესაც ბალანსი ჯერ კიდევ წინა პერიოდში შეძენილი მარაგების თვითღირებულებას ასახავდა (შედარებით დაბალი ღირებულების პროდუქტს). შედეგად, კომპანიის მარჯები დროებით, თუმცა მკვეთრად გაიზარდა (2021 წლის EBITDA მარჟა: 20.6%). 2022 წელს ვითარება საპირისპიროდ განვითარდა: პიკური ფასებით და მაღალი ლოგისტიკური ხარჯებით შესყიდული მარაგის რეალიზაცია უკვე შემცირებული ფასებით ხდებოდა, რამაც თვითღირებულებაზე დაგვიანებულ ეფექტთან ერთად - მოკლე პერიოდში „კომპანიის“ მარჯების მნიშვნელოვნად შემცირება გამოიწვია (2022 წლის EBITDA მარჟა: 5.8%). მიმდინარედ, მიუხედავად ფასების დასტაბილურებისა, სარეიტინგო სააგენტოს შეფასებით - გრძელი მიწოდების ვადებისა და ძირითადად არაპეჯირებული შესყიდვების გამო - „ნოვა“ კვლავ დგას მომგებიანობის ვოლატულობის რისკის წინაშე.

„ემიტენტს“ არ აქვს გარანტია, რომ მსგავსი გლობალური შოკების განმეორების შემთხვევაში არ გაუარესდება მისი ფინანსური მდგარდობა, მომგებიანობა და ოპერაციული სტაბილურობა.

3. „კომპანია“ მგრძნობიარეა სამშენებლო და უძრავი ქონების ინდუსტრიაში მომხდარი მოვლენების მიმართ, რომელთა ცვლილებამ შესაძლოა უარყოფითი გავლენა იქონიოს „კომპანიის“ ფინანსურ შედეგებზე;

საქართველოს სამშენებლო სექტორი ბოლო ოთხი წლის განმავლობაში მნიშვნელოვნად გაიზარდა - 2024 წელს სამშენებლო სექტორის ბრუნვამ ნომინალში 15.1 მილიარდ ლარს მიაღწია, რაც ბოლო სამი წლის განმავლობაში 22.4%-იან საშუალო წლიურ ზრდას (CAGR) შეესაბამება. საცხოვრებელი უძრავი ქონების ბაზარზეც ზრდის ტენდენცია შეინიშნება 2021 წლიდან; 2024 წელს ბაზრის მოცულობამ პიკს მიაღწია და 4.3 მილიარდი აშშ დოლარი შეადგინა, ხოლო 2025 წლის პირველი ნახევრისთვის 2.2 მილიარდ დოლარამდე გაიზარდა (+13% წლიურად). ბიზნესის მომგებიანობაზე შესაძლოა უარყოფითი გავლენა მოახდინოს ცვლილებებმა სამშენებლო და უძრავი ქონების ინდუსტრიაში. „კომპანიას“ არ აქვს კონტროლი ამ ცვლილებებზე, რაც უფრო ართულებს „კომპანიისთვის“ შესაძლებლობას - წინასწარ განჭვრიტოს ცვლილებები მისი მომწოდებლის ხარჯებში, მომხმარებლების განწყობაში, და ფასების დონეში რამაც შესაძლოა არსებითი უარყოფითი გავლენა მოახდინოს „კომპანიის“ ეფექტურობაზე მისი საოპერაციო და ფინანსური შედეგების თვალსაზრისით.

საქართველოს სამშენებლო და სარემონტო მასალების ბაზარი მჭიდროდ არის დაკავშირებული სამშენებლო და უძრავი ქონების განვითარების სექტორთან, რადგან ამ სექტორის აქტივობა პირდაპირ ქმნის მოთხოვნას მასალებზე. 2021-2024 წლებში ჯამური სექტორის შემოსავალი საშუალოდ 12.5%-ით (CAGR) იზრდებოდა. სარეიტინგო სააგენტოს შეფასებით, „ნოვას“ დაბალი გეოგრაფიული დივერსიფიკაციიდან გამომდინარე - იგი მჭიდროდ არის დამოკიდებული ადგილობრივი სამშენებლო სექტორის ციკლებსა და დინამიკაზე, რაც ზრდის კომპანიის მომგებიანობისა და ფულადი ნაკადების ვოლატულობას.

როდესაც იზრდება საცხოვრებელი და კომერციული შენობების მშენებლობა ან მიმდინარეობს აქტიური რენოვაციები, იზრდება მასალების (სახურავის საფარის, პროფილების, თბოიზოლაციის, სანტექნიკისა და სხვა სარემონტო პროდუქციის) მოხმარება. ამ პროცესს მხარს უჭერს ეკონომიკური ზრდა, როდესაც იზრდება მოსახლეობის შემოსავლები, იაფდება დაფინანსება და სამშენებლო/დეველოპერული კომპანიები ზრდიან ინვესტიციებს.

მეორე მხრივ, ეკონომიკური რეცესიის დროს მცირდება როგორც მომხმარებელთა მსყიდველობითუნარიანობა და რისკ აპეტიტი, ასევე სამშენებლო/დეველოპერული კომპანიების გაწეული კაპიტალური ხარჯები და რისკ აპეტიტი

- რის შედეგადაც ნელდება მშენებლობა და უძრავი ქონების განვითარება. ეს იწვევს სამშენებლო და სარემონტო მასალებზე მოთხოვნის შემცირებას და შესაბამისად პირდაპირი გავლენას აქვს ამ ინდუსტრიაში მოქმედი კომპანიების შემოსავლებსა და მოგების მარჟებზე.

4. „კომპანია“ შესაძლებელია ვერ შეინარჩუნოს საკუთარი ზრდის მაჩვენებელი და/ან ამჟამინდელი პოზიცია ბაზარზე;

სამშენებლო და სარემონტო მასალების ბაზარი, რომელზეც „კომპანია“ ოპერირებს, ხასიათდება მაღალი ცვალებადობით და დინამიური კონკურენციით - ბაზარზე ხშირად ჩნდებიან ახალი მოთამაშეები, იმპორტიორები და ადგილობრივი მწარმოებლები. მიუხედავად ამისა, „კომპანია“ 2006 წლიდან დღემდე ბაზარზე წარმატებულად ფუნქციონირებს და ფართოვდება.

ახლად გამოჩენილი კომპანიების ან „კომპანიის“ მიერ თავისი განვითარების მიზნების (რომლებიც ძირითადად მოიცავს ბაზრის წილის ზრდას და პროდუქციის ასორტიმენტის ზრდას) მიუღწევლობის შედეგად, „კომპანია“ შესაძლებელია ვერ შეინარჩუნოს საკუთარი ზრდის მაჩვენებელი და/ან ამჟამინდელი პოზიცია ბაზარზე.

საქართველოს სამშენებლო და სარემონტო მასალების ბაზარი მნიშვნელოვანწილად ფრაგმენტირებულია და არაორგანიზებული სეგმენტი დიდ წილს იკავებს. ბაზრის ეს სტრუქტურა ამცირებს გამჭვირვალობას და ართულებს კონკურენტული გარემოს სრულად შეფასებას - „კომპანიას“ უჭირს ყველა მნიშვნელოვანი მოთამაშის იდენტიფიცირება და მათი სტრატეგიების წინასწარ განსაზღვრა. ასეთ პირობებში არსებობს რისკი, რომ ორგანიზებულ ბაზარზე შევიდეს ახალი, გამოცდილებითა და რესურსებით გაძლიერებული მოთამაშე, რომელიც შეძლებს ფასისა და პროდუქტის ხარისხის მხრივ კონკურენტული შეთავაზების გაკეთებას და ამ გზით წაართმევს „კომპანიას“ მომხმარებლებს. ამგვარმა კონკურენციამ შესაძლოა შეასუსტოს „კომპანიის“ ბაზრის წილი და უარყოფითად იმოქმედოს მის შემოსავლებსა და მომგებიანობაზე. დამატებითი ინფორმაცია „ემიტენტის“ ბაზრისა და პოზიციის შესახებ იხილეთ ქვეთავში „კონკურენტული პოზიცია“.

5. წარმოება ხასიათდება მაღალი დამოკიდებულებით ნედლეული მასალების ფასებსა და მათ ცვალებადობაზე, ასევე, ნედლეული მასალების მოწოდების შეზღუდვაზე ან გაუარესებაზე, რამაც შეიძლება უარყოფითად იმოქმედოს „კომპანიის“ მომგებიანობაზე;

„ნოვას“ წარმოებულ პროდუქტებს შორისაა: თუნუქის ნაწარმი, ლითონის ნაწარმი, პოლიეთილენის ნაწარმი, თბოიზოლაციის ფირფიტები და წებო-ცემენტი. 2024 წლის მდგომარეობით, „კომპანიის“ წარმოებული პროდუქციის რეალიზაციიდან ამონაგების 64.5% დაგენერირდა თუნუქის ნაწარმიდან, 13.9% - ლითონის ნაწარმიდან, 9.4% - პოლიეთილენის ნაწარმიდან, 8.8% - წებო-ცემენტის წარმოებიდან და 3.5% - თბოიზოლაციის ფირფიტებიდან. თითოეულის წარმოების პროცესი აღწერილია წინამდებარე პროსპექტის ქვეთავში „ძირითადი საქმიანობა“.

თუნუქისა და ლითონის პროდუქციის წარმოებისთვის „კომპანია“ იყენებს მეტალის რულონებს, რომელთა უმეტესობის იმპორტი ხდება ჩინეთიდან და თურქეთიდან. ამ სეგმენტში „კომპანია“ მნიშვნელოვნად დამოკიდებულია როგორც ამ ქვეყნების ფოლადისა და ფერადი მეტალების ბაზრის კონიუნქტურაზე, ასევე გლობალურ მაკროეკონომიკურ და სავაჭრო დინამიკაზე. ნედლეულის ღირებულებაზე გავლენას ახდენს ისეთი ფაქტორები, როგორიცაა საერთაშორისო ფოლადის ფასების ვოლატილობა, სავაჭრო ტარიფების და ბარიერების ცვლილება, ტრანსპორტირების ლოგისტიკური ხარჯები და საზღვაო გადაზიდვის ტარიფები, ასევე ენერგომატარებლების (ნავთობის, ბუნებრივი გაზის, ელექტროენერგიის) ფასის მერყეობა, რაც პირდაპირ აისახება წარმოების თვითღირებულებაზე. ამგვარი გარე ფაქტორები ქმნის რისკს მოგების მარჟის შემცირებისა და ფასთა კონკურენტუნარიანობის შესუსტების მიმართულებით, რაც შესაძლოა უარყოფითად აისახოს „კომპანიის“ ფინანსურ შედეგებზე.

პოლიეთილენის პროდუქციის წარმოებისთვის „კომპანია“ იყენებს პოლიეთილენის ფხვნილს, რომელიც იმპორტირდება მექსიკიდან და თურქეთიდან. აღნიშნული ნედლეული არ არის მაღალუქებადი, თუმცა საჭიროებს სწორ შენახვას ტენიანობისა და მაღალი ტემპერატურისგან დაცვის მიზნით, რათა არ დაზიანდეს მისი ფიზიკური

და ქიმიური თვისებები. ნედლეულის ღირებულებაზე გავლენას ახდენს მრავალი გარე ფაქტორი, მათ შორის: ნავთობზე და ნავთაზე (პოლიმერების ძირითადი ნედლეული) გლობალური ფასების მერყეობა, მექსიკისა და თურქეთის სავაჭრო ტარიფები და ბარიერები, ტრანსპორტირების ხარჯები და საზღვაო გადაზიდვის ტარიფები, ასევე პოლიმერების საერთაშორისო მოთხოვნა-მიწოდების დინამიკა (მაგალითად, შეფერხებები პეტროქიმიურ ქარხნებში ან გლობალური წარმოების შემცირება). ამგვარმა ფაქტორებმა, მათ შორის ნედლეულის არასწორმა შენახვამ ან ტრანსპორტირების პირობებმა, შეიძლება გაზარდოს ნედლეულის თვითღირებულება და შექმნას მოგების მარჟის შემცირების რისკი, რაც უარყოფითად აისახება „კომპანიის“ ფინანსურ შედეგებზე.

წებო-ცემენტის წარმოებისთვის „კომპანია“ იყენებს ქვიშასა და ცემენტს, რომელთაც ადგილობრივი ბაზრიდან იძენს და არ არის იმპორტზე დამოკიდებული. საქართველოში გამოიყენება ორი ტიპის ქვიშა - მდინარეებიდან მოპოვებული ბუნებრივი ქვიშა და ქანების მექანიკური დაფქვით წარმოებული ქვიშა. ამ ნედლეულის ფასის დინამიკაზე გავლენას ახდენს არა მხოლოდ მოთხოვნა-მიწოდების ბალანსი სამშენებლო და ინფრასტრუქტურულ სექტორში, არამედ გარემოსდაცვითი რეგულაციები და ლიცენზირების პირობების ცვლილება, რომლებიც შესაძლოა ზღუდავდეს მოპოვებას და ზრდიდეს ნედლეულის ღირებულებას. ქვიშისა და ცემენტის ფასის მკვეთრმა ზრდამ შეიძლება გაზარდოს „კომპანიის“ წარმოების თვითღირებულება, შეამციროს მოგების მარჟა და უარყოფითად აისახოს მის ფინანსურ შედეგებზე.

„ნოვა“ აწარმოებს თბოიზოლაციის ფირფიტებს, რომლის წარმოებაშიც ძირითადი კომპანენტია პოლისტირენი. პოლისტირენი ძირითადად სტაბილური და არამალფუჭებადი მასალაა, თუმცა საჭიროებს სწორ შენახვას - დაცვას მაღალი ტემპერატურისა და პირდაპირი მზისგან, რადგან ხანგრძლივი გადახურება ან UV ზემოქმედებამ შეიძლება შეცვალოს მისი ფიზიკური თვისებები და შეამციროს ხარისხი. პოლისტირენის ფასის დინამიკაზე გავლენას ახდენს ნავთობზე და ნავთაზე ფასების მერყეობა, რადგან პოლისტირენი წარმოებულია ნავთობქიმიური პროდუქტებისგან. თბოიზოლაციის ფირფიტების წარმოების პროცესის რისკები მოიცავს ექსტრუდირებასა და შემდგომ ფრეზირებას - პროცესი ენერგოინტენსიურია და საჭიროებს სტაბილურ ელექტროენერგიის მიწოდებას და ტექნოლოგიური ხაზების შეუფერხებელ მუშაობას. ტექნიკურმა ხარვეზებმა (მაგალითად, ექსტრუდერის ან ფრეზირების დანადგარების დაზიანება) ან ელექტროენერგიის წყვეტამ შეიძლება გამოიწვიოს წარმოების შეფერხება ან დეფექტიანი პროდუქციის მიღება, რაც გაზარდის ხარჯებს და შეამცირებს ოპერაციულ ეფექტიანობას.

იმ შემთხვევაში, თუ „ნოვა“ ვერ შეძლებს ნედლეულის შეძენას საკმარისი რაოდენობით, მისაღებ ფასად და დროულად, ან საერთოდ ვერ მოახერხებს მის შეძენას, ასევე თუ ვერ უზრუნველყოფს მისი შესაბამისი პირობებში შენახვასა და ტრანსპორტირებას, „კომპანიის“ ოპერაციები შეიძლება მნიშვნელოვნად შეფერხდეს. ასეთმა შეფერხებებმა შესაძლოა გამოიწვიოს წარმოების მოცულობის შემცირება ან მისი დროებითი შეჩერება კი, რაც ნეგატიურად აისახება „კომპანიის“ საქმიანობაზე, ფინანსურ მდგომარეობასა და ოპერაციების შედეგებზე.

კომპანიის წარმოებული პროდუქციის ძირითადი თვითღირებულების (COGS) შესახებ მეტი ინფორმაციისთვის იხილეთ: „ინდუსტრიის მიმოხილვა“

6. *ჭარბმა წარმადობამ და ჭარბმა მოწოდებამ იმ პროდუქტებზე რომლებსაც აწარმოებს და რომლებითაც ვაჭრობს „კომპანია“ შეიძლება უარყოფითად იმოქმედოს მის მომგებიანობაზე;*

„კომპანიის“ კონკურენტუნარიანობა და გრძელვადიანი მომგებიანობა მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული მის უნარზე, ოპტიმალურად გამოიყენოს არსებული საწარმოო სიმძლავრეები და შეინარჩუნოს დაბალხარჯიანი, ეფექტიანი წარმოება კონკურენტებთან შედარებით. სამშენებლო მასალების მწარმოებლები, წარმოების მაღალი ფიქსირებული ხარჯების გამო, როგორც წესი, ცდილობენ მაღალი წარმადობის გამოყენების კოეფიციენტების შენარჩუნებას, რათა მაქსიმალურად ისარგებლონ მასშტაბის ეკონომიით (ერთეულის ხარჯის შემცირება მოცულობის ზრდის შედეგად). მოთხოვნის შემცირების პირობებში წარმოების სიჭარბემ შეიძლება გამოიწვიოს ბაზრის გადავსება, ფასების კლება და მომგებიანობის შემცირება, რაც პირდაპირ ნეგატიურად აისახება „კომპანიის“ ფინანსურ შედეგებზე.

7. *ახალ მასალებს, პროდუქციასა თუ ტექნოლოგიებს შეუძლიათ „კომპანიის“ პროდუქციაზე არსებული მოთხოვნის შემცირება;*

სამშენებლო და სარემონტო მასალების წარმოების ბაზარი ხასიათდება ტექნოლოგიური სტანდარტების უწყვეტი განვითარებითა და მომხმარებელთა მოთხოვნების ცვლილებით. მომხმარებელთა პრეფერენციები, რომლებიც „ნოვას“ წარმოებულ პროდუქციას იყენებენ, დროთა განმავლობაში შეიძლება შეიცვალოს - ახალი ტექნოლოგიების დანერგვის, ხარისხის სტანდარტების გამკაცრების და დიზაინის ტრენდების ცვლილების შედეგად. ასეთ პირობებში „კომპანიას“ შეიძლება დასჭირდეს არსებული პროდუქციის მოდერნიზაცია ან ახალი პროდუქტების შემუშავება, რათა შეინარჩუნოს შესაბამისობა ინდუსტრიის სტანდარტებთან და მომხმარებელთა მოლოდინებთან.

თუ „ნოვა“ ვერ შეძლებს ამ ცვლილებებზე დროულ და ეკონომიკურად ეფექტიან რეაგირებას და ვერ განავითარებს ისეთ პროდუქტებს, რომლებიც შეესაბამება ბაზრის მოთხოვნებს, ხარისხობრივ სპეციფიკაციებსა და ტექნოლოგიურ ტენდენციებს, არსებობს რისკი, რომ მისი პროდუქციის მიმართ მოთხოვნა შემცირდეს, რაც შესაძლოა მნიშვნელოვნად უარყოფითად აისახოს „კომპანიის“ საქმიანობაზე, ფინანსურ მდგომარეობასა და ოპერაციულ შედეგებზე.

აღსანიშნავია, რომ აღნიშნული რისკი ნაკლებად ვრცელდება იმპორტირებულ პროდუქტებზე, რადგან „კომპანიას“ არ აქვს გრძელვადიანი ფიქსირებული შესყიდვის კონტრაქტები და შეუძლია დროულად შეცვალოს ან განაახლოს იმპორტირებული პროდუქციის ასორტიმენტი, რათა თავიდან აირიდოს მოთხოვნის შემცირების პირობებში ზედმეტი მარაგების დაგროვება.

8. წარმოება დაკავშირებულია მაღალ კაპიტალურ ხარჯებთან და ექვემდებარება ხარჯების ამოღების ხანგრძლივ პერიოდს, რაც კომპანიას მის მიერ წარმოებული პროდუქციის ფასის მერყეობისას სერიოზული პრობლემის წინაშე აყენებს;

სამშენებლო და სარემონტო მასალების წარმოება მოითხოვს მნიშვნელოვან კაპიტალურ ინვესტიციებს ისეთ აქტივებში, როგორიცაა მიწა, საწარმოო ინფრასტრუქტურა და მანქანა-დანადგარები. ამასთან, „კომპანიას“ რეგულარულად უწევს კაპიტალური სარემონტო და ტექნოლოგიური განახლების ხარჯების (maintenance capex) გაწევა, რათა საწარმოო ხაზები შეესაბამებოდეს მიმდინარე ტექნოლოგიურ სტანდარტებს და მომხმარებელთა ხარისხობრივ მოთხოვნებს. ახალი სიმძლავრეების დანერგვა ან არსებული საწარმოო ხაზების გაფართოება საჭიროებს მნიშვნელოვან დროსა და ფინანსურ რესურსებს, რაც ამცირებს „კომპანიის“ მოქნილობას ბაზრის სწრაფ ცვლილებებზე რეაგირებისას.

თუ ბაზარზე წარმოებული პროდუქციის ფასები შემცირდება ან მოთხოვნა შემცირდება იმ პერიოდში, როცა „კომპანიას“ უკვე განხორციელებული აქვს მნიშვნელოვანი კაპიტალური ინვესტიციები და ვერ მოახერხებს მათ დროულად ამოღებას, ამან შეიძლება გამოიწვიოს მოგების მარჟის შემცირება. მსგავსი გარემოება ასევე ზრდის რისკს, რომ „კომპანიამ“ ვერ შეძლოს დაგეგმილი ინვესტიციების დაფინანსება ან ვალდებულებების დროული მომსახურება, რაც უარყოფითად აისახება მის ფინანსურ მდგომარეობასა და ოპერაციულ შედეგებზე.

9. იმპორტირებული პროდუქციის ტრანსპორტირებისას დაგვიანებამ, დაზიანებამ ან ტრანსპორტირების ხარჯების ზრდამ შეიძლება უარყოფითად იმოქმედოს „კომპანიის“ ოპერაციებსა და ფინანსურ შედეგებზე;

„კომპანიას“ პროდუქციისა და წარმოების თვითღირებულების მნიშვნელოვანი ნაწილი იმპორტით შემოაქვს. დროული მიწოდება დამოკიდებულია საერთაშორისო ლოჯისტიკასა და საზღვაო გადაზიდვებზე. არსებობს რისკი, რომ ტრანსპორტირების პროცესში პროდუქტების მიწოდება დაგვიანდეს - მაგალითად, გლობალური ლოჯისტიკური შეფერხებების, პორტების გადატვირთვის, საბაჟო რეგულაციების ცვლილების ან გეოპოლიტიკური მოვლენების გამო. ასეთმა შეფერხებებმა შეიძლება გამოიწვიოს მარაგების დეფიციტი და შესაბამისი შემოსავლების გადავადება.

ასევე არსებობს რისკი, რომ ტრანსპორტირების პროცესში პროდუქცია დაზიანდეს, რაც გამოიწვევს დამატებით ხარჯებს.

გარდა ამისა, საზღვაო გადაზიდვის ტარიფების ან საწვავის ფასების ზრდამ შეიძლება მნიშვნელოვნად გაზარდოს ტრანსპორტირების ხარჯები, რაც გაზრდის პროდუქციის თვითღირებულებას და შეამცირებს „კომპანიის“ მოგების მარჟას.

ამ რისკების მიუხედავად, „კომპანიას“ აქვს გარკვეული შესაძლებლობა ტრანსპორტირების ხარჯების ზრდის ნაწილობრივ მიტიგირებისთვის - მაგალითად, საჭიროების შემთხვევაში „ნოვა“ სარგებლობს ღია გემებით ტრანსპორტირების სერვისით, რაც განსაკუთრებით ეფექტიანია დიდი მოცულობის ტვირთებისთვის და საშუალებას აძლევს „კომპანიას“ შეამციროს ერთეულზე ტრანსპორტირების ხარჯი და შეინარჩუნოს ფასების კონკურენტუნარიანობა.

10. „კომპანია“ შესაძლოა საფრთხე შეუქმნას რომელიმე მომწოდებელზე დამოკიდებულების მაღალმა ხარისხმა;

„კომპანიის“ ერთ ან რამდენიმე ძირითად მომწოდებელზე მაღალი დამოკიდებულება ქმნის მიწოდების კონცენტრაციის რისკს. თუ რომელიმე მომწოდებელთან ურთიერთობა გაუარესდება (მაგალითად, ფასების მატების, კონტრაქტის პირობების ცვლილების ან გეოპოლიტიკური/რეგულაციური ფაქტორების გამო) ან მომწოდებელი საერთოდ დატოვებს ბაზარს, „კომპანიამ“ შეიძლება განიცადოს მიწოდების წყვეტა და მარაგების დეფიციტი, რაც გამოიწვევს რეალიზაციების შემცირებას და მომხმარებელთა დაკარგვის რისკს. ამასთანავე, ალტერნატიული მომწოდებლების მოძიება და მათთან ახალი პირობების შეთანხმება ხშირად საჭიროებს დამატებით ხარჯებს და ზრდის საბრუნავი კაპიტალის მოთხოვნას (მაგალითად, წინასწარი გადახდების ან მაღალი ფასების მიღების აუცილებლობის გამო), რაც უარყოფითად აისახება „კომპანიის“ ფულადი ნაკადების პროგნოზირებადობაზე და ლიკვიდობაზე.

აღსანიშნავია, რომ „კომპანიას“ აქვს მომწოდებლების ფართო და მრავალფეროვანი ბაზა, რომელიც მოიცავს დისტრიბუტორებს, იმპორტიორებსა და ადგილობრივ მწარმოებლებს. დივერსიფიცირებული მომწოდებლების ბაზა საშუალებას აძლევს „კომპანიას“ უზრუნველყოს სტაბილური მარაგები და მინიმუმამდე დაიყვანოს ზემოთხსენებული რისკები, დაკავშირებული ერთ ან რამდენიმე მომწოდებლის შესაძლო შეფერხებებთან.

2024 წლის მდგომარეობით „კომპანიას“ ჰყავს 120-მდე მომწოდებელი, საიდანაც ტოპ 3 მომწოდებელზე ჯამური მოწოდებული პროდუქციის 32.9% მოდის, ტოპ 5 მომწოდებელზე 47.0% და ტოპ 10 მომწოდებელზე 64.3%. გარდა ამისა, უმეტესობა პროდუქტისთვის მიწოდებას რამდენიმე კონკურენტი კომპანია ახორციელებს, შესაბამისად, რომელიმე მათგანის გასვლა ქსელიდან არ იწვევს მნიშვნელოვან ცვლილებას „კომპანიის“ საქმიანობაში, რადგან ასეთ მომწოდებელს მარტივად ანაცვლებს მისი კონკურენტი, ხოლო საჭიროების შემთხვევაში შესაძლებელია მნიშვნელოვანი პროდუქტების საკუთარი ძალებით იმპორტი.

მომწოდებლების შესახებ დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ: „ძირითადი მომხმარებლები და მომწოდებლები“

11. „კომპანია“ კონცენტრირებულია გეოგრაფიულად (ძირითადად საქართველოში), რაც ქმნის დივერსიფიკაციის რისკს;

2024 წელს „კომპანიის“ შემოსავლის 99.5% ადგილობრივი ბაზრიდან გენერირდა (დეტალური ინფორმაციისთვის იხილეთ ქვეთავი „საოპერაციო და ფინანსური მიმოხილვა“). „ნოვას“ ბიზნესის გეოგრაფიული კონცენტრაცია საქართველოში ზრდის რისკს, რომ ადგილობრივ ბაზარზე ეკონომიკური ან პოლიტიკური შოკების შემთხვევაში „კომპანიას“ არ ექნება შესაძლებლობა კომპენსირება მოახდინოს სხვა რეგიონების გაყიდვებით. ასეთი დამოკიდებულება საქართველოში მიმდინარე ფინანსურ და მაკროეკონომიკურ გარემოზე ნიშნავს, რომ „კომპანიის“ ოპერაციების შედეგები მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული ქვეყნის ეკონომიკურ აქტივობაზე. კერძოდ, ისეთი მაკროეკონომიკური ფაქტორები, როგორიცაა მთლიანი შიდა პროდუქტის (მშპ) ზრდის ტემპი, ინფლაციის დონე, საპროცენტო განაკვეთები, ეროვნული ვალუტის კურსი, უმუშევრობა და მოსახლეობის შემოსავლები, პირდაპირ ახდენს გავლენას სამშენებლო და სარემონტო მასალებზე მოთხოვნაზე და, შესაბამისად, „კომპანიის“ შემოსავალსა და მომგებიანობაზე.

სარეიტინგო სააგენტოს შეფასებით, საქართველოს ბაზარზე „ნოვას“ მაღალი გეოგრაფიული კონცენტრაციის გამო - „კომპანიას“ ეზღუდება მასშტაბის ეკონომიის სრულად რეალიზების შესაძლებლობა და შესაბამისად, მეტად დამოკიდებულია ადგილობრივი სამშენებლო ციკლების დინამიკაზე. გეოგრაფიული კონცენტრაციის ნეგატიური

ეფექტი ნაწილობრივ შეიძლება შემცირდეს „კომპანიის“ აუთვისებელი საწარმოო სიმძლავრით - ამჟამად წარმოების საშუალო უტილიზაცია დაახლოებით 49%-ს შეადგენს, რაც „კომპანიას“ აძლევს საშუალებას, დამატებითი სიმძლავრეების გამოყენებით გაზარდოს ექსპორტი და შევიდეს უცხო ბაზრებზე, თუ ადგილობრივ ბაზარზე მოთხოვნა შემცირდება ან ფასები დაიწევს. თუმცა, ეს შესაძლებლობა დამოკიდებულია საგარეო ბაზრებზე შესვლის სირთულესა და შესაბამის კომერციულ და რეგულაციურ პირობებზე, რაც დამატებით რისკს წარმოადგენს.

12. „ემიტენტს“ საქართველოს სამშენებლო და სარემონტო მასალების სექტორში მცირე წილი უკავია;

საქართველოს სამშენებლო და სარემონტო მასალების ფართო ბაზარი ბევრ ქვე-სექტორს მოიცავს, რომელთა ჯამურ მოცულობასთან შედარებით „ემიტენტს“ მცირე ბაზრის წილი უჭირავს. ინდუსტრია შედგება ოთხი ძირითადი მიმართულებისგან: სამშენებლო მასალები, სარემონტო მასალები, საყოფაცხოვრებო ტექნიკა და ავეჯი. თითოეული მათგანი დამატებით იყოფა ქვე-სეგმენტებად, რაც ინდუსტრიის ჰეტეროგენულობას უსვამს ხაზს.

მაგალითად, სამშენებლო მასალების სექტორი მოიცავს ისეთ პროდუქტებს, როგორიცაა არმატურა, ცემენტი, ბეტონი, ასფალტი, მეტალი და სხვა, მაშინ როდესაც სარემონტო მასალების სექტორი მოიცავს კარ-ფანჯრებს, მილსადენებს, კერამიკულ ფილებს და სხვადასხვა სარემონტო ხელსაწყოებს. შესაბამისად, სამშენებლო და სარემონტო მასალების სექტორი რეალურად წარმოადგენს სხვადასხვა ინდუსტრიების კონგლომერატს, რომელთაც თავიანთი სპეციფიკური დინამიკა და კონკურენტული გარემო აქვთ.

ადგილობრივ ბაზარზე უმეტესწილად გვხვდებიან კომპანიები, რომლებიც ოპერირებენ მხოლოდ ერთ ან რამდენიმე ქვე-სეგმენტში და სრულად არ ფარავენ ზემოაღნიშნულ სპექტრს: მაგალითად, მწარმოებლები, რომლებიც აწარმოებენ მხოლოდ ცემენტსა და ბეტონს, მხოლოდ არმატურას ან მხოლოდ ავეჯს. ანალოგიურად, „ემიტენტიც“ ფლობს ნიშურ პოზიციას ბაზარზე და კონცენტრირებულია რამდენიმე ძირითად მიმართულებაზე - მათ შორის გადასახურ მასალებზე, წყლის ავზებზე, კერამიკულ ფილებზე და სარემონტო ხელსაწყოებზე (იხილეთ ქვეთავი „ძირითადი საქმიანობა“).

კომპანიის ბაზრის მცირე წილს აღნიშნავს სარეიტინგო სააგენტოც, რომელიც ხაზს უსვამს „ნოვას“ ნიშურ პოზიციონირებას კონკრეტულ ქვე-სეგმენტებში. ამის მიუხედავად, „ემიტენტი“ მიიჩნევს, რომ ფართო და ფრაგმენტირებულ ინდუსტრიაში „კომპანიის“ კონკურენტებად არ უნდა განიხილებოდნენ მწარმოებლები, რომლებიც სპეციალიზდებიან ისეთ პროდუქტზე, რომელსაც „ნოვა“ არ აწარმოებს - მაგალითად, არმატურის, ავეჯის, ბეტონის ან მხოლოდ სამშენებლო მასალების წარმოებაზე - რადგან მათი ბიზნეს-მოდელი, პროდუქტის პროფილი და სამიზნე სეგმენტები მნიშვნელოვანად განსხვავდება „ნოვას“ საქმიანობისგან.

13. ფრენშაიზების ქსელის ხარისხის კონტროლის დარღვევამ შეიძლება უარყოფითად იმოქმედოს „კომპანიის“ ბრენდსა და რეპუტაციაზე;

პროსპექტის შედგენის თარიღისთვის კომპანია „ნოვას“ აქვს სამი ფრენშაიზი - ორი საცალო სავაჭრო ობიექტი საქართველოში (ჭიათურა და ახალციხე) და ერთი საწარმოო ფრენშაიზი სომხეთში (პოლიეთილენის ავზების წარმოება და რეალიზაცია). მიუხედავად იმისა, რომ ფრენშაიზის ხელშეკრულებები ითვალისწინებს მკაცრ სტანდარტებსა და ხარისხის კონტროლის ვალდებულებებს, მაინც არსებობს რისკი, რომ ფრენშაიზის მიმღებმა ვერ უზრუნველყოს პროდუქციის ან სერვისის შესაბამისი ხარისხი ან არ დაიცვას ბრენდის რეგლამენტები. მსგავსმა დარღვევებმა შესაძლოა დააზიანოს „ნოვას“ ბრენდის რეპუტაცია და მომხმარებელთა ნდობა, რასაც შეიძლება მოჰყვეს გაყიდვების შემცირება და მნიშვნელოვნად უარყოფითად აისახოს „კომპანიის“ საქმიანობაზე, ფინანსურ მდგომარეობასა და ოპერაციულ შედეგებზე.

ფრენშაიზების შესახებ დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ: „მნიშვნელოვანი კონტრაქტები“

14. ექსკლუზიური წარმოებისა და რეალიზაციის უფლებების დაკარგვამ შესაძლოა უარყოფითად იმოქმედოს „კომპანიის“ საქმიანობაზე, შემოსავლებსა და ბრენდის პოზიციონირებაზე;

პროსპექტის შედგენის თარიღისთვის შპს „ნოვა“ ფლობს „Fawori“-სა და „Betek“-ის ბრენდების წებო-ცემენტის წარმოებისა და რეალიზაციის ექსკლუზიურ უფლებას საქართველოსა და სომხეთის ტერიტორიაზე. აღნიშნული ლიცენზია კომპანიას მიენიჭა 2021 წელს 5-წლიანი ვადით, ხოლო მისი გაგრძელება შესაძლებელია ყოველი ვადის გასვლის შემდეგ დამატებით 2-წლით. ექსკლუზივი მოიცავს არა მხოლოდ წარმოებისა და რეალიზაციის უფლებას, არამედ ბრენდებისგან მიღებულ ტექნოლოგიურ მხარდაჭერას („know-how“), მათ შორის რეცეპტებს, ტექნოლოგიურ სტანდარტებს, ხარისხის კონტროლის პროცესებსა და კონსულტაციებს. ლიცენზიის პირობებით „ნოვა“ ვალდებულია ზუსტად დაიცვას მიწოდებული ტექნოლოგიური სტანდარტები და არ მიაყენოს ზიანი ლიცენზიის გამცემის რეპუტაციას.

არსებობს რისკი, რომ ლიცენზიის პირობების დარღვევის, მხარეთა შორის უთანხმოების, ან სხვა ფაქტორების გამო შეწყდეს ექსკლუზიური უფლებები. ექსკლუზიური ურთიერთობის შეწყვეტამ შეიძლება გამოიწვიოს რეპუტაციული ზიანი, რადგან „Fawori“-სა და „Betek“-ის ბრენდები საქართველოში ცნობადი და ხარისხთან ასოცირებული პროდუქტებია. მიუხედავად იმისა, რომ (i) აღნიშნული პროდუქციის წილი 2024 წლის მთლიანი შემოსავლების მხოლოდ 4%-მდეა და (ii) „კომპანიას“ წებო-ცემენტის წარმოების გამოცდილება დაგროვილი აქვს და შედეგად, შეძლებს დამოუკიდებლად წარმოების გაგრძელებას - ლიცენზიების დაკარგვამ შესაძლოა მაინც უარყოფითად იმოქმედოს მომხმარებელთა აღქმაზე, გააძლიეროს კონკურენტების პოზიცია და საბოლოოდ შეამციროს „კომპანიის“ გაყიდვები და საოპერაციო შედეგები.

ექსკლუზივების შესახებ დამატებითი ინფორმაციითვის იხილეთ: „მნიშვნელოვანი კონტრაქტები“

15. „კომპანია“ დამოკიდებულია ბრენდსა და მის რეპუტაციაზე, რეპუტაციულმა ზიანმა შესაძლოა მნიშვნელოვანი უარყოფითი გავლენა მოახდინოს „კომპანიის“ შემოსავლებზე;

„ნოვა“ ადგილობრივ ბაზარზე სარგებლობს ძლიერი ბრენდით და მომხმარებელთა მაღალი ნდობით. „კომპანია“ ახორციელებს ხარისხის მართვის პოლიტიკას - პერიოდულად ამოწმებს პროდუქციას, აკონტროლებს წარმოების პროცესებს და მუდმივად ანახლებს ტექნოლოგიებს, რათა უზრუნველყოს პროდუქციის უსაფრთხოება და სტანდარტებთან შესაბამისობა. მაგალითად, „ნოვას“ წარმოებულ პოლეთილენის წყლის ავზებს მიღებული აქვთ სერტიფიკატი „სასმელი წყლისთვის განკუთვნილი პოლეთილენის კონტეინერები“, რაც ადასტურებს, რომ პროდუქცია ჯანმრთელობისთვის უსაფრთხოა. გარდა ამისა, „კომპანია“ განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს თანამშრომელთა ჯანმრთელობისა და სამუშაო უსაფრთხოების დაცვას წარმოების ყველა ეტაპზე.

მიუხედავად არსებული პროცესებისა და მონიტორინგის მექანიზმების, ყოველთვის არსებობს რისკი, რომ პროდუქციის ხარისხის დარღვევამ, მომხმარებელთა ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების ინციდენტმა, თანამშრომელთა სამუშაო ადგილას დაზიანებამ, ან სხვა გაუთვალისწინებელმა გარემოებამ (მაგალითად, ტექნოლოგიური ხარვეზი ან არასათანადო შენახვის პირობები) გამოიწვიოს „კომპანიის“ რეპუტაციული ზიანი. მსგავსმა მოვლენებმა შეიძლება გამოიწვიოს მომხმარებელთა ნდობის დაკარგვა, გაყიდვების შემცირება, სამართლებრივი დავები ან დამატებითი ფინანსური ხარჯები, რაც პირდაპირ უარყოფითად აისახება „კომპანიის“ შემოსავლებზე და საოპერაციო შედეგებზე.

16. „კომპანიამ“ შესაძლოა ვერ მართოს ქსელის გაფართოებასთან დაკავშირებული საოპერაციო რისკები;

„ნოვამ“ 2020 წლიდან ბოლო ხუთი წლის განმავლობაში გახსნა 7 ახალი საცალო ობიექტი და დაამატა 2 ფრენშაიზი, ამავდროულად კი შემოსავლები თითქმის გააორმაგა. „კომპანიის“ სტრატეგია ითვალისწინებს ქსელის გაფართოებას ფრენშაიზინგის მოდელის საშუალებით, რაც საშუალებას აძლევს „კომპანიას“ შეამციროს კაპიტალური ინვესტიციების საჭიროება და უფრო მოქნილად გაზარდოს გეოგრაფიული დაფარვა.

თუმცა, ქსელის სწრაფმა გაფართოებამ შესაძლოა შექმნას ოპერაციული და ორგანიზაციული სირთულეები — შეამციროს „კომპანიის“ ეფექტურობა, წარმოქმნას ოპერაციებთან დაკავშირებული სირთულეები და გამოიწვიოს წყვეტა საწარმოო ციკლში (შესყიდვა, მომარაგება). ამასთან, „კომპანიის“ სწრაფმა ზრდამ შესაძლოა მნიშვნელოვანი

წნები შეუქმნას ხელმძღვანელობას და მათი ყურადღება შეასუსტოს ყოველდღიურ საოპერაციო საკითხებთან დაკავშირებით.

17. „კომპანიის“ საქმიანობას ახასიათებს სეზონურობა, რამაც შესაძლოა გავლენა იქონიოს კომპანიის ლიკვიდურობის პოზიციაზე, შემოსავლების პროგნოზირებადობასა და ფინანსურ მდგომარეობაზე;

„კომპანიის“ საქმიანობას ახასიათებს სეზონური ხასიათი, რაც გამოწვეულია როგორც სამშენებლო და სარემონტო სამუშაოების აქტივობის ცვალებადობით წლის განმავლობაში, ისე კომპანიის გაყიდვების მართვის პოლიტიკით. ისტორიულად, გაყიდვების დინამიკა მიუთითებს, რომ წლის პირველი კვარტალი და დეკემბერი წარმოადგენენ შედარებით პასიურ პერიოდებს. მაგალითად, 2024 წლის პირველი სამი თვის განმავლობაში მიღებულმა შემოსავალმა შეადგინა წლის მთლიანი შემოსავლის დაახლოებით 17.5%, ხოლო სექტემბერი-ოქტომბერი-ნოემბრის განმავლობაში - დაახლოებით 30.0%. წლის განმავლობაში გაყიდვების მხრივ ერთ-ერთი ყველაზე პასიური თვე დეკემბერია, როცა „კომპანია“ აქტიურად იწყებს დებიტორული დავალიანების ამოღებაზე მუშაობას. დამატებითი ინფორმაცია იხილეთ ქვეთავში „სეზონურობა“.

ასეთი სეზონურობა შესაძლოა გავლენას ახდენდეს „კომპანიის“ ფულადი ნაკადების თანაბარ განაწილებაზე და გამოიწვიოს ლიკვიდურობის მერყეობა. განსაკუთრებით პასიურ თვეებში, როდესაც გაყიდვები შემცირებულია, „კომპანიას“ შესაძლოა დასჭირდეს დამატებითი საბრუნავი კაპიტალი მიმდინარე ოპერაციების უზრუნველსაყოფად. გარდა ამისა, გაყიდვების სეზონურ კონცენტრაციას შეუძლია გაზარდოს მარაგების დაგროვებისა და მოთხოვნის არასწორი პროგნოზირების რისკი, რაც თავის მხრივ გავლენას მოახდენს შემოსავლების სტაბილურობასა და ფინანსურ შედეგებზე.

სეზონურობის რისკის მართვის მიზნით, „ემიტენტი“ აქტიურად იყენებს საკრედიტო ხაზებს - რომლებსაც ითვს საბრუნავი კაპიტალის საჭიროებისამებრ. აღნიშნული მექანიზმი საშუალებას აძლევს „კომპანიას“ უზრუნველყოს ოპერაციული საქმიანობის უწყვეტობა პასიურ პერიოდში და შეამციროს სეზონურობის გავლენა ლიკვიდურობის პოზიციასა და ფინანსურ სტაბილურობაზე.

18. „კომპანია“ შესაძლოა აღმოჩნდეს ლიკვიდურობასთან და ფინანსური ვალდებულებების შეუსრულებლობასთან დაკავშირებული რისკების წინაშე, რამაც შეიძლება უარყოფითი გავლენა იქონიოს „კომპანიის“ ბიზნესზე, ფინანსურ მდგომარეობასა და საოპერაციო შედეგებზე;

მიუხედავად იმისა, რომ „კომპანიას“ ამჟამად გააჩნია დადებითი საბრუნავი კაპიტალი (2025 წლის ივნისის მდგომარეობით მიმდინარე აქტივებისა და მიმდინარე ვალდებულებების შეფარდება შეადგენს 1.7x-ს), მაინც არსებობს რისკი, რომ საკმარისი ლიკვიდურობის შენარჩუნება ვერ მოხერხდეს გარკვეული ფინანსური და ოპერაციული ფაქტორების ერთობლივი ზეგავლენის შემთხვევაში. კერძოდ, თუ „კომპანია“ ვერ მოახერხებს სასაქონლო-მატერიალური მარაგების დროულ რეალიზაციას, ვერ განახორციელებს დაგეგმილი ობლიგაციების სრულ განთავსებას ან ვერ მოიპოვებს საჭირო საბანკო და სხვა სახის დაფინანსებას, შესაძლოა შეექმნას ფულადი სახსრების დეფიციტი, რაც გაართულებს მიმდინარე ოპერაციების დაფინანსებასა და ვალდებულებების დროულად შესრულებას.

„კომპანიის“ ლიკვიდურობაზე გავლენას ასევე ახდენს იმპორტირებული მარაგების მიწოდების სპეციფიკა: ერთდროულად და დაგვიანებით შემოსულმა დიდი მოცულობის ტვირთმა შეიძლება შექმნას მოკლე ვადაში მაღალი გადახდების აუცილებლობა, რაც გაზრდის საბრუნავი კაპიტალის საჭიროებას და ფულადი ნაკადების დროებით დეფიციტს. მსგავსი ვითარება ზრდის რისკს, რომ „კომპანიამ“ ვერ შეძლოს ფინანსური ვალდებულებების დროული მომსახურება, მათ შორის ობლიგაციებისა და სხვა საკრედიტო ინსტრუმენტების გადახდა, რაც უარყოფითად იმოქმედებს მის ფინანსურ მდგომარეობაზე და ოპერაციულ შედეგებზე.

სარეიტინგო სააგენტოს შეფასებით, ნოვას ფულადი ნაკადების დაფარვის კოეფიციენტი (FOCF/ Debt) ფინანსური რისკის პროფილის ყველაზე სუსტი კომპონენტია - რაზეც უმეტესი გავლენა მაღალ კაპიტალურ დანახარჯებსა და საბრუნავი კაპიტალის გადინებას აქვს. ამასთან ერთად, ისტორიულად „ნოვას“ მოკლევადიანი ვალდებულებების დაფარვის მაჩვენებელი ნორმაზე დაბალი იყო, რაც გამოიხატებოდა კომპანიის რეფინანსირების პრაქტიკაზე მაღალი დამოკიდებულების ხარისხში. Scope-ს მოლოდინია, რომ „ობლიგაციების“ გამოშვების შედეგად არსებითად შემსუბუქდება ლიკვიდურობაზე ზეწოლა და „ნოვას“ ლიკვიდობის კოეფიციენტი მნიშვნელოვნად გაუმჯობესდება. ამის მიუხედავად, არ არსებობს გარანტია, რომ მომავალში საბაზრო გარემოს გაუარესება, ან სხვა

გარე ფაქტორები არ შეამცირებს „კომპანიის“ ფულადი ნაკადების გენერირებას და არ შექმნის დამატებით წნეხს ლიკვიდურობაზე.

19. „კომპანიის“ ღია აშშ დოლარის საბალანსო პოზიციამ შესაძლოა უარყოფითი გავლენა იქონიოს „კომპანიის“ საქმიანობაზე;

„კომპანია“ ისტორიულად ინარჩუნებს ღია საბალანსო სავალუტო პოზიციას აშშ დოლარში, რადგან „კომპანიის“ ნასესხები სახსრებისა და სავაჭრო ვალდებულებების ნაწილი აშშ დოლარშია დენომინირებული. აღნიშნული ფაქტორი „კომპანიას“ სავალუტო რისკის წინაშე აყენებს, განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, თუ გაცვლითი კურსის არასასურველი ცვლილებები დაფიქსირდება. ადგილობრივი ვალუტის გაუფასურებამ აშშ დოლარის მიმართ შესაძლოა გაზარდოს „კომპანიის“ დავალიანება ლოკალური ვალუტის ექვივალენტში, რამაც შესაძლოა უარყოფითად იმოქმედოს მის ლიკვიდურობაზე, ფინანსურ მაჩვენებლებზე და საოპერაციო სტაბილურობაზე.

„კომპანიის“ სავალუტო პოზიციის შესახებ დეტალური ინფორმაციისთვის იხილეთ *“ფინანსური რისკების მართვა”*.

20. თუ „კომპანია“ ვერ შეძლებს მომავალში შეინარჩუნოს ეფექტიანი შიდა კონტროლი, ამან შესაძლოა უარყოფითად იმოქმედოს „კომპანიის“ პროცესებზე, ოპერაციებსა და მომავალ ზრდის გეგმებზე;

„კომპანია“ მუდმივად დგამს ნაბიჯებს ბიზნესის შესაფერისი შიდა კონტროლის გაძლიერებისთვის თუმცა, შეუძლებელია შეცდომებისა და თაღლითობის რისკის სრულად აღმოფხვრა. თუ „კომპანია“ ვერ უზრუნველყოფს მაღალი დონის შიდა კონტროლის სისტემის გამართულად მუშაობას, ამან შესაძლოა გავლენა იქონიოს პროცესების/ოპერაციების ეფექტიანად წარმართვაზე, შეცდომებისა და თაღლითობის პრევენციაზე, ფულადი სახსრების მიზნობრივად გახარჯვასა და „კომპანიის“ შედეგების ანგარიშგების სიზუსტეზე.

„კომპანიაში“ არსებული აუდიტის კომიტეტი ახორციელებს შიდა კონტროლის სისტემის ეფექტიანობის შეფასებას, ფილიალების საქმიანობის პერიოდულ მონიტორინგს, პროცესებისა და ოპერაციების გარე და შიდა რეგულაციებთან შესაბამისობის კონტროლს, ფულადი სახსრების გახარჯვის ადეკვატურობის შეფასებას, პროცესების ეფექტიანად წარმართვისთვის და გამოვლენილი ხარვეზების გამოსწორებისთვის რეკომენდაციების შემუშავებას. მიუხედავად აღნიშნულისა, შესაძლოა „კომპანია“ მაინც დადგეს თაღლითობის რისკის წინაშე.

21. „კომპანიას“ არ აქვს მკაცრად გაწერილი დივიდენდების გაცემის პოლიტიკა;

„კომპანიას“ არ აქვს მკაცრად გაწერილი დივიდენდების გაცემის პოლიტიკა. დივიდენდების განაწილების თაობაზე გადაწყვეტილებას იღებს პარტნიორთა საერთო კრება, სამეთვალყურეო საბჭოსგან და დირექტორისგან მიღებული რეკომენდაციების საფუძველზე. შესაბამისად, არსებობს რისკი, რომ „კომპანიაში“ დამტკიცდეს ისეთი დივიდენდის გაცემა, რაც მომავალში უარყოფითად იმოქმედებს „კომპანიის“ ბიზნესზე, მის ფულად ნაკადებზე, ფინანსურ მდგომარეობასა და საოპერაციო შედეგებზე და მის შესაძლებლობაზე, გაუნაწილოს თანხა ობლიგაციონერებს.

დივიდენდების პოლიტიკისაგან გამიჯნულად „კომპანიას“ გააჩნია დათქმა მის კრედიტორებთან, რომლის ფარგლებშიც „კომპანია“ არეგულირებს გასაცემი დივიდენდის მოცულობას (იხილეთ *„კაპიტალიზაცია და დავალიანება“*).

გარდა ამისა, მეწარმეთა შესახებ ახალი კანონით დადგინდა შეზღუდვა დივიდენდის გაცემასთან დაკავშირებით კერძოდ, პარტნიორები ვერ მიიღებენ გადაწყვეტილებას დივიდენდის გაცემის შესახებ თუ ეს გადაწყვეტილება „კომპანიის“ გადახდისუნარობას გამოიწვევს, რაც ინვესტორებისათვის წარმოადგენს დამატებითი დაზღვევის მექანიზმს.

22. „კომპანიას“ შესაძლოა დაერღვეს საბანკო ხელშეკრულებებით ან „ობლიგაციების“ პირობებით განსაზღვრული ფინანსური და/ან არა-ფინანსური დათქმები;

„კომპანიამ“ შეიძლება ვერ უზრუნველყოს საკრედიტო ხელშეკრულებით ან ემისიის პროსპექტით გათვალისწინებული ფინანსური ან არა-ფინანსური დათქმების შესრულება. ამასთან, არ არსებობს იმის გარანტია, რომ „კომპანია“ შეძლებს გათავისუფლების წერილების (waiver letter) მიღებას შესაბამისი მხარეებისგან, და რომ კრედიტორები არ ამოქმედებენ სასესხო ხელშეკრულების და ობლიგაციების „პროსპექტის“ ფარგლებში გათვალისწინებულ სანქციებს, რაც შესაძლოა გამოიხატოს ახალი დაკრედიტების გაცემაზე უარის თქმაში, ჯარიმებისა და საურავების დარიცხვაში, არსებული საკრედიტო დავალიანებების დაუყოვნებლივ გადახდის მოთხოვნაში და სხვა. აღნიშნული სანქციების ამოქმედებამ შესაძლოა არსებითად უარყოფითი გავლენა იქონიოს „კომპანიის“ ფინანსურ მდგომარეობასა და საოპერაციო საქმიანობაზე.

პროსპექტში ნაჩვენები თარიღებისთვის „კომპანიას“ დარღვეული აქვს გარკვეული ფინანსური კოვენანტები თუმცა საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ გამსესხებლებს არ აუმოქმედებიათ შესაბამისი სანქციები. კომპანიას აღნიშნულ პერიოდებზე ბანკისგან მიღებული აქვს შესაბამისი გათავისუფლების წერილები (waiver letter).

სარეიტინგო სააგენტოს შეფასებით, მომდევნო პერიოდებში „კომპანიის“ საკრედიტო რეიტინგზე მნიშვნელოვანი გავლენა ექნება კოვენანტების შესრულებას და მის მართვას, კერძოდ, ემიტენტის მხრიდან კოვენანტების დარღვევებზე პროაქტიული რეაგირების მოხდენას.

„კომპანიის“ ფინანსური კოვენანტებისა და დარღვევების შესახებ დეტალური ინფორმაციისთვის იხილეთ *„კაპიტალიზაცია და დავალიანება“*.

23. „კომპანიას“ შესაძლებელია წარმოეშვას მნიშვნელოვნად მეტი დავალიანება ან განახორციელოს სხვა ქმედებები, რამაც შეიძლება გაზარდოს ზემოთ მითითებული რისკების ინტენსივობა;

სამშენებლო და სარემონტო მასალების სექტორი ისტორიულად ხასიათდება მაღალი კაპიტალური ინტენსივობითა და ციკლურობით. საწარმოო სიმძლავრეების შენარჩუნება და განახლება მოითხოვს მნიშვნელოვან კაპიტალურ დანახარჯებს (ახალი ტექნოლოგიების დანერგვა, ავტომატიზაცია, საწარმოო ხაზების მოდერნიზაცია), ხოლო გაყიდვები მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული უძრავი ქონებისა და სამშენებლო ბაზრის აქტიურობაზე. ბაზარზე მოთხოვნის შემცირების პირობებში „კომპანიას“ შესაძლოა მოუწიოს ფულადი ნაკადების პროგნოზების გადახედვა, წარმოების ან მარაგების სტრატეგიის შეცვლა და დამატებითი საბრუნავი ან საინვესტიციო კაპიტალის მოძიება.

ამგვარმა გარემოებამ შეიძლება გამოიწვიოს დაფინანსების საჭიროების ზრდა, რაც, თავის მხრივ, ზრდის სავალო ტვირთს და ამცირებს „კომპანიის“ ფინანსურ მოქნილობას. ახალი ვალის მოზიდვამ არასტაბილურ ან მაღალი საპროცენტო განაკვეთების გარემოში შესაძლოა გაზარდოს საპროცენტო ხარჯები და შეაფერხოს „კომპანიის“ ფულადი ნაკადების მომსახურების შესაძლებლობა, რაც დააზიანებს ლიკვიდურობას, ვალდებულებების დროულად შესრულების უნარსა და გადახდისუნარიანობას.

გარდა ამისა, სამშენებლო და სარემონტო მასალების ბაზრის ციკლურობიდან გამომდინარე, მოთხოვნის მოულოდნელმა ვარდნამ შეიძლება შეამციროს ოპერაციული ფულადი ნაკადები იმ დროს, როცა „კომპანიას“ შესაძლოა სჭირდებოდეს ახალი ინვესტიციები ან არსებული ვალების რეფინანსირება. ასეთმა ვითარებამ შეიძლება გაართულოს ახალი დაფინანსების მოპოვება ხელსაყრელ პირობებში, გაზარდოს საპროცენტო ხარჯები, და შეამციროს „კომპანიის“ უნარი დროულად დაფაროს არსებული ობლიგაციების ძირი და შესაბამისი პროცენტი.

24. „კომპანიის“ საკრედიტო რეიტინგის შემცირებამ შესაძლოა შეზღუდოს ახალ სასესხო საშუალებებზე მოლაპარაკებების ან სასესხო კაპიტალის ბაზრებზე წვდომის შესაძლებლობა და გაზარდოს სესხის აღების ხარჯები ან/და უარყოფითად იმოქმედოს კრედიტორებთან ურთიერთობაზე;

„კომპანიის“ საკრედიტო რეიტინგების შემდგომმა შემცირებამ შესაძლოა გაზარდოს სესხის აღების ღირებულება, ან შეზღუდოს „კომპანიის“ შესაძლებლობა მოიზიდოს კაპიტალი და არსებითად უარყოფითად იმოქმედოს მის უნარზე, განახორციელოს კაპიტალური დანახარჯების პროგრამები, რაც თავის მხრივ უარყოფითად იმოქმედებს მის ბიზნესზე, ფინანსურ მდგომარეობაზე, ოპერაციების შედეგებსა თუ პერსპექტივებზე.

„კომპანიის“ საკრედიტო რეიტინგი მნიშვნელოვანი ფაქტორია „კომპანიის“ მიერ ფინანსური სახსრების ღირებულების განსაზღვრაში. პროსპექტის მომზადების დღისთვის, „ემიტენტს“ სარეიტინგო სააგენტო Scope Ratings-ის მიერ მინიჭებული აქვს ემიტენტის გრძელვადიანი რეიტინგი B+, სტაბილური პერსპექტივა.

25. შრომითმა დავებმა და გაფიცებმა შესაძლოა უარყოფითი გავლენა იქონიოს „კომპანიის“ წარმოების დონესა და მომგებიანობაზე;

„კომპანიის“ საქმიანობა დამოკიდებულია სამუშაო ძალასთან დადებითი ურთიერთობების შენარჩუნებაზე. „კომპანიის“ სერვისების დონეზე ზეგავლენა შეიძლება იქონიოს შრომითმა დავებმა პროფკავშირებთან რამაც შეიძლება გამოიწვიოს საქმიანობის შენელება, შეფერხება ან შეჩერება გაფიცვის შემთხვევაში. შრომითი პროცესის შეჩერებამ შეიძლება გამოიწვიოს პროდუქციის მომხმარებელზე მიწოდების შეფერხება ან დროებითი შეჩერება რამაც შესაძლოა გრძელვადიანი უარყოფითი გავლენა იქონიოს მომხმარებლებთან ურთიერთობასა და საბაზრო პოზიციებზე.

„კომპანიის“ საქმიანობაზე ასევე შეიძლება გავლენა იქონიოს მისი მომწოდებლების შრომითმა დავებმა თავიანთ თანამშრომლებთან და პროფკავშირებთან. „კომპანიის“, მისი მომწოდებლების თანამშრომლების გაფიცებმა, სამუშაოს შეჩერებამ ან შენელებამ არსებითად უარყოფითი ზეგავლენა შეიძლება იქონიოს „კომპანიის“ მომგებიანობაზე, ფინანსურ მდგომარეობასა და საქმიანობის წარმოების უნარზე.

26. ძირითადი ხელმძღვანელობის დაკარგვამ და ხელმძღვანელების მოზიდვის და შენარჩუნების შეუძლებლობამ უარყოფითი ზეგავლენა შეიძლება იქონიოს „კომპანიის“ საოპერაციო და ფინანსურ შედეგებზე;

„კომპანია“ დამოკიდებულია ტოპ-მენეჯმენტზე საქმიანობის ყველა ძირითადი მიმართულებით, როგორცაა ხარისხის კონტროლი, გაყიდვები და მარკეტინგი, ლოგისტიკა, ფინანსური მართვა და სხვა. „კომპანიის“ ტოპ-მენეჯმენტის ბევრი წევრი წლების განმავლობაში კომპანია „ნოვა“-ში ან როგორც მინიმუმ, სამშენებლო და სარემონტო მასალების ინდუსტრიაში მუშაობს. „კომპანიის“ წარმატება დამოკიდებულია შესაფერისი, კვალიფიცირებული და გამოცდილი ხელმძღვანელი პირების იდენტიფიცირებაზე, აყვანაზე, განვითარებასა და შენარჩუნებაზე.

თუკი „კომპანიის“ ტოპ-მენეჯმენტის წევრები დატოვებენ მას და „კომპანია“ ვერ შეძლებს მათი შესაფერისი შემცვლელების დროულ მოძებნას და აყვანას, ამან შესაძლოა არსებითად უარყოფითი ზეგავლენა იქონიოს „კომპანიის“ მომგებიანობაზე, ფინანსურ მდგომარეობასა და საქმიანობის წარმოების უნარზე.

საქართველოში კორპორაციული მართვის სტანდარტები მუდმივად ვითარდება. ეს განსაკუთრებით რელევანტურია ანგარიშგაღებული საწარმოების შემთხვევაში. საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დამტკიცებული კორპორაციული მართვის კოდექსით დადგენილი ვალდებულებების სრულმასშტაბიანი ამოქმედების შედეგად კიდევ უფრო დაიხვეწება და მეტი მოთხოვნა დაწესდება შიდა კორპორაციული მოწყობის ნაწილში. აღნიშნულმა რეგულაციებმა შესაძლოა, გაზარდოს „კომპანიის“ სახელფასო და/ან

ადმინისტრირებისათვის საჭირო რესურსი. ამან კი შესაძლოა უარყოფითად იმოქმედოს „კომპანიის“ საოპერაციო შედეგებზე.

27. მომავალში „კომპანიის“ საკუთრებაში არსებული აქტივების არასრულმა დაზღვევამ შეიძლება მნიშვნელოვანი უარყოფითი გავლენა მოახდინოს „კომპანიის“ ფინანსურ და საოპერაციო სტაბილურობაზე;

მენეჯმენტი თვლის, რომ „კომპანია“ თავისი ბიზნესის ჭრილში ინარჩუნებს ადეკვატურ სადაზღვევო დაფარვას. ეს დაფარვა შესაბამისობაშია საუკეთესო ადგილობრივ პრაქტიკასა და ინდუსტრიის სტანდარტებთან.

„კომპანიის“ სასაქონლო და სასაწყობე მარაგები და მანქანა-დანადგარები საწარმოს შენობასთან ერთად სრულად არის დაფარული ქონების, მანქანების გაფუჭებისა და ბიზნესის შეწყვეტის ზარალის დაზღვევით უწყვეტ რეჟიმში ყოველგვარი ხარვეზების გარეშე. ამგვარი დაფარვა ფართოდ მოიცავს საწარმოს ნებისმიერ შესაძლო რისკს/ზარალს.

მიუხედავად ამისა, „ემიტენტის“ ოპერაციებზე შეიძლება გავლენა იქონიოს ისეთმა რისკებმა, რომლებზეც სრული სადაზღვევო დაფარვა საერთოდ არ არის ხელმისაწვდომი, ან არ არის ხელმისაწვდომი კომერციულად გონივრული პირობებით. გარდა ამისა, სხვადასხვა სადაზღვევო მოვლენამ, როგორცაა უბედური შემთხვევები, ბიზნესის შეწყვეტა ან მისი ობიექტების, ქონებისა და აღჭურვილობის პოტენციური დაზიანება, გამოწვეული უამინდობით, ადამიანური შეცდომით, დაბინძურებით, შრომითი დავებითა და ბუნებრივი კატასტროფებით, შეიძლება გამოიწვიოს დანაკარგები ან იმაზე მეტი ვალდებულების დაკისრება ვიდრე იფარება დაზღვევით. არ არსებობს იმის გარანტია, რომ „კომპანიის“ სადაზღვევო დაფარვა იქნება ზარალის დასაფარად საკმარისი, ან რომ მას შეეძლება განაახლოს არსებული სადაზღვევო დაფარვა, მათ შორის კომერციულად გონივრული პირობებით. არსებობს რისკი, რომ სადაზღვევო პოლისმა არ დაფაროს „კომპანიის“ მიერ მიღებული ყველა ზარალი და არ არის იმის გარანტია, რომ „კომპანია“ არ განიცდის ზარალს სადაზღვევო პოლისის გარეთ.

„კომპანიას“ არ აქვს ისეთი ქონება, რომელიც დაზღვეული არ არის, მაგრამ მომავალში თუ მოხდა ისეთი შემთხვევა, რომლის მიმართაც „კომპანიას“ არ აქვს სადაზღვევო დაფარვა ან ასეთი დაფარვა არ არის საკმარისი, „ემიტენტმა“ შეიძლება დაკარგოს ინვესტირებული კაპიტალი და დაზიანებულ ქონებასთან დაკავშირებული მოსალოდნელი შემოსავალი. ზოგ შემთხვევაში დაზიანებულ ქონებასთან დაკავშირებულ ფინანსურ ვალდებულებებზე პასუხისმგებელი შეიძლება დარჩეს „ემიტენტი“. რომელიმე ამგვარ მოვლენას შეიძლება ჰქონდეს მატერიალური უარყოფითი გავლენა „კომპანიის“ ბიზნესზე, საოპერაციო შედეგებსა და ფინანსურ მდგომარეობაზე.

2. ინფორმაცია იმ მატერიალური რისკების შესახებ რომლებიც სპეციფიურია ინდუსტრიასა და ეკონომიკისათვის

28. პოლიტიკური და სამთავრობო არასტაბილურობა საქართველოში მნიშვნელოვან უარყოფით გავლენას მოახდენს ადგილობრივ ეკონომიკასა და კომპანიის ბიზნესზე.

1991 წელს ყოფილი საბჭოთა კავშირიდან დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ საქართველომ მნიშვნელოვანი პოლიტიკური ტრანსფორმაცია განიცადა ფედერალური სოციალისტური სახელმწიფოს შემადგენლობაში მყოფი რესპუბლიკიდან დამოუკიდებელ, სუვერენულ დემოკრატიამდე.

საქართველო არაერთი გამოწვევის წინაშე დგას, რომელთაგან ერთ-ერთი შემდგომი ეკონომიკური და პოლიტიკური რეფორმების გატარება და სტაბილური შიდა პოლიტიკური ვითარების უზრუნველყოფაა, რომლის დაზიანებაც, ლარის კურსის მერყეობისა და კაპიტალის გადინების რისკის მატერიალიზების მნიშვნელოვანი კატალიზატორი შეიძლება გახდეს. ბიზნესისა და ინვესტირებისთვის ხელსაყრელი რეფორმების გატარება შესაძლოა აღარ გაგრძელდეს ან პროცესმა უკუსვლა განიცადოს; ასევე, ასეთი რეფორმები და ეკონომიკური ზრდა შესაძლოა შეფერხდეს რაიმე ისეთი

ცვლილებით, რომელიც ქვეყნის ხელისუფლების ქმედუნარიანობასა თუ სტაბილურობაზე იქონიებს გავლენას, ან/და პრეზიდენტის, პარლამენტისა თუ სხვა ინსტიტუტების მიერ სარეფორმო პოლიტიკის გატარებაზე უარის თქმის შედეგად.

2010, 2013 და 2018 წლებში საქართველოს პარლამენტმა დაამტკიცა ცვლილებები საქართველოს კონსტიტუციაში, რომლებიც ითვალისწინებდა პარლამენტის მმართველობითი უფლებამოსილების გაფართოებას, საქართველოს პრემიერ-მინისტრის უფლებამოსილებების გაზრდას და პრეზიდენტის ფუნქციების მნიშვნელოვან შეკვეცას. საქართველოს პარლამენტის, პრეზიდენტის ან პრემიერ-მინისტრის უფლებამოსილებების ნებისმიერმა შემდგომმა ცვლილებამ შესაძლოა შეამციროს ნდობა ხსენებული ინსტიტუტების მიმართ ან სხვაგვარი უარყოფითი შედეგი მოუტანოს პოლიტიკურ კლიმატს საქართველოში.

2020 წლის ოქტომბერ-ნოემბერში (პარლამენტის არჩევნები მოიცავდა 31 ოქტომბერს ჩატარებულ I ტურს და 21 ნოემბერს გამართულ II ტურს) ჩატარებულ საპარლამენტო არჩევნებში ქართულმა ოცნებამ 150 წევრიან პარლამენტში მიიღო 90 მანდატი და უმრავლესობა დააკომპლექტა, თუმცა ოპოზიციური სპექტრი პარლამენტში არ შევიდა და საპროტესტო რეჟიმში გადავიდა. პოლიტიკური დამაბულობის გასაწესებლად ორმხრივ მოლაპარაკებებში აქტიურად იყვნენ ჩართული ევროკავშირისა და აშშ-ს წარმომადგენლები, რომელთაც მიაღწიეს შეთანხმებას და 2021 წლის გვიან გაზაფხულზე პარლამენტში ყველა პარტია შევიდა. მოკლევადიანმა პოლიტიკურმა კრიზისმა, რომელიც 2020 წლის ნოემბრიდან დაიწყო გარკვეული გავლენა იქონია ეკონომიკურ და საინვესტიციო აქტივობაზე. ამასთან, 2021 წლის ივლისში პრესის წარმომადგენლებზე თავდასხმამ და მმართველი პარტიის მიერ ევროკავშირის ეგიდით გაფორმებული 2021 წლის 19 აპრილის ხელშეკრულებიდან გასვლამ პოლიტიკური ვითარება კვლავ დამაბა.

საზოგადოების მნიშვნელოვანი ნაწილის პროტესტი მოჰყვა 2024 წლის გაზაფხულზე, საქართველოს პარლამენტის მიერ „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ“ კანონის მიღებას. ამას თან დაერთო ოპოზიციის მიერ ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნების გაყალბებულად გამოცხადება და ოთხი ოპოზიციური პარტიიდან სამის მიერ მანდატებზე უარის თქმა, 28 ნოემბერს კი ხელისუფლების მიერ ევროკავშირში გაწევრიანების მოლაპარაკებების 2028 წლის ბოლომდე შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილების გამოცხადება, რასაც მასობრივი საპროტესტო აქციები და პროტესტის მონაწილეთა და საპოლიციო ძალებს შორის დაპირისპირება მოჰყვა. პოლიტიკური დამაბულობისა და არჩევნებთან დაკავშირებული ნეგატიური მოლოდინებით გამოწვეული დეპოზიტების უცხოურ ვალუტაში მასობრივი კონვერტაციების ფონზე, წლის განმავლობაში ეროვნულმა ბანკმა უცხოური ვალუტის რეზერვებიდან 917 მილიონი აშშ დოლარი გაყიდა, თუმცა ნოემბერ-დეკემბერში უკვე ადგილი ჰქონდა ეროვნული ბანკის მიერ რეზერვების შესავსებად სავალუტო ბაზარზე აშშ დოლარის შესყიდვას. ამასთან, განსაკუთრებით 2024 წლის ბოლოსა და 2025 წლის დასაწყისში, ზემოხსენებული პროცესების გარკვეული უარყოფითი გავლენა აშკარა იყო ადგილობრივ ეკონომიკურ აქტივობასა და ტურისტულ შემოდინებებზეც. იმ ფონზე, რომ ანტისამთავრობო პროტესტი და ხელისუფლების მხრიდან შემდგომი საკანონმდებლო ცვლილებების ინიცირება კვლავ გრძელდება, პოლიტიკურ გარემოში გაურკვეველობა ჯერაც ნარჩუნდება. შესაბამისად, ნებისმიერმა შემდგომმა პოლიტიკურმა არასტაბილურობამ შესაძლოა უარყოფითად იმოქმედოს საქართველოს ეკონომიკურ განვითარებაზე, მათ შორის საინვესტიციო კლიმატსა და კერძო ბიზნესის საქმიანობაზე.

29. არსებობს დამატებითი რისკის ფაქტორები, რომლებიც უკავშირდება ისეთ განვითარებად ბაზრებზე ინვესტირებას, როგორიც საქართველოა.

ინვესტირებმა, რომლებიც ინვესტიციას ახორციელებენ ისეთ განვითარებად ბაზრებში როგორიც საქართველოა, უნდა გაითვალისწინონ, რომ ამგვარი ბაზრები, განვითარებულ ბაზრებთან შედარებით, უფრო მაღალი რისკებით ხასიათდება. მათ შორისაა მნიშვნელოვანი სამართლებრივი, ეკონომიკური და პოლიტიკური რისკები. აღნიშნული მოიცავს, მაგრამ არ შემოიფარგლება, ბაზარზე არსებული ეკონომიკური მდგომარეობის ცვალებადობის სიხშირით. ამასთან, განვითარებადი ბაზრებისთვის დამახასიათებელია შეზღუდული ლიკვიდურობა, ვიწრო საექსპორტო ბაზა, მიმდინარე ოპერაციების ანგარიშის დეფიციტი და ხშირი ცვლილებები პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სოციალურ, სამართლებრივ და მარეგულირებელ სფეროში. განვითარებადი ბაზრები სწრაფად იცვლება და ისინი განსაკუთრებით

დაუცველი არიან საბაზრო პირობებისა და მსოფლიოს ნებისმიერ ადგილას მომხდარი ეკონომიკური კრიზისების წინაშე.

გარდა ამისა, საერთაშორისო ინვესტორების რეაქცია მოვლენებთან დაკავშირებით ზოგჯერ „ჯაჭვური ეფექტით“ ხასიათდება, როდესაც ინვესტორები უარყოფენ მთლიანად რეგიონს ან ინვესტიციის კლასს. თუ ადგილი ექნება ამგვარ ჯაჭვურ ეფექტს, საქართველოზე შესაძლოა უარყოფითად იმოქმედოს სხვა განვითარებად ბაზრებზე მომხდარმა ნეგატიურმა ეკონომიკურმა ან ფინანსურმა მოვლენებმა. საქართველომ წარსულში უკვე განიცადა ჯაჭვური ეფექტი, მათ შორის რუსეთის 1998 წლის ფინანსური კრიზისის, 2007-2008 წლების გლობალური ფინანსური კრიზისის, კოვიდ-19-ის პანდემიის, რუსეთ-უკრაინისა ომის შემდეგ და შესაძლებელია, რომ ქვეყანამ მსგავსი უარყოფითი ზეგავლენა მომავალშიც განიცადოს.

ამასთან, ქვეყნის ეკონომიკაზე უარყოფითი გავლენა შეიძლება იქონიოს ფინანსურმა და პოლიტიკურმა არასტაბილურობამ. აღნიშნულის რეალიზების შემთხვევაში ადგილი ექნება კაპიტალის გადინებას, რომელმაც შეიძლება მნიშვნელოვნად დააზიანოს ფინანსური სისტემა და საბოლოოდ ეკონომიკა სტაგნაციაში გადაიყვანოს.

პროსპექტის წარდგენის თარიღისთვის, საერთაშორისო სარეიტინგო სააგენტოების მიერ საქართველოსთვის მინიჭებულია შემდეგი რეიტინგი, 2025 წლის 15 სექტემბრის მდგომარეობით:

- Fitch Ratings – BB (Negative Outlook);
- Moody's – Ba2 (Negative Outlook);
- S&P Global Ratings – BB (Stable Outlook);

30. კომპანიის საქმიანობაზე შესაძლოა მნიშვნელოვანი უარყოფითი ზეგავლენა მოახდინოს ლარის არასტაბილურობამ აშშ დოლართან/სხვა ეკონომიკურად დაკავშირებული ქვეყნების ვალუტებთან მიმართებით.

მიუხედავად იმისა, რომ ლარი სრულად კონვერტირებადი ვალუტაა, მისი საქართველოს ფარგლებს გარეთ კონვერტირებისთვის საერთოდ არ არსებობს სავალუტო ბაზარი. საქართველოში არსებობს ბაზარი ლარის სხვა ვალუტებში კონვერტირებისთვის, მაგრამ მისი მოცულობა მეტ-ნაკლებად შეზღუდულია.

წლების მანძილზე ლარის კურსი აშშ დოლარსა და ევროსთან მიმართებით მნიშვნელოვნად იცვლებოდა როგორც საგარეო შოკების, ასევე სეზონური ფაქტორების გამო. ამ კუთხით, ლარისათვის საკმაოდ მნიშვნელოვანია თავად ევრო-დოლარის წყვილის დინამიკაც. საგარეო ფაქტორებიდან ასევე აღსანიშნავია: 2008-2009 წლების გლობალური ფინანსური კრიზისი, 2015 წლის ნავთობის და ინდუსტრიული საქონლის ფასების გლობალური შოკი, რომელმაც გლობალურად ევროს შესუსტება და ძლიერი აშშ დოლარის ფაზაში გადასვლა განაპირობა, 2019 წელს რუსეთის მიერ პირდაპირი საჰაერო ფრენების აკრძალვა, 2020-2021 წლებში კორონავირუსის პანდემიით გამოწვეული პრობლემები (რა დროსაც გაცვლითმა კურსმა ისტორიულ მაქსიმუმს, 1 ევროზე 4.18 ლარს, 1 აშშ დოლარზე კი 3.48 ლარს მიაღწია), 2022 წელს რუსეთის შეჭრა უკრაინაში. რუსეთ-უკრაინის ომის საწყის ფაზაში ლარმა რეგიონის სხვა ვალუტებთან ერთად მოულოდნელი გაუფასურება დაიწყო. 2022 წლის 24 თებერვალსა და 10 მარტს შორის პერიოდში ლარი ევროსთან 9.1%-ით, დოლართან მიმართებით კი 12.8%-ით გაუფასურდა და 1 ევროს ღირებულებამ 3.74 ლარი, 1 დოლარის ღირებულებამ კი 3.40 ლარი შეადგინა. მომდევნო თვეებში საქართველოს ეკონომიკამ აჩვენა მდგრადობა რეგიონული შოკის მიმართ და შეინარჩუნა კაპიტალის შემოდინებისა და ქვეყნის შიდა აქტივობის დონე, რის შედეგადაც ლარმა გამყარების ტენდენცია შეიძინა და მისი ღირებულება, 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ევროსთან 17.7%-ით, ხოლო აშშ დოლართან მიმართებით წლიურად 12.8%-ით გაიზარდა.

ლარის კურსზე ასევე დადებითი გავლენა ჰქონდა საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ მკაცრი მონეტარული პოლიტიკის გატარებას, რაც გამოიხატა 2022 წლის განმავლობაში რეფინანსირების განაკვეთის 11.0%-მდე გაზრდით. ამასთან, მკვეთრად გაზრდილი სავალუტო შემოდინებების ფონზე, ეროვნულმა ბანკმა რეზერვები შეავსო - 2022 წლის განმავლობაში სებ-ის წმინდა სავალუტო შესყიდვამ 564.5 მილიონი აშშ დოლარი შეადგინა. რეზერვების შევსება მაღალი საგარეო შემოდინებების პირობებში გაგრძელდა 2023 წელსაც - საქართველოს ეროვნულმა ბანკმა სავალუტო ბაზარზე 1,474 მლნ აშშ დოლარი შეისყიდა, ხოლო გაყიდა 194.9 მლნ აშშ დოლარი, რის შედეგადაც ეროვნული ბანკის საერთაშორისო რეზერვები წლიურად კიდევ 2.2%-ით, რეკორდულ 5.0 მლრდ აშშ დოლარამდე გაიზარდა. პოლიტიკურად დაძაბული 2024 წლის განმავლობაში, ლარის მიმართ გაუარესებული მოლოდინებით გამოწვეული დეპოზიტების ეროვნულიდან უცხოურ ვალუტაში მოცულობითი კონვერტაციების ფონზე, ეროვნულ ბანკს კურსის ჭარბი მერყეობის შესარბილებლად სავალუტო რეზერვებიდან 917.4 მილიონი აშშ დოლარის გაყიდვა მოუწია, რომლის

დიდი ნაწილიც საპარლამენტო არჩევნების წინ - სექტემბერ-ოქტომბერში განახორციელა. ამავდროულად, სებ-მა წლის განმავლობაში ბაზრისგან შეისყიდა 486.3 მილიონი აშშ დოლარი. 2024 წლის დეკემბრის მდგომარეობით ინტერვენციების შედეგად ეროვნული ბანკის მთლიანი საერთაშორისო რეზერვები წინა წელთან შედარებით 11.2%-ით, 4.4 მილიარდ აშშ დოლარამდე შემცირდა და საერთაშორისო სავალუტო ფონდის (IMF) შეფასებით, ადეკვატურობის ზღვარს ჩამოსცდა. რეზერვების შესავსებად, ეროვნული ბანკი გასული წლის ნოემბერ-დეკემბერში უცხოური ვალუტის შესყიდვას დაუბრუნდა, პოლიტიკური დაძაბულობის მომატების ფონზე კი, ლარი აშშ დოლართან მიმართებით წლიურად 4.4%-ით გაუფასურდა. შიდაპოლიტიკური გარემოს შედარებითი სტაბილიზაციის, გაუმჯობესებული საგარეო შემოდინებებისა და გლობალურად გაუფასურებული აშშ დოლარის ფონზე, 2025 წლის მარტი-ივლისის პერიოდში სებ-მა მნიშვნელოვნად გაზარდა სავალუტო შესყიდვების მასშტაბი და ბაზარზე დამატებით 1.3 მილიარდი აშშ დოლარი შეიძინა, რის შედეგადაც მთლიანი რეზერვების მოცულობამ კვლავ გადააჭარბა 5 მილიარდ დოლარს. ამასთან, 31 აგვისტოს მდგომარეობით, ლარის კურსი დოლართან მიმართებით 4.1%-ით გამყარდა.

გარდა რეზერვებისა, ლარის ნებისმიერი არასტაბილურობა დამოკიდებულია არაერთ პოლიტიკურ და ეკონომიკურ ფაქტორზე, მათ შორის, ეროვნული ბანკის მხრიდან ინფლაციის კონტროლზე. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის (შემდგომში „საქსტატი“) შეფასებით, საქართველოში სამომხმარებლო ფასების საშუალო წლიური ინფლაცია 2020 წელს 5.2% იყო, 2021 წელს 9.6%, 2022 წელს 11.9%, 2023 წელს 2.5%, ხოლო 2024 წლის განმავლობაში საშუალო წლიურმა ინფლაციამ 1.1% შეადგინა. საკვებ პროდუქტებსა და ენერგომატარებლებზე გლობალურად გაზრდილი ფასების ფონზე, 2021 წლის გაზაფხულიდან ინფლაციურმა წნეხმა მნიშვნელოვნად მოიმატა და 2021 წლის ივლისში წლიურმა ინფლაციამ 11.9% შეადგინა. ინფლაციის ზრდის საპასუხოდ ეროვნულმა ბანკმა მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი 2021 წლის მაისიდან 2022 წლის მარტის ჩათვლით პერიოდში, ჯამურად 300 საბაზისო პუნქტით 11.0%-მდე გაზარდა. 2022 წლის დასაწყისიდან, საკვებისა და ენერგომატარებლების რუსეთ-უკრაინის ომით გამოწვეული კიდევ უფრო გაზრდილი ფასების ფონზე ინფლაციამ ზრდა განაგრძო. 2022 წლის გაზაფხულიდან აღნიშნულ ფაქტორებს დაემატა ქირის ზრდაც, რაც მნიშვნელოვანწილად მიგრანტების მხრიდან უმრავლესობაზე გაზრდილი მოთხოვნით იყო განპირობებული. 2022 წელს საშუალო წლიურმა ინფლაციამ 11.9% შეადგინა. ხანგრძლივად მაღალი ინფლაციის საპასუხოდ ეროვნულმა ბანკმა მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი 11.0%-იან ნიშნულზე 2023 წლის მაისამდე შეინარჩუნა. იყო პერიოდები, როცა ინფლაციის მაღალ დონეს მეტწილად საგარეო ფაქტორები განაპირობებდა, თუმცა იმ პერიოდებში მონეტარული პოლიტიკის გამკაცრება სებ-ს გარკვეულწილად დაეხმარა ინფლაციის დონის მართვაში. ხოლო საშინაო ფაქტორების კონტრიბუციის ზრდასთან ერთად, გამკაცრებული მონეტარული პოლიტიკა და სტაბილურად მყარი ლარი მნიშვნელოვნად ეხმარებოდა სებ-ს ინფლაციის მიზნობრივ დონესთან დაბრუნებაში. 2023 წლის მარტიდან ინფლაციამ მკვეთრი შენელება დაიწყო, რომელიც მაისიდან ჩამოსცდა 3.0%-იან მიზნობრივ დონეს და 2023 წლის დეკემბერში წლიურმა ინფლაციამ 0.4% შეადგინა. ინფლაციის შემცირებაზე ძირითადად გავლენა ჰქონდა გლობალურ ბაზრებზე საკვების და ნავთობის ფასების კლებას, ასევე საერთაშორისო ტრანსპორტირების ღირებულების შემცირებას, ლარის გამყარებას, მკაცრ მონეტარულ პოლიტიკასა და ფისკალური დეფიციტის შემცირებას. მას შემდეგ, რაც ინფლაცია მის მიზნობრივ დონეს ჩამოსცდა, ეროვნულმა ბანკმა დაიწყო მონეტარული პოლიტიკის შერბილება და 2023 წლის მაისიდან 2024 წლის ივნისამდე პერიოდში რეფინანსირების განაკვეთი ჯამურად 3.00 პროცენტული პუნქტით 8.00%-მდე შეამცირა. 2024 წლის მეორე ნახევრიდან, წინა წლის დაბალი საბაზო ეფექტისა და ადგილობრივი ინფლაციური წნეხის ფონზე, ინფლაციამ კვლავ ზრდა დაიწყო, და 2025 წლის აგვისტოს მდგომარეობით 4.6%-ს უტოლდება, რაც სებ-ის სამიზნე 3%-იან ნიშნულს გარკვეულწილად აღემატება. ინფლაციის მიზნობრივ დონეზე შენარჩუნებას მნიშვნელოვანი როლი აქვს ეკონომიკის სტაბილური განვითარებისათვის. მაღალმა ინფლაციამ შეიძლება გამოიწვიოს სავალუტო და ფინანსური ბაზრების არასტაბილურობა, მომხმარებლების მსყიდველობითი უნარის დაქვეითება და მათი ნდობის შემცირება. ამ ყველაფერს კი შეუძლია განაპირობოს საქართველოს ეკონომიკური მაჩვენებლების გაუარესება და არსებითი უარყოფითი გავლენა მოახდინოს კომპანიის კლიენტებზე, რაც, თავის მხრივ, უარყოფითად აისახება კომპანიაზე.

31. ვინაიდან კომპანია მხოლოდ საქართველოში ოპერირებს, ცვლილებებმა საქართველოს ეკონომიკაში მის საქმიანობაზე შესაძლოა მნიშვნელოვანი გავლენა იქონიოს.

კომპანია ოპერაციებს საქართველოში აწარმოებს და მთელი მისი შემოსავლები საქართველოდანაა. კომპანიის ოპერაციების შედეგებზე მნიშვნელოვნად ზემოქმედებს საქართველოში მიმდინარე ან საქართველოსთან დაკავშირებული ფინანსური და ეკონომიკური მოვლენები, განსაკუთრებით საქართველოს ეკონომიკური აქტივობა, და ეს ზემოქმედება მომავალშიც გაგრძელდება. ისეთი ფაქტორები, როგორებიცაა მთლიანი შიდა პროდუქტი (მშპ), ინფლაცია, საპროცენტო განაკვეთი და ვალუტის გაცვლის კურსი, ასევე, უმუშევრობა, პირადი შემოსავალი და

კომპანიების ფინანსური მდგომარეობა, მნიშვნელოვან ზემოქმედებას ახდენს კომპანიის პროდუქტებსა და სერვისებზე მომხმარებლის მოთხოვნაზე.

კოვიდ-19 პანდემიიდან მომდინარე კრიზისმა მნიშვნელოვანი ნეგატიური გავლენა მოახდინა საქართველოს ეკონომიკაზე, რაც მნიშვნელოვნად შეეხო ტურიზმის სექტორს, რომლის წილი საქართველოს ეკონომიკაში საგრძნობლად მაღალია. საქსტატის წინასწარი მონაცემებით, 2020 წელს საქართველოს ეკონომიკა 6.3%-ით შემცირდა 2019 წელთან შედარებით. ამასთან, კორონავირუსის პანდემიის მართვისთვის დაწესებული შეზღუდვების ეტაპობრივი მოხსნის შედეგად, 2021 წლის მარტიდან საქართველოს ეკონომიკის გაჯანსაღება დაიწყო და 2021 წელს საქართველოს ეკონომიკა 2020 წელთან შედარებით 10.6%-ით გაიზარდა, ხოლო 2019 წლის დონესთან შედარებით - 3.7%-ით. 2022 წლის დასაწყისში რუსეთ-უკრაინის ომმა გაზარდა ბუნდოვანება, შეფერხებები ვაჭრობაში და ნედლეულის ფასები, რამაც განსაკუთრებულად უარყოფითი გავლენა მოახდინა რეგიონზე. ომის მოსალოდნელმა უარყოფითმა შედეგებმა ქართულ ეკონომიკაზე გამოიწვია ეკონომიკის ზრდის მიმართ მოლოდინების გაუარესება. მიუხედავად ამისა, მას შემდეგ, რაც საქართველოს ეკონომიკამ მდგრადობა გამოავლინა რეგიონული შოკისადმი და შეინარჩუნა კაპიტალის შემოდინებისა და ქვეყნისშიდა ეკონომიკური აქტივობის დონე, ზრდის მაჩვენებლებმა გაუმჯობესება დაიწყო. ტურიზმმა სტაბილური ტემპით დაიწყო აღდგენა ექსპორტის ზრდის პარალელურად, რაც, თავის მხრივ, ნედლეულზე მომატებული ფასებითა და მზარდი რეექსპორტით იყო განპირობებული. ადგილობრივ ბაზარზე ერთობლივი მოთხოვნა მყარი იყო, რასაც ხელს უწყობდა მთლიანი საკრედიტო პორტფელის ჯანსაღი ზრდა და ფისკალური დანახარჯები. საქსტატის მონაცემებზე დაყრდნობით, რეალური მშპ-ის წლიურმა ზრდამ 2022 წელს 11.0% შეადგინა, რაც ძირითადად რეკორდულად მაღალმა სავალუტო შემოდინებებმა განაპირობა. ამ შემოდინებების გარკვეული ნაწილი უკავშირდება რუსეთ-უკრაინის ომის დაწყებიდან მიგრანტების მიერ კაპიტალის რეალოკაციას რეგიონში და მათ შორის საქართველოშიც. ზედიზედ ორწლიანი ორნიშნა ზრდის შემდეგ, სტაბილური საგარეო შემოდინებებისა და ინფლაციის სწრაფად შემცირების ფონზე, 2023 წელს ეკონომიკური ზრდა შედარებით ნორმალური იქნა 7.8%-მდე, ხოლო 2024 წელს, მეტწილად კრედიტით დაფინანსებული შიდა მოხმარებისა და ტურიზმის ხარჯზე, რეალური მთლიანი შიდა პროდუქტი კვლავ მნიშვნელოვნად, წლიურად 9.4%-ით გაიზარდა. შიდაპოლტიკურმა დამაბულობამ 2024 წლის ბოლოსა და 2025 წლის დასაწყისში ზომიერი გავლენა იქონია ადგილობრივ აქტივობასა და საგარეო შემოდინებებზე, თუმცა დაახლოებით 2025 წლის მარტიდან, ხარჯვის დინამიკაში მკვეთრი გაუმჯობესება შეინიშნება, ეკონომიკური ზრდა კი, საქსტატის წინასწარი მონაცემებით, კვლავ მაღალი რჩება და პირველ შვიდ თვეში საშუალოდ 8.0%-ს უტოლდება.

ამ ფონზე, საქართველოს ეკონომიკური ზრდის პერსპექტივა კვლავ მნიშვნელოვანი საფრთხეების წინაშე დგას, მათ შორის გაცვლითი კურსის მერყეობის, ფინანსური სტაბილურობის შესუსტების, ინფლაციის, ბიუჯეტის შესრულებისა და კაპიტალის გადინების რისკების წინაშე. ამასთან, ეკონომიკური ზრდაზე უარყოფითად მოქმედებს ხშირი პოლიტიკური არასტაბილურობა, რამაც შეიძლება დააყოვნოს უცხოური ინვესტიციების მოზიდვა ქვეყანაში. საბაზრო კრიზისმა და ეკონომიკის გაუარესებამ საქართველოში შეიძლება მომხმარებლების მხრიდან დანახარჯების შემცირება გამოიწვიოს და სერიოზული უარყოფითი გავლენა მოახდინოს საქართველოში კომპანიის მომხმარებელთა ლიკვიდურობასა და ფინანსურ მდგომარეობაზე. არასტაბილურმა გლობალურმა ეკონომიკურმა გარემომ შეიძლება გამოიწვიოს მნიშვნელოვანი პოლიტიკური და მაკროეკონომიკური რეფორმები მსოფლიო მასშტაბით, რაც, თავის მხრივ, მნიშვნელოვან გავლენას იქონიებს საქართველოს ეკონომიკაზე, რაც შესაბამისად უარყოფით გავლენას მოახდენს კომპანიის ბიზნესზე, ფინანსურ მდგომარეობასა და ოპერაციების შედეგებზე.

32. რეგიონულმა დამაბულობამ შეიძლება უარყოფითად იმოქმედოს ადგილობრივ ეკონომიკასა და კომპანიის ბიზნესზე.

საქართველო რუსეთს, აზერბაიჯანს, სომხეთსა და თურქეთს ესაზღვრება და ამ ქვეყნებთან მჭიდრო ეკონომიკური ურთიერთობები აქვს. გარდა ამისა, ქვეყნის საერთაშორისოდ აღიარებულ საზღვრებში მოქცეულია რუსეთის მიერ ოკუპირებული ორი სეპარატისტული ტერიტორია - აფხაზეთი და ცხინვალის რეგიონი (ე.წ სამხრეთ ოსეთი). რეგიონსა და თითოეულ მოსაზღვრე ქვეყანაში პოლიტიკურმა დამაბულობამ შეიძლება უარყოფითად იმოქმედოს საქართველოს ეკონომიკაზე და შესაბამისად, „კომპანიაზე“.

„გაყინულ“ კონფლიქტებს სამხრეთ კავკასიის რეგიონში დამაბულობის კერების პერიოდული გაჩენა ახასიათებთ, რაც ძაბავს პოლიტიკურ გარემოს და გამოიხატება, მათ შორის, დიპლომატიური ურთიერთობების არარსებობაში საქართველოსა და რუსეთის ფედერაციას, ანდაც სომხეთსა და აზერბაიჯანს შორის. კონფლიქტები ძირითადად ეთნიკური ხასიათისაა და ჯერ კიდევ საბჭოთა კავშირის დაშლამდე იღებს სათავეს. 1990-იან წლებში აფხაზეთსა და

ცხინვალის რეგიონში მიმდინარე კონფლიქტებსა და საომარ მოქმედებებში რუსეთის არაპირდაპირი ჩართულობის შემდეგ, საქართველოს ნატოსა (ჩრდილო ატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაცია) და ევროკავშირში ინტეგრაციისკენ მისწრაფებამ ქვეყნებს შორის დამაბულობის ახალი კერა გააჩინა, ვინაიდან რუსეთი ღიად ეწინააღმდეგებოდა გეოპოლიტიკური სურათის შეცვლას აღმოსავლეთ ევროპაში. პოლიტიკური ურთიერთობების დამაბუვის ფონზე, 2006 წელს რუსეთმა საქართველოს სავაჭრო ემბარგო დაუწესა, 2008 წლის აგვისტოში კი რუსეთის ჯარების მიერ საქართველოს საერთაშორისოდ აღიარებული საზღვრების გადმოკვეთას ორ ქვეყანას შორის 5 დღიანი ომი მოჰყვა. ამავდროულად, რუსეთმა დამოუკიდებელ სახელმწიფოებად აღიარა აფხაზეთი და ე.წ სამხრეთ ოსეთი და საკუთარი ჯარები განალაგა მათ ტერიტორიაზე. ამას ოკუპირებული ტერიტორიების საზღვრების ჩაკეტვა და ცხინვალის რეგიონის შემთხვევაში ე.წ მცოცავი ოკუპაცია მოჰყვა, პერიოდულად ფიქსირდება ე.წ მესაზღვრეების მიერ საზღვრის მიმდებარე ტერიტორიაზე მცხოვრები საქართველოს მოქალაქეების გატაცებისა და წამების შემთხვევები.

თბილისში მიმდინარე მასობრივი ანტი-რუსული დემონსტრაციების ფონზე 2019 წლის 8 ივლისიდან რუსეთიდან საქართველოს მიმართულებით პირდაპირი საჰაერო ფრენები აიკრძალა, რამაც მნიშვნელოვნად დააზარალა ტურიზმის სექტორი. ამავდროულად, რუსეთიდან ტურისტული ნაკადების შემცირებამ მნიშვნელოვანი გავლენა იქონია სავალუტო ბაზარზე. საქართველოს ეროვნული ბანკის შეფასებით რუსეთიდან პირდაპირი საჰაერო ფრენების აკრძალვით ქვეყანამ ტურიზმიდან დაახლოებით 300 მლნ აშშ დოლარით ნაკლები შემოსავალი მიიღო მოსალოდნელთან შედარებით. რუსეთსა და საქართველოს შორის პირდაპირი ფრენები 2023 წლის მაისში აღდგა. 2022 წელს, უკრაინაში ომის დაწყების შემდეგ, საქართველო შეუერთდა რუსეთზე დაწესებულ საერთაშორისო სანქციებს, თუმცა ხელისუფლებას არ შემოუღია დამატებითი შეზღუდვები, იმ მოტივით რომ ადგილობრივი ეკონომიკური სანქციები თავად საქართველოს ეკონომიკას დააზარალებდა.

შიდაპოლიტიკური კრიზისი, ოკუპირებულ ტერიტორიებსა და რუსეთთან ურთიერთობაში კვლავ არსებული დამაბულობა, საგარეო პოლიტიკური კურსის გარშემო არსებული ბუნდოვანება, რუსეთ-უკრაინის ომისა და მისი შესაძლო დასრულების შემდეგ გეოპოლიტიკური და ეკონომიკური ცვლილებების მოლოდინი კვლავ მნიშვნელოვან გავლენას ახდენს და პოტენციურ საფრთხეებსაც წარმოქმნის საქართველოს და ზოგადად რეგიონის ეკონომიკური სტაბილურობისა და ბიზნეს და საინვესტიციო გარემოსათვის.

2022 წლის თებერვალში რუსეთის უკრაინაში შეჭრა საყურადღებო რისკის წყაროს წარმოადგენს საქართველოსთვის ეკონომიკური კუთხითაც. ამ ომმა უკვე გამოიწვია ჰუმანიტარული კრიზისი და დიდი ეკონომიკური ზარალი მიაყენა არამხოლოდ ომში ჩართული ქვეყნების ეკონომიკებს, არამედ - რეგიონსა და მსოფლიოს. ფართომასშტაბიანმა სამხედრო კონფლიქტმა და რუსეთისთვის დაწესებულმა თანმდემა დასავლურმა სანქციებმა რეგიონული და გლობალური ეკონომიკა ნედლეულის ბაზრების, ვაჭრობისა და ფინანსური არხების გავლით დააზარალა. ომის დაწყებასთან ერთად საწვავისა და საკვების ფასები გაიზარდა, რამაც კიდევ უფრო შეუწყო ხელი ისედაც მზარდი ინფლაციის კიდევ უფრო გაზრდას. ფასებზე გაზრდილი წნეხის პასუხად, დასავლურმა ცენტრალურმა ბანკებმა გაზარდეს საპროცენტო განაკვეთები, რამაც გლობალური ფინანსური მდგომარეობა კიდევ უფრო დაამძიმა. გლობალური ვითარება შედარებით დასტაბილურდა 2024 წელს, როდესაც შემცირებული ინფლაცია საერთაშორისო ბაზრებზე საპროცენტო განაკვეთების შემცირების დაწყების მიზეზი გახდა. საქართველო ღია ეკონომიკაა, რომელიც ჩართულია გლობალურ და რეგიონულ ეკონომიკურ პროცესებში. ამ ფონზე, ქვეყნის ეკონომიკურ ზრდაზე პოზიტიურად აისახა სავაჭრო და მიგრაციული ნაკადების გადანაცვლება. გასულ წლებში მიგრაციის ეფექტის მნიშვნელოვანი დადებითი კონტრიბუციის ფონზე, რაიმე მიზეზით მიგრანტების მასობრივი გადინების შემთხვევაში ქვეყანაში ბიზნეს და ეკონომიკური გარემოს გაუარესების რისკი წარმოიქმნება. თუმცა, მეორე მხრივ, კონფლიქტის სწრაფი მოგვარების შემთხვევაში, რუსეთისა და უკრაინის ეკონომიკური აქტივობის აღდგენას დადებითი გავლენა ექნება საქართველოს ეკონომიკაზეც.

საქართველოს ეკონომიკისთვის რისკის მატარებელია სომხეთსა და აზერბაიჯანს შორის არსებული დამაბულო პოლიტიკური ურთიერთობაც. მთიანი ყარაბაღის კონფლიქტი აქტიურ დაპირისპირებებში გადაიზარდა 2016 და 2020 წლებში. 2023 წლის სექტემბერში, ფართომასშტაბიანი საომარი მოქმედებები აზერბაიჯანის მიერ მთიანი ყარაბაღის რეგიონზე სრული კონტროლის აღდგენით დასრულდა, რასაც 100,000-მდე ეთნიკურად სომეხი მოქალაქის მიერ რეგიონის დატოვება და სომხეთში გადასახლება მოჰყვა. დღეისთვის სომხეთი აღიარებს აზერბაიჯანის ტერიტორიულ მთლიანობას მთიანი ყარაბაღის რეგიონის ჩათვლით და კონფლიქტის განახლების რისკი შემცირებულია, თუმცა სომხეთ-აზერბაიჯანის საზღვრის გარშემო შეუთანხმებლობა კვლავ რჩება დამაბულობის წყაროდ.

ამასთან, აღსანიშნავია 2023 წლის ოქტომბერში დაწყებული ისრაელ-პალესტინის კონფლიქტი და 2025 წლის ივნისში გამწვავებული ირან-ისრაელის დაპირისპირება ახლო აღმოსავლეთში, რომლის ფართომასშტაბიან ომში გადაზრდის

რისკი შემცირებულია, თუმცა ესკალაციის ცალკეული შემთხვევები რეგიონში დაძაბულ ვითარებას კვლავ ინაწუნებს. მსგავსი რისკის რეალიზებამ შესაძლოა გამოიწვიოს საერთაშორისო ბაზრებზე სურსათის, ნავთობის და სხვა ნედლეულის ფასების ზრდა, სატვირთო გადაზიდვების შეფერხება, შეანელოს მსოფლიო სავაჭრო ბრუნვა და გაზარდოს გლობალური რეცესიის ალბათობა. საქართველოს ეკონომიკაზე ამ პროცესების პირდაპირი და არაპირდაპირი ეფექტები არსებითად უარყოფითი შესაძლოს აღმოჩნდეს - გამოიწვიოს ინფლაციის დაჩქარება, ლარის გაუფასურება, ფისკალური და ფინანსური მაჩვენებლების გაუარესება და საბოლოოდ ეკონომიკური ზრდის შემცირება.

ასევე, საქართველოს პოლიტიკურ თუ ეკონომიკურ სტაბილურობაზე შეიძლება იმოქმედოს ნებისმიერმა ვითარებამ ქვემოთ ჩამოთვლილთაგან:

- რუსეთთან საქართველოს ურთიერთობების, მათ შორის სასაზღვრო და ტერიტორიულ დავებთან დაკავშირებული ურთიერთობის, გაუარესება;
- ცვლილებები საქართველოს, როგორც ენერგომატარებლების სატრანზიტო ქვეყნის, მნიშვნელობაში;
- ცვლილებები საქართველოსთვის გაწეული დახმარების მოცულობაში ან ქართველი მწარმოებლების შესაძლებლობაში, ხელი მიუწვდებოდეთ მსოფლიოს საექსპორტო ბაზრებზე;
- რეგიონის ქვეყნებს შორის ურთიერთობების მნიშვნელოვანი გაუარესება;
- რეგიონის ქვეყნებში ეკონომიკური და ფინანსური მდგომარეობის გაუარესება.

3.3. საქართველოს მეზობელი ბაზრების მკვეთრ დასუსტებას შესაძლოა უარყოფითი გავლენა ჰქონდეს საქართველოს ეკონომიკაზე.

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს ეკონომიკა დივერსიფიცირებულია და არ იკვეთება მნიშვნელოვანი დამოკიდებულება მხოლოდ ერთ რომელიმე სავაჭრო პარტნიორზე, როგორც ღია ეკონომიკა, საქართველო მოწყვლადია გლობალური, განსაკუთრებით კი უშუალო სამეზობლოსა და მახლობელ რეგიონში არსებული შესაძლო ფინანსური, პოლიტიკური და ეკონომიკური არასტაბილურობის მიმართ, რასაც შეუძლია გაზარდოს ინფლაციური წნეხი, უარყოფითად იმოქმედოს ქვეყანაში ინვესტიციებზე, საგარეო შემოდინებებსა და ლარის გაცვლით კურსზე და შეაფერხოს ეკონომიკური ზრდა.

უშუალო მეზობლები - აზერბაიჯანი და სომხეთი ისტორიულად წარმოადგენდა ორ უდიდეს ბაზარს საქართველოს ექსპორტისათვის. საქსტატის მიხედვით, მათი წილი საქართველოს მთლიან ექსპორტში, 2023 წელს შეადგენდა 14.2%-სა და 12.9%-ს, 2024 წელს 11.0%-სა და 9.4%-ს, 2025 წლის პირველ შვიდ თვეში კი 10.4%-სა და 7.6%-ს, შესაბამისად. ბოლო წლებში, ორ მეზობელ სახელმწიფოში ეკონომიკური ვითარება განსხვავებულად განვითარდა. საქართველოს მსგავსად, მიგრაციული და კაპიტალის ნაკადის შედინებამ, სომხეთის ეკონომიკის ზრდას დამატებითი ბიძგი მისცა და 2022 წელს სომხური დრამის დაახლოებით 22.4%-ით გამყარება გამოიწვია აშშ დოლარის მიმართ. დრამი 2023 წელს, გაზრდილი გეოპოლიტიკური რისკების ფონზე 2.8%-ით გაუფასურდა, 2024 წლის განმავლობაში კი კვლავ აღიდგინა პოზიცია და დაახლოებით 2.1%-ით გამყარდა. ამის საპირსპიროდ, აზერბაიჯანის ეკონომიკა, 2020 წლიდან კერძო პირებისთვის დახურული სახმელეთო საზღვრის ფონზე, მნიშვნელოვნად დამოკიდებული დარჩა ნავთობის ინდუსტრიაზე. მათ შორის გლობალური სასაქონლო ბაზრის მერყეობის გავლენით, აზერბაიჯანის ეკონომიკური ზრდა ბოლო წლებში შედარებით სუსტი იყო და 2023 წელს 1.4%, 2024 წელს კი 4.1% შეადგინა.

საქართველოს ერთ-ერთ უმსხვილეს სავაჭრო პარტნიორად რჩება რუსეთიც. საქსტატის მიხედვით, რუსეთის წილი მთლიან ექსპორტში 2023 წელს 10.8%-ს, 2024 წელს 10.4%-ს, 2025 წლის პირველ შვიდ თვეში კი 10.7%-ს, ხოლო საქართველოს იმპორტში 2023 წელს 11.2%-ს, 2024 წელს 10.9%-ს, 2025 წლის შვიდ თვეში კი 10.5%-ს შეადგენდა. მსოფლიო სავალუტო ფონდის (IMF) შეფასებით 2022 წელს რუსეთის ეკონომიკა 1.2%-ით შემცირდა. ფონდისავე შეფასებით, რუსეთის ეკონომიკა დაახლოებით 3.6%-ით გაიზარდა 2023 წელს და მსგავსი ტემპი შეინარჩუნა 2024 წელსაც, თუმცა პოზიტიური ზრდა მნიშვნელოვნად განაპირობა სამხედრო სექტორის მაღალმა კონტრიბუციამ, რომელზე გაწეულმა საბიუჯეტო ხარჯებმაც 2023 წელს რუსეთის მთლიანი შიდა პროდუქტის 5.8%-ს მიაღწია.

მერყეობას ინარჩუნებს რუსული რუბლიც, რომელიც ენერგომატარებლებზე დასავლური სანქციების შედეგად საბიუჯეტო შემოსავლების შემცირების ფონზე აშშ დოლართან მიმართებით 2023 წელს 22%-ით გაუფასურდა, 2024 წელს კი კურსის ვარდნამ თითქმის 19%-ს მიაღწია. ამის საპირსპიროდ, მიმდინარე წლის ხუთ თვეში, აშშ დოლარის გლობალურად დასუსტებისა და რუსეთსა და დასავლურ ქვეყნებს შორის ურთიერთობის გაუმჯობესების მოლოდინების ფონზე, 31 აგვისტოს მდგომარეობით, რუსული რუბლი დოლართან მიმართებით 29%-ით გამყარდა, რაც ერთი მხრივ ნაწილობრივ შემაცირებს გაზრდილ ინფლაციურ წნეხს რუსეთში, თუმცა, მეორე მხრივ, ნავთობზე საერთაშორისო ფასების კლების გათვალისწინებით, დამატებითი დარტყმა ნავთობის ექსპორტზე დამოკიდებული ეკონომიკასთვის.

საქართველოს იმპორტის უდიდეს წყაროდ რჩება თურქეთი. საქსტატის მიხედვით 2023 წელს თურქეთის წილი საქონლის მთლიან იმპორტში 16.5%-ს, 2024 წელს 16.3%-ს, ხოლო 2025 წლის პირველ შვიდ თვეში 15.1%-ს შეადგენდა. სოლიდური ეკონომიკური ზრდის ტემპის შენარჩუნების მიუხედავად, ბოლო წლებში თურქეთის მთავრობის არატრადიციულმა მაკროეკონომიკურმა პოლიტიკამ ქვეყანაში ჰიპერინფლაციური გარემო შექმნა და მნიშვნელოვანი დარტყმა მიაყენა თურქული ლირის მიმართ სანდოობასა და, შესაბამისად, გაცვლით კურსს. ლირა აშშ დოლართან მიმართებით 2019 წლის ბოლოდან 2023 წლის ბოლოსთვის თითქმის 400%-ით გაუფასურდა. 2023 წლიდან მეტად ტრადიციული მაკროეკონომიკური პოლიტიკის აღდგენისა და თურქეთის ეროვნული ბანკის მიერ მონეტარული პოლიტიკის განაკვეთის 8.5%-დან 50.0%-მდე გაზრდის მიუხედავად, ლირის გაუფასურება 2024 წელსაც გაგრძელდა და დოლართან მიმართებით ღირებულების 16.3% დაკარგა. მაღალი საპროცენტო განაკვეთებისა და ინფლაციის ფონზე, 2024 წელს გამოიკვეთა ეკონომიკური ზრდის შედარებით შესუსტებაც, რომელიც მსოფლიო სავალუტო ფონდის შეფასებით 2023 წელს დაფიქსირებული 5.1%-დან 3%-მდე შემცირდა.

უშუალო სამეზობლოს გარდა, საქართველოს უმთავრესი სავაჭრო პარტნიორი ევროკავშირია, რასაც 2014 წელს ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმების (DCFTA) გაფორმებამაც შეუწყო ხელი. ევროკავშირზე 2023 წელს საქართველოს მთელი სასაქონლო იმპორტის 24.5%, ხოლო ექსპორტის 11.6% მოდიოდა, 2024 წელს 27.2% და 8.7%, 2025 წლის პირველ შვიდ თვეში კი 24.8% და 11.2%, შესაბამისად. ევროკავშირის წილი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ქვეყანაში ფულადი შემოდინებების ისეთ წყაროებში როგორიცაა ფულადი გზავნილები და ტურიზმი. ევროკავშირიდან მიღებული გზავნილების წილი 2023 წელს საქართველოში გადმორიცხული თანხების 31.5%-ს, 2024 წელს 42.9%-ს, 2025 წლის პირველ შვიდ თვეში კი 44.5%-ს შეადგენდა. ეროვნული ბანკის შეფასებით, ტურიზმიდან მიღებულ შემოსავლებში ევროკავშირის წილი 2023 წელს 13.3%-ს, 2024 წელს 12.9%-ს, 2025 წლის პირველ ნახევარში კი 14.1%-ს გაუტოლდა.

რეგიონის ქვეყნებზე მნიშვნელოვანი დამოკიდებულება და ამ ქვეყნებში შესაძლო პოლიტიკური და ეკონომიკური გამოწვევები საქართველოს შემდგომი ეკონომიკური ზრდისათვის პოტენციურ დაბრკოლებებს წარმოადგენს. მსგავსი გამოწვევების შედეგად შესაძლოა შემცირდეს საქართველოს სავაჭრო ბრუნვა, ქვეყანაში განხორციელებულ უცხოურ ინვესტიციები და დაზიანდეს ზოგადი ეკონომიკური სტაბილურობა. თავის მხრივ, მსგავსი განვითარება უარყოფითად იმოქმედებს „კომპანიის“ საქმიანობაზე, შეამცირებს რა მომხმარებელთა მოთხოვნასა და შემოსავლებს, გაზრდის საოპერაციო ხარჯებს, გააუარესებს ზოგად ბიზნესგარემოს ქვეყანაში და სხვ.

34. შესაძლოა თავი იჩინოს გამოწვევებმა, რომლებიც დაკავშირებული იქნება საქართველოს კანონმდებლობის ევროკავშირის კანონმდებლობასთან ჰარმონიზაციით, რასაც თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ ღრმა და ყოვლისმომცველი შეთანხმება მოითხოვს.

2014 წლის 27 ივნისს საქართველომ ხელი მოაწერა ევროკავშირთან ასოცირების შესახებ შეთანხმებას და ამოქმედდა ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცე ევროკავშირთან, რაც ითვალისწინებს ევროკავშირთან ორმხრივი ვაჭრობის ლიბერალიზაციას. მოსალოდნელია, რომ ევროკავშირთან გაფორმებული ასოცირების შესახებ

შეთანხმების განხორციელება წარმოქმნის ახალ შესაძლებლობებს ბიზნესისათვის, თუმცა შესაძლოა გამოწვევებიც შექმნას საწარმოებისათვის, საოჯახო მეურნეობებისა და სახელმწიფოსათვის. ევროკავშირთან ხელმოწერილი ასოცირების შესახებ შეთანხმებისა და თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ ღრმა და ყოვლისმომცველი შეთანხმების განხორციელებისათვის საჭიროა, რომ საქართველომ მოახდინოს თავისი კანონმდებლობის შესაბამისობის დამყარება ევროკავშირის სავაჭრო და სექტორულ კანონმდებლობასთან, რაც გამოწვევებთან იქნება დაკავშირებული, განსაკუთრებით გარემოს დაცვისა და მომხმარებლის უსაფრთხოების, მათ შორის პროდუქტისა და ინფორმაციის უსაფრთხოებასთან დაკავშირებულ სფეროებში. აღნიშნულიდან გამომდინარე, ემიტენტის საქმიანობის მიმართ არსებული საკანონმდებლო მოთხოვნების ჭრილში, მნიშვნელოვანი ცვლილებები შევიდა ან შესაძლოა შევიდეს კორპორაციული სამართლისა თუ ფასიანი ქაღალდების ბაზრის კანონმდებლობებში:

საქართველოს კანონი „მეწარმეთა შესახებ“: 2021 წლის 02 აგვისტოს საქართველოს პარლამენტმა მიიღო მეწარმეთა შესახებ საქართველოს კანონის ახალი რედაქცია („ახალი მეწარმეთა კანონი“), რომელიც ამოქმედდა 2022 წლის 01 იანვრიდან. განახლებული კანონმდებლობა მნიშვნელოვან გავლენას იქონიებს საწარმოთა რეგისტრაციის, სადამფუძნებლო დოკუმენტების, კორპორაციული მართვისა და სხვა საკითხების საკანონმდებლო რეგულაციაზე. საწარმოს ხელმძღვანელობასთან მიმართებით, კანონში ასევე მნიშვნელოვნად არის წარმოდგენილი კორპორაციული მართვის თანამედროვე პრინციპები. განახლებული კანონის ფარგლებში ხდება კაპიტალის ტიპების გამიჯვნა, საქმიანი წერილის ცნების შემოტანა, განიმარტება დირექტორსა და საწარმოს შორის არსებული ურთიერთობის სამართლებრივ ბუნება და ა.შ.

ფასიანი ქაღალდების ბაზრის კანონმდებლობა: ევროასოცირების ხელშეკრულების ფარგლებში ხდება ფასიან ქაღალდებთან დაკავშირებული კანონმდებლობის დაახლოება ევროპის კანონმდებლობასთან. მაგალითისთვის, 2020 წელს ძალაში შევიდა მთელი რიგი საკანონმდებლო ცვლილებები, რომლებიც სწორედ ევროპის კანონმდებლობასთან დაახლოების მიზანს ემსახურებოდა, მათ შორის: წესი ინსაიდერული ინფორმაციის გამოყენებით ვაჭრობის, ბაზრის მანიპულაციისა და ინსაიდერული ინფორმაციის არამართლზომიერი გამჟღავნების აკრძალვის შესახებ, ასევე შესაბამისი საკანონმდებლო ცვლილებით დაიხვეწა საჯარო ფასიანი ქაღალდების ემიტენტების გამჭვირვალობის ჩარჩო. განისაზღვრა მოთხოვნები მათ მიერ პერიოდული თუ მიმდინარე ანგარიშგებების წარდგენასა და გამოქვეყნებასთან დაკავშირებით.

გარდა ამისა, რაც საქართველო 2000 წელს ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის წევრი გახდა, იგი თანდათანობით ახდენდა თავისი სავაჭრო სფეროს კანონმდებლობის ჰარმონიზაციას ევროკავშირის ნორმებსა და პრაქტიკასთან. ბოლოდროინდელი ცვლილებები რეგულირებაში მოიცავს შრომის კოდექსში 2013 წელს შეტანილ ცვლილებებს, რომლებიც მიზნად ისახავდა საქართველოს შრომის სფეროში არსებული რეგულაციების დაახლოებას ევროკავშირთან ხელმოწერილი ასოცირების შესახებ შეთანხმებისა და თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ ღრმა და ყოვლისმომცველი შეთანხმების საფუძველზე ნაკისრ ვალდებულებებთან. აღნიშნული ცვლილებები დამსაქმებლებისგან მოითხოვდა ზეგანაკვეთურად ნამუშევარი საათების ანაზღაურებას, გაზრდილ კომპენსაციას სამსახურიდან გათავისუფლებისას (ერთიდან ორი თვის ხელფასის ოდენობით), მუშაკთა გაძლიერებულ უფლებებს დამსაქმებლების გადაწყვეტილებათა სასამართლოში გასაჩივრებისთვის, სამსახურიდან გათავისუფლების აკრძალვას მკაფიო მიზეზის გარეშე და გარანტირებულ საბაზისო სამუშაო პირობებს.

დამატებით, შესაძლოა ადგილი ჰქონდეს სხვა ცვლილებებს სამთავრობო პოლიტიკაში, მათ შორის ცვლილებებს ადრე გამოცხადებული სამთავრობო ინიციატივების განხორციელებაში ან მათდამი მიდგომაში. გარდა ამისა, ევროკავშირთან ხელმოწერილი ასოცირების შესახებ შეთანხმების განხორციელებამ შესაძლოა მნიშვნელოვანი ტვირთი დააკისროს მარეგულირებელ უწყებებს, მათი რესურსები მიმდინარე რეფორმებიდან სხვა მიმართულებით გადაიტანოს და შეანელოს მათი ეფექტიანობა.

ევროკავშირის კანონმდებლობასთან ჰარმონიზაციის მისაღწევად ან სხვა განხორციელებული, რეგულირების სფეროში მოსალოდნელი ცვლილებების შედეგად კომპანიას შესაძლოა მოეთხოვოს მისი პოლიტიკისა და პროცედურების შეცვლა კანონებსა და რეგულაციებში შეტანილ ნებისმიერ ცვლილებებთან შესაბამისობის დასამყარებლად. მაგალითად, კომპანიამ ცვლილებები შეიტანა თავის შრომით ხელშეკრულებებში, რათა აესახა შრომის კოდექსში შეტანილი ზემოხსენებული ცვლილებები. კომპანია ელის, რომ მოხდება კიდევ ახალი ცვლილებები, თუმცა მას არ შეუძლია იმის პროგნოზირება, თუ რამხელა ზეგავლენას მოახდენს მასზე ეს ცვლილებები ან რამდენად შეძლებს შესაბამისობის დამყარებას ნებისმიერ ასეთ ცვლილებებთან.

35. საქართველოს საგადასახადო სისტემაში არსებულმა ბუნდოვანებამ შესაძლოა მომავალში გამოიწვიოს კომპანიის საგადასახადო ვალდებულებების კორექტირება ან კომპანიისთვის ჯარიმების დაკისრება. ასევე შესაძლებელია, შეიცვალოს საქართველოში მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობა და პოლიტიკა.

საქართველოში პირველი საგადასახადო კოდექსი 1997 წელს იქნა მიღებული, ხოლო ამჟამად მოქმედი საგადასახადო კოდექსი 2010 წელსაა მიღებული და ძალაში 2011 წლის 1 იანვრიდან შევიდა. შედეგად, საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის აღსრულების გაცილებით უფრო მოკლე გამოცდილება გააჩნია ვიდრე განვითარებული საბაზრო ეკონომიკის მქონე ქვეყნებს, სადაც საგადასახადო კანონმდებლობის პრაქტიკა ათწლეულების და ზოგიერთ შემთხვევაში საუკუნეების განმავლობაში ჩამოყალიბდა. აღნიშნული ფაქტი წარმოშობს გამოწვევებს კომპანიების მიერ საგადასახადო კანონმდებლობის მოთხოვნების დაცვასთან დაკავშირებით, რამდენადაც აღნიშნული მოთხოვნები ხშირად გაუგებარია და არსებობს მათი სხვადასხვანაირი ინტერპრეტაციის შესაძლებლობა. შესაბამისად, კომპანიებისთვის არსებობს იმის რისკი, რომ საგადასახადო კანონმდებლობის მოთხოვნების დასაცავად მათ მიერ განხორციელებულ ქმედებებს საგადასახადო ორგანოები ჩათვლიან არასათანადოდ.

გარდა ამისა, საგადასახადო კანონმდებლობაში შედის ცვლილებები და შესწორებები, რამაც შეიძლება გამოიწვიოს უჩვეულო სირთულეები „კომპანიისა“ და მისი ბიზნესისთვის. ახალი საგადასახადო კოდექსი ძალაში შევიდა 2011 წლის 1 იანვარს. 2017 წლის 1 იანვრიდან ამოქმედდა ე. წ. „ესტონური მოდელი“, რომლის საფუძველზეც საწარმოები გათავისუფლდნენ მოგების გადასახადისგან გარდა იმ შემთხვევისა, როცა ისინი ახორციელებენ დივიდენდის გაცემას. უნდა აღინიშნოს, რომ ამ ეტაპისთვის „ესტონური მოდელი“ არ ვრცელდება საფინანსო სექტორზე. ამასთან, შეიცვალა „დღგ“-ს გადახდასთან დაკავშირებული რეგულაციები, მათ შორის, დამატებული ღირებულების გადასახადით დაბეგვრის ობიექტი გახდა ავანსები (გარდა გრძელვადიანი რეგულარული მომსახურების ფარგლებში გადახდილი ავანსებისა).

2018 წლის 1 იანვარს ძალაში შევიდა ცვლილებები საგადასახადო კანონში საჯარო შეთავაზების გზით ბირჟაზე დაშვებული ფასიანი ქაღალდებიდან მიღებული საპროცენტო შემოსავლის დაბეგვრასთან დაკავშირებით. კერძოდ, საგადასახადო კოდექსის 82-ე მუხლის თანახმად საშემოსავლო გადასახადით დაბეგვრისაგან თავისუფლდება რეზიდენტი იურიდიული პირის მიერ საქართველოში საჯარო შეთავაზების გზით გამოშვებული და საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ აღიარებულ ორგანიზებულ ბაზარზე სავაჭროდ დაშვებული სასესხო ფასიანი ქაღალდის მიწოდებით მიღებული შემოსავალი და რეზიდენტი იურიდიული პირის მიერ 2023 წლის 1 იანვრამდე (რომელიც 2022 წლის ბოლოს გაგრძელდა 2026 წლის 1 იანვრამდე) საქართველოში საჯარო შეთავაზების გზით გამოშვებული და საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ აღიარებულ ორგანიზებულ ბაზარზე სავაჭროდ დაშვებული სასესხო ფასიანი ქაღალდიდან პროცენტის სახით მიღებული შემოსავალი. ამასთან, კოდექსის 99-ე მუხლის თანახმად მოგების გადასახადისგან თავისუფლდება არარეზიდენტის მიერ რეზიდენტი იურიდიული პირის მიერ საქართველოში საჯარო შეთავაზების გზით გამოშვებული და საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ აღიარებულ ორგანიზებულ ბაზარზე სავაჭროდ დაშვებული სასესხო ფასიანი ქაღალდის მიწოდებით მიღებული შემოსავალი, რომელიც არ მიეკუთვნება საქართველოში ამ არარეზიდენტის მუდმივ დაწესებულებას და არარეზიდენტის მიერ რეზიდენტი იურიდიული პირის მიერ 2026 წლის 1 იანვრამდე საქართველოში საჯარო შეთავაზების გზით გამოშვებული და საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ აღიარებულ ორგანიზებულ ბაზარზე სავაჭროდ დაშვებული სასესხო ფასიანი ქაღალდიდან პროცენტის სახით მიღებული შემოსავალი, რომელიც არ მიეკუთვნება საქართველოში ამ არარეზიდენტის მუდმივ დაწესებულებას.

2030 წლის დეკემბრამდე „ეკონომიკური თავისუფლების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის თანახმად, ახალი საერთო-სახელმწიფოებრივი გადასახადის (გარდა აქციზისა) შემოღება ან არსებული გადასახადების განაკვეთების გაზრდა (ზოგიერთი გამონაკლისი შემთხვევის გარდა) შესაძლებელია მხოლოდ რეფერენდუმის გზით. თუმცა, საქართველო საპარლამენტო დემოკრატიის მქონე ქვეყანაა და ხელისუფლების ცვლილებამ შეიძლება საგადასახადო პოლიტიკის შეცვლა გამოიწვიოს. ამგვარი ცვლილებები შეიძლება მოიცავდეს გადასახადის განაკვეთის ზრდას, გადასახადების ადმინისტრირების ახალი ფორმების შემოღებას, არსებული შეღავათების გაუქმებას და სხვა. საგადასახადო კანონმდებლობაში ან სამთავრობო პოლიტიკაში ნებისმიერმა ამგვარმა ცვლილებამ შეიძლება არსებითად უარყოფითი გავლენა იქონიოს.

2022 წლის დეკემბერში დაკორექტირდა კორპორაციული დაბეგვრის მოდელი, რომელიც ეხება ფინანსურ ინსტიტუტებს და ძალაში შევიდა 2023 წლიდან. წინა საგადასახადო მოდელი, რომელიც ეფექტური იყო 2022 ფისკალური წლისათვის, მოიაზრებდა 15%-იან მოგების საგადასახადო განაკვეთს, რომელიც ერიცხებოდა ბანკების დასაბეგრ მოგებას (სხვაობა კალენდარული წლის განმავლობაში მიღებულ ერთობლივ შემოსავალსა და საქართველოს

საგადასახადო კოდექსით გათვალისწინებული გამოქვითვების თანხებს შორის). ბანკებისთვის არსებული კორპორაციული გადასახადი გაიზარდა 15%-დან 20%-მდე და ძალაში შევიდა 2023 წლის დასაბეგრი შემოსავლისთვის.

„კომპანია“ თვლის, რომ ის ამჟამად და წარსულშიც სრულად იცავდა საგადასახადო კანონმდებლობის მოთხოვნებს, თუმცა არსებობს შესაძლებლობა, რომ საგადასახადო ორგანოები განსხვავებულ ინტერპრეტაციას მისცემენ კანონმდებლობის მოთხოვნებს, რამაც შეიძლება გამოიწვიოს „კომპანიაზე“ გადასახადების ან ჯარიმების დაკისრება. არსებობს ასევე იმის რისკი, რომ „კომპანიას“ შესაძლებელია ჯარიმები და საურავები დაეკისროს რეგულარული საგადასახადო შემოწმების შედეგად.

ამასთან, საგადასახადო კანონმდებლობა და მთავრობის საგადასახადო პოლიტიკა შეიძლება შეიცვალოს მომავალში, მათ შორის, მთავრობის ცვლილების შედეგად. ამგვარმა ცვლილებებმა შეიძლება მოიცვას ახალი გადასახადების დაწესება ან გადასახადების გაზრდა „კომპანიის“ ან „კომპანიის“ კლიენტების მიმართ, რამაც შესაძლებელია არსებითად უარყოფითი გავლენა იქონიოს „კომპანიის“ ბიზნესზე.

36. საქართველოს სასამართლო სისტემაში არსებულმა გაურკვევლობამ, მათ შორის საქართველოში სახელმწიფოს ნებისმიერმა თვითნებურმა ან არათანმიმდევრულმა მომავალმა ქმედებამ შესაძლოა უარყოფითი ზემოქმედება მოახდინოს ადგილობრივ ეკონომიკაზე, რამაც, თავის მხრივ, შეიძლება ზიანი მიაყენოს კომპანიის ბიზნესს.

საქართველოში ჯერ კიდევ შემუშავების პროცესშია საბაზრო ეკონომიკის სათანადო ფუნქციონირებისათვის საჭირო ადეკვატური სამართლებრივი ბაზა. მხოლოდ ახლახანს ამოქმედდა რამდენიმე ფუნდამენტური სამოქალაქო, საგადასახადო და ადმინისტრაციული კანონი. (მაგალითად სისხლის სამართლის ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტის ამოქმედება, იურიდიული პირისთვის სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრება, მოგების გადასახადის ესტონური მოდელი). აღნიშნული კანონმდებლობის ახლახან მიღებამ და საკანონმდებლო სისტემის სწრაფად განვითარებამ გამოიწვია ექვები კანონების ხარისხში და აღსრულების საკითხში, ასევე გაურკვევლობა და არათანმიმდევრულობა მათ გამოყენებაში. გარდა ამისა, საქართველოს სასამართლო სისტემა განიცდის პროფესიონალთა ნაკლებობას და ამ სისტემაში სერიოზული რეფორმები მიმდინარეობს. მოსამართლეებსა და სასამართლოებს საქართველოში ზოგადად ნაკლები გამოცდილება აქვთ ბიზნესისა და კორპორატიული სამართლის სფეროში, ვიდრე სხვა ქვეყნებში, კერძოდ, ევროპის ქვეყნებში და ამერიკის შეერთებულ შტატებში. საქართველოს სასამართლო სისტემაში არსებულმა გაურკვევლობამ შესაძლოა უარყოფითი ზემოქმედება მოახდინოს ქვეყნის ეკონომიკაზე, რამაც, თავის მხრივ, შესაძლოა მნიშვნელოვანი საზიანო ზეგავლენა მოახდინოს კომპანიის ბიზნესზე, მის ფინანსურ მდგომარეობასა და საქმიანობის შედეგებზე.

37. კომპანია შესაძლოა დაექვემდებაროს სამართალწარმოების რისკს მისი კლიენტების, კრედიტორებისა და მარეგულირებლის მხრიდან.

კომპანიასთან დაკავშირებულია „სტიკკჰოლდერების“ ფართო წრე, რომელშიც მოიაზრებიან შესაბამისი მარეგულირებელი ორგანოები, სახელმწიფო, კლიენტები და კრედიტორები. იმ შემთხვევაში თუ კომპანია ვერ დააკმაყოფილებს კონტრაქტით გათვალისწინებულ ვალდებულებებს შესაძლოა დაექვემდებაროს სამართალწარმოების რისკს, რაც უარყოფითად აისახება მის რეპუტაციაზე და საოპერაციო საქმიანობაზე. პროსპექტის წარდგენის თარიღისთვის კომპანიას არ ჰქონია ისეთი სასამართლო დავები, რომლებიც მნიშვნელოვან გავლენას იქონიებდნენ მის ფინანსურ მდგომარეობაზე თუ რეპუტაციაზე (მიმდინარე სასამართლო დავების შესახებ დამატებითი ინფორმაციისთვის, გთხოვთ იხილოთ ქვეთავი „სასამართლო დავები“), თუმცა, არ არსებობს იმის გარანტია, რომ ასეთი დავები მომავალში არ წარმოიშვება.

38. „კომპანია“ ობლიგაციების გამოშვებისა და საჯარო შეთავაზების შემდეგ გახდება ანგარიშვალდებული საწარმო, შესაბამისად, დაექვემდებარება დამატებით რეგულაციებს ანგარიშგებებს/რეპორტირების წარდგენის კუთხით.

კომპანია წინამდებარე პროსპექტით განსაზღვრული ობლიგაციების გამოშვებისა და საჯარო შეთავაზების შემდეგ „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ“ საქართველოს კანონით („ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ კანონი“) გათვალისწინებული ანგარიშვალდებული საწარმო გახდება. ფასიანი ქაღალდების შესახებ კანონი აწესებს გარკვეული თანხმობების აღებისა და გამჭვირვალობის მოთხოვნებს ანგარიშვალდებული საწარმოებისთვის და აწესებს ანგარიშგების კონკრეტულ ვალდებულებებს. ანგარიშვალდებული საწარმო ვალდებულია საქართველოს ეროვნულ ბანკს წარუდგინოს, გამოაქვეყნოს ან/და მისი ფასიანი ქაღალდების რეგისტრირებულ მფლობელებს მიაწოდოს

წლიური, ნახევარი წლის და მიმდინარე ანგარიშები. თუ ობლიგაციები ივაჭრება საქართველოს საფონდო ბირჟაზე, აღნიშნული ინფორმაცია უნდა გადაეცეს საქართველოს საფონდო ბირჟასაც. საქართველოს ეროვნული ბანკი უფლებამოსილია ანგარიშვალდებულ საწარმოს მოსთხოვოს დამატებითი ინფორმაცია.

დაინტერესებულ პირებთან გარიგებების დამტკიცების და ანგარიშგების მოთხოვნები კომპანიისათვის გახდება დამატებითი ტვირთი და შესაძლოა გავლენა იქონიოს მისი საქმიანობის ეფექტურობაზე. ამასთან, გარკვეულ შემთხვევებში, შესაბამისი თანხმობის არარსებობამ შეიძლება გამოიწვიოს გარიგების გაუქმება.

დამატებით ინფორმაცია მოცემულია პროსპექტის თავში - „ანგარიშვალდებულ საწარმო“.

39. ანტიმონოპოლიურმა რეგულაციებმა შესაძლოა უარყოფითი ზეგავლენა მოახდინოს კომპანიის საქმიანობაზე.

საქართველო განვითარებადი ქვეყანაა, ამასთან, ევროკავშირთან გაფორმებული ასოცირების ხელშეკრულების პირობებში მოსალოდნელია ანტიმონოპოლიური კანონის შემდგომი ცვლილებები. უნდა აღინიშნოს, რომ 2014 წლის მარტში არსებითი ცვლილებები შევიდა საქართველოს კანონში „კონკურენციის შესახებ“ („კანონი კონკურენციის შესახებ“).

2014 წლის აპრილში „კონკურენციის შესახებ“ კანონის საფუძველზე შეიქმნა კონკურენციის სააგენტო. კონკურენციის სააგენტო უფლებამოსილია, მონიტორინგი გაუწიოს კერძო ორგანიზაციების მიერ საქართველოს ანტიმონოპოლიური კანონმდებლობის შესრულებას და აქვს უფლებამოსილება „კონკურენციის შესახებ“ კანონის დარღვევის შემთხვევაში კომპანიებს დააკისროს შესაბამისი ჯარიმები. ანტიმონოპოლიური რეგულაციების ცვლილებამ და სააგენტოს მიერ ამ რეგულაციათა აღსრულების პროცესის არაპროგნოზირებადმა ხასიათმა შეიძლება უარყოფითი გავლენა იქონიოს კომპანიის ბიზნესზე.

40. თუ მომავალში კომპანია ვერ შეასრულებს ფულის გათეთრებასთან ან ტერორისტთა დაფინანსებასთან დაკავშირებულ რაიმე მოქმედ რეგულაციებს, ან თუ კომპანია მათთან იქნება ასოცირებული, ამან შესაძლოა უარყოფითი ზეგავლენა მოახდინოს კომპანიაზე.

მართალია, კომპანია იცავს მოქმედი კანონმდებლობის ყველა მოთხოვნას, რომელიც მიმართულია იმისაკენ, რომ თავიდან იქნეს აცილებული კომპანიის გამოყენება ფულის გათეთრების ხელშემწყობ საშუალებად, არ არსებობს გარანტია იმისა, რომ ეს ზომები სრულად ეფექტიანი გამოდგება. თუ მომავალში კომპანია ვერ შეასრულებს დროული ანგარიშგების მოთხოვნებს ან ფულის გათეთრების საწინააღმდეგო სხვა რეგულაციებს, ან თუ იგი ასოცირებული იქნება ფულის გათეთრებასთან ან ტერორისტთა დაფინანსებასთან, ამან შესაძლოა არსებითი უარყოფითი ზეგავლენა მოახდინოს კომპანიაზე. გარდა ამისა, ამგვარ საქმიანობაში მონაწილეობას შეიძლება მოჰყვეს მარეგულირებელი ჯარიმები და სანქციები.

3. ინფორმაცია იმ მატერიალური რისკების შესახებ რომლებიც სპეციფიურია შესათავაზებელი ფასიანი ქაღალდებისთვის

41. „ობლიგაციები“ წარმოადგენს *pari passu* ფასიან ქაღალდებს

„ობლიგაციების პირობებში“ მითითებული ფინანსური შეზღუდვების გათვალისწინებით, „კომპანიამ“ დამატებით შეიძლება გამოუშვას ფასიანი ქაღალდები, რომლებიც რიგითობით გაუთანაბრდება „ობლიგაციებს“. ნებისმიერმა ამგვარმა ფასიანი ქაღალდების გამოშვებამ შესაძლებელია შეამციროს იმ თანხის ოდენობა, რომელიც ინვესტორებმა შესაძლებელია ამოიღონ „ობლიგაციებთან“ დაკავშირებით, რამდენადაც დამატებითი ვალის წარმოშობამ შეიძლება გავლენა მოახდინოს „კომპანიის“ შესაძლებლობაზე დაფაროს „ობლიგაციების“ ძირი თანხა და დარიცხული პროცენტი. აღნიშნულმა შესაძლებელია არსებითად უარყოფითი გავლენა იქონიოს „ობლიგაციების“ მეორადი გაყიდვის ფასზე.

42. „კომპანიის“ ან შესაბამისი გარანტორების გადახდისუნარიობის შემთხვევაში, ობლიგაციები ჩაითვლება არაუზრუნველყოფილ ვალდებულებებად

„ობლიგაციები“ წარმოადგენს „კომპანიის“ სოლიდარული თავდებობით უზრუნველყოფილ ვალდებულებებს, რომლებიც რიგითობით უთანაბრდება ერთმანეთს (*pari passu*) და „კომპანიის“ ყველა სხვა თავდებობით უზრუნველყოფილ და არასუბორდინირებულ ვალდებულებას. აქედან გამომდინარე, „კომპანიისთვის“ „ობლიგაციებთან“ დაკავშირებული ნებისმიერი სახის მოთხოვნა არ იქნება უზრუნველყოფილი „კომპანიის“ უძრავი ან მოძრავი აქტივებით. მიუხედავად იმისა, რომ ობლიგაციები უზრუნველყოფილია გარანტორების მიერ გაცემული სოლიდარული თავდებობით და აღნიშნული უფლებას აძლევს ობლიგაციონერებს მოითხოვონ დაკმაყოფილება შესაბამისი გარანტორებისგან, ამ ემისიის პროსპექტით და შესაბამისი თავდებობის ხელშეკრულებით გათვალისწინებული წესით, მოქმედი კანონმდებლობით, კერძოდ, „რეაბილიტაციის და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ“ საქართველოს კანონის მიხედვით, უზრუნველყოფილ კრედიტორად ითვლებიან, კრედიტორები, რომელთა მოთხოვნაც საქართველოს სამოქალაქო კოდექსით დადგენილი წესით უზრუნველყოფილია იპოთეკით ან გირავნობით. შესაბამისად, თავდებობის ხელშეკრულების არსებობა არ ანიჭებს „ობლიგაციონერებს“ უზრუნველყოფილი კრედიტორის სტატუსს და „კომპანიის“ გადახდისუნარიობის შემთხვევაში, ისინი დაკმაყოფილდებიან მასიდან, როგორც არაუზრუნველყოფილი კრედიტორები. შესაბამისად, უზრუნველყოფილ კრედიტორებს (კრედიტორებს, რომელთა მოთხოვნაც „კომპანიის“ აქტივების იპოთეკით ან გირავნობით არის უზრუნველყოფილი) ენიჭებათ უპირატესობა არაუზრუნველყოფილი კრედიტორების მიმართ - უზრუნველყოფილი კრედიტორების სასარგებლოდ დადებული უზრუნველყოფის საშუალებასთან მიმართებით. შესაბამისად, ობლიგაციებთან დაკავშირებით კომპანიისთვის ან რომელიმე გარანტორისთვის წაყენებული ნებისმიერი მოთხოვნა არ ჩაითვლება უზრუნველყოფილ მოთხოვნად და დაკმაყოფილდება უზრუნველყოფილი კრედიტორების შემდგომ. კომპანიის ან შესაბამისი გარანტორების უნარი, დააკმაყოფილოს მსგავსი მოთხოვნები დამოკიდებული იქნება, სხვა ფაქტორებთან ერთად, მათ ლიკვიდურობაზე, ზოგად ფინანსურ სიძლიერესა და აქტივების მოზიდვის შესაძლებლობაზე.

პროსპექტის შედგენის თარიღისთვის „კომპანიის“ აქტივების დიდი ნაწილი: მარაგები, ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები, დაგირავებულია საბანკო სესხების უზრუნველყოფის მიზნით. 2025 წლის 30 ივნისის მდგომარეობით ჯამურ აქტივებში უზრუნველყოფილი აქტივების წილი 78%-ს შეადგენს. „ემიტენტი“ წინამდებარე პროსპექტით იღებს ვალდებულებას, რომ „ობლიგაციების“ პირველი ტრანშის ემისიის შემდეგ უზრუნველყოფაში დაგირავებული აქტივებიდან გამოათავისუფლებს ძირითად საშუალებებსა და მარაგებს - ჯამური საბალანსო ღირებულებით 62,714 ათასი ლარი. დამატებით „ემიტენტი“ იღებს ვალდებულებას, რომ წინამდებარე „ობლიგაციების“ პროგრამის ყოველი მომდევნო ემისიის ფარგლებში, უზრუნველყოფს ძირითადი საშუალებებისა და მარაგების გამოათავისუფლებას შესაბამისი ტრანშის 60%/60%-ის მოცულობით. აღნიშნული მექანიზმი ზრდის დაუგირავებელი აქტივების მოცულობას და ამცირებს ინვესტორებისთვის სტრუქტურული სუბორდინაციით შექმნილ რისკს.

ამასთან დააკვირებით დეტალური ინფორმაცია იხილეთ ქვეთავში „კაპიტალიზაცია და დავალიანება“ და „ობლიგაციების გამოშვების პირობების“ მე-5 (ა) მუხლში „უზრუნველყოფის ღონისძიების“ წარმოშობის შეზღუდვა“.

43. არსებობს „ობლიგაციების“ ძირის და პროცენტის დაფარვის რისკი

არსებობს რისკი, რომ სხვადასხვა მიზეზების გამო, „კომპანიამ“ ვერ მოახერხოს პროსპექტით განსაზღვრული ობლიგაციის პროცენტების და/ან ძირის დაფარვა დროულად, მათი გადახდის ვალდებულების დადგომისთანავე ან ვერ დაფაროს საერთოდ.

44. „ობლიგაციები“ ხასიათდება გაცვლით კურსთან დაკავშირებული რისკებით

მოცემული მულტისავალუტო ემისიის პროსპექტის ფარგლებში კომპანია გამოშვებული ობლიგაციების ძირ თანხას და პროცენტს გადაიხდის ეროვნულ ლარში, აშშ დოლარში ან ევროში. (პროსპექტის ფარგლებში, თითოეული ემისიის ვალუტა განისაზღვრება შესაბამისი „საბოლოო შეთავაზების პირობების დოკუმენტით“ და შესაძლოა იყოს ერთ-ერთი შემდეგთაგანი: 1) ეროვნული ლარი; 2) აშშ დოლარი; 3) ევრო;) ეს წარმოშობს ვალუტის კონვერტაციასთან დაკავშირებულ რისკებს, თუ ინვესტორის ფინანსური საქმიანობა ძირითადად დენომინირებულია შესაბამისი ემისიის ვალუტის გარდა სხვა ვალუტაში (ინვესტორის ვალუტა). აღნიშნული მოიცავს გაცვლითი კურსების მკვეთრი ცვლილების რისკს ინვესტორის ვალუტის რევალუაციის ჩათვლით და რისკს, რომ ინვესტორის ვალუტაზე შესაბამისი კომპეტენციის მქონე ორგანოებმა დააწესონ ან შეცვალონ სავალუტო კონტროლის მექანიზმები ინვესტორის ვალუტის მიმართ. ინვესტორის ვალუტის ღირებულების ზრდა ობლიგაციების ვალუტასთან მიმართებაში შეამცირებს (ა) ობლიგაციის განაკვეთს ინვესტორის ვალუტაში; (ბ) ობლიგაციის ძირ თანხას ინვესტორის ვალუტაში; (გ) ობლიგაციების საბაზრო ღირებულება ინვესტორის ვალუტაში. მთავრობებმა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ავტორიტეტებმა შესაძლოა დააწესონ (როგორც აღვნიშნეთ) გაცვლით კურსზე კონტროლი, რამაც შესაძლოა გამოიწვიოს არასასურველი შედეგი. შესაბამისად, ინვესტორებმა შესაძლოა ვერ მიიღონ ან მიიღონ იმაზე ნაკლები ძირი თანხა ან პროცენტი, ვიდრე ელოდნენ. აღნიშნულმა შესაძლოა ნეგატიური იმოქმედოს ობლიგაციების გადასაყიდ ფასზე.

45. საქართველოს კანონმდებლობაში ნებისმიერმა ცვლილებამ მომავალში შეიძლება არსებითად უარყოფითი გავლენა მოახდინოს „ობლიგაციებზე“, მათ შორის საქართველოს საფონდო ბირჟაზე მათ რეგისტრაციაზე და „ობლიგაციების“ ფლობიდან მიღებული სარგებლის დაბეგვრაზე

ობლიგაციების პირობები ეფუძნება წინამდებარე პროსპექტის დამტკიცების თარიღისთვის მოქმედ საქართველოს კანონმდებლობას. არ არსებობს რაიმე გარანტია იმისა, რომ საქართველოს კანონმდებლობაში, არსებულ ადმინისტრაციულ თუ სასამართლო პრაქტიკაში სამომავლოდ არ შევა/განხორციელდება რაიმე ცვლილება, რომელიც არსებითად უარყოფით გავლენას იქონიებს, მათ შორის, ობლიგაციების სამომავლო ემისიებზე, მათ რეგისტრაციაზე, განთავსებაზე, საფონდო ბირჟაზე სავაჭროდ დაშვებაზე, გარიგებების დადებისა და ანგარიშსწორების პროცედურებზე როგორც საფონდო ბირჟაზე, ასევე - არასაბირჟო მეორად ბაზარზე. ამასთან, მომავალში ობლიგაციონერების მიერ ობლიგაციებიდან მიღებული სარგებლის დაბეგვრის რეჟიმის ცვლილებამ შესაძლოა უარყოფითი გავლენა მოახდინოს ობლიგაციონერების მიერ მისაღები წმინდა შემოსავლის ოდენობაზე.

46. ობლიგაციის შესყიდვის შესახებ განაცხადი შეიძლება დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ

თუ საპროცენტო სარგებლის საბოლოო განაკვეთის ფორმირების (Book-building-ის) პროცესში პოტენციური ინვესტორებისაგან ობლიგაციების შესყიდვის თაობაზე განაცხადებით გამოხატულია ინტერესი იმაზე მეტი ობლიგაციის შეძენაზე, ვიდრე ამ პროსპექტით არის გათვალისწინებული, მაშინ განაცხადების დაკმაყოფილება მოხდება ნაწილობრივ, შემოსულ განაცხადებში მითითებული ოდენობების პროპორციულად ან სხვაგვარად, ემიტენტის გადაწყვეტილებისამებრ. ამასთანავე, იმ შემთხვევაში, თუ პოტენციური ინვესტორის განაცხადი დაკმაყოფილდა მხოლოდ ნაწილობრივ, პოტენციური ინვესტორი უფლებამოსილია უარი განაცხადოს ან გააგრძელოს ობლიგაციების შესყიდვის პროცესში მონაწილეობა. დეტალური ინფორმაცია წარმოდგენილია ქვეთავში: „ობლიგაციების პირობები“.

47. ობლიგაციების პროგრამის ფარგლებში შესაძლებელია ცვლად-განაკვეთიანი „ობლიგაციების“ გამოშვება

ობლიგაციების პროგრამის ფარგლებში „ემიტენტს“ აქვს შესაძლებლობა გამოუშვა ცვლად-განაკვეთიანი ობლიგაციები. კერძოდ „ობლიგაციების“ საპროცენტო განაკვეთის „ბენჩმარკს“ წარმოადგენს თბილისის ბანკთაშორის საპროცენტო განაკვეთი (TIBR) გამოქვეყნებულია შემდეგ მისამართზე: <https://nbg.gov.ge/en/monetary-policy/tibr>). აღნიშნული

საპროცენტო განაკვეთი კი, ინფლაციის დონის და მოლოდინების, საქართველოს სუვერენული რეიტინგის და სხვა საბაზრო პირობების გათვალისწინებით შესაძლოა მნიშვნელოვნად შეიცვალოს (გაიზარდოს ან შემცირდეს).

გარდა ზემოთხსენებულისა, „ობლიგაციების“ საპროცენტო განაკვეთი შესაძლოა შემცირდეს სარეიტინგო სააგენტოს მიერ „კომპანიის“ საკრედიტო რეიტინგის გაუმჯობესების შედეგად (რეიტინგის მიხედვით კუპონის ცვლილების ცხრილი მოცემულია „ობლიგაციების გამოშვების პირობების“ ქვეთავში, 6. (გ.ვ.) „საკრედიტო რეიტინგის პროცენტი“). საკრედიტო რეიტინგის გაუმჯობესების მიზეზი შესაძლოა გახდეს „კომპანიის“ გაუმჯობესებული ფინანსური მდგომარეობა, ბაზარზე პოზიციის გაუმჯობესება ან სხვა ფაქტორები რამაც შესაძლოა სარეიტინგო სააგენტოს შეფასებით „კომპანიის“ რისკიანობის დონე გაზარდოს.

48. ობლიგაციების პროგრამის ფარგლებში შესაძლებელია ფიქსირებულ-განაკვეთიანი „ობლიგაციების“ გამოშვება

ობლიგაციების პროგრამის ფარგლებში „ემიტენტს“ აქვს შესაძლებლობა გამოუშვა ფიქსირებულ-განაკვეთიანი ობლიგაციები. შედეგად, „ობლიგაციების“ გამოშვების თარიღიდან დაფარვის თარიღამდე (თუ არ მოხდა მათი ვადამდელი დაფარვა ან გამოსყიდვა პროსპექტით განსაზღვრული პირობების შესაბამისად) წელიწადში რამდენჯერმე დაერიცხებათ სარგებელი ერთი და იმავე წლიური განაკვეთით ნომინალური ღირებულებიდან კანონმდებლობით დადგენილი გადასახადების ჩათვლით. (თითოეული ემისიის გადახდის სიხშირე განისაზღვრება შესაბამისი „საბოლოო შეთავაზების პირობების დოკუმენტით“ და შესაძლოა იყოს ერთ-ერთ შემდეგთაგანი : 1) ყოველთვიური; 2) კვარტალური; 3) ნახევარწლიური;) მიუხედავად იმისა, რომ ამ ფაქტორს ინვესტორისთვის მოაქვს სტაბილურობა და მას საშუალებას აძლევს უკეთესად განჭვრიტოს სამომავლოდ მისაღები სახსრები, არსებობს გარკვეული რისკები, რაც ობლიგაციონერებმა უნდა გაითვალისწინონ: თუ ბაზარზე მოხდა საპროცენტო განაკვეთების ზრდა, მაშინ ინვესტორებმა შეიძლება იმაზე ნაკლები შემოსავალი მიიღონ, ვიდრე ცვლადი საპროცენტო განაკვეთის მქონე ფასიანი ქაღალდების შემქნის შემთხვევაში მიიღებდნენ. გასათვალისწინებელია, რომ ამ შემთხვევაში ობლიგაციონერებს შესაძლოა გაუჭირდეთ „ობლიგაციების“ მეორად ბაზარზე გადაყიდვა ზარალის მიღების გარეშე, ვინაიდან ინვესტორები დაინტერესებულები იქნებიან ბაზარზე იმ მომენტში არსებული მაღალგანაკვეთიანი ფასიანი ქაღალდებით

49. „ობლიგაციებისთვის“ შესაძლოა არ არსებობდეს აქტიური სავაჭრო ბაზარი

არ არსებობს იმის გარანტია, რომ ობლიგაციების აქტიური სავაჭრო ბაზარი განვითარდება. არც იმის გარანტია არსებობს, რომ განვითარების შემთხვევაში ამგვარი ბაზარი შენარჩუნდება. თუ ობლიგაციების აქტიური სავაჭრო ბაზარი არ განვითარდება ან განვითარდება და არ შენარჩუნდება, ამან შესაძლოა არსებითად უარყოფითად იმოქმედოს ობლიგაციების ბაზარზე ან სავაჭრო ფასსა და ლიკვიდურობაზე ბევრი ფაქტორის გამო, რომელთა გარკვეული ნაწილი შესაძლოა არ ექვემდებარებოდეს კომპანიის კონტროლს. თუ ობლიგაციებით ვაჭრობა მათი პირველადი გამოშვების შემდეგ ხდება, შესაძლოა ისინი გაიყიდოს შეთავაზების ფასთან შედარებით დისკონტირებულ ფასად იმ მომენტისათვის არსებული საპროცენტო განაკვეთის, მსგავსი ობლიგაციების ბაზრის, ზოგადი ეკონომიკური პირობებისა და კომპანიის ფინანსური მდგომარეობის გათვალისწინებით.

მიუხედავად იმისა, რომ უცხოური ვალუტით დენომინირებული ობლიგაციების სეგმენტის მეორადი ბაზრის მაჩვენებელი ლარით დენომინირებულს მნიშვნელოვნად აჭარბებს, ობლიგაციების პროგრამის ფარგლებში „ემიტენტის“ მიერ უცხოური ვალუტის ობლიგაციების ემისიის შემთხვევაშიც აქტიური სავაჭრო ბაზარი ობლიგაციებით სავაჭროდ შესაძლოა არ არსებობდეს, მითუმეტეს ისეთ განვითარებად ეკონომიკებში როგორიც საქართველოა.

50. „ობლიგაციების“ სავაჭრო ფასი, ლიკვიდურობა და სარგებელი შეიძლება იყოს ცვალებადი.

„ობლიგაციების“ ბაზარზე გავლენას მოახდენს საქართველოში არსებული ეკონომიკური და საბაზრო პირობები და ასევე, სხვადასხვა ხარისხით, საპროცენტო განაკვეთები, ვალუტის გაცვლითი კურსები და ინფლაციის მაჩვენებლები სხვა ქვეყნებში (შეერთებული შტატები, ევროკავშირის წევრი ქვეყნები და სხვ.). არ არსებობს იმის გარანტია, რომ საქართველოში განვითარდება „ობლიგაციების“ აქტიური სავაჭრო ბაზარი ან, თუ განვითარდა, საქართველოში ან სხვაგან მომხდარი მოვლენები არ გამოიწვევს ბაზრის ცვალებადობას ან ამგვარი ცვალებადობა არსებითად უარყოფით გავლენას არ იქონიებს „ობლიგაციების“ ფასზე ან ლიკვიდურობაზე ან ეკონომიკურ და საბაზრო პირობებს არ ექნებათ სხვაგვარი უარყოფითი ეფექტი. თუ „ობლიგაციები“ მეორად ბაზარზე გაიყიდება, ვაჭრობა შეიძლება განხორციელდეს იმაზე ნაკლებ ფასად, ვიდრე მათი პირველადი შეთავაზების ფასია; აღნიშნული დამოკიდებულია არსებულ საპროცენტო განაკვეთებზე, მსგავსი ფასიანი ქაღალდების ბაზარზე, ზოგად ეკონომიკურ პირობებზე, „კომპანიის“ ფინანსურ მდგომარეობასა და სხვა ფაქტორებზე. ნებისმიერმა მსგავსმა ცვალებადობამ შესაძლებელია არსებითად უარყოფითი გავლენა იქონიოს „კომპანიის“ ბიზნესზე, ფინანსურ მდგომარეობაზე, ოპერაციების შედეგებსა და პერსპექტივებზე, და ასევე „ობლიგაციების“ სავაჭრო ფასზე.

51. საკრედიტო ხელშეკრულებითა და ობლიგაციების პირობებით გათვალისწინებული გარკვეული ფინანსური დათქმები შეიძლება არ შესრულდეს

„კომპანიამ“ შეიძლება ვერ უზრუნველყოს საკრედიტო ხელშეკრულებით ან ემისიის პროსპექტით გათვალისწინებული ფინანსური ან არაფინანსური დათქმების შესრულება. ამასთან, არ არსებობს იმის გარანტია, რომ „კომპანია“ შეძლებს დასტურის წერილების მიღებას შესაბამისი მხარეებისგან, და რომ კომერციული ბანკი ან სხვა კრედიტორები არ ამოქმედებენ სასესხო ხელშეკრულების და ობლიგაციების „პროსპექტის“ ფარგლებში გათვალისწინებულ სანქციებს, რაც შესაძლოა გამოიხატოს ახალი დაკრედიტების გაცემაზე უარის თქმაში, ჯარიმებისა და საურავების დარიცხვაში, არსებული საკრედიტო დავალიანებების დაუყოვნებლივ გადახდის მოთხოვნაში და სხვა. აღნიშნული სანქციების ამოქმედებამ შესაძლოა არსებითად უარყოფითი გავლენა იქონიოს „კომპანიის“ ფინანსურ მდგომარეობასა და საოპერაციო საქმიანობაზე.

პროსპექტში ნაჩვენები პერიოდის განმავლობაში „ემიტენტს“ დარღვეული აქვს რამდენიმე სესხზე ფინანსური კოვენანტი. კოვენანტდარღვეული სესხების მოცულობა 2025 წლის 30 ივნისის, 2024 წლისა და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენს 45,721 ათას, 74,818 და 68,586 ათას ლარს. „ემიტენტს“ სამივე პერიოდის კოვენანტის დარღვევაზე მიღებული აქვს გათავისუფლების წერილი, რომლის მიხედვითაც ბანკები არ მოითხოვენ სესხების ვადაზე ადრე დაფარვას ფინანსური და არაფინანსური პირობების დაუკმაყოფილებლობის შემთხვევაში. დეტალური ინფორმაცია „კომპანიის“ ფინანსური და არაფინანსური კოვენანტების შესახებ იხილეთ ქვეთავში „კაპიტალიზაცია და დავალიანება“.

52. ობლიგაციების არსებული ფინანსური შეზღუდვები შესაძლოა საკმარისი არ აღმოჩნდეს და ვერ დაიცვას ინვესტორები

არსებული ფინანსური დათქმები და შემზღუდავი პირობები შეიძლება არ აღმოჩნდეს საკმარისი იმისათვის, რომ ობლიგაციებში ინვესტიციები დაცული იყოს და შედეგად, ინვესტორებმა შეიძლება საერთოდ ვერ მიიღონ ან მიიღონ იმაზე ნაკლები ძირი თანხა ან პროცენტი, რასაც მოელოდნენ. ინფორმაცია ობლიგაციების ფინანსურ შეზღუდვებთან დაკავშირებით შეგიძლიათ იხილოთ: „ობლიგაციების გამოშვების პირობებში“ - 5. „დათქმები“.

53. არსებობს „ობლიგაციებში“ ინვესტიციის კანონიერების დადგენის რისკი

ინვესტორებმა კონსულტაცია უნდა გაიარონ მათ სამართლებრივ მრჩეველებთან იმის განსასაზღვრად, თუ რამდენად და რა ფარგლებში წარმოადგენენ „ობლიგაციები“ კანონიერ ინვესტიციას ამგვარი ინვესტორებისთვის და რამდენად და რა ფარგლებში არის შესაძლებელი „ობლიგაციები“ გამოყენებულ იქნას სხვადასხვა ტიპის სესხის უზრუნველყოფის საგნად. გარდა ამისა, ფინანსურმა ინსტიტუტებმა კონსულტაცია უნდა გაიარონ მათ სამართლებრივ მრჩეველებთან ან მარეგულირებლებთან, რათა განსაზღვრონ „ობლიგაციებთან“ სათანადო მოპყრობის რეჟიმი, რისკზე-დაფუძნებული კაპიტალის ან მსგავსი წესების საფუძველზე.

ინვესტორებს, რომელთა საინვესტიციო საქმიანობა არის საინვესტიციო კანონმდებლობის ან გარკვეული ორგანოების მიერ შემუშავებული რეგულაციების საგანი, შესაძლებელია შეზღუდული ჰქონდეთ ინვესტიციების განხორციელება ზოგიერთი ტიპის სავალო ფასიან ქაღალდებში, მათ შორის, „ობლიგაციებში“. ინვესტორებმა უნდა შეისწავლონ და გაანალიზონ მსგავსი შეზღუდვები „ობლიგაციებში“ ინვესტიციის განხორციელებამდე.

54. ინვესტორები უნდა დაეყრდნონ დეპოზიტარის, კალკულაციის და გადახდის აგენტისა და შესაბამის შემთხვევებში - ანგარიშის მწარმოებლის პროცედურებს

„კომპანია“ „ობლიგაციონერთათვის“ შესაბამისი თანხების გადახდის ვალდებულებას შეასრულებს „ანგარიშის მწარმოებლის“ ან „გადახდის და კალკულაციის აგენტის“ მეშვეობით. „ობლიგაციონერი“ ვალდებულია დაეყრდნოს „დეპოზიტარის“, „ანგარიშის მწარმოებლის“ ან „გადახდის და კალკულაციის აგენტის“ პროცედურებს და ამ გზით მიიღოს შესაბამისი თანხები. „კომპანიას“ არ ეკისრება პასუხისმგებლობა ამგვარი პირების ჩანაწერების სისწორესა თუ სისრულეზე.

კომპანია ობლიგაციებთან დაკავშირებულ ნებისმიერ გადახდას განახორციელებს იმ ობლიგაციონერების ან/და ანგარიშის მწარმოებლის სასარგებლოდ, განთავსების აგენტთან მათ საბროკერო ანგარიშზე გადარიცხვის გზით. ობლიგაციებთან დაკავშირებული გადასახდელების მიღებისას ობლიგაციონერი უნდა დაეყრდნოს დეპოზიტარის და, შესაბამის შემთხვევებში, ანგარიშის მწარმოებლის ამ „კალკულაციის აგენტის“ მიერ დადგენილ პროცედურებს. კომპანია არ კისრულობს არანაირ პასუხისმგებლობას ამგვარი პირების ჩანაწერების სიზუსტეზე. ასევე აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ანგარიშსწორების დროს ემიტენტი პასუხისმგებლობას არ იღებს სხვა პირის მიერ დაშვებულ შეცდომაზე.

55. „ობლიგაციების“ პირობები შესაძლოა შეიცვალოს ან გაუქმდეს ან შესაძლოა „ობლიგაციონერების“ უმრავლესობამ უარი თქვას ამა თუ იმ დარღვევის გამო დეფოლტის გამოცხადებაზე

„ობლიგაციების“ პირობები შეიცავს დათქმას „ობლიგაციონერთა“ კრების მოწვევის თაობაზე იმ საკითხების განხილვის მიზნით, რამაც შესაძლოა გავლენა იქონიოს მათ ინტერესებზე. აღნიშნული პირობები განსაზღვრულ უმრავლესობას უფლებას ანიჭებს ხმა მისცეს და მიიღოს გადაწყვეტილება „ობლიგაციების“ პირობების შეცვლის ან გაუქმების თაობაზე. ასეთ შემთხვევაში, „ობლიგაციების“ უმცირესობაში აღმოჩენილი მფლობელები ვალდებული იქნებიან დაეთანხმონ და იმოქმედონ უმრავლესობის მიერ მიღებული გადაწყვეტილების შესაბამისად.

56. შესაძლებელია მოხდეს „ობლიგაციების“ ვადამდე განაღდება (დაფარვა) ან გამოსყიდვა.

ობლიგაციებს აქვთ გამოსყიდვის ოფცია, რაც გულისხმობს, რომ კომპანიის მხრიდან აღნიშნული ოფციის გამოყენების შემთხვევაში, ობლიგაციონერები მიიღებენ პროსპექტის პირობებით განსაზღვრულ ფასს (იხილეთ ქვეთავი „ობლიგაციების გამოშვების პირობები“, 7. „ობლიგაციების განაღდება და გამოსყიდვა“) რაც შესაძლოა იყოს ნაკლები, ვიდრე ობლიგაციონერები მიიღებდნენ ობლიგაციების დაფარვის ვადამდე ფლობის/სრული ხანდაზმის შემთხვევაში. არსებობს რისკი, რომ ბაზარზე საპროცენტო განაკვეთის შემცირების შემთხვევაში, კომპანიამ აღნიშნული ოფცია გამოიყენოს. ასეთ შემთხვევაში, ობლიგაციონერებს უფრო მცირე საპროცენტო განაკვეთების პირობებში მოუწევთ

თანხების რეინვესტირება, რაც გულისხმობს, რომ ისინი ნაკლებ უკუგებას მიიღებენ თავიანთ ინვესტირებულ თანხებზე, ვიდრე მიიღებდნენ ობლიგაციების დაფარვის ვადამდე ფლობის/სრულის ხანდაზმის შემთხვევაში.

57. სოლიდარულ თავდებობასთან დაკავშირებულია სხვადასხვა რისკი, მათ შორის უზრუნველყოფის გაფორმებასა და „ობლიგაციების“ გადაცემასთან დაკავშირებული რისკები

„ობლიგაციები“ უზრუნველყოფილია გარანტორების მიერ გაცემული სოლიდარული თავდებობით, რომლის საფუძველზეც გარანტორებს წარმოეშობათ ობლიგაციონერების ყველა ვადამოსული და გადაუხდეელი ვალდებულების დაკმაყოფილების ვალდებულება სოლიდარულად, ამ პროსპექტით და შესაბამისი ხელშეკრულებებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად. საქართველოს კანონმდებლობაში არ არსებობს სოლიდარული თავდებობით უზრუნველყოფილი ობლიგაციების შესაბამისი მარეგულირებელი ჩარჩო და აღნიშნულთან მიმართებით, მოთხოვნები მაქსიმალურად განსაზღვრულია ამ პროსპექტითა და შესაბამისი სახელშეკრულებო პირობებით. ამის მიუხედავად, უზრუნველყოფების გაფორმება და ობლიგაციების გადაცემა შესაძლოა შეფერხდეს დადგენილი პროცესების ნაკლებად მოქნილი ფორმატის, გარიგების მონაწილე თუ სხვა არსებული ინვესტირების მხრიდან სათანადო ქმედებების განხორციელების თუ სხვა ფაქტორების გათვალისწინებით. ასევე, პოტენციურმა ინვესტირებმა უნდა გაითვალისწინონ, რომ თავდებობა არ იქნება წარმომოხილელი / გაფორმებული ფასიანი ქაღალდების შეთავაზების მომენტში, რა დროსაც ინვესტირებისთვის ხელმისაწვდომი იქნება სოლიდარული თავდებობის ხელშეკრულების სამუშაო ვერსია.

ამასთანავე, იმ შემთხვევაში თუ „თავდაპირველი ობლიგაციონერის“ მიერ მოხდება „ობლიგაციების“ გასხვისება სხვა პირზე (ანუ ობლიგაციებიდან გამომდინარე მოთხოვნის დათმობა), მიუხედავად „პროსპექტის“ და თავდებობის ხელშეკრულებაში არსებული ჩანაწერებისა, არსებობს რისკი იმისა, რომ „ახალ ობლიგაციონერს“ არ გადაეცეს „თავდებობის ხელშეკრულებიდან“ გამომდინარე „ობლიგაციონერის“ ნებისმიერი და ყველა უფლება, და შესაბამისად, „გარანტორები“ არ იყვნენ პასუხისმგებლები სრულად განახორციელონ „პროსპექტიდან“ და „თავდებობის ხელშეკრულებიდან“ გამომდინარე თავიანთი ვალდებულებები „ახალი ობლიგაციონერის“ მიმართ.

58. არსებობს პოტენციური კონფლიქტის რისკი „კომპანიასა“ და განთავსების აგენტს შორის, ისევე როგორც განთავსების აგენტსა და სს „თიბისი ბანკს“ შორის

წინამდებარე შეთავაზების მიზნებისთვის განთავსების აგენტია „თიბისი კაპიტალი“. არსებობს იმის ალბათობა, რომ „ობლიგაციების“ ნაწილის შემძენი იქნება ერთ-ერთი მსხვილი კომერციული ბანკი, რომელიც აფილირებულია „განთავსების აგენტთან“ („განთავსების აგენტი“ სს „თიბისი ბანკის“ პირდაპირი შვილობილი კომპანიაა). ამავდროულად, „განთავსების აგენტსა“ და სს „თიბისი ბანკის“ კორპორაციული დაკრედიტების მიმართულებას (რომელშიც შედის როგორც კორპორაციული სესხების გაცემა, ისე ობლიგაციებში ინვესტირება) საერთო მენეჯმენტი მართავს. აღნიშნულმა შესაძლოა წარმოშვას ინტერესთა კონფლიქტი, ერთი მხრივ, „განთავსების აგენტსა“ და „ემიტენტს“, მეორეს მხრივ, „განთავსების აგენტსა“ და სს „თიბისი ბანკს“ შორის, ხოლო მესამე მხრივ „განთავსების აგენტსა“ და ინვესტირებს შორის. თუმცა, „ემიტენტს“ მიაჩნია, რომ შესაძლო ინტერესთა კონფლიქტი შემცირებულია შემდეგი გარემოებების გათვალისწინებით: (ა) „განთავსების აგენტს“ კანონმდებლობით მოეთხოვება, რომ როგორც სს „თიბისი ბანკს“, ასევე ყველა ინვესტორს მოექცეს თანასწორობის და თანაბარუფლებიანობის საწყისებზე; (ბ) თუ საპროცენტო სარგებლის საბოლოო განაკვეთის ფორმირების (Book-building-ის) პროცესში პოტენციური ინვესტირებისაგან „ობლიგაციების“ შესყიდვის თაობაზე განაცხადებით გამოხატულია ინტერესი იმაზე მეტი „ობლიგაციის“ შეძენაზე ვიდრე ამ „პროსპექტით“ არის გათვალისწინებული და განაცხადების დაკმაყოფილება ხდება ნაწილობრივ, შემოსულ განაცხადებში მითითებული ოდენობების პროპორციულად ან სხვაგვარად, ამასთან დაკავშირებით გადაწყვეტილებას იღებს თავად „ემიტენტი“ და არა „განთავსების აგენტი“.

შეთავაზების მიზნები და მოზიდული სახსრების გამოყენება

„ემიტენტი“ გეგმავს ჯამურად [80,000,000] ლარამდე ნომინალური ღირებულების „ობლიგაციების“ გამოშვებას, საიდანაც მიღებული წმინდა სახსრები იქნება არანაკლებ მოზიდული სახსრების 98.5%-ისა.

„ემიტენტი“ „ობლიგაციების“ გამოშვებიდან მოზიდულ წმინდა სახსრებს გამოიყენებს i) სასესხო ვალდებულებების რეფინანსირებისთვის; ii) კაპიტალური დანახარჯების დასაფინანსებლად და iii) სამუშაო კაპიტალის დასაფინანსებლად.

„ობლიგაციების“ პირველი ტრანშიდან, [50,000,000] ლარამდე, მიღებული წმინდა სახსრები მოხმარდება:

- › [40,000,000] ლარამდე საბანკო სესხების რეფინანსირებას;
- › [6,000,000] ლარამდე კაპიტალური დანახარჯების დაფინანსებას;
- › [4,000,000] ლარამდე სამუშაო კაპიტალის დაფინანსებას;

დარჩენილი ტრანშ(ებ)იდან მოზიდული მოცულობა - [30,000,000] ლარამდე - მოხმარდება კომპანიის სასესხო ვალდებულებების რეფინანსირებას.

სასესხო ვალდებულებების რეფინანსირების შედეგად „კომპანია“ მოელის მცირე გაუმჯობესებას საპროცენტო ხარჯის კუთხით, რადგან „ობლიგაციების“ კუპონის განაკვეთი შესაძლოა განსხვავდებოდეს რეფინანსირებული ვალდებულებების განაკვეთისგან, თუმცა აღნიშნული ეფექტის შეფასება პროსპექტის მომზადების თარიღისთვის შეუძლებელია. ამასთან, სასესხო ვალდებულებების რეფინანსირების შედეგად „ემიტენტის“ დაფინანსების სტრუქტურაში შესაძლოა შეიცვალოს განაწილება ვალუტების მიხედვით.

დეტალური ინფორმაცია „ემიტენტის“ კაპიტალიზაციასა და დავალიანების შესახებ წარმოდგენილია ქვეთავში „კაპიტალიზაცია და დავალიანება“.

ძირითადი საქმიანობა

„კომპანიის“ იურიდიული და კომერციული დასახელება არის შპს „ნოვა“, სამართლებრივი ფორმა: შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, საიდენტიფიკაციო ნომერი: 202358126, იურიდიული და ფაქტობრივი მისამართი: ქ. თბილისი, დიდუბის რაიონი, რაფაელ აგლაძის ქუჩა, N45, რეგისტრაციის ქვეყანა: საქართველო, მარეგულირებელი კანონმდებლობა: საქართველოს კანონმდებლობა, დაარსების თარიღი: 2006 წლის 8 ნოემბერი.

კომპანიის საკონტაქტო ინფორმაცია:

ელ. ფოსტა: info@nova.ge

ვებ-გვერდი: <https://nova.ge/>

ტელეფონი: 032 2 00 33 33

კომპანიის მიმოხილვა და ისტორია

შპს „ნოვამ“ ბაზარზე ოპერირება 2006 წელს დაიწყო. საწყის წლებში კომპანია სამშენებლო ბაზარზე პროდუქციის იმპორტითა და რეალიზაციით იყო დაკავებული. 2011 წელს კომპანია განვითარების ახალ ეტაპზე გადავიდა და გარდაიქმნა მრავალპროფილურ მწარმოებლად - დაიწყო მოთუთიებული და ფერადი თუნუქის წარმოების ხაზების განვითარება და სახურავის მასალების წარმოება. წლების განმავლობაში, ნოვა ეტაპობრივად აფართოებდა წარმოების ბიზნესს და მომხმარებლებს ადგილობრივ წარმოებულ ახალ პროდუქტებს სთავაზობდა.

კომპანია თბილისისა და ბათუმის საწარმოებში 500-ზე მეტი დასახელების პროდუქტს აწარმოებს, მათ შორის: თუნუქის გადასახურ მასალების, წყალსაწრეტი სისტემების, თაბაშირ-მუყაოს საინსტალაციო და სხვადასხვა ტიპის პროფილების, პოლიეთილენის წყლის ავზების, სხვა პოლიეთილენის პროდუქტების, შავი ლითონის პროფილებსა და ფურცლების, თბოიზოლაციის ფირფიტებსა (XPS) და წებო-ცემენტს და სხვა.

კომპანიას იმპორტირებული პროდუქციის ნაწილი ძირითადად თურქეთიდან და ჩინეთიდან შემოაქვს. წარმოების განვითარების პარალელურად კომპანიამ მნიშვნელოვნად გაზარდა იმპორტირებული პროდუქტების ასორტიმენტიც. დღეს კომპანია ექსკლუზიურად თანამშრომლობს ისეთ საერთაშორისო ბრენდებთან, როგორებიცაა: INGCO, Betek, Fawori, Rigips, Izocam, Bien.

2020 წლიდან კომპანიამ დაიწყო საცალო მიმართულების განვითარება და დღეისათვის საქართველოს 9 ქალაქში ფლობს სავაჭრო ცენტრებს: თბილისი, ბათუმი, ქუთაისი, თელავი, გორი, მარნეული, ხაშური, ჭიათურა და ახალციხე. ჩამოთვლილი 9 ფილიალიდან კომპანია მართავს 7 სავაჭრო ცენტრს ხოლო 2 ფრენშაიზინგის მოდელით ფუნქციონირებს.



საწარმო:

„ნოვა“ ფლობს ორ საწარმოო ქარხანას - თბილისსა და ბათუმში. 2011 წელს კომპანიამ თბილისში გახსნა პირველი საწარმოო ხაზი თუნუქის სახურავის მასალების წარმოებისთვის, რასაც მალევე დაემატა თუნუქის პროფილების წარმოების ხაზები. 2014 წელს ბათუმში დაიწყო პოლიეთილენის წყლის ავზების წარმოება. მას შემდეგ კომპანია ეტაპობრივად ზრდის წარმოების სიმძლავრეს და ავითარებს პროდუქციის პორტფელს. კომპანიის თბილისის საწარმო ობიექტი აღჭურვილია სახურავის მასალების, წებო-ცემენტებისა და საიზოლაციო ფილების (XPS) საწარმოო ხაზებით, მთლიანი ფართობი შეადგენს 14,000 კვ.მ-ს, ასევე მოიცავს საწყობს მზა პროდუქციისთვის - დაახლოებით 10,000 კვ.მ.

ბათუმის წარმოების ობიექტი - მთლიანი ფართი 26,000 კვ.მ, მოიცავს სახურავის მასალების, წყალსაწრეტი სისტემების, თუნუქის სხვადასხვა ტიპის პროფილების, შავი ლითონის მილების, მილკვადრატებისა და ფურცლოვანების, წყლის რეზერვუარების და სხვადასხვა პოლიეთილენის პროდუქციის საწარმოს. საწყობის საერთო ფართი შეადგენს 29,000 კვ.მ-ს.

ფრენშაიზი:

კომპანიას აქვს 2 ფრენშაიზინგის სავაჭრო ფილიალი - ჭიათურასა და ახალციხეში, სადაც წარმოდგენილია „ნოვას“ პროდუქცია.

გარდა ამისა, „ნოვას“ გაფორმებული აქვს ფრენშაიზის ხელშეკრულება შპს „Surmega“-სთან, რომლის მიხედვითაც ფრენშაიზის მიმღებს უფლება აქვს სომხეთში აწარმოოს და გაყიდოს „ნოვას“ ბრენდირებული პოლიეთილენის ავზები.

კომპანიის სტრატეგია ითვალისწინებს ფრენშაიზინგის მიმართულების გაძლიერებას. „ნოვა“ მომავალში გეგმავს ახალი საგამოფენო დარბაზების გახსნას პარტნიორებთან ერთად ზესტაფონში, ზუგდიდში, წნორში, რუსთავსა და ოზურგეთში, რაც კომპანიას საშუალებას მისცემს სწრაფად გაზარდოს გეოგრაფიული დაფარვა და ბაზრის წილი მინიმალური კაპიტალური ინვესტიციებით, ხოლო პარტნიორებს უზრუნველყოს შესაძლებლობა, იმუშაონ ძლიერი ბრენდისა და უკვე დამკვიდრებული ბიზნესმოდელის საფუძველზე.

ფრენშაიზების შესახებ მეტი ინფორმაციისთვის იხილეთ - „მატერიალური კონტრაქტები“.

საკუთარი ფილიალი:

კომპანია ფლობს 7 საცალო ფილიალს საქართველოს სხვადასხვა ქალაქში, სადაც მომხმარებელთათვის ხელმისაწვდომია 25,000-მდე ერთეული - როგორც ადგილობრივი წარმოების, ისე იმპორტირებული პროდუქცია. „ნოვა“ არის ისეთი გლობალური ბრენდების ოფიციალური პარტნიორი, როგორიცაა Nippon Paint Group-ის ბრენდები: Betek და Fawori, და Saint Gobain Group-ის ბრენდები: Izocam, Rigips, Ingco და Bien, რაც ამყარებს მისი პროდუქციის ხარისხსა და სანდოობას.

კომპანიის მხრიდან სავაჭრო ცენტრების გახსნა უკავშირდება საცალო მომხმარებლების ბაზრის ათვისების სტრატეგიას.

სავაჭრო ცენტრების საშუალო შემოსავალი წლების მიხედვით:


	2022	2023	2024		2024 6 თვე	2025 6 თვე
საშუალო შემოსავალი ერთ კვადრატულ მეტრზე	5,092	6,672	7,091		2,882	2,815*

*2025 წლის განმავლობაში კომპანიამ დაიმატა 400 მ2 სავაჭრო ფართი ქუთაისში. აღნიშნულ სავაჭრო ცენტრს, 2025 წლის ივნისისთვის შემოსავალი სრული სიმძლავრით არ დაუგენერირებია, რამაც გამოიწვია ცხრილში მოცემული საშუალო შემოსავლის კლება.

საოპერაციო საქმიანობა

კომპანიის ძირითადი საქმიანობაა სამშენებლო მასალების წარმოება, იმპორტი, და ადგილობრივ და საექსპორტო ბაზარზე რეალიზაცია. კომპანია პროდუქტებს ყიდის საქართველოს ტერიტორიაზე, სავაჭრო ცენტრებისა და დისტრიბუციის არხების მეშვეობით.

კომპანიის ამონაგები წარმოებული და იმპორტირებული საქონლის რეალიზაციიდან შემდეგნაირად ნაწილდება:




წარმოებული პროდუქცია

კომპანია აწარმოებს თუნუქის გადასახურ მასალებს, პოლიეთილენის წყლის ავზებს, სხვა პოლიეთილენის პროდუქტებს, ლითონის პროფილებსა და აქსესუარებს, თაბაშირ-მუყაოს პროფილებს, თბოიზოლაციის ფირფიტებსა და წებო-ცემენტს. საწარმოო პროცესი ხორციელდება კომპანიის კუთვნილ ქარხნებში, თბილისსა და ბათუმში.

2024 წლის განმავლობაში, კომპანიის ჯამურმა ამონაგებმა შეადგინა 238,200 ათასი ლარი, საიდანაც წარმოებული პროდუქციის წილი 45.9%-ია. წარმოებული პროდუქციის გაყიდვები 2023 წელთან შედარებით გაზრდილია 30.9%-ით. წარმოებული პროდუქციიდან ყველაზე დიდი ამონაგები დაგენერირდა თუნუქის - 64.5% და ლითონის - 13.9% ნაწარმის რეალიზაციით.

2025 წლის პირველი ნახევრის განმავლობაში კომპანიის ჯამურმა ამონაგებმა შეადგინა 104,295 ათასი ლარი, საიდანაც წარმოებული პროდუქციის წილი 41.4%-ია. წარმოებული პროდუქციიდან ყველაზე დიდი ამონაგები დაგენერირდა თუნუქის - 60.0% და ლითონის - 17.7% ნაწარმის რეალიზაციით.

კომპანიის წარმოებული პროდუქციის რეალიზაციიდან ამონაგები ნაწარმის ჭრილში შემდეგნაირად ნაწილდება:



თუნუქის ნაწარმისა და ლითონის ნაწარმის წარმოების პროცესი მარტივია - კომპანიას შემოაქვს გალვანიზებული (თუთიით დაფარული, ასევე შეღებილი) და მეტალის რულონები, რომლებიც შემდეგ საწარმოო ხაზებზე სხვადასხვა დიზაინის მიხედვით მუშავდება. მეტალის რულონების, როგორც გალვანიზებულის ისე შეღებილის, იმპორტი ძირითადად ჩინეთიდან და თურქეთიდან ხდება. იგივე ბაზრებიდან ხდება შავი მეტალის რულონების იმპორტიც. ამ მიმართულებით დაახლოებით 70 ინდივიდუალური წარმოების ხაზი მოქმედებს კომპანიაში და შესაბამისად, დიდია ასორტიმენტიც. კომპანიის საწარმოებში ხდება მეტალის გრძივი და განივი ჭრა, კეცვა, შედუღება, ფორმირება, შეღება, დაუთოება და სხვა პროცესები, რომლებიც მეტალის რულონებს გარდაქმნის სხვადასხვა სახის პროდუქციად.

კომპანია ასევე აწარმოებს მრავალშრიან პოლიეთილენის წყლის ავზებს, რომელთა ტევადობა 100-დან 10,000 ლიტრამდეა. აღნიშნული პროდუქტი ძირითადად გამოიყენება ოჯახებში, სადაც წყლის მიწოდება შეზღუდულია, და იმ ბიზნესებში, რომლებსაც არასტაბილური წყლის მიწოდება აქვთ. ამასთანავე საქართველოში საოჯახო წესით ღვინის წარმოება ძალიან პოპულარულია, ამ მიზნით კი ხშირად პოლიეთილენის ავზები გამოიყენება. კომპანიას მიღებული აქვს სერტიფიკატი „სასმელი წყლისთვის განკუთვნილი პოლიეთილენის კონტეინერები“, რაც ადასტურებს, რომ ნოვას ავზებში შენახული წყალი სასმელად უსაფრთხოა. ნაწარმისთვის ძირითადი ნედლეულია პოლიეთილენის ფხვნილი, რომელიც შემოდის მექსიკიდან და თურქეთიდან, ხოლო წარმოებაში გამოყენებული როტაციული ჩამოსხმის მანქანა იტალიური კომპანია Polyvinyl-ის დამზადებულია. პოლიეთილენის აღნიშნული ხაზებით იწარმოება ასევე გზის ბარიერები და ნაგავშემკრები კონტეინერები, რომლებიც განკუთვნილია მუნიციპალური დასუფთავების სამსახურებისთვის.


„ნოვას“ წებო-ცემენტის წარმოება სრულად ავტომატიზებული პროცესია. ძირითადი ნედლეული - ქვიშა და ცემენტი-ადგილობრივი ბაზრიდანაა, ხოლო ქიმიური დანამატები და ტექნოლოგიური ფორმულები მოწოდებულია იმ საერთაშორისო ბრენდებისგან, რომელთა ფრენშაიზსაც ფლობს კომპანია (Nippon Paint Group) - აღნიშნული უზრუნველყოფს პროდუქტის შესაბამისობას ბრენდის სტანდარტებთან. წებო-ცემენტის წარმოების ხაზი სრულად რობოტიზებულია - პროცესები მოიცავს ნედლეულის ზუსტ დოზირებას, შერევას, შეფუთვის და ტომრებში ავტომატურ გადანაწილებას. თითოეული წარმოებული პარტია ლაბორატორიულად მოწმდება, რათა კონტროლდებოდეს ფიზიკურ-ქიმიური მახასიათებლები და სიმტკიცის სტანდარტები. წარმოებაზე და პროდუქციაზე გაცემულია CE და EN ნიშანდების შესაბამისი სერტიფიკატები, რომელთა მიხედვითაც როგორც საქონელი, ასევე წარმოება სრულად აკმაყოფილებს ევროპულ სტანდარტებს.

„ნოვას“ თბოიზოლაციის მასალის წარმოება არის ტექნოლოგიურად კომპლექსური პროცესი. ძირითად ნედლეულს - პოლისტირენს - კომპანია ნაწილობრივ ადგილობრივ ბაზარზე ყიდულობს, ხოლო მაღალი ხარისხის კომპონენტები და დანამატები იმპორტით შემოაქვს საერთაშორისო ბრენდებისგან. წარმოებისას პოლისტირენი და ქიმიური დანამატები ერთმანეთს ზუსტად დოზირებული პროპორციით ერევა და ქიმიური რეაქციის შედეგად წარმოიქმნება ჰომოგენური მასა დახურულუჯრედოვანი სტრუქტურით, რაც უზრუნველყოფს მაღალ თბოიზოლაციას და სიმტკიცეს. მიღებული მასა გადის ექსტრუდირების და ფრეზირების პროცესს, იჭრება საჭირო ზომისა და სისქის ფირფიტებად, ხოლო შემდგომ ეტაპზე ხდება ზედაპირის დამუშავება და შეფუთვა. თითოეული პარტია მოწმდება ლაბორატორიულად, რათა უზრუნველყოფილი იყოს პროდუქციის თბოგამტარობის, სიმკვრივისა და მექანიკური გამძლეობის სტანდარტებთან შესაბამისობა.

წარმოებული პროდუქციის უტილიზაცია:

2024 წლის განმავლობაში კომპანიას ყველაზე მაღალი უტილიზაცია უფიქსირდება თუნუქის ნაწარმზე (66.2%), საიდანაც შემოსავლების 64.5% გენერირდება. მეორე ყველაზე მეტად უტილიზებული წარმოების ხაზია პოლიეთილენის ნაწარმი (57.5%), შემოსავლებში 9.4%-იანი წილით. საწარმოო ხაზების უტილიზაციის დონიდან გამომდინარე, ემიტენტს აქვს წარმოებული პროდუქციის ზრდისა და შესაბამისი შემოსავლების ზრდის შესაძლებლობა - ასევე ბაზარზე მზარდი მოთხოვნის დაკმაყოფილების რესურსი.

2024 წლის უტილიზაციის დონე წარმოებული პროდუქტების ჭრილში:



გადაყიდული პროდუქცია

კომპანია ახდენს 10,000-ზე მეტი პროდუქტის და 50-ზე მეტი კატეგორიის პროდუქტის იმპორტს. 2024 წლის იმპორტის უმეტესი ნაწილი - 86.4% ხორციელდება ჩინეთიდან და თურქეთიდან. ნოვა ადგილობრივი პარტნიორია ისეთი გლობალური ბრენდისთვის, როგორებიცაა:

- › **Betek** - სამშენებლო ქიმიისა და დეკორატიული საღებავების წამყვანი მწარმოებელი, რომელიც ეკუთვნის მსოფლიოში ერთ-ერთ ყველაზე დიდ საღებავების ჰოლდინგს Nippon Paint Group-ს;
- › **Ingco** - ხელსაწყოებისა და ინსტრუმენტების ერთ-ერთი ყველაზე სწრაფად მზარდი საერთაშორისო ბრენდი, რომელიც გამოირჩევა კონკურენტული ფასითა და პროფესიონალური ხარისხით. „ნოვას“ გააჩნია Ingco-ს ექსკლუზიური იმპორტისა და რეალიზაციის უფლება საქართველოში, რაც კომპანიას კონკურენტულ უპირატესობას ანიჭებს;
- › **Fawori** - სამშენებლო საღებავებისა და საფარების ბრენდი, რომელიც ეკუთვნის Nippon Paint Group-ს და ცნობილია ფართო ასორტიმენტითა და მაღალი ხარისხით;


- › **Izocam** - თბოიზოლაციის მასალების რეგიონული ლიდერი, რომელიც ეკუთვნის Saint Gobain Group-ს აწარმოებს მაღალი ენერგოეფექტურობის პროდუქციას. Izocam-ის ბრენდი აღიარებულია როგორც სტანდარტი საიმედო იზოლაციაში თურქეთში და რეგიონის ქვეყნებში;
- › **Rigips** - გლობალურად აღიარებული ბრენდი თაბაშირ-მუყაოს პროდუქტებში, რომელიც მიეკუთვნება Saint-Gobain-ის ჯგუფს - ერთ-ერთ უმსხვილეს სამშენებლო მასალების მწარმოებელს მსოფლიოში;
- › **Bien** - პრემიუმ ხარისხის კერამიკული ფილებისა და სანტექნიკის მწარმოებელი თურქეთიდან, რომელიც ცნობილია თანამედროვე დიზაინითა და მაღალი სტანდარტებით;

იმპორტირებულ პროდუქტებს შორისაა: თბოიზოლაციის მასალები, თაბაშირ-მუყაოს ფილები, კერამიკული ფილები და სხვა სამშენებლო/სარემონტო მასალები და ხელსაწყოები.

2024 წლის განმავლობაში, კომპანიის ამონაგებმა გადაყიდული პროდუქციის რეალიზაციიდან ჯამური შემოსავლების 52.1% შეადგინა. გადაყიდული პროდუქციის გაყიდვები 2023 წელთან მიმართებით გაიზარდა 6.5%-ით. გადაყიდული პროდუქტიდან ყველაზე დიდი ამონაგები დაგენერირდა თუნუქის ნედლეულის - 20.9% და INCGO - 12.2% პროდუქტების რეალიზაციიდან.

2025 წლის პირველი ნახევრის განმავლობაში, კომპანიის ამონაგებმა გადაყიდული პროდუქციის რეალიზაციიდან ჯამური შემოსავლების 56.6% შეადგინა. გადაყიდული პროდუქციის გაყიდვები წინა წლის შესაბამის პერიოდთან მიმართებით გაიზარდა 7.2%-ით. გადაყიდული პროდუქტიდან ყველაზე დიდი ამონაგები დაგენერირდა თუნუქის ნედლეულის - 20.2% და INCGO - 13.4% პროდუქტების რეალიზაციიდან.

შემოსავლები გადაყიდული პროდუქტების ჭრილში შემდეგნაირად ნაწილდება:



ნოვას წარმოებული და იმპორტირებული პროდუქცია მომხმარებლებისთვის, გარდა ნოვას სავაჭრო ობიექტებისა, ხელმისაწვდომია ქვეყნის მასშტაბით 500-მდე სამშენებლო-სარემონტო მასალების რეალიზაციის ცენტრში.

კომპანიის პროდუქციის საბოლოო მომხმარებლებს წარმოადგენენ საყოფაცხოვრებო სეგმენტის წარმომადგენლები, რომლებიც სარემონტო მასალებს ყიდულობენ როგორც ორგანიზებულ სამშენებლო მასალების ბაზრებზე, ასევე

არაორგანიზებულ სამშენებლო მასალების ბაზრებზე. კომპანიის მომხმარებელთა ბაზა მოიცავს 900-ზე მეტ B2B მომხმარებელს (საბითუმო დისტრიბუტორებს).


საბითუმო მომხმარებლებს შორის არიან საბითუმო გადამყიდველები, ფრენშიზის მხარეები და კორპორატიული კლიენტები. 2024 წლის განმავლობაში, კომპანიის შემოსავლების დაახლოებით 43% - საბითუმო გადამყიდველებზე, 22% - კორპორატიულ კლიენტებზე რეალიზაციიდან, ხოლო 3% ფრენშიზინგიდან დაგენერირდა.

- საბითუმო გადამყიდველები ოპერირებენ დამოუკიდებელი საცალო მაღაზიებით ან როგორც დისტრიბუტორები, რომლებიც ნოვას პროდუქტებს ქვეყნის მასშტაბით მცირე საცალო მოვაჭრეებზე ყიდნიან;
- კორპორატიულ კლიენტებს წარმოადგენენ სამშენებლო კომპანიები, რომლებიც ნოვასგან ყიდულობენ სამშენებლო და სარემონტო მასალებს;
- ფრენშიზის მხარეებს წარმოადგენენ ჭიათურასა და ახალციხეში მდებარე სავაჭრო ცენტრები.

2024 წლის განმავლობაში, კომპანიის ამონაგებმა საბითუმო ვაჭრობიდან ჯამური შემოსავლების 66.8% შეადგინა და 2023 წელთან მიმართებით გაიზარდა 21.2%-ით. 2024 წლის განმავლობაში საცალო ვაჭრობიდან ამონაგები გაიზარდა 7.5%-ით და ჯამური შემოსავლების 30.7% შეადგინა.

2025 წლის პირველი ნახევრის განმავლობაში, კომპანიის ამონაგებმა საბითუმო ვაჭრობიდან ჯამური შემოსავლების 74.8% შეადგინა ხოლო საცალო ვაჭრობიდან ამონაგებმა ჯამური შემოსავლების 22.4% შეადგინა და გაიზარდა 16.8%-ით.

შემოსავლები მომხმარებლების ჭრილში შემდეგნაირად ნაწილდება:



მომხმარებლების შესახებ მეტი ინფორმაციისთვის იხილეთ - „ძირითადი მომხმარებლები და მომწოდებლები“.

მნიშვნელოვანი მოვლენების აღწერა

2006 წელს

კომპანია „ნოვა“ ჩნდება ბაზარზე. საწყის წლებში კომპანიის საქმიანობის სფეროს სამშენებლო მასალების, მეტწილად სახურავის მასალების იმპორტი და რეალიზაცია წარმოადგენდა;

2011 წელს

კომპანიამ სამშენებლო მასალების წარმოების ხაზების, კერძოდ მოთუთიებული და ფერადი თუნუქის წარმოების ხაზების განვითარება დაიწყო, პარალელურად თბილისში დაიწყო სახურავის მასალების წარმოება;

2012 წელს

კომპანიამ წარმოებაში დანერგა თაბაშირ-მუყაოს პროფილების და აქსესუარების საწარმოო ხაზი, რასაც შემდეგში დაემატა სამღებრო და საბათქაშე კუთხოვანების წარმოება, აგრეთვე კომპანიამ გახსნა თავისი პირველი საცალო მაღაზია ბათუმში;

2014 წელს

კომპანიამ დაიწყო პოლიეთილენის წყლის რეზერვუარების პროდუქციის როტაციული მეთოდით წარმოება ბათუმში;

2015 წელს

კომპანიამ გააფართოვა სასაბურვე მასალების წარმოების და თაბაშირ-მუყაოს პროფილების ხაზი, ასევე კომპანიამ გახსნა ახალი საცალო მაღაზია ბათუმში;

2016 წელს

კომპანიამ გახსნა საცალო მაღაზია თბილისში;

2017 წელს

კომპანიამ წარმოების ხაზს დაამატა ევროპული სტანდარტის თაბაშირ-მუყაოსა და მეტალოპლასტმასის შესაფუთი პროფილები, ასევე კომპანიამ განაგრძო გაფართოება და დაემატა სახურავის კიდევ ერთი წარმოების ხაზი;

2018 წელს

კომპანიამ შეიძინა, რეაბილიტაცია გაუკეთა და გახსნა ახალი საწარმოო ტერიტორია თბილისში, თანამედროვე და ახალი წარმოების ხაზებითა და 14,220 კვ.მ წარმოების და სასაწყობე ფართობით;

2019 წელს

კომპანიამ განაახლა წყლის რეზერვუარების წარმოების ხაზი ახალი აღჭურვილობით, რის შედეგადაც წარმოება გაიზარდა 2,500 ერთეულიდან 6,100 ერთეულამდე;

2020 წელს

- (i) კომპანიამ გახსნა ორი ახალი საცალო მაღაზია თბილისსა და ბათუმში, მთლიანი სავაჭრო ფართობი გაზარდა 10,400 კვ.მ-მდე;
- (ii) კომპანიამ დაარსა შვილობილი შპს „ნოვა ფროდაქშენი“, დამატებითი სახურავის მასალების, საიდინგისა და პოლიეთილენის პროდუქტების წარმოების დაწყების მიზნით;

2021 წელს

კომპანიამ გახსნა საცალო მაღაზია ქუთაისში, საერთო ფართობით 3,500 კვ.მ, მათ შორის სავაჭრო ფართი 1,300 კვ.მ და საწყობის ფართი 700 კვ.მ;

2023 წელს

- (i) კომპანიამ გააფორმა ფრენშაიზის ხელშეკრულება SURMEGA LLC-სთან; (ii) კომპანიამ დაიმატა სამი ახალი საწარმოო მიმართულება: თბოიზოლაციის პროდუქცია; წებო-ცემენტების წარმოება; შავი ლითონის საწარმო; (iii) კომპანიამ გახსნა სამი საცალო მაღაზია თელავში, გორსა და მარნეულში;

2024 წელს


კომპანიამ გააფორმა ორი ფრენშაიზის ხელშეკრულება შპს „ვაბე“-სთან და შპს „ზუკა“-სთან, რომლის მიხედვითაც ფრენშაიზის მიმღებებს ეძლევათ უფლება იოპერირონ „ნოვას“ ბრენდის ქვეშ და საკუთარ სავაჭრო ცენტრებში განათავსონ „ნოვას“ პროდუქცია.

2025 წელს

კომპანია ახორციელებს 6 მილიონი აშშ დოლარის ინვესტიციას ქალაქ ფოთში რამდენიმე მიწის ნაკვეთის შესაძენად (ჯამური ფართობი 30 ჰექტარი). ინვესტიცია ხორციელდება რამდენიმე ეტაპად და დასრულება დაგეგმილია 2026 წლის პირველ კვარტალში. კომპანია განიხილავს ბაზარზე მომგებიანი შესაძლებლობის შემთხვევაში მიწის ნაკვეთის გადაყიდვას, ან გრძელვადიან პერსპექტივაში - მისი სასაწყობე და საწარმოო ინფრასტრუქტურის განვითარების მიზნით გამოყენებას.

ორგანიზაციული სტრუქტურა

ემიტენტის ორგანიზაციული სტრუქტურა პროსპექტის შედგენის თარიღისთვის შემდეგნაირად გამოიყურება:



* „ობლიგაციების“ ემიტენტი

** „ობლიგაციების“ თავდები კომპანიები

პროსპექტის შედგენის თარიღისთვის კომპანიის ბენეფიციარი მესაკუთრეები არიან: ზვიად აბულაძე, ჯემალ ბოლქვაძე, ემზარ ირემაძე, ჯემალ ანთაძე და რამაზ ირემაძე, თანაბარი, 20.00%-იანი წილით.


კომპანიამ 2020 წლის სექტემბერში დააარსა შპს „ნოვა ფროდაქშენი“ სახურავის მასალების, საიდინგის და პოლიეთილენის პროდუქტების წარმოების მიზნით და წარმოადგენს მის 100%-იან მფლობელს.

კომპანიამ 2021 წლის ოქტომბერში დააარსა შპს „ნოვა ფიქსი“ და „შპს ნოვა მეტალი“ და წამოადგენს მათ 100%-იან მფლობელს. პროსპექტის შედგენის თარიღისთვის აღნიშნული ორი კომპანია არ ფლობს კონსოლიდირებული შემოსავლებისა ან/და აქტივების მნიშვნელოვან წილს.

სეზონურობა

სამშენებლო და სარემონტო მასალების ბიზნესისთვის სეზონურობა გარკვეულწილად დამახასიათებელია. წლის დასაწყისსა და დეკემბერში შეინიშნება მცირე პასიურობა წლის სხვა თვეებთან შედარებით. კერძოდ, 2024 წლის განმავლობაში, პირველი სამი თვის განმავლობაში დაგენერირებულმა ამონაგებმა შეადგინა მთელი წლის ამონაგების 17.5%, ხოლო ბოლო სექტემბერი-ოქტომბერი-ნოემბრის განმავლობაში დაგენერირებულმა ამონაგებმა შეადგინა მთელი წლის ამონაგების 30.0%.

სეზონურობის ტრენდი თვეების მიხედვით:



"სეზონურობა დათვლილია 2021-2024 წლების რეალიზაციის მონაცემების რეგრესიული ანალიზით. თითოეული კალენდარული თვისთვის შეფასდა გაყიდვების გრძელვადიანი ზრდის ტენდენციასთან მიმართებით გადახრა, დაანგარიშდა საშუალო გადახრა და ამის გათვალისწინებით შედგა ნორმალიზებული სეზონურობის კოეფიციენტი.

ძირითადი მომხმარებლები და მომწოდებლები

მომწოდებლები:

კომპანიის ძირითადი მომწოდებლები არიან ჩინური და თურქული კომპანიები (მათთან ხელშეკრულებები კომპანიას გაფორმებული აქვს უცხოურ ვალუტაში). თითოეულ მომწოდებელთან ხელშეკრულებების პირობები განსხვავებულია, როგორც მიწოდების ისე გადახდის პირობების კრილში. კომპანიის მომწოდებლების ბაზა დივერსიფიცირებულია - 2024 წლის მდგომარეობით კომპანი იმპორტს ახორციელებს 120-მდე მომწოდებლისგან, საიდანაც ტოპ 3 მომწოდებელზე ჯამური მოწოდებული პროდუქციის 32.9% მოდის, ტოპ 5 მომწოდებელზე 47.0% და ტოპ 10 მომწოდებელზე 64.3%.

2024 და 2023 წლის ტოპ 5 მომწოდებელზე ინფორმაცია იხილეთ ცხრილში:

მომწოდებელი	ქვეყანა	წილი 2024-ის ჯამურ მოწოდებულ პროდუქციაში	წილი 2023-ის ჯამურ მოწოდებულ პროდუქციაში
SHANDONG SUOLITE INTERNATIONAL TRADE CO., LTD	იმპორტი ჩინეთი	19.33%	9.63%
GLOBAL LINKS TECHNOLOGY CO.PTE.LTD.	იმპორტი ჩინეთი	11.76%	8.07%
TOSCELIK PROFIL VE SAC ENDUSTRISI A.S	იმპორტი თურქეთი	11.07%	0.00%
Shandong Sunshine International Trade Co. LTD	იმპორტი ჩინეთი	7.43%	7.72%
KEO SANG CO., LTD	იმპორტი კორეა	4.73%	5.23%
SHANDONG BINZHOU PRINTING AND DYEING GROUP IMP. ANDEXP. CO., LTD	იმპორტი ჩინეთი	0.00%	12.34%
CHEMAX INTERNATIONAL PTE.LTD	იმპორტი ჩინეთი	1.01%	10.08%
METINVEST-SMC LLC	იმპორტი უკრაინა	3.32%	8.13%

კომპანიას აქვს შესაძლებლობა მარტივად ჩაანაცვლოს მარაგების მომწოდებლები - რაც გამოიხატება იმაში, რომ 2024 წლისა და 2023 წლის ტოპ 5 მომწოდებლიდან 3 - სრულად განსხვავებულ კომპანიებს წარმოადგენენ. სახურავის მასალებისა და მეტალის პროფილების წარმოებისთვის საჭირო ძირითადი ნედლეული ჩინეთიდან და თურქეთიდან შემოდის, ამჟამად კომპანიის წარმოების დაახლოებით 90% ეფუძნება ჩინურ და თურქულ ნედლეულს. წარსულში, ჩინურ მომწოდებლებთან დაკავშირებული გართულებების ფონზე, კომპანიამ ნაწილობრივ გააფართოვა მომწოდებლების გეოგრაფიული სპექტრი - 2019 წლიდან დაიწყო სახურავის მასალების შეკვეთა კორეული მწარმოებლებისგან. კომპანია აქტიურად აწარმოებს მოლაპარაკებებს სხვა ალტერნატიულ მომწოდებლებთან, ძირითადად თურქეთიდან, უკრაინიდან, ყაზახეთიდან და უზბეკეთიდან, რათა მომავალში ლოჯისტიკური რისკები მინიმუმამდე დაიყვანოს.

კომპანიას არ აქვს გაფორმებული გრძელვადიანი კონტრაქტები მომწოდებლებთან - კომპანია ყოველთვის აახლებს ინდივიდუალურ კონტრაქტებს სხვადასხვა მომწოდებელთან, იმის მიხედვით თუ რომელი სთავაზობს საუკეთესო ფასსა და პირობებს. კომპანიას აქვს რამდენიმე ბერკეტი დანახარჯების საკონტროლებლად, მაგალითად, თუ მოწოდების ფასი მაღალია - კომპანია სარგებლობს ღია გემებით ტრანსპორტირების სერვისით, რაც მნიშვნელოვნად ამცირებს ხარჯებს.

› მომხმარებლები:

კომპანიის პროდუქციის საბოლოო მომხმარებლებს წარმოადგენენ საყოფაცხოვრებო სეგმენტის წარმომადგენლები, რომლებიც სარემონტო მასალებს ყიდულობენ როგორც ორგანიზებულ სამშენებლო მასალების ბაზრებზე, ასევე არაორგანიზებულ სამშენებლო მასალების ბაზრებზე.

კომპანიის მომხმარებელთა ბაზა მოიცავს 900-ზე მეტ B2B მომხმარებელს (საბითუმო დისტრიბუტორებს), რომლებიც ფლობენ საკუთარ საცალო ობიექტებს ან ასრულებენ დილერის ფუნქციას და პროდუქციას გადასცემენ საცალო ვაჭრობით დაკავებულ პატარა ზომის კომპანიებს. ისტორიულად, კომპანიის წლიური გაყიდვების უდიდეს ნაწილს სწორედ საბითუმო დისტრიბუტორები წარმოადგენენ.

2024 წლის განმავლობაში საბითუმო ვაჭრობიდან ამონაგებმა შეადგინა 159,179 ათასი ლარი, რაც ჯამური ამონაგების 66.8%-ია, ხოლო 2023 წლის განმავლობაში 204,949 ათასი ლარი, რაც ჯამური ამონაგების 64.1%-ია.

კომპანიის მომხმარებელთა ბაზა დივერსიფიცირებულია, 2024 წლის მდგომარეობით ტოპ 10 კლიენტის წილი ჯამურ ამონაგებში შეადგენს მხოლოდ 12.5%-ს, ტოპ 5 მომხმარებლის წილი შეადგენს 8.2%-ს და ტოპ 3 მომხმარებლის წილი შეადგენს 5.7%-ს.

კომპანია აქვს დაბალი დებიტორული დავალიანების დღეები (DSO), 2024 წლის მდგომარეობით შეადგენს 12.2-ს, 2023 წლის მდგომარეობით კი 11.7-ს, ეს ხაზს უსვამს რომ კომპანიის მომხმარებლები ხელშეკრულების პირობებს დადგენილ ვადებში ასრულებენ.

„ნოვას“ ბიზნესმოდელი ეფუძნება მოქნილ და მოთხოვნაზე მორგებულ ურთიერთობებს მომხმარებლებთან - კომპანიას არ აქვს შეზღუდული გრძელვადიანი ფიქსირებული კონტრაქტები, რაც მას აძლევს საშუალებას ყოველ შეკვეთაზე ინდივიდუალურად განსაზღვროს პირობები და ფასები. ამ მიდგომით „ნოვა“ ინარჩუნებს თავისუფლებას სწრაფად მოერგოს ბაზრის ცვლილებებს და საჭიროების შემთხვევაში გამოიყენოს ფასების ზრდის ან კორექტირების შესაძლებლობა.

მნიშვნელოვანი კონტრაქტები

› ფრენშაიზი:

პროსპექტის შედგენის თარიღისთვის კომპანიას აქვს გაფორმებული ორი ფრენშაიზის ხელშეკრულება საქართველოს ტერიტორიაზე, შპს „ზუკა“-სთან (ს/ნ 439418532) და შპს „ვაბე“-სთან (ს/ნ 424070427). აღნიშნული ფრენშაიზებით ნოვა წარმოდგენილია ჭიათურასა და ახალციხეში.

ფრენშაიზის ხელშეკრულება მოიცავს შემდეგ უფლებებსა და ვალდებულებებს:

ფრენშაიზის მიმღებისთვის: აღნიშნული ხელშეკრულება გულისხმობს - ფრენშაიზის მიმღების მიერ მის საკუთრებაში არსებულ მეგაცენტრებზე „ნოვა პარტნიორის“ სახელის განთავსების უფლებას (სიტყვა „პარტნიორი“ გამოხატავს ფრენშაიზის ქვეშ მყოფ მეგაცენტრს). ხელშეკრულების მიხედვით, ფრენშაიზის მიმღები იღებს ვალდებულებას, რომ (i) დაიცვას ფრენშაიზის გამცემის ხარისხი, სტანდარტები და რეგლამენტები და (ii) საგამოფენო სივრცეებში სრულად წარმოადგინოს „ნოვას“ ნაწარმი და ის ბრენდები, რომელთა ექსკლუზიური წარმომადგენელიც არის შპს „ნოვა“.

ფრენშაიზის გამცემისთვის: აღნიშნული ხელშეკრულება მოიცავს ვალდებულებას, რომ ხელშეკრულების მოქმედების განმავლობაში, შპს „ნოვა“ იმავე ტერიტორიაზე სხვა პირს არ მიაწოდებს ფრენშაიზის გამოყენების უფლებას და არსებული პარტნიორი იქნება მისი ერთადერთი ფრენშაიზის მიმღები აღნიშნულ ტერიტორიაზე.

ფრენშაიზის ვადა და გადასახდელი: ფრენშაიზის ხელშეკრულება გაიცემა 3 წლის ვადით. „ემიტენტმა“ ფრენშაიზის ხელშეკრულება შპს „ვაბესთან“ გააფორმა 2024 წლის თებერვალში ხოლო შპს „ზუკასთან“ 2024 წლის ივლისში - აღნიშნული ფრენშაიზების ვადა 2027 წლის შესაბამის პერიოდად - თუ მხარეები არ გამოთქვამენ შეწყვეტის სურვილს, ხელშეკრულება გრძელდება დამატებით 3 წლით შპს „ვაბეს“ შემთხვევაში და 1 წლით შპს „ზუკას“ შემთხვევაში.

იქიდან გამომდინარე, რომ ფრენშაიზის მიმღები „ნოვას“ ბრენდის გამოყენების უფლების სანაცვლოდ არ იხდის რაიმე გადასახდელს - იგი ხელშეკრულების ფარგლებში იღებს ვალდებულებას, რომ ყოველწლიურად დააკმაყოფილებს „ნოვასგან“ წლიური შესყიდვის გეგმას, რომელიც წინასწარ თანხმდება მხარეებს შორის. შპს „ვაბეს“ შემთხვევაში საშუალო ფაქტური შესყიდვის გეგმა დაახლოებით 530 ათასი ლარია ხოლო შპს „ზუკას“ შემთხვევაში 395 ათასი ლარი.

გარდა ამისა, პროსპექტის შედგენის თარიღისთვის კომპანიას გაფორმებული აქვს ფრენშაიზის ხელშეკრულება SURMEGA LLC-თან (ს/ნ 04703383), აღნიშნული ხელშეკრულებით, ფრენშაიზის მიმღებს აქვს სასაქონლო ნიშნის - „ნოვას“ გამოყენების უფლება პოლიეთილენის ავზების წარმოებასა და გაყიდვაზე სომხეთის ტერიტორიაზე. აღნიშნული ხელშეკრულებით განსაზღვრული სასაქონლო ნიშნის გამოყენების უფლება ვრცელდება მხოლოდ სომხეთის ტერიტორიაზე 3 წლის ვადით. ფრენშაიზის მიმღები შპს „ნოვას“ ყოველწლიურად უხდის 35,000 აშშ დოლარს ფრენშაიზის უფლების გამოყენების სანაცვლოდ.

SURMEGA LLC-თან ფრენშაიზის ხელშეკრულება მოიცავს შემდეგ უფლებებსა და ვალდებულებებს:

ფრენშაიზის მიმღებისთვის: აღნიშნული ხელშეკრულება გულისხმობს - ფრენშაიზის მიმღების მიერ (i) „ნოვას“ ბრენდის ქვეშ პოლიეთილენის ავზების წარმოებისა და სომხეთის ტერიტორიაზე რეალიზაციის უფლებასა და (ii) „ნოვას“ ხარისხისა და წარმოების სტანდარტების დაცვის ვალდებულებას.

ფრენშაიზის გამცემისთვის: აღნიშნული ხელშეკრულება მოიცავს ვალდებულებას, რომ ხელშეკრულების მოქმედების განმავლობაში, სომხეთის ტერიტორიაზე SURMEGA LLC-ს გარდა სხვა პირი არ გაყიდოს „ნოვას“ ბრენდირებულ პოლიეთილენის ავზებს.

• ექსკლუზიური წარმომადგენლობის ხელშეკრულება:

კომპანია ფლობს საქართველოსა და სომხეთის ტერიტორიაზე “Fawori”-სა და “Betek”-ის ბრენდის წებო-ცემენტების წარმოებისა და რეალიზაციის ექსკლუზიურ უფლებას.

აღნიშნული ლიცენზია ემიტენტს მიღებული აქვს 2021 წელს და მისი ვადა განისაზღვრება 5 წლით, რომლის შემდეგაც მხარეები უფლებამოსილები არიან ყოველი ვადის გასვლის შემდეგ ხელშეკრულება განაახლონ 2 წლის ვადით.

ექსკლუზივები გულისხმობს ბრენდების მხრიდან „ნოვასთვის“ “know-how”- ს გაზიარებას - მათ შორის წარმოების პროცესში კონსულტაციასა და ტექნოლოგიურ მხარდაჭერას (რეცეპტების, ფორმულირების, ქიმიური შემადგენლობების, წარმოების ეტაპების და ხარისხის კონტროლის გამოცდილების გადაცემას), ასევე უფლებას, რომ კომპანიამ აღნიშნული ბრენდების სახელით აწარმოოს და გაყიდოს პროდუქცია.

ლიცენზიის ფარგლებში შპს „ნოვა“ იღებს ვალდებულებას, რომ ზუსტად დაიცავს მიღებული “know-how”-ს ტექნოლოგიურ სტანდარტებს და არ მიაყენებს ზიანს ბრენდის რეპუტაციას.

ექსკლუზივის ხელშეკრულება ასევე განსაზღვრავს ფინანსურ პირობებს - კომპანია ვალდებულია გადაიხადოს მინიმალური საკომისიო („Minimum Royalty Fee“) და წლიური ბრუნვიდან განსაზღვრული პროცენტი, რომლებიც ჯამში შეადგენს ლიცენზიის გამცემი ბრენდებისთვის გადასახდელ ანაზღაურებას.

სტრატეგია და ამოცანები

კომპანიის მისიაა - „კომფორტი ერთი სახურავის ქვეშ“, რაც გულისხმობს ერთ სივრცეში ერთმანეთის შემაჯავებელი სამშენებლო და სარემონტო მასალების ფართო ასორტიმენტის შეთავაზებას. „ნოვა“ ქმნის სრულად ინტეგრირებულ სერვისს, სადაც მომხმარებელი ყველაფერს იღებს სწრაფად და ხარისხიანად.

კომპანიის სამომავლო გეგმებში მოიცავს:

- (i) ახალი საგამოფენო დარბაზების გახსნა ფრენშაიზის მოდელით,
- (ii) პროდუქციის პორტფელის განვითარებას - როგორც წარმოებული ასევე იმპორტირებული, და
- (iii) მომხმარებელზე მორგებული სერვისისა და ფასების შეთავაზებას.

მაღალი კონკურენციის პირობებში „ნოვას“ მიზანია განვითარებული ინფრასტრუქტურით, მაღალკვალიფიციური თანამშრომლებით და გაუმჯობესებული სერვისებით უპასუხოთ თანამედროვე გამოწვევებს და იტვირთოს მისია, რომლის ამოსავალია აწარმოოს უფრო მეტი ტიპის პროდუქტი და შესთავაზოს მომხმარებელს მაღალხარისხიანი სამშენებლო და სარემონტო მასალები.

კომპანიის სტრატეგიის ძირითადი ფოკუსი არის წარმოების განვითარება. „ნოვა“ აქტიურად მუშაობს საწარმოო მიმართულების გაფართოებაზე როგორც საკუთარი რესურსების, ისე ფინანსური ინსტიტუტების მხარდაჭერის საშუალებით. იგეგმება ახალი საწარმოო ხაზების დამატება, რომლებიც შეესაბამება ევროპულ სტანდარტებს, წარმოების ავტომატიზაცია, პროდუქტიულობის ზრდა და ხარისხის მუდმივი გაუმჯობესება.

„ნოვა“ სამომავლო ზრდის ერთ-ერთ მთავარ მიმართულებად განიხილავს ფრენშაიზინგს - ახალი საგამოფენო დარბაზების გახსნას პარტნიორებთან ერთად. ეს მოდელი კომპანიას საშუალებას აძლევს სწრაფად გაზარდოს გეოგრაფიული დაფარვა და ბაზრის წილი - მინიმალური კაპიტალური ინვესტიციებით, ხოლო პარტნიორებს აძლევს წარმატებული ბრენდისა და გამოცდილი ბიზნესმოდელის გამოყენების შესაძლებლობას. შედეგად, კომპანია აძლიერებს ბრენდის ცნობადობას, ზრდის გაყიდვების მოცულობას და ამცირებს ბიზნესის ზრდის თანმდევ ფინანსურ და ოპერაციულ რისკებს.

ბიზნეს პროცესისა და ხარისხის კონტროლის პროცედურები

კომპანიაში დასაქმებულია 1,101 ადამიანი (2025 წლის 30 ივნისის მდგომარეობით), მათ შორის პროფესიონალი ინჟინრები წარმოებაში და გამოცდილი გაყიდვების გუნდები, რაც უზრუნველყოფს ეფექტიან ოპერაციებს.

„ნოვამ“ ხარისხის მართვის სისტემების დანერგვა დაიწყო 2013 წელს, როდესაც მოიპოვა ISO 9001:2008 სერტიფიკატი, ხოლო 2017 წელს განაახლა და მიიღო ISO 9001:2015 სტანდარტის სერტიფიკატი. ეს ადასტურებს, რომ კომპანიას ჩამოყალიბებული აქვს საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი ხარისხის მენეჯმენტის სისტემა, რომელიც მიზნად ისახავს პროცესების უწყვეტ გაუმჯობესებასა და პროდუქციისა და სერვისების ხარისხის ზრდას.

დამატებით, კომპანიამ მოიპოვა სერტიფიკატი „სასმელი წყლისთვის განკუთვნილი პოლიეთილენის კონტეინერების“ შესაბამისობის შესახებ, რაც ადასტურებს, რომ „ნოვას“ მიერ წარმოებული წყლის ავზები უსაფრთხოა სასმელი წყლის შესანახად.

კომპანია განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს ოპერაციული პროცესების კონტროლს და რისკების მართვას. წარმოებისა და მიწოდების ჯაჭვის სტაბილურობის უზრუნველსაყოფად, „ნოვა“ მუდმივად ახორციელებს მომწოდებლების შეფასებას, ამოწმებს ნედლეულის ხარისხს და მონიტორინგს უწევს მიწოდების ვადებს. COVID-19-ით და რეგიონული გეოპოლიტიკური მოვლენებით (რუსეთ-უკრაინის ომი) გამოწვეული გლობალური ლოჯისტიკური შეფერხებების პერიოდში კომპანიამ მოახდინა პროცესების ანალიზი და დროულად მიიღო გადაწყვეტილება მომწოდებლების გეოგრაფიული დივერსიფიკაციის შესახებ, რათა მომავალი შეფერხებების რისკი შეამციროს და მარაგების სტაბილურობა უზრუნველყოს.

› **თუნუქისა და ლითონის პროდუქციის წარმოების პროცესი და ტექნოლოგია**

თუნუქისა და ლითონის პროდუქციის წარმოებისთვის კომპანია იყენებს მოთუთიებულ/შეღებილ მეტალის რულონებს, რომელთა უმეტესობის იმპორტი ხდება ჩინეთიდან და თურქეთიდან. იმპორტირებული პროდუქცია დამუშავების პროცესს გადის სპეციალურ დანადგარში, სადაც მექანიკური ფორმირების შედეგად მიიღება სხვადასხვა პროფილი და დიზაინი.

მომწოდებელი	რესურსი	ტექნოლოგია/პროცესი	დასრულებული პროდუქტი
ჩინური / თურქული კომპანიები	მოთუთიებული / შეღებილი მეტალის რულონები 	მექანიკური ფორმირება	თუნუქისა და ლითონის პროდუქტი 

› **პოლიეთილენის პროდუქციის წარმოების პროცესი და ტექნოლოგია**

პოლიეთილენის პროდუქციის წარმოებისთვის კომპანია იყენებს პოლიეთილენის ფხვნილს, რომელიც იმპორტირდება მექსიკიდან და თურქეთიდან. ფხვნილი მუშავდება როტაციული ჩამოსხმის დანადგარში და შედეგად მიიღება პოლიეთილენის სხვადასხვა პროდუქცია, მათ შორის წყლის ავზები.

მომწოდებელი	რესურსი	ტექნოლოგია/პროცესი	დასრულებული პროდუქტი
მექსიკური / თურქული კომპანიები	პოლიეთილენის ფხვნილი 	როტაციული ჩამოსხმის დანადგარში დამუშავება	პოლიეთილენის პროდუქცია 

› **წებო-ცემენტის წარმოების პროცესი და ტექნოლოგია**

წებო-ცემენტის წარმოებისთვის კომპანია იყენებს ქვიშასა და ცემენტს, რომელთაც ადგილობრივი ბაზრიდან იძენს და არ არის იმპორტზე დამოკიდებული. პროდუქციის დამუშავება - შერევიდან დაწყებული, დახარისხებით დამთავრებული - სრულად ავტომატიზებული პროცესია.

მომწოდებელი	რესურსი	ტექნოლოგია/პროცესი	დასრულებული პროდუქტი
ადგილობრივი კომპანიები	ქვიშა და ცემენტი 	შერევა - შეფუთვა - ავტომატური განაწილება	წებო-ცემენტი 

› **ERP სისტემა**

2020 წელს კომპანიამ განახორციელა ERP სისტემის იმპლემენტაციის პროექტი, რომლის ფარგლებშიც მოხდა საცალო და საბითუმო გაყიდვების, წარმოების, ლოჯისტიკის, ფინანსებისა და ბუღალტერიის, ადამიანური რესურსების მართვისა და მარკეტინგის მოდულების დანერგვა და პროცესების ოპტიმიზაცია.

ასევე, 2020 წელს კომპანიამ დაიწყო დისტანციური მომსახურების განვითარება, რაც გამოიხატა ელ-კომერციის პლატფორმის განვითარებაში, რის შედეგადაც კომპანიის მომხმარებლებს უკვე აქვთ შესაძლებლობა, პლატფორმის საშუალებით, დისტანციურად შეარჩიონ და შეუკვეთონ მათთვის სასურველი პროდუქცია.

მარკეტინგული პროგრამა

› **სამიზნე აუდიტორია**

„ნოვას“ მარკეტინგული მიდგომა აგებულია მომხმარებლისთვის მაქსიმალური კომფორტისა და არჩევანის სიმარტივის შექმნაზე. სტრატეგია ერთდროულად მიმართულია საცალო მომხმარებლებისკენ, პროფესიონალებისკენ და მსხვილი დეველოპერებისკენ.

საცალო მომხმარებლებისთვის - „ნოვა“ ქმნის ერთიან სივრცეს, სადაც შესაძლებელია ყველა საჭირო პროდუქტის შეძენა - სახურავის მასალებიდან სანტექნიკასა და ხელსაწყოებამდე. სისტემატური აქციები, ლოიალურობის პროგრამები და რეგიონული აქტივობები ზრდის მომხმარებლის ნდობას და ქმნის პროგნოზირებადი ფასებისა და სერვისის განცდას.

პროფესიონალებისა და დეველოპერებისთვის - კომპანია თავს წარმოაჩენს როგორც სტრატეგიული პარტნიორი, რომელიც სთავაზობს მოცულობაზე გათვლილ ფასებს, ობიექტზე მიწოდების სერვისს და ტექნიკურ მხარდაჭერას. ამგვარი მიდგომა „ნოვას“ განასხვავებს ჩვეულებრივი საცალო ქსელისგან და აყალიბებს როგორც სანდო B2B პარტნიორს.

› **კომუნიკაციის არხები**

„ნოვას“ მარკეტინგი დღეს უკვე მრავალარხიანია - თანამედროვე ციფრული არხები (Facebook, Instagram, TikTok, YouTube, Google Ads) და ტრადიციული მედია (ტელევიზია, რადიო, აუთდორი) ქმნის ცნობადობის სტაბილურ ფონურ ეფექტს. ამას ემატება e-commerce პლატფორმა, რომელიც მომხმარებელს აძლევს საშუალებას რეალურ დროში იხილოს მარაგები, შეარჩიოს და ონლაინ შეიძინოს პროდუქცია, რაც მაღაზიებსა და ონლაინ სივრცეს შორის ერთიან გამოცდილებას ქმნის. ამ მიდგომით „ნოვა“ მიჰყვება გლობალურ ტენდენციას, სადაც მომხმარებელი აღარ ყოფს ონლაინსა და ოფლაინს - მისთვის მნიშვნელოვანია ციფრული და ფიზიკური გამოცდილების შეუფერხებელი ინტეგრაცია.

› **ბრენდის ძალა და კო-ბრენდინგი**

„ნოვა“ ერთ-ერთი ყველაზე მასშტაბური ქართული სამშენებლო მასალების მწარმოებელია რეგიონში. ბრენდის მთავარი ღირებულება ქართული წარმოების განვითარება და ქვეყნის ინდუსტრიული პოტენციალის გაძლიერება. ბრენდის პოზიციონირება ხდება შემდეგი მესიჯით „**ნოვა ქმნის ქართულს**“, რაც გაჟღერებულია კომპანიის ყოველდღიურ კომუნიკაციაში.

კო-ბრენდინგი ნოვას ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მარკეტინგული ინსტრუმენტია. კომპანია არის გლობალური ბრენდების ოფიციალური პარტნიორი საქართველოში - მათ შორის Ingco, Betek, Fawori, Rigips, Izocam, Bien და სხვა ცნობილი სახელები. ეს პარტნიორობა ქმნის „სანდოობის კაპიტალს“ და აძლიერებს „ნოვას“ პოზიციას როგორც ხიდს ადგილობრივ და საერთაშორისო ბაზრებს შორის. კო-ბრენდინგი „ნოვასთვის“ მხოლოდ ერთჯერადი სარეკლამო

აქტივობა აღარ არის - ეს გრძელვადიანი სტრატეგიული ინსტრუმენტია, რომელიც აძლევს კომპანიას შესაძლებლობას ერთდროულად დარჩეს ადგილობრივი ლიდერი და გლობალური ქსელის ნაწილი.

› სოციალური პასუხისმგებლობა და საგანმანათლებლო მისია

„ნოვას“ მარკეტინგი იზიარებს საზოგადოებრივ პასუხისმგებლობას. კომპანია ახორციელებს ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან საინფორმაციო კამპანიას საქართველოში - აზბესტის შემცველი სახურავების უსაფრთხო ალტერნატივებით ჩანაცვლება, რაც ერთდროულად ემსახურება კომერციულ მიზანს, გარემოს დაცვას და მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვას.

კიდევ ერთი გამორჩეული პროექტია „ქართული ტრადიციული სახლების არქიტექტურის ისტორია“, რომელიც მიზნად ისახავს კულტურული მემკვიდრეობის პოპულარიზაციას და თანამედროვე მასალების სწორად გამოყენების განათლებას.

ასეთი აქტივობები აძლიერებს „ნოვას“ ESG პროფილს და ინვესტორებისთვის მკაფიო სიგნალია, რომ კომპანიის მარკეტინგი ეფუძნება არა მხოლოდ გაყიდვებს, არამედ გრძელვადიან პასუხისმგებლობასა და საზოგადოებრივ ღირებულებებსაც.

ინვესტიციები

2025 წლის პირველი 6 თვის განმავლობაში კომპანიამ განახორციელა 4,587 ათასი ლარის ინვესტიცია ძირითად საშუალებებში და 30 ათასი ლარის - არამატერიალურ აქტივებში.

2024 წლის განმავლობაში კომპანიამ განახორციელა 6,152 ათასი ლარის ინვესტიცია ძირითად საშუალებებში და 66 ათასი ლარის - არამატერიალურ აქტივებში.

2023 წლის განმავლობაში კომპანიამ განახორციელა 9,146 ათასი ლარის ინვესტიცია ძირითად საშუალებებში და 25 ათასი ლარის - არამატერიალურ აქტივებში.

აღნიშნული ძირითადი საშუალების შემენის მიზნობრიობა წარმოადგენდა ბიზნეს პროცესების მხარდაჭერას და კომპანიის სტრატეგიული მიზნების აღსრულებას, საცალო მაღაზიების ქსელის მხარდაჭერას.

ქვემოთ ცხრილში მოცემულია კომპანიის ინვესტიციების შინაარსობრივი ჩაშლა 2023, 2024 წლისა და 2025 წლის 6 თვის განმავლობაში:

(ათასი ლარი)	2025 6 თვე	2024	2023
მიწა	-	-	-
შენობა-ნაგებობა	-	32	3
მანქანა დანადგარები	2,116	1,440	2,007
საოფისე ტექნიკა	72	132	235
ავეჯი	25	543	161
სატრანსპორტო საშუალებები	565	2,126	1,499
იჯარით აღებული ფართის კეთილმოწყობა	-	-	-
დაუმთავრებელი მშენებლობა და დაუმონტაჟებული აქტივები	1,809	1,879	5,241
არამატერიალური აქტივები	30	66	25
სულ	4,617	6,152	9,146

სამომავლო ინვესტიციები

„ნოვა“ გეგმავს კაპიტალურ ინვესტიციებს წარმოებისა და ინფრასტრუქტურის განვითარებაში, რაც კომპანიას მისცემს შესაძლებლობას გააძლიეროს ადგილობრივი წარმოება, შეამციროს ხარჯები და გაზარდოს ოპერაციული ეფექტიანობა.

› ახალი საწარმოო ხაზები

კომპანია გეგმავს შემდეგი მიმართულებების დამატებას და არსებულის გაუმჯობესებას:

- › **გაბერვის მეთოდი (Blow Molding):** ახალი ტიპის პოლეთილენის პროდუქტების წარმოება, რაც გააფართოებს კომპანიის ადგილობრივ წარმოებული პროდუქტების პორტფელს. ამ მიზნით კომპანია მომდევნო წლებში 1 მლნ ლარის ინვესტიციის განხორციელებას იგეგმება, რომელიც შასადლოა ობლიგაციებიდან მოზიდული სახსრებით დაფინანსდეს.
- › **ინექციური მეთოდი (Injection Molding):** მცირე და საშუალო ზომის პოლეთილენის პროდუქტების წარმოება.
- › **მზის ენერგიის ინფრასტრუქტურა:** მოთუთიებული თუნუქის სამონტაჟო კონსტრუქციების წარმოება მზის ენერგიის პროექტებისთვის, რაც გააჩენს ახალ ზრდის მიმართულებას.
- › **საკაბელო არხების წარმოება:** მოთუთიებული თუნუქისგან დამზადებული საკაბელო არხები, რომლებიც დაემატება ელექტრო და საინჟინრო მიმართულების პროდუქტებს.
- › **არსებული ხაზების მოდერნიზაცია:** ავტომატიზაციისა და თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვა წარმოების პროდუქტიულობის გასაზრდელად და ხარისხის გაუმჯობესებისთვის.

› ახალი ლოჯისტიკური ცენტრი

კომპანია გრძელ ვადაში განიხილავს ლოჯისტიკური ცენტრის აშენებას - პორტთან ახლოს, რაც მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს მიწოდების ჯაჭვის ეფექტიანობას, შეამცირებს ტრანსპორტირების ხარჯებს და მარაგების ცენტრალიზებული მართვის გზით - გაზრდის ოპერაციულ ეფექტიანობას. კომპანია ახორციელებს 6 მლნ აშშ დოლარის ინვესტიციას ქალაქ ფოთში რამდენიმე მიწის ნაკვეთის შესაძენად (ჯამური ფართობი 30 ჰექტარი). ინვესტიცია ხორციელდება რამდენიმე ეტაპად და დასრულდება დაგეგმილია 2026 წლის პირველ კვარტალში. მიწის შეძენის მიზნობრივობით გაწეული ინვესტიციის ნაწილის - 2.5 მილიონი ლარის - დაფინანსება კაპიტალში პარტნიორების შენატანით იგეგმება. კომპანია განიხილავს ბაზარზე მომგებიანი შესაძლებლობის შემთხვევაში მიწის ნაკვეთს ნაწილის გაყიდვას, ან გრძელვადიან პერსპექტივაში მისი სასაწყობო და საწარმოო ინფრასტრუქტურის განვითარების მიზნით გამოყენებას. პროსპექტის შედგენის თარიღისთვის მომდევნო ინვესტიციების ზუსტი ვადები და მოცულობა უცნობია.

ჯამში ჩამოთვლილი სამომავლო პროექტებიდან „ემიტენტის“ განცხადებით ობლიგაციებიდან მოზიდული სახსრებიდან 6 მლნ ლარამდე შეიძლება მიიმართოს გაბერვის მეთოდის საწარმოო ხაზის განვითარებასა და ახალი მიწის ინვესტიციაზე. ინფორმაცია ობლიგაციებიდან მოზიდული სახსრების გამოყენების შესახებ იხილეთ ქვეთავში „შეთავაზების მიზეზები და მოზიდული სახსრების გამოყენება“.

სასამართლო დავები

ამჟამად, შპს „ნოვა“ აწარმოებს სასამართლო დავებს, რომელთა უმეტესი ნაწილი ეხება ფულადი ვალდებულებების ამოღებას დებიტორებისგან და უძრავი ქონების მესაკუთრედ ცნობას.

კომპანიას როგორც მოსარჩელე მხარისთვის, ჯამური მოთხოვნილი და აღსასრულებელი თანხა შეადგენს 1,382 ათას ლარს, ხოლო როგორც მოპასუხე მხარისთვის, კომპანიის და მისი შვილობილისთვის ჯამური მოთხოვნილი თანხა შეადგენს 728 ათას ლარს.

ემიტენტის სასამართლო დავები:

- › კომპანიას როგორც კრედიტორს და მოსარჩელე მხარეს, ამჟამად აქვს მიმდინარე სასამართლო დავები საქალაქო სასამართლოში, სადაც ჯამური აღსასრულებელი თანხა 270 ათას ლარამდეა;
- › კომპანიას როგორც მოსარჩელე მხარეს, თბილისის სააპელაციო სასამართლოში აქვს მიმდინარე დავა, კომპანიამ გაასაჩივრა საქალაქო სასამართლოს მიღებული გადაწყვეტილება და საჩივრის ფასი შეადგენს 1.2 მლნ ლარამდე. აღნიშნული დავის საგანს წარმოადგენს „ნოვასთვის“ პროდუქციის დაგივანებით მიწოდება;
- › კომპანიას როგორც მოპასუხე მხარეს აქვს სასამართლო დავები უძრავი ქონების მესაკუთრედ ცნობასთან დაკავშირებით, სარჩელის ფასი ჯამურად შეადგენს 75 ათას ლარამდე;
- › შპს „ნოვა ფიქს“ ჰქონდა ერთი სასამართლო დავა, სადაც „ნოვა ფიქსი“ იყო მოპასუხე მხარე - სარჩელის ფასი შეადგენს 660 ათას ლარამდე. დავის შინაარსია საწარმოო ტრავმიდან გამომდინარე მატერიალური და მორალური ზიანის ანაზღაურება, მკურნალობის ხარჯების ანაზღაურება. აღნიშნული სასამართლო დავა პროსპექტის შედგენის თარიღისთვის დასრულებულია მხარეთა მორიგების საფუძველზე, ხოლო კომპენსაციის თანხა შეადგენს 140 ათას ევროს.

ემიტენტის ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ აღნიშნული სასამართლო დავები იქნება დასრულებული ემიტენტისთვის ხელსაყრელი შედეგით და ფინანსურ ანგარიშგებაში არ შექმნილა ანარიცხი სასამართლო დავებთან დაკავშირებით.

დაზღვევა

კომპანია თავისი საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე სარგებლობს: ქონების დაზღვევით, დასაქმებულთა ჯანმრთელობის დაზღვევით, დასაქმებულის უბედური შემთხვევის დაზღვევით, ავტოტრანსპორტის დაზღვევით, მასობრივი თავშეყრის ობიექტების მფლობელების მიერ მესამე პირის წინაშე სამოქალაქო პასუხისმგებლობის სავალდებლო დაზღვევით.

- › ქონების დაზღვევის ხელშეკრულება მოიცავს შენობა-ნაგებობის, რემონტის, შიგთავსის, სასაქონლო მარაგების, მანქანა-დანადგარებისა და სასაწყობე მარაგების დაზღვევას;
- › დასაქმებულის უბედური შემთხვევის დაზღვევის ხელშეკრულება მოიცავს ფატალური, მძიმე, საშუალო სიმძიმისა და მსუბუქი უბედური შემთხვევების დაზღვევას;
- › ავტოტრანსპორტის დაზღვევის ხელშეკრულება მოიცავს ავტოტრანსპორტისათვის გარეგანი ზემოქმედებით მიყენებული დაზიანების, ხანძრის, აფეთქების, გატაცების (ქურდობა, ძარცვა-ყაჩაღობა) დაზღვევას;

ზემოთ ჩამოთვლილი დაზღვევის პოლისების ვადა უმეტესწილად შეადგენს ერთ წელს და ვადის დასრულებამდე კომპანია უზრუნველყოფს მის განახლებას სადაზღვევო კომპანიასთან ახალი ხელშეკრულების დადების გზით.

„კომპანიის“ საკრედიტო რეიტინგი

2025 წლის 26 ნოემბერს, სარეიტინგო სააგენტო Scope Ratings-მა (შემდგომში - „Scope“) შპს „ნოვას“ პირველად მიანიჭა გრძელვადიანი საკრედიტო რეიტინგი **B+**, **სტაბილური პერსპექტივით**. სრული საკრედიტო ანგარიში ხელმისაწვდომია ბმულზე: www.scooperatings.com/nova

სტაბილური პერსპექტივა ასახავს Scope-ის მოლოდინს, რომ ნოვას ლევერიჯი (სესხების EBITDA-სთან შეფარდება) შენარჩუნდება 3.5x-ზე დაბალ დონეზე, რაც გამყარებული იქნება შემოსავლების ზრდითა და სტაბილური EBITDA მარჯით (12%-ის ფარგლებში). პროგნოზი ასევე ითვალისწინებს მოკლევადიანი საბანკო სესხების წარმატებულ რეფინანსირებას 50 მილიონი ლარის ობლიგაციების გამოშვებით და/ან ბანკების მხარდაჭერით.

რეიტინგის განმსაზღვრელი პოზიტიური ფაქტორები:

- **საოპერაციო მომგებიანობა:** 2019–2024 წლებში ნოვას EBITDA-ს მარჯა საშუალოდ 12%-ს შეადგენდა და მოსალოდნელია, რომ საშუალოვადიან პერსპექტივაში ეს მაჩვენებელი სტაბილურ დონეზე შენარჩუნდება, რასაც ხელს შეუწყობს სამშენებლო და უძრავი ქონების აქტიური ბაზარი საქართველოში და პროდუქციის ასორტიმენტის გაფართოება.
- **სინერგია სეგმენტებს შორის:** კომპანიის ბიზნესმოდელი აერთიანებს სამშენებლო მასალების წარმოებასა და საცალო/საბითუმო დისტრიბუციას. საცალო და საბითუმო სეგმენტზე გადანაწილებული ოპერაციები უზრუნველყოფს შედარებით სტაბილურ მარჯებს, რაც წარმოების სეგმენტში სტრესის პერიოდში - ქმნის ბუფერს კომპანიისთვის.
- **ზომიერი ლევერიჯი და მისაღები სესხის დაფარვის მაჩვენებლები:** კომპანიის ზრდის სტრატეგიასთან ერთად ნელ-ნელა გაიზარდა სესხის ბალანსიც, თუმცა, Scope-ის შეფასებით, ნოვამ შეძლო ლევერიჯის კონტროლი. ისტორიულად ნოვას EBITDA-ს სესხებთან შეფარდება 2.4x–3.7x შუალედში მერყეობდა, ხოლო ოპერაციული ფულადი ნაკადების (Funds From Operations (FFO)) სესხებთან შეფარდება საშუალოდ დაახლოებით 25% იყო. ეს მაჩვენებლები Scope-ის ხედვით შეესაბამება ზომიერ ფინანსურ რისკის პროფილს. 2025 წელს მოსალოდნელია ლევერიჯის დროებითი ზრდა, რაც გამოწვეულია მიწის შეძენის ნაწილობრივ სესხით დაფინანსებით, თუმცა პროგნოზის მიხედვით, შემდგომ წლებში მოსალოდნელია ლევერიჯის შემცირება.
კომპანიის პროცენტის დაფარვის კოეფიციენტი შეზღუდულია საქართველოში არსებული შედარებით მაღალი საპროცენტო განაკვეთებით. „ნოვას“ სესხების მნიშვნელოვანი ნაწილი აღებულია ცვლად საპროცენტო განაკვეთებზე, რაც კომპანიას საპროცენტო რისკის წინაშე აყენებს. გარდა ამისა, ვალის დაახლოებით ერთი მესამედი ნომინირებულია უცხოურ ვალუტაში, რაც დამატებით ზრდის სავალუტო რისკს. მიუხედავად ამისა, „ნოვა“ აქტიურად მართავს აღნიშნულ რისკებს ჰეჯირების სტრატეგიების მეშვეობით, რაც დადებითად ფასდება.

რეიტინგის განმსაზღვრელი უარყოფითი ფაქტორები:

- **მცირე მასშტაბი და შეზღუდული დივერსიფიკაცია:** ნოვა ევროპელ კონკურენტებთან შედარებით მცირე ზომისაა და გეოგრაფიულად ძირითადად საქართველოს ბაზარზეა კონცენტრირებული. ეს ზღუდავს მასშტაბის ეკონომიის სრულად რეალიზების შესაძლებლობას და ზრდის დამოკიდებულებას ადგილობრივი სამშენებლო ციკლების დინამიკაზე, რის შედეგადაც იზრდება კომპანიის ფინანსური მაჩვენებლების ვოლატილობა. იმის მიუხედავად, რომ ნოვას სამშენებლო და სარემონტო მასალების ბაზრის მცირე ნაწილი უკავია - ალსანიშნავია, რომ სეგმენტი რომელშიც კომპანია ოპერირებს ფრაგმენტირებული სტრუქტურისაა, სადაც მნიშვნელოვანი ნაწილი კვლავ არაორგანიზებულია, რაც ზრდის კომპანიის გაფართოების და მარჯების სტაბილურობის შესაძლებლობას.
- **კოვენანტების დარღვევის ისტორია:** Scope აღნიშნავს ფინანსური კოვენანტების წარსულ დარღვევებს, თუმცა, ხაზს უსვამს შერბილებულ კოვენანტებსა და ბანკების მხრიდან მხარდაჭერას. Scope მოელის, რომ კომპანია პროაქტიულად მართავს კოვენანტებს და ნებისმიერ პოტენციურ დარღვევაზე დროულ რეაგირებას მოახდენს.

- **მერყევი ნედლეულის ფასები:** კომპანიის საოპერაციო მომგებიანობა განსაკუთრებით სენსიტიურია ნედლეულის ფასების ცვალებადობისადმი, განსაკუთრებით კი - წარმოების სეგმენტში. EBITDA მარჟის რყევები 2021–2022 წლებში ძირითადად ნედლეულის ფასების მკვეთრი მოძრაობებით იყო განპირობებული. დღეს, მიუხედავად იმისა, რომ ფასები დასტაბილურდა, ნოვას კვლავ აქვს რისკი - გრძელი მიწოდების ვადებისა და ძირითადად არაპეჯირებული შესყიდვების გამო - რაც ზრდის კომპანიის ვოლატილობას.
- **ისტორიულად სუსტი ფულადი ნაკადები:** Scope ხაზს უსვამს, რომ ნოვას ფულადი ნაკადების დაფარვის კოეფიციენტი (FOCF/ Debt) ფინანსური რისკის პროფილის ყველაზე სუსტი კომპონენტია. მაღალმა კაპიტალურმა დანახარჯებმა და საბრუნავი კაპიტალის გადინებამ შეამცირა თავისუფალი საოპერაციო ფულადი ნაკადები (Free Operating Cash Flow (FOCF)), რომელიც უარყოფითი იყო 2022 (გლობალური ფასების შოკი) და 2024 (სამუშაო კაპიტალის გადინება) წლებში (დანარჩენი 4 წლის განმავლობაში ეს მაჩვენებელი დადებითი იყო). Scope-ის მოლოდინია, რომ FOCF-ის სესხებთან შეფარდების მაჩვენებელი 2019–2024 წლების საშუალო მაჩვენებელიდან (დაახლოებით 3%) - 2025–2027 წლებში 10%-ზე მაღალ დონემდე გაიზრდება. ამასთან ერთად ისტორიულად, „ნოვას“ მოკლევადიანი ვალდებულებების დაფარვის მაჩვენებელი ნორმაზე დაბალი იყო, რაც ასახავდა კომპანიის მაღალი დამოკიდებულების ხარისხს რეფინანსირების პრაქტიკაზე. იქიდან გამომდინარე, რომ დაგეგმილი „ობლიგაციების“ გამოშვება იქნება ბულეტ სტრუქტურის (სრული ძირი გადაიხდება ვადის ბოლოს) და მიზნად ისახავს არსებული მოკლევადიანი ვალდებულებების მნიშვნელოვანი ნაწილის რეფინანსირებას - Scope-ს მოლოდინია, რომ არსებითად შემსუბუქდება ლიკვიდურობაზე ზეწოლა და „ნოვას“ ლიკვიდობის კოეფიციენტი მნიშვნელოვნად გაუმჯობესდება.

რეიტინგისა და პერსპექტივის გაუმჯობესების სცენარები (ერთობლიობაში):

- კომპანიის მასშტაბების არსებითი ზრდა, რაც ხელს შეუწყობს დივერსიფიკაციასა და ბიზნეს რისკის პროფილის გაუმჯობესებას (ამ ეტაპზე ნაკლებად სავარაუდოა)
- სესხების EBITDA-სთან შეფარდება შენარჩუნდება 2.5x-ზე დაბალ ნიშნულზე

რეიტინგისა და პერსპექტივის გაუარესების სცენარები (ცალ-ცალკე):

- კოვენანტების დარღვევებზე პროაქტიული რეაგირების ვერ მოხდენა
- სესხების EBITDA-სთან შეფარდება გადააჭარბებს 3.5x-ს
- FOCF-ის ვალთან შეფარდების 5%-ზე ქვემოთ ჩამოსვლა

***შენიშვნა:** ყველა ზემოთ ნახსენები საკრედიტო მაჩვენებელი დათვლილია Scope-ის მიერ კორექტირებულ მონაცემებზე დაყრდნობით. თითოეული ტერმინის დეტალური განმარტებისთვის/კალკულაციის სანახავად, გთხოვთ, იხილოთ Scope Ratings-ის მეთოდოლოგია.*

კონკურენტული პოზიცია

შპს „ნოვას“ სამშენებლო და სარემონტო მასალების ორგანიზებული ბაზრის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მოთამაშეა. სექციაში მოცემულია ემიტენტის ძირითადი ფინანსური ინფორმაციის შედარება ბაზრის სხვა მოთამაშეებთან. კერძოდ, წინამდებარე ქვეთავში აღწერილია 5 ძირითადი კომპანიის ფინანსური მდგომარეობა, რომელთა საქმიანობაც სამშენებლო და სარემონტო მასალების გაყიდვაა.

- › **შპს დემასი (ს/ნ 200066221):** კომპანია დაარსდა 2000 წელს, მის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს ევროპისა და აზიის მწარმოებლებისგან იმპორტირებული სარემონტო და მოსაპირკეთებელი მასალებით საცალო და საბითუმო ვაჭრობა საქართველოში. კომპანია პროდუქციის რეალიზაციას ახორციელებს თბილისსა და ბათუმში 4 ფილიალით, ასევე ქუთაისში ფრენშაიზის ხელშეკრულების ფარგლებში.
- › **შპს მოდუსი (ს/ნ 245565669):** კომპანია დაარსდა 2006 წელს, მის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს ევროპის და აზიის მწარმოებლებისგან იმპორტირებული სარემონტო და მოსაპირკეთებელი მასალის და საოჯახო სამეურნეო

საქონლის საცალო და საბითუმო ვაჭრობა საქართველოში. კომპანია პროდუქციის რეალიზაციას ახორციელებს თბილისსა და ბათუმში არსებული სავაჭრო ობიექტებისა და ჰიპერმარკეტების მეშვეობით. მოდუსი საქართველოს ტერიტორიაზე წარმოდგენილია 11 ფილიალით.

- **შპს გორგია (ს/ნ 245621288):** კომპანია დაარსდა 2008 წელს, მისი ძირითადი საქმიანობაა სამშენებლო, სარემონტო და საყოფაცხოვრებო პროდუქტებით საცალო და საბითუმო ვაჭრობა. კომპანია ახორციელებს სამშენებლო და საყოფაცხოვრებო პროდუქციის იმპორტს სხვადასხვა ქვეყნებიდან და დისტრიბუციას საქართველოს ყველა რეგიონში. გორგია საქართველოს ტერიტორიაზე წარმოდგენილია 14 ფილიალით.
- **შპს ჯი არ სი (ს/ნ 205017578):** კომპანია დაარსდა 2003 წელს, მის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს სამშენებლო მასალების წარმოება, იმპორტი და რეალიზაცია. კომპანიის ძირითადი პროდუქტებია: გადახურვის მასალები, ენერგოეფექტური სამშენებლო მასალები, ხანძარმედეგი ქვაბამბის სენდვიჩპანელი, დამატბუნებელი და ჰიდროსაიზოლაციო მასალები, სტრუქტურული რკინა, სამშენებლო ქიმიკა, თაბაშირმუცაო, აქსესუარები და სხვა. ჯი არ სი საქართველოს ტერიტორიაზე წარმოდგენილია 5 ფილიალით.
- **შპს ტერმინალ ვესტ თრეიდინგი (დომინო) (ს/ნ 406119178):** კომპანია დაარსდა 2014 წელს, მის ძირითად საქმიანობაა სამშენებლო - სარემონტო მასალების და საოჯახო სამეურნეო საქონლის საცალო და საბითუმო ვაჭრობა. კომპანია ოპერირებს „დომინოს“ სავაჭრო ნიშნის ქვეშ და საქართველოს ტერიტორიაზე აქვს 2 ჰიპერმარკეტი.

	ნოვა			დემასი	მოდუსი	გორგია	ჯი არ სი	დომინო
	პრო-ფორმა 2025 HY LTM*	2024	2023	2024	2024	2023	2023	2024
(ათასი ლარი)	კონსო.	კონსო.	კონსო.	ინდივიდ.	ინდივიდ.	ინდივიდ.	ინდივიდ.	ინდივიდ.
მოგება-ზარალის ანგარიშგება								
ამონაგები	241,151	238,200	204,949	85,452	150,422	320,792	261,206	187,144
საერთო მოგება	58,997	57,108	46,296	35,201	43,782	94,498	42,616	53,403
EBITDA	28,948	28,346	20,442	18,253	17,027	35,531	25,891	16,133
საოპერაციო მოგება	22,524	23,306	15,553	18,427	12,747	27,102	22,588	9,487
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება								
აქტივები	180,860	169,603	140,190	192,206	153,016	211,109	106,156	64,242
ვალდებულებები	122,937	115,503	89,829	4,529	10,502	142,889	4,847	66,142
კაპიტალი	57,923	54,100	50,361	187,677	142,514	68,221	101,309	(1,900)
საბრუნავი კაპიტალი	58,573	13,712	24,610	66,267	103,561	40,178	66,800	13,339
ფულადი ნაკადების ანგარიშგება								
წმინდა საოპერაციო ფულადი ნაკადები	n/a	1,704	11,777	19,336	1,439	34,631	19,217	7,035
წმინდა საინვესტიციო ფულადი ნაკადები	n/a	(6,168)	(6,787)	(2,097)	(3,369)	(2,151)	(2,522)	(1,677)
წმინდა ფინანსური ფულადი ნაკადები	n/a	5,473	3,103	(11,968)	(1,395)	(19,764)	(18,017)	(7,338)

*პრო-ფორმა მაჩვენებლების კალკულაციისას გაითვალისწინება „ობლიგაციებიდან“ მოზიდული სახსრების მიმზნობრიობის შესაბამისად: საბრუნავი კაპიტალის 4 მილიონი ლარით ზრდა, 6 მილიონის კაპიტალური დანახარებით - აქტივების ზრდა და შესაბამისად, ვალდებულებების 10 მილიონი ლარით ზრდა. დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ „შეთავაზების მიზეზები და მოზიდული სახსრების გამოყენების“ ქვეთავი. პრო-ფორმა ეფექტი არ არის დათვლილი იმ მაჩვენებლებისთვის, რომლებზეც ახალი ობლიგაციების ემისიის ეფექტი სუბიექტურია.

	ნოვა			დემასი	მოდუსი	გორგია	ჯი არ სი	დომინო
	პრო-ფორმა 2025 HY	2024	2023	2024	2024	2023	2023	2024
	კონსო.	კონსო.	კონსო.	ინდივიდ.	ინდივიდ.	ინდივიდ.	ინდივიდ.	ინდივიდ.
მომგებიანობის კოეფიციენტები:								
საერთო მოგების მარჟა	24.5%	24.0%	22.6%	41.2%	29.1%	29.5%	16.3%	28.5%
EBITDA მარჟა	12.0%	11.8%	9.9%	21.4%	11.3%	11.1%	9.9%	8.6%
საოპერაციო მოგების მარჟა	9.2%	9.6%	7.5%	21.6%	8.5%	8.4%	8.6%	5.1%
ლევერიჯის კოეფიციენტები:								
სასეხო ვალდებულებები EBITDA-სთან	3.4	3.2	3.6	0.0	0.5	1.9	0.0	3.0
წმინდა სასეხო ვალდებულებები EBITDA-სთან	3.1	2.5	2.7	0.0	0.2	1.3	0.0	2.9
საოპერაციო კოეფიციენტები:								
მიმდინარე კოეფიციენტი	2.1	1.1	1.2	15.6	13.3	1.4	17.6	1.6
მარაგების ბრუნვის დღეები (DIO)	120.1	129	116	267	302	126	59	84
დებიტორული დავალიანების ბრუნვის დღეები (DSO)	43.0	12	12	8	55	41	17	2
სავაჭრო ვალდებულებების ბრუნვის დღეები (DPO)	13.0	21	19	20	22	114	9	38
ფულის ამოღების ციკლი (CCC)	150.2	121	109	255	335	53	69	49

*პრო-ფორმის განმარტება იხილეთ „ძირითადი ფინანსური კოეფიციენტების“ ქვეთავში. პრო-ფორმა ეფექტი არ არის დათვლილი იმ კოეფიციენტებისთვის, რომლებზეც ახალი ობლიგაციების ემისიის ეფექტი სუბიექტურია.

**ისეთი კომპანიებისთვის, რომლებიც არ ამზადებენ კონსოლიდირებულ ანგარიშგებას, ცხრილში ნაშვენებია ინდივიდუალური ანგარიშგება. გამოწვევისა შპს „დემასი“, რომლის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში შედის უძრავი ქონების დეველოპმენტის ბიზნესიც. „ემიტენტთან“ შესადარისობის მიზნით, ცხრილში შპს „დემასი“ ნაჩვენებია მაჩვენებლები ინდივიდუალური ანგარიშგებიდან.

ცხრილში მოცემული კოეფიციენტებისა და სხვა ფინანსური მაჩვენებლების (მაგალითად EBITDA და საოპერაციო მოგება) დათვლის მეთოდოლოგია შესაბამისობაშია წინამდებარე პროსპექტის ქვეთავში „ძირითადი ფინანსური კოეფიციენტები“ გამჟღავნებულ კოეფიციენტების კალკულაციის მეთოდოლოგიასთან.

როგორც ცხრილიდან ჩანს, კომპანიის მომგებიანობის, ლევერიჯისა და საოპერაციო მაჩვენებლები შესაბამისობაშია ბაზრის კოეფიციენტებთან, თუმცა ჩანს ტრენდი, რომ შპს „ნოვას“ ლევერიჯი ბაზრის საშუალოსთან შედარებით მაღალია ხოლო მიმდინარე კოეფიციენტი - ბაზრის საშუალოს ჩამოსცდება. აღნიშნულის მიზეზი უმეტესად კომპანიის ლიკვიდურობის მართვის პოლიტიკაა, რაც საოპერაციო კოეფიციენტებში და ფულის ამოღების ციკლშიც გამოიხატება.

კომპანია ინარჩუნებს ძლიერ კონკურენტულ პოზიციას, რაც მეტწილად განპირობებულია კარგად ჩამოყალიბებული დისტრიბუციისა და მომხმარებლების ქსელით, იმპორტირებული პროდუქციის ფართო არჩევანით, დივერსიფიცირებული მომწოდებელთა ბაზით, წარმოებული პროდუქციის მაღალი ხარისხითა და კონკურენტული ფასით. დამატებით, „ნოვას“ ძლიერი კონკურენტული პოზიცია განპირობებულია ფართო და დივერსიფიცირებული მომხმარებლების ქსელითაც - 900-ზე მეტი B2B კლიენტი, ბრენდის მაღალი ცნობადობითა და შესაძლებლობით, მომხმარებელს მიაწოდოს შემავსებელი პროდუქტები თავისი წარმოებული და იმპორტირებული პროდუქტების ბაზიდან და შესთავაზოს „კომფორტი ერთი სახურავის ქვეშ“.


ინდუსტრიის აღწერა

სამშენებლო სექტორის მიმოხილვა

2022 წლიდან საქართველოში სამშენებლო სექტორი სტაბილურად იზრდება, რაც მეტწილად საცხოვრებელი უძრავი ქონების მოთხოვნის ზრდით არის განპირობებული. მოთხოვნის ზრდა უმთავრესად უკავშირდება მიგრაციის პირდაპირ და ირიბ გავლენას, რამაც გააძლიერა საცხოვრებელი უძრავი ქონების მიმართ ინტერესი როგორც ქირაობის, ისე ყიდვის მიმართულებით. ამასთან, მოსახლეობის შემოსავლების ზრდამ და პანდემიის შემდგომ მომხმარებელთა მოლოდინების გაუმჯობესებამ დამატებით წახალისა საცხოვრებელი დეველოპერული პროექტები და შექმნა ხელსაყრელი პირობები სამშენებლო აქტივობის გაფართოებისთვის, განსაკუთრებით თბილისისა და ბათუმში. შესაბამისად, ნომინალური მშპ სამშენებლო სექტორში 2022 წელს 25%-ით გაიზარდა, 2023 წელს 14%-ით, ხოლო 2024 წელს, წინასწარი შეფასებით, 14%-ს მიაღწია, რაც სექტორის ძლიერ და მდგრად დინამიკას ასახავს. 2025 წლის 6 თვის მონაცემებით, სექტორი 7%-ით გაიზარდა.

მშენებლობასთან დაკავშირებული აქტივობის მნიშვნელოვანი ნაწილი ასახულია „უძრავ ქონებასთან დაკავშირებული საქმიანობებში“, რომელიც მოიცავს უძრავი ქონების ლიზინგს, ქირაობას, უძრავი ქონების სააგენტოებსა და დეველოპმენტთან დაკავშირებულ მომსახურებებს. სექტორის წილი გასულ წლებში ეტაპობრივად მცირდებოდა - 2019 წელს აღნიშნული მაჩვენებელი 19.8%-ს შეადგენდა, ხოლო 2024 წლისთვის, სამშენებლო და უძრავ ქონებასთან დაკავშირებული საქმიანობების სექტორების ერთობლივი დამატებული ღირებულება საქართველოს რეალური მშპ-ის დაახლოებით 18.3%-ს შეადგენდა. აღნიშნული კლების ტრენდი, სავარაუდოდ, განპირობებულია იმით, რომ მშენებლობისა და უძრავი ქონების სექტორები სხვა გამორჩეულად სწრაფად მზარდ სექტორებთან შედარებით, როგორებიცაა საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები, ვაჭრობა და განათლება, ნელა იზრდება.

გრაფიკი 3. მშენებლობის სექტორის ნომინალური მშპ (მილიარდი ლარი, მიმდინარე ფასებში), წლიური ზრდა (YoY) და წილი მთლიან მშპ-ში




წყარო: საქსტატი, თიბისი კაპიტალი

*წინასწარი მონაცემები

ბოლო სამი წლის განმავლობაში, საქართველოს სამშენებლო სექტორის ბრუნვის ნომინალური მაჩვენებელი მნიშვნელოვნად გაიზარდა და 2024 წელს 15.1 მილიარდ ლარს მიაღწია, რაც 22.4%-იან საშუალო წლიურ ზრდას (CAGR) შეესაბამება. სამშენებლო სექტორის ბრუნვის უდიდესი ნაწილი უკავია საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი შენობების მშენებლობას (საშუალოდ 52%), რასაც მოყვება საგზაო და სარკინიგზო ინფრასტრუქტურის პროექტები (საშუალოდ 29%).

გრაფიკი 4. სამშენებლო სექტორის ბრუნვა ეკონომიკური საქმიანობების მიხედვით (მილიარდი ლარი)




წყარო: საქსტატი, თიბისი კაპიტალი

ინვესტიციები სამშენებლო სექტორში

სამშენებლო სექტორში გაზრდილი აქტიურობა ასევე აისახება კომერციული ბანკების მიერ სამშენებლო სექტორისთვის გაცემული სესხების სტატისტიკაში. სამშენებლო კომპანიებზე გაცემული სესხების მოცულობა 2016 წელს დაფიქსირებული 2.3 მილიარდი ლარიდან 2024 წლის 4.6 მილიარდ ლარამდე, ორჯერ, გაიზარდა. 2024 წლისთვის ჯამურად გაცემული ბინეს სესხების 15%-ს სამშენებლო სექტორი იკავებდა, რაც საგრძნობლად აღემატება 2016 წლის 7%-იან მაჩვენებელს. აღნიშნული ზრდა ასახავს სექტორის გაზრდილ კაპიტალურ მოთხოვნებს, რაც დაკავშირებულია უძრავი ქონების განვითარებასთან, გაზრდილ ინფრასტრუქტურულ პროექტებთან და სამშენებლო ხარჯების ზრდასთან.


გრაფიკი 5. კომერციული ბანკების მიერ გაცემული სესხები სამშენებლო სექტორში (ნაკადები, მილიარდი ლარი)



წყარო: სეზ, თიბისი კაპიტალი

2016–2024 წლებში უცხოური პირდაპირი ინვესტიციები (FDI) სამშენებლო სექტორში არასტაბილური და შედარებით მცირე იყო. 2020 წელს ინვესტიციები მკვეთრად შემცირდა 102 მილიონი ლარამდე, 2021-ში კი უარყოფითი იყო (დაახლოებით –25 მილიონი ლარი), რაც სავარაუდოდ, საზღვარგარეთ განხორციელებული ინვესტიციების ზრდამ ან უცხოური კომპანიების მიერ საქმიანობის შეწყვეტამ ან/და ბაზრიდან გასვლამ განაპირობა. პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ზომიერი აღდგენა 2022 წელს დაიწყო (121 მილიონი ლარი), 2023-ში კი 233 მილიონ ლარს მიაღწია, თუმცა, 2024-ში კვლავ მკვეთრად შემცირდა და მხოლოდ 40 მილიონი ლარი შეადგინა. 2025 წლის 6 თვეში, მშენებლობის სექტორში პირდაპირი უცხოური ინვესტიციები მკვეთრად გაიზარდა და უკვე 2.5-ჯერ აჭარბებს 2024 წლის წლიურ მაჩვენებელს.


გრაფიკი 6. პირდაპირი უცხოური ინვესტიციები სამშენებლო სექტორში (მილიონი ლარი)



წყარო: საქსტატი, თიბისი კაპიტალი

საქართველოში საჯარო (სამთავრობო) დანახარჯები ინფრასტრუქტურულ პროექტებზე ბოლო ათწლეულის განმავლობაში სტაბილურად იზრდებოდა (2016 წელი 1.15 მილიარდი ლარი; 2024 წელი წინასწარი შეფასებით 4.29 მილიარდი ლარი). დანახარჯების ზრდა ასახავს მთავრობის აქცენტს ეროვნული ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებაზე, განსაკუთრებით გზებზე, კომუნალურ სისტემებსა და საგანმანათლებლო ინფრასტრუქტურაზე. 2024 წელს კაპიტალური ხარჯების უდიდესი წილი გზებისა და ხიდების ინფრასტრუქტურაზე მოდიოდა — 1.89 მილიარდი ლარი (დაახლ. 44%). კომუნალური ინფრასტრუქტურა (წყალი, კანალიზაცია, ნარჩენების მართვა) 747 მილიონი ლარით მეორე ადგილზეა (დაახლ. 17%). აღნიშნული სეგმენტი ბოლო წლებში მნიშვნელოვნად გაიზარდა როგორც დიდ ქალაქებში, ასევე მუნიციპალიტეტებში ურბანული გაფართოების და მოდერნიზაციის საჭიროებების ფონზე.

გრაფიკი 7. ინფრასტრუქტურულ პროექტებზე სამთავრობო კაპიტალური ხარჯები (მილიარდი ლარი)




წყარო: ფინანსთა სამინისტრო, თიბისი კაპიტალი

სამშენებლო ხარჯების ტენდენციები

სამშენებლო სექტორის გააქტიურებასთან ერთად, ბოლო წლებში მნიშვნელოვნად გაიზარდა მშენებლობის ხარჯები. 2021 წლის შემდეგ, პოსტპანდემიური გააქტიურების ფონზე, ფასების დონემ ზრდა დაიწყო. 2024-ში სამშენებლო დანახარჯების ინდექსი (CCI) წლის განმავლობაში ზომიერი ტემპით იზრდებოდა და წლიურმა ზრდამ 4% შეადგინა. ხარჯების მაჩვენებლები 2025 წლის I ნახევარში წინა წლის იმავე პერიოდთან შედარებით მცირედით - 1.4%-ით გაიზარდა. ზრდის ძირითადი მიზეზი შრომითი ხარჯები იყო — ხელფასები წლიურად 15%-ით გაიზარდა.

გრაფიკი 8. სამშენებლო დანახარჯების ინდექსი (2019 = 100)




წყარო: საქსტატი, თიბისი კაპიტალი

თბილისში საშუალო სამშენებლო ხარჯი 2020 წლიდან ეტაპობრივად იზრდება. 2024 წელს საშუალო ხარჯმა ერთ კვ.მ სამშენებლო ფართზე 431 აშშ დოლარი შეადგინა, ხოლო გასაყიდ ფართზე 565 აშშ დოლარი, რაც 2023 წელთან შედარებით 4%-ით მეტია. აღსანიშნავია, რომ მაჩვენებლები მოიცავს როგორც სამშენებლო მასალებისა და სამუშაოების, ისე საპროექტო ხარჯებს.

გრაფიკი 9. საშუალო სამშენებლო ხარჯი (\$/კვ.მ.), თბილისი

■ ხარჯი 1 კვ.მ. სამშენებლო ფართზე ■ ხარჯი 1 კვ.მ. ფასაციდ ფართზე




წყარო: თიბისი კაპიტალი

სამომავლო აქტივობა სამშენებლო სექტორში


სამშენებლო სექტორში სამომავლო აქტივობა აისახება მკვეთრად გაზრდილ სამშენებლო ფართობისთვის გაცემული ნებართვებში. 2023 წელს ნებადართული სამშენებლო ფართობის მოცულობა წლიურად 26%-ით გაიზარდა, 2024-ში კი 28%-ით (ჯამში 20 მილიონ კვ.მ.-ზე მეტი). გაცემული ნებართვების სტრუქტურაში საცხოვრებელი შენობები დომინირებს და ფართის მიხედვით მუდმივად 70%-ს აჭარბებს (2023: 77%; 2024: 73%). აღსანიშნავია, რომ სასტუმროების მშენებლობაზე გაცემულმა ნებართვების წილმა 2021 წლიდან ზომიერი, თუმცა პოზიტიური ტრანექტორია შეინარჩუნა და 2024 წელს 5%-ს მიაღწია. რაც შეეხება 2025 წლის პირველ ნახევარს, ნებართვა გაიცა დაახლოებით 5.2 მილიონ კვადრატულ მეტრზე და წლიურად მცირედით - 4%-ით შემცირდა.

გრაფიკი 10. გაცემული სამშენებლო ნებართვები (კვ.მ.) და წლიური ცვლილება (%) - საქართველო



წყარო: საქსტატი, თიბისი კაპიტალი

გრაფიკი 11. გაცემული სამშენებლო ნებართვები კვ.მ. (მილიონი), საქართველო



წყარო: საქსტატი, თბილისი კაპიტალი


საცხოვრებელი უძრავი ქონების ბაზრის მიმოხილვა ბაზრის დინამიკა

ბოლო 10 წლის განმავლობაში საცხოვრებელი უძრავი ქონების სექტორი საქართველოს ეკონომიკის ერთ-ერთი წამყვანი მამოძრავებელია. 2014–2024 წლებში, ერთ სულ მოსახლეზე მშპ აშშ დოლარში საშუალოდ 7%-ით იზრდებოდა, რამაც მოსახლეობის მსყიდველობითუნარიანობაზე პოზიტიური გავლენა იქონია. შედეგად, საშუალო შემოსავლის ზრდამ და უძრავი ქონების ხელმისაწვდომობამ გაზარდა მოთხოვნა საცხოვრებელ უძრავ ქონებაზე, განსაკუთრებით თბილისსა და ბათუმში. 2022 წლიდან აღნიშნულ ფაქტორს დაემატა მიგრაციის ეფექტიც, რამაც კიდევ უფრო გაზარდა საცხოვრებელი უძრავი ქონების სექტორში ინვესტირების მიმზიდველობა.

2020 წელს COVID-19-ის პანდემიამ უძრავი ქონების ბაზარზე მნიშვნელოვნად უარყოფითი გავლენა იქონია, თუმცა სახელმწიფოს მიერ ინიცირებული სესხების საპროცენტო განაკვეთის სუბსიდირების პროგრამის შედეგად გაყიდვები ნაწილობრივ შენარჩუნდა (ლარში დენომინირებულ იპოთეკურ სესხებზე 4 პროცენტული პუნქტის სუბსიდია). 2022 წელს ბინების გაყიდვებმა ისტორიულ მაქსიმუმს, 40,796 ბინას მიაღწია (+17.9% წლიურად), რაც გადავადებულმა მოთხოვნამ და მიგრანტთა ნაკადების მკვეთრმა ზრდამ განაპირობა.

საცხოვრებელი უძრავი ქონების ბაზრის ზრდის ტრაექტორია 2021 წლის შემდეგ გაგრძელდა და 2024 წელს 4.3 მილიარდ დოლარს მიაღწია. 2025 წლის I ნახევარში ეს მაჩვენელი 2.2 მილიარდი აშშ დოლარია (+13% წლიურად), რაც მეტწილად ფასების მატებამ განაპირობა.


გრაფიკი 12. საცხოვრებელი უძრავი ქონების ბაზრის მოცულობა (მილიონი\$) და წლიური ცვლილება (%)



წყარო: საჯარო რეესტრი, თიბისი კაპიტალი

თბილისში გაყიდული ფართობის მოცულობა 2021–2025 წლებში 20%-ით გაიზარდა; ანალოგიური ზრდა შეიმჩნევა გაყიდული ბინების რაოდენობაშიც. შედეგად, საშუალო შემოსავლის ზრდამ და უძრავი ქონების ხელმისაწვდომობამ გაზარდა მოთხოვნა საცხოვრებელ უძრავ ქონებაზე, განსაკუთრებით თბილისსა და ბათუმში.


გრაფიკი 13. გაყიდული ფართობი (ათასი კვ.მ.) და წლიური ცვლილება (%) - თბილისი



წყარო: საჯარო რეესტრი, თიბისი კაპიტალი

გასულ წლებში მზარდი მოთხოვნა საცხოვრებელი უძრავი ქონების ბაზარზე აისახა თბილისში გაცემული საცხოვრებელი ფართობის ნებართვების მოცულობაზეც, თუმცა 2024 წელს ეს მაჩვენებელი წინა წელთან შედარებით დაახლოებით 7%-ით შემცირდა და 1.3 მილიონი კვ.მ. შეადგინა. 2025 წლის 6 თვეში კი წლიურად 17%-იანი ზრდა დაფიქსირდა და ფართობმა თითქმის 700 ათას კვ.მ-ს მიაღწია.

გრაფიკი 14. გაცემული ნებართვები - საცხოვრებელი ფართობი (ათასი კვ.მ.) - თბილისი




წყარო: TAS, თიბისი კაპიტალი

უძრავი ქონების მოთხოვნის მამოძრავებელი ფაქტორები

უძრავი ქონების მოთხოვნაზე რამდენიმე ფაქტორი ახდენს დადებით გავლენას: საჭიროებაზე დაფუძნებული (need-based) ფაქტორებია: მზარდი ურბანიზაცია, ოჯახის საშუალო ზომის შემცირება, შემოსავლების ზრდა, იპოთეკური სესხების ხელმისაწვდომობა, საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესება, მიგრაცია და ა.შ. საინვესტიციო მოთხოვნას კი განსაზღვრავს უძრავი ქონების იჯარის ამონაგები (rental yield), კაპიტალური მოგება (capital gains) და საინვესტიციო ალტერნატივების სიმწირე.

საქართველოს საცხოვრებელ ბაზარზე დამატებითი მოთხოვნა შიდა მიგრაციამაც შექმნა: ურბანულ ზონებში მოსახლეობის გადინების შედეგად ურბანიზაციის დონე 2019 წლის 58.7%-მაჩვენებლიდან 2024 წელს 61%-მდე გაიზარდა. აღნიშნული ზრდის მიუხედავად, მაჩვენებელი ჯერ კიდევ ჩამორჩება ევროკავშირის საშუალო მაჩვენებელს (2024: 75.9%). ურბანიზაციის ზრდის ტენდენციის გაგრძელება მოსალოდნელია, რაც განპირობებულია მოსახლეობის ნაკლებად პროდუქტიული სოფლის მეურნეობის სექტორიდან უფრო პროდუქტიულ სექტორებში გადანაცვლებით.

გრაფიკი 15. ურბანული მოსახლეობა (ათასი ადამიანი) და ურბანიზაციის დონე (%) - საქართველო, 2025 წლის 1 იანვრის მდგომარეობით




წყარო: საესტატი, თიბისი კაპიტალი

ბოლო წლების განმავლობაში, განსაკუთრებით ახალგაზრდებმა დაიწყეს ოჯახისგან დამოუკიდებლად ცხოვრება, ეს ტენდენცია საცხოვრებელ ფართებზე მოთხოვნის ზრდის. აღნიშნული მოვლენა მხოლოდ საქართველოსთვის არ არის

დამახასიათებელი, ანალოგიური ტენდენცია ევროპულ ქვეყნებშიც შეინიშნება. 2024 წლისთვის საქართველოში საშუალო ოჯახის ზომა 3.2 ადამიანამდე შემცირდა, მაშინ როდესაც 2019 წელს ეს მაჩვენებელი 3.5-ს შეადგენდა. მიუხედავად შემცირების ტენდენციისა, აღნიშნული რიცხვი კვლავ მნიშვნელოვნად აღემატება ევროკავშირის საშუალო მაჩვენებელს, რომელიც 2023 წელს 2.3 ადამიანს შეადგენდა (2024 წლის მონაცემი ხელმისაწვდომი არ არის).


გრაფიკი 16. ოჯახის საშუალო ზომა - საქართველო



წყარო: საქსტატი, თიბისი კაპიტალი


მიგრაცია და საინვესტიციო შესაძლებლობები საცხოვრებელ უძრავ ქონებაზე მოთხოვნის ერთ-ერთ მთავარი მამოძრავებელი ფაქტორია. 2022 წლის თებერვალში დაწყებული რუსეთ-უკრაინის ომის შედეგად, საქართველოში მნიშვნელოვანი რაოდენობის მიგრანტი შემოვიდა, რაც პირდაპირ აისახა თბილისში და ბათუმში გაქირავების ბაზრებზე. გაზრდილმა უძრავი ქონების ამონაგებმა კიდევ უფრო გაზარდა საცხოვრებელი უძრავი ქონების საინვესტიციო მიმზიდველობა. 2021 წლის იანვრიდან მოყოლებული 2025 წლის ივნისის ჩათვლით, თბილისში ბინის ქირის ფასი აშშ დოლარში 101%-ით გაიზარდა. თუმცა, 2023 წლის მარტიდან მოყოლებული, ქირის ფასმა დასტაბილურება დაიწყო და 21%-ით შემცირდა. მიუხედავად ამისა, უძრავი ქონების ამონაგები ინვესტორებისთვის კვლავ მიმზიდველი რჩება.

გრაფიკი 17. საშუალო ქირის ფასი (\$/კვ.მ.), თბილისი



წყარო: სეზ, თიბისი კაპიტალი


გრაფიკი 18. ქირის შემოსავლიანობა (%), თბილისი



წყარო: სებ, თიბისი კაპიტალი

შემოსავალი საცხოვრებელ უძრავ ქონებაზე მოთხოვნის ერთ-ერთ მნიშვნელოვანი განმაპირობებელი ფაქტორია. მაღალი შემოსავლის მქონე ოჯახებს აქვთ მეტი ფინანსური შესაძლებლობა, შეიძინონ ან იქირაონ საცხოვრებელი ფართი, ჩადონ ინვესტიცია უფრო დიდ საცხოვრებელ სივრცეში ან გადავიდნენ უკეთესი ხარისხის სახლში საცხოვრებლად. ბოლო წლების განმავლობაში ოჯახის საშუალო შემოსავალი სტაბილურად იზრდება. 2024 წელს საშუალო თვიურმა შემოსავალმა ერთ სულ მოსახლეზე 562 ლარი შეადგინა, რაც 2023 წელთან შედარებით 16%-ით გაზრდილი მაჩვენებელია და თითქმის ორჯერ აღემატება 2019 წლის მაჩვენებელს. ანალოგიურად, საშუალო თვიური ოჯახის შემოსავალი წლიურად 13%-ით გაიზარდა და 2019 წელთან შედარებით 70%-ით არის მომატებული, რაც ასახავს მსყიდველუნარიანობის არსებით გაუმჯობესებას და პირდაპირ უწყობს ხელს უძრავი ქონების მოთხოვნის ზრდას.

გრაფიკი 19. მოსახლეობის საშუალო თვიური შემოსავალი (ლარი)




წყარო: საქსტატი, თიბისი კაპიტალი

ბოლო წლებში ხელფასის მიმდები პირების რაოდენობა სტაბილურად იზრდება, რაც შრომითი ბაზრის გაძლიერებისა და ეკონომიკურ აქტიულობაში მონაწილეობის ზრდის მაჩვენებელია. 2020-2024 წლებში ხელფასის მიმდებთა საერთო რაოდენობა 827 ათასიდან 963 ათასამდე გაიზარდა, რაც 16%-იან ზრდას წარმოადგენს. ხელფასის მიმდებთა

რაოდენობის ზრდასთან ერთად, გაიზარდა მაღალანაზღაურებადი სეგმენტის წილი, რაც მოსახლეობის მსყიდველუნარიანობის ზრდაზე მიუთითებს.

გრაფიკი 20. დასაქმებულთა რაოდენობა საშუალო თვიური ხელფასის დიაპაზონების მიხედვით (ლარი, საშემოსავლო გადასახადის ჩათვლით)



წყარო: შემოსავლების სამსახური, თიბისი კაპიტალი


სამშენებლო და სარემონტო მასალების სექტორი საქართველოში

2019-2024 წლებში სამშენებლო და სარემონტო მასალების სექტორის ზომა საშუალოდ 12%-ით იზრდებოდა (CAGR). აღნიშნული ზრდა მეტწილად სამშენებლო და სარემონტო მასალებზე გაზრდილმა მოთხოვნამ და ფასების ზრდამ განაპირობა.

სექტორის ზომამ 2024 წელს 5.7 მილიარდი აშშ დოლარი შეადგინა. აქედან, სამშენებლო მასალების ქვე-სექტორზე 2.6 მილიარდი აშშ დოლარი მოდის, ხოლო სარემონტო მასალების ქვე-სექტორზე - 2.0 მილიარდი აშშ დოლარი, საყოფაცხოვრებო ტექნიკაზე 0.7 მილიარდი, ხოლო ავეჯზე 0.4 მილიარდი აშშ დოლარი.

ძლიერმა სამშენებლო ტენდენციებმა მნიშვნელოვნად გაზარდა მოთხოვნა სამშენებლო და სარემონტო მასალებზე. მოსალოდნელია, რომ სამშენებლო და სარემონტო მასალებზე მოთხოვნა საშუალოვადიან პერიოდში ზრდას განაგრძობს, რასაც სამი ძირითადი ფაქტორი შეუწყობს ხელს: მთავრობის მზარდი დანახარჯები ინფრასტრუქტურულ პროექტებზე, მშენებლობაზე გაცემული ნებართვების რეკორდული ზრდა 2024-25 წლებში, სტაბილურად მაღალი გაყიდვები უძრავი ქონების სექტორში და ბინების რაოდენობის მკვეთრი ზრდა ბოლო პერიოდში - ბინების რაოდენობის დიდი ბაზა უზრუნველყოფს სარემონტო მასალებზე მოთხოვნას პერიოდული რემონტის საჭიროების გამო.

გრაფიკი 21. სამშენებლო და სარემონტო მასალების სექტორის შემოსავლები, აშშ\$ მლრდ.




წყარო: საქსტატი, თიბისი კაპიტალი

მიუხედავად იმისა, რომ სექტორი მთლიანობაში იმპორტზეა დამოკიდებული და სექტორის ბრუნვის ნახევარზე მეტს იმპორტული საქონელი შეადგენს, იმპორტის წილი მნიშვნელოვნად განსხვავდება ქვე-სექტორების მიხედვით:

სამშენებლო მასალები: სექტორის შემოსავლების 65% მოდის ადგილობრივ წარმოებაზე, რასაც ხელს უწყობს ძლიერი ადგილობრივი ინდუსტრია, ასევე ტრანსპორტირების სირთულე და მაღალი ხარჯი, რაც ამცირებს იმპორტის სტიმულს;

სარემონტო მასალები, საყოფაცხოვრებო ტექნიკა და ავეჯი: ორივე ქვე-სექტორში შემოსავლების ძირითადი ნაწილი გენერირდება იმპორტიდან, ხოლო ადგილობრივი წარმოება მოიცავს რამდენიმე ნიშურ მიმართულებას.


გრაფიკი 22. ადგილობრივი წარმოების და იმპორტის ჩაშლა სექტორის მიხედვით 2024 წელს



წყარო: საქსტატი, თიბისი კაპიტალი

თურქეთი საქართველოს მთავარი სავაჭრო პარტნიორია — რაც განაპირობა წარმოების სექტორის განვითარებამ და გეოგრაფიულმა სიახლოვემ, რაც დაბალ სატრანსპორტო ხარჯებს უზრუნველყოფს. ჩინეთი მეორე ადგილზეა, საიდანაც ძირითადად ფოლადის იმპორტი ხდება.


გრაფიკი 23. იმპორტირებული სამშენებლო და სარემონტო მასალების ღირებულების გადანაწილება იმპორტის ქვეყნების მიხედვით, 2024 წელს



წყარო: საქსტატი, თიბისი კაპიტალი

სარემონტო მასალების სექტორის შემოსავალი 2019-2024 წლებში საგრძნობლად გაიზარდა და 2.0 აშშ დოლარს მიაღწია. ამ პერიოდში დაფიქსირებული საშუალო წლიური ზრდა (CAGR) 10.0%-ს შეადგენს. უნდა აღინიშნოს, რომ 2024 წელს მაღალი საბაზისო ეფექტის გამო ზრდის ტემპი შენეულა, თუმცა სექტორმა მზარდი ტენდენცია შეინარჩუნა.


გრაფიკი 24. სარემონტო მასალების სექტორის შემოსავლები საქართველოში, აშშ\$, მლრდ.



წყარო: საქსტატი, თიბისი კაპიტალი

სარემონტო მასალების იმპორტი მოიცავს პროდუქციის ფართო სპექტრს. 2024 წელს თურქეთი წარმოადგენს იმპორტის მთავარ წყაროს, 36%-იანი წილით.

გრაფიკი 25. სარემონტო მასალების იმპორტი კატეგორიების მიხედვით, 2024 წელი




წყარო: საქსტატი, თიბისი კაპიტალი

გაყიდული პროდუქციის თვითღირებულების (COGS) ძირითადი მამოძრავებლები

რკინის მადანი

რკინის მადანი ემიტენტის წარმოების COGS-ის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი კომპონენტია, განსაკუთრებით ფოლადის ნაწარმში (მაგ., მეტალის სახურავები, ჩამოსხმები). 2019–2022 წლებში რკინის მადნის ფასი მკვეთრი მერყეობით ხასიათდებოდა და 2021 წლის შუაში 200 აშშ დოლარსაც გადააჭარბა. ზრდა გამოწვეული იყო პანდემიის შემდგომი მოთხოვნის გაძლიერებით ჩინეთში, ამინდისა და ოპერაციული შეფერხებებით ბრაზილიასა და ავსტრალიაში, გლობალური ინფრასტრუქტურული პროექტების ზრდით და ფიუჩერულ ბაზრებზე სპეკულაციური აქტივობით. 2022 წლის ბოლოს ფასი 100 აშშ დოლარამდე დაკორექტირდა და მას შემდეგ 90–110 აშშ დოლარის ფარგლებში მერყეობს. 2025–2026 წლებში მოსალოდნელია ფასის შემცირების ტენდენცია. იმის გათვალისწინებით, რომ წარმოების ხარჯების დიდი ნაწილი რკინაზე მოდის, პასების კლების მოლოდინი პირდაპირ გავლენას იქონიებს სამშენებლო და სარემონტო სექტორის შემოსავლების პროგნოზზე.

გრაფიკი 26. რკინის მადანი (\$/ტ) და პროგნოზი




წყარო: Bloomberg, თიბისი კაპიტალი

ცხლად გლინული ფოლადი (HRC)

ფოლადის ღირებულების ჯაჭვში ცხლად გლინული ფოლადი (HRC) კრიტიკული მნიშვნელობის პროდუქტია, ხოლო სამშენებლო და სარემონტო მასალების მწარმოებლებისათვის ერთ-ერთი ყველაზე ხარჯიანი მასალაა. ბოლო ხუთი წლის დინამიკა ციკლურობით გამოირჩეოდა: 2019 წელს ფასი საშუალოდ ~700 \$/ტ-ს შეადგენდა, 2020-ში პანდემიის დასაწყისში ~480–520 \$/ტ-მდე შემცირდა, 2021-ში კი ისტორიულ მაქსიმუმს — ~1,950 \$/ტ მიაღწია. შემდგომ წლებში ფასი ეტაპობრივად მცირდებოდა (2023–2024: ~800–900 \$/ტ). 2025–2026 წლებში მოსალოდნელია ფასის — ~825–850 \$/ტ-მდე დასტაბილურება.

გრაფიკი 27. ცხლად გლინული ფოლადი (\$/ტონა) და პროგნოზი




წყარო: Bloomberg, თიბისი კაპიტალი

ტრანსპორტირების ხარჯები

ბუნებრივია, რომ სარემონტო მასალების ფასებზე განსაკუთრებული გავლენა გლობალურ პროცესებს აქვს, რაც სექტორის იმპორტდამოკიდებულებითაა განპირობებული. ბოლო წლებში ამ ქვე-სექტორის ფასების ზრდაზე, სხვა ფაქტორებთან ერთად, გავლენა ჰქონდა საერთაშორისო ტრანსპორტირების ხარჯების და ნედლეულის ფასების ზრდას. დამატებით, სარემონტო მასალების ფასებზე 2024 წელს წითელი ზღვის კრიზისით გამოწვეული ტრანსპორტირების ხარჯების ზრდაც აისახა, თუმცა მისი ეფექტი შედარებით მცირე და ხანმოკლე იყო. აღსანიშნავია, რომ 2025 წლიდან სარემონტო მასალების ფასები დიდწილად დასტაბილურებულია, თუმცა გლობალურად მიმდინარე გეოპოლიტიკური დამაბულობისა და სავაჭრო შეზღუდვების ფონზე, ფასების სამომავლო ტენდენცებზე გაურკვეველობა მაღალია.

ტრანსპორტირების გაძვირება პირდაპირ ზრდის როგორც იმპორტირებული სამშენებლო მასალების, ისე მზა პროდუქციის მიწოდების საბოლოო ღირებულებას. Drewry World Container Index (WCI) — გლობალური კონტეინერული ტარიფების ბენჩმარკი — ბოლო ხუთი წლის განმავლობაში უპრეცედენტო მერყეობით ხასიათდებოდა: 2019–2020 დასაწყისში ფასი 1,400–1,800 აშშ დოლარს შეადგენდა 40-ფუტიან კონტეინერზე, 2020-ის მეორე ნახევრიდან კი COVID-თან დაკავშირებული შეფერხებების, პორტების გადატვირთვის, აღჭურვილობების დანაკლისისა და გლობალურ ვაჭრობაზე მკვეთრად გაზრდილი მოთხოვნის გამო, 2020 წლის განმავლობაში ფასები მუდმივად იზრდებოდა, წლის ბოლოს კი ფასმა 4,000 აშშ დოლარს გადააჭარბა და 2021 წლის ბოლოს მიაღწია მაქსიმუმს - 10,000 აშშ დოლარს. ფასების მსგავსმა ზრდამ მნიშვნელოვანი გავლენა იქონია ტრანსპორტირებისა და იმპორტის ხარჯებზე ყველა სექტორში, მათ შორის სამშენებლო და სარემონტო მასალების ბაზარზეც. 2022 წლიდან დაიწყო ტრანსპორტირების ფასის მკვეთრი კორექცია და 2023-ის დასაწყისში 2,000 აშშ დოლარამდე შემცირდა; 2024-ში გეოპოლიტიკური დამაბულობის ფონზე ფასმა დროებით კვლავ გაიზარდა 5,500 აშშ დოლარამდე სიმძლავრეების შეზღუდვებისა და გეოპოლიტიკური დამაბულობის ფონზე, შემდგომ კი წლის ბოლოსა და 2025-ის დასაწყისში დასტაბილურდა.

გრაფიკი 28. World Container Index (აშშ დოლარი/40 ფუტიანი კონტეინერი)



წყარო: Drewry, თიბისი კაპიტალი

საოპერაციო და ფინანსური მიმოხილვა

„კომპანიის“ კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობისა და ოპერაციების შედეგების მიმოხილვა და ანალიზი მოიცავს 2025 და 2024 წლების არააუდიტირებულ შუალედურ ფინანსურ ანგარიშგებაში გამჟღავნებულ მონაცემებსა და სრული წლის აუდიტირებულ ფინანსურ ანგარიშგებებს 2024 და 2023 წლებისთვის. თუკი სხვაგვარად არ არის აღნიშნული, ამ მიმოხილვაში წარმოდგენილი ფინანსური ინფორმაცია აღნიშნულ პერიოდებზე ამოღებულია „ემიტენტის“ ფინანსური ანგარიშგებებიდან. ეს ნაწილი წაკითხული უნდა იქნას ფინანსურ ანგარიშგებასთან და მის შენიშვნებთან, ასევე პროსპექტში მოცემულ სხვა ფინანსურ ინფორმაციასთან ერთად. 2023 და 2024 წლებისთვის მომზადებული წლიური აუდიტირებული ფინანსური ანგარიშგებებისთვის აუდიტორის დასკვნის ტიპი არის არამოდიფიცირებული მნიშვნელოვან გარემოებათა ამსახველი აზრით.

მნიშვნელოვან გარემოებათა აზრით

კომპანიას მიღებულ სესხებზე გააჩნია ფინანსური და არაფინანსური შეზღუდვები, რომელთა გარკვეული ნაწილი ვერ შეასრულა 2024 წლის 31 დეკემბრისა და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

ფინანსურ და არაფინანსურ შეზღუდვებთან დაკავშირებით მეტი დეტალისთვის იხილეთ: „კაპიტალიზაცია და დავალიანება“

ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი

„ემიტენტის“ აუდიტირებული ფინანსური ანგარიშგება 2024 და 2023 წლებისათვის მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების კომიტეტის (ბასსკ) მიერ გამოცემული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტებისა და ინტერპრეტაციების (მთლიანად ფასს-ების) შესაბამისად. კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე. ჯგუფი ოპერაციებს აღრიცხავს და კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებას ამზადებს ქართულ ლარში (ლარი), თანხები მოცემულია ათასებში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული. ჯგუფის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს კალენდარულ წელს 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე.

„ემიტენტის“ არააუდიტირებული შემოკლებული შუალედური ფინანსური ანგარიშგება 2025 წლის 30 ივნისს და 2024 წლის 30 ივნისს დასრულებული პერიოდებისთვის მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტის ბასს 34 შუალედური ფინანსური ანგარიშგება შესაბამისად და წაკითხულ უნდა იქნას „კომპანიის“ 2024 წლის 31 დეკემბრის და 2023 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლებისთვის მომზადებულ ფინანსურ ანგარიშგებებთან („ბოლო წლიური ფინანსური ანგარიშგება“) ერთად, რომელიც ატვირთულია ვებ გვერდზე: reportal.ge

მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის კონსოლიდირებული ანგარიშგება

	2023	2024	2024 6 თვე	2025 6 თვე
(ათასი ლარი)	აუდიტი- რებული	აუდიტი- რებული	არააუდიტი- რებული	არააუდიტი- რებული
ამონაგები	204,949	238,200	101,344	104,295
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	(158,653)	(181,092)	(77,057)	(78,119)
საერთო მოგება	46,296	57,108	24,287	26,176
სხვა შემოსავალი	3,470	4,416	2,012	843
ფინანსური აქტივებისა და ავანსების გაუფასურების ანარიცხის ცვლილება	4	15	-	-
კომერციული ხარჯები	(24,191)	(26,241)	(10,945)	(11,875)
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯი	(10,026)	(11,992)	(5,660)	(6,232)

საოპერაციო მოგება	15,553	23,306	9,693	8,912
მოგება/(ზარალი) ვალუტის კურსთაშორისი სხვაობიდან, წმინდა	(614)	(1,994)	(2,207)	1,292
ფინანსური ხარჯი	(7,521)	(7,882)	(3,756)	(4,890)
ძირითადი საშუალებების რეალიზაციიდან მიღებული ზარალი	-	(527)	5	93
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი	181	-	-	-
მოგება დაბეგვრამდე	7,599	12,903	3,735	5,407
მოგების გადასახადის ხარჯი	(792)	(1,375)	(335)	(242)
წლის მთლიანი სრული შემოსავალი	6,807	11,528	3,399	5,165

ამონაგები

კომპანიის ამონაგები მოიცავს ამონაგებს საბითუმო და საცალო ვაჭრობიდან, ექსპორტიდან მიღებულ ამონაგებს და კონსიგნაციიდან მიღებულ საკომისიოს. კომპანია ამონაგებს აგენერირებს გადაყიდული და წარმოებული პროდუქტიიდან, ასევე კონსიგნაციიდან მიღებული საკომისიოთი.

კონსიგნაციიდან მიღებული საკომისიო არის შემოსავალი ისეთი პროდუქციის რეალიზაციიდან, რომლის მომხმარებელზე/მესამე მხარეზე რეალიზაციის შემდეგ ხორციელდება ანგარიშსწორება/თანხის გადახდა მომწოდებლისთვის. ასეთი პირობებით ხდება მხოლოდ ადგილობრივ ბაზარზე შეძენილი პროდუქციის რეალიზაცია.

2025 წლის 30 ივნისის მდგომარეობით, კომპანიის ნახევარწლიურმა ამონაგებმა შეადგინა 104,295 ათასი ლარი და 2024 წლის ანალოგიურ პერიოდთან მიმართებით გაიზარდა 2.9%-ით (2,951 ათასი ლარით), აღნიშნული ზრდა მეტწილად გამოწვეულია საცალო ვაჭრობიდან მიღებული ამონაგების ზრდით, რამაც 2025 წლის 30 ივნისის მდგომარეობით შეადგინა 23,321 ათასი ლარი და 2024 წლის ანალოგიურ პერიოდთან მიმართებით გაიზარდა 16.8%-ით (3,351 ათასი ლარით).

2024 წლის განმავლობაში, კომპანიის ამონაგები 2023 წელთან შედარებით გაზრდილია 16.2%-ით და შეადგინა 238,200 ათასი ლარი. აღნიშნული ძირითადად განპირობა საქართველოში სამშენებლო ბაზრის მოცულობის ზრდამ და კომპანიის მიერ წარმოების ხაზის გაფართოებამ და ფრენშაიზის კონტრაქტით ორი საცალო მაღაზიის დამატებამ.

ნაზრდი გაყიდვების წყაროს ჭრილში შემდეგნაირია: ამონაგები საბითუმო ვაჭრობიდან გაიზარდა 21.2%-ით (27,828 ათასი ლარით) და შეადგინა 159,179 ათასი ლარი, რაც ჯამური ამონაგების 66.8%-ია. ამონაგები საცალო ვაჭრობიდან გაიზარდა 7.5%-ით (5,107 ათასი ლარით) და შეადგინა 73,168 ათასი ლარი, რაც ჯამური ამონაგების 30.7%-ია. კონსიგნაციიდან მიღებული საკომისიო შემოსავალი შემცირდა 0.7%-ით (31 ათასი ლარით) და შეადგინა 4,676 ათასი ლარი, რაც ჯამური ამონაგების 2.0%-ია. 2024 წლის განმავლობაში ჯგუფის კონსიგნაციით მიღებული საქონლის გროს რეალიზაციამ შეადგინა 21,341 ათასი ლარი. ექსპორტიდან ამონაგები გაიზარდა 0.5%-ით (347 ათასი ლარით) და შეადგინა 1,117 ათასი ლარი, (ჯამური ამონაგების 0.5%).

ნაზრდი პროდუქტების ჭრილში შემდეგნაირია: ამონაგები გადაყიდული პროდუქტიიდან გაიზარდა 5.7%-ით (7,021 ათასი ლარით) და შეადგინა 124,209 ათასი ლარი, (წილი ჯამური ამონაგებში 52.1%). ამონაგები წარმოებული პროდუქტიიდან გაიზარდა 24.0%-ით (26,261 ათასი ლარით) და შეადგინა 109,315 ათასი ლარი, რაც ჯამური ამონაგების 45.9%-ია.

2023 წლის განმავლობაში, კომპანიის შემოსავლები 2022 წელთან შედარებით გაზრდილია 27.2%-ით (43,841 ათასი ლარით) და შეადგინა 204,949 ათასი ლარი. აღნიშნული ზრდის გამოწვევი მიზეზებია სამშენებლო ბაზრის მოცულობის ზრდა და კომპანიის მიერ სამი ახალი საწარმოო ხაზის დამატება, რაც აისახა საცალო ვაჭრობიდან ამონაგების მაღალ ზრდაში.

ნაზრდი გაყიდვების წყაროს ჭრილში შემდეგნაირია: ამონაგები საბითუმო ვაჭრობიდან გაიზარდა 13.2%-ით (15,313 ათასი ლარით) და შეადგინა 131,351 ათასი ლარი, რაც ჯამური ამონაგების 64.1%-ია. ამონაგები საცალო ვაჭრობიდან

გაიზარდა 69.9%-ით (28,003 ათასი ლარით) და შეადგინა 68,061 ათასი ლარი, რაც ჯამური ამონაგების 33.2%-ია. კონსიგნაციიდან მიღებულმა გროს რეალიზაციამ შეადგინა 21,271 ათასი ლარი და 2022 წელთან მიმართებით გაიზარდა 15.1%-ით (2,788 ათასი ლარით), ხოლო კონსიგნაციიდან მიღებული საკომისიო შემოსავალი გაიზარდა 15.1%-ით (611 ათასი ლარით) და შეადგინა 4,707 ათასი ლარი, რაც ჯამური ამონაგების 2.3%-ია. ექსპორტიდან ამონაგები შემცირდა 9.9%-ით (91 ათასი ლარით) და შეადგინა 830 ათასი ლარი, რაც ჯამური ამონაგების 0.4%-ია.

ნაზრდი პროდუქტების ჭრდილში შემდეგნაირია: ამონაგები გადაყიდული პროდუქციიდან გაიზარდა 38.2%-ით (32,414 ათასი ლარით) და შეადგინა 117,188 ათასი ლარი, რაც ჯამური ამონაგების 57.2%-ია. ამონაგები წარმოებული პროდუქციიდან გაიზარდა 15.0%-ით (10,811 ათასი ლარით) და შეადგინა 83,054 ათასი ლარი, რაც ჯამური ამონაგების 40.5%-ია.

ამონაგების ჩაშლა რეალიზაციის ტიპის მიხედვით:

(ათასი ლარი)	2023 აუდიტი- რებული	2024 აუდიტი- რებული	2024 6 თვე არააუდიტი- რებული	2025 6 თვე არააუდიტი- რებული
ამონაგები საბითუმო ვაჭრობიდან	131,351	159,179	78,255	78,023
ამონაგები საცალო ვაჭრობიდან	68,061	73,168	19,970	23,321
კონსიგნაციიდან მიღებული საკომისიო	4,707	4,676	2,355	2,139
ამონაგები ექსპორტიდან	830	1,177	764	812
ჯამური ამონაგები	204,949	238,200	101,344	104,295

ამონაგების ჩაშლა პროდუქტების ტიპის მიხედვით:

(ათასი ლარი)	2023 აუდიტი- რებული	2024 აუდიტი- რებული	2024 6 თვე არააუდიტი- რებული	2025 6 თვე არააუდიტი- რებული
ამონაგები გადაყიდული პროდუქციიდან	117,188	124,209	55,047	58,987
ამონაგები წარმოებული პროდუქციიდან	83,054	109,315	43,942	43,170
კონსიგნაციიდან მიღებული საკომისიო	4,707	4,676	2,355	2,139
ჯამური ამონაგები	204,949	238,200	101,344	104,295

რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება

რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება მოიცავს რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულებას და მარაგების გაუფასურების ანარიცხის ცვლილებას.

2025 წლის 30 ივნისის მდგომარეობით, კომპანიის ნახევარწლიურმა რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულებამ შეადგინა 78,119 ათასი ლარი და 2024 წლის ანალოგიური პერიოდის მაჩვენებელთან მიმართებით გაიზარდა 1.4%-ით (1,062 ათასი ლარით).

2024 წლის განმავლობაში, კომპანიის რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება გაიზარდა 14.1%-ით (22,439 ათასი ლარით) და შეადგინა 181,092 ათასი ლარი. 2023 წლის განმავლობაში კომპანიის რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება გაიზარდა 19.7%-ით (26,118 ათასი ლარით) და შეადგინა 158,653 ათასი ლარი.

კომპანიის რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება მოიცავს მარაგების გაუფასურების ანარიცხის ცვლილებასაც, რაც 2024 წლის განმავლობაში შეადგენდა 184 ათას ლარს და 2023 წლის განმავლობაში (503) ათას ლარს.

საერთო მოგება და საერთო მოგების მარჟა

2025 წლის 30 ივნისის მდგომარეობით, კომპანიის ნახევარწლიურმა საერთო მოგებამ შეადგინა 26,176 ათასი ლარი, და 2024 წლის ანალოგიურ პერიოდთან მიმართებით 7.8%-ით (1,889 ათასი ლარით) გაიზარდა. ამავე პერიოდში კომპანიის საერთო მოგების მარჟამ შეადგინა 25.1% და 2024 წლის ნახევარწლიურ მაჩვენებელთან მიმართებით (24.0%) გაიზარდა 1.1 პპ-ით.

2024 წლის განმავლობაში, კომპანიის საერთო მოგებამ შეადგინა 57,108 ათასი ლარი და 23.4%-ით (10,812 ათასი ლარით) გაიზარდა 2023 წელთან მიმართებით. საერთო მოგების მარჟამ შეადგინა 24.0% და 1.4 პპ-ით გაუმჯობესდა 2023 წლის მაჩვენებელთან მიმართებით.

2023 წლის განმავლობაში, კომპანიის საერთო მოგებამ შეადგინა 46,296 ათასი ლარი და 62.0%-ით (17,723 ათასი ლარით) გაიზარდა 2022 წელთან მიმართებით. საერთო მოგების მარჟამ შეადგინა 22.6% და 4.9 პპ-ით გაუმჯობესდა 2022 წლის მაჩვენებელთან მიმართებით.


დეტალური ჩაშლა იხილეთ ცხრილში:

	2023	2024	2024 6 თვე	2025 6 თვე
(ათასი ლარი)	აუდიტი- რებული	აუდიტი- რებული	არააუდიტი- რებული	არააუდიტი- რებული
ამონაგები	204,949	238,200	101,344	104,295
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	158,653	181,092	77,057	78,119
საერთო მოგება	46,296	57,108	24,287	26,176
საერთო მოგების მარჟა	22.6%	24.0%	24.0%	25.1%

2024 წლის განმავლობაში გაზრდილია როგორც საცალო ვაჭრობიდან მიღებული ამონაგები (7.5%), ისე წარმოებული პროდუქციის რეალიზაციიდან მიღებული ამონაგები (31.6%). გამომდინარე იქიდან, რომ: (i) საცალო სეგმენტზე უფრო მაღალი მარჟით ხდება პროდუქციის რეალიზაცია, და (ii) წარმოებული პროდუქციის რეალიზაცია ხდება უფრო მაღალი მარჟით - ვიდრე იმპორტირებულის - 2024 წლის განმავლობაში საერთო მოგება უფრო გაზრდილია, ვიდრე შემოსავლები, შესაბამისად გაზრდილია საერთო მოგების მარჟაც.

მსგავსი დინამიკაა 2025 წლის პირველი ნახევრის განმავლობაშიც, სადაც მკვეთრად იზრდება საცალო ვაჭრობიდან ამონაგები (16.8%) და შესაბამისად - საერთო მოგების მარჟაც.

გრაფიკი 29. კომპანიის ამონაგები, საერთო მოგება და საერთო მოგების მარჟა



სხვა შემოსავალი

სხვა შემოსავლები მოიცავს გრანტის შემოსავლის ამორტიზებას, ვალის პატიებას, მიღებულ კომპენსაციასა და სხვა შემოსავლებს.

გრანტის შემოსავალი მოიცავს EBRD-სგან მიღებულ დაფინანსებას, რაც უკავშირდება საინვესტიციო პროგრამის შესახებ დადებულ ხელშეკრულებას, რომლის მიხედვითაც კომპანიას უნდა განეხორციელებინა 3 მილიონი ევროს ღირებულების ინვესტიცია ადმინისტრაციული და საწარმოო შენობების მშენებლობაში, ასევე შესაბამისი მოწყობილობებისა და მანქანა-დანადგარების შესაძენად, კომპანიის საქმიანობის მასშტაბის გაზრდის მიზნით. კომპანიის მხრიდან პროექტის სათანადო კრიტერიუმების შესრულების შემდეგ EBRD-მ დააფინანსა აღნიშნული ინვესტიციის 15%-ს, 450 ათასი ევროს ოდენობით. ასევე გრანტის შემოსავალი მოიცავს პროექტ „აწარმოე საქართველოში“ ფარგლებში მიღებულ სახელმწიფო გრანტს, პროგრამის ფარგლებში „სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო“ კომპანიებს უფინანსებს საწარმოო შენობის ასაშენებლად და საწარმოო დანადგარების შესაძენად მიღებული სესხების პროცენტს, ასევე სესხებს სამეურნეო საშუალებებისთვის. რადგან მიღებული სესხების საპროცენტო განაკვეთი საბაზრო განაკვეთზე დაბალია, კომპანია მიღებულ სარგებელს განიხილავს, როგორც სახელმწიფო გრანტს და წარადგენს, როგორც გადავადებულ შემოსავალს. ვალის პატიება მოიცავს კონტრაქტორებისგან მიღებულ შეღავათებს და რეტრო-ბონუსებს, კომპენსაცია მოიცავს 2024 წელს კომპანიისთვის მარაგების დაგვიანებით მიწოდების გამო მომწოდებლის მიერ გადახდილ კომპენსაციას. სხვა შემოსავალი მოიცავს კომპანიის მიერ სხვადასხვა სერვისების გაწევისგან მიღებულ შემოსავალს, სადაზღვეო ზარალის ანაზღაურებას და სხვა შემოსავლებს.

2025 წლის 30 ივნისის მდგომარეობით, კომპანიის ნახევარწლიურმა სხვა შემოსავალმა შეადგინა 843 ათასი ლარი და 2024 წლის ანალოგიური პერიოდის მაჩვენებელთან მიმართებით შემცირდა 58.1%-ით (1,169 ათასი ლარით). აღნიშნული შემცირება გამოწვეულია გრანტის შემოსავლის ამორტიზების შემცირებით, რაც უმეტესად „აწარმოე საქართველოში“ გრანტის შემოსავლის ამორტიზაციის პერიოდის დასრულებას უკავშირდება.

2024 წლის განმავლობაში სხვა შემოსავალმა შეადგინა 4,416 ათასი ლარი და 27.3%-ით (946 ათასი ლარით) გაიზარდა 2023 წლის მაჩვენებელთან მიმართებით. 2024 წელს კომპანიამ მიიღო 740 ათასი ლარის კომპენსაცია, რომელიც წარმოადგენს ლოგისტიკური კომპანიისგან მიღებულ ფულად სახსრებს, შეძენილი საქონლის გადაზიდვის ვადების დარღვევის გამო, რამაც გამოიწვია ჯგუფისთვის ეკონომიკური სარგებლის დაკარგვა (მიუღებელი მოგება).

2023 წლის განმავლობაში სხვა შემოსავალმა შეადგინა 3,470 ათასი ლარი და 1.0%-ით (34 ათასი ლარით) გაიზარდა 2022 წლის მაჩვენებელთან მიმართებით.

დეტალური ჩაშლა იხილეთ ცხრილში:

(ათასი ლარი)	2023 აუდიტი- რებული	2024 აუდიტი- რებული	2024 6 თვე არააუდიტი- რებული	2025 6 თვე არააუდიტი- რებული
გრანტის შემოსავლის ამორტიზება	1,876	2,049	1,024	196
ვალის პატიება	663	578	-	11
კომპენსაცია	-	740	-	-
სხვა	931	1,049	988	636
სულ სხვა შემოსავალი	3,470	4,416	2,012	843

კომერციული ხარჯები

კომერციული ხარჯები მოიცავს ხელფასის ხარჯს, ტრანსპორტირების ხარჯს, ცვეთსა და ამორტიზაციის ხარჯს, მარკეტინგულ ხარჯებსა და სხვა ხარჯებს.

ფილიალების და საწარმოების რაოდენობის ზრდასთან და ხელფასების მატებასთან ერთად, ბუნებრივად გაიზარდა მიწოდებასთან დაკავშირებული და სხვა კომერციული ხარჯები, 2024 წლის მდგომარეობით კომპანიას აქვს 9 საცალო მაღაზია (7 საკუთარი და 2 ფრენჩაიზით გაცემული) და 2 საწარმო, 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით 7 და 2, ხოლო 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით 7 და 2.

2025 წლის 30 ივნისის მდგომარეობით, კომპანიის ნახევარწლიური კომერციული ხარჯები შეადგენს 11,875 ათას ლარს და 2024 წლის ანალოგიურ პერიოდთან მიმართებით გაზრდილია 8.5%-ით (929 ათასი ლარით). ზრდა მეტწილად გამოწვეულია ხელფასის ხარჯიდან გამომდინარე, ხელფასის ხარჯი 2025 წლის 6 თვის განმავლობაში შეადგენდა 7,190 ათას ლარს და 2024 წლის ანალოგიური პერიოდის მაჩვენებელთან მიმართებით გაზრდილია 15.0%-ით (937 ათასი ლარით). 2025 წლის 30 ივნისის მდგომარეობით, ნახევარწლიური კომერციული ხარჯების შეფარდება ამონაგებთან 11.4%-ია რაც 0.6 პპ-ით მეტია 2024 წლის ანალოგიური პერიოდის მაჩვენებელთან მიმართებით (10.8%).

2024 წლის განმავლობაში კომერციული ხარჯები გაზრდილია 8.5%-ით (2,050 ათასით ლარით) და შეადგინა 26,241 ათასი ლარი. ზრდის უმეტესი ნაწილი მოდის ხელფასისა და ტრანსპორტირების ხარჯების ზრდაზე, მათი წილი კომერციულ ხარჯებში არის 70.5%. სახელფასო ხარჯების ზრდა გამოწვეულია როგორც ახალი ფილიალების გახსნით, ისე ერთ თანამშრომელზე საშუალო ხელფასის ზრდით.

კომერციული ხარჯების ფარდობა შემოსავლებთან 2024 წლის განმავლობაში 11.0%-ია, რაც წინა წლის შესაბამის მაჩვენებელთან შედარებით 0.8 პპ-იანი შემცირებაა.

2023 წლის განმავლობაში კომერციული ხარჯები გაზრდილია 31.4%-ით (5,787 ათასით ლარით) და შეადგინა 24,191 ათასი ლარი. ზრდის უმეტესი ნაწილი მოდის ხელფასისა და ტრანსპორტირების ხარჯების ზრდაზე, მათი წილი კომერციულ ხარჯებში არის 64.4%. სახელფასო ხარჯების ზრდა გამოწვეულია ექვსი ახალი ფილიალის გახსნით და საწარმოო ხაზის გაფართოებით.

კომერციული ხარჯების ფარდობა შემოსავლებთან 2023 წლის განმავლობაში 11.8%-ია, რაც წინა წლის შესაბამის მაჩვენებელთან შედარებით 0.4 პპ-იანი ზრდაა.

დეტალური ჩაშლა იხილეთ ცხრილში:

(ათასი ლარი)	2023 აუდიტი- რებული	2024 აუდიტი- რებული	2024 6 თვე არააუდიტი- რებული	2025 6 თვე არააუდიტი- რებული
--------------	---------------------------	---------------------------	------------------------------------	------------------------------------

ხელფასის ხარჯი	11,886	14,306	6,253	7,190
ტრანსპორტირების ხარჯი	3,702	4,181	1,669	1,609
ცვეთისა და ამორტიზაციის ხარჯი	2,973	2,781	1,142	1,702
მარკეტინგული ხარჯები	2,805	2,678	1,074	774
სხვა	2,825	2,295	(806)	(599)
სულ	24,191	26,241	10,945	11,875

საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები

კომპანიის საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები მოიცავს ხელფასის ხარჯს, ცვეთისა და ამორტიზაციის ხარჯს, გადასახადებს მოგების გადასახადის გარდა, პროფესიონალურ მომსახურებას, საოფისე ხარჯებს, წარმომადგენლობით ხარჯს, კომუნიკაციის ხარჯებს, კომუნალურებს, დაზღვევას, ბანკის ხარჯს და სხვა ხარჯებს.

2025 წლის 30 ივნისის მდგომარეობით, კომპანიის ნახევარწლიურმა საერთო და ადმინისტრაციულმა ხარჯებმა შეადგინა 6,232 ათასი ლარი და 2024 წლის ანალოგიურ პერიოდთან მიმართებით გაიზარდა 10.1%-ით (573 ათასი ლარით), რაც ძირითადად გამოწვეულია ხელფასის ხარჯის ზრდით, ხელფასის ხარჯი 2024 წლის ანალოგიურ პერიოდთან მიმართებით გაიზარდა 8.6%-ით (239 ათასი ლარით). საერთო და ადმინისტრაციული ხარჯების 48.6%-ს შეადგენს ხელფასის ხარჯები.

2024 წლის განმავლობაში, კომპანიის საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები გაიზარდა 19.6%-ით (1,966 ათასი ლარით) და შეადგინა 11,992 ათასი ლარი. წლის განმავლობაში ზრდა უმეტესად გამოწვეულია ხელფასის ხარჯის და ცვეთისა და ამორტიზაციის ხარჯის ზრდით. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯების 48.0%-ს 2024 წლისთვის შეადგენს ხელფასის ხარჯები.

2023 წლის განმავლობაში, კომპანიის საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები გაიზარდა 46.4%-ით (3,177) ათასი ლარით) და შეადგინა 10,026 ათასი ლარი. წლის განმავლობაში ზრდა უმეტესად გამოწვეულია ხელფასის ხარჯის ზრდით, კერძოდ 2023 წელს ხელფასის ხარჯი 2022 წელთან შედარებით გაიზარდა 189.2%-ით (2,424 ათასი ლარით) და შეადგინა 5,143 ათასი ლარი, რაც გამოწვეულია დამატებით ფილიალების გახსნით, წარმოების გაფართოებით და თანამშრომელთა რაოდენობის ზრდით. 2023 წელს საერთო და ადმინისტრაციული ხარჯების 51.3%-ს შეადგენს ხელფასის ხარჯები.

2024 და 2023 წლების მანძილზე საერთო და ადმინისტრაციული ხარჯების შეფარდება შემოსავლებთან სტაბილურად ნარჩუნდება 4.9%-5.0%-ის ფარგლებში.

დეტალური ჩაშლა იხილეთ ცხრილში:

	2023	2024	2024 6 თვე	2025 6 თვე
(ათასი ლარი)	აუდიტი- რებული	აუდიტი- რებული	არაუდიტი- რებული	არაუდიტი- რებული
ხელფასის ხარჯი	5,143	5,759	2,792	3,031
ცვეთისა და ამორტიზაციის ხარჯი	837	1,304	608	893
გადასახადები მოგების გადასახადის გარდა	606	298	120	57
პროფესიონალური მომსახურება	537	636	92	41
საოფისე ხარჯები	531	693	356	466
წარმომადგენლობითი ხარჯი	453	322	253	142
კომუნიკაციის ხარჯები	300	332	166	162
კომუნალურები	243	242	437	473
დაზღვევა	122	203	79	122
ბანკის ხარჯი	102	298	393	438
სხვა	1,152	1,905	364	409
სულ	10,026	11,992	5,660	6,232

EBITDA (არა IFRS-ული მაჩვენებელი)

კომპანიის EBITDA გულისხმობს, საერთო მოგებას მინუს კომერციული ხარჯები, მინუს საერთო და ადმინისტრაციული, პლუს ცვეთა და ამორტიზაცია, პლუს სხვა შემოსავალი და ვალის პატიება.

2025 წლის 30 ივნისის მდგომარეობით, კომპანიის ნახევარწლიური EBITDA შეადგენს 13,128 ათას ლარს და 2024 წლის შესაბამისი პერიოდის EBITDA-სთან მიმართებით გაიზარდა 4.8%-ით (602 ათასი ლარით). კომპანიის ნახევარწლიური EBITDA მარჯა შეადგენს 12.5%-ს და 2024 წლის მაჩვენებელთან შედარებით გაუმჯობესდა 0.2 პპ-ით.

2024 წლის განმავლობაში, კომპანიის EBITDA შეადგენს 28,346 ათას ლარს, რაც წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 38.7%-იანი ზრდაა (7,908 ათასი ლარი). აღნიშნული ზრდა უმეტესწილად გამოწვეულია საერთო მოგების 23.4%-იანი ზრდით და საოპერაციო ხარჯების ამონაგებთან შეფარდების მარჯის შემცირებით. შესაბამისად, აღნიშნული პერიოდის განმავლობაში გაუმჯობესდა EBITDA მარჯა 11.8%-მდე, რაც 1.9 პპ-იანი გაუმჯობესებაა (2023: 9.9%).

2023 წლის განმავლობაში, კომპანიის EBITDA შეადგენს 20,442 ათას ლარს, რაც წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 116.3%-იანი ზრდაა (10,991 ათასი ლარი). აღნიშნული ზრდა უმეტესწილად გამოწვეულია ამონაგების 27.2%-ით და საერთო მოგების 62.0%-იანი ზრდით. შესაბამისად, აღნიშნული პერიოდის განმავლობაში გაუმჯობესდა EBITDA მარჯა 9.9%-მდე, რაც 4.1 პპ-იანი გაუმჯობესებაა (2022: 5.8%).


დეტალური ჩაშლა იხილეთ ცხრილში:

	2023	2024	2024 6 თვე	2025 6 თვე	2025 30 ივნ. (LTM)
(ათასი ლარი)	არააუდიტი- რებული	არააუდიტი- რებული	არააუდიტი- რებული	არააუდიტი- რებული	არააუდიტი- რებული
ამონაგები	204,949	238,200	101,344	104,295	241,151
საერთო მოგება	46,296	57,108	24,287	26,176	58,997
საერთო მოგების მარჯა	22.6%	24.0%	24.0%	25.1%	24.5%
მინუს: კომერციული ხარჯები	(24,191)	(26,241)	(10,945)	(11,875)	(27,170)
მინუს: საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	(10,026)	(11,992)	(5,660)	(6,232)	(12,565)
პლუს: ცვეთა და ამორტიზაცია	7,033	8,349	4,134	4,415	8,630
*პლუს: ვალის პატიება	663	578	471	107	214
**პლუს: კორექტირებული სხვა შემოსავალი	667	544	239	537	842
EBITDA	20,442	28,346	12,526	13,128	28,948
EBITDA მარჯა	9.9%	11.8%	12.3%	12.5%	12.0%

*ვალის პატიება მოიცავს მომწოდებლებისგან მიღებულ კომერციულ ფასდაკლებებსა და ქეშბეკებს და წარმოადგენს კომპანიის განმეორებად შემოსავალს.

**კორექტირებული სხვა შემოსავალი წარმოადგენს იმ განმეორებადი სხვა შემოსავლის კატეგორიებს, რომლებიც გენერირდება კომპანიის ჩვეულებრივი საქმიანობის ფარგლებში და მოიცავს მარკეტინგული მომსახურებებიდან, გაყირავებიდან და სხვადასხვა სერვისებიდან მიღებულ შემოსავლებს, ასევე სომხეთის ფრენშიაზის ხელშეკრულებიდან მიღებულ შემოსავლებს, ინვენტარიზაციის შედეგად ამონაგებისა და რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულების კორექციას და სხვადასხვა საოპერაციო ზარალის განმეორებად სადაზღვეო ანაზღაურებას.

გრაფიკი 30. კომპანიის საერთო მოგება და EBITDA, საერთო მოგების და EBITDA მარჟა



ფინანსური ხარჯი

ფინანსური ხარჯი ძირითადად მოიცავს საპროცენტო ხარჯებს ფინანსური ინსტიტუტებისგან მიღებულ სესხებზე და საიჯარო ვალდებულებების საპროცენტო ხარჯს.

2025 წლის 30 ივნისის მდგომარეობით, კომპანიის ნახევარწლიურმა ფინანსურმა ხარჯმა შეადგინა 4,890 ათასი ლარი და 2024 წლის ანალოგიურ პერიოდთან მიმართებით გაიზარდა 30.2%-ით (1,134 ათასი ლარით). აღნიშნული ზრდა გამოწვეულია ფინანსური ინსტიტუტებისგან მიღებულ სესხებზე საპროცენტო ხარჯის ზრდით. კომპანია 2020 წლიდან მონაწილეობს „აწარმოე საქართველოს“ პროგრამაში, რის ფარგლებშიც კომპანია იღებდა საწარმო შენობის ასაშენებლად და საწარმოო დანადგარების შესაძენად მიღებული სესხების პროცენტის ნაწილობრივ დაფინანსებას, 2025 წელს საპროცენტო ხარჯის ზრდა უკავშირდება აღნიშნული სუბსიდიის დასრულებას. 2024 წლის განმავლობაში კომპანიის ფინანსური ხარჯები გაიზარდა 4.8%-ით (361 ათასი ლარით) და შეადგინა 7,882 ათასი ლარი.

2023 წლის განმავლობაში კომპანიის ფინანსური ხარჯები გაიზარდა 24.8%-ით (1,494 ათასი ლარით) და შეადგინა 7,521 ათასი ლარი. აღნიშნული ზრდა გამოწვეულია ფინანსური ინსტიტუტებისგან მიღებული სესხებიდან საპროცენტო ხარჯების ზრდით, რაც გაიზარდა 18.4%-ით (1,185 ათასი ლარით) და შეადგინა 7,641 ათასი ლარი.

დეტალური ჩაშლა იხილეთ ცხრილში:

	2023	2024	2024 6 თვე	2025 6 თვე
(ათასი ლარი)	აუდიტი- რებული	აუდიტი- რებული	არააუდიტი- რებული	არააუდიტი- რებული
საპროცენტო ხარჯი ფინანსური ინსტიტუტებისგან მიღებულ სესხებზე	7,641	7,814	3,512	4,702
დაკაპიტალიზებული პროცენტი	(526)	-	-	-
საიჯარო ვალდებულების საპროცენტო ხარჯი	391	731	155	143
შეფასების ცვლილება	15	(663)	90	44
სულ	7,521	7,882	3,756	4,890

მოგება/(ზარალი) ვალუტის კურსთაშორისი სხვაობიდან, ნეტო

2025 წლის 30 ივნისის მდგომარეობით ლარისა და აშშ დოლარის გაცვლითი კურსი შეადგენდა 2.7236-ს (2024 წლის 30 ივნისი: 2.8101), აღნიშნული კურსთაშორისი ცვლილების შედეგად, კომპანიის 2025 წლის ნახევარწლიურმა კურსთაშორისი სხვაობიდან მიღებულმა მოგებამ 1,292 ათასი ლარი შეადგინა.

2024 წლის 30 ივნისის მდგომარეობით ლარისა და აშშ დოლარის გაცვლითი კურსი შეადგენდა 2.8101-ს, (2023 წლის 30 ივნისი: 2.6177) აღნიშნული კურსთაშორისი ცვლილების შედეგად, კომპანიის 2025 წლის ნახევარწლიურმა კურსთაშორისი სხვაობიდან მიღებულმა ზარალმა 2,207 ათასი ლარი შეადგინა.

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ლარისა და აშშ დოლარის გაცვლითი კურსი შეადგენდა 2.8068-ს (2023 წლის 31 დეკემბერი: 2.6894). აღნიშნული კურსთაშორისი ცვლილების შედეგად, კომპანიის 2024 ვალუტის კურსთაშორისი სხვაობიდან მიღებულმა ზარალმა 1,994 ათასი ლარი შეადგინა, რაც წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 1,380 ათასი ლარით მეტია.

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით დოლარის კურსი გაუტოლდა 2.6894-ს (2022 წლის 31 დეკემბერი: 2.7020), აღნიშნული კურსთაშორისი ცვლილების შედეგად, კომპანიამ 2023 წლის განმავლობაში საკურსო სხვაობიდან 614 ათასი ლარის ზარალი დაწერა, რაც წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 3,547 ათასი ლარით გაუარესებული მაჩვენებელია (2022 წელს საკურსო სხვაობიდან შემოსავალმა შეადგინა 2,933 ათასი ლარი).

მოგების გადასახადის ხარჯი

2017 წლის 1 იანვრიდან კომპანია გადასახდელი მოგების გადასახადის ვალდებულებასა და ხარჯს აღიარებს განაწილებულ დივიდენდზე, იმ პერიოდში, როდესაც დივიდენდები არის გამოცხადებული, მიუხედავად იმისა, თუ რომელ პერიოდს ეკუთვნის დივიდენდი, ან როდის მოხდა დივიდენდების საბოლოო განაწილება.

2025 წლის 30 ივნისის და 2024 წლის და 2023 წლის 31 დეკემბრის მონაცემებით ჯგუფმა გამოაცხადა და გადაიხადა დივიდენდი 1,342 ათასი ლარის, 7,789 ათასი ლარისა და 4,489 ათასი ლარის ოდენობით, შესაბამისად.

დივიდენდის სახით განაწილებულ დაგროვილ მოგებაზე დარიცხული გადასახდელი მოგების გადასახადი და მოგების გადასახადის ხარჯი წარმოდგენილია შემდეგნაირად:

(ათასი ლარი)	2023 აუდიტი- რებული	2024 აუდიტი- რებული	2024 6 თვე არაუდიტი- რებული	2025 6 თვე არაუდიტი- რებული
გამოცხადებული დივიდენდი (საშემოსავლო გადასახადის გათვალისწინებით - 5%)	4,489	7,789	1,895	1,342
გადასახდელი მოგების გადასახადი	(792)	(1,375)	(335)	(242)
მოგების გადასახადის ხარჯი	(792)	(1,375)	(335)	(242)

წლის მთლიანი სრული შემოსავალი

2025 წლის 30 ივნისის მდგომარეობით, ნახევარწლიურმა მთლიანმა სრულმა შემოსავალმა შეადგინა 5,165 ათასი ლარი და 2024 წლის ანალოგიური პერიოდის მაჩვენებელთან შედარებით (3,399 ათასი ლარი) გაიზარდა 51.9%-ით (1,765 ათასი ლარით). აღნიშნული ზრდა გამოწვეულია საერთო მოგებისა და საერთო მოგების მარჟის გაუმჯობესებით და კურსთაშორისი ცვლილებიდან დაგენერირებული მოგებით.

2024 წლის განმავლობაში წლის მთლიანმა სრულმა შემოსავალმა შეადგინა 11,528 ათასი ლარი და 2023 წელთან შედარებით გაიზარდა 69.4%-ით (4,721 ათასი ლარით). აღნიშნული ზრდა გამოწვეულია საერთო მოგების და საერთო მოგების მარჟის გაუმჯობესებით. კომერციული ხარჯების შეფარდება ამონაგებთან და საერთო და ადმინისტრაციული

ხარჯის შეფარდება ამონაგებთან მაჩვენებლები მატერიალურად არ შეცვლილა. 2.1 კპ-ით გაუმჯობესდა საოპერაციო მოგების მარჟა, წლის მთლიანი სრული შემოსავლის მარჟა 2023 წელთან შედარებით გაიზარდა 1.5 კპ-ით.

2023 წლის განმავლობაში წლის მთლიანმა სრულმა შემოსავალმა შეადგინა 6,807 ათასი ლარი და 2022 წელთან შედარებით გაიზარდა 163.3%-ით (4,222 ათასი ლარით). აღნიშნული ზრდა გამოწვეულია საერთო მოგების და საერთო მოგების მარჟის გაუმჯობესებით, საერთო მოგების მარჟა გაიზარდა 4.9 კპ-ით, ხოლო საერთო მოგება 62.0%-ით (17,723 ათასი ლარით). კომერციული ხარჯების შეფარდება ამონაგებთან და საერთო და ადმინისტრაციული ხარჯის შეფარდება ამონაგებთან მაჩვენებლები მატერიალურად არ შეცვლილა. 3.6 კპ-ით გაუმჯობესდა საოპერაციო მოგების მარჟა, წლის მთლიანი სრული შემოსავლის მარჟა 2022 წელთან შედარებით გაიზარდა 1.7 კპ-ით.

ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშგება

(ათასი ლარი)	31 დეკემბერი 2023 აუდიტი- რებული	31 დეკემბერი 2024 აუდიტი- რებული	30 ივნისი 2025 არააუდიტი- რებული
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	59,673	58,624	59,249
აქტივების გამოყენების უფლება	4,968	4,071	3,705
არამატერიალური აქტივები	729	472	340
სულ გრძელვადიანი აქტივები	65,370	63,167	63,293
მოკლევადიანი აქტივები			
საგადასახადო აქტივები	436	461	-
მარაგები	51,187	77,014	73,763
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	5,514	10,358	25,245
ფული და ფულის ექვივალენტები	17,683	18,603	8,559
სულ მოკლევადიანი აქტივები	74,820	106,436	107,567
სულ აქტივები	140,190	169,603	170,860
კაპიტალი და ვალდებულებები			
კაპიტალი			
გაუნაწილებელი მოგება	50,361	54,100	57,923
სულ საკუთარი კაპიტალი	50,361	54,100	57,923
ვალდებულებები			
გრძელვადიანი ვალდებულებები			
მიღებული სესხები	31,164	17,019	42,788
გადავადებული შემოსავალი	3,976	2,155	1,962
საიჯარო ვალდებულებები	4,479	3,605	3,194
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები	39,619	22,779	47,944
მოკლევადიანი ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	8,842	19,168	10,295
მიღებული სესხები	37,422	69,588	51,079
საგადასახადო ვალდებულებები	2,677	2,916	2,568
გადავადებული შემოსავალი	621	392	391
საიჯარო ვალდებულებები	648	660	660
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები	50,210	92,724	64,994
სულ ვალდებულებები	89,829	115,503	112,937
სულ კაპიტალი და ვალდებულებები	140,190	169,603	170,860

აქტივები


კომპანიის აქტივები მოიცავს გრძელვადიან და მოკლევადიან აქტივებს, გრძელვადიანი აქტივები შედგება ძირითადი საშუალებებისგან, აქტივების გამოყენების უფლებისგან და არამატერიალური აქტივებისგან. მოკლევადიანი აქტივები მოიცავს საგადასახადო აქტივებს, მარაგებს, სავაჭრო და სხვა მოთხოვნებსა და ფულს და ფულის ექვივალენტებს.

2025 წლის 30 ივნისის მდგომარეობით კომპანიის ჯამური აქტივები შეადგენს 170,860 ათას ლარს და 2024 წლის 31 დეკემბერთან მიმართებით გაიზარდა 0.7%-ით (1,257 ათასი ლარით). აღნიშნული ზრდა გამოწვეულია სავაჭრო და სხვა მოთხოვნების ზრდით, 2025 წლის 30 ივნისის მდგომარეობით კომპანიის სავაჭრო და სხვა მოთხოვნები შეადგენს 25,245 ათას ლარს და 2024 წლის 31 დეკემბერთან მიმართებით გაზრდილია 143.7%-ით (14,887 ათასი ლარით).

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიის ჯამური აქტივები შეადგენს 169,603 ათას ლარს და წინა წლის ბოლოსთან შედარებით გაზრდილია 21.0%-ით (29,413 ათასი ლარით). აღნიშნული ზრდა მეტწილად გამოწვეულია მარაგების ზრდით, კომპანიის მარაგები 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით 2023 წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით გაზრდილია 50.5%-ით (25,827 ათასი ლარით) და შეადგენს 77,014 ათას ლარს. მოკლევადიანი აქტივების წილი ჯამურ აქტივებში არის 62.8%, ხოლო გრძელვადიანი აქტივების 37.2%.

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიის ჯამური აქტივები შეადგენს 140,190 ათას ლარს და წინა წლის ბოლოსთან შედარებით გაზრდილია 6.6%-ით (8,664 ათასი ლარით). აღნიშნული ზრდა მეტწილად გამოწვეულია ლიკვიდური აქტივების, კერძოდ ფულისა და ფულის ექვივალენტების ზრდით, 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ფული და ფულის ექვივალენტები შეადგენს 17,683 ათას ლარს და 2022 წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით გაზრდილია 81.4%-ით (7,935 ათასი ლარით).

გრაფიკი 31. კომპანიის აქტივების ჩაშლა



მარაგები

სასაქონლო-მატერიალური მარაგები მოიცავს მზა და გასაყიდ პროდუქციას, ნედლეულს, საქონელს გზაში სხვა მარაგებსა და მარაგების მოძველების რეზერვს.

2025 წლის 30 ივნისის მდგომარეობით, კომპანიის მარაგების საბალანსო ღირებულება შეადგენს 73,763 ათას ლარს და 2024 წლის 31 დეკემბერთან მიმართებით შემცირებულია 4.0%-ით (3,251 ათასი ლარით). ამ პერიოდში კომპანიის მარაგებში მოხდა შემდეგი ცვლილებები, კომპანიამ მიიღო 30,948 ათასი ლარის ღირებულების (2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით) საქონელი გზაში, რის ხარჯზეც მზა და გასაყიდი პროდუქცია გაიზარდა 25.3%-ით (7,262 ათასი ლარით), ნედლეული გაიზარდა 113.6%-ით (19,520 ათასი ლარით). 2025 წლის 30 ივნისის მდგომარეობით კომპანიას არ აქვს საქონელი გზაში, სხვა მარაგების საბალანსო ღირებულება კი შეადგენს 1,072 ათას ლარს და 2024 წლის 31 დეკემბერთან მიმართებით შემცირდა 12.1%-ით (148 ათასი ლარით). კომპანიის მარაგების ბრუნვის დღეები 2025 წლის 30 ივნისის მდგომარეობით შეადგენს 120.1-ს და შემცირებულია 2024 წლის 31 დეკემბრის მაჩვენებელთან შედარებით (129.2). მარაგები, 2025 წლის 30 ივნისის მდგომარეობით ჯამური აქტივების 43.2%-ს შეადგენს. მარაგების ნაშთები გამოყენებულია კომპანიის მიერ აღებული სესხების უზრუნველსაყოფად. კომპანიას არ აქვს უფლება, ეს აქტივები უზრუნველყოფად გამოიყენოს სხვა სესხებზე.

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიის მარაგები შეადგენს 77,014 ათას ლარს და 2023 წლის ანალოგიურ პერიოდთან მიმართებით გაიზარდა 50.5%-ით (25,827 ათასი ლარით). აღნიშნული ზრდა მეტწილად გამოწვეულია გზაში არსებული მარაგების ზრდით, რომელიც 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენს 30,948 ათას ლარს და 2023 წლის ანალოგიურ პერიოდთან მიმართებით გაიზარდა 277.5%-ით (22,750 ათასი ლარით). 2024 წელს, 2023 წელთან შედარებით კომპანიას გაზრდილი აქვს მარაგების ბრუნვის დღეები: 2024 წელს 129.2, ხოლო 2023 წელს 115.7. მარაგების ნაშთები გამოყენებულია კომპანიის მიერ აღებული სესხების უზრუნველსაყოფად. კომპანიას არ აქვს უფლება, ეს აქტივები უზრუნველყოფად გამოიყენოს სხვა სესხებზე.

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიის მარაგები შეადგენს 51,187 ათას ლარს და 2022 წლის ანალოგიურ პერიოდთან მიმართებით გაიზარდა 3.6%-ით (1,792 ათასი ლარით). აღნიშნული ზრდა მეტწილად გამოწვეულია მზა და გასაყიდი პროდუქციის ზრდით, რომელიც 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენს 28,499 ათას ლარს და 2022 წლის ანალოგიურ პერიოდთან მიმართებით გაიზარდა 9.2%-ით (2,393 ათასი ლარით). 2023 წელს, 2022 წელთან შედარებით კომპანიას გაზრდილი აქვს მარაგების ბრუნვის დღეები და შეადგენს 115.7-ს. 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მარაგების წილი ჯამურ აქტივებში შეადგენს 36.5%-ს. მარაგების ნაშთები გამოყენებულია ჯგუფის მიერ აღებული სესხების უზრუნველსაყოფად. კომპანიას არ აქვს უფლება, ეს აქტივები უზრუნველყოფად გამოიყენოს სხვა სესხებზე.

დეტალური ჩაშლა იხილეთ ცხრილში:

(ათასი ლარი)	31 დეკემბერი 2023	31 დეკემბერი 2024	30 ივნისი 2025
	აუდიტი- რებული	აუდიტი- რებული	არააუდიტი- რებული
მზა და გასაყიდი პროდუქცია	28,499	28,729	35,991
ნედლეული	14,216	17,180	36,700
საქონელი გზაში	8,198	30,948	-
სხვა მარაგები	1,153	1,220	1,072
მარაგების მოძველების რეზერვი	(879)	(1,063)	-
სულ მარაგები	51,187	77,014	73,763

ძირითადი საშუალებები

კომპანიის ძირითადი საშუალებები მოიცავს მიწას, შენობა-აგებობებს, სპეციალურ აღჭურვილობა/მოწყობილობებს, საოფისე ტექნიკას, ავეჯს, სატრანსპორტო საშუალებებს, იჯარით აღებული ფართის კეთილმოწყობას, დაუმთავრებელ მშენებლობას და დაუმონტაჟებელ აქტივებს. ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები აღირიცხება ისტორიული ღირებულებით, რომელიც შემცირებულია ნებისმიერი აკუმულირებული ცვეთის/ამორტიზაციის და გაუფასურების ზარალის თანხით. ცვეთის/ამორტიზაციის დარიცხვა ხდება ძირითადი საშუალებებისა და არამატერიალური აქტივების საბალანსო ღირებულებაზე, იმისთვის რომ მოხდეს აქტივების გახარჯვა მათი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში. სასარგებლო მომსახურების ვადების განსაზღვრა ხდება ხელმძღვანელობის შეფასებებზე დაყრდნობით, პერიოდულად ხდება შეფასებების სისწორის შემოწმება.

2025 წლის 30 ივნისის მდგომარეობით, კომპანიის ძირითადი საშუალებები 2024 წლის 31 დეკემბერთან მიმართებით გაიზარდა 1.1%-ით (625 ათასი ლარით) და შეადგენს 59,249 ათას ლარს. აღნიშნული გამოწვეულია ინვესტიციებით შემდეგ ძირითად საშუალებებში: მანქანა-დანადგარებში 2,116 ათასი ლარით, საოფისე ტექნიკაში 72 ათასი ლარით, ავეჯში 25 ათასი ლარით, სატრანსპორტო საშუალებებში 565 ათასი ლარით და დაუმთავრებელ მშენებლობებსა და დაუმონტაჟებელ აქტივებში 1,809 ათასი ლარით. 2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ძირითადი საშუალებები შეადგენს ჯამური აქტივების 34.6%-ს.

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ძირითადი საშუალებები წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან მიმართებით შემცირდა 1.8%-ით (1,049 ათასი ლარით) და შეადგენს 58,624 ათას ლარს. აღნიშნული შემცირება გამოწვეულია იმით რომ დარიცხულმა ცვეთამ გადააჭარბა ძირითადი საშუალებების შემოსვლებს, 2024 წლის განმავლობაში კომპანიის მატერიალური ძირითადი საშუალებების შემოსვლები იყო: მანქანა-დანადგარები 1,440 ათასი ლარის ოდენობით, სატრანსპორტო საშუალებები 2,126 ათასი ლარის ოდენობით და დაუმთავრებელი მშენებლობა და დაუმონტაჟებელი აქტივები 1,879 ათასი ლარის ოდენობით. 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ყველა ძირითადი საშუალებით უზრუნველყოფილია კომპანიის მიერ აღებული სესხები. კომპანიას არ აქვს უფლება, ეს აქტივები უზრუნველყოფად გამოიყენოს სხვა სესხებზე. 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ძირითადი საშუალებები შეადგენს ჯამური აქტივების 34.6%-ს.

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ძირითადი საშუალებები წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან მიმართებით გაიზარდა 6.4%-ით (3,605 ათასი ლარით) და შეადგენს 59,673 ათას ლარს. აღნიშნული ზრდა მეტწილად გამოწვეულია სპეციალური აღჭურვილობა მოწყობილობების ზრდით, რაც 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენს 21,307 ათას ლარს და 2022 წლის ანალოგიურ პერიოდთან მიმართებით გაიზარდა 112.9%-ით (11,299 ათასი ლარით). 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ყველა ძირითადი საშუალებით უზრუნველყოფილია კომპანიის მიერ აღებული სესხები. კომპანიას არ აქვს უფლება, ეს აქტივები უზრუნველყოფად გამოიყენოს სხვა სესხებზე. 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ძირითადი საშუალებები შეადგენდა ჯამური აქტივების 42.6%-ს.

დეტალური ინფორმაცია იხილეთ ცხრილში:

	მიწა	შენობა- ნაგებობა	მანქანა დანადგარ ები	საოფისე ტექნიკა	ავეჯი	სატრანს- პორტო საშუა- ლებები	იჯარით აღებული ფართის კეთილ- მოწყობა	დაუმთავ- რებელი მშენებ- ლობა და დაუმონ- ტაჟებელი აქტივები	სულ
ბალანსი 2022 წლის 31 დეკემბერი	7,178	24,312	16,934	1,504	3,615	4,756	529	15,564	74,392
შემოსვლა	-	3	2,007	235	161	1,499	-	5,241	9,146
გასვლა	-	(26)	(242)	-	-	(164)	-	(83)	(515)
დაკაპიტალიზებუ ლი პროცენტი	-	-	-	-	-	-	-	526	526

ექსპლოატაციაში გადაცემით	-	608	12,411	-	-	-	1,457	(14,476)	-
ბალანსი 2023 წლის 31 დეკემბერი	7,178	24,897	31,110	1,739	3,776	6,091	1,986	6,772	83,549
შემოსვლა	-	32	1,440	132	543	2,126	-	1,879	6,152
გასვლა	-	(26)	(152)	-	-	(100)	-	-	(278)
ექსპლოატაციაში გადაცემით	-	7,444	-	-	-	-	8	(7,452)	-
ბალანსი 2024 წლის 31 დეკემბერი	7,178	32,347	32,398	1,871	4,319	8,117	1,994	1,199	89,423
შემოსვლა	-	-	2,116	72	25	565	-	1,809	4,587
გასვლა	-	-	-	(30)	-	(453)	-	-	(484)
ექსპლოატაციაში გადაცემით	-	-	408-	-	-	-	-	-	408
ბალანსი 2025 წლის 30 ივნისი	7,178	32,347	34,922	1,974	4,344	9,135	1,994	3,008	93,934
დაგროვილი ცვეთა									
ბალანსი 2022 წლის 31 დეკემბერი	-	(5,920)	(6,926)	(708)	(1,836)	(2,934)	-	-	(18,324)
დარიცხული ცვეთა	-	(1,181)	(2,913)	(277)	(532)	(693)	(157)	-	(5,753)
გასული ძირითადი საშუალების ცვეთა	-	1	36	-	-	164	-	-	201
ბალანსი 2023 წლის 31 დეკემბერი	-	(7,100)	(9,803)	(985)	(2,368)	(3,463)	(157)	-	(23,876)
დარიცხული ცვეთა	-	(1,223)	(3,865)	(297)	(521)	(921)	(302)	-	(7,129)
გასული ძირითადი საშუალების ცვეთა	-	3	148	-	-	55	-	-	206
ბალანსი 2024 წლის 31 დეკემბერი	-	(8,320)	(13,520)	(1,282)	(2,889)	(4,329)	(459)	-	(30,799)
დარიცხული ცვეთა	-	(969)	(1,829)	(132)	(232)	(573)	(150)	-	(3,886)
გასული ძირითადი საშუალების ცვეთა	-	-	-	-	-	-	-	-	-
ბალანსი 2025 წლის 30 ივნისი	-	(9,289)	(15,349)	(1,414)	(3,121)	(4,902)	(609)	-	(34,685)
წმინა საბალანსო ღირებულება									
ბალანსი 2023 წლის 31 დეკემბერი	7,178	17,797	21,307	754	1,408	2,628	1,829	6,772	59,673
ბალანსი 2024 წლის 31 დეკემბერი	7,178	24,027	18,878	589	1,430	3,788	1,535	1,199	58,624
ბალანსი 2025 წლის 30 ივნისი	7,178	23,058	19,573	498	1,223	3,326	1,385	3,008	59,249

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

კომპანიის სავაჭრო და სხვა მოთხოვნები მოიცავს დებიტორულ დავალიანებებს მომხმარებლების მიმართ.

2025 წლის 30 ივნისის მდგომარეობით, ტოპ 10 მომხმარებლის მიმართ არსებული სავაჭრო მოთხოვნების წილი ჯამურ სავაჭრო მოთხოვნებში დაახლოებით 31.8%-ია.

2025 წლის 30 ივნისის მდგომარეობით, კომპანიის სავაჭრო და სხვა მოთხოვნები შეადგენს 25,245 ათას ლარს და 2024 წლის 31 დეკემბერთან მიმართებით გაზრდილია 143.7%-ით (14,887 ათასი ლარით) და შეადგენს ჯამური აქტივების 14.8%-ს. 2025 წლის 30 ივნისის მდგომარეობით კომპანიის სავაჭრო მოთხოვნების ბრუნვის დღეები შეადგენს 43.0-ს და

2024 წლის 31 დეკემბრის მაჩვენებელთან შედარებით (12.2 დღე) გაზრდილია, აღნიშნული ზრდა უკავშირდება კომპანიის სავაჭრო მოთხოვნების მართვის პოლიტიკას, რომლის მიხედვითაც წლის ბოლოს ხდება დებიტორული დავალიანებების მაქსიმალური შემცირება.

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიის სავაჭრო და სხვა მოთხოვნები გაზრდილია 87.8%-ით (4,844 ათასი ლარით) და შეადგენს 10,358 ათას ლარს. კომპანიის სავაჭრო მოთხოვნების ბრუნვის დღეები 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენს 12.2 დღეს და მცირედით არის გაზრდილი 2023 წლის მაჩვენებელთან შედარებით (11.7 დღე).

2024 წლის მდგომარეობით, სულ ანარიცხებმა მოსალოდნელ დანაკარგზე შეადგინა (1,157) ათასი ლარი, კომპანიის სავაჭრო და სხვა მოთხოვნების წილი ჯამურ აქტივებში 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენდა 16.6%-ს.

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიის სავაჭრო და სხვა მოთხოვნები შემცირებულია 27.6%-ით (2,101 ათასი ლარით) და შეადგენს 5,514 ათას ლარს. კომპანიის სავაჭრო მოთხოვნების ბრუნვის დღეები 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენს 11.7 დღეს. 2024 წლის მდგომარეობით, სულ ანარიცხებმა მოსალოდნელ დანაკარგზე შეადგინა (1,157) ათასი ლარი. კომპანიის სავაჭრო და სხვა მოთხოვნების წილი ჯამურ აქტივებში 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენდა 9.8%-ს.

სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურების ანარიცხი ვადაგადაცილების დღეების მიხედვით 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	მიმდინარე და ინდივიდუალურად შეფასებული	31-60 დღე	61-90 დღე	91-დან 180 დღემდე	>180 დღეზე	>360 დღეზე	სულ
მოსალოდნელი დანაკარგი	1%	3%	10%	50%	70%	1	
სავაჭრო მოთხოვნა							
მთლიანი ღირებულება	6,992	667	260	154	299	776	9,148
ანარიცხი მოსალოდნელ დანაკარგზე	(34)	(20)	(26)	(77)	(209)	(776)	(1,142)

სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურების ანარიცხი ვადაგადაცილების დღეების მიხედვით 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	მიმდინარე და ინდივიდუალურად შეფასებული	31-60 დღე	61-90 დღე	91-დან 180 დღემდე	>180 დღეზე	>360 დღეზე	სულ
მოსალოდნელი დანაკარგი	1%	3%	10%	50%	70%	1	
სავაჭრო მოთხოვნა							
მთლიანი ღირებულება	4,537	179	25	246	65	937	5,989
ანარიცხი მოსალოდნელ დანაკარგზე	(44)	(5)	(3)	(123)	(45)	(937)	(1,157)

იჯარები

2025 წლის 30 ივნისის მდგომარეობით, „კომპანიას“ ქირაობს 2 სასაწყობო ფართსა და 5 საცალო მაღაზიას. იჯარა არის ფიქსირებული იჯარის ვადის განმავლობაში და წარმოდგენილია როგორც ლარში, ისე აშშ დოლარში. იჯარის ვადიანობა განსაზღვრულია 2-10 წლის ვადით.

იჯარის ზღვრული საპროცენტო განაკვეთი ლარში წარმოდგენილ საიჯარო ვალდებულებებზე 2025, 2024 და 2023 პერიოდებისთვის შეადგენდა წლიურ 11.7%-14.8% იჯარების ვადიანობის შესაბამისად, ხოლო დოლარში

წარმოდგენილ საიჯარო ვალდებულებებზე 2025, 2024 და 2023 პერიოდებისთვის საპროცენტო განაკვეთი შეადგენს 6.6%-7.4%.

2025 წლის 30 ივნისის მდგომარეობით, კომპანიის აქტივების გამოყენების უფლება შეადგენს 3,705 ათას ლარს და 2024 წლის 31 დეკემბერთან მიმართებით შემცირდა 9.0%-ით (366 ათასი ლარით). აქტივების გამოყენების უფლება ჯამური აქტივების 2.4%-ს შეადგენს.

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიის აქტივების გამოყენების უფლება 2023 წლის ანალოგიურ პერიოდთან მიმართებით შემცირდა 18.0%-ით (897 ათასი ლარით), რაც არის აქტივების გამოყენების უფლებაზე 2024 წლის განმავლობაში დარიცხული ცვეთა და შეადგინა 4,265 ათასი ლარი. 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის საიჯარო ვალდებულებები შემცირდა 16.8%-ით (862 ათასი ლარით) და შეადგინა 4,265 ათასი ლარი. აღნიშნული შემცირება გამოიწვია საიჯარო გადახდებმა, რაც 2024 წლის განმავლობაში 993 ათას ლარს შეადგენდა. 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აქტივების გამოყენების უფლება შეადგენდა ჯამური აქტივების 2.4%-ს.

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიის აქტივების გამოყენების უფლება 2022 წლის ანალოგიურ პერიოდთან მიმართებით შემცირდა 15.2%-ით (891 ათასი ლარით) და შეადგინა 4,968 ათასი ლარი. 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის საიჯარო ვალდებულებები შემცირდა 11.4%-ით (662 ათასი ლარით) და შეადგინა 5,127 ათასი ლარი, აღნიშნული შემცირება გამოიწვია საიჯარო გადახდებმა, რაც 2023 წლის განმავლობაში 1,081 ათას ლარს შეადგენდა. 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აქტივების გამოყენების უფლება შეადგენდა ჯამური აქტივების 3.5%-ს.

არამატერიალური აქტივები

კომპანიის არამატერიალური აქტივები მოიცავს ექსკლუზიურ უფლებას (ჯგუფი ფლობს საქართველოსა და სომხეთის ტერიტორიაზე "FAWORI"-სა და „ბეტეკის“ ბრენდის მიერ წარმოებული პროდუქციის დილერობის ექსკლუზიურ უფლებას), პროგრამულ უზრუნველყოფასა და სხვა არამატერიალურ აქტივებს.

2025 წლის 30 ივნისის მდგომარეობით, კომპანიის არამატერიალური აქტივები შეადგენს 340 ათას ლარს და 2024 წლის 31 დეკემბერთან მიმართებით შემცირდა 27.9%-ით (132 ათასი ლარით) და შეადგენს ჯამური აქტივების 0.2%-ს.

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის არამატერიალური აქტივები შეადგენდა 472 ათას ლარს და 35.3%-ით (257 ათასი ლარით) შემცირდა 2023 წლის ანალოგიურ პერიოდთან მიმართებით. აღნიშნული შემცირება გამოიწვია ექსკლუზიური უფლების და პროგრამული უზრუნველყოფის ამორტიზაციამ. 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, არამატერიალური აქტივები შეადგენდა ჯამური აქტივების 0.3%-ს.

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის არამატერიალური აქტივები შეადგენდა 729 ათას ლარს და 28.6%-ით (292 ათასი ლარით) შემცირდა 2022 წლის ანალოგიურ პერიოდთან მიმართებით. აღნიშნული შემცირება გამოიწვია ექსკლუზიური უფლების და პროგრამული უზრუნველყოფის ამორტიზაციამ. 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, არამატერიალური აქტივები შეადგენდა ჯამური აქტივების 0.5%-ს.

ფული და ფულის ექვივალენტები

კომპანია ფულს და ფულის ექვივალენტების დიდ ნაწილს ინახავს უცხოურ ვალუტაში.

2025 წლის 30 ივნისის მდგომარეობით, კომპანიას ნაღდი ფულისა და საბანკო ანგარიშების სახით აქვს 5,403 ათასი ლარის ექვივალენტი აშშ დოლარის და 3,155 ათასი ლარის ღირებულების ფული და ფულის ექვივალენტები. 2025 წლის 30 ივნისის მდგომარეობით, კომპანიის ფული და ფულის ექვივალენტები შეადგენს 8,559 ათას ლარს და 2024 წლის 31 დეკემბერთან მიმართებით შემცირებულია 54.0%-ით (10,044 ათასი ლარით). 2025 წლის 30 ივნისის მდგომარეობით, ფული და ფულის ექვივალენტები შეადგენს ჯამური აქტივების 5.0%-ს.

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიას ნაღდი ფულისა და საბანკო ანგარიშებზე განთავსებული თანხების სახით აქვს 14,661 ათასი ლარის ექვივალენტი აშშ დოლარის და 3,942 ათასი ლარის ღირებულების ფული და ფულის ექვივალენტები. 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ფული და ფულის ექვივალენტები 2023 წლის ანალოგიურ პერიოდთან მიმართებით გაზრდილია 5.2%-ით (920 ათასი ლარით) და შეადგენს 18,603 ათას ლარს. 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ფული და ფულის ექვივალენტები შეადგენდა ჯამური აქტივების 17.5%-ს.

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიას ნაღდი ფულისა და საბანკო ანგარიშებზე განთავსებული თანხების სახით ჰქონდა 10,376 ათასი ლარის ექვივალენტი აშშ დოლარის და 7,307 ათასი ლარის ღირებულების ფული და ფულის ექვივალენტები. 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ფული და ფულის ექვივალენტები 2022 წლის ანალოგიურ პერიოდთან მიმართებით გაზრდილია 81.4%-ით (7,935 ათასი ლარით) და შეადგენს 17,683 ათას ლარს. 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ფული და ფულის ექვივალენტები შეადგენდა ჯამური აქტივების 23.6%-ს.

მთლიანი ვალდებულებები


კომპანიის ვალდებულებები მოიცავს გრძელვადიან და მოკლევადიან ვალდებულებებს. გრძელვადიანი ვალდებულებები მოიცავს მიღებულ სესხებს, გადავადებულ შემოსავალსა და საიჯარო ვალდებულებებს, მოკლევადიანი ვალდებულებები მოიცავს სავაჭრო და სხვა ვალდებულებებს, მიღებულ სესხებს, საგადასახადო ვალდებულებებს, გადავადებულ შემოსავალსა და საიჯარო ვალდებულებებს.

2025 წლის 30 ივნისის მდგომარეობით, კომპანიის ჯამური ვალდებულებები შეადგენს 112,937 ათას ლარს და 2024 წლის 31 დეკემბერთან მიმართებით შემცირდა 2.2%-ით (2,566 ათასი ლარით), კომპანიის გრძელვადიანი ვალდებულებები გაიზარდა 110.5%-ით (25,165 ათასი ლარით) და შეადგენს 47,944 ათას ლარს, ხოლო მოკლევადიანი ვალდებულებები შემცირდა 29.9%-ით (27,730 ათასი ლარით) და შეადგენს 64,994 ათას ლარს. აღნიშნული ცვლილებების მიზეზია გრძელვადიანი მიღებული სესხების ზრდა და მოკლევადიანი მიღებული სესხების შემცირება.

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიის ჯამური ვალდებულებები შეადგენს 115,503 ათას ლარს და წინა წლის ბოლოდან გაზრდილია 28.6%-ით (25,674 ათასი ლარით). ზრდა გამოწვეულია სავაჭრო და სხვა ვალდებულებებითა და მიღებული სესხებით. კომპანიის სავაჭრო ვალდებულებები 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენს 19,168 ათას ლარს და 2023 წლის შესაბამის პერიოდთან მიმართებით გაზრდილია 116.8%-ით (10,326 ათასი ლარით), ხოლო მიღებული სესხები 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენს 86,607 ათას ლარს და 2023 წლის შესაბამის პერიოდთან მიმართებით გაიზარდა 26.3%-ით (18,021 ათასი ლარით). მოცემული პერიოდისთვის გრძელვადიანი ვალდებულებების წილი ჯამურ ვალდებულებებში 19.7%-ია, ხოლო მოკლევადიანი ვალდებულებების 80.3%.

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიის ჯამური ვალდებულებები შეადგენს 89,829 ათას ლარს და წინა წლის ბოლოდან გაზრდილია 7.6%-ით (6,346 ათასი ლარით). ზრდა გამოწვეულია მიღებული სესხების ზრდით, კომპანიის მიღებული სესხები 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენს 68,568 ათას ლარს და 2022 წლის შესაბამის პერიოდთან მიმართებით გაზრდილია 21.0%-ით (11,894 ათასი ლარით). მოცემული პერიოდისთვის გრძელვადიანი ვალდებულებების წილი ჯამურ ვალდებულებებში 44.1%-ია, ხოლო მოკლევადიანი ვალდებულებების 55.9%.

გრაფიკი 32. კომპანიის ვალდებულებების ჩაშლა



მიღებული სესხები

2025 წლის 30 ივნისის მდგომარეობით, კომპანიის მიღებული სესხები შეადგენს 93,867 ათას ლარს, 42,788 ათასი ლარის არის გრძელვადიანი მიღებული სესხები, ხოლო 51,079 ათასი ლარი არის მოკლევადიანი მიღებული სესხები. 2024 წლის 31 დეკემბერთან მიმართებით მიღებული სესხები გაიზარდა 8.4%-ით (7,260 ათასი ლარით) და კომპანიის ჯამური ვალდებულებების 83.1%-ს შეადგენს.

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით „კომპანიის“ მიღებული სესხები შეადგენს 86,607 ათას ლარს, 17,019 ათასი ლარი არის გრძელვადიანი მიღებული სესხები, ხოლო 69,588 ათასი ლარი არის მოკლევადიანი მიღებული სესხები. 2023 წლის შესაბამის პერიოდთან მიმართებით მიღებული სესხები გაიზარდა 26.3%-ით (18,021 ათასი ლარით). აღნიშნული სესხების მიზნობრიობას წარმოადგენდა საბრუნავი კაპიტალის და ძირითად საშუალებებში ინვესტიციების დაფინანსება.

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მიღებული სესხები წარმოადგენს „კომპანიის“ ჯამური ვალდებულებების 75.0%-ს.

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით „კომპანიის“ მიღებული სესხები შეადგენს 68,586 ათას ლარს, 31,164 ათასი ლარი არის გრძელვადიანი მიღებული სესხები, ხოლო 37,422 ათასი ლარი არის მოკლევადიანი მიღებული სესხები. 2022 წლის შესაბამის პერიოდთან მიმართებით მიღებული სესხები გაიზარდა 21.0%-ით (11,894 ათასი ლარით). აღნიშნული სესხების მიზნობრიობას წარმოადგენდა საბრუნავი კაპიტალის და ძირითად საშუალებებში ინვესტიციების დაფინანსება.

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მიღებული სესხები წარმოადგენს „კომპანიის“ ჯამური ვალდებულებების 76.4%-ს.

დეტალური ჩაშლა იხილეთ ცხრილში:

(ათასი ლარი)	
1 იანვარი 2022	56,692
წმინდა ფულადი ნაკადები	8,282
პროცენტის გადახდა, წმინდა	(4,459)
არაფულადი ცვლილებები:	

პროცენტის დარიცხვა	7,641
შეფასების ცვლილება	15
გადატანა გადავადებულ შემოსავალში	-
საკუროს სხვაობის ეფექტი	415
31 დეკემბერი 2023	68,586
წმინდა ფულადი ნაკადები	13,945
პროცენტის გადახდა, წმინდა	(5,341)
არაფულადი ცვლილებები:	
პროცენტის დარიცხვა	8,234
შეფასების ცვლილება	(663)
გადატანა გადავადებულ შემოსავალში	-
საკუროს სხვაობის ეფექტი	1,847
31 დეკემბერი 2024	86,608
წმინდა ფულადი ნაკადები	6,031
პროცენტის გადახდა, წმინდა	(4,679)
არაფულადი ცვლილებები:	
პროცენტის დარიცხვა	4,810
შეფასების ცვლილება	-
გადატანა გადავადებულ შემოსავალში	-
საკუროს სხვაობის ეფექტი	1,097
30 ივნისი 2025	93,866

2025 წლის პირველი ნახევრის, 2024 და 2023 წლების განმავლობაში ადგილი არ ჰქონია სასესხო ხელშეკრულებით გათვალისწინებული პროცენტის ან/და ძირის გადაუხდელობას.

კომპანიის სესხებისა და ობლიგაციების შესახებ უფრო დეტალური ინფორმაციისთვის იხილეთ თავი „კაპიტალიზაცია და დავალიანება“

საბანკო გარანტია

კომპანიას აქვს პირობითი ვალდებულება მიღებული საბანკო გარანტიების სახით. არსებული საბანკო გარანტიები გაფორმებულია კომპანიის ყოველდღიური საქმიანობის ფარგლებში, ყველა მათგანი აღებულია სს „თიბისი ბანკში“.

2025 წლის 30 ივნისის, 2024 31 დეკემბრისა და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით საბანკო გარანტიების ნაშთმა შეადგინა 1,573 ათასი, 1,664 ათასი და 1,624 ათასი ლარი, შესაბამისად.

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

კომპანიის სავაჭრო და სხვა ვალდებულებები მოიცავს ფინანსურ და არაფინანსურ ვალდებულებებს, ფინანსური ვალდებულებები მოიცავს სავაჭრო ვალდებულებებს, ძირითადი საშუალებების შესყიდვიდან წარმოქმნილ ვალდებულებებს და გადასახდელ ხელფასებს, ხოლო არაფინანსური ვალდებულებები მოიცავს ავანსებს.

2025 წლის 30 ივნისის მდგომარეობით, კომპანიის სავაჭრო და სხვა ვალდებულებები შეადგენს 10,295 ათას ლარს და 2024 წლის 31 დეკემბერთან მიმართებით შემცირდა 46.3%-ით (8,873 ათასი ლარით) და შეადგენს ჯამური ვალდებულებების 9.1%-ს. სავაჭრო ვალდებულებები შეადგენს 5,516 ათას ლარს და 2024 წლის მაჩვენებელთან შედარებით შემცირებულია 61.2%-ით (8,693 ათასი ლარით) ხოლო სავაჭრო ვალდებულებების ბრუნვის დღეები შეადგენს 13.0-ს და 2024 წლის მაჩვენებელთან მიმართებით (20.7) შემცირებულია.

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიის სავაჭრო და სხვა ვალდებულებები წინა წლის ბოლოსთან შედარებით გაზრდილია 116.8%-ით (10,326 ათასი ლარით) და შეადგენს 19,168 ათას ლარს. სავაჭრო და სხვა

ვალდებულებები კომპანიის ჯამური ვალდებულებების 16.6%-ს შეადგენს. 2024 წლის მდგომარეობით სავაჭრო ვალდებულებების ბრუნვის დღეებია 20.7 და 2024 წლის მაჩვენებელთან მიმართებით (18.8) გაზრდილია.

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიის სავაჭრო და სხვა ვალდებულებები წინა წლის ბოლოსთან შედარებით შემცირდა 31.9%-ით (4,144 ათასი ლარით) და შეადგენს 8,842 ათას ლარს. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები კომპანიის ჯამური ვალდებულებების 9.8%-ს შეადგენს. 2023 წლის მდგომარეობით სავაჭრო ვალდებულებების ბრუნვის დღეებია 18.2

დეტალური ჩაშლა იხილეთ ცხრილში:

	31 დეკემბერი 2023	31 დეკემბერი 2024	30 ივნისი 2025
(ათასი ლარი)	აუდიტი- რებული	აუდიტი- რებული	არააუდიტი- რებული
ფინანსური ვალდებულებები			
სავაჭრო ვალდებულებები	6,308	14,209	5,516
ძირითადების შესყიდვიდან წარმოქმნილი ვალდებულება	390	3,090	241
გადასახდელი ხელფასები	610	952	2,471
სულ ფინანსური ვალდებულებები	7,308	18,251	8,227
არფინანსური ვალდებულებები			
ავანსები	1,534	917	2,068
სულ არაფინანსური ვალდებულებები	1,534	917	2,068
სულ სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	8,842	19,168	10,295

გადავადებული შემოსავალი

„კომპანიასა“ და EBRD-ს („ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი“) შორის 2017 წლის დეკემბერში დაიდო ხელშეკრულება საინვესტიციო პროგრამის შესახებ, რომლის მიხედვითაც კომპანიას უნდა განეხორციელებინა 3 მილიონი ევროს ღირებულების ინვესტიცია ადმინისტრაციული და საწარმოო შენობების მშენებლობაში, ასევე შესაბამისი მოწყობილობებისა და მანქანა-დანადგარების შესაძენად, კომპანიის საქმიანობის მასშტაბის გაზრდის მიზნით. აღნიშნული პროექტის სათანადო კრიტერიუმების შესრულების შემდეგ EBRD-ი დააფინანსებდა აღნიშნული ინვესტიციის 15%-ს, 450 ათასი ევროს ოდენობით. კომპანიამ 2019 წლის პერიოდში მთლიანად შეასრულა პროექტით განსაზღვრული ყველა მოთხოვნა და 2019 წლის ივლისში EBRD-ისგან მიიღო შესაბამისი დაფინანსება - 1,458 ათასი ლარის ოდენობით (450 ათასი ევრო). კომპანიამ მიღებული სარგებელი განიხილა, როგორც გრანტი და წარადგინა, როგორც გადავადებული შემოსავალი. გადავადებული შემოსავალი ამორტიზდება საწარმოო და ადმინისტრაციული შენობების, ასევე შეძენილი მოწყობილობებისა და მანქანა-დანადგარების მომსახურების ვადების პროპორციულად. გარდა ამისა, კომპანია 2020 წლიდან მონაწილეობს პროექტში "აწარმოე საქართველო". აღნიშნული პროგრამა ხორციელდება საქართველოს პრემიერ მინისტრის ინიციატივით და მიმართულია ქვეყანაში მეწარმეობის განვითარების და მხარდაჭერის, საწარმოების შექმნის ხელშეწყობის და არსებული საწარმოების განვითარებისკენ. პროგრამის ფარგლებში სსიპ "სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო" კომპანიებს უფინანსებს საწარმოო შენობის ასაშენებლად და საწარმოო დანადგარების შესაძენად მიღებული სესხების პროცენტს, ასევე სესხებს სამეურნეო საშუალებებისთვის. რადგან მიღებული სესხების საპროცენტო განაკვეთი საბაზრო განაკვეთზე დაბალია, კომპანია მიღებულ სარგებელს განიხილავს, როგორც სახელმწიფო გრანტს და წარადგენს, როგორც გადავადებულ შემოსავალს, რომელიც თავის მხრივ წარმოადგენს სხვაობას სესხის რეალურ ღირებულებასა და ნომინალურ ღირებულებას შორის. აღნიშნული გადავადებული შემოსავალი ამორტიზდება და აღიარდება მანქანა-დანადგარების სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში და წარდება მოგება-ზარალში, როგორც სხვა შემოსავალი. 2024 და 2023 წელს კომპანიას არ მიუღია დამატებით გრანტი საბრუნავი საშუალებებისთვის.

გადავადებული შემოსავლის გრძელვადიანი წილი 2025 წლის 30 ივნისის და 2024 და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენს 1,962, 2,155 და 3,976 ათას ლარს, შესაბამისად.

გადავადებული შემოსავლის მოკლევადიანი წილი 2025 წლის 30 ივნისის და 2024 და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენს 391, 392 და 621 ათას ლარს, შესაბამისად.

საგადასახადო ვალდებულებები

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის მიხედვით, გადასახადების გადახდა ხდება ხაზინის ერთიანი ანგარიშიდან გადასახადებისათვის განკუთვნილ ერთიან სახაზინო კოდზე. შედეგად, 2024 და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებულ ფინანსურ ანგარიშგებაში ჯგუფს საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები წარმოდგენილი აქვს ნეტო საფუძველზე - 2,916 ათასი ლარი და 2,677 ათასი ლარი, შესაბამისად. 2025 წლის 30 ივნისის მდგომარეობით, კომპანიას აქვს 2,568 ათასი ლარის საგადასახადო ვალდებულებები.

შვილობილ კომპანიებს აქვთ წმინდა საგადასახადო აქტივი 461 და 436 ათასი ლარის ოდენობით შესაბამისად. ჯგუფის სხვადასხვა კომპონენტებს არ აქვთ უფლება გადახდონ ერთმანეთში საგადასახადო აქტივი და ვალდებულება.

კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება

2025 წლის 30 ივნისის მდგომარეობით კომპანიის სამართლებრივი ფორმა არის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, ხოლო მისი მფლობელები არიან ფიზიკური პირები: ზვიად აბულაძე (20.00%), ჯემალ ბოლქვაძე (20.00%), ემზარ ირემაძე (20.00%), რამაზ ირემაძე (20.00%) და ჯემალ ანთაძე (20.00%).

2025 წლის 30 ივნისის მდგომარეობით, კომპანიის მთლიანი კაპიტალი შეადგენს 58,145 ათას ლარს და სრულად შედგება გაუნაწილებელი მოგებისგან, კომპანიის მთლიანი კაპიტალი 2024 წლის 31 დეკემბერთან მიმართებით გაიზარდა 7.5%-ით (4,045 ათასი ლარით), რაც უმეტესად პერიოდის მოგებით არის გამოწვეული (5,387 ათასი ლარი), დამატებით, აღნიშნულ პერიოდში კომპანიამ გაანაწილა 1,342 ათასი ლარის დივიდენდები.

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის მთლიანი კაპიტალი შეადგენს 54,100 ათას ლარს და სრულად შედგება გაუნაწილებელი მოგებისგან. კომპანიის მთლიანი კაპიტალი 2023 წლის ანალოგიურ პერიოდთან მიმართებით გაიზარდა 7.4%-ით (3,739 ათასი ლარით), რაც უმეტესად შესაბამისი პერიოდის მოგებით არის გამოწვეული (11,528 ათასი ლარი), დამატებით, აღნიშნულ წელს კომპანიამ გაანაწილა 7,789 ათასი ლარის დივიდენდები.

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის მთლიანი კაპიტალი შეადგენს 50,361 ათას ლარს და სრულად შედგება გაუნაწილებელი მოგებისგან, კომპანიის მთლიანი კაპიტალი 2022 წლის ანალოგიურ პერიოდთან მიმართებით გაიზარდა 4.8%-ით (2,318 ათასი ლარით), რაც უმეტესად შესაბამისი პერიოდის მოგებით არის გამოწვეული (6,807 ათასი ლარი), დამატებით, აღნიშნულ წელს კომპანიამ გაანაწილა 4,489 ათასი ლარის დივიდენდები.

საკუთარი კაპიტალის ცვლილების კონსოლიდირებული ანგარიშგება

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ
ნაშთი 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	-	48,043	48,043
წლის მთლიანი სრული შემოსავალი	-	6,807	6,807
გამოცხადებული დივიდენდები	-	(4,489)	(4,489)
ნაშთი 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	-	50,361	50,361
წლის მთლიანი სრული შემოსავალი	-	11,528	11,528
გამოცხადებული დივიდენდები	-	(7,789)	(7,789)
ნაშთი 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	-	54,100	54,100
წლის მთლიანი სრული შემოსავალი	-	5,165	5,165
გამოცხადებული დივიდენდები	-	(1,342)	(1,342)
ნაშთი 2025 წლის 30 ივნისის მდგომარეობით	-	57,923	57,923

ფულადი სახსრების მოძრაობის კონსოლიდირებული ანგარიშგება

(ათასი ლარი)	31 დეკემბერი 2023 აუდიტი- რებული	31 დეკემბერი 2024 აუდიტი- რებული	30 ივნისი 2024 არააუდიტი- რებული	30 ივნისი 2025 არააუდიტი- რებული
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან				
მოგება დაბეგვრამდე	7,599	12,903	3,735	5,407
კორექტირებები:				-
ფინანსური ხარჯი	7,522	7,881	3,771	4,914
სახელმწიფო გრანტის შემოსავლის ამორტიზება	(1,876)	(2,050)	(1,024)	(194)
ძირითადი საშუალებების რეალიზაციით მიღებული მოგება	(347)	19	14	(93)
ფინანსურ აქტივებზე აღიარებული გაუფასურების ზარალი	(4)	(15)	-	-
მარაგების გაუფასურების ანარიცხის ცვლილება	(503)	184	-	-
ცვეთა და ამორტიზაცია	7,033	8,349	4,134	4,415
იჯარის გაუქმებიდან მიღებული მოგება	(12)	-	-	-
ვალუტის კურსთაშორისი სხვაობიდან მიღებული მოგება, წმინდა	614	1,994	2,297	(1,292)
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან საოპერაციო აქტივებისა და ვალდებულებების ცვლილებამდე	20,026	29,265	12,926	13,157
მოძრაობა საბრუნავ კაპიტალში:				
(ზრდა) შემცირება საოპერაციო აქტივებში				
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	2,121	(4,822)	(26,121)	(14,895)
მარაგები	(1,289)	(26,011)	5,038	3,251
საგადასახადო აქტივები	(339)	(25)	436	461
ზრდა (შემცირება) საოპერაციო ვალდებულებებში			-	-
საგადასახადო ვალდებულებები	1,134	233	(285)	(342)
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	(4,234)	10,090	(1,683)	(8,743)
ოპერაციებიდან მიღებული ფული პროცენტებამდე და მოგების გადასახადამდე	17,419	8,730	(9,690)	(7,110)
მიღებულ სესხებზე დარიცხული პროცენტის გადახდა	(8,105)	(5,341)	(3,899)	(4,679)
საიჯარო ვალდებულებაზე დარიცხული პროცენტის გადახდა	(391)	(310)	(155)	(143)
გადახდილი მოგების გადასახადები	(792)	(1,375)	(335)	(242)
გადასახდელი პროცენტის დაფინანსება	3,646	-	-	-
საოპერაციო საქმიანობით მიღებული წმინდა ფულადი ნაკადები	11,777	1,704	(14,079)	(12,175)
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან				
ძირითადი საშუალებების შესყიდვა	(7,423)	(6,152)	(2,810)	(4,587)
ძირითადი საშუალებების გაყიდვით მიღებული ფული	661	50	102	168
გრძელვადიანი აქტივისთვის გადახდილი ავანსები	-	-	-	-
არამატერიალური აქტივების შესყიდვა	(25)	(66)	(7)	(30)
საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი ნაკადები	(6,787)	(6,168)	(2,715)	(4,449)
ფულადი ნაკადები ფინანსური საქმიანობიდან				
სესხების მიღება	294,034	424,745	183,373	222,734
მიღებული სესხების დაფარვა	(285,752)	(410,800)	(164,353)	(214,450)
საიჯარო ვალდებულების დაფარვა	(690)	(683)	(429)	(368)
გადახდილი დივიდენდი	(4,489)	(7,789)	(1,895)	(1,342)

ფინანსურ საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი ნაკადები	3,103	5,473	16,695	6,573
წმინდა ზრდა (შემცირება) ფულსა და ფულის ექვივალენტში	8,093	1,009	(99)	(10,050)
ფული და ფულის ექვივალენტები წლის დასაწყისში	9,748	17,683	17,683	18,603
სავალუტო კურსის ცვლილების გავლენა ფულად სახსრებზე და მათ ექვივალენტებზე	(158)	(89)	79	6
ფული და ფულის ექვივალენტები წლის ბოლოს	17,683	18,603	17,663	8,559

ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან

2025 წლის 30 ივნისის მდგომარეობით, საოპერაციო შედეგებმა საბრუნავ კაპიტალში ცვლილებამდე 13,157 ათასი ლარი შეადგინა და 1.8%-ით (231 ათასი ლარით) გაიზარდა 2024 წლის ანალოგიური პერიოდის მაჩვენებელთან მიმართებით. საბრუნავ კაპიტალში 2025 წლის ექვსი თვის განმავლობაში დაფიქსირდა ცვლილებები, კერძოდ ამ პერიოდში 14,895 ათასი ლარით გაიზარდა სავაჭრო და სხვა მოთხოვნები, 3,251 ლარით შემცირდა მარაგები, 461 ათასი ლარით შემცირდა საგადასახადო აქტივები, 342 ათასი ლარით შემცირდა საგადასახადო ვალდებულებები და 8,743 ათასი ლარით შემცირდა სავაჭრო და სხვა ვალდებულებები. შედეგად, ფულადმა სახსრებმა საოპერაციო საქმიანობიდან შეადგინა (7,110) ათასი ლარი. 2024 წლის ანალოგიურ პერიოდში ფულადმა სახსრებმა საოპერაციო საქმიანობიდან შეადგინა (9,690) ათასი ლარი.

საოპერაციო საქმიანობით მიღებულმა წმინდა ფულადმა ნაკადებმა პროცენტის ხარჯისა და მოგების გადასახადის გადახდის შემდეგ შეადგინა (12,175) ათასი ლარი, 2024 წლის ანალოგიურ პერიოდში საოპერაციო საქმიანობით მიღებულმა წმინდა ფულადმა ნაკადებმა შეადგინა (14,079 ათასი ლარი).

2024 წელს საოპერაციო შედეგებმა საბრუნავ კაპიტალში ცვლილებამდე 29,265 ათასი ლარი შეადგინა, რაც 46.1%-ით აღემატება წინა წლის იგივე მაჩვენებელს.

საბრუნავ კაპიტალში 2024 წელს დაფიქსირდა ცვლილებები, კერძოდ ამ პერიოდში მარაგების ბალანსი 25,827 ათასი ლარით გაიზარდა, რაც უმეტესად დაკავშირებულია გზაში არსებულ მარაგებთან - 2024 წლის განმავლობაში კომპანიას მომწოდებელმა დაუგვიანა მარაგები, რაზეც მოგვიანებით შპს „ნოვამ“ 740 ათასი ლარის კომპენსაცია მიიღო. ამასთან, 4,822 ათასი ლარით გაიზარდა კომპანიის სავაჭრო და სხვა მოთხოვნები. მთლიანობაში, საბრუნავი კაპიტალის მოცულობა 20,535 ათასი ლარით გაიზარდა წინა წელთან შედარებით. შედეგად 2024 წელს ფულადმა სახსრებმა საოპერაციო საქმიანობიდან 8,730 ათასი ლარი შეადგინა.

2024 წელს წმინდა საოპერაციო საქმიანობით მიღებულმა წმინდა ფულადმა ნაკადებმა პროცენტის ხარჯისა და მოგების გადასახადის გადახდის შემდეგ 1,704 ათასი ლარი შეადგინა, რაც 10,073 ათასი ლარით ნაკლებია 2023 წლის მაჩვენებელზე. აღსანიშნავია, რომ კომპანიის გადასახდელი პროცენტის დაფინანსება 2024 წლის განმავლობაში ნულის ტოლია (2023 წელს შეადგენდა 3,646 ათას ლარს), რაც გამოწვეულია იმით რომ პროექტი, რის ფარგლებშიც მიღებული სესხების სუბსიდირებას იღებდა კომპანია, შევიდა ექსპლუატაციაში

2023 წელს საოპერაციო შედეგებმა საბრუნავ კაპიტალში ცვლილებამდე 20,026 ათასი ლარი შეადგინა, რაც 97.5%-ით აღემატება წინა წლის იგივე მაჩვენებელს.

საბრუნავ კაპიტალში 2023 წელს დაფიქსირდა ცვლილებები, კერძოდ ამ პერიოდში მარაგების ბალანსი 1,289 ათასი ლარით გაიზარდა. ამასთან, 2,121 ათასი ლარით შემცირდა კომპანიის სავაჭრო და სხვა მოთხოვნები და 4,234 ლარით შემცირდა სავაჭრო და სხვა ვალდებულებები. მთლიანობაში, საბრუნავი კაპიტალის მოცულობა 2,607 ათასი ლარით გაიზარდა წინა წელთან შედარებით. შედეგად 2023 წელს ფულადმა სახსრებმა საოპერაციო საქმიანობიდან 17,419 ათასი ლარი შეადგინა.

2023 წელს წმინდა საოპერაციო საქმიანობით მიღებულმა წმინდა ფულადმა ნაკადებმა პროცენტის ხარჯის და მოგების გადასახადის გადახდის შემდეგ 11,777 ათასი ლარი შეადგინა, რაც 8,286 ათასი ლარით მეტია 2022 წლის მაჩვენებელზე.

ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან

საინვესტიციო საქმიანობასთან დაკავშირებული ფულადი სახსრების მოძრაობა უმეტესწილად ძირითადი საშუალებების შეძენას უკავშირდება. ძირითადი საშუალებების შეძენა კომპანიის განვითარებასთან და ოპერაციების გაფართოებასთან არის დაკავშირებული და აუცილებელია გაყიდვების შემდგომი ზრდისთვის.

2025 წლის 30 ივნისის მდგომარეობით, წმინდა ფულადი სახსრების გასავალი საინვესტიციო საქმიანობიდან შეადგენს (4,449) ათას ლარს და 2024 წლის ანალოგიურ პერიოდთან მიმართებით შემცირებულია 63.8%-ით (1,734 ათასი ლარით). აღნიშნული შემცირების მთავარი გამომწვევია ზრდა ძირითადი საშუალებების შესყიდვაში, რაც 2025 წლის 30 ივნისის მდგომარეობით შეადგენს 4,587 ათას ლარს და 2024 წლის ანალოგიურ პერიოდთან მიმართებით გაზრდილია 63.2%-ით (1,777 ათასი ლარით).

2024 წლის განმავლობაში, 2023 წელთან შედარებით 17.1%-ით არის შემცირებული ძირითადი საშუალებების შესყიდვები, ხოლო ჯამში წმინდა ფულადი სახსრების გასავალი საინვესტიციო საქმიანობიდან 9.1%-ით ნაკლებია 2023 წელთან შედარებით და შეადგენს უარყოფით 6,168 ათას ლარს. აღნიშნული შემცირება მეტწილად გამოწვეულია ძირითადი საშუალებების შესყიდვების შემცირებით. აღსანიშნავია რომ 2024 წლის განმავლობაში კომპანიამ დამატებით ერთი საცალო ფილიალი გახსნა.

2023 წლის განმავლობაში, 2022 წელთან შედარებით 46.6%-ით არის შემცირებული ძირითადი საშუალებების შესყიდვები, ხოლო ჯამში წმინდა ფულადი სახსრების გასავალი საინვესტიციო საქმიანობიდან 56.3%-ით ნაკლებია 2023 წელთან შედარებით და შეადგენს უარყოფით 6,787 ათას ლარს. აღნიშნული შემცირება მეტწილად გამოწვეულია ძირითადი საშუალებების შესყიდვების შემცირებით.

ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან

2025 წლის ექვსი თვის განმავლობაში კომპანიამ მიიღო 222,734 ათასი ლარის სესხები და დაფარა 214,450 ათასი ლარის მიღებული სესხები, აღნიშნული სესხები კომპანიამ გამოიყენა საბრუნავი კაპიტალის დასაფინანსებლად, გარდა ამისა, კომპანიის გადახდილმა დივიდენდებმა შეადგინა 1,342 ათასი ლარი, ჯამურად ფინანსურ საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი ნაკადები შეადგენს 6,573 ათას ლარს და 2024 წლის ექვსი თვის მაჩვენებელთან შედარებით შემცირებულია 60.6%-ით (10,122 ათასი ლარით).

2024 წლის განმავლობაში კომპანიამ მიიღო 424,745 ათასი ლარის სესხები და დაფარა 410,800 ათასი ლარის მიღებული სესხები, აღნიშნული სესხები კომპანიამ გამოიყენა საბრუნავი კაპიტალის დასაფინანსებლად, გარდა ამისა, კომპანიის გადახდილმა დივიდენდებმა შეადგინა 7,789 ათასი ლარი, ჯამურად ფინანსურ საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი ნაკადები შეადგენს 5,473 ათას ლარს და 2023 წელთან შედარებით გაზრდილია 76.4%-ით (2,370 ათასი ლარით).

2023 წლის განმავლობაში კომპანიამ მიიღო 294,034 ათასი ლარის სესხები და დაფარა 285,752 ათასი ლარის მიღებული სესხები, აღნიშნული სესხები კომპანიამ გამოიყენა საბრუნავი კაპიტალის დასაფინანსებლად, გარდა ამისა, კომპანიის გადახდილმა დივიდენდებმა შეადგინა 4,489 ათასი ლარი, ჯამურად ფინანსურ საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი ნაკადები შეადგენს 3,101 ათას ლარს და 2022 წელთან შედარებით შემცირდა 70.9%-ით (7,556 ათასი ლარით).

ფინანსური რისკების მართვა

კომპანიის ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია კომპანიის რისკის მართვის პოლიტიკისა და ძირითადი მიზნების განსაზღვრაზე. იმისათვის, რომ უზრუნველყოფილი იყოს აღნიშნული პოლიტიკის დაცვა და რისკების მართვის მიზნების ეფექტურად შესრულება, ხელმძღვანელობის მიერ დელეგირებულია სამუშაო პროცესის ამ კუთხით წარმართვა სხვადასხვა განყოფილებების უმაღლეს ხელმძღვანელობაზე. ხელმძღვანელობის საერთო მიზანია აამოქმედოს ისეთი პოლიტიკა, რომელიც მაქსიმალურად შეამცირებს რისკს და უარყოფითად არ იმოქმედებს კომპანიის კონკურენტუნარიანობაზე და მოქნილობაზე.

კომპანიის ოპერაციებისთვის დამახასიათებელი ძირითადი რისკებია:

- › საკრედიტო რისკი
- › ლიკვიდურობის რისკი
- › საბაზრო რისკი
- › სავალუტო რისკი
- › საპროცენტო რისკი

საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი არის რისკი, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ერთი მხარე განიცდის ფინანსურ ზარალს სხვა მხარის მიერ ვალდებულების ვერ შესრულებით. საკრედიტო რისკი წარმოიქმნება ისეთი ოპერაციების შედეგად, რომელიც წარმოშობს ფინანსურ აქტივებს. ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულება წარმოადგენს მაქსიმალური მოცულობის საკრედიტო რისკს.

საკრედიტო რისკის მატარებელი ფინანსური აქტივების მაქსიმალური მოცულობა წარმოდგენილია შემდეგნაირად:

(ათასი ლარი)	31 დეკ 2023	31 დეკ 2024
ფინანსური აქტივები		
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	4,832	8,006
ფული ბანკში	17,523	18,522
სულ	22,355	26,528

კომპანია წარადგენს დებიტორული დავალიანების გაუფასურების ანარიცხს, რომელიც ასახავს მათი გაუფასურების შედეგად მოსალოდნელ საკრედიტო დანაკარგებს („ECL”). აღნიშნული ანარიცხის ძირითადი კომპონენტი არის ჯგუფური რეზერვი, რომელიც განსაზღვრულია „მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგების” (ECL) მოდელით, შეწონილი ალბათობის საფუძველზე, თითოეული ვადაგადაცეილებული ჯგუფისთვის. ზემოთ მოცემული სავაჭრო მოთხოვნების ნაშთები შემცირებულია მათი გაუფასურების რეზერვის თანხებით.

ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი არის რისკი, რომ კომპანიას შეეძლება სირთულეები მიმდინარე ფინანსური ვალდებულებების დაფარვის საკონტრაქტო პირობების შესრულებისას, რამაც შესაძლოა მნიშვნელოვანი გავლენა იქონიოს კომპანიის ფუნქციონირებაზე. ლიკვიდურობის რისკის გასაწეიტრალეზად, ხელმძღვანელობა რეგულარულად აკონტროლებს მომავალ ფულად ნაკადებს. ლიკვიდურობის ანალიზი მოცემულია ქვემოთ მოყვანილ ცხრილში. ქვემოთ მოყვანილი ანალიზი დაფუძნებულია ხელმძღვანელობის მიერ მომზადებულ ინფორმაციაზე.

ფინანსური ვალდებულებების ლიკვიდურობის ანალიზი 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

(ათასი ლარი)	1 წლამდე	1 - 5 წლამდე	5 წელზე მეტი	სულ
მიღებული სესხები	69,588	17,019	-	86,607

სავაჭრო და სხვა				
ვალდებულებები	18,251	-	-	18,251
საიჯარო ვალდებულება	660	2,502	1,103	4,265
სულ	88,499	19,521	1,103	109,123

ფინანსური ვალდებულების ლიკვიდურობის ანალიზი 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

(ათასი ლარი)	1 წლამდე	1 - 5 წლამდე	5 წელზე მეტი	სულ
მიღებული სესხები	37,501	30,740	345	68,586
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	7,308	-	-	7,308
საიჯარო ვალდებულება	648	2,528	1,951	5,127
სულ	45,457	33,268	2,296	81,021

კომპანიის მენეჯმენტს სჯერა, რომ კომპანიას გააჩნია საკმარისი ლიკვიდობა, რომ დააკმაყოფილოს ფინანსური ვალდებულებები.

საბაზრო რისკი

საბაზრო რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულება შემცირდება საბაზრო ფაქტორების ცვლილების გავლენით. საბაზრო რისკი შეიძლება წარმოიშვას კომპანიის მიერ პროცენტის, სავაჭრო ან უცხოურ ვალუტაში არსებული ფინანსური ინსტრუმენტების ფლობის შედეგად. არსებობს რისკი, რომ ფინანსური ინსტრუმენტის რეალური ღირებულება ან მომავალი ფინანსური ნაკადები იმერყევებს უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის გამო (სავალუტო რისკი) და საპროცენტო განაკვეთის ცვლილების გამო (საპროცენტო რისკი).

სავალუტო რისკი

სავალუტო რისკი წარმოიშობა ერთი ვალუტის მიმართ მეორის ფასის ცვლილებით. სავალუტო რისკი არანაკლებ გავლენას ახდენს კომპანიის ფინანსური რისკების განსაზღვრაში. კომპანია ატარებს სავალუტო რისკს, რომელიც დაკავშირებულია მის ფინანსურ მდგომარეობასა და ფულად ნაკადებთან.

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის ფინანსური აქტივები და ვალდებულებები ნომინირებულია შემდეგ ვალუტებში:

(ათასი ლარი)	ლარი	აშშ დოლარი	სულ
ფინანსური აქტივები			
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	7,901	105	8,006
ფული და ფულის ექვივალენტები	3,942	14,661	18,603
სულ	11,843	14,766	26,609
 ფინანსური ვალდებულებები			
მიღებული სესხები	56,913	29,695	86,608
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	14,847	3,404	18,251
საიჯარო ვალდებულებები	4,265	-	4,265
სულ	76,025	33,099	109,124
ღია საბალანსო პოზიცია	(64,182)	(18,333)	(82,515)

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის ფინანსური აქტივები და ვალდებულებები ნომინირებულია შემდეგ ვალუტებში:

(ათასი ლარი)	ლარი	აშშ დოლარი	სულ
ფინანსური აქტივები			
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	4,744	88	4,832
ფული და ფულის ექვივალენტები	7,307	10,376	17,683
სულ	12,051	10,464	22,515
ფინანსური ვალდებულებები			
მიღებული სესხები	37,150	31,436	68,586
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	4,047	3,261	7,308
საიჯარო ვალდებულებები	671	4,456	5,127
სულ	41,868	39,153	81,021
ღია საბალანსო პოზიცია	(29,817)	(28,689)	(58,506)

სავალუტო რისკისადმი მგრძნობელობა

მოცემული ცხრილი წარმოადგენს კომპანიის მგრძნობელობას უცხოური ვალუტის ლართან მიმართებაში 20%-ით ცვლილების შემთხვევაში. 20% არის მგრძნობელობის განაკვეთი, რომელიც გამოიყენება ხელმძღვანელობის მიერ სავალუტო რისკის შიდა კონტროლისთვის და წარმოადგენს სავალუტო კურსის სხვაობის შეფასებას. მგრძნობელობის ანალიზი მოიცავს მხოლოდ უცხოურ ვალუტაში გამოხატულ დაუფარავ ფულად მუხლებს და აკორექტირებს მათ გადაფასებას პერიოდის ბოლოს სავალუტო კურსების გონივრულობის ფარგლებში მოსალოდნელი ცვლილების მიხედვით.

წმინდა მოგებასა და კაპიტალზე აქტივების გადაფასების ეფექტი მნიშვნელოვან სავალუტო ნაშთებზე 2024 და 2023 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

(ათასი ლარი)	31 დეკ 2023		31 დეკ 2024	
სავალუტო რისკის სენსიტიურობა	+20%	-20%	+20%	-20%
აშშ დოლარის ეფექტი	(11,701)	11,701	(16,503)	16,503

ამ ანალიზის ფარგლებში მიიჩნევა, რომ ყველა სხვა ცვლადი, კერძოდ, საპროცენტო განაკვეთი, რჩება უცვლელი.

საპროცენტო განაკვეთის რისკი

საპროცენტო განაკვეთის რისკი შეიძლება წარმოშვას ბაზარზე არსებულმა საპროცენტო განაკვეთების ცვლილებამ, რამაც, შესაძლოა, უარყოფითად იმოქმედოს კომპანიის ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების რეალურ ღირებულებაზე. რისკი შეიძლება წარმოშვას ვალდებულებების შესრულების ვადების შეუსაბამობამ, ასევე, ასეთი აქტივებისა და ვალდებულებების გადაფასების შესაძლებლობამ. კომპანიას არ აქვს საპროცენტო შემოსავლის მქონე აქტივები.

ცხრილი წარმოადგენს კომპანიის საპროცენტო გასავლის მქონე ფინანსურ ვალდებულებებს 2024 და 2023 წლების 31 დეკემბრისთვის.

(ათასი ლარი)	31 დეკ 2023	31 დეკ 2024
--------------	-------------	-------------

კომპანია აკეთებს საპროცენტო განაკვეთის რისკის ანალიზს. კომპანიის ხელმძღვანელობის შეფასებით, საპროცენტო განაკვეთის 1%-ის ცვლილებას მოგება ან ზარალზე ექნება 909 ათასი ლარის ეფექტი (2023: 737 ათასი ლარი).

კაპიტალიზაცია და დავალიანება

ქვემო ცხრილში წარმოდგენილია ინფორმაცია „კომპანიის“ კაპიტალიზაციისა და დავალიანების შესახებ 2025 წლის 20 ოქტომბრის, 2025 წლის 30 ივნისის 2024 წლის 31 დეკემბრისა და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

(ათასი ლარი)	20 ოქტომბერი 2025	20 ოქტომბერი 2025	30 ივნისი 2025	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
ობლიგაციების ეფექტი*					
	არააუდიტი -რებული	არააუდიტი -რებული	არააუდიტი -რებული	აუდიტირებული	აუდიტირებული
დავალიანება					
მიღებული სესხები	88,305	78,305	93,867	86,607	68,586
საიჯარო ვალდებულებები	n.a	n.a	3,854	4,265	5,127
სულ დავალიანება			97,721	90,872	73,713
საკუთარი კაპიტალი					
საწესდებო კაპიტალი	n.a	n.a	-	-	-
გაუნაწილებელი მოგება	n.a	n.a	57,923	54,100	50,361
სულ საკუთარი კაპიტალი	n.a	n.a	57,923	54,100	50,361
სულ კაპიტალიზაცია და დავალიანება	n.a	n.a	155,644	144,972	124,074
გარე საბალანსო ვალდებულებები	n.a	1,366	1,573	1,664	1,624

*ობლიგაციების ეფექტი მოიცავს 80 მილიონ ლარამდე ობლიგაციების გამოშვებას და მოზიდული სახსრებით: (i) სასესხო ვალდებულებების ნაწილობრივ რეფინანსირებას - 70 მილიონ ლარამდე ოდენობით და (ii) კაპიტალური დანახარჯებისა საბრუნავი კაპიტალის დაფინანსებას - 10 მილიონ ლარამდე ოდენობით.

დავალიანება

„კომპანია“ თავისი საოპერაციო საქმიანობის ფარგლებში აქტიურად იყენებს საკრედიტო ინტსტრუმენტებს კაპიტალური დანახარჯების დასაფინანსებლად, საბრუნავი კაპიტალის და ლიკვიდურობის სამართავად. მომავალ პერიოდებში „კომპანია“ გააგრძელებს საკუთარი საოპერაციო საქმიანობის შედეგად მიღებული ფულადი სახსრებისა და საკრედიტო ინსტრუმენტების გამოყენებას თავისი საქმიანობის დასაფინანსებლად.

ემიტენტის სასესხო ვალდებულებების ჩაშლა 2025 წლის 20 ოქტომბრის მდგომარეობით:

გამსესხებელი	ვალუტა	პროცენტი	საწყისი თარიღი	საბოლოო თარიღი	გადახდის გრაფიკი	ძირითადი თანხა და დარიცხული პროცენტი	უზრუნველყოფა (კი/არა)
სს "თიბისი ბანკი"	GEL	3.75%+სებ რეფინანსირების განაკვეთი, მაქს 12.25%	6/9/2021	6/9/2026	ანუიტეტი	197	კი
სს "თიბისი ბანკი"	GEL	6%+სებ რეფინანსირების განაკვეთი	6/18/2025	6/18/2028	ანუიტეტი	8,896	კი
სს "თიბისი ბანკი"	GEL	6%+სებ რეფინანსირების განაკვეთი	12/16/2021	1/16/2029	ანუიტეტი	7,265	კი
სს "თიბისი ბანკი"	GEL	4.5%+სებ რეფინანსირების განაკვეთი	12/29/2023	11/29/2027	ანუიტეტი	5,988	კი
სს "თიბისი ბანკი"	USD	6.15%+ლიბორ	12/31/2021	1/16/2029	ანუიტეტი	3,656	კი
სს "თიბისი ბანკი"	USD	8.5% ფიქსირებული	3/27/2023	3/24/2028	ანუიტეტი	753	კი

სს "თიბისი ბანკი"	USD	8.5% ფიქსირებული	5/10/2023	7/10/2026	ანუიტეტი	232	კი
სს "თიბისი ბანკი"	GEL	4.25%+სებ რეფინანსირების განაკვეთი	3/21/2025	4/10/2029	ანუიტეტი	11,448	კი
სს "თიბისი ბანკი"	GEL	6%+სებ რეფინანსირების განაკვეთი	12/27/2023	2/25/2026	საკრედიტო ხაზი	4,179	კი
სს "თიბისი ბანკი"	GEL	6%+სებ რეფინანსირების განაკვეთი	7/2/2024	2/25/2026	საკრედიტო ხაზი	12,614	კი
სს "თიბისი ბანკი"	USD	9.0% ფიქსირებული	12/30/2024	12/30/2025	საკრედიტო ხაზი	1,022	კი
სს "პროკრედიტ ბანკი"	USD	8% ფიქსირებული	3/19/2025	3/19/2026	საკრედიტო ხაზი	2,283	კი
სს "პროკრედიტ ბანკი"	USD	8% ფიქსირებული	2/17/2025	2/17/2026	საკრედიტო ხაზი	11,373	კი
სს "თიბისი ბანკი"*	GEL	4.25%+სებ რეფინანსირების განაკვეთი	3/21/2025	4/10/2030	ანუიტეტი	7,786	კი
სს "თიბისი ბანკი"	USD	9.0% ფიქსირებული	12/31/2024	12/31/2025	საკრედიტო ხაზი	613	კი
						78,305	
მოკლევადიანი						32,513	
გრძელვადიანი						45,792	
სულ მიღებული სესხები						78,305	

* მონიშნული სესხები გაცემულია სს თიბისი ბანკსა და EBRD-ს სინდიცირებული სესხის პროგრამის ფარგლებში. დამატებითი ინფორმაცია იხილეთ EBRD-ის სესხების ცხრილში.

ემიტენტის სასესხო ვალდებულებების ჩაშლა 2025 წლის 30 ივნისის მდგომარეობით:

გამსესხებელი	ვალუტა	პროცენტი	საწყისი თარიღი	საბოლოო თარიღი	გადახდის გრაფიკი	ძირითადი თანხა და დარიცხული პროცენტი	უზრუნველყოფა (კი/არა)
სს "თიბისი ბანკი"	GEL	3.75%+სებ რეფინანსირების განაკვეთი, მაქს 12.25%	6/9/2021	6/9/2026	ანუიტეტი	291	კი
სს "თიბისი ბანკი"	GEL	6%+სებ რეფინანსირების განაკვეთი	6/18/2025	6/18/2028	ანუიტეტი	10,046	კი
სს "თიბისი ბანკი"	GEL	6%+სებ რეფინანსირების განაკვეთი	12/16/2021	1/16/2029	ანუიტეტი	7,859	კი
სს "თიბისი ბანკი"	GEL	4.5%+სებ რეფინანსირების განაკვეთი	12/29/2023	11/29/2027	ანუიტეტი	6,534	კი
სს "თიბისი ბანკი"	USD	6.15%+ლიბორ	12/31/2021	1/16/2029	ანუიტეტი	4,012	კი
სს "თიბისი ბანკი"	USD	8.5% ფიქსირებული	3/27/2023	3/24/2028	ანუიტეტი	824	კი
სს "თიბისი ბანკი"	USD	8.5% ფიქსირებული	5/10/2023	7/10/2026	ანუიტეტი	333	კი
სს "თიბისი ბანკი"*	USD	9.5% ფიქსირებული	3/21/2025	4/10/2029	ანუიტეტი	11,956	კი
სს "თიბისი ბანკი"	GEL	6%+სებ რეფინანსირების განაკვეთი	12/27/2023	2/25/2026	საკრედიტო ხაზი	8,753	კი
სს "თიბისი ბანკი"	GEL	6%+სებ რეფინანსირების განაკვეთი	7/2/2024	2/25/2026	საკრედიტო ხაზი	12,812	კი
სს "თიბისი ბანკი"	USD	9.0% ფიქსირებული	12/30/2024	12/30/2025	საკრედიტო ხაზი	4,630	კი
სს "პროკრედიტ ბანკი"	USD	8.0% ფიქსირებული	3/19/2025	3/19/2026	საკრედიტო ხაზი	5,447	კი

სს "პროგრესიტი ბანკი"	USD	8.0% ფიქსირებული	2/17/2025	2/17/2026	საკრედიტო ხაზი	11,439	კი
სს "თიბისი ბანკი"*	GEL	4.25%+სებ რეფინანსირების განაკვეთი	3/21/2025	4/10/2030	ანუიტეტი	8,236	კი
სს "თიბისი ბანკი"	USD	9.0% ფიქსირებული	12/31/2024	12/31/2025	საკრედიტო ხაზი	694	კი
						93,867	
მოკლევადიანი						51,079	
გრძელვადიანი						42,788	
სულ მიღებული სესხები						93,867	

* მონიშნული სესხები გაცემულია სს თიბისი ბანკსა და EBRD-ს სინდიცირებული სესხის პროგრამის ფარგლებში. დამატებითი ინფორმაცია იხილეთ EBRD-ის სესხების ცხრილში.

ემიტენტის სასესხო ვალდებულებების ჩაშლა 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

გამსესხებელი	ვალუტა	პროცენტი	საწყისი თარიღი	საბოლოო თარიღი	გადახდის გრაფიკი	ძირითადი თანხა და დარიცხული პროცენტი	უზრუნველყოფა (კი/არა)
სს "თიბისი ბანკი"	ლარი	3.75%+სებ რეფინანსირების განაკვეთი, მაქს 12.25%	6/9/2021	6/9/2026	ანუიტეტი	425	კი
სს "თიბისი ბანკი"	აშშ დოლარი	6.15%+ლიბორ	12/31/2021	1/16/2029	ანუიტეტი	4,619	კი
სს "თიბისი ბანკი"	აშშ დოლარი	9.25%	3/27/2023	3/24/2028	ანუიტეტი	984	კი
სს "თიბისი ბანკი"	აშშ დოლარი	9.25%	5/10/2023	7/10/2026	ანუიტეტი	491	კი
სს "თიბისი ბანკი"	ლარი	12.50%	12/27/2023	4/24/2025	საკრედიტო ხაზი	8,753	კი
სს "თიბისი ბანკი"	ლარი	4%+სებ რეფინანსირების განაკვეთი, მაქს 18%	12/29/2023	11/29/2027	საკრედიტო ხაზი	7,661	კი
სს "თიბისი ბანკი"	ლარი	3%+სებ რეფინანსირების განაკვეთი, მინ 10%	7/2/2024	4/20/2025	საკრედიტო ხაზი	10,017	კი
სს "თიბისი ბანკი"	ლარი	3%+სებ რეფინანსირების განაკვეთი, მინ 10%	12/27/2023	4/24/2025	საკრედიტო ხაზი	12,724	კი
სს "თიბისი ბანკი"	აშშ დოლარი	10.00%	7/4/2024	3/21/2025	საკრედიტო ხაზი	11,812	კი
სს "პროგრესიტი ბანკი"	აშშ დოლარი	6.20%	2/16/2024	2/17/2025	საკრედიტო ხაზი	11,789	კი
სს "თიბისი ბანკი"	ლარი	4.5% + რეფინანსირების განაკვეთი	12/16/2021	1/16/2029	ანუიტეტი	8,666	კი
სს "თიბისი ბანკი"	ლარი	4.5%+სებ რეფინანსირების განაკვეთი	12/16/2021	1/16/2029	საკრედიტო ხაზი	8,666	კი
						86,607	
მოკლევადიანი						69,588	
გრძელვადიანი						17,019	
სულ მიღებული სესხები						86,607	

ემიტენტის სასესხო ვალდებულებების ჩაშლა 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

გამსესხებელი	ვალუტა	პროცენტი	საწყისი თარიღი	საბოლოო თარიღი	გადახდის გრაფიკი	ძირითადი თანხა და დარიცხული პროცენტი	უზრუნველყოფა (კი/არა)
სს "თიბისი ბანკი"	ლარი	3.75%+სებ რეფინანსირების განაკვეთი, მაქს 12.25%	6/9/2021	9/6/2026	ანუიტეტი	668	კი
სს "თიბისი ბანკი"	აშშ დოლარი	6.15%+ლიბორ	12/31/2021	1/16/2029	ანუიტეტი	5,287	კი
სს "თიბისი ბანკი"	აშშ დოლარი	9.25%	3/27/2023	3/24/2028	ანუიტეტი	1,183	კი
სს "თიბისი ბანკი"	აშშ დოლარი	9.25%	5/10/2023	10/7/2026	ანუიტეტი	737	კი
სს "თიბისი ბანკი"	აშშ დოლარი	9.50%	12/27/2023	3/27/2024	საკრედიტო ხაზი	24,229	კი
სს "თიბისი ბანკი"	ლარი	12.50%	12/27/2023	3/27/2024	საკრედიტო ხაზი	8,766	კი
სს "თიბისი ბანკი"	ლარი	4%+სებ რეფინანსირების განაკვეთი, მაქს 18%	12/29/2023	11/29/2027	ანუიტეტი	9,703	კი
სს "თიბისი ბანკი"	ლარი	4.5% + რეფინანსირების განაკვეთი	12/16/2021	1/16/2029	ანუიტეტი	9,010	კი
სს "თიბისი ბანკი"	ლარი	4.5%+სებ რეფინანსირების განაკვეთი	12/16/2021	1/16/2029	ანუიტეტი	9,003	კი
						68,586	
მოკლევადიანი						37,422	
გრძელვადიანი						31,164	
სულ მიღებული სესხები						68,586	

EBRD-სა და თიბისი ბანკს შორის სინდიცირებული სესხების პროგრამის ფარგლებში გაცემული სესხები 2025 წლის 20 ოქტომბრის, 2025 წლის 30 ივნისის, 2024 წლის 31 დეკემბრისა და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

(ათასი ლარი)	20 ოქტომბერი 2025	30 ივნისი 2025	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
EBRD-სგან მიღებული სესხები	7,786	20,962	-	-

თიბისი ბანკისგან მიღებული სესხების ნაწილი დასინდიცირებულია ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკთან (EBRD).

ზემოთ ჩამოთვლილ სესხებზე, როგორც „თიბისი ბანკისგან“ ისე „პროკრედიტისა“ და EBRD-სგან მიღებულ სესხებზე, კომპანიას განსაზღვრული აქვს კოვენანტები, რომლებიც მიმოხილულია შექცევაში „ფინანსური და არაფინანსური კოვენანტები“.

უზრუნველყოფა

პროსპექტში ნაჩვენებია პერიოდებისთვის, კომპანიის სესხები უზრუნველყოფილია არსებული და სამომავლო ძირითადი საშუალებებით, არამატერიალური აქტივებითა და მარაგებით (სრული საბალანსო ღირებულებით). ცხრილში წარმოდგენილია კონსოლიდირებული აქტივების საბალანსო ღირებულება, რომლებიც წარმოადგენდნენ „კომპანიის“ სესხების უზრუნველყოფას:

ინფორმაცია კომპანიის აქტივების უზრუნველყოფის შესახებ:

აქტივის ტიპი	უზრუნველყოფის მოცულობა 30 ივნ 2025 მდგომარეობით	ობლიგაციების 1-ლი ტრანშით გამოთავისუფლებული უზრუნველყოფა	უზრუნველყოფის მოცულობა ობლიგაციების ემისიის შემდგომ (30 ივნ 2025)
ძირითადი საშუალებები	სრულად; 59,249 ათასი ლარი	32,714 ათასი ლარი	26,535 ათასი ლარი
მარაგები	სრულად; 73,763 ათასი ლარი	30,000 ათასი ლარი	43,763 ათასი ლარი
არამატერიალური აქტივები	სრულად; 340 ათასი ლარი	-	340 ათასი ლარი
სულ	133,352 ათასი ლარი	62,714 ათასი ლარი	70,638 ათასი ლარი

პერიოდების მიხედვით უზრუნველყოფილი აქტივების შესაბამისი საბალანსო მოცულობები იხილეთ “საოპერაციო და ფინანსური მიმოხილვის” ქვეთავში.

წინამდებარე პროსპექტით გათვალისწინებული ობლიგაციების ემისიასთან დაკავშირებით „ემიტენტი“ გეგმავს, რომ საფინანსო ინსტიტუტებში დაგირავებული აქტივების ნაწილი გამოათავისუფლოს. შედეგად 2025 წლის 30 ივნისის მდგომარეობით ემიტენტის უზრუნველყოფილი აქტივები 133,352 ათასი ლარიდან შემცირდება 70,638 ათას ლარამდე. წინამდებარე პროსპექტით განსაზღვრული „ობლიგაციების გამოშვების პირობების“ მიხედვით, „ემიტენტი“ ვალდებულია იღებს, რომ „ობლიგაციების“ რომ ყოველი მომდევნო ემისიის ფარგლებში, უზრუნველყოფს ძირითადი საშუალებებისა და მარაგების გამოთავისუფლებას შესაბამისი ტრანშის 60%/60%-ის მოცულობით. დეტალური ინფორმაცია იხილეთ ქვეთავში „ობლიგაციების გამოშვების პირობები“.

ფინანსური და არაფინანსური კოვენანტები:

ბანკისგან მიღებულ სესხებზე ფინანსური კოვენანტები:

		30 ივნისი 2025	31 მარტი 2025	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023		
		კოვენანტის შესრულება	კოვენანტის შესრულება	კოვენანტის შესრულება	კოვენანტის შესრულება	კოვენანტი (2025, 2024, 2023)	აკმაყოფილებს კი/არა (2025, 2024, 2023)
1	DSCR (CF Based)	1.84 x	1.73 x	2.60 x	n.a	Min. 1.2 x	კი, კი, კი, n.a
2	Post dividend DSCR (CF Based)*	0.42 x	0.96 x	1.12 x	n.a	Min. 1.05 x	კი, კი, კი, n.a
3	Net Debt /EBITDA	2.99 x	2.93 x	2.56 x	n.a	Max. 3.0 x	კი, კი, კი, n.a
4	Dividend/Previous Year Profit Before Tax	49.7%	40.6%	101.0%	n.a	Max. 50.0%	კი, კი, არა, n.a
5	Debt/EBITDA (გადასახადების გათვალისწინებით)	3.12 x	n.a	3.06 x	3.42 x	Max. 3.00 x	არა, n.a, არა, არა
6	DSCR (PL Based)	1.67 x	n.a	1.64 x	n.a	Min. 1.30 x	კი, n.a, კი, n.a
7	DSCR (CFADS Based)	1.65 x	n.a	2.50 x	1.06 x	Min. 1.05 x	კი, n.a, კი, კი
8	ICR	2.93 x	n.a	3.63 x	2.68 x	Min. 3.00 x	არა, n.a, კი, არა
9	Working Capital	36.3 მლნ ლარი	n.a	11.5 მლნ ლარი	20.6 მლნ ლარი	Min. 5.5 მლნ ლარი	კი, n.a, კი, კი
10	Debt/EBITDA	n.a	n.a	2.78 x	n.a	Max. 4.0 x	n.a, n.a, კი ,n.a
11	DSCR	n.a	n.a	1.10 x	n.a	Min. 1.10 x	n.a, n.a, კი ,n.a
12	Equity Ratio	n.a	n.a	31.9%	n.a	Min. 30.0%	n.a, n.a, კი ,n.a

*2025 წლის 30 ივნისის მდგომარეობით ემიტენტს ერთ-ერთი მსესხებლისგან მიღებულ ვალდებულებებზე განსაზღვრული აქვს Post dividend DSCR (CF Based) 1.05x. აღნიშნული ფინანსური კოვენანტის პრო-ფორმა ბაზისზე დაკმაყოფილების შემთხვევაში ემიტენტს შეუძლია შესაბამისი მოცულობის დივიდენდის გაცემა. იმ შემთხვევაში თუ არ სრულდება Post dividend DSCR (CF Based) 1.05x კოვენანტი - ემიტენტს მაინც შეუძლია დივიდენდის გაცემა თუმცა არაუმეტეს 1.5 მილიონი ლარისა.

**ფინანსური კოვენანტების შესრულების ცხრილში „n.a“-ით მონიშნულია ის მაჩვენებლები, რომელთა მონიტორინგიც არ ხდებოდა შესაბამის პერიოდში.

ფინანსური კოფენანტების დათვლის მეთოდოლოგია:

1. **DSCR (CF Based) - სესხის მომსახურების კოეფიციენტი (ფულადი სახსრებით დათვლილი)** - განისაზღვრება შემდეგნაირად: (i) „პერიოდის ფულად სახსრებს“ პლუს პერიოდის დასაწყისში არსებული ნაღდი ფულის ნაშთი, გამოკლებული ყველა დივიდენდი, კაპიტალის განაწილება, აქციების შეძენა/გამოსყიდვა, იმავე აქციებზე არსებული ნებისმიერი ოფციონი, ასევე მენეჯმენტურ, საკონსულტაციო ან სხვა ანაზღაურების მიზნით გაცემული გადასახადი, რომელიც განხორციელებულია წინა თორმეტი თვის განმავლობაში, გაყოფილი (ii) ყველა გადახდის ჯამზე - ძირი, პროცენტი, საკომისიო და სხვა საფასური და ხარჯები ყველა მოკლევადიან და გრძელვადიან ვალზე, რომელიც შესაბამის პერიოდში უნდა გადაიხადოს. გაურკვევლობის თავიდან აცილების მიზნით, (ii) პუნქტში ნახსენები ყველა გადახდის ჯამი მოიცავს მხოლოდ მოკლევადიანი ვალის ნეტო შემცირებას მსესხებლების მიერ შესაბამის პერიოდში.

ამ კოეფიციენტის მიზნებისთვის „პერიოდის ფულადი სახსრები“ - ნიშნავს (i) მოგება გადასახადების გადახდის შემდეგ, პლუს (ii) გადახდილი პროცენტები, პლუს (iii) ცვეთა და სხვა არანაღდი ხარჯები, პლუს (iv) საბრუნავი კაპიტალის შემცირება, მინუს (v) საბრუნავი კაპიტალის ზრდა, რომელიც არ არის დაფინანსებული სესხით, ან კაპიტალში ინვესტიციით, მინუს (vi) კაპიტალური ხარჯები, რომლებიც არ არის დაფინანსებული სესხით ან კაპიტალში ინვესტიციით.

2. **Post dividend DSCR (CF Based) - დივიდენდის შემდგომი სესხის მომსახურების კოეფიციენტი (ფულადი სახსრებით დათვლილი)** - განისაზღვრება, როგორც DSCR (CF Based) პერიოდის დასაწყისში არსებული ნაღდი ფულის ნაშთის გათვალისწინების გარეშე.
3. **Net Debt /EBITDA¹** - განისაზღვრება შემდეგნაირად: (i) “წმინდა ფინანსური ვალდებულება” გაყოფილი (ii) “EBITDA”-ზე.

ამ კოეფიციენტის მიზნებისთვის:

„წმინდა ფინანსური ვალდებულება“ - ნიშნავს (i) ფინანსურ ვალდებულებას დაკლებული (ii) ფული და ფულის ექვივალენტები.

„ფინანსური ვალდებულება“ - ნიშნავს:

- (a) სესხის სახით მიღებულ თანხებს ან ნებისმიერ საკრედიტო ხაზზე/ფინანსურ უზრუნველყოფაზე წარმოშობილ ვალდებულებებს;
- (b) აქციების ან მომსახურების შეძენის გადავადებული საფასურს (გარდა კომერციული ვალდებულებებისა, რომლებიც წარმოიშობა ჩვეულებრივი ბიზნესის ფარგლებში);
- (c) ნებისმიერ ლიზინგს, რომელიც IFRS-ის მიხედვით კლასიფიცირდება როგორც კაპიტალიზებული, ან სხვა შემთხვევაში არსებითად წარმოადგენს ფინანსურ ლიზინგს;
- (d) ნებისმიერ დავალიანებას, ობლიგაციას ან სხვა ფასიან ქაღალდს, ასევე ნებისმიერ აკრედიტის ან მოთხოვნას (გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ეს ხდება წვდომის უფლების გარეშე);

ნებისმიერ სხვა ტრანზაქციას, რომელიც IFRS-ის შესაბამისად ითვლება სესხად.

„EBITDA¹“ - ნიშნავს კონსოლიდირებულ საფუძველზე გამოთვლილ მოგებას პროცენტებისა და გადასახადების წინ (EBIT), დამატებული დარიცხული ცვეთა, ამორტიზაცია და სხვა არანაღდი ხარჯები, რომლებიც წარმოიშვა პერიოდის განმავლობაში.

4. **Dividend/Previous Year Profit Before Tax** - განისაზღვრება შემდეგნაირად: (i) დივიდენდი გაყოფილი (ii) წინა წლის მოგება დაბეგვრამდე.

5. **Debt/EBITDA²** (გადასახადების გათვალისწინებით) - განისაზღვრება, როგორც (i) ჯამური სასესხო ვალდებულებები შეფარდებული (ii) ბოლო 12 თვის EBITDA-სთან, გადასახადების დაკლებით.

ამ კოეფიციენტის მიზნებისთვის, „EBITDA²“ ნიშნავს საოპერაციო მოგებას საპროცენტო ხარჯებისა და ამორტიზაციის გარეშე.

6. **DSCR (PL Based)** - სესხის მომსახურების კოეფიციენტი (მომგებიანობით დათვლილი) – განისაზღვრება, როგორც (i) EBITDA²-ს გამოკლებული maintenance CAPEX, დივიდენდები და მოგების გადასახადი შეფარდებული (ii) გრძელვადიან სესხებზე გადახდილ ძირთან, პროცენტთან და საკრედიტო ხაზზე გადახდილ პროცენტთან.

ამ კოეფიციენტის მიზნებისთვის „maintenance CAPEX“ ნიშნავს კაპიტალურ დანახარჯებს, რომელიც საჭიროა კომპანიის საწარმოების გამართულად მუშაობისთვის.

7. **DSCR (CFADS Based)** - სესხის მომსახურების კოეფიციენტი (ფულადი სახსრებით დათვლილი) – განისაზღვრება, როგორც (i) CFADS შეფარდებული (ii) გრძელვადიან სესხებზე გადახდილ ძირთან, პროცენტთან, საკრედიტო ხაზზე გადახდილ პროცენტთან და მოკლევადიანი სესხის ძირითადი თანხის კლებასთან.

ამ კოეფიციენტის მიზნებისთვის „CFADS“ ნიშნავს - EBITDA²-ს გამოკლებული: (i) საბრუნავი კაპიტალის ზრდა, (ii) maintenance CAPEX, (iii) მოგების გადასახადი და (iv) ის CAPEX, რომელიც არ არის დაფინანსებული სესხით.

8. **ICR - პროცენტის დაფარვის კოეფიციენტი** – განისაზღვრება, როგორც (i) EBITDA²-ს დაკლებული maintenance CAPEX შეფარდებული (ii) კომპანიის მიერ პერიოდის განმავლობაში გადახდილ საპროცენტო ხარჯებთან.

9. **Working Capital - საბრუნავი კაპიტალი** - განისაზღვრება, როგორც (i) მოკლევადიან აქტივებს გამოკლებული (ii) მოკლევადიანი ვალდებულებები (მათ შორის, მოკლევადიანი სესხები).

10. **Debt/EBITDA²** - განისაზღვრება, როგორც (i) ჯამური სასესხო ვალდებულებები შეფარდებული (ii) ბოლო 12 თვის EBITDA-სთან

11. **DSCR - სესხის მომსახურების კოეფიციენტი** – განისაზღვრება, როგორც (i) EBITDA² შეფარდებული (ii) პერიოდის არსებულ და მომავალში წარმოშობილ/წარმოსაშობ სესხებთან დაკავშირებულ გადასახადებ (გადასახდელში იგულისხმება კონკრეტულ პერიოდში გრაფიკით გადასახდელი ვალდებულება და არა მთლიანი სესხის ნაშთი) ფულად ვალდებულებებზე.

12. **Equity Ratio** - განისაზღვრება, როგორც (i) კომპანიის კაპიტალი შეფარდებული (ii) კომპანიის აქტივებთან.

მსესხებლების მიხედვით, ფინანსური კოვენანტების დათვლა ხდება კომპანიის უკანასკნელი 12 თვის კონსოლიდირებული შედეგების საფუძველზე. კოეფიციენტების დათვლა ხდება მენეჯერული რიცხვებით ხოლო დათვლის სიხშირე განსხვავებულია მსესხებლების მიხედვით.

„ემიტენტს“ ფინანსური ინსტიტუტებისგან მიღებულ სესხებზე კოვენანტების დაცვა ევალება წელიწადის ნებისმიერი პერიოდისთვის. ქართული კომერციული ბანკების შემთხვევაში გამსესხებლის მხრიდან კოვენანტების კალკულაცია ხდება საჭიროებისამებრ, წელიწადში არანაკლებ ერთხელ, ხოლო EBRD-ის შემთხვევაში, კოეფიციენტების კალკულაცია ხდება EBRD-ის მიერ წელიწადში 4-ჯერ.

ფინანსური კოვენანტების დარღვევის შესახებ ინფორმაცია იხილეთ სექციაში „კოვენანტების დარღვევის შესახებ ინფორმაცია“.

ბანკისგან მიღებულ სესხებზე არაფინანსური კოვენანტები:

- › **ბიზნესის შენარჩუნება და უწყვეტობა:** მსესხებელი ვალდებულია შეინარჩუნოს თავისი კორპორატიული არსებობა მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად და მიიღოს და შეინარჩუნოს ყველა საჭირო ლიცენზია და ნებართვა.
- › **გარემოსა და სოციალური დაცვის უზრუნველყოფა:** მსესხებელი ვალდებულია განახორციელოს პროექტები გარემოსდაცვითი და სოციალური რეგულაციების შესაბამისად.
- › **დაზღვევა:** მსესხებელი ვალდებულია შეინარჩუნოს ზარალის, ზიანისა და პასუხისმგებლობის დაზღვევა, იმ ფორმით და იმ სადაზღვევო კომპანიებთან, რომლებიც დამაკმაყოფილებელია ბანკისთვის.
- › **ბუღალტრული აღრიცხვა:** მსესხებელი ვალდებულია აწარმოოს IFRS-ის შესაბამისი აღრიცხვიანობა, რომელიც ობიექტურად ასახავს მის ფინანსურ მდგომარეობასა და ოპერაციებს.
- › **უზრუნველყოფა:** მსესხებელი ვალდებულია ყოველთვის უზრუნველყოს, რომ უზრუნველყოფის საგნად არსებული ყველა აქტივის საბაზრო ღირებულება შეადგენდეს არანაკლებ 140%-ს გარკვეული ხელშეკრულებით მსესხებლის ვალდებულებების თანხის მიმართ.
- › **კაპიტალური ხარჯები:** მსესხებელს ეკრძალება გასწიოს კაპიტალურ ხარჯები (გარდა იმ ხარჯებისა, რომლებიც აუცილებელია ჯგუფის ოპერაციების შენარჩუნებისთვის, რემონტისთვის ან ჩანაცვლებისთვის), თუ სრულ შესაბამისობაში არ არის განსაზღვრულ ფინანსურ კოვენანტებთან: სესხის მომსახურებისა და წმინდა ლევერიჯის კოეფიციენტებთან.
- › **ლიზინგი:** მსესხებელს ეკრძალება შევიდეს სალიზინგო ხელშეკრულებაში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც დაცულია წმინდა ლევერიჯის კოვენანტი.
- › **ვალდებულებები:**
 - (i) მსესხებელს ეკრძალება აიღოს ან იკისროს ფინანსური ვალდებულება, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც დაცულია Net Debt/EBITDA 3.0x კოვენანტი.
 - (ii) მსესხებელს არ აქვს უფლება გამსესხებლის წერილობითი ნებართვის გარეშე გააფორმოს ლიზინგი, აიღოს სესხები. გამონაკლისია (i) არაუზრუნველყოფილი სესხები, რომლის ჯამური ოდენობა 1 კალენდარული წლის განმავლობაში არ გადააჭარბებს 250 000 ლარს და (ii) სს „თიბისი ბანკიდან“ არაუმეტეს 1 000 000 (ერთი მილიონი) აშშ დოლარის (ან მისი ექვივალენტი ნებისმიერ ვალუტაში) ოდენობის საკრედიტო პროდუქტები. აღნიშნული შეზღუდვა ეხება ყველა სხვა ვალდებულებას (გარდა კონსიგნაციით შეძენილი სარეალიზაციო პროდუქციის ვალდებულებისა), რაც საფრთხეს უქმნის ბანკის ვალდებულებების შესრულებას.
 - (iii) მსესხებელს არ აქვს უფლება გამსესხებლის/(ების) წერილობითი ნებართვის გარეშე გასცეს ფინანსური გარანტიები ან მოთხოვნის უფლებით დატვირთოს სხვა პირების მიმართ მის საკუთრებაში არსებული აქტივები, ასევე არ მოხდეს მსესხებლის ან მისი გარანტორი კომპანიების წილების მოთხოვნის უფლებით დატვირთვა მესამე პირების სასარგებლოდ;
- › **სუბორდინაცია:** მსესხებელმა უნდა უზრუნველყოს, რომ სს „პროკრედიტ პანკის“ მოთხოვნებს ქონდეთ სულ მცირე იგივე რიგითობა რაც გააჩნიათ მის სხვა არაუზრუნველყოფილ და არასუბორდინირებულ კრედიტორებს.
- › **იპოთეკები:** მსესხებელს ეკრძალება რაიმე სახის იპოთეკის ან სხვაგვარი უზრუნველყოფის არსებობა აქტივებზე, გარდა ნებადართული უზრუნველყოფებისა.

- › **გაშლილი მკლავის პრინციპი:** მსესხებელს ეკრძალება ნებისმიერი გარიგების განხორციელება პირებთან, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ეს ხდება ჩვეულებრივი საქმიანობის ფარგლებში, სტანდარტული კომერციული პირობებით და გაშლილი მკლავის პრინციპით.
- › **მესამე მხარის ჩართულობა:** მსესხებელს ეკრძალება ისეთი ხელშეკრულების გაფორმება, რომლის შედეგადაც მისი შემოსავლები ან მოგება შეიძლება გაზიარებულ იქნეს მესამე პირებთან ან მათი ბიზნესი და ოპერაციები იმართებოდეს მესამე პირის მიერ.
- › **ინვესტიციები:** მსესხებელს ეკრძალება შვილობილი კომპანიის შექმნა, ასევე ნებისმიერი სახის მსგავსი ტიპის ინვესტიციის განხორციელება.
- › **ბიზნესის ცვლილება:** მსესხებელს ეკრძალება საკუთარი ბიზნესის ან ოპერაციების ბუნების შეცვლა.
- › **კონტროლის ცვლილება:** მსესხებელი წინასწარი თანხმობის გარეშე არ დაუშვებს ისეთ ცვლილებას მისი პარტნიორების/აქციონერების შემადგენლობასა და წილობრივ მონაწილეობაში, რაც გამოიწვევს ცვლილებას მისი აქციონერის/პარტნიორის საკონტროლო ზეგავლენაში.
- › **კაპიტალის ცვლილება:** მსესხებელს ეკრძალება საკუთარი კაპიტალის ცვლილება (გარდა გაზრდისა), მათ შორის საწესდებო კაპიტალის შეცვლა.
- › **დივიდენდები:** მსესხებელს ეკრძალება გასცეს დივიდენდები იმ შემთხვევაში თუ არ კმაყოფილდება სესხის მომსახურების კოფიციენტი, რომლის კალკულაციისასაც გაითვალისწინება გადახდილი დივიდენდები. აღნიშნული შეზღუდვის მიუხედავად, მსესხებელს უფლება აქვს წლის განმავლობაში გასცეს 1.5 მლნ ლარის დივიდენდები.
- › **სესხის გაცემა:** მსესხებელს ეკრძალება გასცეს სესხები იმ შემთხვევაში თუ ამგვარი გაცემული სესხების ოდენობა, 1 კალენდარული წლის განმავლობაში, აღემატება 50,000 ლარს.
- › **აქტივების გაყიდვა:** მსესხებელს ეკრძალება გაყიდოს გადასცეს ან სხვაგვარად განკარგოს საკუთარი ფიქსირებული აქტივები, თუ მათი ჯამური ღირებულება ერთ ფინანსური წლის ჭრილში აღემატება 100,000 ლარს.
- › **შერწყმა:** მსესხებელს ეკრძალება განახორციელოს შერწყმა, კონსოლიდაცია ან რეორგანიზაცია.
- › **თაღლითობა და კორუფცია:** მსესხებელს ეკრძალება და ვალდებულია უზრუნველყოს, რომ მისი ოფიცრები, დირექტორები, უფლებამოსილი თანამშრომლები, აფილირებული პირები, აგენტები ან წარმომადგენლები არ ჩაერთვებიან აკრძალულ ქმედებებში.
- › **სხვა:**
 - (i) მსესხებელი ვალდებულია საბანკო ბრუნვების მინ. 70% აწარმოოს სს „თიბისი ბანკში“.
 - (ii) მსესხებელმა არ უნდა დაუშვას მიმდინარე ბიზნეს საქმიანობისგან განსხვავებული ტრანზაქციის არსებობა მესამე პირთან.
 - (iii) მსესხებელმა არ უნდა შექმნას ან იქონიოს შვილობილი კომპანია (გარდა ხელშეკრულების გაფორმების მომენტში არსებულისა), ან დაუშვას სესხების ან ავანსების (გარდა ხელშეკრულების გაფორმების მომენტში არსებულისა) ან დეპოზიტების (გარდა მიმდინარე ბიზნეს საქმიანობის ფარგლებში რეპუტაბელურ ბანკში არსებული დეპოზიტებისა) არსებობა მესამე პირებთან, ან განახორციელოს ინვესტიციები სხვა კომპანიაში.
 - (iv) მსესხებელმა უნდა შეატყობინოს გამსესხებლებს ნებისმიერი ისეთი სასამართლო დავის, არბიტრაჟის, ადმინისტრაციული ან სისხლის სამართალწარმოების დეტალების შესახებ, რომელმაც შესაძლოა იქონიოს არსებითი უარყოფითი გავლენა მსესხებლის მიერ ვალდებულებების შესრულებაზე.
 - (v) მსესხებელმა უნდა შეატყობინოს გამსესხებლებს ნებისმიერი ისეთი ცვლილების შესახებ, რომელმაც შესაძლოა იქონიოს არსებითი უარყოფითი გავლენა მსესხებლის მიერ ვალდებულებების შესრულებაზე.

არაფინანსური კოვენანტების დარღვევის შესახებ ინფორმაცია იხილეთ სექციაში „კოვენანტების დარღვევის შესახებ ინფორმაცია“.

კოვენანტების დარღვევის შესახებ ინფორმაცია:

2025 წლის 30 ივნისის მდგომარეობით, კომპანია არღვევდა ფინანსური ინსტიტუტებიდან მიღებული სესხების გარკვეულ შეზღუდვებს - აღნიშნული სესხების ღირებულება შეადგენდა 45,721 ათას ლარს. კომპანიას კომუნიკაცია ჰქონდა ფინანსურ ინსტიტუტებთან და საანგარიშგებო პერიოდის ბოლომდე მიიღო პატიების წერილი, რომლის მიხედვითაც ბანკები არ მოითხოვდნენ სესხების ვადაზე ადრე დაფარვას ფინანსური და არაფინანსური პირობების დაუკმაყოფილებლობის შემთხვევაში. პროსპექტის დამტკიცების თარიღისთვის, „ემიტენტს“ კომერციულ ბანკთან მოლაპარაკების შედეგად გაეზრდებოდა დარღვეული კოვენანტის ზღვარი (Net Debt/EBITDA 3.0x-დან 3.5x-მდე), რაც უზრუნველყოფს იმას, რომ მომავალში მსგავსი დარღვევები თავიდან იქნეს აცილებული.

2024 წლის 31 დეკემბრის და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანია არღვევდა ფინანსური ინსტიტუტებიდან მიღებული სესხების გარკვეულ შეზღუდვებს. აღნიშნული სესხების ღირებულებას შეადგენდა 74,818 და 68,586 ათასი ლარი, შესაბამისად. აღნიშნული შეზღუდვების დარღვევა დაკავშირებული იყო მნიშვნელოვან რისკთან. კომპანიას კომუნიკაცია ჰქონდა ფინანსურ ინსტიტუტებთან და საანგარიშგებო პერიოდის ბოლომდე მიიღო პატიების წერილი, რომლის მიხედვითაც ბანკები არ მოითხოვდნენ სესხების ვადაზე ადრე დაფარვას ფინანსური და არაფინანსური პირობების დაუკმაყოფილებლობის შემთხვევაში.

ემიტენტის განცხადებით არაფინანსური კოვენანტების დარღვევას 2025 წლის, 2024 წლისა და 2023 წლის განმავლობაში ადგილი არ ჰქონია.

პროსპექტში ნაჩვენებია თარიღებისთვის, მათ შორის ბოლო ფინანსური წლისა და ამ თარიღიდან პროსპექტის შედგენამდე პერიოდის მანძილზე ემიტენტის მხრიდან სასესხო ხელშეკრულებით გათვალისწინებული პროცენტის ან/და ძირის გადაუხდელობას არ ჰქონია ადგილი;

„ემიტენტის“ განცხადებები

ემიტენტის განცხადებით გარდა ობლიგაციებით მოზიდული სახსრებისა, რომლითაც უნდა მოხდეს სასესხო ვალდებულებების რეფინანსირება, კაპიტალური დანახარჯებისა და საბრუნავი კაპიტალის დაფინანსება, პროსპექტის შედგენის თარიღისთვის არსებული ინფორმაციით კომპანიას არ გააჩნია დაზუსტებული ინფორმაცია ან/და შეფასება სხვა სამომავლო დაფინანსების საჭიროებასთან დაკავშირებით.

მარეგულირებელი გარემო

მარეგულირებელი კანონმდებლობის აღწერა

ზოგადი მიმოხილვა

შპს „ნოვა“ („ნოვა“ ან „კომპანია“) ქართულ ბაზარზე თავდაპირველად შემოვიდა სამშენებლო მასალების იმპორტისა და რეალიზაციის მიზნით, ხოლო შემდგომში მისი საქმიანობის სფერო გაფართოვდა და დაიწყო სამშენებლო და სარემონტო მასალების წარმოება. შესაბამისად, კომპანიის მართვისას გასათვალისწინებელია რიგი ტექნიკური რეგულაციებისა და სანებართვო დოკუმენტაციისა, რომელიც აუცილებელია კომპანიის საქმიანობისათვის. აღნიშნულთან ერთად, „ნოვა“ ექცევა ზოგადი საკანონმდებლო მოთხოვნების, მათ შორის მომხმარებელთა უფლებების დაცვის, ანტი-მონოპოლიური რეგულაციების, შრომითი რეგულაციების და „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი წესების ქვეშ, რომელიც ქვემოთ იქნება განხილული.

კომპანიისათვის რელევანტური საკანონმდებლო აქტების, ბრძანებებისა და დებულებების ჩამონათვალი:

1. საქართველოს კანონი „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ“;
2. საქართველოს კანონი „დემატერიალიზებული ფასიანი ქაღალდების ფლობის შესახებ“;
3. საქართველოს კანონი „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“;
4. საქართველოს კანონი „კონკურენციის შესახებ“;
5. საქართველოს შრომის კოდექსი;
6. საქართველოს კანონი „მეწარმეთა შესახებ“;
7. საქართველოს კანონი „რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ“;
8. საქართველოს კანონი „მომხმარებლის უფლებების დაცვის შესახებ“;
9. საქართველოს კანონი „პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი“;
10. საქართველოს კანონი „გარემოს დაცვის შესახებ“;
11. საქართველოს მთავრობის დადგენილება №539 ბაზარზე ზედამხედველობის წესისა და პროდუქტის რეალიზაციის შეჩერების, ბაზრიდან ამოღების, გამოთხოვისა და განადგურების წესის დამტკიცების შესახებ (2018 წლის 14 ნოემბერი);
12. საქართველოს მთავრობის დადგენილება №476 სამშენებლო პროდუქტების შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე (2018 წლის 1 ოქტომბერი);
13. საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის ბრძანება №172/04 საჯარო ფასიანი ქაღალდების ემიტენტებისათვის კორპორაციული მართვის კოდექსის დამტკიცების თაობაზე;
14. საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის ბრძანება №181/04 ემიტენტის შესახებ ინფორმაციის გამჭვირვალობისა და ემიტენტისათვის ფასიანი ქაღალდების რეგისტრატორის დანიშვნის წესის დამტკიცების თაობაზე;
15. საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის ბრძანება №180/04 ინსაიდერული ვაჭრობის, ინსაიდერული ინფორმაციის არამართლზომიერი გამჟღავნებისა და ბაზრის მანიპულაციასთან დაკავშირებული წესის დამტკიცების თაობაზე;
16. საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის ბრძანება №211 „კომპანიის ნარჩენების მართვის გეგმის განხილვისა და შეთანხმების წესის დამტკიცების შესახებ“.

ანგარიშვალდებულ საწარმოსთან დაკავშირებული მოთხოვნები

ობლიგაციების გამოშვების შემდეგ კომპანია გახდება ანგარიშვალდებულ საწარმო და ვალდებული იქნება შეასრულოს საჯარო ფასიანი ქაღალდების ემიტენტებისთვის დაწესებული რეგულაციები. საქართველოს ეროვნული ბანკი ანგარიშვალდებულ საწარმოს უდგენს ინფორმაციისა და წლიური ანგარიშგების წარდგენის მოთხოვნებს.

შეთავაზების გაკეთება

„ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ“ კანონი საჯარო შეთავაზებას განსაზღვრავს ისეთ შეთავაზებად, რომელიც წარდგენილია არანაკლებ 100 პირისთვის ან წინასწარ დაზუსტებული რაოდენობის პირთათვის ემიტენტის სახელით ფასიანი ქაღალდების პირდაპირი ან არაპირდაპირი მიყიდვის შესახებ. ემიტენტი საჯარო შეთავაზებისათვის განკუთვნილი ფასიანი ქაღალდების ემისიის პროსპექტის დასამტკიცებლად საქართველოს მიმართავს ეროვნულ ბანკს.

საჯარო ფასიანი ქაღალდი საქართველოში გამოშვებული და აღრიცხული უნდა იქნეს დემატერიალიზებული ფორმით, ცენტრალური დეპოზიტარის სისტემაში. „დემატერიალიზებული ფასიანი ქაღალდების ფლობის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, დემატერიალიზებული ფასიანი ქაღალდების მიღება და გადაცემა ხდება ანგარიშის მფლობელის ფასიანი ქაღალდების ანგარიშზე არსებული დემატერიალიზებული ფასიანი ქაღალდების დაკრედიტებით ან დადებეტებით.

ანგარიშის მწარმოებელი დემატერიალიზებულ ფასიან ქაღალდებს შეიძლება ფლობდეს მესამე პირის ან თავის სასარგებლოდ, ცენტრალურ დეპოზიტარში გახსნილ ანგარიშებზე, როგორც პირდაპირ, ისე არაპირდაპირ (სხვა ანგარიშის მწარმოებლის/ანგარიშის მწარმოებლების მეშვეობით).

ემიტენტი ვალდებულია დემატერიალიზებულ ფასიან ქაღალდზე დივიდენდის, პროცენტისა და ძირითადი თანხის გადახდის მიზნით შესაბამისი თანხა ხელმისაწვდომი გახადოს წინასწარ განსაზღვრულ საბანკო ანგარიშზე. მას შემდეგ, რაც მითითებული თანხა ხელმისაწვდომი გახდება, ემიტენტი თავისუფლდება შესაბამისი ვალდებულებისგან, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ყადაღის ან სხვა ვალდებულების უზრუნველყოფის ღონისძიების გამო აღნიშნული თანხის გამოყენება შეუძლებელი გახდება.

კორპორაციული მმართველობა, ანგარიშგება და ინფორმაციის საჯაროობა

საქართველოს ეროვნული ბანკი უფლებამოსილია სამართლებრივი აქტით დაადგინოს საჯარო ფასიანი ქაღალდების ემიტენტის კორპორაციული მართვისა და ანგარიშგების წარმოების განსხვავებული მოთხოვნები ან/და დამატებითი მოთხოვნები.

კორპორაციული მმართველობისა და აღნიშნულ პროცესში გამჭვირვალობის უზრუნველყოფის ფარგლებში, ანგარიშვალდებული საწარმოს სამეთვალყურეო საბჭოში უნდა შეიქმნას აუდიტის კომიტეტი, რომელმაც უნდა გააკონტროლოს ემიტენტის ფინანსური ანგარიშგების უტყუარობა, უზრუნველყოს შიდა კონტროლის სისტემის ეფექტიანობა და შიდა აუდიტის (ასეთი აუდიტის არსებობის შემთხვევაში) დამოუკიდებლობა, წარმართოს აუდიტორთან ურთიერთობა. ამასთან ანგარიშვალდებული საწარმოს აქციონერს უფლება აქვს, მიიღოს ინფორმაცია ანგარიშვალდებული საწარმოს დირექტორების ან დირექტორთა საბჭოს წევრებისა და სამეთვალყურეო საბჭოს წევრების მიერ საწარმოდან მიღებული ხელფასისა და სხვა შემოსავლების შესახებ.

ანგარიშგების ვალდებულების ფარგლებში, საჯარო ფასიანი ქაღალდების ემიტენტი ვალდებულია მოამზადოს, საქართველოს ეროვნულ ბანკს წარუდგინოს და გამოაქვეყნოს წლიური და ნახევარი წლის ანგარიში.

წლიური ანგარიში უნდა მოიცავდეს (i) აუდიტორის მიერ დადასტურებულ ფინანსურ ანგარიშგებას, (ii) მმართველობის ანგარიშგებას და (iii) ანგარიშვალდებული კომპანიის პასუხისმგებელი პირების (მათი ვინაობისა და მოვალეობების/უფლებამოსილებების სრულად და ნათლად მითითებით) განცხადებას „ფასიანი ქაღალდების შესახებ კანონის“, საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის ბრძანება №181/04-ის და „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ კანონის მოთხოვნების შესაბამისად.

ნახევარ-წლიური ანგარიში უნდა მოიცავდეს (i) ნახევარი წლის ფინანსურ ანგარიშგებას, (ii) შუალედურ მმართველობის ანგარიშგებას და (iii) ანგარიშვალდებული საწარმოს პასუხისმგებელი პირების (მათი ვინაობისა და მოვალეობების/უფლებამოსილებების სრულად და ნათლად მითითებით) განცხადებას „ფასიანი ქაღალდების შესახებ კანონის“, საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის ბრძანება №181/04-ის და „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ კანონის მოთხოვნების შესაბამისად.

ყოველგვარი გაურკვევლობის გამოსარიცხად, ხსენებული ანგარიშების გამოქვეყნება გულისხმობს „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული ანგარიშგების ვებგვერდზე (www.reportal.ge) განთავსებას. ასევე, ამგვარი ინფორმაცია შესაძლებელია ასევე განთავსდეს ემიტენტის, საფონდო ბირჟის ან საქართველოს ეროვნული ბანკის ვებ-გვერდის, სსიპ – საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს ან სხვა ისეთი საშუალებების გამოყენებით, რომელიც უზრუნველყოფს ინვესტორთათვის ინფორმაციის ხელმისაწვდომობას.

დამატებით, ანგარიშვალდებული საწარმო ვალდებულია გაასაჯაროს:

1. ნებისმიერი ცვლილება საჯარო ფასიანი ქაღალდის მფლობელის უფლებებთან დაკავშირებით, მათ შორის, ისეთი ცვლილებები ფასიანი ქაღალდის პირობებში, რომლებმაც შესაძლოა არაპირდაპირი გავლენა იქონიოს ფასიანი ქაღალდის მფლობელის უფლებებზე ან რომლებიც გამომდინარეობს სასესხო პირობებისა და საპროცენტო განაკვეთების ცვლილებიდან;
2. ინფორმაცია სასესხო ფასიანი ქაღალდის საპროცენტო განაკვეთის, პერიოდული გადახდების, კონვერტაციის/გადაცვლის, ყიდვის ან გაუქმების უფლების, ან დაფარვის შესახებ.

ამასთან, ანგარიშვალდებული საწარმო ვალდებულია უზრუნველყოს ყველა იმ პირობის შექმნა და იმ ინფორმაციის ხელმისაწვდომობა, რომელიც საჭიროა საჯარო ფასიანი ქაღალდების მფლობელთა უფლებების სათანადოდ განსახორციელებლად, აგრეთვე უზრუნველყოს მათთვის მიწოდებული მონაცემების მთლიანობა და ურთიერთშესაბამისობა.

ამასთან, საქართველოს ეროვნული ბანკი უფლებამოსილია ნებისმიერ დროს მოითხოვოს დამატებითი ინფორმაცია საჯარო ფასიანი ქაღალდების ანგარიშვალდებული საწარმოს შესახებ მისთვის წარსადგენი და გამოსაქვეყნებელი ანგარიშის თაობაზე.

საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის N 172/04 ბრძანებით დამტკიცდა საჯარო ფასიანი ქაღალდების ემიტენტებისთვის კორპორაციული მართვის კოდექსი. ამ კოდექსის თანახმად, ამ კოდექსითა და „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-7 პუნქტით განსაზღვრული ინფორმაცია წარმოდგენილი უნდა იყოს „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-3 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტისა და საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2020 წლის 7 ოქტომბრის №181/04 ბრძანებით დამტკიცებული „ემიტენტის შესახებ ინფორმაციის გამჭვირვალობისა და ემიტენტისათვის ფასიანი ქაღალდების რეგისტრატორის დანიშვნის წესის“ მე-3 მუხლის მე-4 და მე-5 პუნქტების შესაბამისად მომზადებულ საწარმოს წლიური ანგარიშის მმართველობით ანგარიშში. მითითებული მმართველობით ანგარიშთან ერთად, „კომპანია“ ასევე შეავსებს და საქართველოს ეროვნულ ბანკს წარუდგენს კორპორაციული მართვის კოდექსთან შესაბამისობის ანგარიშს მითითებული კოდექსის დანართი N1-3-ის შესაბამისად.

ინსაიდერული ვაჭრობის, ინსაიდერული ინფორმაციის არამართლზომიერი გამჟღავნებისა და ბაზრის მანიპულაციასთან დაკავშირებული საკითხები

საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის ბრძანება №180/04-ის თანახმად, საჯარო ფასიანი ქაღალდების ემიტენტს ეკისრება გარკვეული ვალდებულებები და შეზღუდვები ინსაიდერული ვაჭრობის, ინსაიდერული ინფორმაციის არამართლზომიერი გამჟღავნებისა და ბაზრის მანიპულაციასთან დაკავშირებით. ამასთან, აღნიშნული ბრძანება აწესებს (i) ანგარიშვალდებული საწარმოს მიერ ინსაიდერული ინფორმაციის გამოქვეყნებასთან დაკავშირებულ მოთხოვნებს და ინსაიდერული ინფორმაციის მფლობელი პირების შესახებ ჩანაწერის წარმოების ვალდებულებას და (ii) ანგარიშვალდებული საწარმოს მმართველობითი ფუნქციის მქონე პირების გარიგებებთან დაკავშირებით ანგარიშვალდებული საწარმოსთვის და საქართველოს ეროვნული ბანკისთვის ინფორმაციის წარდგენის ვალდებულებას.

აღნიშნული ბრძანება დამატებით აწესრიგებს საქართველოს ეროვნული ბანკისთვის ინსაიდერულ ვაჭრობასა და ბაზრის მანიპულაციასთან დაკავშირებული ინფორმაციის შეტყობინების ვადებს, ფორმებსა და პროცედურას და ადგენს იმ ქმედებათა საილუსტრაციო ჩამონათვალს, რომლებიც არ ჩაითვლება ინსაიდერულ ვაჭრობად, ინსაიდერული ინფორმაციის არამართლზომიერ გამჟღავნებად ან/და ბაზრის მანიპულაციად.

კონკურენციის არამართლზომიერი შეზღუდვის ამკრძალავი რეგულაციები

თავისუფალი და სამართლიანი კონკურენციის არამართლზომიერი შეზღუდვისგან დაცვის პრინციპების დაცვაზე ზედამხედველობას ახორციელებს საქართველოს კონკურენციისა და მომხმარებლის დაცვის სააგენტო („კონკურენციის სააგენტო“) და საქართველოს ეროვნული ბანკი „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის („კონკურენციის შესახებ კანონი“) საფუძველზე. კონკურენციის შესახებ კანონის ძირითად მიზანს წარმოადგენს, მათ შორის, ეკონომიკური აგენტების საქმიანობაში თანასწორუფლებიანობის პრინციპების დაცვა, ბაზარზე ეკონომიკური აგენტის თავისუფალი დაშვებისთვის სათანადო პირობების შექმნის უზრუნველყოფა, ეკონომიკური აგენტის მიერ კონკურენციის არამართლზომიერი შეზღუდვის დაუშვებლობა, კერძოდ, დომინანტური მდგომარეობის ბოროტად გამოყენების, კონკურენციის შემზღუდველი ხელშეკრულების, გადაწყვეტილებისა და შეთანხმებული ქმედების აკრძალვა და იმ კონცენტრაციის დაუშვებლობა, რომელიც არსებითად ზღუდავს ეფექტიან კონკურენციას.

კონკურენციის შესახებ კანონი კონკურენციის სააგენტოს ანიჭებს უფლებამოსილებას საჭიროების შემთხვევაში შეაფასოს ეკონომიკური აგენტის (ან აგენტების) დომინანტური მდგომარეობა ბაზარზე და, აღნიშნულის დადგენის შემთხვევაში, კრძალავს დომინანტური მდგომარეობის ბოროტად გამოყენებას.

კონკურენციის სააგენტოს უფლებამოსილებებში შედის ეკონომიკურ აგენტებს შორის ისეთი შეთანხმების დადების შეფასება, რამაც შეიძლება პირდაპირ ან არაპირდაპირ შეზღუდოს ბაზარზე კონკურენცია. აღნიშნულის მიზნებისთვის, კონკურენციის შეზღუდვა შეიძლება გულისხმობდეს არასამართლიანი ფასის ან სხვა სავაჭრო პირობების პირდაპირ ან არაპირდაპირ დადგენას, წარმოების, ბაზრის ან ტექნოლოგიური განვითარების მომხმარებლის ინტერესების საზიანოდ შეზღუდვას, ბაზრების ან მიწოდების წყაროების მომხმარებლის, ტერიტორიული ან სხვა ნიშნით განაწილებას და გარიგების დასაღებად მხარისთვის ისეთი დამატებითი პირობების დადგენას/ვალდებულების დაკისრებას, რომელსაც გარიგების საგანთან საგნობრივი და კომერციული კავშირი არ აქვს.

კონკურენციის სააგენტო უფლებამოსილია მითითებული წესის დარღვევის შემთხვევაში ეკონომიკურ აგენტს დააკისროს ჯარიმა, რომლის ოდენობაც არ აღემატება წინა ფინანსური წლის განმავლობაში ეკონომიკური აგენტის ერთობლივი შემოსავლის 5%-ს, რაც შეიძლება გაიზარდოს 10%-მდე განმეორებითი დარღვევის შემთხვევაში. შესაბამისი ეკონომიკური აგენტი უფლებამოსილია კონკურენციის სააგენტოს გადაწყვეტილება გაასაჩივროს სასამართლოში.

შრომითი რეგულაციები

„ნოვა“ როგორც დამსაქმებელი ექცევა შრომის შესახებ კანონმდებლობის რიგი რეგულაციების ქვეშ. საქართველოს ორგანული კანონი საქართველოს შრომის კოდექსი („შრომის კოდექსი“) დამსაქმებელს უწესებს მოთხოვნებს, რომელიც სავალდებულოდ შესასრულებელია. შრომის კოდექსის წესების დაცვის ზედამხედველობას უწევს შრომის ინსპექციის სამსახური, რომელიც ქვემოთ მითითებული მინიმალური ვალდებულებების დარღვევის შემთხვევაში უფლებამოსილია გაუწიოს მონიტორინგი სამუშაო პირობებს და, საჭიროების შემთხვევაში, დააწესოს შესაბამისი სანქციები ადმინისტრაციული სახდელის დაკისრების სახით.

შრომითი ურთიერთობის ვადა და სამუშაო საათები

იმ შემთხვევაში თუ შრომითი ურთიერთობა მხარეთა შორის გაგრძელდება 1 თვეზე მეტი ვადით, შრომის კოდექსი დამსაქმებელს ავალდებულებს შრომითი ხელშეკრულების წერილობითი ფორმით გაფორმებას. იმ შემთხვევაში, თუ

ხელშეკრულების ვადა 30 თვეზე მეტია, მიიჩნევა, რომ მხარეთა შორის გაფორმებულია უვადო შრომითი ხელშეკრულება. დამსაქმებელი უფლებამოსილია დასაქმებულს დაუწესოს გამოსაცდელი ვადა ერთჯერადად, მაქსიმუმ 6 თვის განმავლობაში. შრომის კოდექსი უშვებს არა ანაზღაურებად სტაჟირებასაც. შრომის კოდექსით დაწესებული მაქსიმალური სამუშაო დრო წარმოადგენს 40 საათს, ხოლო სამუშაო დღეებს/ცვლებს შორის დასაქმებულის უწყვეტი დასვენების ხანგრძლივობა არ უნდა იყოს 12 საათზე ნაკლები.

შრომის კოდექსი უშვებს ზეგანაკვეთური სამუშაოს შესაძლებლობასაც. ზეგანაკვეთური სამუშაო ანაზღაურდება შრომის ანაზღაურების საათობრივი განაკვეთის გაზრდილი ოდენობით, რომელზეც დამსაქმებელი და დასაქმებული შეთანხმდებიან ინდივიდუალურად.

კოდექსი ასევე განსაზღვრავს მძიმე, მავნე ან საშიშპირობებიან სამუშაო პირობებში დასაქმებული პირების სამუშაო დროებს. ასეთ შემთხვევაში დასაქმებული პირისათვის 24 საათის განმავლობაში ღამის სამუშაოზე მაქსიმალური სამუშაო დრო არ უნდა აღემატებოდეს 8 საათს.

შვებულება

დასაქმებულს აქვს საკანონმდებლო მინიმუმით დადგენილი ანაზღაურებადი შვებულება - წელიწადში 24 სამუშაო დღე, და ანაზღაურებადი შვებულება - 15 კალენდარული დღე და დამატებითი ანაზღაურებადი შვებულება - წელიწადში 10 კალენდარული დღე.

შრომითი ურთიერთობის შეჩერება/შეწყვეტა

შრომის კოდექსი არეგულირებს შრომითი ურთიერთობის შეჩერებას და შეწყვეტას. ასეთი საფუძვლებია, მათ შორის, გაფიცვა, ლოკაუტი, შვებულება ან/და პროფესიული გადამზადება. შრომითი ურთიერთობის შეწყვეტა შესაძლებელია განხორციელდეს, მათ შორის, მხარეთა წერილობითი შეთანხმების, შრომითი ხელშეკრულების ვადის გასვლის, დასაქმებულის კვალიფიკაციის სამუშაოსთან შეუსაბამობის საფუძველით. რიგ შემთხვევებში კი დასაქმებული ვალდებულია 1 თვით ადრე გააფრთხილოს დასაქმებული შრომითი ურთიერთობის შეწყვეტასთან დაკავშირებით.

შრომის უსაფრთხოება

შრომის უსაფრთხოებას შრომის კოდექსთან ერთად არეგულირებს საქართველოს ორგანული კანონი შრომის უსაფრთხოების შესახებ. აღნიშნული კანონის მიზანია იმ ძირითადი მოთხოვნებისა და პრევენციული ღონისძიებების ზოგადი პრინციპების განსაზღვრა, რომლებიც უკავშირდება სამუშაო ადგილზე შრომის უსაფრთხოების საკითხებს, არსებულ და მოსალოდნელ საფრთხეებს, უბედური შემთხვევებისა და პროფესიული დაავადებების თავიდან აცილებას, დასაქმებულთა სწავლებას, მათთვის ინფორმაციის მიწოდებასა და კონსულტაციის გაწევას და შრომის უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის დაცვის საკითხებში დასაქმებულთა თანაბარ მონაწილეობას.

დამსაქმებელი ვალდებულია დასაქმებულს გონივრულ ვადაში მიაწოდოს მის ხელთ არსებული სრული, ობიექტური და გასაგები ინფორმაცია ყველა ფაქტორის შესახებ, რომლებიც მოქმედებს დასაქმებულის სიცოცხლესა და ჯანმრთელობაზე ან ბუნებრივი გარემოს უსაფრთხოებაზე. კომპანიები, რომლებიც ახორციელებენ საქართველოს მთავრობის დადგენილებით განსაზღვრულ მომეტებული საფრთხის შემცველ მძიმე, მავნე ან საშიშპირობებიან სამუშაოებს, ვალდებული არიან განახორციელონ საქმიანობის ეკონომიკურ საქმიანობათა რეესტრში რეგისტრაცია. რეგისტრაციის ვალდებულებასთან ერთად, კანონმდებლობა დამსაქმებელს ავალდებულებს საკუთარი ხარჯებით დასაქმებულის უბედური შემთხვევის დაზღვევით უზრუნველყოფა, საჭიროების შემთხვევაში დაიქირაოს შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი და აწარმოოს შრომის უსაფრთხოებასთან დაკავშირებული რიგი პოლიტიკებისა. შრომის უსაფრთხოების შესახებ კანონის მიხედვით, დამსაქმებელს, რომელსაც 20 ან ნაკლები დასაქმებული ჰყავს, შეუძლია პირადად შეასრულოს შრომის უსაფრთხოების სპეციალისტის პროფესიული მოვალეობები იმ პირობით, რომ მას გავლილი აქვს შესაბამისი მუხლის მე-6-ე პუნქტით გათვალისწინებული აკრედიტებული პროგრამა. თუ დამსაქმებელს 20-დან 100-მდე დასაქმებული ჰყავს, იგი ვალდებულია ჰყავდეს არანაკლებ 1 შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი, ხოლო 100 ან მეტი დასაქმებულის ყოლის შემთხვევაში დამსაქმებელი ვალდებულია შექმნას შრომის უსაფრთხოების

სამსახური არანაკლებ 2 შრომის უსაფრთხოების სპეციალისტით. კომპანია, ისევე როგორც მისი შვილობილები, ვალდებული არიან დაიცვან კანონმდებლობის აღნიშნული მოთხოვნები დასაქმებულთა რაოდენობიდან გამომდინარე.

შრომითი ურთიერთობის მარეგულირებელი ორგანოს წარმოადგენს სსიპ შრომის ინსპექციის სამსახური, რომელიც საკუთარი ინიციატივის ან/და განცხადების საფუძველზე ამოწმებს დამსაქმებელს და მოქმედ სამუშაო რეგულაციებსა და გარემოს. შრომის ინსპექციის სამსახური, იმ შემთხვევაში, თუ დაადგენს კანონმდებლობასთან შეუსაბამობას, უფლებამოსილია აიძულოს დამსაქმებელი განახორციელოს რიგი მოქმედებებისა, რომელიც აღადგენს დასაქმებულის სამართლებრივ მდგომარეობას.

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების მართვის წესები

საქართველოს კანონი „მეწარმეთა შესახებ“, კომპანიის წესდებასთან ერთად, განსაზღვრავს კომპანიის ძირითად სამეწარმეო მარეგულირებელ ჩარჩოს. აღნიშნული კანონი აწესრიგებს მეწარმის სამართლებრივ ფორმებს, მათი დაფუძნების პროცედურებს, საქმიანობასთან დაკავშირებულ საკითხებს და ლიკვიდაციის წესებს.

საქართველოს კანონმდებლობის თანახმად, მეწარმის რეგისტრაცია სავალდებულოა მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრში („საჯარო რეესტრი“). თავდაპირველ რეგისტრაციასთან ერთად, სავალდებულოა, აგრეთვე, მეწარმის რეგისტრირებულ მონაცემებში ნებისმიერი ცვლილების/გაუქმების რეგისტრაცია. საჯარო რეესტრში მითითებული ინფორმაცია საჯაროა და პრეზუმირებად ითვლება, რომ უტყუარი და სრულია.

საწარმოს პარტნიორები საზოგადოებას საკუთრებაში მათ ქონებას გადასცემენ შენატანის სახით, რომელიც შეიძლება იყოს როგორც ფულადი, მატერიალური ან არამატერიალური ქონებრივი სიკეთე. „მეწარმეთა შესახებ“ კანონი აწესებს დივიდენდის გაცემის აკრძალვაზე შეზღუდვას. კანონმდებლობა სამეწარმეო საზოგადოებისთვის ასევე ითვალისწინებს გარდაქმნის (ერთი სამართლებრივი ფორმიდან მეორე სამეწარმეო ფორმად გარდაქმნა), შერწყმას და გაყოფას.

კანონმდებლობა აწესრიგებს სამეწარმეო საზოგადოების დაშლის, ლიკვიდაციისა და რეგისტრაციის გაუქმების საკითხებს. კერძოდ, სამეწარმეო საზოგადოების დაშლა შეიძლება განხორციელდეს, მათ შორის, პარტნიორთა გადაწყვეტილების და სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების საფუძველზე. სასამართლო აღნიშნულთან დაკავშირებით გადაწყვეტილებას იღებს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დადგინდება, რომ სახეზეა მნიშვნელოვანი საფუძველი, რომელიც კანონით განისაზღვრება 2 ძირითად შემთხვევად, კერძოდ, თუ ერთ-ერთმა პარტნიორმა განზრახ ან უხეში გაუფრთხილებლობით დაარღვია კანონით ან წესდებით მისთვის დაკისრებული არსებითი მოვალეობა, ან თუ პარტნიორი მოვალეობას ვეღარ ასრულებს და სამეწარმეო საზოგადოების მიზანი ვეღარ მიიღწევა. დაშლის შემდგომი ეტაპია საზოგადოების ლიკვიდაცია. აღნიშნულ ეტაპზე პროცესში ერთვებიან საწარმოს ლიკვიდატორები, რომელიც შეიძლება იყოს როგორც ხელმძღვანელი, ასევე ნებისმიერი სხვა პირი. ამასთან, პროცესში აუცილებელია, რომ განხორციელდეს კრედიტორების შეტყობინება ლიკვიდაციის შესახებ. ლიკვიდაციის პროცესი სრულდება საზოგადოების ქონების სრულად განაწილების შემდეგ. საბოლოო ეტაპზე ლიკვიდატორები მიმართავენ საჯარო რეესტრს ლიკვიდაციის რეგისტრაციის მოთხოვნით.

„მეწარმეთა შესახებ“ კანონის მიხედვით გამოიყოფა სამეწარმეო საზოგადოების არსებობის შეწყვეტის სამი სტადია:

- › საზოგადოების დაშლა
- › საზოგადოების ლიკვიდაცია
- › რეგისტრაციის გაუქმება

საზოგადოების დაშლა

კანონი ითვალისწინებს საზოგადოების ნებაყოფლობით დაშლას პარტნიორთა გადაწყვეტილებით ან წესდებით გათვალისწინებულ შემთხვევებში და იძულებით დაშლას სასამართლოს გადაწყვეტილებით. კანონი შესაძლებლობას აძლევს პარტნიორს, მიმართოს სასამართლოს და მოითხოვოს საზოგადოების დაშლა. კანონი შესაძლებლობას აძლევს სხვა პარტნიორებს, თავიდან აიცილონ საზოგადოების დაშლა განმცხადებელი პარტნიორისთვის წილის სამართლიან ფასად გამოსყიდვის შეთავაზებით.

საზოგადოების ლიკვიდაცია

საზოგადოების დაშლის შემდგომ იწყება ლიკვიდაციის პროცესი. ლიკვიდატორის დანიშვნის და მისი უფლებამოსილების, ლიკვიდაციის პროცესის დაწყების შესახებ საჯარო შეტყობინების, კრედიტორთა დაცვის და ქონების განაწილების საკითხებთან ერთად გათვალისწინებულია ასევე სამეწარმეო საზოგადოების საფირმო სახელწოდებაზე დამატების „ლიკვიდაციის პროცესში“ დართვის ვალდებულება.

საზოგადოების რეგისტრაციის გაუქმება

კანონის თანახმად, ვალდებულებების დაფარვის და დარჩენილი ქონების პარტნიორთა შორის ქონების სრულად განაწილება იწვევს ლიკვიდაციის დასრულებას, რაც საზოგადოების რეგისტრაციის გაუქმების წინაპირობაა. ისეთ შემთხვევაში, როდესაც რეგისტრაციის გაუქმების შემდეგ აღმოჩნდება, რომ საზოგადოებას დარჩა ქონება, ან აუცილებელია დამატებითი სალიკვიდაციო მოქმედებების განხორციელება, ხდება ლიკვიდაციის პროცესის განახლება და სასამართლო ნიშნავს ლიკვიდატორს ლიკვიდაციის პროცესის ბოლომდე მისაყვანად.

გადახდისუუნარობის შესახებ კანონმდებლობა

„მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად დაფუძნებული საწარმოს გადახდისუუნარობის საკითხებს (გარდა ინდივიდუალური მეწარმისა) აწესრიგებს საქართველოს კანონი „რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ“. გადახდისუუნარობის საქმის წარმოების დაწყების საფუძველს წარმოადგენს მოვალის გადახდისუუნარობა ან მოსალოდნელი გადახდისუუნარობა. საქმის წარმოება შეიძლება განხორციელდეს რეაბილიტაციის ან გაკოტრების რეჟიმით. პროცესში სავალდებულოა გადახდისუუნარობის პრაქტიკოსის მონაწილეობა. საწარმოს პასუხისმგებლობა გადახდისუუნარობის პროცესში მოიცავს მთელ ქონებას, რომელიც მას ეკუთვნის გადახდისუუნარობის შესახებ განცხადების დასაშვებად ცნობის მომენტისთვის, გარდა პირობადებული საკუთრების ობიექტისა ან ლიზინგის საგნისა.

გადახდისუუნარობის საქმის წარმოებისას დგება კრედიტორთა რეესტრი, ხოლო საქმის წარმოების დაწყების პარალელურად ამოქმედდება მორატორიუმი, რომელიც გულისხმობს, მათ შორის, ჩერდება მოვალის ქონების წინააღმდეგ მიმდინარე იძულებითი აღსრულების ღონისძიებები, აღსრულების უზრუნველყოფის ღონისძიებები და ჯარიმების და საურავების დარიცხვა/გადახდა. დაუშვებელია დივიდენდის განაწილება, საწარმოს რეორგანიზაციის ან ლიკვიდაციის შესახებ გადაწყვეტილების მიღება, ახალი ვალდებულებების აღება, პირგასამტეხლოს დარიცხვა და გადახდა.

გადახდისუუნარობის საქმის წარმოება შესაძლოა დასრულდეს რეგულირებული შეთანხმების დადებით, რომელიც ფორმდება მოვალესა და კრედიტორ(ებ)ს შორის, რომლის ფარგლებშიც თითოეული კრედიტორი მინიმუმ იმდენს მიიღებს, რამდენსაც მოვალის გაკოტრებისას მიიღებდა, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც კრედიტორი რეგულირებული შეთანხმების ფარგლებში სხვაგვარ დაკმაყოფილებაზე თანახმაა. რეგულირებული შეთანხმების გაფორმებით ნარჩუნდება მოვალე, როგორც მოქმედი საწარმო და არ იწყება საწარმოს ლიკვიდაციის პროცესი.

იმ შემთხვევაში, თუ გადახდისუუნარობის საქმეში მოთხოვნილი იქნება რეაბილიტაცია, საქმის წარმოების ფარგლებში დაიწყება რეაბილიტაციის გეგმის დამტკიცება, რომლის ძირითად მიზანს წარმოადგენს საწარმოს მოქმედების შენარჩუნებასთან ერთად კრედიტორული მოთხოვნების სრულად დაკმაყოფილება და იმაზე უკეთესი შედეგის

მიღწევა, ვიდრე ეს შესაძლებელი იქნებოდა მოვალის გაკოტრებისას. რეაბილიტაციის რეჟიმში მოვალის საქმიანობასა და ქონებას მართავს მართვაში მყოფი მოვალე, ზოგიერთ შემთხვევაში რეაბილიტაციის ზედამხედველის მეთვალყურეობის ქვეშ.

იმ შემთხვევაში, თუ გადახდისუუნარობის საქმეში მოთხოვნილი იქნება გაკოტრება, საქმის წარმოების ფარგლებში რეალიზდება საწარმოს მთელი ქონება, რომელიც მას ეკუთვნის გადახდისუუნარობის შესახებ განცხადების დასაშვებად ცნობის მომენტისთვის. გაკოტრების რეჟიმის გახსნისას ინიშნება გაკოტრების მმართველი, რომელიც უფლებამოსილია ქონების რეალიზაცია კანონმდებლობით დაშვებული ნებისმიერი ფორმით, ერთიანი კომპლექსის სახით, ან ნაწილ-ნაწილ.

გაკოტრების შემთხვევაში კომპანიის აქტივები გაიყიდება კანონით გათვალისწინებული რეალიზაციის ნებისმიერი ფორმით (რაც შეიძლება იყოს აუქციონი ან აქტივების პირდაპირი გაყიდვა, ერთიანი კომპლექსის სახით ან ნაწილ-ნაწილ) და კრედიტორები (რაც ასევე მოიცავს ობლიგაციების მფლობელებს) დაკმაყოფილდებიან კანონმდებლობით გათვალისწინებული რიგითობის მიხედვით:

1. პირველი რანგი - გაკოტრების რეჟიმის ხარჯები. აღნიშნული მოიცავს: ა) საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის V თავით გათვალისწინებული პროცესის ხარჯებს; ბ) გაკოტრების მმართველის ანაზღაურებას; გ) საქმის წარმოებასთან დაკავშირებული ხარჯი, მათ შორის, გაკოტრების საქმის წარმოების პროცესში წარმოშობილი შრომითი ურთიერთობიდან გამომდინარე ხარჯი, ქონების მართვის ხარჯი, აგრეთვე მმართველის გადაწყვეტილებით შესყიდული სხვადასხვა პროფესიული მომსახურების ხარჯს;
2. მეორე რანგი - სასამართლოს მიერ გადახდისუუნარობის შესახებ განცხადების დასაშვებად ცნობისა და გაკოტრების რეჟიმის გახსნის თაობაზე განჩინების გამოტანის შემდეგ მოვალის მიმართ წარმოშობილი დავალიანება, მათ შორის, გაკოტრების საქმის წარმოების დაწყების შემდეგ წარმოშობილი საგადასახადო ვალდებულებები;
3. მესამე რანგი - კრედიტორთა ჯგუფები – შემდეგი თანამიმდევრობით:
 - 3.1. პრეფერენციული მოთხოვნები;
 - 3.2. პრეფერენციული საგადასახადო მოთხოვნები;
 - 3.3. არაუზრუნველყოფილი მოთხოვნები, მათ შორის, გადახდისუუნარობის შესახებ განცხადების დასაშვებად ცნობამდე წარმოშობილი საგადასახადო თანხა, რომლებსაც ამ პუნქტის სხვა ქვეპუნქტები არ მოიცავს;
 - 3.4. მოთხოვნები, რომლებიც წარმოშობილია გადახდისუუნარობის შესახებ განცხადების დასაშვებად ცნობამდე არსებულ ვალდებულებებზე დარიცხული პროცენტებისა და ჯარიმების სახით, ადმინისტრაციული ჯარიმები და ადმინისტრაციული სამართალდარღვევებიდან გამომდინარე სხვა ფულადი ვალდებულებები, საქართველოს საგადასახადო კოდექსის შესაბამისად დარიცხული ჯარიმები და საურავები;
 - 3.5. არაპრივილეგირებული მოთხოვნები;
 - 3.6. კორპორაციული ურთიერთობიდან წარმოშობილი ვალდებულებები (დივიდენდის გადახდა, აქციათა გამოსყიდვა, შენატანის დაბრუნება).

გადახდისუუნარობის მასა პროპორციულობის პრინციპის დაცვით უნდა განაწილდეს. ყოველი მომდევნო რიგის კრედიტორთა მოთხოვნები დაკმაყოფილდება წინა რიგის კრედიტორთა მოთხოვნების სრულად დაკმაყოფილების შემდეგ, თუ სხვა ცვლილება არ არის გათვალისწინებული ყველა კრედიტორის შეთანხმებით, რომლებზედაც ეს ცვლილება გავლენას მოახდენს.

ზემოაღნიშნული რიგითობა არ შეეხება ფინანსურად უზრუნველყოფილ მოთხოვნებს, რომლებიც პრიორიტეტულად დაკმაყოფილდება სწორედ ამ უზრუნველყოფის საშუალებით, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. თუ უზრუნველყოფის საგნად გამოყენებული ნივთის რეალიზაციის შემთხვევაში მისი რეალიზაციით ამონაგები თანხა პირველი რიგის კრედიტორის მოთხოვნას აღემატება, ნამეტი თანხით დაკმაყოფილდება ამავე ნივთზე

რეგისტრირებული ყოველი მომდევნო რიგის უზრუნველყოფილი კრედიტორის მოთხოვნა საქართველოს სამოქალაქო კოდექსით დადგენილი წესით, ხოლო დარჩენილი თანხა გადახდისუუნარობის მასაში მიიმართება. იმ უზრუნველყოფილი კრედიტორის მოთხოვნის საფუძველზე, რომლის მოთხოვნაც ვერ დაკმაყოფილდა უზრუნველყოფის საგნის შესაბამისად რეალიზაციით ამონაგები თანხის არასაკმარისი ოდენობის გამო, მოთხოვნის დაუკმაყოფილებელი ნაწილი აისახება არაუზრუნველყოფილი მოთხოვნების რიგში, შესაბამისად, მისი დაკმაყოფილება მოხდება არაუზრუნველყოფილ კრედიტორთა ჯგუფის რიგითობის შესაბამისად.

მომხმარებელთა უფლებები

საქართველოს კანონი „მომხმარებლის უფლებების დაცვის შესახებ“ განსაზღვრავს იმ მომხმარებლების უფლებების დაცვის ზოგად პრინციპებს, რომელიც სამართლებრივ ურთიერთობას ამყარებს მოვაჭრესთან მისი საქონლის ან მომსახურების პირადი მოხმარების მიზნით გამოსაყენებლად. „ნოვა“ როგორც სავაჭრო ობიექტი ვალდებულია სრულ შესაბამისობაში იყოს დაწესებულ მოთხოვნებთან.

ინფორმაციის მიწოდება

კანონმდებლობა მოვაჭრეს ავალდებულებს მომხმარებლისათვის საქართველოს სახელმწიფო ენაზე, მკაფიოდ და გასაგებად მიაწოდოს შემდეგი სახის ინფორმაცია: ინფორმაცია საქონლის ან მომსახურების დასახელების, მწარმოებლისა და საქონლის ან მომსახურების შესაბამისი არსებითი მახასიათებლების შესახებ, ინფორმაცია მოვაჭრის ვინაობის (სახელწოდების), მისამართის და საკონტაქტო ინფორმაციის შესახებ, ინფორმაცია საქონლის შეცვლის, შეკეთებისა და ტექნიკური მომსახურების ობიექტის დასახელების შესახებ (ასეთის არსებობის შემთხვევაში), ინფორმაცია გადახდის, საქონლის ან მომსახურების მიწოდებისა და ვალდებულების შესრულების პირობების შესახებ და ინფორმაცია მოვაჭრის მიერ მომხმარებლის მოთხოვნის განხილვის წესის თაობაზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში), და ინფორმაცია ხელშეკრულებაზე უარის თქმის პირობების შესახებ (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

მოვაჭრე ასევე ვალდებულია უზრუნველყოს საქონელზე ან მომსახურებაზე გასაყიდი ფასისა და ერთეულის ფასის მკაფიო და გასაგები ფორმით მითითება. ასეთი მითითება აუცილებელი არ არის, თუ საქონელი მომსახურების ნაწილია. მოვაჭრეს ეკრძალება, საგადახდო ინსტრუმენტის გამოყენებისთვის მომხმარებელს იმაზე მეტი საფასური გადაახდევინოს, ვიდრე თვითონ იხდის.

საქონლის შემთხვევით დალუპვის ან გაფუჭების რისკი, ნაკლიანი საქონელი

კანონმდებლობა აწესრიგებს საქონლის შემთხვევით დალუპვის ან გაფუჭების რისკს. გაყიდული საქონლის მომხმარებლისთვის გადაცემისას მასზე გადადის საქონლის შემთხვევით დალუპვის ან გაფუჭების რისკი, თუ მხარეები სხვა რამეზე არ შეთანხმდებიან.

იმ შემთხვევაში, თუ საქონელი ნაკლის მქონე აღმოჩნდა, მომხმარებელი უფლებამოსილია მოვაჭრეს მოსთხოვოს ნაკლის აღმოფხვრა (შეკეთებით, შეცვლით ან ფასის შემცირებით) ან გავიდეს ნივთის ან/და მომსახურების შეძენის შესახებ ხელშეკრულებიდან. ამასთან, კანონმდებლობა აწესებს პრეზუმფციას, რომლის მიხედვითაც იმ შემთხვევაში, თუ მომხმარებელმა საქონლის ნაკლი საქონლის მფლობელობაში მიღებიდან 6 თვის განმავლობაში აღმოაჩინა, საწინააღმდეგოს დამტკიცებამდე იგულისხმება, რომ ნაკლი არსებობდა საქონლის მიწოდებისას, თუ, საქონლის ბუნებიდან ან ნაკლის ხასიათიდან გამომდინარე, ეს შესაძლებელია.

საქართველოს კანონი „მომხმარებლის უფლებების დაცვის შესახებ“ განსაზღვრავს იმ კონკრეტულ შემთხვევებს, როდესაც მომხმარებელს არ აქვს უფლება უარი თქვას ნივთის ან/და მომსახურების შეძენის შესახებ ხელშეკრულებაზე, კერძოდ, ასეთი შემთხვევებია, მათ შორის: როდესაც მოვაჭრემ გათვალისწინებული მომსახურება სრულად გასწია, მან მომსახურების გაწევა მომხმარებლის წინასწარი თანხმობით დაიწყო და მომხმარებელმა იცოდა, რომ მომსახურების სრულად მიღების შემთხვევაში დაკარგავდა ხელშეკრულებაზე უარის თქმის უფლებას, ასევე, ისეთ შემთხვევაში, როდესაც მიწოდებული საქონელი ან მომსახურება მომხმარებლის ინდივიდუალური შეკვეთით არის დამზადებული

ან აშკარად მის პირად საჭიროებებზეა მორგებული, ან მაშინ, როდესაც მომხმარებელს მიეწოდა ჰერმეტიკულად დაცული საქონელი, მისი ჰერმეტიკულობა მიწოდების შემდეგ დაირღვა და, ამდენად, საქონლის დაბრუნება შეუძლებელია ჯანმრთელობის ან ჰიგიენური ნორმების დაცვის გამო.

ნაყიდი საქონლის დაბრუნება

იმ შემთხვევაში, თუ მომხმარებელი უფლებამოსილია უარი თქვას ნივთის ან/და მომსახურების შეძენის ხელშეკრულებაზე, რა შემთხვევაშიც მოვაჭრე ვალდებულია მომხმარებელს გადახდილი თანხა, აგრეთვე არსებობის შემთხვევაში – მიწოდების ხარჯის ასანაზღაურებლად გადახდილი თანხა დაუბრუნოს სრულად, გაჭიანურების გარეშე, ხელშეკრულებაზე უარის თქმის შესახებ შეტყობინების მიღებიდან არაუგვიანეს 14 კალენდარული დღისა იმავე საშუალებებით, რომლებიც მომხმარებელმა გამოიყენა, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მომხმარებელი გადახდის სხვა საშუალების გამოყენებაზე თანხმობას განაცხადებს და მას დამატებითი ხარჯი არ წარმოეშობა. ასეთ დროს, მოვაჭრე უფლებამოსილია უარი თქვას თანხის დაბრუნებაზე მანამ, სანამ საქონელს არ დაიბრუნებს ან მომხმარებლისგან არ მიიღებს საქონლის გაგზავნის დამადასტურებელ დოკუმენტს.

სტანდარტული პირობები

კანონმდებლობა ითვალისწინებს სტანდარტული პირობების არსებობას, თუმცა კრძალავს რიგი დებულებების გათვალისწინებას. ასეთი პირობებია, მათ შორის, დებულება, რომელიც მომხმარებელს ავალდებულებს, შეასრულოს ხელშეკრულების პირობა მაშინ, როდესაც მოვაჭრის მიერ ვალდებულების შესრულება მხოლოდ მის ნებაზე დამოკიდებული პირობის დადგომით არის განპირობებული, დებულება, რომელიც მოვაჭრეს ათავისუფლებს ვალდებულებისგან, მომხმარებელს თავისი ვალდებულების შესასრულებლად დამატებითი ვადა განუსაზღვროს ან დებულება, რომელიც მოვაჭრეს უფლებას ანიჭებს, ცალმხრივად თქვას უარი ხელშეკრულებაზე მაშინ, როდესაც მომხმარებელს არ ეძლევა ასეთივე უფლებით სარგებლობის შესაძლებლობა.

მომხმარებელთა უფლებების დამცველი ორგანო

„მომხმარებლის უფლებების დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის დარღვევის შესახებ მომხმარებელი უფლებამოსილია მიმართოს კონკურენციის სააგენტოს. ასეთი განცხადების წარდგენის შემთხვევაში კონკურენციის სააგენტომ შესაძლებელია დაიწყოს საქმის წარმოება, და მოვაჭრის წინააღმდეგ გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში მოითხოვს დარღვეული უფლების აღდგენას ან/და მოვაჭრის მიერ აკრძალული ქმედების შეწყვეტას.

პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი

საქართველოს კანონი „პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი“ აწესრიგებს, მათ შორის, ადამიანის სიცოცხლის, ჯანმრთელობის, საკუთრებისა და გარემოს დაცვას, მომეტებული ტექნიკური საფრთხის შემცველი ობიექტების ექსპლუატაციის წესებთან შესაბამისობის უზრუნველყოფას, მომეტებული ტექნიკური საფრთხის შემცველი ობიექტების ტექნიკური ინსპექტირების სისტემის ჩამოყალიბებასა და ინსპექტირების ორგანოების საქმიანობისათვის სამართლებრივი ბაზის შექმნას.

იმ შემთხვევაში, თუ „ნოვა“-ს მიერ ბაზარზე განთავსებული რომელიმე პროდუქტი არ რეგულირდება კონკრეტული ტექნიკური რეგლამენტით, მასზე ვრცელდება პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსით დადგენილი ზოგადი მოთხოვნები.

მწარმოებლის პასუხისმგებლობა

კანონმდებლობით დადგენილი წესის თანახმად, მწარმოებელი პასუხს აგებს იმ ზიანისათვის, რომელიც გამოწვეულია მის მიერ ბაზარზე განთავსებული წუნდებული პროდუქტით. მწარმოებელი არ იქნება პასუხისმგებელი ზიანის მიყენებისთვის, თუ ის დაამტკიცებს, რომ: პროდუქტი ბაზარზე მას არ განუთავსებია, ან წუნი, რომელმაც ზიანი გამოიწვია, პროდუქტის ბაზარზე განთავსების მომენტისათვის არ არსებობდა ან პროდუქტი არ იყო გამიზნული

ბაზარზე განთავსებისათვის, ან ნებისმიერი ფორმით დისტრიბუციისათვის, ან პროდუქტი არ ყოფილა წარმოებული/გავრცელებული მის მიერ მისი საწარმოო საქმიანობის პერიოდში ან წუნი პროდუქტის ტექნიკური რეგლამენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა ამ გამოიწვია, მეცნიერული ან ტექნიკური ცოდნა პროდუქტის მიმოქცევაში გაშვების მომენტისათვის არ იყო იმგვარი, რომ მწარმოებელს წუნი აღმოჩენის საშუალება ჰქონოდა ან პროდუქტის შემადგენელი ნაწილის მწარმოებლის შემთხვევაში, წუნი გამოწვეულია პროდუქტის დიზაინით, რომელშიც ეს ნაწილია მოთავსებული, ან მითითების საფუძველზე, რომელიც გაცემულია იმ მწარმოებლის მიერ, რომელიც თავის პროდუქტში იყენებს ამ ნაწილს.

მწარმოებელი ვალდებულია თავისი კომპეტენციის ფარგლებში გააფრთხილოს მომხმარებელი იმ თვალსაჩინო თუ არათვალსაჩინო რისკის შესახებ, რომელსაც შეიცავს პროდუქტი მისი დანიშნულებისამებრ გამოყენებისას და წინასწარგანსაზღვრული ვადის განმავლობაში. თუ მწარმოებელს შეუძლია ასეთი რისკის თავიდან აცილება, იგი ვალდებულია განახორციელოს ყველა ღონისძიება ამგვარი რისკის თავიდან ასაცილებლად. მომხმარებელს პროდუქტის შესახებ უნდა მიეწოდოს, მათ შორის, შემდეგი ინფორმაცია: პროდუქციის დასახელება და სახე, პროდუქტის დამამზადებლის საფირმო სახელწოდება და მისამართი, იმ ქვეყნის დასახელება, სადაც დამამზადებულია პროდუქტი, (ასეთის საჭიროების შემთხვევაში) პროდუქტის ვარგისიანობის ვადა, (შესაბამის შემთხვევაში) პროდუქტის წონა ან/და მოცულობა, (შესაბამის შემთხვევაში) პროდუქტის შედეგიანი და უსაფრთხო გამოყენების წესები და პირობები, აგრეთვე შენახვის სპეციალური პირობები და პროდუქტის ვარგისობის ვადის გასვლის შემდეგ მომხმარებლის მიერ განსახორციელებელი მოქმედებები და მათი განუხორციელებლობის შემთხვევაში მოსალოდნელი შედეგები.

პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი აწესრიგებს მომეტებული ტექნიკური საფრთხის შემცველ ობიექტებს და მათთან დაკავშირებულ პროცესებს, რომელთა რიგ შემთხვევაშიც მოთხოვნები ასევე დადგენილია შესაბამისი ტექნიკური რეგლამენტებით და რომლებისთვისაც ბაზარზე ზედამხედველობის ორგანოდ განსაზღვრულია საჯარო სამართლის იურიდიული პირი – ბაზარზე ზედამხედველობის სააგენტო.

„ნოვას“ გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან შეთანხმებული აქვს 2024-2026 წლების კომპანიის ნარჩენების მართვის გეგმა.

ამასთან, „ნოვას“ საქმიანობისთვის რელევანტურია ორი ძირითადი რეგლამენტი:

საქართველოს მთავრობის დადგენილება №539 ბაზარზე ზედამხედველობის წესისა და პროდუქტის რეალიზაციის შეჩერების, ბაზრიდან ამოღების, გამოთხოვისა და განადგურების წესის დამტკიცების შესახებ (2018 წლის 14 ნოემბერი)

ბაზარზე ზედამხედველობა ხორციელდება რისკის ანალიზისა და საფუძვლიან ექვზე დაყრდნობით და მოიცავს მხოლოდ იმ პროდუქტებს, რომლებთან დაკავშირებითაც არსებობს რისკი ან ინფორმაცია მათი კოდექსისა და შესაბამისი ტექნიკური რეგლამენტების მოთხოვნებთან შეუსაბამობის შესახებ, რომლებიც შესაძლოა იწვევდეს საფრთხეს ან/და ზიანს. პროდუქტის დოკუმენტური ან/და ტექნიკური შემოწმების განხორციელების შემდგომ, შესაბამისი ტექნიკური რეგლამენტის მოთხოვნებთან შეუსაბამობების აღმოჩენის შემთხვევაში, ბაზარზე ზედამხედველობის სააგენტო უფლებამოსილია მწარმოებელს განუსაზღვროს შესაბამისი შემზღუდველი ღონისძიება, მათ შორის მოითხოვოს შეუსაბამობის გამოსწორება, პროდუქციის რეალიზაციის შეჩერება, ბაზრიდან ამოღება ან პროდუქტის განადგურება

საქართველოს მთავრობის დადგენილება №476 სამშენებლო პროდუქტების შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე (2018 წლის 1 ოქტომბერი)

აღნიშნული ტექნიკური რეგლამენტი ადგენს სამშენებლო პროდუქტების ბაზარზე განთავსების პირობებს, მათდამი წაყენებული ძირითადი მოთხოვნებისა და შესაბამისი ეკონომიკური ოპერატორების ვალდებულებების განსაზღვრის გზით. რეგლამენტი სამშენებლო პროდუქციის იმპორტიორსა და მწარმოებელს უწესებს სამშენებლო პროდუქტის თვისებების დეკლარაციის წარდგენის ვალდებულებას, ხოლო კონკრეტულ შემთხვევებში (მაგალითად, არმატურის სამშენებლო პროდუქციის იმპორტის ბაზარზე განთავსებისას) იმპორტიორი ვალდებულია წარადგინოს წარუდგინოს

„სამშენებლო პროდუქტის იმპორტის წინასწარი შეტყობინება“, დეკლარირებასთან ერთად, მწარმოებელი ვალდებულია დაიტანოს პროდუქციაზე კანონმდებლობით განსაზღვრული ინფორმაცია, მათ შორის, პროდუქტის ტიპის აღმნიშვნელი უნიკალური საიდენტიფიკაციო კოდი, შესაბამის შემთხვევებში, შესაბამისობის შემფასებელი ორგანოს საიდენტიფიკაციო კოდი, გამოყენებული სტანდარტების შესახებ ინფორმაცია; სამშენებლო პროდუქტის თვისებების დეკლარირებული დონისა და კლასის შესახებ ინფორმაცია, ასეთის არსებობის შემთხვევაში და გამოყენებული სტანდარტებით გათვალისწინებული გამოყენების დანიშნულება.

საქართველოს კანონი გარემოს დაცვის შესახებ

„ნოვასთვის“ რელევანტურ საკანონმდებლო რეგულაციას წარმოადგენს საქართველოს კანონი „გარემოს დაცვის შესახებ“. აღნიშნული კანონის თანახმად, საქმიანობის დაგეგმვისა და განხორციელების დროს იურიდიული პირები ვალდებული არიან იხელმძღვანელონ გარემოს დაცვის ძირითადი პრინციპებით, რაც, მათ შორის, მოიცავს „რისკის შემცირების“, „მდგრადობის“, „ბიოლოგიური მრავალფეროვნების“, „ნარჩენების მინიმიზაციის“ და „გარემოზე ზემოქმედების ზემოქმედების შეფასების“ პრინციპი.

გარემოს დაცვის კანონმდებლობით დაწესებული ვალდებულებების ფარგლებში, ფართო მოხმარების პროდუქციის წარმოებისას გათვალისწინებული უნდა იქნეს გარემოზე და ადამიანის ჯანმრთელობაზე მავნე ზემოქმედების ზღვრულად დასაშვები ნორმები. საქმიანობის სუბიექტი ვალდებულია უზრუნველყოს ნარჩენების პრევენცია, შეგროვება, აღდგენა და განთავსება გარემოსდაცვითი, სანიტარიულ-ჰიგიენური და ეპიდემიოლოგიური ნორმებისა და წესების დაცვით. ამასთან, სუბიექტი ვალდებულია ჰქონდეს შესაბამის სახელმწიფო ორგანოებთან შეთანხმებული ავარიისა და ბუნებრივი კატასტროფის შედეგების თავიდან აცილებისა და პროფილაქტიკის ოპერატიული და სისტემატური ღონისძიებების, ავარიისა და კატასტროფის დროს მოქმედების გეგმები და შექმნას და მზადყოფნაში ჰყავდეს ავარიის სალიკვიდაციო ტექნიკური საშუალებებით უზრუნველყოფილი სამსახური და ყოველი მოსალოდნელი და მომხდარი ტექნოგენური ავარიისა და ბუნებრივი კატასტროფის შესახებ დროულად აცნობოს შესაბამის სახელმწიფო ორგანოებს და მოსახლეობას.

გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსებით (გარდა ნავთობისა, გაზისა და ბუნებრივი წყალბადისა) სარგებლობის სფეროში სახელმწიფო კონტროლს საქართველოს კანონმდებლობით მინიჭებული უფლებამოსილებების ფარგლებში ახორციელებენ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო, გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტი, სამინისტროს სისტემაში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირები – დაცული ტერიტორიების სააგენტო და ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოების სააგენტო, აგრეთვე სახელმწიფო ტყის მართვის ორგანო.

კომპანიაში არსებული კორპორატიული მართვის სტანდარტის მოკლე აღწერა

მეწარმეთა შესახებ საქართველოს კანონის, რომელიც მიღებულია 2021 წლის 2 აგვისტოს („კანონი მეწარმეთა შესახებ“) და ემიტენტის წესდების მიხედვით, ემიტენტის კონტროლი და მართვა გამიჯნულია საერთო კრებას, სამეთვალყურეო საბჭოსა და ხელმძღვანელობას შორის. ამ უკანასკნელს ევალება კომპანიის ყოველდღიური მენეჯმენტი და მისი წარმომადგენლობა.

ემიტენტის შეფასებით, იგი პროსპექტის შედგენის თარიღისთვის, „ფასიანი ქაღალდების ემიტენტებისთვის კორპორაციული მართვის კოდექსთან“ ნაწილობრივ შესაბამისობაშია, გარდა სამეთვალყურეო საბჭოს დამოუკიდებელი წევრების რაოდენობის კრიტერიუმისა და თავმჯდომარის დამოუკიდებლობისა. სამეთვალყურეო საბჭო შედგება შვიდი წევრისგან, რომელთაგან ორი არის დამოუკიდებელი წევრი. კომპანიაში ფუნქციონირებს აუდიტის კომიტეტი, რომელსაც თავმჯდომარეობას უწევს დამოუკიდებელი წევრი, ასევე კოდექსის მოთხოვნებთან შესაბამისობით.

კომპანიაში დამკვიდრებულია კორპორაციული მართვის სამ დონიანი სისტემა. კერძოდ, მართვის უმაღლესი ორგანოა კომპანიის პარტნიორთა საერთო კრება, კომპანიის ყოველდღიურ მენეჯმენტს ახორციელებს ემიტენტის დირექტორი, რომელიც, თავის მხრივ, ანგარიშვალდებულია და ექვემდებარება სამეთვალყურეო საბჭოს. ამასთან, კომპანიის წესდებაში გამიჯნული კორპორატიული მართვის სამივე რგოლის უფლებამოსილებები.

- › **პარტნიორთა საერთო კრება** - გადაწყვეტილებას იღებს პრინციპულ საკითხებზე, როგორცაა საზოგადოების ქონების პარტნიორთა შორის განაწილება, საზოგადოების წესდების ცვლილება, საზოგადოების ლიკვიდაცია/რეორგანიზაცია და სხვა.
- › **სამეთვალყურეო საბჭო** - ნიშნავს და ათავისუფლებს დირექტორს, ზედამხედველობს მის საქმიანობას, განსაზღვრავს კომპანიის პოლიტიკისა და საქმიანობის მიმართულებებს. კომპანიაში ასევე მოქმედებს სამეთვალყურეო საბჭოს ქვე-კომიტეტი - აუდიტის კომიტეტი.
- › **დირექტორი** - წარმოდგენს ემიტენტის ხელმძღვანელობასა და წარმომადგენლობაზე უფლებამოსილ პირს. ეკისრება ყოველდღიური საქმიანობის მართვა.

საერთო კრება (პარტნიორთა კრება)

ყოველწლიურად, წლიური ბალანსის შედგენიდან არაუგვიანეს 6 (ექვსი) თვის ვადაში ტარდება საერთო კრება, რომელზეც განიხილება წლიური შედეგები და დღის წესრიგის სხვა საკითხები. სხვა შემთხვევებში ტარდება საერთო კრება დირექტორების ან სამეთვალყურეო საბჭოს ან წესდებით განსაზღვრულ სხვა შემთხვევაში - პარტნიორების მოთხოვნით.

პარტნიორთა საერთო კრებაზე პარტნიორებს აქვთ მათი წილის პროპორციული ხმათა რაოდენობა. საერთო კრება გადაწყვეტილებაუნარიანია, თუ მასზე წარმოდგენილია ხმების ნახევარზე მეტის მქონე პარტნიორი (პარტნიორები) თუ კანონით ან/და წესდებით სხვა რამ არ არის განსაზღვრული. თუ კრება არ არის გადაწყვეტილებაუნარიანი, მაშინ თავმჯდომარის მიერ განსაზღვრულ ვადაში იმავე დღის წესრიგით, მოიწვევა ახალი კრება, რომელიც გადაწყვეტილებაუნარიანია, თუ მასზე წარმოდგენილია ხმების არანაკლებ 25%-ის მქონე პარტნიორი (პარტნიორები). თუ კრება კვლავ არ არის გადაწყვეტილებაუნარიანი, მაშინ თავმჯდომარის მიერ განსაზღვრულ ვადაში იმავე დღის წესრიგით, წესდებით გათვალისწინებული პროცედურის თანახმად მოიწვევა ახალი კრება, რომელიც გადაწყვეტილებაუნარიანია წარმოდგენილი ხმის მქონე პარტნიორის (პარტნიორების) რაოდენობის მიუხედავად.

საერთო კრების უფლებამოსილებები:

- › მიიღოს ცვლილებები საზოგადოების წესდებაში;
- › მიიღოს გადაწყვეტილება საზოგადოების რეორგანიზაციის ან ლიკვიდაციის შესახებ;

- მიიღოს ან უარყოს სამეთვალყურეო საბჭოს ან დირექტორების წინადადება მოგების გამოყენების შესახებ, ხოლო როცა ეს ორგანოები ვერ იძლევიან ერთიან წინადადებას - მიიღოს გადაწყვეტილება წმინდა მოგების გამოყენების შესახებ;
- მიიღოს გადაწყვეტილება სამეთვალყურეო საბჭოს შექმნის შესახებ (გარდა იმ შემთხვევისა, როცა სამეთვალყურეო საბჭოს შექმნა გათვალისწინებულია „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონით);
- აირჩიოს სამეთვალყურეო საბჭოს წევრები ან გამოიწვიოს ისინი სამეთვალყურეო საბჭოდან; გადაწყვიტოს მათი ანაზღაურების საკითხი;
- დაამტკიცოს დირექტორებისა და სამეთვალყურეო საბჭოს ანგარიშები;
- აირჩიოს გარე აუდიტორი, აუდიტის კომიტეტის მიერ წარმოდგენილი კანდიდატურის გათვალისწინებით;
- მიიღოს გადაწყვეტილებები სამეთვალყურეო საბჭოსა და დირექტორების წინააღმდეგ სასამართლო პროცესში მონაწილეობის შესახებ, ამ პროცესისათვის წარმოდგენილის დანიშვნის ჩათვლით;
- მიიღოს გადაწყვეტილებები საზოგადოების ქონების შეძენის, გასხვისების ან დატვირთვის შესახებ, რომელთა ღირებულება შეადგენს საზოგადოების აქტივების ღირებულების ნახევარზე მეტს, გარდა ისეთი გარიგებებისა, რომლებიც წარმოადგენს ჩვეულ სამეწარმეო საქმიანობას;
- მიიღოს საზოგადოების მოგების ნაწილი საწესდებო კაპიტალში თავისი წილის პროპორციულად;
- მოითხოვოს სამეურნეო მოქმედებების ან მთლიანად წლიური ბალანსის სპეციალური შემოწმება, თუ ისინი მიიჩნევენ, რომ ადგილი აქვს დარღვევებს;
- მოსთხოვოს სამეთვალყურეო საბჭოს ან დირექტორებს პარტნიორთა რიგგარეშე კრების ჩატარება;
- სახელშეკრულებო ურთიერთობა ჰქონდეს საზოგადოებასთან (მათ შორის, იყოს სამეთვალყურეო საბჭოს წევრი) და მიიღოს მისგან საზღაური, რომელიც არ წარმოადგენს დივიდენდს.

წესდებაში ცვლილებისა და რეორგანიზაცია/ლიკვიდაციის გადაწყვეტილების მიღებისთვის საჭიროა დამსწრე ხმის მქონე პარტნიორთა ხმების 75%-ზე მეტის თანხმობა, ხოლო ყველა სხვა გადაწყვეტილების მისაღებად - დამსწრე ხმის მქონე პარტნიორთა ხმების 50%-ზე მეტის თანხმობა.

სამეთვალყურეო საბჭოს წევრთა არჩევისას პარტნიორები შეიძლება შეთანხმდნენ ხმების აკუმულირების მეთოდის გამოყენებაზე, რომელიც მდგომარეობს შემდეგში:

- ყოველი პარტნიორი ანაწილებს მთელ თავის ხმებს წარმოდგენილ კანდიდატთა ნებისმიერ რაოდენობაზე ისე, რომ მის მიერ მიცემულ ხმათა ჯამური რაოდენობა არ აღემატებოდეს მის განკარგულებაში არსებულ ხმათა სრულ რაოდენობას;
- პარტნიორს შეუძლია თითოეული თავისი ხმით მხოლოდ მხარი დაუჭიროს სამეთვალყურეო საბჭოს წევრობის კანდიდატს (მის წინააღმდეგ ხმის მიცემა დაუშვებელია);
- თუ კანდიდატების რაოდენობა სამეთვალყურეო საბჭოს წევრთა დადგენილ რაოდენობაზე ნაკლებია ან მისი ტოლია, მაშინ ყველა კანდიდატი, რომელმაც მიიღო თუნდაც ერთი ხმა, ავტომატურად ხდება სამეთვალყურეო საბჭოს წევრი; სხვა შემთხვევაში - არჩეულად ჩაითვლებიან ის კანდიდატები, რომლებმაც მიიღეს ხმათა უმრავლესობა.

პარტნიორების ვალდებულებები და პასუხისმგებლობები:

- საზოგადოების პარტნიორები კრედიტორების წინაშე პასუხს აგებენ მათ მიერ შეუტანიელი შესატანიტაც, თუ პასუხისმგებლობა დადგა პარტნიორთა მიერ შეთანხმებული შენატანის სრულად შეტანამდე;
- საზოგადოების პარტნიორები საზოგადოების კრედიტორების წინაშე პასუხს აგებენ პირადად, მთელი თავისი ქონებით, თუ ისინი ბოროტად გამოიყენებენ პასუხისმგებლობის შეზღუდვის სამართლებრივ ფორმას;
- საზოგადოების პარტნიორები ვალდებულები არიან დროულად შეიტანონ წილის შესაბამისი შენატანი საზოგადოების საწესდებო კაპიტალში;
- საზოგადოების პარტნიორები ვალდებულები არიან არ გაახმაურონ კონფიდენციალური ინფორმაცია საზოგადოების საქმიანობის შესახებ;
- საზოგადოების პარტნიორები ვალდებულები არიან დაიცვან წესდების დებულებები;
- საზოგადოების პარტნიორები ვალდებულები არიან შეასრულონ პარტნიორთა კრების გადაწყვეტილებები.

აქციონერთა შესახებ ინფორმაცია პროსპექტის მომზადების თარიღისთვის შემდეგია:

აქციონერი	ს.ნ.	წილი კაპიტალში %
ზვიად აბულაძე	61009000674	20%
ჯემალ ბოლქვაძე	61006003340	20%
ემზარ ირემაძე	61007000209	20%
ჯემალ ანთაძე	33001001552	20%
რამაზ ირემაძე	61003001022	20%

ზვიად აბულაძე - ბატონი ზვიადი დაიბადა 1972 წელს. მას უმაღლესი განათლება მიღებული აქვს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტისგან, კავშირგაბმულობის ინჟინერიის ფაკულტეტი. ბატონ ზვიადს კომპანია ნოვაში 2017 წლამდე ეკავა დირექტორის პოზიცია, 2018 წლიდან კომპანიის სამეთვალყურეო საბჭოს წევრია. 2006 წლამდე იგი დაკავებული იყო სხვადასხვა პროდუქტით ვაჭრობის საქმიანობით.

კომპანიები, სადაც ბატონი ზვიადი მენეჯმენტის, დირექტორთა საბჭოს ან სამეთვალყურეო საბჭოს წევრი იყო ან არის ბოლო 5 წლის მანძილზე: შპს ნოვა ტრანსი (ს.ნ. 400023719), შპს ელიტ ჰაუსი (ს.ნ. 445400888)

ჯემალ ბოლქვაძე - ბატონი ჯემალი დაიბადა 1970 წელს. მას უმაღლესი განათლება მიღებული აქვს ივანე ჯავახიშვილის სახელობის ბათუმის სამართლის ინსტიტუტისგან, სამართალმცოდნეობის ფაკულტეტი. ბატონ ჯემალს კომპანია ნოვაში 2017 წლამდე ეკავა საერთაშორისო შესყიდვების დირექტორის პოზიცია, 2018 წლიდან კომპანიის სამეთვალყურეო საბჭოს წევრია. შესყიდვების დირექტორის პოზიციაზე ბატონ ჯემალს ევალებოდა ემართა შესყიდვების პროცესი და მისი ბიუჯეტთან შესაბამისობა, მოემძებნა ახალი მომწოდებლები და ამით უზრუნველყო უწყვეტი საოპერაციო საქმიანობა. 2006 წლამდე იგი დაკავებული იყო სხვადასხვა პროდუქტით ვაჭრობის საქმიანობით.

კომპანიები, სადაც ბატონი ჯემალი მენეჯმენტის, დირექტორთა საბჭოს ან სამეთვალყურეო საბჭოს წევრი იყო ან არის ბოლო 5 წლის მანძილზე: შპს ნოვა ტრანსი (ს.ნ. 400023719), შპს ელიტ ჰაუსი (ს.ნ. 445400888), შპს ნოვა - 2007 (ს.ნ. 245605484)

ემზარ ირემაძე - ბატონი ემზარი დაიბადა 1971 წელს. ბატონ ემზარს კომპანია ნოვაში 2018 წლიდან უკავია კომპანიის სამეთვალყურეო საბჭოს წევრის პოზიცია. 2006 წლამდე იგი დაკავებული იყო სხვადასხვა პროდუქტით ვაჭრობის საქმიანობით.

კომპანიები, სადაც ბატონი ემზარი მენეჯმენტის, დირექტორთა საბჭოს ან სამეთვალყურეო საბჭოს წევრი იყო ან არის ბოლო 5 წლის მანძილზე: შპს ნოვა ტრანსი (ს.ნ. 400023719), შპს ელიტ ჰაუსი (ს.ნ. 445400888), შპს Batum Building Company (ს.ნ. 245621144)

ჯემალ ანთაძე - ბატონი ჯემალი დაიბადა 1972 წელს. ბატონ ჯემალს კომპანია ნოვაში 2018 წლიდან უკავია კომპანიის სამეთვალყურეო საბჭოს წევრის პოზიცია. 2006 წლამდე იგი დაკავებული იყო სხვადასხვა პროდუქტით ვაჭრობის საქმიანობით.

კომპანიები, სადაც ბატონი ჯემალი მენეჯმენტის, დირექტორთა საბჭოს ან სამეთვალყურეო საბჭოს წევრი იყო ან არის ბოლო 5 წლის მანძილზე: შპს ნოვა ტრანსი (ს.ნ. 400023719), შპს Batum Building Company (ს.ნ. 245621144), შპს ზობ-2010 (ს.ნ. 445383488), შპს ბრინჯ აპი (ს.ნ. 445588999).

რამაზ ირემამე - ბატონი რამაზი დაიბადა 1969 წელს. მას უმაღლესი განათლება მიღებული აქვს კაზანის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტისგან, მანქანა-დანადგარების ინჟინერიის ფაკულტეტი. ბატონ რამაზს კომპანია ნოვაში 2017 წლამდე ეკავა ტექნიკური დირექტორის პოზიცია, 2018 წლიდან კომპანიის სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეა. ტექნიკური დირექტორის პოზიციაზე ბატონ რამაზს ევალეზოდა დაეგემა კომპანიის სარემონტო სამუშაოები და უზრუნველყო საწარმოების გადაიარაღება. 2006 წლამდე იგი დაკავებული იყო სხვადასხვა პროდუქტით ვაჭრობის საქმიანობით.

კომპანიები, სადაც ბატონი რამაზი მენეჯმენტის, დირექტორთა საბჭოს ან სამეთვალყურეო საბჭოს წევრი იყო ან არის ბოლო 5 წლის მანძილზე: შპს ელიტ ჰაუსი (ს.ნ. 445400888), შპს ელიტ ჰაუსი (ს.ნ. 445400888), შპს ნოვა ტრანსი (ს.ნ. 400023719), შპს ნოვა - 2007 (ს.ნ. 245605484), შპს Batum Building Company (ს.ნ. 245621144), შპს ბექა (ს.ნ. 245442212), სპს ირემამე და კომპანია (ს.ნ. 245422154)

სამეთვალყურეო საბჭო

სამეთვალყურეო საბჭო შედგება 7 წევრისაგან, საიდანაც 2 (ორი) წევრი მაინც უნდა იყოს დამოუკიდებელი წევრი. სამეთვალყურეო საბჭოს ყოველ წევრს საერთო კრება ირჩევს 3 (სამი) წლის ვადით - ვადის გასვლის შემთხვევაში უფლებამოსილება უგრძელდება მორიგი საერთო კრების მოწვევამდე. სამეთვალყურეო საბჭოს წევრი შეიძლება იყოს ნებისმიერი პირი, თუმცა არ შეიძლება იყოს საზოგადოების დირექტორი (დირექტორები).

სამეთვალყურეო საბჭოს სხდომები ტარდება კვარტალში ერთხელ მაინც. სამეთვალყურეო საბჭო გადაწყვეტილებაუნარიანია, თუ მას ესწრება წევრთა სულ მცირე ნახევარი. თუ სამეთვალყურეო საბჭო არ არის გადაწყვეტილებაუნარიანი, თავმჯდომარეს (მისი არყოფნისას - მის მოადგილეს) შეუძლია არა უგვიანეს 8 დღისა მოიწვიოს ახალი სხდომა, რომელიც გადაწყვეტილებაუნარიანი იქნება, თუ მას ესწრება წევრთა არანაკლებ 25%-ისა. თუ სამეთვალყურეო საბჭო კვლავ არ არის გადაწყვეტილებაუნარიანი, მაშინ სამეთვალყურეო საბჭოს უწყდება უფლებამოსილება და თავმჯდომარე (მისი არყოფნისას - მისი მოადგილე) იწვევს საერთო კრებას.

სამეთვალყურეო საბჭოს წევრები დაკისრებული მოვალეობის არაკეთილსინდისიერად შესრულების შემთხვევაში საზოგადოების წინაშე წარმოშობილი ზიანისთვის პასუხს აგებენ სოლიდარულად, მთელი თავისი ქონებით, პირდაპირ და უშუალოდ.

სამეთვალყურეო საბჭოს ამოცანები და კომპეტენციები:

- › კონტროლს უწევს თითოეული დირექტორის საქმიანობას;
- › ნებისმიერ დროს შეუძლია მოითხოვოს დირექტორებისაგან საზოგადოების საქმიანობის ანგარიში;
- › შეუძლია გააკონტროლოს და შეამოწმოს საზოგადოების ფინანსური დოკუმენტაცია;
- › იწვევს საერთო კრებას, თუ ამას საზოგადოების აუცილებლობა მოითხოვს;
- › ამოწმებს წლიურ ანგარიშებს, მოგების განაწილების წინადადებას და ამის თაობაზე მოახსენებს საერთო კრებას;
- › ნიშნავს და ნებისმიერ დროს გამოიწვევს დირექტორებს;
- › სამეთვალყურეო საბჭოს გადაწყვეტილებით სამეთვალყურეო საბჭოს წევრებისგან იქმნება აუდიტის კომიტეტი და დგება აუდიტის კომიტეტის დებულება, რომელსაც ამტკიცებს სამეთვალყურეო საბჭო „კომპანიის“ წესდების შესაბამისად.

მხოლოდ სამეთვალყურეო საბჭოს თანხმობით შეიძლება განხორციელდეს შემდეგი საქმიანობა:

- › საწარმოს 50%-ზე მეტი წილის შეძენა და გასხვისება;
- › ფილიალების დაარსება და ლიკვიდაცია;
- › წლიური ბიუჯეტისა და გრძელვადიანი ვალდებულებების მიღება;
- › ვალდებულებათა აღება და უზრუნველყოფა, რომლებიც აღემატება სამეთვალყურეო საბჭოს მიერ დადგენილ ოდენობას;
- › ახალი სახის ეკონომიკური საქმიანობის დაწყება ან არსებული სახის საქმიანობის შეწყვეტა;
- › სამეურნეო პოლიტიკის ზოგადი პრინციპების დადგენა;

- სავაჭრო წარმომადგენლების (პროკურისტების) დანიშვნა და გამოწვევა;
- საზოგადოების ფასიანი ქაღალდების საფონდო ბირჟაზე სავაჭროდ დაშვების შესახებ გადაწყვეტილების მიღება;
- ხელმძღვანელი პირებისათვის მოგებასა და მსგავს ურთიერთობებში მონაწილეობის განსაზღვრა, მათი საპენსიო უზრუნველყოფის პრინციპების დადგენა;
- საზოგადოების ქონების შეძენის ან გასხვისების შესახებ გადაწყვეტილებების მიღება, რომელთა ღირებულება აღემატება სამეთვალყურეო საბჭოს მიერ დადგენილ ოდენობას;
- იმ საკითხზე გადაწყვეტილების მიღება, რომელიც კანონით არ განეკუთვნება საერთო კრებისა და დირექტორის კომპეტენციას.

სამეთვალყურეო საბჭოს შემადგენლობა პროსპექტის მომზადების თარიღისთვის შემდეგია:

საბჭოს წევრი	ს.ნ.	პოზიცია	ხელშეკრულების დადების თარიღი	უფლებამოსილების ვადა
ზვიად აბულაძე*	61009000674	სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე	07.10.2025	3 (სამი) წლის ვადით
ჯემალ ბოლქვაძე*	61006003340	სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე	07.10.2025	3 (სამი) წლის ვადით
ემზარ ირემაძე*	61007000209	სამეთვალყურეო საბჭოს წევრი	07.10.2025	3 (სამი) წლის ვადით
ჯემალ ანთაძე*	33001001552	სამეთვალყურეო საბჭოს წევრი	07.10.2025	3 (სამი) წლის ვადით
რამაზ ირემაძე*	61003001022	სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე	07.10.2025	3 (სამი) წლის ვადით
ვალდას პუზერასი	37402050520, ლიტვის მოქალაქე	სამეთვალყურეო საბჭოს დამოუკიდებელი წევრი	07.10.2025	3 (სამი) წლის ვადით
დავით თავართქილაძე	01008002700	სამეთვალყურეო საბჭოს დამოუკიდებელი წევრი	07.10.2025	3 (სამი) წლის ვადით

**აღნიშნულ პირებზე ინფორმაცია და მათი გამოცდილება გთხოვთ იხილოთ წინამდებარე პროსპექტის ქვეთავში „საერთო კრება“.*

ვალდას პუზერასი - ბატონი ვალდასი დაიბადა 1974 წელს. ბატონ ვალდასს ბიზნეს ადმინისტრირების ბაკალავრის ხარისხი მიღებული აქვს ვილნიუსის უნივერსიტეტისგან. მისი კარიერა მოიცავს რამდენიმე კომპანიაში წამყვან პოზიციებზე მუშაობასა და საბჭოს წევრობას. იგი 2025 წლიდან დაწყებული Kotryna Holding-ის საბჭოს არააღმასრულებელი წევრია - Kotryna Holding ბალტიის ქვეყნებში მოქმედი მსხვილი საცალო ქსელია, რომელიც სპეციალიზირებულია ბავშვების პროდუქციასა და საოჯახო საქონელზე (სათამაშოები, ტანსაცმელი, ავეჯი, მოვლის საშუალებები და ა.შ.).

კომპანიები, სადაც ბატონი ვალდასი მენეჯმენტის, დირექტორთა საბჭოს ან სამეთვალყურეო საბჭოს წევრი იყო ან არის ბოლო 5 წლის მანძილზე: აუდიტის კომიტეტის წევრი - Vilniaus Vandenys-ში (საკომუნიკაციო კომპანია, რომელიც მართავს წყლის მიწოდებას), აუდიტის კომიტეტის წევრი - Rokiskio Suris AB-ში (ლიტვური კომპანია, რომელიც აწარმოებს რძის ნაწარმს), საბჭოს წევრი - Susisiekimo Paslaugos-ში (ვილნიუსის მუნიციპალური „საზოგადოებრივი ტრანსპორტისა და მოძრაობის სერვისების“ ოპერატორი კომპანია), საბჭოს წევრი - Vilniaus Viesasis Transportas-ში (მუნიციპალიტეტის კონტროლირებადი საზოგადოებრივი სატრანსპორტო კომპანია).

დავით თავართქილაძე - ბატონი დავითი დაიბადა 1974 წელს. ბატონ დავითს ბაკალავრის ხარისხი მიღებული აქვს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტისგან, დაამთავრა მანქანათმშენებლობის ფაკულტეტი. მას აქვს დიდი

გამოცდილება სამშენებლო და უძრავი ქონების სექტორში. დავითს 1992 წლიდან რამდენიმე მნიშვნელოვანი პოზიცია ეკავა, მათ შორის: სამშენებლო კომპანია ს/ს „ინჟინერში“ გენერალური დირექტორის მოადგილის პოზიცია, საქართველო-აზერბაიჯანის საზღვარზე სასაზღვრო-გამშენებელი პუნქტის „წითელი ხიდის“ მშენებლობა - პროექტის მენეჯერის პოზიცია, შპს „სასტუმრო გუდაური ინ“ - ში დირექტორის პოზიცია, შპს „ალუტექ ჯორჯია“ - წარმოების განყოფილების უფროსის პოზიცია.

კომპანიები, სადაც ბატონი დავითი მენეჯმენტის, დირექტორთა საბჭოს ან სამეთვალყურეო საბჭოს წევრი იყო ან არის ბოლო 5 წლის მანძილზე: შპს ოლვორკი (ს.ნ. 204501413); შპს ტექნო გლასი (ს.ნ. 406426149); შპს ურეკი ინ (ს.ნ. 405536601); შპს მიცკევიჩის 19 (ს.ნ. 404952985); შპს ატლას მენეჯმენტ გრუპ (ს.ნ. 404576366).

აუდიტის კომიტეტი

კომპანიაში, სამეთვალყურეო საბჭოს გადაწყვეტილებით ჩამოყალიბებულია აუდიტის კომიტეტი. აუდიტის კომიტეტი მნიშვნელოვან როლს ასრულებს კომპანიის მმართველობაზე, რისკების მართვასა და შიდა კონტროლის სისტემაზე ზედამხედველობის განხორციელებაში.

აუდიტის კომიტეტი შედგება სამეთვალყურეო საბჭოს 3 (სამი) წევრისგან, საიდანაც არანაკლებ 1 (ერთი) უნდა იყოს საბჭოს დამოუკიდებელი წევრი. მის ხელმძღვანელად ინიშნება აუდიტის კომიტეტის დამოუკიდებელი წევრი.

აუდიტის კომიტეტის წევრის უფლებამოსილების ვადაა 2 (ორი) წელი. აუდიტის კომიტეტის წევრობის ვადა ყოველწლიურად გადაიხედება.

აუდიტის კომიტეტი უნდა იკრიბებოდეს წელიწადში სულ მცირე ოთხჯერ ან, თუ კომიტეტი აუცილებლად მიიჩნევს, უფრო ხშირად. აუდიტის კომიტეტის სხდომებს შორის დროის ინტერვალი არ უნდა აღემატებოდეს ოთხ თვეს.

აუდიტის კომიტეტის ამოცანები და კომპეტენციები:

- › ფინანსური ანგარიშგების შედგენის პროცესის ზედამხედველობა;
- › ხარისხის კონტროლი, რისკების მართვისა და, საჭიროების შემთხვევაში, ფინანსური ინფორმაციის შიდა აუდიტის ეფექტიანობის უზრუნველყოფა;
- › ფინანსური ანგარიშგების აუდიტის განხორციელება ხარისხისა და სტანდარტთან შესაბამისობის გათვალისწინებით;
- › გარე აუდიტორების დანიშვნა და ზედამხედველობის გაწევა აუდიტორების მიერ შესრულებულ ნებისმიერ აუდიტორულ და არააუდიტორულ მომსახურებაზე;
- › სამეთვალყურეო საბჭოსთვის ინფორმაციის მიწოდება განხორციელებული აუდიტის შედეგების, ფინანსური ანგარიშგების უტყუარობაზე აუდიტის გავლენის და ამ პროცესში აუდიტის კომიტეტის მონაწილეობის შესახებ;

აუდიტის კომიტეტის შემადგენლობა პროსპექტის მომზადების თარიღისთვის შემდეგია:

კომიტეტის წევრი	ს.ნ.	პოზიცია	ხელშეკრულების დადების თარიღი
დავით თავართქილაძე	01008002700	აუდიტის კომიტეტის თავმჯდომარე	07.10.2025
ჯემალ ბოლქვაძე	61006003340	აუდიტის კომიტეტის წევრი	07.10.2025
რამაზ ირემაძე	61003001022	აუდიტის კომიტეტის წევრი	07.10.2025

**აღნიშნულ პირებზე ინფორმაცია და მათი გამოცდილება გთხოვთ იხილოთ წინამდებარე პროსპექტის ქვეთავში „სამეთვალყურეო საბჭო“.*

ხელმძღვანელი ორგანო

საზოგადოების ყოველდღიურ საქმიანობას უძღვება გენერალური დირექტორი, რომელსაც ნიშნავს სამეთვალყურეო საბჭო არაუმეტეს 3 (სამი) წლის ვადით, ხელახლა დანიშვნის უფლებით. თუ ამ ვადის ამოწურვის შემდეგ კანონით დადგენილი წესით არ განხორციელდება ხელმძღვანელი პირის უფლებამოსილების ახალი ვადის ან ხელმძღვანელობასა და წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ცვლილების რეგისტრაცია, რეგისტრირებული ხელმძღვანელი პირის უფლებამოსილება განუსაზღვრელი ვადით გაგრძელდება მიიჩნევა. დირექტორი უფლებამოსილია მინდობილობის გარეშე დამოუკიდებლად იმოქმედოს საზოგადოების სახელით და წარმოადგინოს საზოგადოება მესამე პირებთან ურთიერთობაში.

დირექტორებმა კეთილსინდისიერად და გულმოდგინედ უნდა შეასრულონ დაკისრებული ამოცანები. თუ დირექტორი არ შეასრულებს თავის მოვალეობას, იგი ვალდებულია აუნაზღაუროს საზოგადოებას მიყენებული ზარალი. დირექტორები პასუხს აგებენ სოლიდარულად, მთელი თავისი ქონებით, პირდაპირ და უშუალოდ.

დირექტორის ამოცანები და კომპეტენციები:

- › დირექტორები ადგენენ წლიურ ანგარიშს და ანგარიშს სამეურნეო მდგომარეობის შესახებ,
- › წმინდა მოგების განაწილების წინადადებას სამეთვალყურეო საბჭოსთვის წარსადგენად.
- › დირექტორი იწვევს საზოგადოების საერთო კრებას
- › დირექტორს აქვს საზოგადოების ხელმძღვანელობის უფლება

ხელმძღვანელი ორგანოს შემადგენლობა პროსპექტის მომზადების თარიღისთვის შემდეგია:

ხელმძღვანელი ორგანოს წევრი	ს.ნ.	პოზიცია	ხელშეკრულების დადების თარიღი	უფლებამოსილების ვადა
ედიშერ ხიმშიაშვილი	61010016369	გენერალური დირექტორი	07.10.2025	3 (სამი) წლის ვადით
გიორგი ბენდიანიშვილი	01019083982	საცალო გაყიდვების დირექტორი	03.01.2018	უვადო
ალდერ ბოლქვაძე	61009006312	კორპორატიული გაყიდვების დირექტორი	03.01.2018	უვადო
ალექსანდრე მუხრიშვილი	12001081720	წარმოების და შიდა ლოჯისტიკის დირექტორი	03.01.2019	უვადო
გიორგი ქამადაძე	61901089407	ფინანსური დირექტორი	03.01.2020	უვადო
არმაზი მელაძე	61009006182	საერთაშორისო შესყიდვების და ლოჯისტიკის დირექტორი	03.01.2018	უვადო
ლიანა ბოლქვაძე	61009002308	HR და ადმინისტრაციული დირექტორი	03.01.2018	უვადო

ედიშერ ხიმშიაშვილი - ბატონი ედიშერი დაიბადა 1990 წელს. ბატონ ედიშერს კომპანია ნოვასი 2018 წლიდან უკავია გენერალური დირექტორის პოზიცია. იგი კომპანია ნოვასი შეუერთდა 2015 წელს და გენერალურ დირექტორად დაწინაურებამდე ეკავა გაყიდვებისა და მარკეტინგის დირექტორის პოზიცია. ედიშერის დირექტორობის პერიოდში შპს „ნოვასი“ ზომა გაორმაგდა და გაყიდვები 3-ჯერ გაიზარდა. 2015 წლამდე იგი მუშაობდა იურიდიულ მრჩეველად

სხვადასხვა კომპანიაში. ბატონ ედიშერს სამართლის ბაკალავრის ხარისხი მიღებული აქვს ივანე ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისგან. 2011 წელს მიიღო მაგისტრის ხარისხი კერძო სამართლის განხრით.

კომპანიები, სადაც ბატონი ედიშერი მენეჯმენტის, დირექტორთა საბჭოს ან სამეთვალყურეო საბჭოს წევრი იყო ან არის ბოლო 5 წლის მანძილზე: შპს ჯი ელ ჯი (ს.ნ. 402011648)

გიორგი ბედიანიშვილი - ბატონი გიორგი დაიბადა 1992 წელს. ბატონ გიორგის კომპანია ნოვაში 2018 წლიდან უკავია საცალო გაყიდვების დირექტორის პოზიცია. იგი კომპანია ნოვას შეუერთდა 2017 წელს საცალო გაყიდვების დეპარტამენტის ხელმძღვანელის პოზიციაზე. გიორგის აქვს დიდი გამოცდილება სარემონტო მასალების სექტორში, კერძოდ - 2015-2017 წლებში მუშაობდა შპს „გორგიასა“ და შპს „ბრიკორამაში“ იმპორტის კატეგორიის მენეჯერად. მას ბაკალავრის ხარისხი მიღებული აქვს საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტისგან - ჟურნალისტიკა და პიარის მიმართულებით.

ალდერ ბოლქვაძე - ბატონი ალდერი დაიბადა 1984 წელს. ბატონ ალდერს კომპანია ნოვაში 2018 წლიდან უკავია კორპორატიული გაყიდვების დირექტორის პოზიცია. იგი კომპანია ნოვას შეუერთდა 2016 წელს პროექტ მენეჯერის პოზიციაზე, რის შემდეგაც დაწინაურდა ადმინისტრაციულ მენეჯერად. ბატონ ალდერს ბაკალავრის ხარისხი მიღებული აქვს ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტისგან, ფინანსების და საბანკო საქმის მიმართულებით. 2008-2009 წლებში ალდერი სწავლობდა თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტში და მიიღო ფინანსების მაგისტრის ხარისხი.

კომპანიები, სადაც ბატონი ალდერი მენეჯმენტის, დირექტორთა საბჭოს ან სამეთვალყურეო საბჭოს წევრი იყო ან არის ბოლო 5 წლის მანძილზე: შპს პალიტრა XXI (ს.ნ. 401967118)

ალექსანდრე მეხრიშვილი - ბატონი ალექსანდრე დაიბადა 1989 წელს. ბატონ ალექსანდრეს კომპანია ნოვაში 2019 წლიდან უკავია წარმოების და შიდა ლოჯისტიკის დირექტორის პოზიცია. იგი კომპანია ნოვას შეუერთდა 2018 წელს ადმინისტრაციული მენეჯერის პოზიციაზე. კომპანია ნოვამდე ალექსანდრე მუშაობდა სს „ქართული ლუდის კომპანიაში“, სს „თიბისი ბანკსა“ და ფინანსთა სამინისტროში. ბატონ ალექსანდრეს ბაკალავრის ხარისხი მიღებული აქვს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისგან, იურიდიული ფაკულტეტი. იგი 2014-2016 წლებში სწავლობდა გურამ თავარქთილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტში - სამართლის ფაკულტეტის მაგისტრატურაზე.

კომპანიები, სადაც ბატონი ალექსანდრე მენეჯმენტის, დირექტორთა საბჭოს ან სამეთვალყურეო საბჭოს წევრი იყო ან არის ბოლო 5 წლის მანძილზე: შპს ნოვა ფროდაქშენ (ს.ნ. 445585607), შპს ნოვა მეტალი (ს.ნ. 445610456)

გიორგი ქამადაძე - ბატონი გიორგი დაიბადა 1995 წელს. ბატონ გიორგის კომპანია ნოვაში 2020 წლიდან უკავია ფინანსური დირექტორის პოზიცია. იგი კომპანია ნოვას შეუერთდა 2015 წელს და მას შემდეგ რამდენიმე პოზიციაზე დაწინაურდა: ფინანსურ ანალიტიკოსად, ფინანსების დეპარტამენტის ხელმძღვანელად და ბოლოს კომპანიის ფინანსურ დირექტორად. 2013-2017 წლებში ბატონი გიორგი სწავლობდა შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტში, ბიზნეს ადმინისტრირების ფაკულტეტზე. 2019 წელს მან მიიღო ბიზნეს ადმინისტრირების მაგისტრის ხარისხი საქართველოს ბანკის უნივერსიტეტიდან.

კომპანიები, სადაც ბატონი გიორგი მენეჯმენტის, დირექტორთა საბჭოს ან სამეთვალყურეო საბჭოს წევრი იყო ან არის ბოლო 5 წლის მანძილზე: შპს სკიპლაინი (ს.ნ. 445594704)

არმაზ მელაძე - ბატონი არმაზი დაიბადა 1985 წელს. ბატონ არმაზს კომპანია ნოვაში 2018 წლიდან უკავია საერთაშორისო შესყიდვებისა და ლოჯისტიკის დირექტორის პოზიცია. არმაზი კომპანია ნოვას 2013 წელს შეუერთდა ფილიალის მენეჯერის პოზიციაზე, რის შემდეგაც დაწინაურდა შესყიდვებისა და ლოჯისტიკის დირექტორის მოადგილედ. იგი 2003-2007 წლებში სწავლობდა შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში, სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართალმცოდნეობის ფაკულტეტზე.

კომპანიები, სადაც ბატონი არმაზი მენეჯმენტის, დირექტორთა საბჭოს ან სამეთვალყურეო საბჭოს წევრი იყო ან არის ბოლო 5 წლის მანძილზე: შპს არდა ტექსტილი (ს.ნ. 448050778), შპს არდა ტექსტილი (ს.ნ. 448050037)

ლიანა ბოლქვაძე - ქალბატონი ლიანა დაიბადა 1980 წელს. ქალბატონ ლიანას კომპანია ნოვაში 2018 წლიდან უკავია HR და ადმინისტრაციული დირექტორის პოზიცია. იგი კომპანია ნოვას შეუერთდა 2009 წელს და მას მერე ეკავა შემდეგი პოზიციები: ბუღალტერი, საოპერაციო მენეჯერი, ხარისხის მენეჯმენტის სისტემის კოორდინატორი და HR მენეჯერი. ლიანა 2017-2020 წლებში სწავლობდა Technische Universität Kaiserslautern-ში პერსონალის განვითარების მიმართულებით. 2021-2023 წლებში გაიარა სტრატეგიული მენეჯმენტი და ადამიანური რესურსების განვითარების პროგრამა - EBRD Blue Ribbon Expert Program.

დივიდენდების პოლიტიკა

კომპანიას არ აქვს განცხადებული და წერილობით გაფორმებული დივიდენდების პოლიტიკა.

კომპანიის წესდებით დირექტორები ადგენენ წლიურ ანგარიშს და ანგარიშს სამეურნეო მდგომარეობის შესახებ, ასევე წმინდა მოგების განაწილების წინადადებას სამეთვალყურეო საბჭოსთვის წარსადგენად. წმინდა მოგების განაწილების მოწონებულ წინადადებას სამეთვალყურეო საბჭო დასამტკიცებლად წარუდგენს საერთო კრებას. თუ დირექტორები და სამეთვალყურეო საბჭო ვერ შეთანხმდებიან წმინდა მოგების განაწილებაზე, მაშინ მათ წმინდა მოგების განაწილების ორივე წინადადება უნდა აცნობონ საერთო კრებას. საერთო კრების გადაწყვეტილებით შეიძლება მთელი წმინდა მოგება დარჩეს საწარმოში და გათვალისწინებულ იქნეს ახალი ანგარიშის დროს.

საბოლოოდ, წმინდა მოგების განაწილების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს საერთო კრება. გაუნაწილებელი მოგება შეიძლება სრულად ან ნაწილობრივ მიმართულ იქნეს საწარმოს განვითარებაზე.

კომპანიას დივიდენდების გაცემა შეზღუდული აქვს საბანკო სესხების კოვენანტებითა და წინამდებარე პროსპექტით განსაზღვრული “ობლიგაციების პირობებით“, მუხლი 5. (ზ) „აკრძალული გადახდები“. დამატებითი ინფორმაცია არსებული საბანკო სესხების კოვენანტებით დივიდენდების შეზღუდვაზე იხილეთ ქვეთავში „კაპიტალიზაცია და დავალაინება“.

2025 წლის პირველ ნახევარში, 2024 და 2023 წლის განმავლობაში კომპანიამ გამოაცხადა და გასცა 1,342 ათასი ლარის, 7,789 ათასი ლარის და 4,489 ათასი ლარის დივიდენდები, შესაბამისად.

თანამშრომლები

2025 წლის 30 ივნისის, 2024 და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის დასაქმებულთა რაოდენობაა 1101, 1051 და 980 თანამშრომელი, შესაბამისად.

ანაზღაურება და ბენეფიტები

უმაღლესი ხელმძღვანელობის და სამეთვალყურეო საბჭოს ანაზღაურებამ, ხელფასისა და სხვა სარგებლის სახით 2025 წლის პირველ ნახევარში, 2024 და 2023 წელს შეადგინა 1,041 ლარი, 2,393 ათასი ლარი და 2,200 ათასი ლარი, შესაბამისად.

ინტერესთა კონფლიქტზე განაცხადი

არ არსებობს ინტერესთა კონფლიქტი „ემიტენტის“ 5%-ზე მეტი პირდაპირი ან არაპირდაპირი წილის მქონე პარტნიორთა, სამეთვალყურეო საბჭოს წევრთა ან/და აღმასრულებელი მენეჯმენტის წევრთა პირად ინტერესებს ან/და სხვა მოვალეობებს შორის.

ასევე, „ემიტენტის“ 5%-ზე მეტი პირდაპირი ან არაპირდაპირი წილის მქონე პარტნიორთა, სამეთვალყურეო საბჭოს წევრებს ან/და აღმასრულებელი მენეჯმენტის წევრებს შორის არსებობს შემდეგი ტიპის ნათესაური კავშირი:

- (i) რამაზ ირემაძე და ემზარ ირემაძე არიან ძმები;
- (ii) ჯემალ ბოლქვაძის და არის ზვიად აბულაძის მეუღლე;

საჩივრის შესახებ განცხადება

პროსპექტის შედგენის თარიღისათვის, 5%-ზე მეტი პირდაპირი ან არაპირდაპირი წილის მქონე პარტნიორთა, ემიტენტის სამეთვალყურეო საბჭოსა და ხელმძღვანელი ორგანოს არცერთი წევრი - არანაკლებ ხუთი წლის განმავლობაში:

- › არ არის ნასამართლევი თაღლითობის, ეკონომიკური დანაშაულის ან ფულის გათეთრების ფაქტებთან დაკავშირებით
- › არ ჰქონია აღმასრულებელი ფუნქცია, მმართველი ან საზედამხედველო ორგანოების წევრის სახით ნებისმიერ კომპანიაში გაკოტრების ან ლიკვიდაციის დროს (ნებაყოფლობითი ლიკვიდაციის გარდა) ან
- › არ ექვემდებარება რაიმე ოფიციალურ ინკრიმინაციას ან/და სანქციას ნებისმიერი სახელმწიფო ან მარეგულირებელი ორგანოს მიერ (ნებისმიერი პროფესიული ორგანოს ჩათვლით) და სასამართლოს მიერ არასდროს მომხდარა მისი დისკვალიფიკაცია რომელიმე კომპანიის მმართველი ან საზედამხედველო ორგანოს წევრის მოვალეობის შესრულებასთან დაკავშირებით.

დაკავშირებული მხარის გარიგებები

დაკავშირებული მხარეები ან ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან როგორც მოცემულია ბასს 24-ში „ინფორმაცია დაკავშირებულ მხარეებზე“ წარმოადგენს:

- ა) მხარეებს, რომლებიც პირდაპირ ან არაპირდაპირ ერთი ან რამდენიმე შუამავლით: აკონტროლებენ, კონტროლდებიან ან არიან ერთობლივი კონტროლის ქვეშ კომპანიასთან (მათ შორის დამფუძნებელ კომპანიასა და ფილიალებთან); ფლობენ წილს კომპანიაში, რაც მნიშვნელოვანი გავლენის მიზეზია; და ფლობენ საერთო კონტროლს კომპანიაზე;
- ბ) კომპანიის ან მისი მშობელი საწარმოს ძირითად მმართველ პერსონალს;
- გ) (ა) ან (ბ) პუნქტში ჩამოთვლილთა ოჯახის წევრებს;
- დ) მხარეებს, რომლებიც წარმოადგენენ (გ) ან (ბ) პუნქტში ჩამოთვლილი პირების მიერ კონტროლირებად ან ერთობლივად კონტროლირებად საწარმოებს, ან ამ პირებს მნიშვნელოვანი გავლენა აქვთ მათზე, ან ასეთ საწარმოში ხმის მიცემის უფლება პირდაპირ ან არაპირდაპირ ამ პირების ხელშია.

უმაღლესი ხელმძღვანელობის ანაზღაურებამ 2024 წელს შეადგინა 2,393 ათასი ლარი (2023: 2,200 ათასი ლარი). აღნიშნული ანაზღაურება 2025 წლის პირველი 6 თვის განმავლობაში 1,041 ათასი ლარია.

პროსპექტში ნაჩვენები პერიოდებისთვის კომპანიას არ გააჩნია სხვა ტიპის ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან.

სარეგისტრაციო დოკუმენტში მითითებული დოკუმენტების ჩამონათვალი

სარეგისტრაციო დოკუმენტში დამატებით მითითებულია შემდეგი დოკუმენტები (გარდა პროსპექტში მითითებული წყაროებისა)

- კომპანიის ამონაწერი (NAPR-ის სისტემაში განცხადების ნომერი: B25171480)
- სადამფუძნებლო შეთანხმება და კომპანიის წესდება (NAPR-ის სისტემაში განცხადების ნომერი: B25141011);
- ხელშეკრულება განთავსების აგენტსა და „ემიტენტს“ შორის;
- ხელშეკრულება კალკულაციისა და გადახდის აგენტსა და „ემიტენტს“ შორის;
- კომპანიის ფინანსური ანგარიშგებები გამოქვეყნებულია ანგარიშგების პორტალზე (reportal.ge);

ზემოთ ჩამოთვლილი დოკუმენტები, გარდა „კომპანიის“ წესდებისა და ფინანსური ანგარიშგებებისა, წარმოადგენს კონფიდენციალურ დოკუმენტებს, რომელთა გამოქვეყნებასაც „ემიტენტი“ არ გეგმავს, თუმცა აღნიშნული დოკუმენტების გაცნობა არსებული და პოტენციურ ინვესტორებისთვის ფიზიკური ფორმით შესაძლებელია „ემიტენტის“ ან/და განთავსების აგენტის პროსპექტში მითითებულ მისამართზე, ისევე როგორც ელექტრონული ფორმით, პროსპექტში მითითებული ელექტრონული ფოსტიდან გამოთხოვის შემთხვევაში. არსებული ინვესტორებისთვის აღნიშნული დოკუმენტების ბოლო ხელმისაწვდომი ვერსიის გაზიარება ელექტრონული ფორმით უნდა განხორციელდეს მოთხოვნის დაფიქსირებიდან არაუგვიანეს 10 სამუშაო დღის ვადაში.

ფასიანი ქაღალდების მიმოხილვა

მნიშვნელოვანი ინფორმაცია

განაცხადი საბრუნავი კაპიტალის შესახებ

„კომპანიის“ საბრუნავი კაპიტალი (მოკლევადიან აქტივებს მინუს მოკლევადიანი ვალდებულებები) და მიმდინარე კოეფიციენტი წარმოდგენილია ცხრილში:

	31 დეკ 2023	31 დეკ 2024	30 ივნ 2025
საბრუნავი კაპიტალი (ათასი ლარი)	24,610	13,712	42,573
მიმდინარე კოეფიციენტი	1.49 x	1.15 x	1.66 x

„ემიტენტი“ „ობლიგაციების“ გამოშვებიდან მოზიდულ წმინდა სახსრებს გამოიყენებს i) სასესხო ვალდებულებების რეფინანსირებისთვის; ii) კაპიტალური დანახარჯების დასაფინანსებლად და iii) სამუშაო კაპიტალის დასაფინანსებლად.

„ობლიგაციების“ პირველი ტრანშიდან, [50,000,000] ლარამდე, მიღებული წმინდა სახსრები მოხმარდება:

- [40,000,000] ლარამდე საბანკო სესხების რეფინანსირებას;
- [6,000,000] ლარამდე კაპიტალური დანახარჯების დაფინანსებას;
- [4,000,000] ლარამდე სამუშაო კაპიტალის დაფინანსებას;

დარჩენილი ტრანშ(ებ)იდან მოზიდული მოცულობა - [30,000,000] ლარამდე - მოხმარდება კომპანიის სასესხო ვალდებულებების რეფინანსირებას. მოზიდული სახსრების პრიორიტეტულობა შემდეგია - „ობლიგაციებით“ მოზიდული სახსრები პირველ რიგში მოხმარდება საბანკო სესხების რეფინანსირებას, შემდეგ - კაპიტალური დანახარჯების დაფინანსებასა და ბოლოს, სამუშაო კაპიტალის დაფინანსებას.

„ობლიგაციებით“ მოზიდული სახსრების მიზნობრიობის გათვალისწინებით კომპანიის საბრუნავი კაპიტალი და მიმდინარე კოეფიციენტი, „ობლიგაციების“ გამოშვების შედეგად - გაუმჯობესდება:

	30 ივნ 2025 პრო-ფორმა
საბრუნავი კაპიტალი (ათასი ლარი)	58,573
მიმდინარე კოეფიციენტი	2.11 x

საბრუნავი კაპიტალის პრო-ფორმა მაჩვენებლის დათვლისას გათვალისწინება მიმდინარე აქტივების 4 მილიონი ლარით ზრდა (ობლიგაციებით მოზიდული სახსრების გამოყენების შესაბამისად) და მიმდინარე ვალდებულებების 12 მილიონი ლარით შემცირება, რადგან „ემიტენტი“ გეგმავს აღნიშნული მოცულობის მოკლევადიან საბანკო სესხების რეფინანსირებას ობლიგაციებიდან მოზიდული სახსრებით.

კომპანიის შეფასებით, მომავალი დაფინანსება („ობლიგაციებიდან“ მიღებული შემოსულობის ჩათვლით) და კომპანიის მომგებიანობა საკმარისი იქნება მომავალი ერთი წლის განმავლობაში მისი საქმიანობის დასაფინანსებლად.

ინფორმაცია შეთავაზებაში მონაწილე მხარეთა ინტერესისა და პოტენციური ინტერესთა კონფლიქტის შესახებ

შეთავაზებაში ჩართული პირი	როლი შეთავაზებაში	ინტერესის აღწერა	ინტერესთა კონფლიქტის აღწერა
შპს „თიბისი კაპიტალი“	განთავსების აგენტი	წინამდებარე შეთავაზების მიზნებისთვის განთავსების აგენტი „თიბისი კაპიტალი“, რომელიც ასევე იქნება გადახდისა და კალკულაციის აგენტი. შესაბამისად,	არსებობს იმის ალბათობა, რომ „ობლიგაციების“ ნაწილის შემძენი იქნება ერთ-ერთი მსხვილი კომერციული ბანკი, რომელიც აფილირებულია განთავსების აგენტთან (განთავსების აგენტი სს „თიბისი ბანკის“ პირდაპირი შვილობილი კომპანიაა). ამავდროულად, განთავსების აგენტსა და სს „თიბისი

მის ინტერესებშია ფასიანი
ქაღალდების განთავსება და
სანაცვლოდ, „კომპანიასთან“
შეთანხმებული საზღაურის მიღება.

ბანკის“ კორპორაციული დაკრედიტების
მიმართულებას (რომელშიც შედის როგორც
კორპორაციული სესხების გაცემა, ისე ობლიგაციებში
ინვესტირება) საერთო მენეჯმენტი მართავს.
აღნიშნულმა შესაძლოა წარმოშვას ინტერესთა
კონფლიქტი, ერთი მხრივ, განთავსების აგენტსა და
„ემიტენტს“, მეორეს მხრივ, განთავსების აგენტსა და სს
„თიბისი ბანკს“ შორის, ხოლო მესამე მხრივ
განთავსების აგენტსა და ინვესტორებს შორის. თუმცა,
„ემიტენტს“ მიაჩნია, რომ შესაძლო ინტერესთა
კონფლიქტი შემცირებულია შემდეგი გარემოებების
გათვალისწინებით:

(ა) განთავსების აგენტს კანონმდებლობით მოეთხოვება,
რომ როგორც სს „თიბისი ბანკს“, ასევე ყველა
ინვესტორს მოექცეს თანასწორობის და
თანაბარუფლებიანობის საწყისებზე;

(ბ) თუ საპროცენტო სარგებლის საბოლოო განაკვეთის
ფორმირების (Book-building-ის) პროცესში პოტენციური
ინვესტორებისაგან „ობლიგაციების“ შესყიდვის
თაობაზე განაცხადებით გამოხატულია ინტერესი იმაზე
მეტი „ობლიგაციის“ შეძენაზე ვიდრე ამ „პროსპექტით“
არის გათვალისწინებული და განაცხადების
დაკმაყოფილება ხდება ნაწილობრივ, შემოსულ
განაცხადებში მითითებული ოდენობების
პროპორციულად ან სხვაგვარად, ამასთან
დაკავშირებით გადაწყვეტილებას იღებს თავად
„ემიტენტი“ და არა განთავსების აგენტი.

„კომპანია“ ინფორმირებული არ არის შეთავაზებასთან
დაკავშირებული სხვა არსებული ან პოტენციური
ინტერესთა კონფლიქტების შესახებ.

ინფორმაცია ფასიანი ქაღალდების კაპიტალის სტრუქტურაში ცვლილებებისა და გადახდისუუნარობის / გაკოტრების შემთხვევის შესახებ:

„ობლიგაციები“ წარმოადგენს „კომპანიის“ პირდაპირ არაუზრუნველყოფილ ვალდებულებებს, რომლებიც რეგულარული
უთანაბრდება ერთმანეთს (pari passu) და „კომპანიის“ ყველა სხვა არაუზრუნველყოფილ და არასუბორდინირებულ
ვალდებულებას. „რეზილიტაციის და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ“ საქართველოს კანონის
104-ე მუხლის თანახმად გადახდისუუნარობის მასა პროპორციულობის პრინციპის დაცვით უნდა განაწილდეს. ყოველი
მომდევნო რიგის კრედიტორთა მოთხოვნები დაკმაყოფილდება წინა რიგის კრედიტორთა მოთხოვნების სრულად
დაკმაყოფილების შემდეგ, თუ სხვა ცვლილება არ არის გათვალისწინებული ყველა კრედიტორის შეთანხმებით,
რომლებზედაც ეს ცვლილება გავლენას მოახდენს. აღნიშნული „ობლიგაციები“ 104-ე მუხლის 1-ლი პუნქტის „გ.გ.“
ქვეპუნქტით გათვალისწინებულ არაუზრუნველყოფილი მოთხოვნად ჩაითვლება.

ზემოაღნიშნული კანონის თანახმად, ემიტენტის გაკოტრების შემთხვევაში, გადახდისუუნარობის ქონება განაწილდება
შემდეგი თანმიმდევრობით:

- 1) გაკოტრების რეჟიმის ხარჯები (რომელიც თავის მხრივ მოიცავს (i) საქართველოს სამოქალაქო საპროცესო
კოდექსის V თავში გათვალისწინებული პროცედურის ხარჯებს; (ii) გაკოტრების მმართველის ანაზღაურებას,
და (iii) საქმის წარმოებასთან დაკავშირებულ ხარჯებს, მათ შორის, გაკოტრების საქმის წარმოების პროცესში

შრომითი ურთიერთობიდან წარმოქმნილი ხარჯები, ქონების მართვის ხარჯები, აგრეთვე მმართველის გადაწყვეტილებით შესყიდული სხვადასხვა პროფესიული მომსახურების ხარჯები);

- 2) სასამართლოს მიერ გადახდისუუნარობის შესახებ განცხადების დასაშვებად ცნობისა და გაკოტრების რეჟიმის გახსნის თაობაზე განჩინების გამოტანის შემდეგ „ემიტენტის“ მიმართ წარმოშობილი დავალიანება, მათ შორის, მათ შორის, გაკოტრების საქმის წარმოების დაწყების შემდეგ წარმოშობილი საგადასახადო ვალდებულებები;
- 3) კრედიტორთა ჯგუფები – შემდეგი თანამიმდევრობით:
 - a) პრეფერენციული მოთხოვნები - სასამართლოს მიერ გადახდისუუნარობის შესახებ განცხადების დასაშვებად ცნობამდე გადასახდელი, 3 თვის ხელფასისა და შვებულების ხარჯების (გარდა მოვალის დირექტორებისა და სამეთვალყურეო საბჭოს წევრების, აგრეთვე მათი ოჯახის წევრების ხელფასისა და შვებულების ხარჯებისა) ასანაზღაურებელი თანხები, საწარმოო ტრავმის გამო გადასახდელი თანხები (თითოეული კრედიტორისთვის – არაუმეტეს 1 000 ლარის ოდენობით);
 - b) პრეფერენციული საგადასახადო მოთხოვნები - სასამართლოს მიერ გადახდისუუნარობის შესახებ განცხადების დასაშვებად ცნობამდე ბოლო 3 წლის შესაბამის საგადასახადო პერიოდზე წარმოშობილი, საქართველოს საგადასახადო კოდექსით გათვალისწინებული არაპირდაპირი გადასახადების თანხები;
 - c) არაუზრუნველყოფილი მოთხოვნები, მათ შორის, გადასახდელი თანხების ჩათვლით, რომლებიც გადახდისუუნარობის შესახებ განცხადების დასაშვებად ცნობამდე წარმოშობილი გადასახადების თანხა, რომლებსაც „რეაბილიტაციის და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ“ საქართველოს კანონის 104-ე მუხლის 1-ლი პუნქტის სხვა ქვეპუნქტები არ მოიცავს;
 - d) მოთხოვნები, რომლებიც წარმოშობილია გადახდისუუნარობის შესახებ განცხადების დასაშვებად ცნობამდე არსებულ ვალდებულებებზე დარიცხული პროცენტებისა და ჯარიმების სახით, ადმინისტრაციული ჯარიმები და ადმინისტრაციული სამართალდარღვევებიდან გამომდინარე სხვა ფულადი ვალდებულებები, საქართველოს საგადასახადო კოდექსის შესაბამისად დარიცხული ჯარიმები და საურავები
 - e) არაპრივილეგირებული მოთხოვნები; და
 - f) კორპორაციული ურთიერთობიდან წარმოშობილი ვალდებულებები (დივიდენდის გადახდა, აქციათა გამოსყიდვა, შენატანის დაბრუნება).

1. ინფორმაცია, რომელიც ეხება შესათავაზებელ ფასიან ქაღალდებს:

1.1 შესათავაზებელი/სავაჭროდ დასაშვები ფასიანი ქაღალდის სახეობა (ტიპი) და კლასი.

„ობლიგაციები“ წარმოადგენს „კომპანიის“ პირდაპირ, არაუზრუნველყოფილ ვალდებულებებს, რომლებიც რიგითობით უთანაბრდება ერთმანეთს და „კომპანიის“ ყველა სხვა არაუზრუნველყოფილ და არასუბორდინირებულ ვალდებულებას. „ობლიგაციები“ არ იქნება არც ერთი მთავრობის ვალდებულება.

1.2 კანონმდებლობა, რომლის შესაბამისადაც ხდება ამ ფასიანი ქაღალდების გამოშვება.

ობლიგაციების“ გამოშვება ხდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

1.3 ინფორმაცია დეპოზიტარის შესახებ.

სს „საქართველოს ფასიანი ქაღალდების ცენტრალური დეპოზიტარი“ (ს/ნ 204935400), ტელეფონი: (+995 32) 2 50 02 11, მისამართი: თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზირის 71. მე-10.

1.4 ინფორმაცია იმის შესახებ, თუ რა ვალუტაშია ნომინირებული გამოსაშვები ფასიანი ქაღალდი.

თითოეული ინდივიდუალური ემისიისათვის (რომელთაგან უკანასკნელი ემისია განხორციელდება არაუგვიანეს ემისიის პროსპექტის დამტკიცებიდან 12 თვის განმავლობაში, რომელსაც აზუსტებს შესაბამისი „პირობების დოკუმენტი“) „ობლიგაციები“ გაცემულია დემატერიალიზებული ფორმით, რომელთაგან თითოეულის ნომინალური ღირებულება შეადგენს 1,000 (ათასი) ლარს, 1,000 (ათასი) აშშ დოლარს ან 1,000 (ათასი) ევროს. შესაბამისი ემისიის დენომინაცია დაზუსტდება მისი „პირობების დოკუმენტი“.

1.5 იმ უფლებების და შეზღუდვების აღწერა, რომლებიც თან ერთვის ფასიან ქაღალდებს და აღნიშნული უფლებების განხორციელების პროცედურა.

„ობლიგაციების“ პირობები და „ობლიგაციონერთა“ უფლებები განისაზღვრება: წინამდებარე „პროსპექტით“, მათ შორის, წინამდებარე „ობლიგაციების გამოშვების პირობებით“ (შემდგომში - „ობლიგაციების გამოშვების პირობები“ ან

„პირობები“), „შეთავაზების პირობების დოკუმენტით“ და „ობლიგაციონერებსა“ და „თავდებებს“ შორის გაფორმებული თავდებობის ხელშეკრულებით (შემდგომში „თავდებობის ხელშეკრულება“). „თავდებობის ხელშეკრულებასა“ და „პროსპექტს“ შორის შეუსაბამობის შემთხვევაში, უპირატესობა მიენიჭება ემისიის წინამდებარე „პროსპექტს“.

1.6 ფასიანი ქაღალდების თავისუფალი მიმოქცევის შეზღუდვა.

ამ „პროსპექტით“ წარმოდგენილი/შესათავაზებული ფასიანი ქაღალდების თავისუფალი მიმოქცევა არ არის შეზღუდული, გარდა ემისიის პროსპექტის „ზოგადი მიმოხილვის“ თავის გაფრთხილების ნაწილში მოცემული შეზღუდვებისა.

1.7 ინფორმაცია ფასიანი ქაღალდებიდან მიღებული შემოსავლების დაბეგვრის შესახებ.

„ობლიგაციებზე“ გადახდილი პროცენტი რეზიდენტი ფიზიკური პირისთვის, არარეზიდენტი იურიდიული და ფიზიკური პირებისთვის (თუ პროცენტი არ მიეკუთვნება საქართველოში ამ არარეზიდენტის მუდმივ დაწესებულებას) თავისუფლდება საშემოსავლო და მოგების გადასახადისაგან იმის გათვალისწინებით, რომ „ობლიგაცია“ იქნება რეზიდენტი იურიდიული პირის მიერ 2026 წლის 1 იანვრამდე საქართველოში საჯარო შეთავაზების გზით გამოშვებული და საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ აღიარებულ ორგანიზებულ ბაზარზე სავაჭროდ დაშვებული სასესხო ფასიანი ქაღალდი გახდება, რაც შესაძლებელი იქნება „საქართველოს საფონდო ბირჟის“ საბჭოს დადებითი გადაწყვეტილების შემთხვევაში. კომპანია აპირებს მიმართოს სს „საქართველოს საფონდო ბირჟას“, რათა ობლიგაციები დაშვებული იქნეს სავაჭროდ აღნიშნულ ბაზარზე. წინამდებარე პროსპექტის დამტკიცების თარიღისათვის სს „საქართველოს საფონდო ბირჟა“ ითვლება ეროვნული ბანკის მიერ აღიარებულ ორგანიზებულ ბაზრად მხოლოდ ბირჟის A და B კატეგორიის სალისტინგო სეგმენტში. ვინაიდან რეზიდენტი იურიდიული პირის მიერ რეზიდენტი იურიდიული პირისთვის გადახდილი პროცენტი წყაროსთან დაბეგვრას არ ექვემდებარება, „ობლიგაციებზე“ მეწარმე რეზიდენტი იურიდიული პირის (გარდა საბანკო დაწესებულების, საკრედიტო კავშირის, მიკროსაფინანსო ორგანიზაციის, სესხის გამცემი სუბიექტისა და სადაზღვევო ორგანიზაციის) მიერ მიღებული პროცენტები ჩაირთვება რეზიდენტი იურიდიული პირის მოგებაში და დაიბეგრება მოგების გადასახადის 15%-იანი განაკვეთით, მხოლოდ შესაბამისი მოგების განაწილებისას. საბანკო დაწესებულების, საკრედიტო კავშირის, მიკროსაფინანსო ორგანიზაციისა და სესხის გამცემი სუბიექტის მიერ მიღებული პროცენტი შეიტანება ამ საწარმოების ერთობლივ შემოსავალში და გამოქვითვების შემდეგ დაიბეგრება მოგების გადასახადის 20%-იანი განაკვეთით.

1.8 არსებობის შემთხვევაში ემიტენტის ან მისი სავალო ფასიანი ქაღალდების საკრედიტო რეიტინგები.

2025 წლის 26 ნოემბერს კომპანიას მიღებული აქვს 'B+' საკრედიტო რეიტინგი (სტაბილური პერსპექტივით) ევროპული საკრედიტო სააგენტო Scope Ratings GmbH-სგან.

2. საჯარო შეთავაზების პირობები

2.1 შეთავაზების პირობები, მოსალოდნელი გრაფიკი და შეთავაზებაში მონაწილეობისათვის საჭირო პროცედურები

2.1.1 პირობები, რომლებსაც უნდა აკმაყოფილებდეს შეთავაზება.

შეთავაზება უნდა აკმაყოფილებდეს საქართველოს კანონმდებლობით და ამ ემისიის პროსპექტით გათვალისწინებულ პირობებს.

2.1.2 ემისიის/ შეთავაზების ჯამური ოდენობის მაჩვენებელი.

შეთავაზებული „ობლიგაციების“ ოდენობაა 80,000-მდე, 80 მილიონ ლარამდე, რომელთა გამოშვება განხორციელდება ერთი ან ერთზე მეტი ემისიით ლარში, აშშ დოლარსა ან ევროში.

2.1.3 პერიოდი, რის განმავლობაშიც იქნება შესაძლებელი ემისიით განსაზღვრული ფასიანი ქაღალდების შეძენა, ასევე მასში მონაწილეობის მისაღებად საჭირო პროცესის აღწერა.

„ობლიგაციების“ შეთავაზების და პროსპექტის მოქმედების ვადა დაიწყება დამტკიცებული „წინასწარი პროსპექტის“ გამოქვეყნებასთან ერთად და დასრულდება „წინასწარი პროსპექტის“ დამტკიცებიდან 12 თვეში. პროსპექტის მოქმედების ვადად განისაზღვრება წინასწარი „პროსპექტის დამტკიცებიდან“ 12 თვე. შეთავაზების პროცესი წარმართება ქვემოთ განსაზღვრული პროცედურის შესაბამისად:

ა) ობლიგაციების შეთავაზების პროცედურა:

„ობლიგაციების“ შეთავაზებას „ემიტენტის“ სახელით და მასთან გაფორმებული ხელშეკრულების („მანდატის წერილი“) საფუძველზე ახორციელებს „განთავსების აგენტი“ (როგორც ეს განსაზღვრულია „პროსპექტით“). „ობლიგაციების“ საჯარო შეთავაზების დაწყებამდე, „ობლიგაციებით“ დაინტერესების მიზნით, „განთავსების აგენტს“ ან/და მის უფლებამოსილ შუამავალს/შუამავლებს უფლება აქვთ დამტკიცებული წინასწარი „ემისიის პროსპექტი“ გაუგზავნონ პოტენციურ ინვესტორებს.

საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ წინასწარი „პროსპექტის“ დამტკიცების შემდეგ, „ემიტენტი“ ახდენს „ობლიგაციების“ საჯარო შეთავაზებას საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. პოტენციური ინვესტორების კატეგორია, რომლებისთვისაც შესაძლებელია „ობლიგაციების“ შეთავაზება, შეზღუდული არ არის. ემიტენტი აქვეყნებს შეტყობინებას ობლიგაციების შეთავაზების შესახებ საკუთარ ვებ-გვერდზე. ემიტენტი, განთავსების აგენტი, ან/და განთავსების პროცესში ჩართული ფინანსური შუამავალი პოტენციურ ინვესტორებს, მათი სურვილის შესაბამისად, აწვდიან წინასწარი „პროსპექტის“ ელექტრონულ ბმულს, ან დასკანერებულ ვარიანტს ან „პროსპექტის“ დაბეჭდილ ასლს. საბოლოო „პროსპექტი“ მიეწოდება პოტენციურ ინვესტორებს (მათ შორის, ემიტენტის ვებ-გვერდზე გამოქვეყნების გზით) საჯაროდ შეთავაზებული ობლიგაციების გაყიდვის თარიღამდე, დაწყებისთანავე ან/და გაყიდვის პროცესში. აგრეთვე, „საბოლოო პროსპექტი“ უნდა მოიცავდეს საბოლოო საპროცენტო განაკვეთს (კუპონს), რომელიც დადგინდება საპროცენტო სარგებლის საბოლოო განაკვეთის ფორმირების („Book-building“-ის) პროცესში.

პოტენციურ ინვესტორებს შეუძლიათ ობლიგაციების შესყიდვაზე ინტერესი გამოხატონ შესყიდვის შესახებ განაცხადის / შეტყობინების მიწოდებით განთავსების აგენტთან. ობლიგაციების ყიდვის სურვილის შეტყობინება დასაშვებია ელექტრონული კომუნიკაციის ან/და განთავსების აგენტის მიერ ნებადართული ნებისმიერი სხვა საშუალებებით. ობლიგაციების შესყიდვის შესახებ განაცხადის მიღების ბოლო ვადას ერთპიროვნულად საზღვრავს განთავსების აგენტი. თუ განაცხადების მიღების საბოლოო თარიღს ემთხვევა დასვენების დღე, მაშინ ასეთი თარიღის წინა სამუშაო დღე ჩაითვლება ობლიგაციების შესყიდვის შესახებ განაცხადის მიღების საბოლოო თარიღად.

„ობლიგაციის“ შეთავაზება ხორციელდება შესაბამისი ემისიის ვალუტით დენომინირებული სასესხო ფასიან ქაღალდებში ინვესტირებით დაინტერესებულ ინვესტორთა წრისთვის.

„ობლიგაციების გამოშვების პირობების“ 5(ე) ქვეპუნქტში მითითებული საპროცენტო სარგებლის საბოლოო განაკვეთის ფორმირების (Book-building-ის) დასრულების შემდგომ „განთავსების აგენტი“ აცხადებენ შეთავაზების დასრულების შესახებ და იმ ინვესტორებს, რომელთა განაცხადებიც (მათ შორის, შეცვლილი რაოდენობით) დაკმაყოფილდა, აწვდიან შესაბამის შეტყობინებას (ინდივიდუალურად ან ჯგუფურად). შეტყობინებაში მითითებულ უნდა იქნას „ობლიგაციებზე“ დასარიცხი საპროცენტო განაკვეთის საბოლოო ოდენობა და „ობლიგაციების“ ის ოდენობა, რომლის ფარგლებშიც დაკმაყოფილდა პოტენციურ ინვესტორის განაცხადი. პოტენციური ინვესტორი უფლებამოსილია დაადასტუროს დაკმაყოფილებული განაცხადი ან უარი განაცხადოს „ობლიგაციების“ შეძენაზე ამგვარი შეტყობინების მიღებიდან 1 (ერთი) „სამუშაო დღის“ განმავლობაში. იმ შემთხვევაში, თუ ინვესტორი არ იტყვის უარს „ობლიგაციების“ შეძენაზე აღნიშნულ ვადაში, „ობლიგაციების“ შეძენის განაცხადი ითვლება ინვესტორის მიერ დადასტურებულად. ამგვარი შეტყობინების მიღებამდე და ინვესტორის მიერ მისთვის დაკმაყოფილებული განაცხადის დადასტურებამდე, ინვესტორს არ აქვს შესაძლებლობა დაიწყოს ფასიანი ქაღალდებით ვაჭრობა. იმ ინვესტორთა განაცხადებს, რომლებიც დაკმაყოფილდა და რომლებიც დადასტურებულია ინვესტორების მიერ ზემოაღნიშნული წესის შესაბამისად (შემდგომში „**ხელმომწერი ინვესტორები**“), აქვთ გამოუთხოვადი და მავალდებულებელი ძალა „ხელმომწერი ინვესტორისათვის“. „ემიტენტი“ ან/და „განთავსების აგენტი“ უფლებამოსილი არიან მოახდინონ „ობლიგაციების“ განთავსება „გადავადებული

განთავსების ფასით“ „გამომშვების თარიღიდან“ „შეთავაზების პერიოდის“ დასრულებამდე (ამ უკანასკნელი თარიღის ჩათვლით). დეტალები იხ. „პირობების“ 2(ვ) ქვეპუნქტში.

„ობლიგაციების“ განთავსების შესახებ დამატებითი ინფორმაციისთვის, იხილეთ „პირობების“ ქვეთავი სახელწოდებით „განთავსება“.

„პროსპექტის“ დამტკიცების თარიღისთვის, „ემიტენტისთვის“ არ არის ცნობილი მიიღებს თუ არა შეთავაზებაში მონაწილეობას „ემიტენტის“ მენეჯმენტი, დირექტორთა ან სამეთვალყურეო საბჭოს წევრები ან/და მნიშვნელოვანი წილის მქონე აქციონერები (პარტნიორები). ასევე, „ემიტენტს“ ამ ეტაპზე არ აქვს ინფორმაცია ამ ქვეპუნქტის პირველი წინადადებით განსაზღვრული რომელიმე პირის შესახებ, რომელსაც სურს გამოიწეროს შეთავაზების 5 (ხუთი) პროცენტზე მეტი; ამავდროულად, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, „ემიტენტის“ მმართველობითი ფუნქციის მქონე პირებმა და მათთან დაკავშირებულმა პირებმა, თავის ან სხვა პირის სასარგებლოდ არ უნდა განახორციელონ გარიგებები ამ „ემიტენტის“ ფასიან ქაღალდებზე ან/და „ემიტენტის“ ფასიან ქაღალდებთან დაკავშირებულ სხვა ფინანსურ ინსტრუმენტებზე აღნიშნული „ემიტენტის“ მიერ კანონმდებლობით გათვალისწინებული ნახევარი წლის ან წლიური ანგარიშგების გამოქვეყნებამდე სულ მცირე 30 (ოცდაათი) კალენდარული დღით ადრე.

განმცხადებლების მიერ გადახდილი ზედმეტი თანხის შემთხვევაში გადახდილი ნამეტი ინახება განმცხადებლის საბროკერო ანგარიშზე. ამ თანხის დაბრუნება ხდება „განთავსების აგენტის“ სტანდარტული პროცედურით. საპროცენტო სარგებლის საბოლოო განაკვეთის ფორმირების (Book-building-ის) საფუძველზე დადგენილი შეთავაზების საბოლოო პირობები გასაჯაროვდება „საბოლოო შეთავაზების პირობების დოკუმენტის“ მეშვეობით, რომელიც დამტკიცდება ეროვნული ბანკის მიერ და წარმოადგენს „საბოლოო პროსპექტის“ განუყოფელ ნაწილს.

„ხელმოწერი ინვესტორები“ ვალდებული არიან შესაბამისი ოდენობის „ობლიგაციების“ შესასყიდი თანხები სრულად განათავსონ საბროკერო ანგარიშზე ან „დეპოზიტარში“ გახსნილ ანგარიშზე „გამომშვებისა და განთავსების თარიღამდე“ არანაკლებ 2 სამუშაო დღით ადრე. „ხელმოწერი ინვესტორის“ მიერ აღნიშნული ანგარიში გახსნილი უნდა იქნას შესაბამის ფინანსურ ინსტიტუტში, როგორც ანგარიშის მწარმოებელთან (როგორც ეს განმარტებულია ქვემოთ, „ტერმინთა განმარტებებში“). ობლიგაციების მიწოდება „ხელმოწერი ინვესტორისათვის“ ხდება „ანგარიშის მწარმოებელთან“ ან „დეპოზიტართან“ არსებულ „ხელმოწერი ინვესტორის“ ანგარიშზე. ობლიგაციების განთავსების შემდეგ „ობლიგაციონერებს“ შეუძლიათ ფლობდნენ ობლიგაციებს „ანგარიშის მწარმოებელთან“ ან „დეპოზიტართან“ გახსნილ ანგარიშ(ებ)ზე ჩანაწერის სახით.

ბ) საჯარო შეთავაზების პერიოდში ცვლილების შეტანის პროცედურა

საჯარო შეთავაზების პერიოდში („შეთავაზების პირობების“ დამტკიცებიდან საბოლოო „პროსპექტის“ მოქმედების ვადის დასრულებამდე) „ობლიგაციების“ შესახებ ინფორმაციის ცვლილებისთვის, „ემიტენტი“ მიმართავს ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ პროცედურას.

მსგავსი წესები და პროცედურა გავრცელდება „თავდებობის ხელშეკრულების“ პირობებში ნებისმიერ არსებით ცვლილებებაზე იმდენად, რამდენადაც ეს რელევანტური იქნება ასეთი პროცესებისათვის, რომელიც განხორციელდება შეთავაზების დაწყებიდან იმ თარიღამდე, სანამ თითოეული „ობლიგაციონერის“ სასარგებლოდ შეუზღუდავად და სრულად გავრცელდება შესაბამისი უზრუნველყოფა.

2.1.4 მითითება, რა დროს და რა გარემოებებში არის შესაძლებელი გაუქმდეს ან შეჩერდეს შეთავაზება და არის თუ არა შესაძლებელი შეთავაზების გაუქმება გაყიდვების დაწყების შემდეგაც.

იმ შემთხვევაში, თუ „ობლიგაციების“ ან მათი ნაწილის გასხვისება ან განთავსება ვერ მოხდა შესაბამისი მფლობელებზე, „ობლიგაციები“ ან მათი ნაწილი ჯერ დაუბრუნდება „კომპანიას“ და შემდეგ კი გაუქმდება.

2.1.5 განმცხადებლების მიერ გადახდილი ზედმეტი თანხის დაბრუნების შესაძლებლობის აღწერა.

იმ შემთხვევაში, თუ განმცხადებლის მიერ შეთავაზების ეტაპზე გადმორიცხული იქნება იმაზე მეტი თანხა, ვიდრე ეს მიემართება მისთვის გადაცემული ობლიგაციების რაოდენობას, იგი უფლებამოსილია მიმართოს „განთავსების აგენტს“ და ეს უკანასკნელი თანხის დაბრუნებას უზრუნველყოფს 10 (ათი) სამუშაო დღის ვადაში.

2.1.6 ფასიანი ქაღალდების საფასურის გადახდის, ფლობის გადაცემის და მიწოდების მეთოდებისა და ვადების აღწერა.

ფასიანი ქაღალდების საფასურის გადახდის, ფლობის გადაცემის და მიწოდების მეთოდები და ვადები გაწერილია „ობლიგაციების გამოშვების პირობების“ მე-2 მუხლში.

2.1.7 იმ შემთხვევაში, თუ ინვესტორებს უფლება აქვთ გააუქმონ თავიანთი განაცხადი, იმ პერიოდის მითითება, რომლის განმავლობაშიც განაცხადი შეიძლება გაუქმებული იყოს ინვესტორის მიერ.

ინვესტორებს არ აქვთ გაგზავნილი „განთავსების აგენტისთვის“ ოფიციალური განაცხადის გაუქმების უფლება.

2.1.8 შეთავაზების შედეგების გასაჯაროების საშუალებებისა და დროის მითითება.

განთავსების ანგარიში ეროვნულ ბანკს წარედგება ფასიანი ქაღალდების საჯარო შეთავაზების დასრულებიდან 1 თვის განმავლობაში.

2.1.9 პროცედურები უპირატესი შესყიდვის უფლების განხორციელების, ამ უფლების შესაძლო ცვლილების და ამ უფლების არ გამოყენების შემთხვევაში.

„ობლიგაციებთან“ მიმართებით არ მოქმედებს უპირატესი შესყიდვის უფლება.

2.2 განაწილებისა და წილების მიკუთვნების გეგმა

2.2.1 პოტენციური ინვესტორების სხვადასხვა კატეგორიები, რომელთათვისაც ხორციელდება ფასიანი ქაღალდების შეთავაზება.

„ობლიგაციების“ ბუნებიდან გამომდინარე, მისი შეთავაზება იგეგმება „ფასიანი ქაღალდების კანონით“ ნებადართულ ყველა პირობაზე.

2.2.2 ფასიანი ქაღალდის შეძენაზე/გამოწერაზე განაცხადის განმახორციელებელი პირებისთვის მათზე განაწილებულ რაოდენობასთან დაკავშირებით შეტყობინების გაგზავნის პროცესი.

პოტენციური ინვესტორებისადმი „ობლიგაციების“ შეთავაზების პროცესის დასრულების შემდეგ, „განთავსების აგენტი“ გააკეთებს განცხადებას შეთავაზების დასრულებასთან დაკავშირებით და შეატყობინებს იმ ინვესტორებს (ინდივიდუალურად ან ჯგუფურად), რომელთა განაცხადები (მათ შორის, „ობლიგაციების“ რაოდენობის მხრივ კორექტირებული განაცხადები) დაკმაყოფილდა. ამგვარი შეტყობინება უნდა შეიცავდეს მითითებას „ობლიგაციებზე“ დასარიცხ საპროცენტო განაკვეთზე და იმ „ობლიგაციების“ რაოდენობაზე, რომელთა მიმართაც პოტენციური ინვესტორების შესყიდვის მოთხოვნები დაკმაყოფილდა. შეთავაზების დასრულების შესახებ განცხადების გაკეთებისთანავე, პოტენციური ინვესტორების ის განაცხადები, რომლებიც დაკმაყოფილდა, იქნება გამოუხმობადი და სავალდებულო ძალის მქონე ამგვარი ინვესტორებისათვის. ვაჭრობის დაწყება დაუშვებელია ამგვარი შეტყობინების მიღებამდე.

2.2.3 მითითება ემიტენტის მენეჯმენტზე, დირექტორებზე და აქციონერებზე თუ აპირებენ შეთავაზებაში მონაწილეობის მიღებას.

„ემიტენტისთვის“ ასეთი ინფორმაცია უცნობია.

3. ფასის დადგენა

3.1 ფასიანი ქაღალდების შეთავაზების ფასის მითითება, ინვესტორზე დაკისრებული ნებისმიერი ხარჯის ან გადასახადის დაგონკრეტებით.

„ობლიგაციების“ განთავსება მოხდება მხოლოდ ნომინალური ღირებულების 100%-ის ფასად. „ემიტენტი“ არ განიხილავს ფასიანი ქაღალდების სხვაგვარ განფასებას. თუმცა, იმ შემთხვევაში, თუ საბოლოო ფასი განსხვავებული იქნება აღნიშნული გაცხადებული ფასისაგან, ინვესტორს შეუძლია გააუქმოს შეძენაზე ან გამოწერაზე გაკეთებული განაცხადი საბოლოო ფასის გასაჯაროებიდან სულ მცირე 2 სამუშაო დღის განმავლობაში.

3.2 შეთავაზების საბოლოო ფასის დადგენისა და ინვესტორებისთვის მიწოდების პროცესის აღწერა.

შეთავაზება განხორციელდება ნომინალური ღირებულების 100%-ად და „ემიტენტი“ არ განიხილავს სხვაგვარ განფასებას.

4. განთავსება

4.1 შეთავაზებაში/განთავსებაში ჩართული იურიდიული კომპანიის ან/და „ობლიგაციონერების“ წარმომადგენლის დასახელება და საკონტაქტო ინფორმაცია.

არ არის რელევანტური ამ ემისიისთვის.

4.2 ანგარიშსწორების აგენტების დასახელება და მისამართი/საკონტაქტო ინფორმაცია.

შპს „თიბისი კაპიტალი“ (საიდენტიფიკაციო კოდი: 204929961);

მისამართი: ქ. თბილისი 0102, მარჯანიშვილის ქუჩა N7;

ელ.ფოსტა: info@tbccapital.ge;

ტელეფონი: (+995 32) 227 27 33

4.3 განთავსების აგენტის დასახელება და საკონტაქტო ინფორმაცია; ასევე, კონტრაქტის ძირითადი პირობები რაოდენობების, განთავსების საკომისიოს მითითებით.

შპს „თიბისი კაპიტალი“ (საიდენტიფიკაციო კოდი: 204929961);

მისამართი: ქ. თბილისი 0102, მარჯანიშვილის ქუჩა N7;

ელ.ფოსტა: info@tbccapital.ge;

ტელეფონი: (+995 32) 227 27 33

„ობლიგაციების“ განთავსების შედეგად „ემიტენტის“ მიერ მიღებული წმინდა სახსრები (განთავსების საკომისიოს გათვალისწინებით) იქნება მაქსიმუმ განთავსებული თანხის 1.5%.

„ობლიგაციების“ განთავსება ხდება განთავსების აგენტთან 2025 წლის 3 სექტემბერს და 2025 წლის 25 ნოემბერს გაფორმებული შეთანხმების წერილების საფუძველზე.

4.4 მითითება, თუ როდის ჩაითვლება განთავსების ხელშეკრულება შესრულებულად.

განთავსების ხელშეკრულება შესრულებულად ჩაითვლება „ობლიგაციების“ განთავსებასთან ერთად, თუკი „კომპანიის“ და „განთავსების აგენტის“ შეთანხმებით არ მოხდა ვადის გაგრძელება.

ობლიგაციების გამოშვების პირობები

„ობლიგაციები“ ისარგებლებენ ქვემოთ მოცემული პირობებით:

„ობლიგაციები“ (როგორც განმარტებულია წინამდებარე „პროსპექტში“), რომელთა საერთო ძირი თანხა და ნომინალური ღირებულება „პროსპექტისა“ და „შეთავაზების პირობების დოკუმენტის“ შესაბამისად შეადგენს ჯამურად [80,000,000] ლარამდე, გამოშვებული ერთი ან რამდენიმე ემისიის მეშვეობით. „ობლიგაციები“ შესაძლოა გამოშვებულ იქნას ლარში, აშშ დოლარსა ან ევროში. აშშ დოლარში ან ევროში ემისიის შემთხვევაში გამოშვებული ობლიგაციების ჯამური ოდენობა უნდა შეესაბამებოდეს წინამდებარე ემისიის „პროსპექტით“ დადგენილ ზღვრულ ოდენობას, „ობლიგაციების“ „საბოლოო შეთავაზების პირობების“ დამტკიცების წინა დღეს დადგენილი გაცვლით კურსის შესაბამისად. ობლიგაციების ვადიანობა შესაძლოა განისაზღვროს, როგორც ერთ-ერთი მოცემულთაგან: 1) 1 წლიანი; 2) 2 წლიანი; 3) 3 წლიანი; 4) 4 წლიანი; 5) 5 წლიანი;

„ობლიგაციები“ გამოშვებულია „კომპანიის“/„ემიტენტის“ სამეთვალყურეო საბჭოს 2025 წლის 17 ნოემბრის გადაწყვეტილებების საფუძველზე. „ობლიგაციების“ პირობები და „ობლიგაციონერთა“ უფლებები განისაზღვრება: წინამდებარე „პროსპექტით“, მათ შორის, წინამდებარე „ობლიგაციების გამოშვების (შემდგომში - „ობლიგაციების გამოშვების პირობები“ ან „პირობები“).

„ობლიგაციებთან“ დაკავშირებით ძირი თანხისა და პროცენტის გადახდა განხორციელდება „კალკულაციისა და გადახდის აგენტის“ შესახებ ხელშეკრულების“ პირობების შესაბამისად, რომელიც გაფორმებულია „კომპანიისა“ და შპს „თიბისი კაპიტალს“ - როგორც კალკულაციისა და გადახდის აგენტს - შორის (შემდგომში - „კალკულაციისა და გადახდის აგენტი“). თითოეული „ობლიგაციონერი“ უფლებამოსილია გაეცნოს/შეისწავლოს „კალკულაციისა და გადახდის აგენტის“ შესახებ ხელშეკრულების“ ასლს, რომელიც ხელმისაწვდომი იქნება „კალკულაციისა და გადახდის აგენტის“ მითითებულ მისამართზე (ასევე ელექტრონულად, „ემიტენტის“ „პროსპექტში“ მითითებული ელექტრონული ფოსტებიდან გამოთხოვის შემთხვევაში, როგორც დაზუსტებულია „პროსპექტის“ ქვეთავში „სარეგისტრაციო დოკუმენტი, სარეგისტრაციო დოკუმენტში მითითებული დოკუმენტების ჩამონათვალი“), და შესაბამისად, ითვლება, რომ თითოეული „ობლიგაციონერი“ სათანადოდ იქნა ინფორმირებული/გაეცნო „კალკულაციისა და გადახდის აგენტის“ შესახებ ხელშეკრულებას“. შესაბამისად, „კალკულაციისა და გადახდის აგენტის“ შესახებ ხელშეკრულების“ ყველა იმ შესაბამის პირობას, რაც ვრცელდება „ობლიგაციონერებზე“, აქვს „ობლიგაციონერებისთვის“ სავალდებულო ძალა.

შეთავაზების პერიოდი: „შეთავაზების პირობების“ დოკუმენტის შესაბამისად განსაზღვრული პერიოდი (შემდგომში - „შეთავაზების პერიოდი“), რომელიც შეადგენს წინასწარი „პროსპექტის“ დამტკიცებიდან 12 (თორმეტი) თვეს.

ფასიანი ქაღალდების თავისუფალი მიმოქცევა: ამ „პროსპექტით“ წარმოდგენილი/შესათავაზებული ფასიანი ქაღალდების თავისუფალი მიმოქცევა არ არის შეზღუდული, გარდა ემისიის „პროსპექტის“ „ზოგადი მიმოხილვის“ თავის გაფრთხილების ნაწილში მოცემული შეზღუდვებისა.

ემისიის პირობები: „ობლიგაციების“ პირობები და „ობლიგაციონერთა“ უფლებები განისაზღვრება: წინამდებარე „პროსპექტით“, მათ შორის, წინამდებარე „ობლიგაციების გამოშვების პირობებით“ (შემდგომში - „ობლიგაციების გამოშვების პირობები“ ან „პირობები“), „შეთავაზების პირობების დოკუმენტით“ და „ობლიგაციონერებსა“ და „თავდებებს“ შორის გაფორმებული თავდებობის ხელშეკრულებით (შემდგომში „თავდებობის ხელშეკრულება“). „თავდებობის ხელშეკრულებასა“ და „პროსპექტს“ შორის შეუსაბამობის შემთხვევაში, უპირატესობა მიენიჭება ემისიის წინამდებარე „პროსპექტს“.

1. ფორმა, ნომინალური ღირებულება, საკუთრების უფლება და უზრუნველყოფა

ობლიგაციები გამოშვებულია დემატერიალიზებული ფორმით და იარსებებს მხოლოდ ფასიანი ქაღალდების ანგარიშზე ჩანაწერის სახით. ერთი ობლიგაციის ნომინალური ღირებულებაა: 1,000 (ათასი) ლარი ან 1,000 აშშ დოლარი ან 1,000 ევრო. შესაბამისი ემისიის დენომინაცია დაზუსტდება მისი „შეთავაზების პირობების დოკუმენტით“.

„ობლიგაციონერებისათვის“ გახსნილ ფასიანი ქაღალდების ანგარიშზე დემატერიალიზებული ფასიანი ქაღალდების დაკრედიტება წარმოშობს ცენტრალურ „დეპოზიტარში“ ან „ანგარიშის მწარმოებელთან“ არსებულ შესაბამის ინდივიდუალურ სეგრეგირებულ ანგარიშზე დაკრედიტებულ დემატერიალიზებულ ფასიან ქაღალდებზე „ობლიგაციონერის“ საკუთრების უფლებას. დემატერიალიზებულ ფასიან ქაღალდებზე საკუთრების უფლება დასტურდება ფასიანი ქაღალდების ანგარიშზე არსებული საკრედიტო ნაშთით, რომლის დადასტურება ხდება შესაბამისი „ანგარიშის მწარმოებლის“ მიერ გაცემული ანგარიშის ამონაწერით.

„ობლიგაციონერებისათვის“ / „ინვესტორისთვის“ გახსნილ ფასიანი ქაღალდების ანგარიშზე დემატერიალიზებული ფასიანი ქაღალდების დაკრედიტება წარმოშობს „ობლიგაციონერების“ / „ინვესტორის“ წილობრივი თანასაკუთრების უფლებას ამ ფასიანი ქაღალდების ანგარიშზე დაკრედიტებული ობლიგაციების რაოდენობის პროპორციულად, ცენტრალურ „დეპოზიტარში“ ან „ანგარიშის მწარმოებელთან“ არსებულ იმ ომნიბუსსეგრეგირებულ ანგარიშზე დაკრედიტებული იდენტური ობლიგაციების ერთობლიობაზე, რომელზედაც დაკრედიტებულია შესაბამისი „ობლიგაციონერების“ ობლიგაცი(ებ)ი.

„ობლიგაციები“ უზრუნველყოფილია „თავდებების“ მიერ გაცემული სოლიდარულ თავდებობით, რომლის საფუძველზეც „თავდებებს“ წარმოეშობათ „ობლიგაციონერების“ წინაშე არსებული ყველა ვადამოსული და გადაუხდელი ვალდებულების დაკმაყოფილების ვალდებულება სოლიდარულად, ამ „პროსპექტითა“ და შესაბამისი „თავდებობის ხელშეკრულებით“ გათვალისწინებული წესით. სოლიდარული თავდებობა თავის თავში მოიაზრებს „ობლიგაციონერების“ უფლებას, თითოეულ ან ყველა „თავდებს“ წაუყენონ მოთხოვნა იძულებითი აღსრულების მცდელობის გარეშე, თუ ძირითადად მოვალემ („ემიტენტმა“) გადააცილა გადახდის ვადას და უშედეგოდ იქნა გაფრთხილებული, ან/და მისი გადახდისუუნარობა აშკარაა ან დადგა რომელიმე სხვა „დეფოლტის“ ან „პოტენციური დეფოლტის“ შემთხვევა. „თავდებები“ „ობლიგაციონერების“ წინაშე პასუხს აგებენ მთელი თავიანთი ქონებით.

2. ობლიგაციების შეთავაზებისა და განთავსების პროცედურა, შეთავაზებაში ცვლილებების შეტანა, „თავდებობის ხელშეკრულების“ დადება და ობლიგაციების შემდგომი გასხვისება

(ა) ობლიგაციების შეთავაზების პროცედურა

„ობლიგაციების“ შეთავაზებას „ემიტენტის“ სახელით და მასთან გაფორმებული ხელშეკრულების („მანდატის წერილი“) საფუძველზე ახორციელებს „განთავსების აგენტი“ (როგორც ეს განსაზღვრულია „პროსპექტით“). „ობლიგაციების“ საჯარო შეთავაზების დაწყებამდე, „ობლიგაციებით“ დაინტერესების მიზნით, „განთავსების აგენტს“ ან/და მის უფლებამოსილ შუამავალს/შუამავლებს უფლება აქვთ დამტკიცებული წინასწარი „ემისიის პროსპექტი“ გაუგზავნონ პოტენციურ ინვესტორებს.

საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ წინასწარი „პროსპექტის“ დამტკიცების შემდეგ, „ემიტენტი“ ახდენს „ობლიგაციების“ საჯარო შეთავაზებას საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. პოტენციური ინვესტორების კატეგორია, რომლებისთვისაც შესაძლებელია „ობლიგაციების“ შეთავაზება, შეზღუდული არ არის. ემიტენტი აქვეყნებს შეტყობინებას ობლიგაციების შეთავაზების შესახებ საკუთარ ვებ-გვერდზე. ემიტენტი, განთავსების აგენტი, ან/და განთავსების პროცესში ჩართული ფინანსური შუამავალი პოტენციურ ინვესტორებს, მათი სურვილის შესაბამისად, აწვდიან წინასწარი „პროსპექტის“ ელექტრონულ ბმულს, ან დასკანერებულ ვარიანტს ან „პროსპექტის“ დაბეჭდილ ასლს. საბოლოო „პროსპექტი“ მიეწოდება პოტენციურ ინვესტორებს (მათ შორის, ემიტენტის ვებ-გვერდზე გამოქვეყნების

გზით) საჯაროდ შეთავაზებული ობლიგაციების გაყიდვის თარიღამდე, დაწყებისთანავე ან/და გაყიდვის პროცესში. აგრეთვე, „საბოლოო პროსპექტი“ უნდა მოიცავდეს საბოლოო საპროცენტო განაკვეთს (კუპონს), რომელიც დადგინდება საპროცენტო სარგებლის საბოლოო განაკვეთის ფორმირების („Book-building“-ის) პროცესში.

პოტენციურ ინვესტორებს შეუძლიათ ობლიგაციების შესყიდვაზე ინტერესი გამოხატონ შესყიდვის შესახებ განაცხადის / შეტყობინების მიწოდებით განთავსების აგენტთან. ობლიგაციების ყიდვის სურვილის შეტყობინება დასაშვებია ელექტრონული კომუნიკაციის ან/და განთავსების აგენტის მიერ ნებადართული ნებისმიერი სხვა საშუალებებით. ობლიგაციების შესყიდვის შესახებ განაცხადის მიღების ბოლო ვადას ერთპიროვნულად საზღვრავს განთავსების აგენტი. თუ განაცხადების მიღების საბოლოო თარიღს ემთხვევა დასვენების დღე, მაშინ ასეთი თარიღის წინა სამუშაო დღე ჩაითვლება ობლიგაციების შესყიდვის შესახებ განაცხადის მიღების საბოლოო თარიღად.

„ობლიგაციის“ შეთავაზება ხორციელდება შესაბამისი ემისიის ვალუტით დენომინირებული სასესხო ფასიან ქაღალდებში ინვესტირებით დაინტერესებულ ინვესტორთა წრისთვის.

5(ე) ქვეპუნქტში მითითებული საპროცენტო სარგებლის საბოლოო განაკვეთის ფორმირების (Book-building-ის) დასრულების შემდგომ „განთავსების აგენტი“ აცხადებენ შეთავაზების დასრულების შესახებ და იმ ინვესტორებს, რომელთა განაცხადებიც (მათ შორის, შეცვლილი რაოდენობით) დაკმაყოფილდა, აწვდიან შესაბამის შეტყობინებას (ინდივიდუალურად ან ჯგუფურად). შეტყობინებაში მითითებულ უნდა იქნას „ობლიგაციებზე“ დასარიცხი საპროცენტო განაკვეთის საბოლოო ოდენობა და „ობლიგაციების“ ის ოდენობა, რომლის ფარგლებშიც დაკმაყოფილდა პოტენციურ ინვესტორის განაცხადი. პოტენციური ინვესტორი უფლებამოსილია დაადასტუროს დაკმაყოფილებული განაცხადი ან უარი განაცხადოს „ობლიგაციების“ შეძენაზე ამგვარი შეტყობინების მიღებიდან 1 (ერთი) „სამუშაო დღის“ განმავლობაში. იმ შემთხვევაში, თუ ინვესტორი არ იტყვის უარს „ობლიგაციების“ შეძენაზე აღნიშნულ ვადაში, „ობლიგაციების“ შეძენის განაცხადი ითვლება ინვესტორის მიერ დადასტურებულად. ამგვარი შეტყობინების მიღებამდე და ინვესტორის მიერ მისთვის დაკმაყოფილებული განაცხადის დადასტურებამდე, ინვესტორს არ აქვს შესაძლებლობა დაიწყოს ფასიანი ქაღალდებით ვაჭრობა. იმ ინვესტორთა განაცხადებს, რომლებიც დაკმაყოფილდა და რომლებიც დადასტურებულია ინვესტორების მიერ ზემოაღნიშნული წესის შესაბამისად (შემდგომში „ხელმოწერი ინვესტორები“), აქვთ გამოუთხოვადი და მავალდებულებელი ძალა „ხელმოწერი ინვესტორისათვის“. „ემიტენტი“ ან/და „განთავსების აგენტი“ უფლებამოსილი არიან მოახდინონ „ობლიგაციების“ განთავსება „გადავადებული განთავსების ფასით“ „გამოშვების თარიღიდან“ „შეთავაზების პერიოდის“ დასრულებამდე (ამ უკანასკნელი თარიღის ჩათვლით). დეტალები იხ. „პირობების“ 2(ზ) ქვეპუნქტში.

„ობლიგაციების“ განთავსების შესახებ დამატებითი ინფორმაციისთვის, იხილეთ „პირობების“ ქვეთავი სახელწოდებით „განთავსება“.

„პროსპექტის“ დამტკიცების თარიღისთვის, „ემიტენტისთვის“ არ არის ცნობილი მიიღებს თუ არა შეთავაზებაში მონაწილეობას „ემიტენტის“ მენეჯმენტი, დირექტორთა ან სამეთვალყურეო საბჭოს წევრები ან/და მნიშვნელოვანი წილის მქონე აქციონერები (პარტნიორები). ასევე, „ემიტენტს“ ამ ეტაპზე არ აქვს ინფორმაცია ამ ქვეპუნქტის პირველი წინადადებით განსაზღვრული რომელიმე პირის შესახებ, რომელსაც სურს გამოიწეროს შეთავაზების 5 (ხუთი) პროცენტზე მეტი; ამავდროულად, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, „ემიტენტის“ მმართველობითი ფუნქციის მქონე პირებმა და მათთან დაკავშირებულმა პირებმა, თავის ან სხვა პირის სასარგებლოდ არ უნდა განახორციელონ გარიგებები ამ „ემიტენტის“ ფასიან ქაღალდებზე ან/და „ემიტენტის“ ფასიან ქაღალდებთან დაკავშირებულ სხვა ფინანსურ ინსტრუმენტებზე აღნიშნული „ემიტენტის“ მიერ კანონმდებლობით გათვალისწინებული ნახევარი წლის ან წლიური ანგარიშგების გამოქვეყნებამდე სულ მცირე 30 (ოცდაათი) კალენდარული დღით ადრე.

განმცხადებლების მიერ გადახდილი ზედმეტი თანხის შემთხვევაში გადახდილი ნამეტი ინახება განმცხადებლის საბროკერო ანგარიშზე. ამ თანხის დაბრუნება ხდება „განთავსების აგენტის“ სტანდარტული პროცედურით.

საპროცენტო სარგებლის საბოლოო განაკვეთის ფორმირების (Book-building-ის) საფუძველზე დადგენილიშეთავაზების საბოლოო პირობები გასაჯაროვდება „საბოლოო შეთავაზების პირობების დოკუმენტის“ მეშვეობით, რომელიც დამტკიცდება ეროვნული ბანკის მიერ და წარმოადგენს „საბოლოო პროსპექტის“ განუყოფელ ნაწილს.

„ხელმოწერი ინვესტორები“ ვალდებული არიან შესაბამისი ოდენობის „ობლიგაციების“ შესასყიდი თანხები სრულად განათავსონ საბროკერო ანგარიშზე ან „დეპოზიტარში“ გახსნილ ანგარიშზე „გამოშვებისა და განთავსების თარიღამდე“ არანაკლებ 2 სამუშაო დღით ადრე. „ხელმოწერი ინვესტორის“ მიერ აღნიშნული ანგარიში გახსნილი უნდა იქნას შესაბამის ფინანსურ ინსტიტუტში, როგორც ანგარიშის მწარმოებელთან (როგორც ეს განმარტებულია ქვემოთ, „ტერმინთა განმარტებებში“). ობლიგაციების მიწოდება „ხელმოწერი ინვესტორისათვის“ ხდება „ანგარიშის მწარმოებელთან“ ან „დეპოზიტართან“ არსებულ „ხელმოწერი ინვესტორის“ ანგარიშზე. ობლიგაციების განთავსების შემდეგ „ობლიგაციონერებს“ შეუძლიათ ფლობდნენ ობლიგაციებს „ანგარიშის მწარმოებელთან“ ან „დეპოზიტართან“ გახსნილ ანგარიშ(ებ)ზე ჩანაწერის სახით.

(ბ) „ობლიგაციების“ შეძენა სტრატეგიული ინვესტორების მიერ

„პროსპექტის“ მომზადების დროისათვის ერთ-ერთი საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტი („IFI“) განიხილავს „ობლიგაციების“ შეთავაზებაში მონაწილეობას, რომელთანაც „ემიტენტი“ გეგმავს ჩარჩო ხელშეკრულების დადებას. სხვა საკითხებთან ერთად, ასეთი ჩარჩო ხელშეკრულება ითვალისწინებს „ემიტენტის“ შესაბამისობას „IFI“-ის პოლიტიკასა და პროცედურულ მოთხოვნებთან, რომლებიც მოიცავს, მათ შორის, გარემოსდაცვით და სოციალურ ფაქტორებს, ფულის გათეთრების წინააღმდეგ ბრძოლასთან დაკავშირებულ მოთხოვნებს, კორუფციის წინააღმდეგ მიმართულ ღონისძიებებსა და თაღლითობასთან დაკავშირებულ საკითხებს. იმ შემთხვევაშიც კი, თუ საინვესტიციო ხელშეკრულება გაფორმდება „IFI“-სთან, მას მაინც არ ექნება „ობლიგაციების“ შეძენის ვალდებულება.

(გ) საჯარო შეთავაზების პერიოდში ცვლილების შეტანის პროცედურა

საჯარო შეთავაზების პერიოდში („შეთავაზების პირობების“ დამტკიცებიდან საბოლოო „პროსპექტის“ მოქმედების ვადის დასრულებამდე) „ობლიგაციების“ შესახებ ინფორმაციის ცვლილებისთვის, „ემიტენტი“ მიმართავს „ფასიანი ქაღალდების ბაზრის“ შესახებ საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ პროცედურას.

მსგავსი წესები და პროცედურა გავრცელდება „თავდებობის ხელშეკრულების“ პირობებში ნებისმიერ არსებით ცვლილებებაზე იმდენად, რამდენადაც ეს რელევანტური იქნება ასეთი პროცესებისათვის, რომელიც განხორციელდება შეთავაზების დაწყებიდან იმ თარიღამდე, სანამ თითოეული „ობლიგაციონერის“ სასარგებლოდ შეუზღუდავად და სრულად გავრცელდება შესაბამისი უზრუნველყოფა.

(დ) „თავდებობის ხელშეკრულების“ დადება

„გამოშვების თარიღიდან“ არაუმეტეს 30 (ოცდაათი) „სამუშაო დღის“ განმავლობაში („თავდაპირველი ხელმოწერის თარიღი“), „ემიტენტი“ ან/და „განთავსების აგენტი“ დაუკავშირდებიან ყველა „ობლიგაციონერს“, რომელსაც შეძენილი აქვს „ობლიგაციები“ აღნიშნული თარიღისთვის და

უზრუნველყოფენ „პირობების“ პირველი პუნქტით განსაზღვრული „თავდებობის ხელშეკრულების“ დადებას.

„თავდებობის ხელშეკრულებას“ ხელი მოეწერება ერთდროულად „ემიტენტის“ მიერ განსაზღვრულ დღეს, „თავდებობის ხელშეკრულებას“ ხელი მოეწერება მარტივი წერილობითი ფორმით, სანოტარო დამოწმების გარეშე და თითოეული მხარე ხელს მოაწერს მის ყველა გვერდს.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, თითოეული „ობლიგაციონერი“ ვალდებულია უზრუნველყოს, უფლებამოსილი წარმომადგენლის მეშვეობით გამოცხადდეს „ემიტენტის“ მიერ განსაზღვრულ დღეს და ხელი მოაწეროს „თავდებობის ხელშეკრულებას“.

„თავდებობის ხელშეკრულებას“ მხარეებად შეიძლება შეუერთდეს ნებისმიერი „ობლიგაციონერი“, რომელიც საჯარო შეთავაზებას დასთანხმდება „თავდებობის ხელშეკრულების“ ხელმოწერის შემდეგ, შესაბამისი დოკუმენტის გაფორმების საფუძველზე. „ემიტენტმა“ უნდა უზრუნველყოს, რომ თითოეული ის „ობლიგაციონერი“, რომელიც „ობლიგაციებს“ შეიძენს „თავდაპირველი ხელმოწერის თარიღის“ შემდეგ, შეუერთდეს „თავდებობის ხელშეკრულებას“ არაუგვიანეს 30 (ოცდაათი) სამუშაო დღის განმავლობაში შესაბამისი „ობლიგაციების“ შეძენიდან. ასეთი შეერთება განხორციელდება მხოლოდ „ემიტენტსა“ და შესაბამის „ობლიგაციონერს“ შორის დადებული მიერთების აქტის საფუძველზე, არ საჭიროებს სხვა „ობლიგაციონერების“ თანხმობას და, „ობლიგაციებზე“ ხელმოწერით, ყველა სხვა „ობლიგაციონერი“ გამოთქვამს საკუთარ გაცხადებულ თანხმობას იმაზე, რომ თითოეული და ყველა „ობლიგაციონერი“ გახდება „თავდებობის ხელშეკრულების“ მხარე.

იმ შემთხვევაში, თუ „ობლიგაციონერი“ ხელს აწერს უფლებამოსილი წარმომადგენლის მეშვეობით, შესაბამისი უფლებამოსილება უნდა დასტურდებოდეს სათანადო წესით გაცემული და დამოწმებული უფლების დამდგენი დოკუმენტის (ამონაწერი, წესდება და ა.შ.) მეშვეობით ან/და ნოტარიულად დამოწმებული მინდობილობით („მინდობილობა“), რომლის სანოტარო აქტიც ადასტურებს არა მხოლოდ „მინდობილობის“ გამცემის ვინაობას, არამედ „ობლიგაციონერების“ სანაცვლოდ ხელის მოწერის უფლებამოსილებას. თუკი „მინდობილობა“ გაცემულია საზღვარგარეთ, ის ან უნდა იყოს აპოსტილით დამოწმებული (თუ აღნიშნული ქვეყანა წარმოადგენს „უცხოეთის ოფიციალური დოკუმენტების ლეგალიზაციის მოთხოვნის გაუქმების შესახებ“ ჰააგის კონვენციის წევრ ერთ-ერთ სახელმწიფოს) ან ლეგალიზებული იქ მდებარე საქართველოს საკონსულოს მიერ. დოკუმენტების ორიგინალი ვერსიები მიეწოდება „ემიტენტსა“ და „განთავსების აგენტს“ და აღნიშნული დოკუმენტების სათანადო წესით წარდგენა წარმოადგენს შესაბამისი „ობლიგაციების“ „ობლიგაციონერზე“ განთავსების წინაპირობას.

ზემოაღნიშნულ პროცედურასთან დაკავშირებით დამატებითი კითხვების შემთხვევაში, „ობლიგაციონერებს“ პირდაპირ შეუძლიათ დაუკავშირდნენ „განთავსების აგენტს“ და „ემიტენტს“.

„თავდების“ მიერ გაცემული „თავდებობისგან“ გათავისუფლება მოხდება და „ობლიგაციონერები“ ვალდებულნი იქნებიან ხელი მოაწერონ ყველა საჭირო დოკუმენტს, რათა განხორციელდეს ასეთი გათავისუფლება:

- i. იმ შემთხვევაში, თუ შესაბამისი „თავდები“ გასხვისდება გადაცემის/გაყიდვის გზით, იმგვარად, რამდენადაც ნებადართულია წინამდებარე პირობებით;
- ii. „თავდების“ სხვა „გარანტორთან“ ან „ემიტენტთან“ შერწყმის შემთხვევაში იმგვარად, რამდენადაც ნებადართულია წინამდებარე პირობებით;
- iii. „ემიტენტის“ ყველა ვალდებულების სრულად დაფარვისა და შესრულების შემთხვევაში, როგორც ეს გათვალისწინებულია წინამდებარე „პროსპექტით“ და „თავდებობის ხელშეკრულებით“;
- iv. იმ ფარგლებით, რაც ნებადართულია „ობლიგაციონერთა კრების“ და წინამდებარე პირობების შესაბამისად,

იმ პირობით, რომ ზემოაღნიშნული (i), (ii), (iii) და (iv) ქვეპუნქტების შემთხვევაში, „პირობის“ 5(ო) ქვეპუნქტით განსაზღვრული თითოეული ტესტი უნდა კმაყოფილდებოდეს შემოთავაზებული

გამოთავისუფლების *pro forma* ეფექტის ასახვით, სადაც ამგვარი გამოთავისუფლების სრულად გათვალისწინება მოხდება შესაბამის „თავდებობის შემოწმების თარიღზე“.

„თავდებობის ხელშეკრულების“ დადების წინამდებარე ქვეპუნქტით გათვალისწინებული პროცედურა დამოუკიდებლად წარიმართება წინამდებარე „პროსპექტის“ საფუძველზე გამოშვებული თითოეული ტრანშის მიმართ და შესაბამისად, დაიდება ცალ-ცალკე „თავდებობის ხელშეკრულებები“.

(ე) ობლიგაციების გასხვისება

იმ შემთხვევაში, თუ „თავდაპირველი ობლიგაციონერის“ მიერ მოხდება „ობლიგაციების“ გასხვისება სხვა პირზე (ანუ „ობლიგაციებიდან“ გამომდინარე მოთხოვნის დათმობა), და, ასევე, „ობლიგაციების“ ყოველი და ნებისმიერი მომდევნო გასხვისების შემთხვევაში, ახალ მფლობელზე/ობლიგაციონერზე (შემდგომში, წინამდებარე 2 (ე) პუნქტის მიზნებისთვის, „ახალი ობლიგაციონერი“) სრულად გადადის „თავდებობა“ და „თავდებობის ხელშეკრულებით“ გათვალისწინებული სხვა უფლებები. შესაბამისად, „ობლიგაციების“ შეძენით ყოველი „ახალი ობლიგაციონერი“ სრულად შეიძენს „პროსპექტიდან“ (წინამდებარე „პირობების“ ჩათვლით) და „თავდებობის ხელშეკრულებიდან“ გამომდინარე „ობლიგაციონერის“ ნებისმიერ და ყველა უფლებას, და „გარანტიორები“ პასუხისმგებლები იქნებიან, სრულად განახორციელონ „პროსპექტიდან“ და „თავდებობის ხელშეკრულებიდან“ გამომდინარე თავისი ვალდებულებები „ახალი ობლიგაციონერის“ მიმართ.

ყოველგვარი ეჭვის გამოსარიცხად, „პროსპექტისა“ და საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, „ახალ ობლიგაციონერზე“ „ობლიგაციების“ გასხვისების, „ობლიგაციებიდან“ გამომდინარე და მათთან დაკავშირებული მოთხოვნების დათმობისა და „ახალი ობლიგაციონერის“ მიერ სრულად შეძენის, დადასტურების მიზნებისთვის საკმარის მტკიცებულებას წარმოადგენს შესაბამისი ანგარიშის მწარმოებლის მიერ გაცემული ამონაწერი, რომლითაც დასტურდება „ახალი ობლიგაციონერის“ საკუთრების უფლება „ობლიგაციებთან“ მიმართებით და ამ მიზნით არ არის საჭირო რაიმე სხვა დამატებითი დოკუმენტის (მათ შორის, შეზღუდვის გარეშე, „თავდებობის ხელშეკრულების“ რაიმე ცვლილების ან დანართის) გაფორმება და წარმოდგენა.

(ვ) ფასისა და დასარიცხი პროცენტის (კუპონის) დადგენა

პოტენციური ინვესტორებისათვის შეთავაზების საბოლოო მოცულობა დგინდება „ობლიგაციების“ შეთავაზების პროცესში, „ობლიგაციების“ შესყიდვაზე გამოვლენილი მოთხოვნების მოცულობიდან / პირობებიდან გამომდინარე (Book-building-ის შედეგად) „ობლიგაციების“ „პირობების“ 2(ა) ქვეპუნქტით განსაზღვრული პროცედურის შესაბამისად.

„ობლიგაციების“ ნომინალურ ღირებულებაზე დასარიცხი პროცენტის (კუპონის) საბოლოო განაკვეთი დგინდება პოტენციური ინვესტორებისათვის „ობლიგაციების“ შეთავაზების პროცესში, „ობლიგაციების“ შესყიდვაზე გამოვლენილი მოთხოვნების მოცულობიდან / პირობებიდან გამომდინარე (Book-building-ის შედეგად). პროცენტის (კუპონის) საბოლოო განაკვეთი უნდა იყოს შესაბამის წინასწარი შეთავაზების პირობების დოკუმენტში (რომელიც მიეწოდება პოტენციურ ინვესტორების შეთავაზების პროცესში) მითითებული ზღვრის ფარგლებში. საჯარო შეთავაზების ფარგლებში, დაუშვებელია შეთავაზების (Book-building-ის) დაწყება, წინასწარი „შეთავაზების პირობების“ დოკუმენტის საქართველოს ეროვნული ბანკისთვის წარდგენისა და აღნიშნული დოკუმენტის გასაჯაროების გარეშე. ამასთან, წინასწარი „შეთავაზების“ პირობების დოკუმენტით განსაზღვრულ ფარგლებში საბოლოო საპროცენტო განაკვეთის (კუპონის) ფორმირება არ წარმოადგენს არსებით ცვლილებას და საჭიროებს მხოლოდ და მხოლოდ საბოლოო „პროსპექტში“ ასახვას.

თუ საპროცენტო სარგებლის საბოლოო განაკვეთის ფორმირების (Book-building-ის) პროცესში პოტენციური ინვესტორებისაგან ობლიგაციების შესყიდვის თაობაზე განაცხადებით გამოხატულია ინტერესი იმაზე მეტი ობლიგაციის შემენაზე, ვიდრე ამ „პროსპექტით“ არის გათვალისწინებული, მაშინ განაცხადების დაკმაყოფილება ხდება ნაწილობრივ, შემოსულ განაცხადებში მითითებული ოდენობების პროპორციულად ან სხვაგვარად, ემიტენტის დისკრეციული გადაწყვეტილებისამებრ. ამასთანავე, იმ შემთხვევაში, თუ პოტენციური ინვესტორის განაცხადი დაკმაყოფილდა მხოლოდ ნაწილობრივ, პოტენციური ინვესტორი უფლებამოსილია უარი განაცხადოს ან გააგრძელოს ობლიგაციების შესყიდვის პროცესში მონაწილეობა. ამგვარი გადაწყვეტილების თაობაზე განთავსების აგენტს უნდა ეცნობოს დაუყოვნებლივ (არაუგვიანეს მომდევნო სამუშაო დღის 14.00 საათამდე (თბილისის დროით) მას შემდეგ, რაც ინვესტორს ეცნობება მისი განაცხადის კორექტირების (ობლიგაციების ოდენობის თვალსაზრისით) შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში, განთავსების აგენტი უფლებამოსილია, თავისი შეხედულებისამებრ, კვლავ განიხილოს ინვესტორის საწყისი განაცხადი (მოთხოვნილი ფასიანი ქაღალდების სრულ ოდენობაზე), ან უარი განაცხადოს მასზე.

(ზ) განთავსება

„ემიტენტი“ ან/და „განთავსების აგენტი“ უფლებამოსილი არიან მოახდინონ „ობლიგაციების“ განთავსება „გადავადებული განთავსების ფასით“ „გამოშვების თარიღიდან“ „შეთავაზების პერიოდის“ დასრულებამდე (ამ უკანასკნელი თარიღის დასრულების დღის ჩათვლით). „ობლიგაციების“ გადავადებული განთავსება მოხდება „გადავადებული განთავსების ფასით“. ინვესტორებს შეუძლიათ გადავადებით გამოსაშვები „ობლიგაციების“ შესყიდვაზე ინტერესი გამოხატონ შესყიდვის შესახებ განაცხადის / შეტყობინების მიწოდებით „განთავსების აგენტთან“. „ობლიგაციების“ ყიდვის სურვილის შეტყობინება დასაშვებია ელექტრონული კომუნიკაციის ან/და „განთავსების აგენტის“ მიერ ნებადართული ნებისმიერი სხვა საშუალებებით.

„ხელმოწერი ინვესტორები“ და ის ინვესტორები, რომლებიც შეისყიდიან „ობლიგაციებს“ „გადავადებული განთავსების თარიღზე“ (შემდგომში ერთობლივად „**ინვესტორები**“), ვალდებული არიან შესაბამისი ოდენობის „ობლიგაციების“ შესასყიდი თანხები სრულად განათავსონ საბროკერო ანგარიშზე ან „დეპოზიტარში“ გახსნილ ანგარიშზე „გამოშვების თარიღამდე“ ან „გადავადებული განთავსების თარიღამდე“ არანაკლებ 2 (ორი) „სამუშაო დღით“ ადრე. „ინვესტორის“ მიერ აღნიშნული ანგარიში გახსნილი უნდა იქნას „განთავსების აგენტთან“ ან „დეპოზიტარში“. ობლიგაციების მიწოდება „ინვესტორისათვის“ მოხდება „ანგარიშის მწარმოებელთან“ ან „დეპოზიტართან“ არსებულ „ხელმოწერ ინვესტორთა“ ან/და პოტენციურ „ინვესტორის“ ანგარიშზე.

„ობლიგაციების“ განთავსების შემდეგ „ობლიგაციონერებს“ შეუძლიათ ფლობდნენ „ობლიგაციებს“ სხვა „ანგარიშის მწარმოებელთან“ ან „დეპოზიტართან“ გახსნილ ანგარიშ(ებ)ზე.

„ემიტენტი“ არ მოახდენს წინამდებარე „პროსპექტში“ აღწერილი შეთავაზებით გათვალისწინებული „ობლიგაციების“ გამოშვებას ან/და გააუქმებს ყველა გამოშვებულ „ობლიგაციას“ (თუ კი ასეთი იარსებებს) „ობლიგაციონერებისათვის“ „ობლიგაციების“ შესაძენად გადახდილი თანხის დაბრუნებით, თუ „გამოშვების თარიღზე“ არ მოხდება განთავსების მინიმალური ოდენობის განთავსება, როგორც ეს განსაზღვრულია შეთავაზების პირობების დოკუმენტში.

თუ საბოლოო „პროსპექტით“ გათვალისწინებული „ობლიგაციების“ სრული რაოდენობა არ იქნება განთავსებული შეთავაზების დასრულების თარიღზე, განთავსებელი „ობლიგაციები“ ჩაითვლება გაუქმებულად (გაუქმდება) და „ემიტენტი“ „ობლიგაციების“ განთავსებული რაოდენობის შესახებ ინფორმაციას მიაწვდის საქართველოს ეროვნულ ბანკს, საფონდო ბირჟას – თუ ფასიანი ქაღალდი დაშვებულია საფონდო ბირჟაზე და აგრეთვე გამოაცხადებს მას საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად.

ობლიგაციების საჯარო შეთავაზების დასრულებიდან 1 თვის ვადაში ემიტენტი ეროვნულ ბანკს წარუდგენს და გაასაჯაროებს ინფორმაციას შეთავაზების და განთავსების შედეგების შესახებ.

3. სტატუსი

მიუხედავად იმისა, რომ „ობლიგაციები“ უზრუნველყოფილია „თავდებების“ მირ გაცემული სოლიდარული თავდებობით, საქართველოს გადახდისუნარიობის კანონმდებლობის მიზნებისთვის, „ობლიგაციები“ წარმოადგენს „ემიტენტის“ პირდაპირ არაუზრუნველყოფილ ვალდებულებებს, რომლებიც რიგითობით უთანაბრდება ერთმანეთს (*pari passu*) და „კომპანიის“ ყველა სხვა არაუზრუნველყოფილ და არასუბორდინირებულ ვალდებულებას. რეაბილიტაციის და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ კანონის 104-ე მუხლის თანახმად გადახდისუნარიობის მასა პროპორციულობის პრინციპის დაცვით უნდა განაწილდეს. ყოველი მომდევნო რიგის კრედიტორთა მოთხოვნები დაკმაყოფილდება წინა რიგის კრედიტორთა მოთხოვნების სრულად დაკმაყოფილების შემდეგ, თუ სხვა ცვლილება არ არის გათვალისწინებული ყველა კრედიტორის შეთანხმებით, რომლებზედაც ეს ცვლილება გავლენას მოახდენს. აღნიშნული „ობლიგაციები“ 104-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ.გ.“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ არაუზრუნველყოფილი მოთხოვნად ჩაითვლება.

4. ფასიანი ქაღალდების სავაჭროდ დაშვება ბირჟაზე

ემიტენტმა შესაძლოა ობლიგაციების განთავსების შემდგომ მიმართოს საქართველოს საფონდო ბირჟას ან თბილისის საფონდო ბირჟას განაცხადით ობლიგაციების სავაჭრო სისტემაში და საფონდო ბირჟის ლისტინგში დაშვების თაობაზე.

5. დათქმები

(ა) „უზრუნველყოფის ღონისძიების“ წარმოშობის შეზღუდვა:

- (I) „ობლიგაციების“ „დაფარვამდე“ „ემიტენტმა“ არ უნდა მოახდინოს მის რომელიმე აქტივზე, და არ უნდა დაუშვას, რომ მისმა რომელიმე „შვილობილმა“ მოახდინონ მათ რომელიმე არსებულ ან სამომავლო აქტივზე, პირდაპირ ან არაპირდაპირ რაიმე „უზრუნველყოფის ღონისძიების“ წარმოშობა ან არსებობა (გარდა „ნებადართული უზრუნველყოფისა“) რაიმე „ვალდებულების“ უზრუნველსაყოფად.
- (II) „ემიტენტი“ ვალდებულია თითოეული „ტრანშის“ „განთავსების თარიღიდან“ არაუგვიანეს 20 (ოცი) „სამუშაო დღის“ ვადაში უზრუნველყოს, რომ ის „მარაგები“ და „ძირითადი საშუალებები“, რომელიც ექვემდებარება „ტრანშის გათავისუფლების მოთხოვნის“ დაკმაყოფილებას რელევანტურ „ტრანშზე“, თავისუფალია ყოველგვარი არსებული დატვირთვის ან „უზრუნველყოფის საშუალებისაგან“.
- (III) ზემოაღნიშნული (I) და (II) ქვეპუნქტების ზოგადი შეზღუდვის გარეშე და მიუხედავად ამ „პირობებში“ არსებული ნებისმიერი საწინააღმდეგო დებულებისა, მათ შორის „ნებადართულ უზრუნველყოფასთან“ დაკავშირებული ნორმებისა, მანამ სანამ „ობლიგაციების“ ნაწილი მაინც გადაუხდელია, „ემიტენტი“ ვალდებულია თავი შეიკავოს, და ასევე არ დაუშვებს, რომ რომელიმე მისი „შვილობილი“ შექმნის ან დაუშვებს რაიმე „უზრუნველყოფის ღონისძიებას“ „განსაზღვრულ დაუტვირთავ აქტივებზე“ ნებისმიერ დროს. ყოველგვარი ექვის თავიდან არიდების მიზნით, „განსაზღვრული დაუტვირთავი აქტივების“ საბალანსო ღირებულება შედის „ძირითადი საშუალებების“ და „მარაგების“ იმ საბალანსო ღირებულებაში, რაც საჭიროა „ტრანშის გათავისუფლების მოთხოვნის“ დასაკმაყოფილებლად წინამდებარე „პროსპექტის“ პირველ „ტრანშთან“ მიმართებით.

(ბ) საქმიანობის გაგრძელება, უფლებამოსილების შენარჩუნება და იურიდიული ძალა:

- (I) „ემიტენტმა“ უნდა მიიღოს ყველა აუცილებელი ზომა, და უნდა უზრუნველყოს, რომ მისი ყველა „შვილობილი“ მიიღებს ყველა აუცილებელ ზომას, რათა შენარჩუნებულ იქნას მისი და მათი, როგორც

სამეწარმეო იურიდიული პირების, განგრძობადი არსებობა (გარდა „პირობების“ 5(გ) ქვეპუნქტით („შერწყმა“) გათვალისწინებული შემთხვევებისა) და ბიზნეს საქმიანობა და აგრეთვე ყველა ის მნიშვნელოვანი ინტელექტუალური საკუთრება, ყველა საჭირო ნებართვა, ლიცენზია, თანხმობა და უფლებამოსილება, რაც დაკავშირებულია ან/და აუცილებელია მისი (მათი) საქმიანობის შეუფერხებლად განხორციელებისათვის.

(II) „ემიტენტმა“ უნდა მიიღოს ყველა აუცილებელი ზომა, მოიპოვოს და შეინარჩუნოს ყველა ის უფლებამოსილება, ნებართვა, ლიცენზია და განახორციელოს და უზრუნველყოს ყველა იმ საჭირო პროცედურების განხორციელება, რაც საქართველოს კანონმდებლობით სავალდებულოა „ობლიგაციებით“ და „თავდებობის ხელშეკრულებით“ ნაკისრი მისი ვალდებულებების კანონიერად შესრულებისათვის და საქართველოში „ობლიგაციების“ და „თავდებობის ხელშეკრულების“ ნამდვილობის, აღსრულებადობისა და მტკიცებულებად დასაშვებობისათვის.

(გ) შერწყმა:

(I) „ემიტენტი“ უზრუნველყოფს, რომ იმ „ობლიგაციონერების“ წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე, რომლებიც ფლობენ (პირდაპირ ან „ანგარიშის მწარმოებლის“ საშუალებით) ინდივიდუალურად ან ჯამურად, „დაუფარავი“ „ობლიგაციების“ არანაკლებ 75%-ს (სამოცდათხუთმეტ პროცენტს), არ განახორციელოს შემდეგი: (გ.1) რეორგანიზაცია (იქნება ეს სხვა იურიდიულ პირთან შერწყმის, გაყოფის თუ გარდაქმნის სახით) ან რაიმე სხვა სახის კორპორატიული ცვლილება, ან (გ.2) ერთი ან რამდენიმე დაკავშირებული ტრანზაქციით, პირდაპირ ან არაპირდაპირ, კონსოლიდაცია ან შერწყმა, „ემიტენტის“ მთლიანი კონსოლიდირებული ქონების ან აქტივების ან მათი მნიშვნელოვანი ნაწილის (ამ მიზნებისთვის განიმარტება, როგორც ისეთი ქონება ან აქტივები, რომლებიც წარმოადგენს „ემიტენტის“ მთლიანი კონსოლიდირებული აქტივების“ 50%-ს ან მეტს) განკარგვა, გასხვისება, გადაცემა, იჯარით გაცემა ან სხვაგვარი განკარგვა, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც სახეზეა შემდეგი პირობები:

(i) ზემოხსენებული (გ.1) ან (გ.2) ქვეპუნქტებში მითითებული ტრანზაქციის შემდეგ დაუყოვნებლივ:

(ა) რეორგანიზაციის შედეგად ჩამოყალიბებული „პირი“ ან ქონების ან აქტივების მიმღები (შემდგომში „სამართალმემკვიდრე“) არის კვლავ „ემიტენტი“, ან, თუ „სამართალმემკვიდრე“ არ არის „ემიტენტი“, მაშინ ეს „სამართალმემკვიდრე“ ცალსახად იკისრებს „ობლიგაციებიდან“ და „თავდებობის ხელშეკრულებიდან“ გამომდინარე ყველა არსებით უფლებას და ვალდებულებას იმ აუცილებელი პირობების/სტანდარტების გათვალისწინებით, რაც საჭიროა ამგვარი უფლებებისა და ვალდებულებების „სამართალმემკვიდრისთვის“ გადაკისრების ნამდვილობისთვის;

(ბ) „სამართალმემკვიდრე“ (თუ ის არ არის „ემიტენტი“) ინარჩუნებს ან არის „ემიტენტის“ უფლებამონაცვლე ყველა მნიშვნელოვან სამთავრობო ნებართვასთან, ლიცენზიასთან, თანხმობასთან და უფლებამოსილებასთან მიმართებაში და უნდა აკმაყოფილებდეს ყველა სახის მნიშვნელოვან მარეგულირებელ მოთხოვნას იმ იურისდიქციაში, სადაც ის ოპერირებს; და

(გ) „სამართალმემკვიდრე“, ასეთი ტრანზაქციის ძალაში შესვლის შემდეგ დაუყოვნებლივ (i) უნდა წარმოადგენდეს სათანადოდ ორგანიზებულ, მოქმედ და სათანადო სამართლებრივ მდგომარეობაში მყოფ ერთეულს იმ იურისდიქციის ქვეშ, სადაც ის არის შექმნილი; (ii) უნდა იყოს გადახდისუნარიანი; (iii) „სამართალმემკვიდრე“ არ უნდა იყოს ჩართული მიმდინარე ან მოსალოდნელ სასამართლო დავაში, საარბიტრაჟო პროცესში, საგადასახადო მოთხოვნაში ან სხვა ისეთ წარმოებაში, რომელმაც შეიძლება შეაფერხოს მისი უნარი, შეასრულოს ვალდებულებები „ობლიგაციების“ ან (საჭიროების შემთხვევაში) „თავდებობის ხელშეკრულების“ შესაბამისად; და (iv) „სამართალმემკვიდრის“ კომერციული და ფინანსური მდგომარეობა არ უნდა იყოს იმაზე უარესი ვიდრე „ემიტენტის“ არსებული მდგომარეობა უშუალოდ ასეთი ტრანზაქციის განხორციელების წინ.

(ii) არ დამდგარა და არ დადგება „დეფოლტის შემთხვევა“ ან „პოტენციური დეფოლტის შემთხვევა“ ამგვარი რეორგანიზაციის ან მსგავსი ტრანზაქციის შედეგად;

- (iii) ასეთი ტრანზაქცია არ ზღუდავს „სამართალმემკვიდრის“ შესაძლებლობას, სრულად შეასრულოს „ობლიგაციებიდან“ და (საჭიროების შემთხვევაში) „თავდებობის ხელშეკრულებებიდან“ გამომდინარე მისი ვალდებულებები, მათ შორის ყველა გადასახდელი ოდენობის დროული გადახდის ვალდებულება; და
- (iv) ზემოხსენებულ (გ.1) ან (გ.2) ქვეპუნქტებში მითითებული ტრანზაქციები არ გამოიწვევს „არსებითად უარყოფით გავლენას“.
- (II) „ემიტენტი“ უზრუნველყოფს, რომ იმ „ობლიგაციონერების“ წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე, რომლებიც ფლობენ (პირდაპირ ან „ანგარიშის მწარმოებლის“ საშუალებით) ინდივიდუალურად ან ჯამურად, „დაუფარავი“ „ობლიგაციების“ არანაკლებ 75%-ს (სამოცდათხუთმეტ პროცენტს), „მნიშვნელოვანმა შვილობილმა“ არ უნდა განახორციელოს შემდეგი: (გ.1) რეორგანიზაცია (იქნება ეს სხვა იურიდიულ პირთან შერწყმის, გაყოფის თუ გარდაქმნის სახით) ან რაიმე სხვა სახის კორპორატიული ცვლილება, ან (გ.2) ერთი ან რამდენიმე დაკავშირებული ტრანზაქციით, პირდაპირ ან არაპირდაპირ, კონსოლიდაცია ან შერწყმა, შესაბამისი „მნიშვნელოვანი შვილობილის“ მთელი ან არსებითად მთელი ქონების ან აქტივების გაყიდვა, გასხვისება, გადაცემა, იჯარით გაცემა ან სხვაგვარი განკარგვა; გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც:
- (i) ზემოთხსენებული (გ.1) ან (გ.2) ქვეპუნქტებში მითითებული ტრანზაქციის შემდეგ დაუყოვნებლივ:
- (ა) „მნიშვნელოვანი შვილობილი“ არის „სამართალმემკვიდრე“; ან
- (ბ) „სამართალმემკვიდრე“ (თუ ის არ არის „მნიშვნელოვანი შვილობილი“) უნდა ინარჩუნებდეს ან იყოს შესაბამისი „მნიშვნელოვანი შვილობილის“ უფლებამონაცვლე ყველა მნიშვნელოვან სამთავრობო ნებართვასთან, ლიცენზიასთან, თანხმობასთან და უფლებამოსილებასთან მიმართებაში და უნდა აკმაყოფილებდეს ყველა სახის მნიშვნელოვან მარეგულირებელ მოთხოვნას იმ იურისდიქციაში, სადაც ის ოპერირებს;
- (ii) არცერთი „დეფოლტის შემთხვევა“ ან „პოტენციური დეფოლტის შემთხვევა“ არ დამდგარა, და არ დადგება ამგვარი რეორგანიზაციის ან მსგავსი ტრანზაქციის შედეგად; და
- (iii) ზემოხსენებულ (გ.1) ან (გ.2) ქვეპუნქტებში მითითებული ტრანზაქციები არ გამოიწვევს „არსებითად უარყოფით გავლენას“.
- (III) მიუხედავად ზემოთქმულისა, ნებისმიერი „მნიშვნელოვანი შვილობილი“ უფლებამოსილია „ემიტენტთან“ ან „შვილობილთან“ (რომელიც ამ პუნქტში აღწერილი ტრანზაქციის შედეგად ჩაითვლება „მნიშვნელოვან შვილობილად“ ამ „პროსპექტის“ მიზნებისთვის) მიმართებაში, მოახდინოს კონსოლიდირება ან შერწყმა (რეორგანიზაციის ნებისმიერი ფორმით) ან ერთი ან რამდენიმე დაკავშირებული ტრანზაქციით, პირდაპირ ან არაპირდაპირ, მთელი ან არსებითად მთელი ქონების ან აქტივების გაყიდვა, გასხვისება, გადაცემა, იჯარით გაცემა ან სხვაგვარი განკარგვა მხოლოდ იმ პირობით, რომ აღნიშნული ტრანზაქციების შედეგად წარმოქმნილი „შვილობილი“ ვალდებულია სრულად იკისროს „ობლიგაციებით“ და „თავდებობის ხელშეკრულებით“ გათვალისწინებული ვალდებულებები.
- (IV) მიუხედავად ზემოთქმულისა, წინამდებარე 5(გ) ქვეპუნქტი არ შეეხება (i) ტრანზაქციებს „ემიტენტსა“ და ნებისმიერ მის 100%-იან „შვილობილს“ შორის, რომელიც იმავდროულად წარმოადგენს „თავდებს“, (ii) მისი ქონების ლიზინგით გაცემას, გაყიდვას ან სხვაგვარად განკარგვას ჩვეულებრივი საქმიანობის პროცესში, ან (iii) ნებისმიერ არსებულ ან სამომავლო აქტივს ან შემოსავალს, ასევე მათ ნაწილს, რაც ექვემდებარება სექტორითიზაციას, მისაღები თანხებით, აქტივებით გამყარებული დაფინანსებას ან მსგავსი ტიპის დაფინანსებას, სადაც ყველა ვალდებულება დაკმაყოფილებულ უნდა იქნეს მხოლოდ ამ აქტივებიდან ან შემოსავლებიდან, იმ პირობით, რომ ამგვარი აქტივების ან შემოსავლების ღირებულება და შემოსავლების ღირებულების ჯამური ოდენობა, არ უნდა აღემატებოდეს უკანასკნელი „ფისკალური პერიოდისთვის“ „ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების“ შესაბამისად მომზადებული „ჯგუფის“

კონსოლიდირებული ბალანსიდან გამომდინარე „ემიტენტის“ „მთლიანი კონსოლიდირებული აქტივების“ 10%-ს (ათ პროცენტს).

(დ) გასხვისება:

(I) მიუხედავად წინამდებარე „პირობებში“ რაიმე საპირისპიროს არსებობისა, და „პირობების“ 5(გ) ქვეპუნქტის („შერწყმა“) და 5(ე) ქვეპუნქტის („აფილირებულ პირებთან განხორციელებული ტრანზაქციები“) დებულებების დარღვევის გარეშე და მათი გათვალისწინებით, „ემიტენტი“, არც თავად და არც რომელიმე მისი „შვილობილის“ საშუალებით, არ არის უფლებამოსილი გაყიდოს, გაასხვისოს, იჯარით გასცეს ან სხვაგვარად განკარგოს თავისი აქტივები ან შემოსავლები, მთლიანად ან ნაწილობრივ, ერთი ან რამდენიმე (დაკავშირებული ან დამოუკიდებელი) ტრანზაქციით სხვა რომელიმე „პირზე“, გარდა „ემიტენტისა“ ან მისი „შვილობილისა“. აღნიშნული შეზღუდვა არ შეეხება იმ შემთხვევებს, როდესაც:

- (i) ყველა ასეთი ტრანზაქცია (ან ტრანზაქციათა ერთობლიობა) ხორციელდება „სამართლიანი საბაზრო ღირებულებით“ და საბაზრო პირობებით; და
- (ii) როდესაც ნებისმიერ იმ ტრანზაქციასთან ან/და დაკავშირებულ ტრანზაქციასთან ერთობლიობასთან მიმართებით არსებული განკარგული აქტივების ჯამური ოდენობა აჭარბებს უკანასკნელი „ფისკალური პერიოდისთვის“ „ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების“ შესაბამისად მომზადებული „ჯგუფის“ კონსოლიდირებული ბალანსიდან გამომდინარე „ემიტენტის“ „მთლიანი კონსოლიდირებული აქტივების“ 15%-ს (თხუთმეტ პროცენტს), „ემიტენტი“ ვალდებულია:

(ა) მოიპოვოს და „ობლიგაციონერებს“ მიაწოდოს „დამოუკიდებელი შემფასებლის“ წერილობითი დასკვნა იმის შესახებ, რომ ასეთი ტრანზაქცია განხორციელდა „სამართლიანი საბაზრო ღირებულებით“; და

(ბ) მოიპოვოს იმ „ობლიგაციონერების“ (ან/და მათი სახელით მოქმედი „ანგარიშის მწარმოებლის“) წინასწარ წერილობითი თანხმობა, რომლებიც წარმოადგენენ იმ დროისთვის დაუფარავი „ობლიგაციების“ ჯამური ძირი თანხის არანაკლებ 75%-ს (სამოცდათხუთმეტ პროცენტს).

(II) ამავდროულად, წინამდებარე 5(დ) ქვეპუნქტი არ შეეხება შემდეგს:

- (i) ტრანზაქციებს „ემიტენტისა“ და ნებისმიერ მის 100%-იან მფლობელობაში მყოფ „შვილობილს“ შორის, რომელიც იმავდროულად წარმოადგენს „თავდებს“;
- (ii) „ემიტენტის“ ჩვეულებრივი ბიზნეს საქმიანობის პროცესში ქონების ლიზინგით გაცემას, გაყიდვას ან სხვაგვარ განკარგვას;
- (iii) ნებისმიერ არსებულ ან სამომავლო აქტივს ან შემოსავალს, ასევე მათ ნაწილს, რაც ექვემდებარება სექიურითიზაციას, მისაღები თანხებით, აქტივებით გამყარებული დაფინანსებას ან მსგავსი ტიპის დაფინანსებას, სადაც ყველა ვალდებულება დაკმაყოფილებულ უნდა იქნეს მხოლოდ ამ აქტივებიდან ან შემოსავლებიდან იმ პირობით, რომ ამგვარი აქტივების ან შემოსავლების ღირებულება და შემოსავლების ღირებულების ჯამური ოდენობა, არ უნდა აღემატებოდეს უკანასკნელი „ფისკალური პერიოდისთვის“ „ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების“ შესაბამისად მომზადებული „ჯგუფის“ კონსოლიდირებული ბალანსიდან გამომდინარე „ემიტენტის“ „მთლიანი კონსოლიდირებული აქტივების“ 10%-ს (ათ პროცენტს).

(ე) აფილირებულ პირებთან განხორციელებული ტრანზაქციები

- (I) არც „ემიტენტი“ და არც მისი რომელიმე „შვილობილი“ პირდაპირ ან არაპირდაპირ არ განხორციელებს და არ დაუშვებს რაიმე საქმიანობას ან ტრანზაქციას (მათ შორის ქონების ან მომსახურების შეძენა, გაყიდვა, გასხვისება, გადაცემა, იჯარით გაცემა, გადაცემა ან გაცვლა) „აფილირებულ პირთან“ ან მათ სასარგებლოდ (შემდგომში „აფილირებულ პირებთან განხორციელებული ტრანზაქცია“), მათ შორის, სესხების გაცემას/მიღებას, ინვესტიციებს და მსგავს აქტივობებს, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ამგვარი გარიგების პირობები

(შესაბამისი „აფილირებული პირის“ მდგომარეობის გათვალისწინებით) აკმაყოფილებს გაშლილი ხელის პრინციპს და არ არის ნაკლებად ხელსაყრელი „ემიტენტისა“ ან მისი „მნიშვნელოვანი შვილობილისთვის“, ვიდრე „სამართლიანი საბაზრო ღირებულებით“ განხორციელებული გარიგებები იქნებოდა იმ „პირთან“, რომელიც არ არის/არაა „ემიტენტთან“ ან მის „მნიშვნელოვან შვილობილთან“ „აფილირებული პირ(ებ)ი“.

(II) იმ „აფილირებულ პირთან განხორციელებული ტრანზაქციის“ შემთხვევაში, სადაც გარიგების ან დაკავშირებული გარიგებების საერთო ღირებულება ნებისმიერ მიმდინარე 12 თვიან პერიოდში აღემატება უკანასკნელი „ფისკალური პერიოდისთვის“ „ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების“ შესაბამისად მომზადებული კონსოლიდირებული ბალანსიდან გამომდინარე „ჯგუფის“ „კონსოლიდირებული მთლიანი აქტივების“ 2%-ს (ორ პროცენტს), „ემიტენტმა“ ასეთი „აფილირებულ პირთან განხორციელებული ტრანზაქციის“ განხორციელებამდე „ობლიგაციონერებს“ უნდა მიაწოდოს „დამოუკიდებელი შემფასებლის“ წერილობით დასკვნა იმის თაობაზე, რომ „აფილირებულ პირებთან განხორციელებული ტრანზაქცია“ (ან ტრანზაქციების სერია) განხორცილდა „სამართლიანი საბაზრო ღირებულებით“ და არის სამართლიანი „ემიტენტის“ ან მისი „მნიშვნელოვანი შვილობილის“ ფინანსური გადმოსახედიდან, გარემოებების გათვალისწინებით.

(III) შემდეგი გარიგებები არ იქნება მიჩნეული „აფილირებულ პირებთან განხორციელებულ ტრანზაქციებად“ და ამდენად, არ ექვემდებარება (I) და (II) ქვეპუნტებში განსაზღვრულ დათქმებს:

(ა) „ჯგუფის“ წევრის მიერ მისი საქმიანობის ჩვეულ რეჟიმში გაფორმებული შრომითი კონტრაქტი, რომელიც შეესაბამება „ჯგუფის“ წევრის წარსულში განხორციელებულ პრაქტიკას;

(ბ) „ემიტენტსა“ და მის 100%-იან „შვილობილს“, რომელიც იმავდროულად წარმოადგენს „თავდებს“, შორის განხორციელებული ტრანზაქციები;

(გ) გონივრული ოდენობის ანაზღაურების გადახდა მმართველი ორგანოების წევრებისათვის, რომლებიც „ემიტენტთან“ სხვაგვარად „აფილირებული პირები“ არ არიან;

(დ) „ემიტენტის“ ნებისმიერი პირდაპირი ან არაპირდაპირი დამფუძნებლის/პარტნიორისგან „ემიტენტის“ საქმიანობის დასაფინანსებლად გაცემული ნებისმიერი სუბორდინირებული სესხი ან სხვა დაფინანსების სუბორდინირებული საშუალება;

(ე) დროდადრო დადებული „ჰეჯირების ვალდებულებები“ კეთილსინდისიერი ჰეჯირების მიზნებისთვის და არა „ემიტენტის“ ან მისი „მნიშვნელოვანი შვილობილის“ სპეკულაციური მიზნებისთვის და ნებისმიერი „ჰეჯირების ვალდებულებების“ შეწყვეტის მიზნით;

(ვ) ტრანზაქციები მომხმარებლებთან, კლიენტებთან, მომწოდებლებთან, ერთობლივი საწარმოს პარტნიორებთან ან მყიდველებთან ან გამყიდველებთან ან საქონლის ან მომსახურების სხვა მიმწოდებლებთან, ან ქონების გამქირავებელთან ან მოიჯარესთან (იმის გათვალისწინებით, რომ მეორე მხარე არ წარმოადგენს „აფილირებულ პირს“), თითოეულ შემთხვევაში ჩვეულებრივი ბიზნეს საქმიანობის პროცესში და სხვაგვარად „პირობების“ შესაბამისად, რომლებიც სამართლიანია „ემიტენტისთვის“ ან მისი „მნიშვნელოვანი შვილობილისთვის“ ან დადებულია ისეთივე ხელსაყრელი პირობებით „ემიტენტისთვის“ ან მისი „მნიშვნელოვანი შვილობილისთვის“, როგორც შეიძლება გონივრულად ყოფილიყო მიღწეული ამ დროს არააფილირებულ მხარესთან (თითოეულ შემთხვევაში, როგორც ეს კეთილსინდისიერად არის განსაზღვრული „ემიტენტის“ პასუხისმგებელი ბუღალტრის ან ფინანსური ოფიცრის მიერ).

(IV) „ემიტენტი“ არ განახორციელებს და უზრუნველყოფს, რომ მისი არცერთი „შვილობილი“ არ განახორციელებს, აღნიშნული „პირობების“ 5(ე) მუხლის (I-III) ქვეპუნტებში აღწერილი ტრანზაქციასა თუ ტრანზაქციების ერთობლიობას, რომელთა ჯამური ღირებულება აღემატება უკანასკნელი „ფისკალური პერიოდისთვის“ „ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების“ შესაბამისად მომზადებული ფინანსური ანგარიშგების მიხედვით მთლიანი (კონსოლიდირებული) აქტივების 25%-ს, იმ „ობლიგაციონერების“ (ან/და მათი სახელით მოქმედი „ანგარიშის მწარმოებლების“) წინასწარ წერილობით თანხმობის გარეშე, რომლებიც ფლობენ იმ დროისთვის „დაუფარავი“ „ობლიგაციების“ ძირი თანხის არანაკლებ 75%-ს (სამოცდათხუთმეტ პროცენტს).

(ვ) გადასახადების გადახდა და სხვა მოთხოვნები:

„ემიტენტმა“ და მისმა „მნიშვნელოვანმა შვილობილებმა“ დროულად უნდა გადაიხადონ „გადასახადები“, რომელიც ეკისრება დაკისრებულია მის შემოსავალზე, მოგებაზე ან ქონებაზე, იმ პირობით, რომ „ემიტენტს“ ან მის „მნიშვნელოვან შვილობილს“ ამ „პროსპექტის“ მიზნებისათვის არ მოეთხოვება „გადასახადების“ ან მსგავსი მოთხოვნების გადახდა, თუ (ა) დაკისრებული თანხის ოდენობა ან დაკისრების მართებულობა კეთილსინდისიერად არის გასაჩივრებული შესაბამისი წესით და ამ თანხაზე შექმნილია ადეკვატური რეზერვი „ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების“ ან სხვა რელევანტური მოთხოვნების შესაბამისად, ან (ბ) ამგვარი თანხა, სხვა ასეთ დარიცხულ „გადასახადებთან“ ან სხვა მსგავს მოთხოვნებთან ერთად, არ აღემატება უკანასკნელი „ფისკალური პერიოდისთვის“ „ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების“ შესაბამისად მომზადებული „ჯგუფის“ კონსოლიდირებული ბალანსიდან გამომდინარე „ჯგუფის“ „მთლიანი კონსოლიდირებული აქტივების“ 2%-ს (ორ პროცენტს).

(ზ) აკრძალული გადახდები:

- (I) „ემიტენტმა“ თავი უნდა შეიკავოს, და ასევე უნდა უზრუნველყოს, რომ მისმა „შვილობილ(ებ)მა“, პირდაპირ ან არაპირდაპირ არ განახორციელონ „აკრძალული გადახდა“ თუ სახეზეა ქვემოთ მოცემული გარემოებებიდან რომელიმე:

(ა) ამგვარი გადახდის განხორციელების დროისთვის ან მის შედეგად დამდგარია და გრძელდება ან შეიძლება დადგეს „დეფოლტის შემთხვევა“ ან „პოტენციური დეფოლტის შემთხვევა“, მათ შორის, როდესაც ამგვარი „აკრძალული გადახდების“ განხორციელება გამოიწვევს ისეთ შედეგს, როდესაც „ემიტენტის“ „წმინდა ფინანსური ვალდებულებების“ ოდენობა „ემიტენტისა“ და მისი „შვილობილ(ებ)ის“ „ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების“ (IFRS-ის) მიხედვით დათვლილ კონსოლიდირებულ მონაცემებზე დაყრდნობით (გადახდის თარიღამდე არსებული პერიოდისთვის, პრო-ფორმა საფუძველზე - ამ გადახდის გათვალისწინებით) გაანგარიშებულ ბოლო კალენდარული წლის „კონსოლიდირებულ EBITDA“-ს მაქსიმუმ 4.0-ჯერ აღემატებოდეს; ან

(ბ) ამგვარი „აკრძალული გადახდის“ და ყველა სხვა „აკრძალული გადახდის“ თანხობრივი მოცულობების ჯამი აღემატება „ემიტენტის“ „კორექტირებული კონსოლიდირებული წმინდა მოგების“ 50 პროცენტს იმ პერიოდისათვის, რომელიც იწყება 2025 წლის 30 ივნისს და სრულდება უკანასკნელი განვლილი ფინანსური წლის, ან 6 თვიანი ფინანსური პერიოდის ბოლო დღეს (რომელიც მათ შორის უფრო გვიან მოხდება).

- (II) 5(ზ)(I) პირობა არ გავრცელდება და შესაბამისი შეზღუდვები არ შეეხება ისეთ „აკრძალულ გადახდას“ „გამოშვების თარიღის“ შემდგომ პერიოდში, რომლის ჯამური მოცულობა არ აღემატება 3,000,000 ლარს (ან მის ექვივალენტს სხვა ვალუტაში) თითოეულ ფისკალურ წელს („მინიმალური დივიდენდი“) და იმ შემთხვევაში, თუ ასევე კმაყოფილდება შემდეგი პირობები:

- (i) ამგვარი გადახდის განხორციელების დროისთვის არ დამდგარა და გრძელდება, ან ამ გადახდის განხორციელების შემთხვევაში არ დადგება „დეფოლტის შემთხვევა“ ან „პოტენციური დეფოლტის შემთხვევა“; და
- (ii) ამგვარი „აკრძალული გადახდა“ არ უნდა დაფინანსდებოდეს „ვალდებულებით“.

ყოველგვარი ექვის გამორიცხვის მიზნით:

- (ა) იმ შემთხვევაში თუ 5(ზ)(I) პირობის საფუძველზე გასანაწილებელი წლიური მოგება „მინიმალურ დივიდენდზე“ ნაკლებია, „ემიტენტს“ ექნება „მინიმალური დივიდენდის“ განაწილების უფლება; და
- (ბ) იმ შემთხვევაში, თუ გასანაწილებელი წლიური მოგება „მინიმალურ დივიდენდზე“ მეტია, მაშინ „ემიტენტს“ ექნება იმ თანხის განაწილების უფლება, რაც წარმოადგენს გასანაწილებელ მოგებას 5(ზ)(I) პირობის საფუძველზე.

(თ) „ვალდებულება“

(I) „ემიტენტს“ ეკრძალება, რომ მან („ემიტენტმა“) ან/და „ემიტენტის“ „შვილობილებმა“ პასუხისმგებლობა აიღონ ან სხვა სახით გახდნენ ვალდებულნი ნებისმიერი სახის „ფინანსურ ვალდებულებაზე“, თუ:

- a. ამგვარი „ფინანსური ვალდებულება“ გამოიწვევს „დეფოლტის შემთხვევის“ დადგომას; ან
- b. ასეთი ვალდებულების აღების დროს (მას შემდეგ, რაც მიეცემა *pro forma* ეფექტი), „ემიტენტისა“ და მისი „შვილობილების“ კონსოლიდირებული „წმინდა ფინანსური ვალდებულება“ არ უნდა აღემატებოდეს „ემიტენტისა“ და მისი „შვილობილების“ „კონსოლიდირებული EBITDA“-ს 4.0-ჯერად ოდენობას, დადგენილი უახლესი თორმეტი თვის პერიოდისათვის, რომელიც გათვალისწინებულია შესაბამისი უახლესი გამოქვეყნებული წლიური ან ნახევარწლიური კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებებით, მომზადებული ამ დებულებების 5(ი) მუხლის („ინფორმაციის გამჟღავნება“) და „ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების“ („IFRS“) შესაბამისად, *pro forma* საფუძველზე კორექტირებით, რაც გულისხმობს კოვენანტის კალკულაციაში შემდეგი კომპონენტების გათვალისწინებას:

(i) ასეთი ახალი „ფინანსური ვალდებულებების“ წარმოშობა; და

(ii) ნებისმიერი დაკავშირებული შემენა, გაყიდვა, რეფინანსირება ან ტრანზაქციის რესტრუქტურირება, რომელიც განხორციელდა ან უნდა განხორციელდეს აღნიშნული ვალდებულების წარმოშობასთან არსებითად ერთდროულად, მათ შორის „კონსოლიდირებულ EBITDA“-ზე შესაბამისი გავლენით.

ყოველგვარი ეჭვის თავიდან არიდების მიზნით, ნებისმიერი „ვალდებულება“, რომელიც გამომდინარეობს „ობლიგაციების“ გამოშვებისა და განთავსებიდან წინამდებარე „პროსპექტუსის“ საფუძველზე უნდა გამოირიცხოს „წმინდა ფინანსური ვალდებულებების“ გამოთვლიდან მხოლოდ იმ ზომითა და იმ შეზღუდული პერიოდის განმავლობაში, როდესაც „ობლიგაციებიდან“ მიღებული თანხები გამოიყენება არსებული „ფინანსური ვალდებულების“ რეფინანსირებისათვის. რეფინანსირების დასრულებისთანავე, „ობლიგაციების“ გაუნაღდებელი ძირითადი თანხა შემდგომში ჩაითვლება „წმინდა ფინანსური ვალდებულების“ გამოთვლაში აღნიშნული დათქმის მიზნებისთვის.

(II) „ემიტენტი“ ვალდებულია უზრუნველყოს, რომ იქამდე, სანამ გადაუხდელია „ობლიგაციების“ ნებისმიერი ნაწილი, „ემიტენტის“ და მისი „შვილობილების“ კონსოლიდირებული „წმინდა ფინანსური ვალდებულებები“ არ გადააჭარბებს „ემიტენტის“ და მისი „შვილობილების“ „კონსოლიდირებული EBITDA“-ს 4.0-მაგ ოდენობას ყველაზე ბოლო თორმეტი თვიანი პერიოდისათვის, რომელიც დაფარულია უახლესად გამოქვეყნებულ ყოველწლიურ ან ნახევარწლიურ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში და რომელიც მომზადებულია წინამდებარე „პირობების“ 5(ი) პუნქტის („ინფორმაციის გამჟღავნება“) და „ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების“ (IFRS-ის) შესაბამისად. წინამდებარე ვალდებულების ტესტთან შესაბამისობა უნდა დადასტურდეს და შემოწმდეს თითოეული კალენდარული წლის 30 ივნისსა და 31 დეკემბერს.

(III) წინამდებარე (თ) პუნქტით გათვალისწინებული აკრძალვა არ ეხება „ემიტენტსა“ და მის „შვილობილ(ებ)ს“ შორის ან „ემიტენტის“ „შვილობილებს“ შორის არსებულ „ვალდებულებებს“.

(ი) ინფორმაციის გამჟღავნება:

(I) „ემიტენტი“ კისრულობს ვალდებულებას:

(i) ფინანსური წლის დასრულების შემდეგ, მაგრამ არაუგვიანეს 15 მაისისა, „ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებისა“ (IFRS) და „ფასიანი ქაღალდების კანონის“ მოთხოვნების შესაბამისად მოამზადოს და გაამჟღავნოს „ემიტენტის“ აუდირებული წლიური ანგარიშგება;

(ii) ყოველი ფინანსური წლის მეორე კვარტლის დასრულების შემდეგ, მაგრამ არაუგვიანეს 30 აგვისტოს, „ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებისა“ (IFRS) და „ფასიანი

ქაღალდების კანონის“ მოთხოვნების შესაბამისად მოამზადოს და გაამჟღავნოს განვლილი 6 (ექვსი) თვის „ემიტენტის“ არაუდირებელი შუალედური (6 თვიანი) ფინანსური ანგარიშგება;

(iii) დაიცვას „ფასიანი ქაღალდების კანონით“ და მისი საქმიანობიდან გამომდინარე, კანონმდებლობით მოთხოვნილი სხვა მიმდინარე თუ პერიოდული საანგარიშგებო ვალდებულებები;

- (II) ამ მუხლის მე-5(ი)(i) ქვეპუნქტის მიზნებისთვის, ჩათვლება, რომ „ემიტენტმა“ „ობლიგაციონერებს“ მიაწოდა შესაბამისი ინფორმაცია, თუკი აღნიშნულ ინფორმაცია გასაჯაროვდება კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით;
- (III) 5(ი)(I) პარაგრაფში მითითებულ აუდირებულ წლიურ და შუალედურ ნახევარწლიან ფინანსურ ანგარიშგებასთან ერთად, „ემიტენტმა“ „ობლიგაციონერებს“ უნდა გადასცეს შესაბამისობის სერტიფიკატი, რომელსაც ხელს აწერს „ემიტენტის“ უფლებამოსილი წარმომადგენელი, რომელიც ადასტურებს, რომ მისი ცოდნისა და რწმენის მაქსიმალური ხარისხით, ასეთი სერტიფიკატის გამოცემის თარიღზე:
 - (i) ადგილი არ ჰქონია და გრძელდება „დეფოლტის შემთხვევა“ ან „პოტენციური დეფოლტის შემთხვევა“ და თუ ასეთი შემთხვევა სახეზე იყო, დააზუსტებს მის ხასიათს და ყველა ზომას, რომელიც მიღებულ იქნა მის გამოსასწორებლად; და
 - (ii) „ემიტენტი“ სრულ შესაბამისობაშია „პირობებში“ მოცემულ ფინანსურ დათქმებსა და სხვა ვალდებულებებთან.
- (IV) თითოეული შესაბამისობის სერტიფიკატი უნდა შეიცავდეს გონივრული დამდასტურებელი ინფორმაციასა და გამოთვლებს, რომელიც წარმოაჩენს შესაბამისობას რელევანტურ დათქმებთან (მათ შორის, შეზღუდვის გარეშე, „თავდებობის მინიმალურ მოცულობას“) შესაბამისობას.
- (V) თუ „ობლიგაციონერები“, რომლებიც ფლობენ (პირდაპირ ან „ანგარიშის მწარმოებლის“ საშუალებით) გადაუხდელი „ობლიგაციების“ არანაკლებ 20%-ს ან მეტს, გონივრულობის ფარგლებში ჩათვლიან, რომ დადგა „დეფოლტის შემთხვევა“ ან „პოტენციური დეფოლტის შემთხვევა“, მათ შეუძლიათ „ემიტენტისგან“ წერილობით მოითხოვონ და „ემიტენტი“ ვალდებულია „ობლიგაციონერებს“ დაუყოვნებლივ მიაწოდოს ინფორმაცია, რაც პირდაპირ უკავშირდება აღნიშნულ „დეფოლტის შემთხვევას“ ან „პოტენციური დეფოლტის შემთხვევას“. წერილობით მოთხოვნა შესაძლოა წარმოდგენილ იქნეს „ობლიგაციონერების“ ან/და „ანგარიშის მწარმოებლის“ მიერ ხელმოწერილი ერთი დოკუმენტის, ან რამდენიმე ერთნაირი შინაარსის მქონე დოკუმენტის სახით. ამგვარი მოთხოვნა შესაძლოა ასევე მიღებულ იქნას „ობლიგაციონერთა კრების“ გადაწყვეტილების სახით. თუ აღნიშნული „დეფოლტის შემთხვევა“ ან „პოტენციური დეფოლტის შემთხვევა“ ეხება „ემიტენტის“ მიერ „პროსპექტი“ გათვალისწინებული რომელიმე კოვენანტის დარღვევას, „ემიტენტი“ დამატებით ვალდებულია „ობლიგაციონერებს“ მიაწოდოს მისი უფლებამოსილი წარმომადგენლის მიერ ხელმოწერილი სერთიფიკატი (დასტური) კოვენანტებთან შესაბამისობის თაობაზე.

(კ) კანონთან შესაბამისობა:

„ემიტენტი“ ვალდებულია უზრუნველყოს, რომ მისი, ისევე როგორც მისი „მნიშვნელოვანი შვილობილ(ებ)ის“ საქმიანობა ნებისმიერ დროს არსებითად შეესაბამებოდეს მოქმედ კანონმდებლობის მოთხოვნებს, ხელისუფლების ორგანოების მითითებებსა და სამართლებრივ აქტებს.

(ლ) კონტროლის ცვლილება:

„ემიტენტმა“ უნდა უზრუნველყოს, რომ მანამ, სანამ სრულად არ დაიფარება „ობლიგაციონერთა“ წინაშე ნაკისრი ვალდებულებები, არ განხორციელდება „კონტროლის ცვლილება“. ამ პუნქტის მიზნებისათვის, „კონტროლის ცვლილება“ ნიშნავს: (ა) ერთი ან რამდენიმე დაკავშირებული ტრანზაქციის შედეგად პირდაპირ ან არაპირდაპირ: (1) „ემიტენტის“ ყველა ან არსებითად ყველა ქონების ან აქტივის (მთლიანად აღებული) „აფილირებული პირ(ებ)ის“ ნებისმიერი სხვა „პირისთვის“ გადაცემას, ან (2) (i) „ემიტენტის“ წილის 50.0%-ის ან მეტის, ან (ii) „ემიტენტის“ ხმის უფლებების 50.0%-ის ან მეტის (მათ შორის, მინდობით, ხელშეკრულებით ან სხვაგვარად), თითოეულ შემთხვევაში

„აფილირებული პირ(ებ)ის“ გარდა ნებისმიერი სხვა „პირისთვის“ გადაცემას; ან (3) „ემიტენტის“ ნებისმიერი ოდენობის ხმის უფლებების (მათ შორის, მინდობით, ხელშეკრულებით ან სხვაგვარად), თითოეულ შემთხვევაში „აფილირებული პირ(ებ)ის“ გარდა ნებისმიერი სხვა „პირისთვის“ გადაცემას, რაც ასეთ „პირს“ დირექტორის, ან დირექტორების საბჭოში უმრავლესობის, არჩევის უფლებას ანიჭებს.

(მ) დაზღვევის შენარჩუნება:

„ემიტენტმა“ და მისმა „შვილობილებმა“ თავიანთი უძრავი და მოძრავი ქონება, მათში არსებულ მარაგებთან ერთად, რომლის დაზღვევაც ბაზარზე ხელმისაწვდომია გონივრული პირობებით, უნდა დააზღვიონ იმ მზღვევებთან, რომლებსაც, მათიშეფასებით, აქვთ კარგი ფინანსური მდგომარეობა. დაზღვევა უნდა განხორციელდეს დაკარგვის ან დაზიანების რისკისგან იმ ფარგლებში, რომელშიც მსგავსი ტიპის ქონების დაზღვევა ხორციელდება საქართველოში იმ კომპანიების მიერ, რომლებსაც აქვთ მსგავსი მდგომარეობა და ფლობენ მსგავს ქონებას.

(ნ) საქმიანობის ცვლილება:

„ემიტენტი“ ვალდებულია უზრუნველყოს, რომ „ჯგუფის“ მიერ განხორციელებული საქმიანობის ძირითადი მიმართულებები არ შეიცვალოს ობლიგაციების „გამოშვების და განთავსების თარიღისათვის“ არსებულ მდგომარეობასთან შედარებით.

(ო) თავდებობის მინიმალური მოცულობა

„ემიტენტი“ ვალდებულია უზრუნველყოს, რომ იმ პერიოდის ბოლო დღეს, რომლისთვისაც მზადდება ყოველწლიური და ნახევარწლიური კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება, როგორც ეს განსაზღვრულია „პირობების“ 5(ი) პუნქტში (ინფორმაციის გამჟღავნება) (შემდგომში თითოეული მოხსენიებული, როგორც „თავდებობის შემოწმების თარიღი“), „თავდებების“ და „ემიტენტის“ „მთლიანი კონსოლიდირებული აქტივები“ და მთლიანი „კონსოლიდირებული EBITDA“, რომლებიც დადგენილია ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (IFRS) შესაბამისად, შეადგენს „ჯგუფის“ კონსოლიდირებული აქტივების და „ჯგუფის“ „კონსოლიდირებული EBITDA“-ს ოთხმოცდაათ (90%) ან მეტს, რომელიც, დადგენილია „ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების“ (IFRS) შესაბამისად, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში „ჯგუფის“ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე მითითებით, „თავდებობის შემოწმების თარიღზე“.

პირველ პარაგრაფში მითითებული მოთხოვნის შესრულება შემოწმდება ყოველწლიურად და ნახევარ წელიწადში ერთხელ, „ჯგუფის“ უახლესი აუდირებული (ყოველწლიური) და არააუდირებული (ნახევარი წლის) კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების საფუძველზე, რომელიც მომზადდება „ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების“ (IFRS) შესაბამისად. იმ შემთხვევაში, თუ „თავდებობის შემოწმების თარიღზე“:

ან (ა) „თავდებების“ კონსოლიდირებული აქტივის შეფარდების მაჩვენებელი „ჯგუფის“ კონსოლიდირებულ აქტივებთან; ან (ბ) „თავდებების“ „კონსოლიდირებული EBITDA“-ს შეფარდების მაჩვენებელი ჯგუფის „კონსოლიდირებულ EBITDA“-სთან დაეცემა 90%-იან ზღვარზე ნაკლებ დონეზე, „ემიტენტი“ ვალდებულია „ანგარიშგების თარიღიდან“ 30 (ოცდაათი) „სამუშაო დღის“ ვადაში უზრუნველყოს, რომ „ჯგუფის“ ერთი ან რამდენიმე დამატებითი „შვილობილი“ შეუერთდეს „თავდებობის ხელშეკრულებას“ „თავდების“ სტატუსით, ისე რომ აღდგეს ზემოაღნიშნული მოთხოვნის შესრულება.

„გამოშვების თარიღის“ შემდგომ, თუ „ჯგუფის“ რომელიმე „შვილობილი“ კომპანია, რომელიც რეგისტრირებულია, შექმნილია ან შეძენილია „გამოშვების თარიღის“ შემდეგ, გახდება „მნიშვნელოვანი შვილობილი“, „ემიტენტი“ ვალდებულია უზრუნველყოს, რომ აღნიშნული „შვილობილი“ შეუერთდეს „თავდებობის ხელშეკრულებას“ „თავდების“ სტატუსით, აღნიშნული კომპანიის „მნიშვნელოვანი შვილობილად“ ქცევიდან 30 (ოცდაათი) სამუშაო დღის ვადაში. თითოეული ასეთი შეერთება განხორციელდება „თავდებობის ხელშეკრულების“ პირობების შესაბამისად და უნდა ახლდეს „ობლიგაციონერებისათვის“ წარმოდგენილი ყველა კორპორატიული ავტორიზაცია, სამართლებრივი დასკვნა და სხვა დოკუმენტაცია, რაც გონივრულად არის მოთხოვნილი აღნიშნული შეერთების დასადასტურებლად.

6. საპროცენტო სარგებელი

(ა) პროცენტის გადახდის თარიღები

თუ არ იქნა ვადამდე გამოსყიდული/გაუქმებული/დაფარული წინამდებარე „პროსპექტით“ განსაზღვრული პირობების შესაბამისად, თითოეულ „ობლიგაციას“ ერიცხება 6 (ექვს) ან 3 (სამ) თვეში ერთხელ („საბოლოო შეთავაზების პირობების“ შესაბამისად) (პერიოდის ბოლოს) გადასახდელი საპროცენტო სარგებელი, რომელიც გადახდილ უნდა იქნეს „შეთავაზების პირობების დოკუმენტის“ შესაბამისად განსაზღვრულ კონკრეტულ თარიღებში. ამ „პირობებში“ გათვალისწინებული თითოეული პროცენტის გადახდის თარიღი შემდგომში მოიხსენიება, როგორც „პროცენტის გადახდის თარიღი“.

„ობლიგაციებზე“ შეწყდება საპროცენტო სარგებლის დარიცხვა გამოსყიდვის ვადის დადგომისას, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც დადასტურდება, რომ არასამართლიანად ხდება „ობლიგაციების“ ძირითადი თანხის დაბრუნების ხელის შეშლა ან უარყოფა. ამ შემთხვევაში, საპროცენტო სარგებლის დარიცხვა არ შეწყდება, არამედ გაგრძელდება მანამ, სანამ (i) ფაქტობრივად მოხდება „ობლიგაციების“ გამოსყიდვა ან (ii) შეტყობინება გაიგზავნება „ობლიგაციონერებთან“ იმის შესახებ, რომ გამოსყიდვისთვის საჭირო თანხები გადაეცა „კალკულაციის აგენტს“ ან „დეპოზიტარს“, რომელიც ამ ორი პირობიდან უფრო ადრე მოხდება

თუ პროცენტის დათვლა ხდება „საპროცენტო პერიოდზე“ (ქვემოთ მოცემული განმარტების შესაბამისად) ნაკლები პერიოდისათვის, შესაბამისი დარიცხული (დასარიცხი) საპროცენტო სარგებლის დაანგარიშება მოხდება წელიწადში 365 დღის საფუძველზე (ლარში დენომინირებული „ობლიგაციების“ შემთხვევაში) და 360 დღის საფუძველზე (აშშ დოლარში ან ევროში დენომინირებული ობლიგაციების შემთხვევაში).

პერიოდი „ობლიგაციების“ „გამოშვების თარიღიდან“ (ამ თარიღის ჩათვლით), პირველი „პროცენტის გადახდის თარიღამდე“ (ამ თარიღის ჩათვლელად), და ყოველი შემდგომი პერიოდი წინა „პროცენტის გადახდის თარიღიდან“ (ამ თარიღის ჩათვლით) მომდევნო „პროცენტის გადახდის თარიღამდე“ (ამ თარიღის ჩათვლელად) მიიჩნევა „საპროცენტო პერიოდად“.

(ბ) ანგარიშსწორება და პროცენტის გადახდა:

ანგარიშსწორება განხორციელდება შესაბამის ვალუტაში პროცენტის გადახდის თარიღზე „ობლიგაციონერებისა“ და „ანგარიშის მწარმოებლის“ სასარგებლოდ „განთავსების აგენტთან“ მათ საბროკერო ანგარიშზე გადარიცხვის გზით. „ობლიგაციონერებმა“ და „ანგარიშის მწარმოებელმა“ უნდა უზრუნველყონ „დეპოზიტარისთვის“ განახლებული, სრული და სწორი ინფორმაციის მიწოდება მათი საბანკო ანგარიშების შესახებ, რომელზეც მოხდება „ობლიგაციებთან“ დაკავშირებული ნებისმიერი სახის გადახდა. არც „ემიტენტი“, არც „დეპოზიტარი“ და არც „კალკულაციისა და გადახდის აგენტი“ არცერთ შემთხვევაში იქნებიან პასუხისმგებელი გადახდის არ/ვერ განხორციელების შემთხვევაში, თუ „ობლიგაციონერი“ ან/და „ანგარიშის მწარმოებელი“ „დეპოზიტარს“ დროულად არ მიაწვდის მისი საბანკო ანგარიშების შესახებ ინფორმაციას, ან „ემიტენტის“ ან „დეპოზიტარის“ მოთხოვნის მიუხედავად, „პროცენტის განსაზღვრის თარიღისათვის“ ვერ უზრუნველყოფენ ამგვარი ინფორმაციის განახლებას.

თუ „ობლიგაციონერის“ ან „ანგარიშის მწარმოებლის“ ზემოაღნიშნულ ქვეპუნქტში მითითებული საბროკერო ანგარიში არ არის გახსნილი „განთავსების აგენტთან“, განხორციელებული გადახდებიდან შესაძლოა დაიქვითოს მომსახურების საკომისიოები.

ძირითადი თანხისა და დარიცხული პროცენტის განაწილება „ობლიგაციონერებზე“ შესაძლებელი იქნება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ „ემიტენტის“ ანგარიშზე ხელმისაწვდომი იქნება შესაბამისი ძირითადი თანხის და დარიცხული პროცენტის სრულად დაფარვისთვის საჭირო სახსრები.

ანგარიშსწორებასთან დაკავშირებული პროცესები და შეზღუდვები დამატებით დგინდება კანონმდებლობით, ასევე მის საფუძველზე „დეპოზიტარისა“ და სხვა შესაბამისი ფასიანი ქაღალდების მონაწილეთა მიერ შემუშავებული წესებითა და პროცედურებით და კალკულაციისა და გადახდის აგენტთან გაფორმებული ხელშეკრულების შესაბამისად.

გადახდის დაგვიანება / არასამუშაო დღეები:

„ობლიგაციონერი“ ვერ მოითხოვს ჯარიმის დაკისრებას ნებისმიერი გადასახდელის დაგვიანებით გადახდისთვის იმ შემთხვევაში, თუ ასეთი გადასახდელის გადახდის თარიღი არ ემთხვევა „სამუშაო დღეს“. ვადამოსული გადასახდელის გადახდა მოხდება მომდევნო „სამუშაო დღეს“, დარიცხულ პროცენტთან ერთად, რომელიც დაკორექტირდება გადახდის გადავადების დღეების რაოდენობის მიხედვით.

(გ) საპროცენტო განაკვეთი ლარში დენომინირებული ემისიისთვის:

(გ.ა.) „ობლიგაციების“ ნომინალურ ღირებულებაზე დასარიცხი საპროცენტო სარგებლის (კუპონის) განაკვეთს წარმოადგენს ბენჩმარკის მაჩვენებელი, რომელიც შედგება (1) ნახევარწლიური გადახდების შემთხვევაში - „TIBR6M“-ისა (როგორც ეს განმარტებულია ქვემოთ) ან კვარტული გადახდების შემთხვევაში - „TIBR3M“-ისა ან, „TIBR6M“-ის ან - „TIBR3M“-ის არ არსებობის/გაუქმების შემთხვევაში, ქვემოთ მოცემული „ალტერნატიული ბენჩმარკის განსაზღვრის პირობების“ შესაბამისად გამოთვლილი ალტერნატიული ბენჩმარკისა, და (2) შესაბამისი პერიოდის „საკრედიტო რეიტინგის პროცენტის“ (როგორც ეს განმარტებულია ქვემოთ) ჯამისგან (აღნიშნული წესის შესაბამისად გამოთვლილი საპროცენტო სარგებელი დოკუმენტში მოხსენიებულია, როგორც „საპროცენტო განაკვეთი“).

ყოველგვარი ექვსის გამოსარიცხად, „საპროცენტო განაკვეთის“ პირველი კომპონენტი („TIBR6M“ ან, კვარტული გადახდების შემთხვევაში, „TIBR3M“) სრულად არის დამოკიდებული საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებაზე, მეორე კომპონენტი - მარჯა განისაზღვრება „საბოლოო შეთავაზების პირობებით“, ხოლო მესამე კომპონენტი („საკრედიტო რეიტინგის პროცენტი“) სრულად არის დამოკიდებული „სააღრიცხვო თარიღისთვის“, ანუ გამოთვლის დღისთვის, „ემიტენტის“ საკრედიტო რეიტინგის მაჩვენებელზე.

(გ.ბ.) „TIBR6M“ განაკვეთი

„TIBR6M“ განაკვეთი, წარმოადგენს ლარში დენომინირებულ საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ გამოქვეყნებულ საპროცენტო განაკვეთს. „TIBR6M“ განაკვეთზე დეტალური ინფორმაციის და მისი გაანგარიშების წესის ნახვა შესაძლებელია საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალურ ვებ-გვერდზე: <https://nbg.gov.ge/>. „TIBR6M“ განაკვეთი განახლებადი განაკვეთია და ის ახლდება ექვს თვეში ერთხელ. ამასთან: (ა) „პროსპექტის“ დამტკიცების მომენტისათვის „TIBR6M“ განაკვეთი შეესაბამება „პროსპექტის“ დამტკიცების თარიღამდე 2 (ორი) „სამუშაო დღით“ ადრე დაფიქსირებულ „TIBR“-ის განაკვეთს. „TIBR6M“ განაკვეთის განახლების პერიოდი აითვლება „პროსპექტის“ დამტკიცების თარიღიდან. „TIBR6M“ განაკვეთის განახლებისას განახლებული „TIBR6M“ განაკვეთის მოცულობა შეესაბამება განახლების თარიღამდე 2 (ორი) საბანკო დღით ადრე დაფიქსირებულ „TIBR6M“-ის განაკვეთს. თუ „TIBR6M“ განაკვეთის განახლების თარიღი ემთხვევა არასაბანკო დღეს „TIBR6M“ განაკვეთის განახლება მოხდება მომდევნო საბანკო დღეს, წინამდებარე ქვეპუნქტით განსაზღვრული „TIBR6M“ განაკვეთის განახლების თარიღისა და განახლების პერიოდის შეუცვლელად.

(გ.გ.) ალტერნატიული ბენჩმარკი

„ალტერნატიული ბენჩმარკის განსაზღვრის პირობები“ ნიშნავს ქვემოთ აღწერილ ალტერნატიულ ბენჩმარკს:

თუ რომელიმე შესაბამისი „პროცენტის განსაზღვრის თარიღთან“ დაკავშირებით, „კალკულაციისა და გადახდის აგენტი“ ადგენს, რომ „TIBR6M“ არ არის ხელმისაწვდომი რაიმე მიზეზით თბილისის

დროით შუადღის 12:00 საათამდე შესაბამის ვებ-გვერდზე ან ჩამნაცვლებელ ვებ-გვერდზე (როგორც შესაბამისი), მაშინ ბენჩმარკი იქნება ე.წ. „რთული TIBR“, რომელიც გამოითვლება შესაბამისი „პროცენტის განსაზღვრის თარიღში“ „კალკულაციისა და გადახდის აგენტის“ მიერ შემდეგი ფორმულის მიხედვით, და შედეგად მიღებული პროცენტი დამრგვალდება (საჭიროების შემთხვევაში) მეორე ათწილადამდე, 0.005 მრგვალდება ზემოთ:

$$\left[\prod_{i=1}^{d_0} \left(1 + \frac{TIBR_i \times n_i}{365} \right) - 1 \right] \times \frac{365}{d}$$

სადაც:

„d“ არის კალენდარული დღეების რაოდენობა შესაბამის „საანგარიშო პერიოდში“;

„d₀“ არის „სამუშაო დღეების“ რაოდენობა შესაბამის „საანგარიშო პერიოდში“;

„i“ არის მთელი რიცხვების სერია ერთიდან d₀-მდე, თითოეული წარმოადგენს შესაბამის „სამუშაო დღეს“ ქრონოლოგიური თანმიმდევრობით და მოიცავს პირველ „სამუშაო დღეს“ შესაბამის „საანგარიშო პერიოდში“;

„n_i“ ნებისმიერი „სამუშაო დღისთვის“ „i“ შესაბამის „საანგარიშო პერიოდში“ ნიშნავს კალენდარული დღეების რაოდენობას ასეთი „i“ დღიდან და ჩათვლით მომდევნო „სამუშაო დღემდე“ ამ უკანასკნელის გამოკლებით.

„TIBR_i“ ნიშნავს TIBR-ს „სამუშაო დღისთვის“ „i“ შესაბამის „საანგარიშო პერიოდში“ (და გამოქვეყნებულია მომდევნო „სამუშაო დღეს“).

„TIBR“ ნებისმიერ „სამუშაო დღესთან“ მიმართებით, არის განაკვეთი, რომელიც ტოლია ამ „სამუშაო დღისთვის“ თბილისის დღიური ბანკთაშორისი განაკვეთის (TIBR), რომელიც მოცემულია „შესაბამისი ვებ-გვერდის ეკრანზე“ და ნაჩვენებია მომდევნო „სამუშაო დღეს“ ან თუ ასეთი გვერდი მიუწვდომელია, როგორც ეს მითითებულია „ჩამნაცვლებელი ვებ-გვერდის ეკრანზე“, ასეთი „სამუშაო დღის“ შემდგომ „სამუშაო დღეს“.

„საანგარიშო პერიოდი“ ნიშნავს პერიოდს იმ თარიღიდან (და მისი ჩათვლით), რომელიც ემთხვევა ოთხი „სამუშაო დღით“ ადრე იმ ექვსთვიანი პერიოდის დასაწყისამდე, რომელიც წინ უძღვის შესაბამისი „საპროცენტო პერიოდის“ პირველ დღეს (ან ნებისმიერ ასეთ თარიღს, როდესაც „ობლიგაციები“ ხდება ვადამოსული და გადასახდელი) და ისეთ თარიღამდე (მაგრამ მისი გამოკლებით), რომელიც ემთხვევა ოთხი „სამუშაო დღით ადრე“ ასეთი „საპროცენტო პერიოდის“ პირველ დღემდე.

„შესაბამისი ვებ-გვერდის ეკრანი“ ნიშნავს თბილისის ბანკთაშორისი საპროცენტო განაკვეთის ინდექსს, რომელიც ყოველდღიურად ჩნდება წინა დღის განაკვეთად სათაურით „თბილისის ბანკთაშორისი საპროცენტო განაკვეთი – TIBR INDEX“ ეროვნული ბანკის მითითებულ ვებ-გვერდზე: <https://nbg.gov.ge/en/monetary-policy/tibr>.

„ჩამნაცვლებელი ვებ-გვერდის ეკრანი“ ნიშნავს (i) ნებისმიერი ჩამნაცვლებელ გვერდს, სხვა გამოქვეყნებულ წყაროს, ინფორმაციის ვენდორს ან პროვაიდერს, რომელიც ოფიციალურად არის დანიშნული „შესაბამისი ვებ-გვერდის ეკრანის“ ადმინისტრატორის მიერ; ან (ii) თუ ასეთ ადმინისტრატორს ოფიციალურად არ აქვს დადგენილი ჩამნაცვლებელი გვერდი, სხვა გამოქვეყნებული წყარო, სერვისი ან პროვაიდერი (გარემოებების შესაბამისად), ჩამნაცვლებელი გვერდი, სხვა გამოქვეყნებული წყარო, სერვისი ან პროვაიდერი, ასეთის არსებობის შემთხვევაში, ასეთად დადგენილი შესაბამისი ინფორმაციის ვენდორის ან პროვაიდერის მიერ (თუ განსხვავდება ადმინისტრატორისგან).

(გ.დ.) „TIBR3M“ განაკვეთი

„TIBR3M“ განაკვეთი, წარმოადგენს ლარში დენომინირებულ საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ გამოქვეყნებულ საპროცენტო განაკვეთს. „TIBR3M“ განაკვეთზე დეტალური ინფორმაციის და მისი გაანგარიშების წესის ნახვა შესაძლებელია საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალურ ვებ-გვერდზე: <https://nbg.gov.ge/>. „TIBR3M“ განაკვეთი განახლებადი განაკვეთია და ის ახლდება სამ თვეში ერთხელ. ამასთან: (ა) „პროსპექტის“ დამტკიცების მომენტისათვის „TIBR3M“ განაკვეთი შეესაბამება „პროსპექტის“ დამტკიცების თარიღამდე 2 (ორი) საბანკო დღით ადრე დაფიქსირებულ „TIBR“-ის განაკვეთს. „TIBR3M“ განაკვეთის განახლების პერიოდი აითვლება „პროსპექტის“ დამტკიცების თარიღიდან. „TIBR3M“ განაკვეთის განახლებისას განახლებული „TIBR3M“ განაკვეთის მოცულობა შეესაბამება განახლების თარიღამდე 2 (ორი) საბანკო დღით ადრე დაფიქსირებულ „TIBR3M“-ის განაკვეთს. თუ „TIBR3M“ განაკვეთის განახლების თარიღი ემთხვევა არასაბანკო დღეს „TIBR3M“ განაკვეთის განახლება მოხდება მომდევნო საბანკო დღეს, წინამდებარე ქვეპუნქტით განსაზღვრული „TIBR3M“ განაკვეთის განახლების თარიღისა და განახლების პერიოდის შეუცვლელად.

(დ.გ.) ალტერნატიული ბენჩმარკი

„ალტერნატიული ბენჩმარკის განსაზღვრის პირობები“ ნიშნავს ქვემოთ აღწერილ ალტერნატიულ ბენჩმარკს:

თუ რომელიმე შესაბამისი „პროცენტის განსაზღვრის თარიღთან“ დაკავშირებით, „კალკულაციისა და გადახდის აგენტი“ ადგენს, რომ „TIBR3M“ არ არის ხელმისაწვდომი რაიმე მიზეზით თბილისის დროით შუადღის 12:00 საათამდე შესაბამის ვებ-გვერდზე ან ჩამნაცვლებელ ვებ-გვერდზე (როგორც შესაბამისია), მაშინ ბენჩმარკი იქნება ე.წ. „რთული TIBR“, რომელიც გამოითვლება შესაბამისი „პროცენტის განსაზღვრის თარიღში“ „კალკულაციისა და გადახდის აგენტის“ მიერ შემდეგი ფორმულის მიხედვით, და შედეგად მიღებული პროცენტი დამრგვალდება (საჭიროების შემთხვევაში) მეორე ათწილადამდე, 0.005 მრგვალდება ზემოთ:

$$\left[\prod_{i=1}^{d_0} \left(1 + \frac{TIBR_i \times n_i}{365} \right) - 1 \right] \times \frac{365}{d}$$

სადაც:

„d“ არის კალენდარული დღეების რაოდენობა შესაბამის „საანგარიშო პერიოდში“;

„d₀“ არის „სამუშაო დღეების“ რაოდენობა შესაბამის „საანგარიშო პერიოდში“;

„i“ არის მთელი რიცხვების სერია ერთიდან d₀-მდე, თითოეული წარმოადგენს შესაბამის „სამუშაო დღეს“ ქრონოლოგიური თანმიმდევრობით და მოიცავს პირველ „სამუშაო დღეს“ შესაბამის „საანგარიშო პერიოდში“;

„n_i“ ნებისმიერი „სამუშაო დღისთვის“ „i“ შესაბამის „საანგარიშო პერიოდში“ ნიშნავს კალენდარული დღეების რაოდენობას ასეთი „i“ დღიდან და ჩათვლით მომდევნო „სამუშაო დღემდე“ ამ უკანასკნელის გამოკლებით.

„TIBR_i“ ნიშნავს TIBR-ს „სამუშაო დღისთვის“ „i“ შესაბამის „საანგარიშო პერიოდში“ (და გამოქვეყნებულია მომდევნო „სამუშაო დღეს“).

„TIBR“ ნებისმიერ „სამუშაო დღესთან“ მიმართებით, არის განაკვეთი, რომელიც ტოლია ამ „სამუშაო დღისთვის“ თბილისის დღიური ბანკთაშორისი განაკვეთის (TIBR), რომელიც მოცემულია „შესაბამისი ვებ-გვერდის ეკრანზე“ და ნაჩვენებია მომდევნო „სამუშაო დღეს“ ან თუ ასეთი გვერდი მიუწვდომელია, როგორც ეს მითითებულია „ჩამნაცვლებელი ვებ-გვერდის ეკრანზე“, ასეთი „სამუშაო დღის“ შემდგომ „სამუშაო დღეს“.

„საანგარიშო პერიოდი“ ნიშნავს პერიოდს იმ თარიღიდან (და მისი ჩათვლით), რომელიც ემთხვევა ოთხი „სამუშაო დღით“ ადრე იმ სამთვიანი პერიოდის დასაწყისამდე, რომელიც წინ უძღვის შესაბამისი „საპროცენტო პერიოდის“ პირველ დღეს (ან ნებისმიერ ასეთ თარიღს, როდესაც „ობლიგაციები“ ხდება ვადამოსული და გადასახდელი) და ისეთ თარიღამდე (მაგრამ მისი

გამოკლებით), რომელიც ემთხვევა ოთხი „სამუშაო დღით ადრე“ ასეთი „საპროცენტო პერიოდის“ პირველ დღემდე.

„შესაბამისი ვებ-გვერდის ეკრანი“ ნიშნავს თბილისის ბანკთაშორის საპროცენტო განაკვეთის ინდექსს, რომელიც ყოველდღიურად ჩნდება წინა დღის განაკვეთად სათაურით „თბილისის ბანკთაშორის საპროცენტო განაკვეთი – TIBR INDEX“ ეროვნული ბანკის მითითებულ ვებ-გვერდზე: <https://nbg.gov.ge/en/monetary-policy./tibr>.

„ჩამნაცვლებელი ვებ-გვერდის ეკრანი“ ნიშნავს (i) ნებისმიერი ჩამნაცვლებელ გვერდს, სხვა გამოქვეყნებულ წყაროს, ინფორმაციის ვენდორს ან პროვაიდერს, რომელიც ოფიციალურად არის დანიშნული „შესაბამისი ვებ-გვერდის ეკრანის“ ადმინისტრატორის მიერ; ან (ii) თუ ასეთ ადმინისტრატორს ოფიციალურად არ აქვს დადგენილი ჩამნაცვლებელი გვერდი, სხვა გამოქვეყნებული წყარო, სერვისი ან პროვაიდერი (გარემოებების შესაბამისად), ჩამნაცვლებელი გვერდი, სხვა გამოქვეყნებული წყარო, სერვისი ან პროვაიდერი, ასეთის არსებობის შემთხვევაში, ასეთად დადგენილი შესაბამისი ინფორმაციის ვენდორის ან პროვაიდერის მიერ (თუ განსხვავდება ადმინისტრატორისგან).

(გ.ე) მარჟა

„მარჟა“ არის „საპროცენტო განაკვეთის“ მეორე კომპონენტი, რომელიც განისაზღვრება „საბოლოო შეთავაზების პირობებით“.

(გ.ვ.) საკრედიტო რეიტინგის პროცენტი

ემიტენტის საკრედიტო რეიტინგის პროცენტი წარმოადგენს „ობლიგაციების“ „საპროცენტო განაკვეთის“ მესამე კომპონენტს, რომელიც ვრცელდება „ობლიგაციებზე“ და განისაზღვრება შემდეგნაირად:

რეიტინგი	პროცენტი
BB	-0.25% წლიურად
BB-	-0.25% წლიურად
B+	+/- 0.00% წლიურად (რჩება უცვლელი)
B+ის ქვემოთ/რეიტინგი არ ქონა	+0.75% წლიურად

„საკრედიტო რეიტინგის პროცენტი“ განისაზღვრება „TIBR6M“ (ნახევარწლიური გადახდების შემთხვევაში) ან „TIBR3M“ (კვარტალური გადახდების შემთხვევაში) განაკვეთის განახლების თარიღის მომენტში არსებულ „ემიტენტის“ საკრედიტო რეიტინგის საფუძველზე. იმ შემთხვევაში, თუ „ემიტენტის“ საკრედიტო რეიტინგი შეიცვლება მიმდინარე „საპროცენტო პერიოდისას“, განახლებულ რეიტინგზე განსაზღვრული „საპროცენტო განაკვეთი“ გამოიყენება მხოლოდ იმ მომდევნო საპროცენტო პერიოდის დაწყებიდან, რომელიც მოჰყვება რეიტინგის ცვლილების თარიღს.

თუ „ემიტენტს“ გააჩნია რამოდენიმე რეიტინგი წინამდებარე „პირობებზე“ მითითებული სხვადასხვა სარეიტინგო სააგენტოებისგან, უპირატესობა მიენიჭება მეორე საუკეთესო რეიტინგს მქონეს საკრედიტო რეიტინგის პროცენტის დათვლის მიზნებისთვის.

იმ შემთხვევაში თუ „ემიტენტის“ საკრედიტო რეიტინგის ცვლილება გამოწვეული იქნება საქართველოს სუვერენული რეიტინგით და ამასთან დაკავშირებული კაუზალური კავშირი მოცემულია რეიტინგის რეპორტში, „ობლიგაციების“ საბაზისო რეიტინგი არ შეიცვლება ასეთი რეიტინგის მინიჭების გამო.

(გ.ზ) საკრედიტო რეიტინგის შეცვლა

„კომპანია“ ვალდებულია იღებს, რომ „ობლიგაციების“ დაფარვამდე განაახლებს რეიტინგს პერიოდულად და ასეთ რეიტინგს მიიღებს საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ აღიარებული ნებისმიერი საერთაშორისო სარეიტინგო კომპანიისგან.

„ემიტენტის“ საკრედიტო რეიტინგში ნებისმიერი ცვლილების შემთხვევაში, „ემიტენტი“ ვალდებულია წერილობით აცნობოს „დეპოზიტარს“ აღნიშნული ცვლილების ძალაში შესვლის თარიღიდან 5 (ხუთი) „სამუშაო დღის“ ვადაში. „დეპოზიტარი“, თავის მხრივ, „ემიტენტის“ შეტყობინების მიღებისთანავე დაუყოვნებლივ აცნობებს ყველა „ანგარიშის მომწოდებელს“ აღნიშნული ცვლილების შესახებ.

(დ) პროცენტის დარიცხვა აშშ დოლარსა ან ევროში დენომინირებული ემისიისთვის

თითოეულ „ობლიგაციას“ პროცენტი დაერიცხება საბოლოო შეთავაზების დოკუმენტით განსაზღვრული განაკვეთის მიხედვით.

დარიცხული პროცენტი განისაზღვრება რელევანტურ „საპროცენტო პერიოდში არსებული ფაქტობრივი კალენდარული დღეების რაოდენობის საფუძველზე, რომელიც ეფუძნება შემდეგ მეთოდოლოგიას: 30/360 ISMA, რომელიც ასევე ცნობილია როგორც 30/360 ევროპული ან ევროზონდების დღეების დათვლის კონვენცია (DCC) = მრიცხველი / 360.

მრიცხველის ფორმულა:

(1) თუ $D1 = 31$, მაშინ $D1 = 30$;

(2) თუ $D2 = 31$, მაშინ $D2 = 30$;

(3) თებერვლის ბოლო დღე ცალკე შემთხვევად არ განიხილება;

(4) $\text{მრიცხველი} = (D2 - D1) + 30 \times (M2 - M1) + 360 \times (Y2 - Y1)$,

სადაც „D“ აღნიშნავს დღეს, „M“ აღნიშნავს თვეს, ხოლო „Y“ აღნიშნავს წელს.

პროცენტის დარიცხვა მოხდება წინა პროცენტის გადახდის თარიღიდან ან ანგარიშსწორების თარიღიდან (წინამდებარე პირობების მიზნებისათვის „ანგარიშსწორების დღე“ ნიშნავს თარიღს, როდესაც თითოეული „ინვესტორი“ ახორციელებს შესაბამისი თანხების გადახდას ობლიგაციების მიღების სანაცვლოდ) შემდგომი პროცენტის გადახდის თარიღამდე ან გამოსყიდვის თარიღამდე (ამ თარიღების გამოკლებით). ყოველგვარი გაუგებრობის თავიდან აცილების მიზნით, თუ პროცენტის გადახდის თარიღი გადაიწევის შემდგომ „სამუშაო დღემდე“, პროცენტის დარიცხვა მოხდება ამ თარიღამდე (მისი გამოკლებით).

თუ ობლიგაციებთან დაკავშირებით გადასახდელი პროცენტის თანხა, რომელიც გამოიანგარიშება წინამდებარე პირობების შესაბამისად, არ იქნება 0.01 დოლარის ან ევროს ჯერადი, ამგვარი ციფრი დამრგვალდება უახლოეს 0.01 დოლარის ან ევროსაჯერად რიცხვამდე (0.005-0.009 დოლარის ან ევროს დამრგვალება მოხდება ზემოთ).

„ობლიგაციებზე“ ფიქსირებული პროცენტის დარიცხვა შეწყდება მათი „გამოსყიდვის თარიღიდან“, გარდა იმ შემთხვევისა, როცა სათანადო მტკიცებულების წარდგენის საფუძველზე დადასტურდება, რომ მოხდა ძირითადი თანხის უსაფუძვლოდ დაკავება ან მის გადახდაზე უარის თქმა, და ამ შემთხვევაში პროცენტის დარიცხვა გაგრძელდება „ობლიგაციების“ გამოსყიდვამდე ან „გადახდისა და კალკულაციის აგენტისთვის“ გამოსყიდვისათვის საჭირო თანხების გადახდის შესახებ შეტყობინების „ობლიგაციონერებისთვის“ გაგზავნამდე.

7. ობლიგაციების განაღდება და გამოსყიდვა

(ა) გამოსყიდვა:

„ემიტენტს“ უფლება აქვს „დაფარვის დათქმულ თარიღამდე“ შესთავაზოს „ობლიგაციონერ(ებ)ს“ გადაუხდელი ძირითადი თანხისა და „გამოსყიდვის თარიღისათვის“ დარიცხული და გადაუხდელი პროცენტის თანხის გადახდის გზით „ობლიგაციების“ შესაბამისი ოდენობის (სრულად ან ნაწილობრივ) გამოსყიდვა. აღნიშნულ შემთავაზებაზე „ობლიგაციონერ(ებ)ის“ თანხმობის მიღების შემთხვევაში, „ობლიგაციები“, შესაბამის ნაწილში, ჩაითვლება გამოსყიდულად „ემიტენტის“ მიერ გამოსყიდვის თარიღისათვის გადაუხდელი ძირითადი თანხისა და დარიცხული და გადაუხდელი პროცენტის თანხის გადახდის შედეგად. ყოველგვარი ექვსის გამოსარიცხად, „ობლიგაციები“, შესაბამის ნაწილში, ჩაითვლება გამოსყიდულად მხოლოდ „ემიტენტის“ შეთავაზებაზე შესაბამისი „ობლიგაციონერ(ებ)ის“ თანხმობის მიღების შემთხვევაში და აღნიშნულ შეთავაზებაზე დათანხმება ან უარის გაცხადება წარმოადგენს შესაბამისი „ობლიგაციონერ(ებ)ის“ აბსოლუტურ და უპირობო დისკრეციას. თუ „ობლიგაციები“ მანამდე არ იქნა გამოსყიდული, შეძენილი ან გაუქმებული, „ობლიგაციების“ გამოსყიდვა მოხდება „დაფარვის დათქმულ თარიღზე“, როგორც განსაზღვრულია „შეთავაზების პირობების დოკუმენტით“. დაუშვებელია „ობლიგაციების“ განაღდება ემიტენტის შეხედულებისამებრ, გარდა იმ შემთხვევებისა, რაც მოცემულია „პროსპექტში“ (მათ შორის, წინამდებარე „პირობების“ შესაბამისად).

(ბ) გამოსყიდვა საგადასახადო მიზეზით:

ემიტენტის შეხედულებით, „ობლიგაციების“ ვადამდე განაღდება შესაძლოა მოხდეს სრული ოდენობით (მაგრამ არა ნაწილობრივ), „ანგარიშის მწარმოებელთან“ ან „დეპოზიტართან“ არსებულ ფასიანი ქაღალდების ანგარიშზე შესაბამისი საკრედიტო ნაშთის მქონე „ობლიგაციონერებისთვის“ არანაკლებ 30 და არაუმეტეს 60 დღით ადრე გაგზავნილი გამოუთხოვადი შეტყობინების გაგზავნითა და ძირითადი თანხის (გამოსყიდვის თარიღისათვის დარიცხულ საპროცენტო სარგებელთან ერთად) გადახდით, იმ შემთხვევაში, თუ: (ბ.1) შეტყობინების გაგზავნამდე ემიტენტი დაარწმუნებს „ობლიგაციონერებს“ რომ მათ უწევთ, ან მოუწევთ გადასახადების სახით დამატებითი თანხების გადახდა ობლიგაციებთან მიმართებაში, რაც გამოწვეულია საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის ცვლილებით, ან ამგვარი კანონმდებლობის სხვაგვარი ინტერპრეტაციით „გამოშვებისა და განთავსების თარიღის“ შემდგომ პერიოდში; და (ბ.2) ამგვარი დამატებითი თანხების გადახდის ვალდებულება ვერ იქნებოდა თავიდან აცილებული მიუხედავად ემიტენტის მიერ გონივრული ზომების განხორციელებისა.

(გ) გამოსყიდვის ოფცია:

„გამოშვების თარიღიდან“ 12 (თორმეტი) თვის შემდეგ, „ემიტენტს“ შეუძლია ერთ ან რამდენიმე ჯერზე, ერთი ან რამდენიმე „ობლიგაციონერისგან“ პროპორციის დაცვით, „ობლიგაციები“ გამოისყიდოს სრულად ან ნაწილობრივ არანაკლებ 15 (თხუთმეტი) და არა უმეტეს 60 (სამოცი) დღით ადრე წერილობითი შეტყობინების საფუძველზე, ქვემოთ მითითებული გამოსყიდვის ფასებით (გამოხატული ძირითადი თანხის პროცენტებში), რომლებსაც ემატება გამოსყიდულ „ობლიგაციებზე“ შესაბამის „გამოსყიდვის თარიღამდე“ დარიცხული და გადაუხდელი პროცენტი, ასეთის არსებობის შემთხვევაში, თუ გამოსყიდვა ხორციელდება ქვემოთ მითითებულ თარიღებზე ან მათ შემდეგ („სააღრიცხვო თარიღზე“ რეგისტრირებული „ობლიგაციონერების“ შესაბამის „პროცენტის გადახდის თარიღზე“ პროცენტის მიღების უფლების უპირატესობის გათვალისწინებით).

თარიღები	გამოსყიდვის ფასი
„გამოშვების თარიღიდან“ 12 (თორმეტი) თვის შემდეგ	ნომინალური ღირებულების 102.00%
„გამოშვების თარიღიდან“ 24 (ოცდაოთხი) თვის შემდეგ	ნომინალური ღირებულების 101.00%
„გამოშვების თარიღიდან“ 36 (ოცდათექვსმეტი) თვის შემდეგ	ნომინალური ღირებულების 100.50%
„გამოშვების თარიღიდან“ 48 (ორმოცდარვა) თვის შემდეგ	ნომინალური ღირებულების 100.25%

გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც „ემიტენტი“ ვერ გადაიხდის გამოსყიდვის ფასს, პროცენტის დარიცხვა შეწყდება „ობლიგაციებზე“ ან მათ იმ ნაწილზე, რომლებთან დაკავშირებითაც განხორციელდა გამოსყიდვის უფლება შესაბამისი გამოსყიდვის თარიღებისთვის.

ნებისმიერი გამოსყიდვა და შეტყობინება, „ემიტენტის“ შეხედულებისამებრ, შეიძლება დაექვემდებაროს ერთ ან რამდენიმე წინაპირობას (მათ შორის, შეზღუდვის გარეშე, „ვალდებულების“ წარმოშობას, რომლიდან შემოსავალიც გამოყენებული იქნება „ობლიგაციების“ გამოსასყიდად). გარდა ამისა, თუ ასეთი გამოსყიდვა ან შეტყობინება ექვემდებარება ერთი ან რამდენიმე წინაპირობის დაკმაყოფილებას, ასეთ შეტყობინებაში შეიძლება აღინიშნოს, რომ „ემიტენტის“ შეხედულებისამებრ, გამოსყიდვის თარიღი შეიძლება გადაიდოს მანამ, სანამ რომელიმე ან ყველა ეს პირობა დაკმაყოფილდება, ან ასეთი გამოსყიდვა შეიძლება არ მოხდეს და ასეთი შეტყობინება შეიძლება გაუქმდეს, თუ რომელიმე ან ყველა ასეთი პირობა არ იქნება დაკმაყოფილებული გამოსყიდვის თარიღისთვის ან ამგვარად გადავადებული გამოსყიდვის თარიღისთვის.

(დ) გამოსყიდვის სამართლებრივი შედეგები

„ემიტენტის“ მიერ „ობლიგაციების“ ნაწილობრივ ან სრულად გამოსყიდვის შემთხვევაში, ისინი ჩაითვლება სახაზინო ფასიან ქაღალდებად, რაც ნიშნავს, რომ (ა) „ემიტენტს“ არ ექნება „ობლიგაციონერის“ სტატუსი და ვერ განხორციელდეს „ობლიგაციონერის“ წინამდებარე „პროსპექტი“ გათვალისწინებულ რომელიმე უფლებას; და (ბ) მას არ ექნება „ობლიგაციებიდან“ გამომდინარე ფინანსური მოთხოვნა და შესაბამისად, არ ჩაითვლება „თავდებობის ხელშეკრულებით“ გათვალისწინებულ კრედიტორად/„ობლიგაციონერად“.

8. გადახდები

(ა) ანგარიშსწორება:

(I) „ობლიგაციების“ ძირითადი თანხისა და პროცენტის გაანგარიშება მოხდება იმ „ინვესტორების“ სასარგებლოდ, რომლებსაც საკრედიტო ნაშთი აქვთ „ანგარიშის მწარმოებელთან“ ან „დეპოზიტართან“ გახსნილ ფასიანი ქაღალდების ანგარიშზე შესაბამისი გადახდის თარიღამდე 4 (ოთხი) „სამუშაო დღით“ ადრე, 18.00 საათის მდგომარეობით (შემდგომში „სააღრიცხვო თარიღი“). „კალკულაციისა და გადახდის აგენტის“ მიერ დაანგარიშებული თანხა, აშკარა შეცდომის გარდა, წარმოადგენს საბოლოო თანხას „ემიტენტისათვის“. „კალკულაციის და გადახდის აგენტის“ მიერ თანხის დაანგარიშება მოხდება შესაბამისი გადახდის თარიღამდე არანაკლებ 2 (ორი) სამუშაო დღით ადრე და ეცნობება „ემიტენტს“. ანგარიშსწორება განხორციელდება შესაბამისი ემისიის ვალუტაში, „სააღრიცხვო თარიღისთვის“ „ანგარიშის მწარმოებელთან“ ან „დეპოზიტართან“ გახსნილი „ინვესტორის“ ფასიანი ქაღალდების ანგარიშზე შესაბამისი საკრედიტო ნაშთის მქონე „ინვესტორების“ საბანკო ანგარიშზე საბანკო გადარიცხვის გზით. „ანგარიშის მწარმოებელთან“ ან „დეპოზიტართან“ გახსნილი „ინვესტორის“ ფასიანი ქაღალდების ანგარიშზე შესაბამისი საკრედიტო ნაშთის მქონე „ინვესტორებმა“ უნდა უზრუნველყონ „ანგარიშის მწარმოებლის“ ან/და „დეპოზიტარისათვის“ განახლებული, სრული და სწორი ინფორმაციის მიწოდება მათი საბანკო ანგარიშების შესახებ, რომელზეც მოხდება ობლიგაციებთან დაკავშირებული ნებისმიერი

სახის გადახდა. არც ემიტენტი, „დეპოზიტარი“, „ანგარიშის მწარმოებელი“ და არც „ანგარიშსწორებისა და გადახდის აგენტი“ არ იქნება პასუხისმგებელი გადახდის არ / ვერ განხორციელების შემთხვევაში, თუ „ობლიგაციონერი“ „ანგარიშის მწარმოებელს“ ან/და „დეპოზიტარს“ დროულად არ მიაწვდის მისი საბანკო ანგარიშების შესახებ ინფორმაციას, ან ემიტენტის ან „ანგარიშის მწარმოებლის“ ან „დეპოზიტარი“ მოთხოვნის მიუხედავად, „სააღრიცხვო თარიღისათვის“ ვერ უზრუნველყოფს ამგვარი ინფორმაციის განახლებას.

(II) თუ „ობლიგაციონერის“ ზემოაღნიშნულ ქვეპუნქტში მითითებული საბროკერო ანგარიში არ არის გახსნილი „ანგარიშის მწარმოებელთან“, განხორციელებული გადახდებიდან შესაძლოა დაიქვითოს მომსახურების საკომისიოები. თუ „ობლიგაციონერის“ საბანკო ანგარიში არ არის შესაბამისი ემისიის ვალუტაში, ანგარიშსწორება მოხდება შესაბამისი ვალუტის კონვერტაციის ხარჯების გამოკლებით.

(III) ანგარიშსწორებასთან დაკავშირებული პროცესები და შეზღუდვები დამატებით დგინდება კანონმდებლობით, ასევე მის საფუძველზე „დეპოზიტარისა“ და სხვა შესაბამისი ფასიანი ქაღალდების მონაწილეთა მიერ შემუშავებული წესებითა და პროცედურებით და კალკულაციისა და გადახდის აგენტთან გაფორმებული ხელშეკრულების შესაბამისად.

(ზ) აგენტების დანიშვნა:

„კალკულაციისა და გადახდის აგენტი“, „განთავსების აგენტი“ და „დეპოზიტარი“ და მათი საკონტაქტო ინფორმაცია მითითებულია „შეთავაზების ძირითად პირობებში“ და „პროსპექტის“ ბოლოს. „კალკულაციისა და გადახდის აგენტი“, „განთავსების აგენტი“ და „დეპოზიტარი“ წარმოადგენენ მხოლოდ და მხოლოდ „ემიტენტის“ აგენტებს და ამ „პროსპექტის“ და შეთავაზების მიზნებისათვის, და ისინი არ კისრულობენ რაიმე სახის ვალდებულებას „ობლიგაციონერების“ ან „ანგარიშის მწარმოებლების“ წინაშე და შესაბამისად, არ წარმოადგენენ მათ ინტერესებს. „ემიტენტი“ იტოვებს უფლებას „ობლიგაციონერებისთვის“ ინფორმაციის მიწოდებით შეცვალოს ან შეწყვიტოს „კალკულაციისა და გადახდის აგენტთან“ ან/და „განთავსების აგენტთან“ ხელშეკრულება, და დანიშნოს დამატებითი ან სხვა „კალკულაციისა და გადახდის აგენტი“ ან/და „განთავსების აგენტი“. ამასთან „ემიტენტს“ ნებისმიერ დროს ევალება ჰყავდეს „კალკულაციისა და გადახდის აგენტი“.

ნებისმიერ ასეთ ცვლილებაზე ან მითითებული საკონტაქტო ინფორმაციის ცვლილების თაობაზე დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს „ობლიგაციონერებს“ „პირობების“ მე-14 („შეტყობინებები“) პუნქტით განსაზღვრული პროცესის შესაბამისად ინფორმაციის გამოქვეყნების გზით.

(გ) გაანგარიშება და გადახდა:

„ობლიგაციებთან“ დაკავშირებული ნებისმიერი გადასახდელი თანხის (მათ შორის, საპროცენტო სარგებლის) დაანგარიშება და გადახდა უნდა მოხდეს წინამდებარე „პროსპექტის“ პირობებისა და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. ამასთან, „კალკულაციისა და გადახდის აგენტის“ მიერ დაანგარიშებული თანხა, აშკარა შეცდომის გარდა, წარმოადგენს საბოლოო თანხას „ემიტენტისათვის“. „კალკულაციისა და გადახდის აგენტის“ მიერ თანხის დაანგარიშება მოხდება შესაბამისი გადახდის თარიღამდე არანაკლებ 2 (ორი) სამუშაო დღით ადრე და ეცნობება „ემიტენტს“. „ემიტენტი“ ვალდებულია, არაუგვიანეს შესაბამისი გადახდის თარიღამდე 1 (ერთი) „სამუშაო დღით“ ადრე „დეპოზიტარისთვის“ გაზიარებულ მის საბანკო ანგარიშზე განათავსოს შესაბამისი თანხები ემისიის ვალუტაში და მისცეს „დეპოზიტარს“ დავალება აღნიშნული თანხების გადარიცხვაზე. „დეპოზიტარი“ უფლებამოსილია, მაგრამ არა ვალდებული, „ემიტენტის“ მიერ აღნიშნულ საბანკო ანგარიშზე საკმარისი თანხების განთავსების შემთხვევაში, შესაბამისი დავალების გარეშე მოახდინოს ფასიან ქაღალდებთან დაკავშირებული ვადამოსული გადასახდელების (საპროცენტო სარგებლის ან/და ძირითადი თანხის) გადარიცხვა „ობლიგაციონერთა“ ანგარიშებზე, მათ სახელზე არსებული ფასიანი ქაღალდების პროპორციულად; ხოლო, „ემიტენტის“ საბანკო ანგარიშზე საკმარისი თანხის განუთავსებლობის შემთხვევაში, აცნობოს აღნიშნულის თაობაზე „ემიტენტსა“ და „ანგარიშის მფლობელებს“/„ანგარიშის მწარმოებლებს“.

(დ) ფისკალური კანონმდებლობა:

ნებისმიერი გადახდა უნდა მოხდეს საქართველოს მოქმედი ფისკალური / საანგარიშსწორებო კანონმდებლობისა ან/და სხვა კანონების, მარეგულირებელი ნორმებისა და სხვა კანონქვემდებარე აქტების დაცვით.

(ე) გადახდის დაგვიანება / არასამუშაო დღეები:

„ობლიგაციონერი“ ვერ მოითხოვს პროცენტის, ჯარიმის ან მსგავსი გადასახდელის დაკისრებას ნებისმიერი გადასახდელის დაგვიანებით გადახდისთვის იმ შემთხვევაში, თუ ასეთი გადასახდელის გადახდის თარიღი არ ემთხვევა „სამუშაო დღეს“. ვადამოსული გადასახდელის გადახდა მოხდება მომდევნო „სამუშაო დღეს“.

9. დაბეგვრა

„ემიტენტის“ მიერ ან მისი სახელით ობლიგაციების ძირითადი თანხისა და საპროცენტო განაკვეთის გადახდა მოხდება საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული გადასახადების გადახდის წყაროსთან დაკავების შემდეგ, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

10. დეფოლტის შემთხვევები

(I) თუ დადგება და გრძელდება ნებისმიერი ქვემოთ მოყვანილი შემთხვევა („დეფოლტის შემთხვევები“), „ობლიგაციონერები“, „ობლიგაციონერთა“ კრების მიერ მიღებული სპეციალური გადაწყვეტილების საფუძველზე, ან გადახდის ვალდებულების შეუსრულებლობის ან „ჯვარედინი დეფოლტის“ შემთხვევაში, „ობლიგაციონერების“ მინიმუმ 20%-ის (ოცი პროცენტის) გადაწყვეტილების საფუძველზე, უფლებამოსილები არიან „ემიტენტისათვის“ წერილობითი შეტყობინების გაგზავნით „ობლიგაციებიდან“ გამომდინარე მოთხოვნები გამოაცხადონ ვადამოსულად და მოითხოვონ „ემიტენტისაგან“ „ობლიგაციების“ დაუყოვნებლივ განაღდება და ძირითადი თანხის (ნომინალის) 100%-ისა (ასი პროცენტი) და დარიცხული საპროცენტო სარგებლის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) გადახდა, რა შემთხვევაშიც „ემიტენტს“ წარმოეშობა ძირითადი თანხის 100%-ის ოდენობით გადახდის ვალდებულება, ნებისმიერ დარიცხულ და გადაუხდელ პროცენტთან ერთად:

(ა) გადახდის ვალდებულების შეუსრულებლობა:

„ემიტენტი“ ვერ შეძლებს „ობლიგაციების“ ძირითადი თანხის, დარიცხული საპროცენტო სარგებლის ან „ობლიგაციებიდან“ გამომდინარე რაიმე სხვა თანხის გადახდას, და ამგვარი დარღვევა არ გამოსწორდება ანგარიშსწორებისთვის განსაზღვრული თარიღიდან 15 (თხუთმეტი) დღის ვადაში; ან

(ბ) სხვა ვალდებულების დარღვევა:

„ემიტენტი“ არ/ვერ ასრულებს „პროსპექტით“ ან „თავდებობის ხელშეკრულებით“ ნაკისრ ერთ ან რამდენიმე ისეთ ვალდებულებას (გარდა „პირობების“ 10(ა) ქვეპუნქტით გათვალისწინებული ვალდებულებისა), რაც „ობლიგაციონერების“ დასაბუთებული მოსაზრებით (i) არ ექვემდებარება გამოსწორებას და ამასთანავე არის არსებითი ან განმეორებადი ხასიათის; ან (ii) ექვემდებარება გამოსწორებას, მაგრამ დარღვევის თაობაზე „ობლიგაციონერების“ მიერ „ემიტენტისათვის“ გაგზავნილი შეტყობინების მიღებიდან 30 (ოცდაათი) დღის (და იმ შემთხვევაში, თუ სახეზეა „პირობების“ 5(თ)(II) პუნქტის დარღვევა - 60 (სამოცი) დღის) განმავლობაში, არ იქნა აღმოფხვრილი; ან

(გ) ჯვარედინი დეფოლტი:

(I) „ემიტენტის“ ან მისი რომელიმე „მნიშვნელოვანი შვილობილის“ ნებისმიერი სხვა არსებული ან სამომავლო „ვალდებულება“ ნასესხებ ან მოზიდულ თანხებთან მიმართებით, ხდება (ან შესაძლებელია, გახდეს) შესაბამის დაფარვის შეთანხმებულ ვადამდე გადასახდელი რომელიმე დეფოლტის შემთხვევის მიზეზით (როგორც განსაზღვრულია), ან

(II) ნებისმიერი ასეთი „ვალდებულების“ გადახდა არ მომხდარა განსაზღვრულ ვადაში, ან შესაბამის შემთხვევებში,

თავდაპირველად დადგენილი საშელავათო პერიოდის გათვალისწინებით;

თუ „პირობების“ ამ მე-10(გ.I) და (გ.II) ქვეპუნქტებით გათვალისწინებული ამგვარი შეუსრულებელი შესაბამისი „ვალდებულებების“ ერთი ან რამდენიმე შემთხვევისთვის ჯამური მოცულობა „ობლიგაციონერების“ გონივრული შეფასებით შეადგენს ან აღემატება უკანასკნელი „ფისკალური პერიოდისთვის“ „ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების“ შესაბამისად მომზადებული „ჯგუფის“ კონსოლიდირებული ბალანსიდან გამომდინარე „ჯგუფის“ „მთლიანი კონსოლიდირებული აქტივების“ 2%-ს (ორ პროცენტს); ან

(დ) გადახდისუნარობა:

- (i) ნებისმიერი შემდეგი ვითარების დადგომა:
 - a. „ემიტენტი“ ან ნებისმიერი „შვილობილი“ დაიწყებს ლიკვიდაციის ან გადახდისუნარობის პროცედურას;
 - b. ნებისმიერი „პირის“ მიერ „ემიტენტის“ ან ნებისმიერი „შვილობილის“ საწინააღმდეგოდ განცხადების აღძვრა გადახდისუნარობის პროცედურის დაწყებისთვის, თუკი ასეთ „პირს“ არ ეთქვა უარი მოთხოვნის წარდგენიდან 90 (ოთხმოცდაათი) კალენდარული დღის განმავლობაში; ან
 - c. „ემიტენტსა“ და მის კრედიტორებს შორის მოლაპარაკების წარმოება „ემიტენტის“ ყველა ან არსებითად ყველა ვალის თაობაზე სასამართლოს გარეშე მორიგების მიზნით; ან
 - d. ლიკვიდაციის პროცედურის დაწყება „ემიტენტის“ ან ნებისმიერი „შვილობილის“ მიმართ, რომელიც ეფუძნება სისხლის სამართლის საქმეზე გამოტანილ სასამართლო გადაწყვეტილებას; ან
- (ii) „ემიტენტი“ ან ნებისმიერი „შვილობილი“ ვერ უზრუნველყოფს ან შეუძლებელია მისთვის დროულად გადაიხადოს ვადამოსული ვალდებულებები; ან
- (iii) „ემიტენტის“ ან ნებისმიერი „შვილობილის“ პარტნიორები დაამტკიცებენ „ემიტენტის“ ლიკვიდაციის ან გაუქმების ნებისმიერ გეგმას; ან
- (iv) „ემიტენტის“ აქტივები (განურჩევლად მათი ვადიანობისა) ვეღარ ფარავს მისივე ვალდებულებებისა და პირობითი ვალდებულებების ჯამს, განურჩევლად მათი ვადამოსულობისა (აღნიშნულ შემთხვევაში გადახდისუნარობის დადგენისათვის ემიტენტის „მთლიანი კონსოლიდირებული აქტივების“ ღირებულება გაიანგარიშება სალიკვიდაციო ბალანსზე რიცხული თითოეული აქტივის წმინდა ღირებულების ჯამით); ან
- (v) „ემიტენტს“ სალიკვიდაციო ბალანსით ერიცხება დაუფარავი მოთხოვნები, მაგრამ აღარ აქვს აქტივები ამ მოთხოვნების დასაფარავად; ან

(ე) შეუსრულებელი სასამართლო გადაწყვეტილებები, სამთავრობო ან სასამართლო ღონისძიებები:

„ემიტენტის“ ან მისი „მნიშვნელოვანი შვილობილის“ მიმართ გამოტანილი სასამართლოს ან შესაბამისი კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა სამართალდამცავი ორგანოს მიერ მიღებული და აღუსრულებელი საბოლოო გადაწყვეტილება, განაჩენი, განჩინება თანხის დაკისრების ან გადახდევინების თაობაზე აღემატება უკანასკნელი „ფისკალური პერიოდისთვის“ „ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების“ შესაბამისად მომზადებული „ჯგუფის“ კონსოლიდირებული ბალანსიდან გამომდინარე „ჯგუფის“ „მთლიანი კონსოლიდირებული აქტივების“ 2%-ს (ორ პროცენტს), ან ამგვარი აღუსრულებელი გადაწყვეტილება, განაჩენი ან განჩინება გამოიწვევს (ა) „ემიტენტის“ ან მისი „მნიშვნელოვანი შვილობილის“ ხელმძღვანელი პირ(ებ)ის სრულ ან ნაწილობრივ გადაყენებას, ან „ემიტენტის“ მიერ საქმიანობის განხორციელების უფლებამოსილების სრულ ან ნაწილობრივ შეზღუდვას, ან (ბ) „ემიტენტის“ ან მისი „მნიშვნელოვანი შვილობილის“ სააქციო კაპიტალის სრული ან უმრავლესი წილის, ასევე მისი შემოსავლების ან აქტივების სრულ ან ნაწილობრივ (მთლიანი საბალანსო ღირებულების 20% (ოცი პროცენტი) ან მეტი ოდენობის) ჩამორთმევას, ნაციონალიზაციას, კონფისკაციას ან იძულებით გასხვისებას; ან

(ვ) აღსრულება:

„ემიტენტის“ ან მისი „მნიშვნელოვანი შვილობილის“ ქონების, შემოსავლების ან აქტივების სრული ან არსებითი ნაწილის მიმართ (ამ მიზნებისთვის განმარტებული, როგორც საკუთრება, შემოსავალი ან აქტივები, რომელიც წარმოადგენს „ემიტენტის“ „მთლიანი კონსოლიდირებული აქტივების“ 25%-ს ან მეტს, ან რომელიც სხვაგვარად ჩაითვლება არსებითად) ნებისმიერი სააღსრულებო პროცესის დაწყება, ან უზრუნველყოფების მფლობელი პირის მიერ მათი საკუთრებაში მიღება ან გასხვისება; ან

(ზ) უფლებამოსილება და თანხმობები:

არ არის შესრულებული, მოპოვებული ან მიღებული ნებისმიერი ქმედება, პირობა ან ზომა (მათ შორის ნებისმიერი საჭირო თანხმობის, განკარგულების, მოწონების, ავტორიზაციის, გამოწვევის, მიმართვის, ლიცენზიის, ბრძანების, ჩანაწერის, რეგისტრაციის ან სხვა ავტორიზაციის მოპოვება), რომელიც უნდა ყოფილიყო მიღებული, განხორციელებული ან შესრულებული იმისათვის, რომ (i) „ემიტენტმა“ კანონიერად შეძლოს, „ობლიგაციებიდან“ გამომდინარე თავისი მნიშვნელოვანი უფლებების მიღება და განხორციელება, გადახდის ვალდებულებების შესრულება, ასევე ამ „პირობების“ მე-5 პუნქტიდან („დათქმები“) გამომდინარე ვალდებულებების, და „ობლიგაციებიდან“ გამომდინარე მისი სხვა არსებითი ვალდებულებების ჯეროვნად შესრულება, (ii) უზრუნველყოფილ იქნას ზემოთ აღნიშნული ვალდებულებების ნამდვილობა და მათი აღსრულებადობა, და (iii) „ობლიგაციები“, „პროსპექტი“ ან „თავდებობის ხელშეკრულება“ დასაშვები იქნას დავების განმხილველ ნებისმიერ ორგანოში მტკიცებულების სახით; ან

(თ) ნამდვილობა და უკანონო:

(I) „ემიტენტი“ სადავოდ ხდის „ობლიგაციების“ ან „პროსპექტის“ ნამდვილობას, ან უარყოფს „ობლიგაციებიდან“, „პროსპექტიდან“ ან „თავდებობის ხელშეკრულებიდან“ გამომდინარე რომელიმე მატერიალურ ვალდებულებას, ან „ემიტენტის“ მიერ „ობლიგაციების“, „პროსპექტის“ ან „თავდებობის ხელშეკრულების“ ფარგლებში ნაკისრი ერთი ან მეტი მატერიალური ვალდებულების შესრულება არის ან გახდება უკანონო, ან რომელიმე ხსენებული ვალდებულება გახდება აღუსრულებადი ან აღარ ჩაითვლება კანონიერად, ნამდვილად ან სავალდებულო ძალის მქონედ.

(II) ემიტენტი კისრულობს ვალდებულებას, რომ:

- ა) შეტყობისთანავე, დაუყოვნებლივ აცნობებს ობლიგაციონერებს „დეფოლტის შემთხვევის“ დადგომის თაობაზე, ან იმგვარი მოვლენის ან გარემოების შესახებ, რომელიც შეტყობინების გაგზავნის/მიღების, დროის გასვლის და/ან სერტიფიკატის/ცნობის გაცემის საფუძველზე ჩაითვლება „დეფოლტის შემთხვევად“ („პოტენციური დეფოლტის შემთხვევა“).
- ბ) წლიური აუდირებული ფინანსური ანგარიშების მომზადებიდან 14 დღის ვადაში და „პროცენტის გადახდის თარიღიდან“ 14 დღის განმავლობაში „ობლიგაციონერებს“ მიაწვდის მისი დირექტორის და ფინანსური დირექტორის მიერ ხელმოწერილ წერილობით დასტურს იმის თაობაზე, რომ გონივრული მოკვლევის შემდეგ, მისი ინფორმაციით და რწმენით, წერილობითი დასტურის თარიღის (შემდგომში „დადასტურების თარიღი“) მდგომარეობით არ დამდგარა ან არ გაგრძელდება „დეფოლტის შემთხვევა“ ან „პოტენციური დეფოლტის შემთხვევა“, და „დეფოლტის შემთხვევას“ ან „პოტენციური დეფოლტის შემთხვევას“ ადგილი არ ჰქონია არც წინა „დადასტურების თარიღის“ შემდგომ პერიოდში (ან, წინა „დადასტურების თარიღის“ არ არსებობის შემთხვევაში, „ობლიგაციების“ „გამოშვების თარიღის“ შემდგომ პერიოდში), ხოლო „დეფოლტის შემთხვევის“ ან „პოტენციური დეფოლტის შემთხვევის“ არსებობისას ვალდებულია აცნობოს ამგვარი შემთხვევის დეტალები.

11. „ობლიგაციონერების“ კრებები, ცვლილებები და უფლებებზე უარის თქმა

ა) „ობლიგაციონერების“ კრებები

„პირობები“ შეიცავს დებულებებს „ობლიგაციონერების“ კრებების მოწვევის თაობაზე იმ საკითხების გადასაწყვეტად, რომლებსაც გავლენა აქვს „ობლიგაციონერების“ ინტერესზე, მათ შორის „პროსპექტის“ შესაბამისად სათანადოდ მოწვეულ კრებაზე დამსწრეთა ხმების 80% (ოთხმოცი პროცენტი)-ით გადაწყვეტილების (შემდგომში „სპეციალური გადაწყვეტილება“) მიღების თაობაზე, წინამდებარე „პროსპექტის“ (მათ შორის, „პირობებში“) დებულებებში ცვლილებების და დამატებების შეტანის მიზნით. ასეთი კრება შეიძლება მოწვეული იქნას იმ „ობლიგაციონერების“ (ან/და მათი სახელით მოქმედი „ანგარიშის მწარმოებლის“) მიერ, რომლებიც ფლობენ იმ დროისთვის „დაუფარავი“ „ობლიგაციების“ ძირი თანხის არანაკლებ 10%-ს (ათ პროცენტს). ამგვარი კრების მიერ განსახილველი საკითხი, სხვა დაკავშირებულ თემებთან ერთად, მოიცავს შემდეგი საკითხების განხილვას: (i) „ობლიგაციების“ ნებისმიერი ფინანსური პირობის ცვლილებას; (ii) „ობლიგაციებთან“ მიმართებით, ნებისმიერი ძირი თანხის ან პროცენტის გადახდის თარიღის ცვლილებას; (iii) „ობლიგაციებთან“ მიმართებით, ნებისმიერი გადასახდელი თანხის ოდენობის გამოთვლის მეთოდის ცვლილებას; (iv) „ობლიგაციებთან“ მიმართებით გადასახდელი ძირი თანხის ან პროცენტის ოდენობის ცვლილებას; (v) თანხმობის განცხადებას „ემიტენტის“ ან რომელიმე სხვა პირის აქციებში ან სხვა ვალდებულებებში ან ფასიან ქაღალდებში „ობლიგაციების“ გადაცლაზე, ჩანაცვლებაზე ან კონვერტაციაზე, (vi) „ობლიგაციებთან“ დაკავშირებით ანგარიშსწორების ვალუტის შეცვლას (გარდა იმ ცვლილებებისა, რაც მოითხოვება შესაბამისი „მარეგულირებელი კანონმდებლობით“), (vii) „ობლიგაციონერების“ კრებებზე საჭირო ქვორუმის ან „სპეციალური გადაწყვეტილების“ მისაღებად საჭირო ხმების ოდენობის ცვლილებას; (viii) წინამდებარე „პირობების“ შესაბამისი „დეფოლტის შემთხვევების“ განსაზღვრების ცვლილებას ან დეფოლტის გამოცხადებას; ასეთ შემთხვევებში, „სპეციალური გადაწყვეტილების“ განსახილველად მოწვეული ნებისმიერი კრების ქვორუმის აუცილებელი ოდენობა არის 2 (ორი) ან მეტი პირი, რომლებიც განსახილველ დროს ფლობენ ან წარმოადგენენ „დაუფარავი“ „ობლიგაციების“ ძირი თანხის არანაკლებ ორ მესამედს, ან „განმეორებით კრებაზე“ - არანაკლებ ერთ მესამედს. ნებისმიერი სათანადოდ მიღებული „სპეციალური გადაწყვეტილება“ მხოლოდ „ობლიგაციონერებისთვის“ (მიუხედავად იმისა, ესწრებოდნენ თუ არა ისინი კრებას, რომელზეც მიღებულ იქნა ასეთი გადაწყვეტილება).

იმ „ობლიგაციონერების“ (ან მათი უფლებამოსილი წარმომადგენლების) მიერ წერილობითი ფორმით მიღებულ გადაწყვეტილებას, რომლებიც გადაწყვეტილების მომენტში ფლობენ „დაუფარავი“ „ობლიგაციების“ 80% (ოთხმოცი პროცენტი) ან მეტს, გააჩნია იგივე ძალა, რაც „სპეციალურ გადაწყვეტილებას“. ამგვარი გადაწყვეტილება წერილობითი ფორმით შეიძლება წარმოდგენილი იყოს ერთი ან ერთი და იმავე ფორმისა და შინაარსის რამდენიმე დოკუმენტით, რომელთაგან თითოეული ხელმოწერილია ერთი ან რამდენიმე „ობლიგაციონერის“ (ან მათი უფლებამოსილი წარმომადგენლების) მიერ. „ობლიგაციონერთა“ კრებაზე მიღებული გადაწყვეტილება ძალაში შედის მისი „ემიტენტის“ ვებ-გვერდზე საჯაროდ გამოქვეყნების შემდეგ, „პირობების“ მე-14 პუნქტის („შეტყობინებები“) შესაბამისად.

„ობლიგაციონერების“ ნებისმიერი სხვა გადაწყვეტილება, მოთხოვნა, თანხმობა ან/და „ობლიგაციონერების“ „პირობებში“ ხსენებული ნებისმიერი სხვა ქმედება/გადაწყვეტილება, რომელიც არ კვალიფიცირდება „სპეციალურ გადაწყვეტილებად“, მიიღება დამსწრეების ხმათა არანაკლებ 51% (ორმოცდათერთმეტი პროცენტი) უმრავლესობით (შემდგომში „ჩვეულებრივი გადაწყვეტილება“). ამგვარი კრების მოწვევის უფლება გააჩნიათ „ემიტენტს“ ან/და განხილვის დროს „დაუფარავი“ „ობლიგაციების“ ძირი თანხის არანაკლებ 5% (ხუთი პროცენტი) მფლობელ „ობლიგაციონერებს“ (ან/და მათი სახელით მოქმედ „ანგარიშის მწარმოებლებს“). „ჩვეულებრივი გადაწყვეტილების“ მისაღებად მოწვეული კრების ქვორუმს წარმოადგენს 2 (ორი) ან მეტი პირი, რომელიც ფლობს ან წარმოადგენს განსახილველ დროს „დაუფარავი“ „ობლიგაციების“ ძირი თანხის 51% (ორმოცდათერთმეტი პროცენტი) მეტს, ან ნებისმიერი „განმეორებითი კრების“ შემთხვევაში - 2 (ორი) ან მეტი პირი, რომელიც არის ან წარმოადგენს „ობლიგაციონერებს“, მიუხედავად საკუთრებაში არსებული ან წარმოდგენილი „ობლიგაციების“ ძირი თანხისა.

„დაუფარავი“ „ობლიგაციების“ 51% (ორმოცდათერთმეტი პროცენტი) ან მეტის მფლობელი „ობლიგაციონერების“ მიერ ან მათი სახელით ხელმოწერილი წერილობითი გადაწყვეტილება ძალაში შედის ისევე, როგორც „ჩვეულებრივი გადაწყვეტილება“. ამგვარი გადაწყვეტილება წერილობითი ფორმით შეიძლება წარმოდგენილი იყოს ერთი ან ერთი და იმავე ფორმისა და შინაარსის რამდენიმე დოკუმენტით, რომელთაგან თითოეული ხელმოწერილია ერთი ან რამდენიმე „ობლიგაციონერის“ მიერ. „ობლიგაციონერთა“ კრებაზე

მიღებული გადაწყვეტილება ძალაში შედის მისი „ემიტენტის“ ვებ-გვერდზე საჯაროდ გამოქვეყნების შემდეგ, „პირობების“ მე-14 პუნქტის („შეტყობინებები“) შესაბამისად.

ბ) „ობლიგაციონერთა“ კრების მოწვევა და ჩატარება:

„ემიტენტს“ ან იმ „ობლიგაციონერებს“, რომლებიც ერთობლივად ფლობენ „დაუფარავი“ „ობლიგაციების“ სულ მცირე 10% (ათი პროცენტი) (შემდგომში „**კრების მოწვევის ინიციატორი**“) შეუძლიათ ნებისმიერ დროს მოიწვიონ კრება. „კრების მოწვევის ინიციატორმა“ „ობლიგაციონერებს“ და „ემიტენტს“ უნდა გაუზიაროს შეტყობინება სულ მცირე 14 (თოთხმეტი) კალენდარული დღით ადრე. შეტყობინება უნდა გაიგზავნოს მე-14 პუნქტის („შეტყობინებები“) შესაბამისად. შეტყობინებაში უნდა მიეთითოს კრების დღე, დრო და ადგილი. კრებაზე დასწრების უფლება აქვს „ემიტენტს“ ან/და მის წარმომადგენელს.

კრებაზე წარმოდგენილი „ობლიგაციონერები“ ან მათი წარმომადგენლები აირჩევენ თავმჯდომარეს ერთმანეთს შორის; ამგვარად თავმჯდომარის არჩევის შეუძლებლობის შემთხვევაში თავმჯდომარეს აირჩევს „ემიტენტი“. თავმჯდომარე შესაძლებელია, მაგრამ არ არის აუცილებელი, იყოს „ობლიგაციონერი“ ან მისი წარმომადგენელი. თავმჯდომარედ მესამე პირის წარდგენის შემთხვევაში, აღნიშნული პირი უნდა იყოს მიუკერძოებელი. გადადებული კრების თავმჯდომარე არ არის აუცილებელი იყოს იგივე პირი, ვინც წარმოადგენდა თავდაპირველი კრების თავმჯდომარეს.

არცერთი საკითხი (გარდა თავმჯდომარის არჩევისა) არ შეიძლება იქნას განხილული კრებაზე თუ ქვორუმი არ არის შემდგარი. თუ კრების დაწყებიდან 15 (თხუთმეტი) წუთის გასვლის შემდეგ არ არის ქვორუმი შემდგარი, კრება უნდა დაიშალოს და იგი უნდა გადაიდოს იმ თარიღზე, რომელიც იქნება პირველი კრებიდან არაუადრეს 14 (თოთხმეტი) და არაუგვიანეს 42 (ორმოცდაორი) კალენდარული დღისა, ასევე იმ დროსა და ადგილას, რომელსაც განსაზღვრავს თავმჯდომარე.

გ) ხმის მიცემა:

კრებაზე დასმული ნებისმიერი საკითხი უნდა გადაწყდეს ხელის აწევით, გარდა იმ შემთხვევისა თუ მოთხოვნილია ფარული კენჭისყრა (ხელის აწევამდე ან შედეგის გამოცხადებამდე) თავმჯდომარის, „ემიტენტის“, ან ერთი ან მეტი პირის მიერ, რომლებიც წარმოადგენენ „დაუფარავი“ „ობლიგაციების“ 2%-ს (ორი პროცენტი). ფარული კენჭისყრის შემთხვევაში, გადაწყვეტილება გამოცხადდება თავმჯდომარის მიერ.

თუ მოთხოვნილია ფარული კენჭისყრა, ის უნდა ჩატარდეს ისეთი ფორმით და (ქვემოთ მოცემული პირობების შესაბამისად) და დროს (დაუყოვნებლივ ან კრების გადადების შემდეგ), როგორც განსაზღვრავს თავმჯდომარე. ფარული კენჭისყრის შედეგი მიიჩნევა იმ კრების გადაწყვეტილებად, რომელზეც იქნა მოთხოვნილი ფარული კენჭისყრის ჩატარება. ფარული კენჭისყრის მოთხოვნა არ შეუშლის ხელს სხვა საკითხების განხილვის მიზნით კრების გაგრძელებას.

თავმჯდომარის არჩევის ან კრების გადადების საკითხის შესახებ მოთხოვნილი ფარული კენჭისყრა უნდა ჩატარდეს დაუყოვნებლივ.

კრებაზე ყველა პირს აქვს 1 (ერთი) ხმა იმ თითოეულ ერთეულ „ობლიგაციაზე“, რომელსაც ის ფლობს ან წარმოადგენს (ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში). პირი, რომელსაც აქვს 1-ზე (ერთი) მეტი ხმა, არ არის ვალდებული გამოიყენოს ან მისცეს ყველა ხმა ერთგვაროვნად. ხმების თანაბარი რაოდენობის შემთხვევაში, როგორც ხელის აწევის, ისე ფარული კენჭისყრის შემთხვევაში, თავმჯდომარეს აქვს გადამწყვეტი ხმა იმ სხვა ხმებზე დამატებით, რომელიც მას შეიძლება ჰქონდეს.

ყველა კრების მიმდინარეობის და მასზე მიღებული გადაწყვეტილების შესახებ უნდა შედგეს ოქმი და თუ საჭიროებს კრების ან შემდეგი წარმატებული კრების თავმჯდომარის მიერ ხელმოწერას, მიჩნეულ უნდა იქნას დასკვნით მტკიცებულებად განხილულ საკითხებთან მიმართებით. სანამ საწინააღმდეგო დამტკიცდება, ყოველი კრება, რომლისთვის შედგენილია და ხელმოწერილია კრების ოქმი, ითვლება სათანადოდ მოწვეულად და ჩატარებულად და ყველა გადაწყვეტილება მიღებულად ან პროცესები სათანადოდ განხორციელებულად.

„ობლიგაციონერთა“ კრებაზე მიღებული ნებისმიერი გადაწყვეტილება ძალაში შედის შესაბამისი გადაწყვეტილების სათანადოდ მიღებისა და მისი თავმჯდომარის მიერ ხელმოწერისთანავე.

„ემიტენტი“ ვალდებულია შეატყობინოს „ობლიგაციონერებს“ „ობლიგაციონერთა“ კრებაზე ნებისმიერი გადაწყვეტილების (გარდა „ობლიგაციების“ პირობების ან/და „ობლიგაციებთან“ დაკავშირებული უფლებების ნებისმიერი ცვლილების შემთხვევისა), მიღების შესახებ მე-14 პუნქტის („შეტყობინებები“) შესაბამისად 14 (თოთხმეტი) დღის განმავლობაში, თუმცა ამ ვალდებულების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს გადაწყვეტილების ბათილობას. ხოლო „ობლიგაციების“ პირობების ან/და „ობლიგაციებთან“ დაკავშირებული უფლებების ნებისმიერი ცვლილების შემთხვევაში, „ემიტენტი“ ვალდებულია, დაუყოვნებლივ, გახადოს ინფორმაცია საჯარო ამგვარი ცვლილების შესახებ, თუმცა ამ ვალდებულებების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს გადაწყვეტილების ბათილობას.

დ) „დეფოლტის შემთხვევის“ გამოცხადების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილება

(i) ნებისმიერი „სპეციალური გადაწყვეტილება“, რომელსაც „ობლიგაციონერები“ მიიღებენ „დეფოლტის შემთხვევის“ გამოცხადებისა და შესაბამისი სააღსრულებო პროცედურების დაწყების მიზნით; ან (ii) ისეთ „ობლიგაციონერთა“ გადაწყვეტილება, რომელსაც აქვთ გადასახდელ „ობლიგაციათა“ 20% („გადახდის ვალდებულების შეუსრულებლობის“ ან/და „ჯვარედინი დეფოლტის“ შემთხვევაში), მიღებული უნდა იქნას ზემოთ განსაზღვრული წესით. ასეთი გადაწყვეტილება ასევე უნდა შეიცავდეს (ა) გადაწყვეტილებას იმის თაობაზე, თუ რომელ სააღსრულებო წარმოებას მიმართავენ „ობლიგაციონერები“ და რა თანმიმდევრობით (მაგ. მიმართავენ თუ არა მოთხოვნის ან აღსრულების უზრუნველყოფის რომელიმე მექანიზმის აღსრულებას და თუ მიმართავენ, რომელს/რომლებს და ა.შ.); (ბ) მითითებას შესაბამისი გადაწყვეტილების შესრულებაზე უფლებამოსილი ან/და პასუხისმგებელი პირის თაობაზე; და (გ) ნებისმიერი სხვა საკითხის რეგულირებას, რასაც „ობლიგაციონერები“ საჭიროდ ჩათვლიან „დეფოლტის შემთხვევის“ გამოცხადებასთან დაკავშირებული თემების ადმინისტრირების მიზნით.

12. აღსრულება

„დეფოლტის შემთხვევის“ გამოცხადების შემდგომ შესაბამისი სააღსრულებო წარმოების დაწყება „ობლიგაციონერებს“ შეუძლიათ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნულ საკითხზე მიღებულია შესაბამისი მითითება „სპეციალური გადაწყვეტილება“. თითოეული „ობლიგაციონერი“ აცნობიერებს, რომ „დეფოლტის შემთხვევის“ გამოცხადება წარმოადგენს მხოლოდ „ობლიგაციონერების“ კრების უფლებამოსილებას და ისინი ინდივიდუალურად არ არიან უფლებამოსილნი განახორციელონ აღსრულების რომელიმე ღონისძიება. ასევე, სააღსრულებო პროცესის წამოწყება არ უნდა მოხდეს „ობლიგაციონერების“ კრების მიერ „დეფოლტის შემთხვევის“ გამოცხადებიდან და შესაბამისი „სპეციალური გადაწყვეტილების“ ძალაში შესვლიდან 30 (ოცდაათი) კალენდარული დღის განმავლობაში, რა ვადაშიც „ემიტენტი“ უფლებამოსილია, გაასაჩივროს აღნიშნული „სპეციალური გადაწყვეტილება“ წინამდებარე „პროსპექტით“ განსაზღვრულ დავების განმხილველ ორგანოში.

13. პუნქტის ბათილობა

„პირობების“ ნებისმიერი დებულების ბათილობა ან ძალის დაკარგვა არ მოახდენს გავლენას „პირობების“ სხვა დებულებებზე. იმ შემთხვევაში, თუ წინამდებარე „პირობების“ რომელიმე დებულების ფარგლები ფართოა რის შედეგადაც დაუშვებელია მისი აღსრულება, ეს დებულება იქნება აღსრულებული იმ მაქსიმალური ხარისხით და ფარგლებით, რამდენადაც ეს დასაშვებია კანონით.

14. შეტყობინებები

„ემიტენტის“ შეტყობინება „ობლიგაციების მფლობელების“ მიმართ უნდა გაეგზავნოს „დეპოზიტარს“ წინამდებარე „პროსპექტში“ მითითებულ მის ელ-ფოსტაზე ან მისამართზე „დეპოზიტარი“ თავის მხრივ, ვალდებულია, აცნობოს ყველა შესაბამის „ანგარიშის მწარმოებელს“.

იმ შემთხვევაში, თუ ხდება შეტყობინების მიწოდება გამოქვეყნების ან შესაბამის ელ-ფოსტაზე გაგზავნის გზით, ნებისმიერი მსგავსი შეტყობინება ჩაითვლება სათანადოდ მიწოდებულად მისი გამოქვეყნების ან მისი ელ-ფოსტით გაგზავნის თარიღზე, ან, თუკი შეტყობინების გამოქვეყნება ან ელ-ფოსტაზე გაგზავნა მოხდა ერთ ჯერზე მეტად, შეტყობინება სათანადოდ მიწოდებულად ჩაითვლება - მისი პირველად გასაჯაროების ან ელ-ფოსტაზე პირველად გაგზავნის თარიღზე. იმ შემთხვევაში, თუ ხდება შეტყობინების მიწოდება მისამართზე გაგზავნის გზით, ნებისმიერი მსგავსი შეტყობინება ჩაითვლება სათანადოდ მიწოდებულად მისი გაგზავნის თარიღიდან მე-4 “სამუშაო დღეს”.

„ობლიგაციონერებმა“ შეტყობინება უნდა გაუგზავნონ „ანგარიშის მწარმოებლებს“ წინამდებარე „პროსპექტი“ მითითებულ მის ელ-ფოსტაზე ან მისამართზე, თუ „ანგარიშის მწარმოებლები“ „ობლიგაციონერებს“ სათანადოდ წერილობით სხვაგვარად არ შეატყობინებენ.

ყოველგვარი ექვსის გამორიცხვის მიზნით, ამ პუნქტით გათვალისწინებული შეტყობინების ფიზიკური სახით შესაბამის მისამართზე გაგზავნის შემთხვევაში, შეტყობინება ითვლება სათანადოდ წესით გაგზავნილად და იგი არ საჭიროებს დამატებით ელ-ფოსტით მეშვეობით გაგზავნას. „ემიტენტი“ მიაწოდებს „ანგარიშის მწარმოებლებს“ ინფორმაციას „ობლიგაციონერების“ კრების მოწვევის შესახებ ან/და შეტყობინებას გამოაქვეყნებს სსიპ - საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს მეშვეობით.

რეგულირებული ინფორმაციის გასაჯაროების მიზნით გამოყენებულ იქნება კანონმდებლობით განსაზღვრული რომელიმე საჯარო წყარო (<https://portal.ge/>; <https://gse.ge/>; სსიპ - საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, „ემიტენტის“ ვებ-გვერდი), რომლებზეც განხორციელდება რეგულირებული ინფორმაციის გამოქვეყნება, მათ შორის, საქართველოს ეროვნული ბანკის გამჭვირვალობის წესის (181/04) მე-9 მუხლით დადგენილი ვალდებულებების შესრულება:

ა) ნებისმიერი ცვლილება საჯარო ფასიანი ქაღალდის მფლობელის უფლებებთან დაკავშირებით, მათ შორის, ისეთი ცვლილებები ფასიანი ქაღალდის პირობებში, რომლებმაც შესაძლოა არაპირდაპირი გავლენა იქონიოს ფასიანი ქაღალდის მფლობელის უფლებებზე ან რომლებიც გამომდინარეობს სასესხო პირობებისა და საპროცენტო განაკვეთების ცვლილებიდან;

ბ) ინფორმაცია სასესხო ფასიანი ქაღალდის საპროცენტო განაკვეთის, პერიოდული გადახდების, კონვერტაციის/გადაცვლის, ყიდვის ან გაუქმების უფლების, ან დაფარვის შესახებ.

გ) ისეთი ინფორმაცია, რომელიც საჭიროა საჯარო ფასიანი ქაღალდების მფლობელთა უფლებების სათანადოდ განსახორციელებლად;

დ) ინფორმაცია საერთო კრების ადგილის, დროის, დღის წესრიგისა და „ემიტენტის“ პარტნიორთა საერთო კრებაში მონაწილეობის მიღების უფლების შესახებ;

ე) „ემიტენტი“ რეგულირებული ინფორმაციის სხვადასხვა ტიპებთან მიმართებით, გეგმავს ქვემოთ ჩამოთვლილი წყაროების გამოყენებას, რომლის ცვლილების შემთხვევაში შესაბამისად უზრუნველყოფს „ობლიგაციონერთა“ ინფორმირებას:

ე.1) პერიოდული ფინანსური ანგარიშგებები: <https://portal.ge/>;

ე.2) კრებებთან/გადაწყვეტილებებთან და სხვა მსგავს საკითხებთან დაკავშირებული ინფორმაცია: სსიპ საჯარო რეესტრის პორტალი და ანგარიშგების პორტალი (<https://portal.ge/>);

ე.3) სხვა ზემოთ ჩამოთვლილი ინფორმაცია ან კანონმდებლობით გამჭვირვალობის ფარგლებში მოთხოვნილი მიმდინარე ანგარიშები: „ემიტენტის“ ან შესაბამისი საფონდო ბირჟის ვებ-გვერდი და ანგარიშგების პორტალი (<https://portal.ge/>).

15. მარეგულირებელი სამართალი და იურისდიქცია

- (ა) **მარეგულირებელი სამართალი:** „პროსპექტი“ და „ობლიგაციები“, ასევე მათგან გამომდინარე ან მათთან დაკავშირებული ნებისმიერი არასახელშეკრულებო ვალდებულება, წესრიგდება და განიმარტება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

- (ზ) **იურისდიქცია:** ნებისმიერი დავა, უთანხმოება ან მოთხოვნა, რომელიც წარმოიშობა ან უკავშირდება წინამდებარე „პროსპექტუსს“ და/ან „ობლიგაციებს“ (მათ შორის ნებისმიერი პრეტენზია, დავა ან გაუგებრობა, რაც ეხება მათი გამოშვების, არსებობის, შეწყვეტის ან მოქმედების საკითხს, აგრეთვე ნებისმიერი არასახელშეკრულებო ვალდებულება, რომელიც წარმოიშობა ან დაკავშირებულია „პროსპექტუსთან“ ან „ობლიგაციებთან“), გადაეცემა და საბოლოოდ გადაწყდება არბიტრაჟის გზით მოქმედი UNCITRAL-ის არბიტრაჟის წესების შესაბამისად, ერთი არბიტრის მიერ, რომელიც დაინიშნება ლონდონის საერთაშორისო არბიტრაჟის სასამართლოს (LCIA) მიერ. არბიტრაჟის ადგილი იქნება ლონდონი, ინგლისი, ხოლო არბიტრაჟის წარმოების ენა იქნება ინგლისური.
- (გ) **იმუნიტეტზე უარის თქმა:** იმ მოცულობით, რამდენადაც „ემიტენტს“ ან მის რომელიმე აქტივს გააჩნია („ობლიგაციების“ გამოშვების თარიღის მდგომარეობით) ან მომავალში შესაძლოა შეიძინოს რაიმე სახის იმუნიტეტის უფლება გაქვითვისგან (set-off), სასამართლო წარმოებისგან, განჩინების მიღებამდე უზრუნველყოფის ან სხვა სახის აღსრულების ღონისძიებისგან სუვერენიტეტის ან სხვა მიზეზით, „ემიტენტი“ ამით შეუქცევადად უარს ამბობს ასეთ ნებისმიერ იმუნიტეტსა და მსგავს სამართლებრივ დაცვაზე და შეუქცევადად თანხმობას აცხადებს ნებისმიერი სამართლებრივი დაცვის ზომის განხორციელებაზე ან შესაბამისი სამართლებრივი პროცესის ინიცირებაზე, მათ შორის, შეუზღუდავად, ნებისმიერი განჩინების, გადაწყვეტილების ან სასამართლო გადაწყვეტილების გამოტანაზე, აღსრულებასა თუ შესრულებაზე, რომელიც დაკავშირებულია ნებისმიერ პროცესთან და შეიძლება მიმართული იყოს ნებისმიერი ქონების მიმართ.

16. ტერმინთა განმარტება

წინამდებარე “პირობებში” გამოყენებულ ტერმინებს (თუკი კონტექსტი სხვაგვარად არ მოითხოვს) გააჩნიათ შემდეგი მნიშვნელობები:

"აკრძალული გადახდა" ნიშნავს ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელიმეს: (i) ნებისმიერი დივიდენდის ან განაწილების გამოცხადებას ან განხორციელებას (ნაღდი ფულის ან არაფულადი ფორმით), „ჯგუფის“ გარეთ სესხის გაცემას ან ინვესტიციის განხორციელებას, ან სხვა მსგავსი ტრანზაქციის განხორციელებას (მათ შორის აქციების გამოსყიდვის ან სხვა ფორმით); ან (ii) საკუთარი კაპიტალის ან მფლობელის წილის (ownership interest) ნებაყოფლობითი შესყიდვას, გამოსყიდვას ან სხვა ფორმით შეძენას. ამ „პროსპექტის“ მიზნებისთვის: (i) „ემიტენტის“ „შვილობილების“ მიერ (და იმ შემთხვევაში, თუ „შვილობილი“ სრულად არ ეკუთვნის „ემიტენტს“, მაშინ ამავე პროპორციით მისი სხვა თანამესაკუთრეთათვისაც) დივიდენდების გადახდა ან განაწილება; და (ii) ნებისმიერი „ჯგუფის“ შიგნით გაცემული სესხის დაფარვა, რომელიც „ემიტენტმა“ ან სხვა „შვილობილმა“ გასცა „ემიტენტის“ „შვილობილზე“, არ ჩაითვლება „აკრძალულ გადახდად“.
"არსებითად უარყოფითი გავლენა" ნიშნავს მატერიალურ უარყოფით ცვლილებას ან მატერიალურ უარყოფით გავლენას (ა) ბიზნესზე, ქონებებზე, მდგომარეობაზე (ფინანსური ან სხვაგვარი), "ემიტენტის" ან "ჯგუფის" ოპერაციების შედეგებზე ან პერსპექტივაზე; (ბ) "ემიტენტის" უნარზე, შესრულონ მათი "ობლიგაციებით" ან "გარანტიებით" გათვალისწინებული ვალდებულებები; (გ) "ობლიგაციების" ან "გარანტიების" მოქმედებაზე ან აღსრულებადობაზე.
"არსებული დატვირთული აქტივები" ნიშნავს, ერთობლივად: (i) „ჯგუფის“ „მარაგებს“; და (ii) „ჯგუფის“ „ძირითად საშუალებებს“; და (iii) „ჯგუფის“ ნებისმიერ სხვა აქტივს, რომელიც, თითოეულ შემთხვევაში, პირველი „გამოშვების თარიღისთვის“ „ობლიგაციების“ გამოშვებამდე იყო დატვირთული რომელიმე „უზრუნველყოფის ღონისძიებით“, გარდა „ჯგუფის“ ისეთი აქტივებისა, რომელიც შეძენილი ან შექმნილი იქნა პირველი „გამოშვების თარიღის“ შემდეგ.
"ანგარიშის მწარმოებელი" არის შპს „თიბისი კაპიტალი“ და ასევე სხვა ნებისმიერი ფინანსური ინსტიტუტი, რომელიც საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე უფლებამოსილია კლიენტს გაუხსნას და აწარმოოს ფასიანი ქაღალდების ანგარიში.
"დეპოზიტარი" არის სს „საქართველოს ფასიანი ქაღალდების ცენტრალური დეპოზიტარი“ (ს/ნ: 204935400).
"აფილირებული პირი" რომელიმე კონკრეტულ "პირთან" მიმართებით არის (ა) ნებისმიერი სხვა "პირი", რომელიც პირდაპირ ან ირიბად აკონტროლებს ამ კონკრეტულ "პირს" ან პირდაპირ ან ირიბად კონტროლდება ამ კონკრეტული "პირის" მიერ ან იმყოფება ამ "პირთან" ერთად, პირდაპირ ან ირიბად, საერთო კონტროლის ქვეშ, ან (ბ) ნებისმიერი სხვა "პირი", რომელიც არის ამ კონკრეტული "პირის", მისი "შვილობილის" ან (ა) ქვეპუნქტში აღწერილი ნებისმიერი სხვა "პირის" დირექტორი, სამეთვალყურეო საბჭოს წევრი ან ოფიცერი.
"გადავადებული განთავსების თარიღი" ნიშნავს ნებისმიერ თარიღს "ობლიგაციების" "გამოშვების თარიღიდან" "შეთავაზების პერიოდის" დასრულებამდე, როდესაც ხდება "ობლიგაციის" განთავსება "გადავადებული განთავსების ფასით".
"გადავადებული განთავსების ფასი" ნიშნავს "ობლიგაციების" ნომინალური ღირებულებას დამატებული "ობლიგაციების" "გამოშვების თარიღიდან" "ობლიგაციების" "გადავადებული განთავსების თარიღამდე" დარიცხულ საპროცენტო სარგებელს.
"გამოშვების თარიღი" ნიშნავს თარიღს, როდესაც ხდება ობლიგაციების გამოშვება, როგორც ეს დადგენილია "შეთავაზების პირობების დოკუმენტით".

"განმეორებითი კრება" არის "ობლიგაციონერთა" განმეორებითი კრება, რომლითაც გრძელდება წინამორბედი კრება, სადაც ვერ შედგა გადაწყვეტილების მისაღებად საჭირო ქვორუმი.

„განთავსების თარიღი“ ნებისმიერი „ტრანშის“ შემთხვევაში ნიშნავს იმ თარიღს, რომელზეც ამ „ტრანშის“ „ობლიგაციები“ წარმატებით გაიყიდება „ინვესტორებზე“ ამ „პროსპექტში“ დადგენილი პროცედურების შესაბამისად და რომელიც წარმოადგენს იმ თარიღს, როდესაც შესაბამის „ობლიგაციებზე“ საკუთრების უფლება გადაეცემა „ინვესტორებს“ შესაბამისი ანგარიშსწორების სისტემის მეშვეობით.

„განთავსებული ტრანშის ღირებულება“ ნებისმიერი „ტრანშის“ შემთხვევაში ნიშნავს ასეთი „ტრანშის“ „ობლიგაციების“ ჯამურ ნომინალურ ღირებულებას, რომელიც რეალურად განთავსდა და გაიყიდა „ინვესტორებზე“ შესაბამის „გამოშვების თარიღზე“, გარდა ნებისმიერი ნებადართული, მაგრამ განუთავსებელი „ობლიგაციებისა“.

„განსაზღვრული დაუტვირთავი აქტივები“ ნიშნავს შემდეგი აქტივებიდან ნებისმიერ აღნიშნულს:

#	აქტივის სახე	საკადასტრო კოდი	მისამართი	საბალანსო ღირებულება* ('000 ლარი)
1	უძრავი ქონება	01.12.01.003.287	ქალაქი თბილისი, დავით	7,395
2	უძრავი ქონება	01.12.01.003.288	გურამიშვილის გამზირი N188	
3	უძრავი ქონება	01.13.05.003.093	ქალაქი თბილისი, ქუჩა რაფიელ აგლაძე, N45; ქალაქი თბილისი, ქუჩა სტანისლავსკი, N12	4,813
4	სხვა ძირითადი საშუალებები			20,506
5	მარაგები			30,000

**აქტივების საბალანსო ღირებულება წარმოდგენილია 2025 წლის 30 ივნისის მდგომარეობით.*

წინამდებარე განმარტების მიზნებისთვის, თითოეული „განსაზღვრული დაუტვირთავი აქტივის“ საბალანსო ღირებულება განისაზღვრება „ემიტენტის“ IFRS-ის შესაბამისად მომზადებული, ამ პროსპექტის დამტკიცების თარიღის მდგომარეობით ბოლო ხელმისაწვდომი ნახევარწლიური კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების საფუძველზე. „ემიტენტს“ არ ეკისრება ვალდებულება განახლოს ან შეცვალოს „განსაზღვრული დაუტვირთავი აქტივების“ ჩამონათვალი, მათ შორის არ აქვს ვალდებულება დაამატოს, ამოიღოს ან ჩაანაცვლოს აქტივები მხოლოდ იმ მიზეზით, რომ ამ „პროსპექტის“ დამტკიცების შემდეგ შეიცვალა ასეთი აქტივების საბალანსო ღირებულება ცვეთის, გადაანგარიშების, გაუფასურების ან სხვა მსგავსი ცვლილებების შედეგად.

"დამოუკიდებელი შემფასებელი" არის "აუდიტორული კომპანია" ან მესამე მხარე – ექსპერტი, რომელიც კონკრეტულ საკითხთან დაკავშირებით შეირჩევა "ემიტენტის" მიერ და (ა) წარმოადგენს ნებისმიერს დიდი ოთხეული საბუღალტრო/აუდიტორული ფირმებიდან (Deloitte & Touche, Ernst & Young, KPMG ან PricewaterhouseCoopers და მათი წევრი ფირმები და ფილიალები), ან (ბ) დამტკიცებულ იქნება ობლიგაციონერთა კრების მიერ იმ პირობით, რომ ეს ფირმა ან მესამე მხარე არ უნდა იყოს "ემიტენტთან" "აფილირებული პირი".

"დაუფარავი" გულისხმობს ისეთ "ობლიგაციებს", რომლებიც განთავსებულია, მაგრამ არ მომხდარა მათი გამოსყიდვა, დათქმულ ვადამდე ან ვადამოსულობის გამო დაფარვა ან გაუქმება ამ "პირობების" შესაბამისად ("დაფარვა" განიმარტება შესაბამისად).

"დაფარვის დათქმული თარიღი" ან **"დაფარვის თარიღი"** ნიშნავს პროცენტის ან ძირის ნებისმიერი შენატანისთვის ნებისმიერი "ვალდებულების" სერიაზე ისეთ თარიღს, რომელზეც დაგეგმილია პროცენტის ან ძირითადი თანხის გადახდა აღნიშნული "ვალდებულების" მარეგულირებელ დოკუმენტაციაში, მისი წარმოქმნის პირველი თარიღიდან წინამდებარე "პირობების" შესაბამისად და არ მოიცავს რაიმე პირობით ვალდებულებას აღნიშნული პროცენტის თუ ძირის თავდაპირველად დათქმულ ვადამდე გადასახდელად. "ობლიგაციებისთვის" მისი ძირითადი თანხისა და დარიცხული და გადაუხდელი სარგებლის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) შეთანხმებულ "დაფარვის თარიღს" განსაზღვრავს "შეთავაზების პირობების დოკუმენტი."

"ვალდებულება" ნებისმიერი „პირის“ მიმართ, ნებისმიერი მომენტისათვის გულისხმობს (დუბლირების გარეშე):

(ა) ამ „პირის“ მიერ თანხების სესხების შედეგად წარმოქმნილი ყველა დავალიანება/ვალდებულებას,

(ბ) ამ „პირის“ ყველა ვალდებულებას, რაც გამომდინარეობს ობლიგაციებიდან, სადებეტო ოპერაციებიდან, თამასუქებიდან ან სხვა მსგავსი ინსტრუმენტებიდან,

(გ) ამ „პირის“ ყველა ვალდებულებას, რომელიც გამომდინარეობს აკრედიტივებიდან, საბანკო გარანტიებიდან, თავდებობის, საბანკო აქცეპტების ან ან მსგავსი ინსტრუმენტებიდან (მათ შორის, ასანაზღაურებელი ვალდებულებები), მისი ჩვეულებრივი ბიზნეს- საქმიანობის ფარგლებში გამოშვებული ნებისმიერი აკრედიტივის, გარანტიის ან სხვა მსგავსი ინსტრუმენტის გამოკლებით,

(დ) ამ „პირის“ ყველა ვალდებულებას ქონების, აქტივების ან მომსახურების გადავადებული და გადაუხდელი სარეალიზაციო ფასის გადახდასთან დაკავშირებით,

(ე) სხვა „პირების“ ვალდებულებებს, რომლებიც უზრუნველყოფილია ამ „პირის“ აქტივებზე (რომელთა ღირებულება უნდა დადგინდეს უკანასკნელი საფინანსო წლისათვის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად მომზადებული ფინანსური უწყისებში ასახული საბალანსო ღირებულებით) „უზრუნველყოფის ღონისძიებით“, მიუხედავად იმისა, კისრულობს თუ არა ეს „პირი“ აღნიშნული სხვა „პირების“ ვალდებულებებს,

(ვ) სხვა „პირების“ ყველა დავალიანებას, რომელიც გარანტირებულია ან დაზღვეულია ამ „პირის“ მიერ, არაუმეტეს ამ „პირის“ მიერ ნაკისრი პასუხისმგებლობის მოცულობით,

(ზ) ფასიანი ქაღალდების გამოშვების გზით მოზიდული ნებისმიერი თანხას, თუ ამგვარი ფასიანი ქაღალდები ექვემდებარება გამოსყიდვას,

(თ) წმინდა ვალდებულებებს, რომლებიც გამომდინარეობენ ნებისმიერი სავალუტო ან საპროცენტო განაკვეთის ჰეჯირების ხელშეკრულებიდან, და

(ი) ფინანსური იჯარის ვალდებულებას, IFRS 16-ის შესაბამისად;

(კ) ნებისმიერი სხვა ოპერაციის (მათ შორის, ნებისმიერი ფორვარდული ყიდვის ან გაყიდვის ხელშეკრულებების) ფარგლებში მოზიდული თანხას, რაც ეკონომიკური ან კომერციული შინაარსით სესხის იდენტურია,

და ნებისმიერი „პირის“ ვალდებულების მოცულობა ნებისმიერი თარიღისათვის განისაზღვრება ამ თარიღის მდგომარეობით ზემოთ აღნიშნული ყველა უპირობო ვალდებულების დაუფარავი მოცულობისა, და ყველა პირობადადებული ვალდებულების შესაძლო მაქსიმალური მოცულობის (რაც შეიძლება დადგეს, თუკი მატერიალიზებული იქნება ის პირობა, რაც იწვევს ამ ვალდებულების წარმოშობას) ჯამური ოდენობით.

(ა) – (კ) ქვეპუნქტებში ზემოხსენებული ვალდებულებები ჩაითვლება „ვალდებულებების“ ამ განსაზღვრებაში მხოლოდ იმ შემთხვევაში, იმ პირობით და იმ მოცულობით, თუ და რა მოცულობითაც აღნიშნული ვალდებულება გამოჩნდებოდა ასეთი „პირი“ IFRS-ის შესაბამისად მომზადებულ საბალანსო უწყისში ვალდებულებად.

"კონტროლი", წინამდებარე განმარტებებში გამოყენებული ფორმით, გულისხმობს :

ა) (წილების ფლობით, განკარგვის ან წარმომადგენლობის უფლებით ან სახელშეკრულებო ურთიერთობით ან სხვაგვარად) იმის ძალაუფლება რომ:
i. შეეძლოს პარტნიორთა კრებაზე მისაცემი მაქსიმალური ოდენობის ხმების ნახევარის განკარგვა ან განკარგვის გაკონტროლება; ან
ii. შეეძლოს სამეთვალყურეო საბჭოს, დირექტორთა საბჭოს ან ექვივალენტი ოფიცრების სრული შემადგენლობის ან მისი უდიდესი ნაწილის დანიშვნა ან გათავისუფლება; ან
iii. შეეძლოს საოპერაციო და ფინანსურ პოლიტიკებთან მიმართებაში ისეთი განკარგულებების გაცემა, რომელთა შესრულებაც სავალდებულოა კომპანიის სამეთვალყურეო საბჭოსა და დირექტორთა საბჭოსთვის, ან კომპანიაში მისი ექვივალენტი ორგანოსთვის; ან
ბ) კომპანიის გამოშვებული სააქციო კაპიტალის ნახევარზე მეტის ფლობას (კაპიტალის იმ ნაწილის გამოკლებით რომელსაც არ გააჩნია კომპანიის კაპიტალის გამოშვებასა თუ მოგების განაწილებაში მითითებულ ოდენობაზე მეტით მონაწილეობა).
„მარაგები“ ნიშნავს „ჯგუფის“ ყველა ინვენტარს, მათ შორის გასაყიდად გამზადებულ საქონელს, ნედლეულს, წარმოებაში მყოფ პროდუქციას, მზა პროდუქციას და მოხმარებად მასალებს, რომლებიც ასეთად აღიარებულია და შეფასებულია IFRS-ის მიხედვით, გარდა: (i) იმ ერთეულებისა, რომლებიც კლასიფიცირებულია როგორც გრძელვადიანი (non-current) აქტივები; და (ii) ისეთი მარაგებისა, რომელიც IFRS-ის შესაბამისად მიიჩნევა მოძველებულად ან ჩამოწერილია ნულოვანი საბალანსო ღირებულებით.
„მარეგულირებელი კანონმდებლობა“ ნიშნავს საქართველოს კანონმდებლობას.

„მთლიანი კონსოლიდირებული აქტივები“ ან „კონსოლიდირებული აქტივები“ ნიშნავს ნებისმიერ "პირთან" მიმართებით და განსაზღვრის თარიღისთვის, აღნიშნული "პირის" და მისი კონსოლიდირებული "შვილობილების" კონსოლიდირებულ ჯამურ აქტივებს, როგორც წარმოდგენილია აღნიშნული "პირის" მიერ "ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების" მიხედვით მომზადებულ და გამჟღავნებულ უახლეს ხელმისაწვდომ კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში.
„მნიშვნელოვანი შვილობილი“ არის ემიტენტის ნებისმიერი „შვილობილი“:
(ა) რომლის შემოსავლები უკანასკნელი „ფისკალური პერიოდისათვის“ შეადგენდა „ჯგუფის“ კონსოლიდირებული შემოსავლების 5%-ზე მეტს, ან რომელიც უკანასკნელი „ფისკალური პერიოდის“ დასრულებისას ფლობდა „ჯგუფის“ კონსოლიდირებული მთლიანი აქტივებიდან 5%-ზე მეტს (უკანასკნელი „ფისკალური პერიოდისათვის“ „ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების“ შესაბამისად მომზადებული ემიტენტის კონსოლიდირებული ფინანსური უწყისების მიხედვით);
(ბ) რომელსაც გადაეცემა პრაქტიკულად ყველა აქტივი და ვალდებულება ემიტენტის იმ „შვილობილისაგან“, რომელიც ამგვარი გადაცემის მომენტამდე წარმოდგენდა ისეთ „მნიშვნელოვან შვილობილს“, რომელიც იმავდროულად არის „თავდები“.
„ნებადართული უზრუნველყოფა“ არის:
(ა) „უზრუნველყოფის ღონისძიებები“, რომლებიც წარმოიშვება პირველი „ტრანშის“ „გამოშვების თარიღამდე“ დადებული შეთანხმებების საფუძველზე (გარდა იმ „უზრუნველყოფის ღონისძიებებისა“, რომელთა ფარგლებშიც „ემიტენტის“ აქტივები უნდა გათავისუფლდეს ამ „პროსპექტის“ 5(ა) პუნქტის შესაბამისად), ან ისეთი „უზრუნველყოფის ღონისძიება“, რომლის წარმოშობის/ამოქმედების განზრახვა გაცხადებულია წინამდებარე „პროსპექტში“ (მიუხედავად იმისა, წარმოიშობა თუ არა ასეთი „უზრუნველყოფის ღონისძიება“ „გამოშვების თარიღზე“), ასევე ნებისმიერი ასეთი „უზრუნველყოფის ღონისძიება“, რომელიც შესაბამისი „გამოშვების თარიღამდე“ არსებული ან გამჟღავნებული „უზრუნველყოფის ღონისძიების“ განთავისუფლების, შეწყვეტის ან გაუქმების შემდეგ ანაცვლებს, აახლებს, ახანგრძლივებს, არეფინანსირებს ან თავიდან ტვირთავს

იმავე აქტივებს (გარდა იმ „უზრუნველყოფის ღონისძიებებისა“, რომელთა ფარგლებშიც „ემიტენტის“ აქტივები გათავისუფლდება ამ „პროსპექტის“ 5(ა) პუნქტის შესაბამისად). „ემიტენტს“ არ აქვს უფლება, წარმოშვას რაიმე ახალი „უზრუნველყოფის ღონისძიება“ „არსებულ დატვირთულ აქტივებზე“ ან სხვაგვარად გაზარდოს, გაახანგრძლივოს ან გააფართოვოს ასეთი აქტივების უზრუნველყოფა პირველი „ტრანშის“ „გამოშვების თარიღის“ შემდეგ, გარდა იმ შემთხვევებისა, რომლებიც პირდაპირ არის ნებადართული ამ „პირობებით“. „ემიტენტი“ უფლებამოსილია „არსებული დატვირთული აქტივებიდან“ ნებისმიერი აქტივი ჩაანაცვლოს სხვა დაუტვირთავი აქტივით („ჩამნაცვლებელი აქტივი“) იმ პირობით, რომ:

i. „ჩამნაცვლებელი აქტივების“ „საბალანსო ღირებულება“ და „სამართლიანი საბაზრო ღირებულება“ იქნება ტოლი ან ნაკლები იმ „არსებული დატვირთული აქტივების“ „საბალანსო ღირებულებასა“ და „სამართლიან საბაზრო ღირებულებაზე“, რომლებიც გათავისუფლდება;

ii. ჩანაცვლება განხორციელდება „არსებული დატვირთული აქტივების“ გათავისუფლებასთან ერთად;

iii. „ჩამნაცვლებელი აქტივები“ დაექვემდებარდება „გათავისუფლებულ აქტივებზე“ გავრცელებულ იმავე „უზრუნველყოფის ღონისძიებას“ და გამოიყენება მხოლოდ იმავე ან ტოლფასი ვალდებულების უზრუნველსაყოფად; და

iv. ასეთი ჩანაცვლება არ გამოიწვევს უზრუნველყოფილი ძირი თანხის გაზრდას, „ობლიგაციონერთა“ ინტერესების საზიანოდ, ვადის გახანგრძლივებას, ან უზრუნველყოფილი ვალდებულებების მოცულობის გაზრდას.

ამ პუნქტის მიზნებისთვის: (i) შესაბამისი აქტივის „საბალანსო ღირებულება“ განისაზღვრება ბოლო ნახევარწლიურ ან წლიურ ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული მონაცემების მიხედვით, რომელიც გამოქვეყნებულია ამ „პირობების“ შესაბამისად, ხოლო მისი „საბაზრო ღირებულება“ განისაზღვრება „დამოუკიდებელი შემფასებლის“ მიერ; და (ii) ნებისმიერი „არსებული დატვირთული აქტივის“ ჩანაცვლების შემთხვევაში, „ემიტენტმა“ უნდა უზრუნველყოს, რომ ასეთი არსებული „უზრუნველყოფის ღონისძიებები“ სრულად იქნას გათავისუფლებული, მოხსნილი და შეწყვეტილი.

(ბ) „შვილობილის“ მიერ ემიტენტის, ან ემიტენტის სრულ საკუთრებაში მყოფი „შვილობილის“ სასარგებლოდ გაცემული „უზრუნველყოფის ღონისძიება“;

(გ) „პირის“ „ვალდებულების“ „უზრუნველყოფის ღონისძიება“, რომელიც არსებობდა იმ მომენტისათვის, როდესაც მოხდა ამგვარი „პირის“ შერწყმა ემიტენტთან ან მის „შვილობილთან“, ან როდესაც ეს „პირი“ გახდა ემიტენტის „შვილობილი“, ამასთან, იმ პირობით, რომ ასეთი „უზრუნველყოფის ღონისძიება“ (i) არ წარმოქმნილა ამგვარი შერწყმასთან დაკავშირებით, და (ii) არ ვრცელდება ემიტენტის ან მისი „შვილობილის“ რაიმე აქტივზე ან ქონებაზე (გარდა, ამ შემთხვევაში „პირის“ და მისი „შვილობილების“ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) აქტივებისა ან ქონებისა);

(დ) ემიტენტის ან მისი „შვილობილის“ მიერ შეძენილ აქტივებზე ან ქონებაზე არსებული „უზრუნველყოფის ღონისძიება“, იმ პირობით, რომ ასეთი „უზრუნველყოფის ღონისძიება“ არ წარმოქმნილა ამგვარი შეძენასთან დაკავშირებით, და არ ვრცელდება რაიმე სხვა „ემიტენტის“ ან მისი რომელიმე „შვილობილის“ აქტივზე (გარდა, შეძენილი აქტივების ან ქონების ნაყოფისა);

(ე) „უზრუნველყოფის ღონისძიება“, რომელიც გაიცემა „ჯგუფის“ რომელიმე წევრის მიერ შესაძენ ქონებასთან დაკავშირებით, ამგვარი ქონების ნასყიდობის ფასის გადახდის, ან მხოლოდ ამ ქონების შეძენის და შეძენასთან დაკავშირებული ხარჯების დასაფინანსებლად წარმოქმნილი „ვალდებულების“ უზრუნველსაყოფად. ამასთან, ამგვარი „უზრუნველყოფის ღონისძიებით“ უზრუნველყოფილი „ვალდებულების“ მაქსიმალური ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს დაფინანსებული აქტივის შეძენის ფასის, შეძენასთან დაკავშირებული ხარჯების ან/და ქონების შეძენის დასაფინანსებლად წარმოქმნილი „ვალდებულების“ ოდენობას და ნებისმიერი ასეთი „უზრუნველყოფის ღონისძიება“ უნდა გაუქმდეს მაშინვე, როდესაც გადახდილი იქნება რელევანტური ფინანსური ვალდებულებები;

(ვ) ნებისმიერი გაქვითვის მექანიზმი (ნეტინგი), რომლის მხარესაც წარმოადგენს „ჯგუფის“ რომელიმე წევრი მისი ჩვეულებრივი საქმიანობის ფარგლებში, კრედიტისა და დებიტის ბალანსის ურთიერთ გაქვითვის მიზნით;

(ზ) ნებისმიერი „უზრუნველყოფის ღონისძიება“, ნებისმიერ არსებულ ან სამომავლო აქტივზე ან შემოსავალზე, ასევე მათ ნაწილზე, რომელიც გაიცემა მისაღები თანხებით სექიურითიზაციასთან, ან აქტივებით გამყარებულ დაფინანსებასთან ან მსგავსი ტიპის სხვა დაფინანსებასთან დაკავშირებით, სადაც ყველა გადახდის ვალდებულება დაკმაყოფილებულ უნდა იქნეს მხოლოდ ამ აქტივებიდან ან შემოსავლებიდან იმ პირობით, რომ იმ აქტივებისა და შემოსავლების ჯამური ღირებულება, რომლებზეც ვრცელდება „უზრუნველყოფის ღონისძიება“ არ უნდა აღემატებოდეს უკანასკნელი „ფისკალური პერიოდისთვის“ „ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების“ შესაბამისად მომზადებული „ჯგუფის“ კონსოლიდირებული ბალანსის მიხედვით დაანგარიშებული ემიტენტის მთლიანი კონსოლიდირებული აქტივების 10% (ათ პროცენტს);

(თ) „უზრუნველყოფის ღონისძიება“, რომელიც გამომდინარეობს ნებისმიერი შეთანხმებიდან (ან სხვა შესაბამისი პირობიდან), რაც სტანდარტულია ან ჩვეულია შესაბამის ბაზარზე და უკავშირდება საპროცენტო განაკვეთის და სავალუტო რისკის ჰეჯირების ოპერაციებს;

(ი) ნებისმიერი „უზრუნველყოფის ღონისძიება“, რომელიც წარმოიქმნება კანონის ძალით ან/და ჩვეულებრივი საქმიანობის ფარგლებში, მათ შორის საგადასახადო და სხვა არა-ნებაყოფლობითი „უზრუნველყოფის ღონისძიება“.

(კ) ნებისმიერი „უზრუნველყოფის ღონისძიება“, რომელიც სხვაგვარად არ ყოფილა განსაზღვრული / ნებადართული ზემოთმოყვანილ პუნქტებში (ა)–დან (ი)–ს ჩათვლით, იმ პირობით, რომ ამგვარი „უზრუნველყოფის ღონისძიებით“ უზრუნველყოფილი „ვალდებულების“ ჯამური ძირი თანხა, დროის ნებისმიერ მონაკვეთში, არ აღემატება „ჯგუფის“ მთლიანი კონსოლიდირებული აქტივების 10% (ათი პროცენტს).

„ობლიგაციონერი“ / „ინვესტორი“ ნიშნავს „ობლიგაციების“ მესაკუთრეს.

„პირი“ არის ნებისმიერი ფიზიკური ან იურიდიული პირი, კორპორაცია, ფირმა, ამხანაგობა, ერთობლივი საწარმო, ასოციაცია, სატრასტო გაერთიანება, დაწესებულება, ორგანიზაცია ან სახელმწიფო ორგანო, მიუხედავად იმისა გააჩნია თუ არა მას ცალკე იურიდიული პირის სტატუსი.

„პოტენციური დეფოლტის შემთხვევა“ ნიშნავს იმგვარ მოვლენას ან გარემოებას, რომელიც შეტყობინების გაგზავნის/მიღების, დროის გასვლის ან/და სერტიფიკატის/ცნობის გაცემის საფუძველზე შესაძლოა გახდეს „დეფოლტის შემთხვევა“.

„პროსპექტს“, „წინასწარ პროსპექტს“, „საბოლოო პროსპექტს“, „შეთავაზების პირობების დოკუმენტს“, „საბოლოო შეთავაზების პირობების დოკუმენტს“, „შეთავაზებას“ (იგივე, რაც საჯარო შეთავაზება) და ნებისმიერ სხვა ტერმინს, რომელიც არ არის განმარტებული წინამდებარე „პირობებში“ აქვს „ფასიანი ქაღალდების კანონის“ შესაბამისად განსაზღვრული მნიშვნელობა.

„რეზო ოპერაცია“ ნიშნავს ფასიანი ქაღალდების გამოსყიდვის ან გადაყიდვის შეთანხმებას, ასევე უკუ–გამოსყიდვის ან უკუ–გადაყიდვის შეთანხმებას, ფასიანი ქაღალდების თხოვების ან სესხების შეთანხმებას, ასევე ნებისმიერ შეთანხმებას, რომელიც უკავშირდება ფასიან ქაღალდებს და გააჩნია ზემოთ აღნიშნულის მსგავსი ხასიათი.

„სამართლიანი საბაზრო ღირებულება“ ოპერაციასთან მიმართებით არის ის ღირებულება, რომელიც მიღებული იქნებოდა დაუკავშირებელ პირებს შორის განხორციელებული კომერციული ოპერაციისას ინფორმირებულ და დაინტერესებულ გამყიდველსა (რომელზეც არავითარი იძულება ან ზეწოლა გასხვისებაზე არ ხორციელდება) და ასევე ინფორმირებულ და დაინტერესებულ მყიდველს (რომელზეც არავითარი იძულება ან ზეწოლა ყიდვაზე არ ხორციელდება) შორის.

„ტრანში“ ნიშნავს „ობლიგაციების“ იმ სერიას, რომელიც გამოშვებულია ამ „პროსპექტის“ ფარგლებში და რომელიც შეიცავს იდენტურ „ობლიგაციების გამოშვების პირობებს“ (მათ შორის, შეუზღუდავად, ერთსა და იმავე გამოშვების ფასს, საპროცენტო განაკვეთს, ვადას, დენომინაციას და უფლებათა პრიორიტეტს), რომლის ემისია ხდება ერთსა და იმავე „გამოშვების თარიღზე“ და წარმოადგენს ერთიან სერიას აქ მითითებული მიზნებისთვის.

„ტრანშის გათავისუფლების მოთხოვნა“ „ობლიგაციების“ ნებისმიერი „ტრანშის“ შემთხვევაში ნიშნავს იმ მოთხოვნას, რომლის თანახმადაც „ემიტენტმა“ უნდა უზრუნველყოს, რომ ყველა არსებული „უზრუნველყოფის ღონისძიება“ მოეხსნას:

(ა) „ჯგუფის“ „მარაგებს“, რომლის ჯამური საბალანსო ღირებულება შეადგენს შესაბამისი „განთავსებული ტრანშის ღირებულების“ 60 (სამოც) პროცენტს (%); და

(ბ) „ჯგუფის“ „ძირითად საშუალებებს“, რომლის ჯამური საბალანსო ღირებულება ასევე შეადგენს შესაბამისი „განთავსებული ტრანშის ღირებულების“ 60 (სამოც) პროცენტს (%);

სადაც, თითოეულ შემთხვევაში: (ა) გამოთვლა ხორციელდება შესაბამისი „ტრანშისთვის“ დამოუკიდებლად და სხვა „ტრანშის“ „განთავსებული ტრანშის ღირებულება“ ან გადასახდელი ძირითადი თანხა გათვალისწინებული არ არის; და (ბ) „ძირითადი საშუალებების“-სა და „მარაგების“ საბალანსო ღირებულება განისაზღვრება ბოლო ნახევარწლიურ ან წლიურ ფინანსურ ანგარიშგებაზე დაყრდნობით, რომელიც გამოქვეყნებულია ამ „პროსპექტის“ პირობების შესაბამისად.

„უზრუნველყოფის ღონისძიება“ ნიშნავს ნებისმიერ გირავნობას, იპოთეკას, დატვირთვას, ყადაღას ან სხვა სახის უზრუნველყოფას, იმის მიუხედავად აღნიშნული რეგისტრირებული, დაფიქსირებული ან სხვაგვარად აღრიცხული არის თუ არა მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, ნებისმიერი პირობითი გაყიდვის ან სხვა საკუთრების შენარჩუნების ხელშეკრულების ჩათვლით, ნებისმიერი იჯარა, ნებისმიერი ოფცია ან სხვა შეთანხმება უზრუნველყოფის უფლების გაყიდვის ან გადაცემის შესახებ და ნებისმიერი განცხადებით მიმართვა ან შეთანხმება ფინანსირების შესახებ (მათ შორის, ნებისმიერ იურისდიქციაში ზემოაღნიშნულის ანალოგიურ სხვა სახის სამართლებრივ უზრუნველყოფას).

„ფასიანი ქაღალდების კანონი“ ნიშნავს 1998 წლის 24 დეკემბერს მიღებულ საქართველოს კანონს "ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ", მასში შეტანილი ცვლილებების გათვალისწინებით.

„ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტები“ („IFRS“) არის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტები (ყოფილი საერთაშორისო საბუღალტრო სტანდარტები), რომელიც გამოიცემა საბუღალტრო სტანდარტების საერთაშორისო საბჭოს (IASB) მიერ და ამავე საბჭოს საერთაშორისო ფინანსური ანგარიშგების განმარტების კომისიის მიერ გამოცემული განმარტებები (მასში პერიოდულად შეტანილი ცვლილებებისა და დამატებების გათვალისწინებით).

„ფისკალური პერიოდი“ არის ნებისმიერი საანგარიშო პერიოდი, რომელთან მიმართებაშიც "ემიტენტს" მომზადებული აქვს კონსოლიდირებული ან ინდივიდუალური ფინანსური უწყისები "ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების" შესაბამისად. ყოველგვარი ეჭვის გამორიცხვის მიზნით, აღნიშნული დეფინიცია მოიცავს როგორც წლიურ აუდიტირებულ, ისე ნახევარწლიურ (12 კალენდარული თვის ჭრილში მომზადებულ) ფინანსურ უწყისებს.

„ძირითადი საშუალებები“ ნიშნავს „ჯგუფის“ ყველა მატერიალურ აქტივს, რომლებიც IFRS-ის შესაბამისად აღიარებულია როგორც ძირითადი საშუალება, მათ შორის მიწას, შენობებს, ქარხანა-საწარმოო ობიექტებს, მანქანა-მექანიზმებს, აღჭურვილობას, დამონტაჟებულ სისტემებსა და სხვა მსგავს საოპერაციო აქტივებს, გარდა: (i) IFRS 16-ის შესაბამისად აღიარებული გამოყენების უფლების აქტივებისა, თუ „ემიტენტი“ პირდაპირ არ თვლის მათ ძირითად საშუალებად; (ii) გასაყიდად კლასიფიცირებული აქტივებისა; და (iii) სრულად ამორტიზებული აქტივებისა, რომელთა საბალანსო ღირებულება ნულოვანია.

„შეთავაზების დასრულების თარიღს“ აქვს "შეთავაზების ძირითადი პირობებში" განსაზღვრული მნიშვნელობა.

"შვილობილი" ნებისმიერ "პირთან" (შემდგომში "პირველი პირი") მიმართებით ნიშნავს ნებისმიერ მეორე "პირს" (შემდგომში "მეორე პირი") (ა) რომლის საქმიანობა და პოლიტიკა პირდაპირ ან ირიბად კონტროლდება "პირველი პირის" მიერ, ან (ბ) რომელშიც "პირველი პირი" პირდაპირ ან ირიბად ფლობს კაპიტალის, ხმის უფლების მქონე აქციების ან წილის 50 პროცენტზე მეტს.
"ჯგუფი" გულისხმობს "ემიტენტს" და მის "შვილობილებს" ერთობლიობაში.
"გადასახადი" ნიშნავს ნებისმიერი სახის გადასახადს, ბაჟს, მოსაკრებელს ან სხვა მსგავს გადასახდელს, მიუხედავად იმისა, თუ რომელი იურისდიქციით არის იგი წარმოშობილი (მათ შორის, დარიცხული ჯარიმები და საურავები) და რა ფორმით არის დაკისრებული.
"საქართველოს საფონდო ბირჟა" ("GSE") ნიშნავს სს "საქართველოს საფონდო ბირჟას".
"თბილისის საფონდო ბირჟა" („TSE“) ნიშნავს სს „თბილისის საფონდო ბირჟას“.
„სამუშაო დღე“ ნიშნავს ნებისმიერ დღეს (შაბათისა და კვირის გარდა), როდესაც კომერციული ბანკები და ფასიანი ქაღალდების ბაზრის მონაწილეები ახორციელებენ ტრანზაქციებს და აწარმოებენ ჩვეულებრივ საქმიანობას (მათ შორის, უცხოურ საფონდო ბირჟებზე და სავალუტო ოპერაციებისთვის) თბილისში, საქართველოში;
„სამუშაო დღის კონვენცია“ ნიშნავს კორექტირებულ შემდგომ დღეს ("Modified Following"), რომლის მიხედვითაც „ობლიგაციების“ „პროცენტის გადახდის თარიღი“ ან „დაფარვის თარიღი“ (შესაბამისად), გადაინაცვლებს მომდევნო სამუშაო დღეს, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მომდევნო „სამუშაო დღე“ გადაინაცვლებას ახდენს შემდეგ კალენდარულ თვეში, რა შემთხვევაშიც ასეთი „ობლიგაციების“ „პროცენტის გადახდის თარიღი“ ან „დაფარვის თარიღი“ (შესაბამისად) გადაინაცვლებს წინა სამუშაო დღეს.
„TIBR6M“ ნიშნავს უახლეს განაკვეთს, რომელიც გამოსახულია როგორც „TIBR6M“ „სებ-ის (იგივე „საქართველოს ეროვნული ბანკის“) ვებ-გვერდის ეკრანზე“ სათაურით „თბილისის ბანკთაშორისი საპროცენტო განაკვეთი – TIBR ინდექსი“ „საპროცენტო პერიოდთან“ მიმართებით „პროცენტის განსაზღვრის თარიღზე“, თბილისის დროით 11:00 საათისთვის. გამოქვეყნებული განაკვეთი დამრგვალდება (საჭიროების შემთხვევაში) მეორე ათწილადამდე, 0.005 მრგვალდება ზემოთ.
„TIBR3M“ ნიშნავს უახლეს განაკვეთს, რომელიც გამოსახულია როგორც „TIBR3M“ „სებ-ის (იგივე „საქართველოს ეროვნული ბანკის“) ვებ-გვერდის ეკრანზე“ სათაურით „თბილისის ბანკთაშორისი საპროცენტო განაკვეთი – TIBR ინდექსი“ „საპროცენტო პერიოდთან“ მიმართებით „პროცენტის განსაზღვრის თარიღზე“, თბილისის დროით 11:00 საათისთვის. გამოქვეყნებული განაკვეთი დამრგვალდება (საჭიროების შემთხვევაში) მეორე ათწილადამდე, 0.005 მრგვალდება ზემოთ.

„პროცენტის განსაზღვრის თარიღი“ ნიშნავს „პროცენტის დარიცხვის პერიოდისთვის“ , აღნიშნული პერიოდის პირველ „სამუშაო დღემდე“ 4 (ოთხი) „სამუშაო დღით“ ადრე არსებულ „სამუშაო დღეს“.

„საპროცენტო პერიოდი“ ნიშნავს თითოეულ პერიოდს, რომელიც იწყება „პროცენტის გადახდის თარიღზე“ და სრულდება მომდევნო „პროცენტის გადახდის თარიღის“ წინა დღეს, გარდა პირველი პერიოდისა, როდესაც ეს ნიშნავს პერიოდს, რომელიც იწყება „ობლიგაციების“ „გამოშვების თარიღით“ და სრულდება მომდევნო „პროცენტის გადახდის თარიღის“ წინა დღეს პროცენტის გადახდის თარიღამდე და გარდა ბოლო პერიოდისა, როდესაც ეს ნიშნავს პერიოდს, რომელიც იწყება ბოლო „პროცენტის გადახდის თარიღზე“ და მთავრდება „ობლიგაციების“ „დაფარვის თარიღით“ ან თუკი „ობლიგაციები“ ხდება ვადამოსული და გადასახდელი, ეს უკანასკნელი თარიღი (როდესაც „ობლიგაციები გახდება ვადამოსული და გადასახდელი), „სამუშაო დღის კონვენციის“ პირობის გათვალისწინებით. ყოველგვარი ეჭვის გამოსარიცხად, თუ „პროცენტის გადახდის თარიღი“ ნაცვლდება მომდევნო „სამსუშაო დღით“, პროცენტის დარიცხვა განხორციელდება ასეთ გადავადებულ თარიღამდე (მაგრამ მისი გამოკლებით). გარდა ამისა, როდესაც „პროცენტის გადახდის თარიღი“ კორექტირდება წინა „სამუშაო დღეზე“ (თავდაპირველად კორექტირებული „პროცენტის გადახდის თარიღის“ მომდევნო კალენდარულ თვეში გადანაცვლების გამო), პროცენტის დარიცხვა განხორციელდება ასეთ უფრო ადრეულ თარიღამდე (მაგრამ მისი გამოკლებით).

„სებ-ის (იგივე „საქართველოს ეროვნული ბანკის“) ვებ-გვერდის ევრანი“ ნიშნავს შემდეგ მისამართზე არსებულ გვერდს: <https://nbg.gov.ge/en/monetary-policy/tibr> ან (i) ნებისმიერი ჩამნაცვლებელი გვერდი, სხვა გამოქვეყნებული წყარო, ინფორმაციის ვენდორი ან პროვაიდერი, რომელიც ოფიციალურად არის დანიშნული ადმინისტრატორად ეროვნული ბანკის მიერ; ან (ii) თუ ასეთ ადმინისტრატორს ოფიციალურად არ აქვს დადგენილი ჩამნაცვლებელი გვერდი, სხვა გამოქვეყნებული წყარო, სერვისის პროვაიდერი (გარემოებების მიხედვით), ჩამნაცვლებელი საჩვენებელი გვერდი, სხვა გამოქვეყნებული წყარო, სერვისი ან პროვაიდერი, ასეთის არსებობის შემთხვევაში, დანიშნული შესაბამისი ინფორმაციის ვენდორის ან პროვაიდერის მიერ (თუ განსხვავებულია ადმინისტრატორისგან), როგორც ეს განსაზღვრულია „კალკულაციისა და გადახდის აგენტის მიერ“), რომელიც დაუყოვნებლივ აცნობებს „დეპოზიტარს“ და „ემიტენტს“.

„ხელმოწერი ინვესტორი“ არის ინვესტორი, რომლის მიერ „ობლიგაციების“ შესყიდვის თაობაზე ინტერესის გამოსახატად შევსებული განაცხადიც იქნა დაკმაყოფილებული და აღნიშნული განაცხადის დაკმაყოფილების შესახებ გადაწყვეტილება დადასტურებული იქნა კვლავ ინვესტორის მიერ წინამდებარე „პროსპექტით“ განსაზღვრული წესის შესაბამისად.

„შეთავაზების პერიოდი“ განისაზღვრება „შეთავაზების პირობების“ დოკუმენტის შესაბამისად.

„თავდები“ ნიშნავს ნებისმიერ „შვილობილს“, რომელმაც უზრუნველყო ან დროდადრო უზრუნველყოფს „ემიტენტის“ ვალდებულებებს წინამდებარე „წესების“ შესაბამისად გაცემული გარანტიით. ყოველგვარი ეჭვის თავიდან არიდების მიზნით, „გამოცემის თარიღზე“ თავდაპირველ „თავდებებს“ წარმოადგენს შემდეგი პირები: შპს „ნოვა ფროდაქშენს“ (ს/კ: 445585607), შპს „ნოვა ფიქსის“ (ს/კ: 445610385), შპს „ნოვა მეტალს“ (ს/კ: 445610456). ტერმინი „თავდებები“ აღნიშნავს ჩამოთვლილ პირებს და ნებისმიერ სხვა „შვილობილს“, რომელიც შეიძლება გახდეს „თავდები“ წინამდებარე „პირობების“ შესაბამისად, ერთობლივად.

„თავდებობა“ ნიშნავს მოთხოვნის უზრუნველყოფის საშუალებას, რომელიც გაცემულია „თავდებების“ მიერ, „თავდებობის ხელშეკრულების“ საფუძველზე.

„კორექტირებული კონსოლიდირებული წმინდა მოგება“ ნიშნავს, ნებისმიერ კონკრეტულ „პირთან“ მიმართებაში, ნებისმიერი პერიოდისთვის, ასეთი „პირისა“ და მისი „შვილობილების“ „ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების“ შესაბამისად განსაზღვრულ კონსოლიდირებულ წმინდა შემოსავალს/(ზარალს) ამ პერიოდის შესაბამისად, იმის გათვალისწინებით, რომ აღნიშნული კონსოლიდირებული წმინდა შემოსავალი არ უნდა მოიცავდეს საშემოსავლო ან მოგებაზე დაწესებულ

ნებისმიერ გადასახადს.

„დამფუძნებლის სუბორდინირებული დაფინანსება“ ნიშნავს ნებისმიერ სესხს ან სხვა სახის დაბრუნებად სახსრებს, რომელიც „კომპანიაზე“ გაიცემა მისი პარტნიორის მიერ და რომელიც ხელშეკრულებით სუბორდინირებულია „კომპანიის“ ყველა არსებულ და მომავალ სენიორ კრედიტორთან მიმართებით, ისე რომ ძირითადი თანხის დაბრუნება და სარგებლის გადახდა შესაძლებელია მხოლოდ შესაბამისი სუბორდინირების ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად.

„წმინდა ფინანსური ვალდებულებები“ ნიშნავს ნებისმიერ დროს „ჯგუფის“ „ფინანსური ვალდებულებს“ გამოკლებული „ხელმისაწვდომი ნაღდი ფული“.

„კონსოლიდირებული EBITDA“ ნიშნავს დუბლირების გარეშე, „ემიტენტისა“ და მისი „შვილობილების“ კონსოლიდირებულ წმინდა მოგებას ნებისმიერი პერიოდისთვის, დამატებული შემდეგი, იმ მოცულობით, რომლითაც ის გამოიქვითება ასეთი კონსოლიდირებული წმინდა მოგების გაანგარიშებიდან:

- (ა) კონსოლიდირებული საპროცენტო ხარჯი;
- (ბ) კონსოლიდირებული მოგების გადასახადის ხარჯი;
- (გ) კონსოლიდირებული ცვეთის ხარჯი;
- (დ) კონსოლიდირებული ამორტიზაციის ხარჯი;
- (ე) კონსოლიდირებული ვალუტის კონვერტაციიდან მიღებული მოგება-ზარალი;

(ვ) სხვა არაფულადი გადასახადები, ჩამოწერა ან ელემენტები, რომლებიც ამცირებენ კონსოლიდირებულ წმინდა მოგებას, მათ შორის, შეუზღუდავად - გუდვილის ჩამოწერა, აღჭურვილობის გაყიდვით ან აქტივების ნებისმიერი სხვა გასხვისებით მიღებული დანაკარგი ან, აქტივების გაუფასურების რეზერვები ან მათი აღდგენა, საწარმოს მარაგის/ინვენტარის ჩამოწერა, და ნებისმიერი ელემენტი, რომელიც „ემიტენტის“ მიერ კლასიფიცირებულია როგორც სპეციალური, საგანგებო, განსაკუთრებული, უჩვეულო ან არაგანმეორებადი, გამოკლებული შემოსავლის სხვა უნაღდო ან არაგანმეორებადი პუნქტები, რომლებიც ზრდის კონსოლიდირებულ წმინდა შემოსავალს (ნებისმიერი ასეთი უნაღდო პუნქტის გამოკლებით, რომელიც წარმოადგენს მომავალ პერიოდში ფულის მიღებას) თითოეულ შემთხვევაში, ასეთი პერიოდისთვის კონსოლიდირებული და „ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების“ შესაბამისად განსაზღვრული მაჩვენებელი.

„თავდებობის შემოწმების თარიღი“ გამოიყენება 5(ო) პირობით გათვალისწინებული მნიშვნელობით.

„ხელმისაწვდომი ნაღდი ფული“ ნიშნავს ნებისმიერ დროს „ნაღდი ფულისა“ და „ნაღდი ფულის ეკვივალენტების“ საერთო მოცულობას („ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების“ (IFRS-ის) შესაბამისად დადგენილს), რომელიც ხელმისაწვდომია „ემიტენტისა“ ან მისი რომელიმე „შვილობილის“ მიერ გამოყენებისთვის, მათ შორის თანხის გამოტანის, გამოყენების, გადარიცხვის ან კონვერტაციის გარეშე ნებისმიერი შეზღუდვისა, და რომელიც არ ექვემდებარება გირავნობას, ესკროს (escrow), ნდობით მართვის მექანიზმს, ბლოკირებას ან სხვა სახის კონტრაქტულ სამართლებრივ შეზღუდვას მისი ხელმისაწვდომობის მიმართ.

„ნაღდი ფული და ნაღდი ფულის ეკვივალენტები“ ნიშნავს ნებისმიერ დროს ერთობლივ თანხას, რომელიც მოიცავს: (ა) ხელთ არსებულ ნაღდ ფულს და მოთხოვნად ანაზრებს ბანკებსა თუ სხვა საფინანსო ინსტიტუტებში; და (ბ) მოკლევადიან, მაღალი ლიკვიდობის მქონე ინვესტიციებს, რომლებიც მარტივად ექვემდებარება ნაღდ ფულად თანხად გადაქცევას და რომელთა ღირებულების ცვლილების რისკი უმნიშვნელოა, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, დადგენილს კონსოლიდირებული პრინციპით

"ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების" (IFRS-ის) შესაბამისად.

„**ანგარიშგების თარიღი**“ ნიშნავს თარიღს, რომელამდე შესაბამისი ნახევარლიანი და წლიური ფინანსური ანგარიშგებები უნდა გახდეს საჯაროდ ხელმისაწვდომი, როგორც ეს განსაზღვრულია წინამდებარე „პირობების“ დებულება 5(ი) („ინფორმაციის გამჟღავნება“) შესაბამისად.

„**გამოსყიდვის თარიღი**“ ნიშნავს თარიღს, როდესაც ობლიგაციების ძირითადი თანხის სრული დაფარვაა დაგეგმილი, როგორც ეს მითითებულია „საბოლოო შეთავაზების პირობებში“, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც „ობლიგაციების“ გამოსყიდვა მოხდა მანამდე, წინამდებარე „პირობების“ შესაბამისად;

„**ფინანსური ვალდებულება**“ ნიშნავს ნებისმიერი „პირის“ მიმართ ნებისმიერ დროს არსებულ ყველა ფულად ვალდებულებას (გამორიცხვის გარეშე), მათ შორის: (ა) ასეთი „პირის“ ყველა ფულად ვალდებულებას, რომელიც წარმოიშობა სესხის სახით მიღებული თანხებიდან, გარდა იმ ვალისა, რომელიც უზრუნველყოფილია მხოლოდ ნაღდი ფულით; (ბ) ასეთი „პირის“ ყველა ფულად ვალდებულებას, რომელიც დადასტურებულია ობლიგაციებით, თამასუქებით ან სხვა მსგავს ინსტრუმენტებით; (გ) ყველა ფულად ვალდებულებას, რომელიც წარმოიშობა საკრედიტო ხელწერილებიდან, საბანკო გარანტიებიდან, გარანტიებიდან, საბანკო აქცეპტებიდან ან სხვა მსგავს ინსტრუმენტებიდან (მათ შორის, ანაზღაურების ვალდებულებებს), იმ საკრედიტო ხელწერილების, გარანტიების ან მსგავსი ინსტრუმენტების გამორიცხვით, რომლებიც გაცემულია „პირის“ ჩვეულებრივი ბიზნესსაკმიანობის ფარგლებში; (დ) ნებისმიერი ფინანსური სასესხო ვალდებულება, რომელიც აღიარებულია "ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების" (IFRS-ის) შესაბამისად; (ე) ნებისმიერი თანხა, რომელიც მოზიდულია ფასიანი ქაღალდების გამოშვების გზით, თუკი ასეთი ფასიანი ქაღალდები ექვემდებარება დაფარვას; (ვ) სხვა ნებისმიერი ფინანსური დავალიანება, აღიარებული "ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების" (IFRS-ის) შესაბამისად; და (ზ) ნებისმიერი ვალდებულება, რომელიც გამომდინარეობს კორპორაციული გარანტიებიდან ან სოლიდარული თავდებობიდან.

„ობლიგაციების“ დაბეგვრა საქართველოში

ქვემოთ მოცემული ინფორმაცია წარმოადგენს „ობლიგაციებთან“ დაკავშირებული ძირითადი საგადასახადო საკითხების ზოგად აღწერას. შესაბამისად, აღნიშნული არ წარმოადგენს „ობლიგაციებთან“ დაკავშირებული საგადასახადო საკითხების ამომწურავ შეფასებას. „ობლიგაციების“ პოტენციურმა შემძენებმა კონსულტაციები უნდა გაიარონ საკუთარ საგადასახადო მრჩეველებთან „ობლიგაციების“ შეძენასთან, ფლობასთან და გასხვისებასთან დაკავშირებით, ასევე – „ობლიგაციებიდან“ პროცენტის, ძირითადი თანხის ან/და სხვა შემოსავლების მიღების შესახებ და ამგვარი ქმედებების საგადასახადო შედეგების თაობაზე. მიმოხილვა ეფუძნება წინამდებარე პროსპექტის შედგენის თარიღისთვის მოქმედ კანონმდებლობას, რომელიც შეიძლება შეიცვალოს აღნიშნული თარიღის შემდეგ. ამ თავში წარმოდგენილი ინფორმაცია და ანალიზი შეეხება მხოლოდ საგადასახადო საკითხებს და პოტენციურმა ინვესტორებმა არ უნდა გამოიყენონ ეს ინფორმაცია ან ანალიზი სხვა სფეროებში, მათ შორის, „ობლიგაციებთან“ დაკავშირებული ტრანზაქციების ნამდვილობასთან მიმართებით.

პროცენტის დაბეგვრა გადახდის წყაროსთან

„ობლიგაციებზე“ გადახდილი პროცენტი რეზიდენტი ფიზიკური პირისთვის, არარეზიდენტი იურიდიული და ფიზიკური პირებისთვის (თუ პროცენტი არ მიეკუთვნება საქართველოში ამ არარეზიდენტის მუდმივ დაწესებულებას) თავისუფლდება საშემოსავლო და მოგების გადასახადისაგან იმის გათვალისწინებით, რომ „ობლიგაცია“ არის რეზიდენტი იურიდიული პირის მიერ 2026 წლის 1 იანვრამდე საქართველოში საჯარო შეთავაზების გზით გამოშვებული და საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ აღიარებულ ორგანიზებულ ბაზარზე სავაჭროდ დაშვებული სასესხო ფასიანი ქაღალდი.

წინამდებარე პროსპექტის დამტკიცების თარიღისათვის სს „საქართველოს საფონდო ბირჟა“ ითვლება აღიარებულ ორგანიზებულ ბაზრად

ვინაიდან რეზიდენტი იურიდიული პირის მიერ რეზიდენტი იურიდიული პირისთვის გადახდილი პროცენტი წყაროსთან დაბეგვრას არ ექვემდებარება, „ობლიგაციებზე“ მეწარმე რეზიდენტი იურიდიული პირის (გარდა საბანკო დაწესებულების, საკრედიტო კავშირის, მიკროსაფინანსო ორგანიზაციის, სესხის გამცემი სუბიექტის) მიერ მიღებული პროცენტები ჩაირთვება რეზიდენტი იურიდიული პირის მოგებაში და დაიბეგრება მოგების გადასახადის 15%-იანი განაკვეთით, მხოლოდ შესაბამისი მოგების განაწილებისას.

საბანკო დაწესებულების, საკრედიტო კავშირის, მიკროსაფინანსო ორგანიზაციისა და სესხის გამცემი სუბიექტის მიერ მიღებული პროცენტი შეიტანება ამ საწარმოების ერთობლივ შემოსავალში და გამოქვითვების შემდეგ დაიბეგრება მოგების გადასახადის 20%-იანი განაკვეთით.

„ობლიგაციების“ რეალიზაციის დაბეგვრა

„ობლიგაციების“ მიწოდებით მიღებული რეზიდენტი ფიზიკურის პირის, არარეზიდენტი ფიზიკური და იურიდიული პირის შემოსავალი (ზოგადად სარეალიზაციო და შეძენის ფასებს შორის დადებითი სხვაობა ამ ფასიან ქაღალდზე მიწოდების მომენტამდე დარიცხული და აუნაზღაურებელი პროცენტის გაუთვალისწინებლად საგადასახადო კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში) განთავისუფლებულია საშემოსავლო და მოგების

გადასახადისაგან (თუ ეს შემოსავალი არ მიეკუთვნება საქართველოში ამ არარეზიდენტის მუდმივ დაწესებულებას), იმის გათვალისწინებით, რომ „ობლიგაციები“ არის რეზიდენტი იურიდიული პირის მიერ საქართველოში საჯარო შეთავაზების გზით გამოშვებული და საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ აღიარებულ ორგანიზებულ ბაზარზე სავაჭროდ დაშვებული სასესხო ფასიანი ქაღალდი.

საქართველოს რეზიდენტი იურიდიული პირი (გარდა საბანკო დაწესებულებისა, საკრედიტო კავშირისა, მიკროსაფინანსო ორგანიზაციისა, სესხის გამცემი სუბიექტის) ვალდებულია „ობლიგაციების“ რეალიზაციით მიღებულ მოგებაზე გადაიხადოს მოგების გადასახადი 15%-იანი განაკვეთით მას შემდეგ, რაც გაანაწილებს მოგებას.

საბანკო დაწესებულების, საკრედიტო კავშირის, მიკროსაფინანსო ორგანიზაციისა და სესხის გამცემი სუბიექტის მიერ „ობლიგაციების“ რეალიზაციით მიღებული შემოსავალი შეიტანება ამ საწარმოების ერთობლივ შემოსავალში და გამოქვითვების შემდეგ დაიბეგრება მოგების გადასახადის 20%-იანი განაკვეთით.

გადასახადი ძირითადი თანხის გადახდაზე

„ობლიგაციების“ გამოსყიდვისას „ობლიგაციონერების“ მიერ მიღებული ძირითადი თანხა არ ჩაითვლება დასაბეგრ შემოსავლად და არ დაექვემდებარება საქართველოში დაბეგრას იმ პირობით, რომ გამოსყიდვის ფასი ვადის დადგომისას არ აღემატება თავდაპირველი გამოშვების ფასს.

დამატებული ღირებულების გადასახადი

„ობლიგაციების“ რეალიზაცია (მიწოდება) თავისუფლდება დამატებული ღირებულების გადასახადისგან საქართველოში